

# sonбson

I

2  
0  
1  
2

с  
б  
л  
б  
с  
б  
н



2012 №1, ( 3 )



ქათევან დედოფლალი



თიროსმანის ობლობა

UDC(უაკ) 050(479.22)  
ა-376

ISSN-2223-3312

ჯუმრელ ლეზავას სახელობის მეცნიერებათა  
მრავალაროვილიანი საერთაშორისო აკადემია

# პ ი ნ გ ა თ ი

III



გამომცემლობა „ენივერსალი“  
თბილისი 2012



## გულნაზი ხარაიშვილი

ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი  
ჟუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა  
მრავალპროფესიონალი საერთაშორისო  
აკადემიის პრეზიდენტი

### გული მსურს მოგცეთ, მე სახელად „სიკეთე“ მავია.

გ—ულს მოგცემთ და... წვიმის დროსაც შეგიფარებთ,  
უ—ლამაზეს ვარდს გაჩუქებთ გაზაფხულზე,  
ლ—ოცვით იმედს ტანზე საბნად დაგაფარებთ,  
ი—ებს დავრგავ წინაპართა ნაფეხურზე.

მ—ოვრნყავ ლექსით გამოფიტულ სულის ნაყოფს,  
ს—ასაფლაო გამითხაროს თუგინდ მტერმა,  
უ—ნდა მენდოთ, შეგახვედრებთ ყველას სამყოფს...  
რ—ომ იცოდეთ ამას შევძლებ, რადგან მჯერა.  
ს—ადლეგრძელოს შევსვამ თქვენთვის, განსხვავებულს,

მ—ოყვასს ვეტრფი, თუმც ეკლები მედებიან...  
ო—მს მოვიგებ, ლექსს არ დავწერ გაავებულს,  
გ—აზაფხულდა, ჩემს უურნალში ედემია.  
ც—რემლი წამსკდა, როს დამკაწრა აკაციამ,  
ე—ხ, არა ღირს გახსენება ამის ალბათ!  
თ—ბილი ქურქი, მე სიკეთის, ტანთ მაცვია,

მ—ოქუსს რითმა, ის მეყოფა სწეულს აბად.  
ე—რს სალბუნად, უშურველად, ჩემს გულს მივცემ,

ს—აუკუნის კარს შევალებ მოფერებით,  
ა—თინათის სიყვარულით ცის ნამს დავლევ,  
ხ—ავსს არ იჩენს ჩემი ხელით ნანერები.  
ე—ნძელებმა მომახარეს გაზაფხული,  
ლ—ურჯ ზეციდან მზის სხივები მეწვევიან.  
ა—რის მიწაც წიქარებით გადახნული,  
დ—ა გადაღლილ ულელს მარჯვედ ეწევიან.

ს—აწმისიდან მაღლი წვეთავს, მისხალ-მისხალ,  
ი—ფრქვევიან დილის ცვარზე „ათინათად“...  
კ—ეკლუცს იწყებს ხის ტოტი და კვირტებს ისხამს,  
ე—კლები კი, ვარდს მოჰყვება ტანზე მზითვად.  
თ—ოლიები წყლის სარკესთან დაფრინავენ,  
ე—ნამებათ ოეთრი ფრთები სუფთა შეცით,

მ—დინარეზე ლამაზ ბუმბულს გაფინავენ,  
ქ—არავანი დასეირნობს სხორი გზებით.  
გ—აზი ყვავის, ხვავრიელად მტევნებს ისხამს,  
ი—ქ, ზეცაძი, ვარსკვლავს შუქი აუნთია.  
ა—მოდის მზე, საწმისიდან მირონს მისხამს,  
გულს მიცოცხლებს, გულიც თქვენთვის დამითმია!

## ჩვენი ქვეყნის ნუგაში

ბედნიერია ის ქართველი, ვისაც მიუღია უწმინდესისაგან ლოცვა-კურთხევა. ამიტომაა, ექიმი-ოფთალ-მოლოგი, სახელმწიფო მრჩეველი ვახტანგ გაჩეჩილაძე, რომ წერს:

„არიან ადამიანები, ჭეშმარიტი მამულიშვილები, რომელიც ეკუთვნიან არა რომელიმე ისტორიულ მიმდინარეობას, არამედ მთელ ერს, მის წარსულს, აწმყოს და მომავალს, თავიანთი ბრძნული და კეთილი ხედვით, გვასწავლიან, გვაიმედებენ, გვაფრთხილებენ და მომავლის იმედს გვისახავენ.

მზესა და წმინდანებს ორი საერთო თვისება აქვთ: ორთავე საოცრად ნათელია და ორთავე სიცოცხლის შემოქმედებია.

ღმერთი ერთია ამ ქვეყანაზე, ამ ქვეყანაზე ერთია ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი – ილია მეორე. ჩვენი ქვეყნის ერთადერთი იმედი და ნუგეში.

მე ვარ უზომოდ ბედნიერი ადამიანი, რომელიც ხშირად ვიღებ მისი უწმინდესობისაგან, ლოცვა კურთხევას, მის მშვიდ დიდებულ სახეზე ელვარებს რაღაც ზებუნებრივი, ამაღლებული კეთილი და დინჯი დიდებამოსილება.

მისი უწმინდესობა ბრძანდება სამშობლოზე, უსაზღვრო სიფაქიზით შეყვარებული, სახელმოვანი ღვთის-ნიერი მამულიშვილი, ეროვნულობით, პატრიოტიზმით, გმირული საქმეებით ამაღლებული, ენის, მამულის და სარწმუნოების ტრიადა სრულყოფილად არის ხორცების ხშირად ვიღებ მისი უწმინდესობისაგან, ადამიანურ თვისებებში.

საოცრად მადლობოსილია მისი დიდებული — „ავე მარია“ და ქადაგებები — სრულიად საქართველოს უძვირფასებს განძად იქცა. ეს ნანარმოები გახდა ლამაზი ოცნების, ნატვრის, მომავალი ძლიერი განათლებული ქრისტიანული ერის სიმბოლოდ.

მისმა უწმინდესობამ სიცოცხლეშივე თვითონ შექმნა საკუთარი სახელის უკვდავება და დიდება. ეს უდიდესი ალიარება მან მოიპოვა განუქმორებული ნიჭით, რომელიც უმაღლეს ჰარმონიად განსახიერდა. მას გამოარჩევს ფართო განათლება, პატიური და მუსიკალური განცდის სიმძლავრე. მისი ცხოვრება და საერო მოღვაწეობა ხომ ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ ნამდვილ ერისკაცის პიროვნებაში ერთმანეთს როგორ უნდა შეეწყას მაღალი გონებრივი, მოქალაქეობრივი და ადამიანური შეგნება.

მისი უწმინდესობა ბრძანდება ის ადამიანი, ვინც ქართველ ერში აქტიური მამულიშვილობა გააღვიძა და ჩვენი ქვეყნის მომავალი დასახა. მან განსაზღვრა, ვინ იცავს და გადაარჩენს ჩვენს დად სამშობლოს.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, ერთი ადამიანი, ერთი გული იტევდეს ამდენ სითბოს, სიყვარულს და უნანილებს ყველას.

თქვენო უწმინდესობავ:

თქვენ ბრძანდებით საქართველოს იმედის ცოცხალი წმინდა ხატი, ყველას მშველელი, ყველას მფარველი და მრჩეველი.

დღეგრძელი იყავით, ჯანმრთელი და მხნე, სამშობლოს და ხალხის საკეთილდღეოდ.

მუდამ თქვენზე მლოცველი.

მხოლოდ სულით მდიდარ ადამიანს შეუძლია ჩაწერდეს იმ სიღრმეთა არეს, რომელიც უწმინდესშია. სახელმწიფო მრჩეველი, ექიმი-ოფთალმოლოგი ვახტანგ გაჩეჩილაძე, სამშობლოზე შეყვარებული პიროვნება არის. ამიტომაა, რომ ასე ალიქვამს, ჩვენი ერის სიმშვიდის მამის სიდიადეს.

ბატონი ვახტანგის ხატად მიაჩინა სურათი, რომელიც გადაღებულია 1989 წლის 9 აპრილს უწმინდესთან ერთად.

ხოლო ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი ბატონი ნუგზარი ნადარაია, სრულიად საქართველოს მიმართავს: გამოდით, გამოიყვანეთ შვილები, შვილიშვილები და ილოცეთ, რათა გადარჩეს საქართველო. იგი მუხლიდრეკილი ევედრება უფალს ერის ხსნას, თვითონ ეკლესის მრევლია და იცავს ძირძველ ადათს.

მსოფლიო მოქალაქე, დიდი მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა, უწმინდესის ნაჩუქარ ხელის სამაჯურს ატარებს და ამბობს: სამაჯურს აქვს ძალა იმიტომ, რომ იგი უწმინდესის ხელშეხებულია.

პოეტი ნუნუ გურალია ლექსის სტრიქონებით გამოხატავს უწმინდესისადმი კრძალვას:

თქვენ ჩვენი სამწყსოს დიდო მამაო,  
ლოცვის ტაძარო წმიდათ-წმიდაო.  
სულის სალბუნო, სულის მკურნალო,  
ცან ნათელო, დღეო მზიანო.  
ვითარც ხატება ყველას გულებში,  
კელაპტარივით ჩუმად ანთიხართ,  
შენ, საქართველოს უწმინდესი და  
უნეტარესი პატრიარქი ხართ.

შურნალი „ათინათის“ იდეაა სიკეთისა და მადლის თესვა. „ათინათის“ პირველი და მეორე ნომერი, გამოგიგზავნეთ ერის წმიდა მამაო. ბედნიერ ადამიანებად ჩავთვლიდით თავს, თუ შურნალ „ათინათის“ რედკოლეგიას გვეღირსება თქვენთან პირისპირ შეხვედრა, რათა ჩვენი კალამი მოძლიერდეს თქვენი მადლით.

ერის მხსნელი ხარ, ღვთით უწმიდესო,  
მეც თავდახრილი კრძალვით მოგმართავ:  
მინდა ჩემს ერში მადლი რომ ვთესო,  
გნახო და... ვარდი ხელით მოგართვა.

რედაქტორი

## ტრიბუნა

### გულნარა შოთაშვილი

#### პედი თუ უგედობა...

ადამიანს სამ ლირსშესანიშნავ თარიღს აყოლებს ლერთი; დაბადებას, ქორწინებას და სიკვდილს...

ქორწინება ორ ალბათობას ითავისებს თავის თავში: ბედისა და უბედობას...

ადამიანის თვალი, ქორწინების დღის აწყობილ თუ აუცყობელ საქმეებით წინასწარ განსჭვრეტს მომავლის ნახევარს, ღმერთის თანადგომით თუ განდგომის დანახვით და შეძლების დაგვარად გადაინაცვლებს ბედის ატმოსფეროში, რომ უბედობის გზას გვერდი უჯციოს, რითაც წალმა შეაბრუნებს უკულმა წასასულელ საქმეს, მაგრამ ცდას ხშირად მაინც სჯობნის უბედობა, ვინაიდან ქორწინების დღით ახალი ცხოვრების დაწყების სიხარული გაუმჭვირვალ საფარს აფარებს გონებას, განსჭვრეტისა და დაკვირვების უნარს უდუნებს, მოსალოდნელ და გადასატან დარდის ფორიაქს აგინყებს, კეთილი მომავლის იმედით ცხოვრების კალაპოტის შეცვლის ახალ აზრს უნერგავს და შეძენილი მეორე ნახევრის იმედად ტოვებს...

... და ვაი მას, ვისაც ცხოვრების თანამგზავრი; გრძნობამოცვეთილი, უყურადღებო, უგერგილო, უგულო, ცივი და უსაქმეური შეხვდება... ხედება ისიც, რომ ერთად შეცრილი ხასიათს ვერ უცყობენ, სწრაფვას ვერ ათანხმებენ, სურვილსა და სიყვარულს ვერ ამთხვევენ ერთმანეთს, სადაც ქალების ცდა ოჯახის შენარჩუნებისა მარცხით მთავრდება...

ხდება პირიქითაც და ოჯახის საძირკველი საშვილიშვილო ჩადუღაბდება...

ოჯახის დაშლის ეშმაკისეულ მანქანას ვერც კანონი ერევა და ვერც სამართალი.

ქალს, რომლის შესახებაც წინამდებარე მოთხოვბას ვწერ, ქორწინების დღემ სიხარული, მწუხარება, ცრემლი და სინანული ერთად შეუკრა და თავზე მომავლის გვირგვინად დაახურა... და ყოველი მოულოდნელი წვრილმანი ძლიერად მოხვდა გულზე და წარუშლელი კვალი დაუტოვა... რამაც რწმენისა და იმედის გაცრუების სამზადისს ჩაუყარა საფუძველი და ბზარი შეაპარა იმ კაცის სიყვარულს, რომელსაც ქალობა და გული ჩააბარა...

ნანას, ქორწინების დღისთვის სათუთად გამომცხვარი ტორტის, ახალი ოჯახის წევრებისაგან დაწუნებამ, თუ უცნაურად გადაკრულმა სიტყვებმა: ცრემლი მეტი არგუნა, ვიდრე სიხარული და წუხილი მეტი მიაღებია, ვიდრე ლიმილი...

... დრომ გაიარა, გულისატკივილი არ ჩაწყნარდა, ნატყენი და გაბზარული გული ვერა და ვერ გამთხლდა უკვალოდ, მიუხედავად მეუღლის სითბოსიტყბოსი, ყურადღებისა, ოჯახის მოამაგისა და სიყვარულისა, ყრული ტკივილი მაინც შერჩა გულს...

წლისთავზე ღმერთმა ვაჟი აჩუქათ. მერაბი ცას ეწია სიხარულით. მეუღლე, ბიჭის დედა, ვარსკვლავებს ააცილა და პატივისცემასა და ყურადღებას უმატა.

იზრდებოდა ბიჭი მშობლების სიყვარულით, ზრუნვითა და მოფერებით. ნანა დაპერანებდა პირმშოს, უვლიდა ქმარ-შვილს და ირჩენდა ქორწინების ტკივილს, რომელიც განუკურნებელი ეგონა.

მერაბის ცოლ-შვილისაკენ მთლიანად შემობრუნებამ, მის მშობლიურ იჯახში უკმაყოფილების ტალღა აატორტმანა და უძირო ჭაობი წარმოშვა. შემოუძახეს ბიჭის მამას, მაგრამ მოსიყვარულე მეუღლემ და ბიჭის მამამ ყურად არ იღო მათი შემოძახილი, არც განცყრომია, არც მადლობა უთქვამს, სახეზე სათავისო ლიმილმა გადაურბნა და უხმოდ გაეცალა დედმამიშვილებს და მიჰყვა საკუთარ გულისხმისა; ფიანძაზად გაშლობა ფეხთქვეშ, ვაჟის დედას, ვინც ვაჟკაცობა დაუფასას...

- შენ მე მისმინე, გენაცვალე, - ცოლს მკერძში ჩაიკრავდა, ყელ-ყურს დაუკოცნიდა - სხვათა ლაპარაკს ყურად ნუ მიიღებ, შენ გამაგებინე სიცოცხლისა და კაცობის ფასი და თუ ადამიანი ვარ, დაგიფასებ...

უხაროდა ნანას მეუღლის განსხვავება დედ-მამის შევილებისაგან შინაგანაც და გარეგნულადაც და ისიც, რომ ყველა ადამიანს ლირსების მიხედვით სცემდა პატივს. საითაც არ უნდა ნასულიყო, ყველას შესაფერის საჩუქარს ჩამოუტანდა, იმის და მიხედვით ვის რა ადგილი ეჭირა მის ცხოვრებაში.

ნანა მაგალითს მეუღლისგან იღებდა, საწყენს გულგარეთ გაატარებდა, იჯახს ქალის ხელს არ აკლებდა, მეზობლებში სიყვარულს თესდა და ელოდა შედეგს...

დრო ელვის სისწრაფით გარბოდა, ბიჭი სამი წლისა გახდა და ღმერთმა მეორე შვილს დედობაც დაუკახონა ნანას. მერაბი თავს ევლებოდა ფეხმძმიმე მეუღლეს...

ნანა უმაღლესი ცოდნით დაკანონებული ინჟინერი იყო, მაგრამ მერაბს სიტყვის გაგებაც არ უნდოდა მის მუშაობაზე.

- ჩემი ნანა, შენს შვილებს და ოჯახს სჭირდები, არ მემეტები მეორე დიდი საქმით დატვირთვისთვის, იჯახი და სამსახური მთელ დროს შეინირავს და საკუთრივ შენთვის დრო ალარ დაგრჩება და დაიჩაგრება შენი ქალური არგუმენტები... ვერ მოასწრებ ყველაფერს.

- სხვა ქალები თუ ასწრებენ, მე რითა ვარ მათზე ნაკლები? - ლამაზ თვალებს ლიმილს უფარებდა ნანა.

- სხვებსაც აკლიათ ის დრო, რაც ქალობას სჭირდება. ვიდრე ჩემი მანქანის საჭე მუშაობს, ოჯახს არაფერს მოვაკლებ და რად უნდა დაიტვირთოთ თავი?

- ცოლს კაცურად მიეფერებოდა და ნანაც თმობდა - შენ მალე მეორე შვილის დედა გახდები და იფიქრე მის გაზრდაზე, დიპლომი არც დაობდება და არც დაიშლება, დაზარდე შვილები და მერე ვნახოთ, ძვირფასო! ...

არც სჭირდებოდა ნანას საშოვარზე ფიქრი, ოჯახის უფროსა ცოლ-შვილს არაფერს აკლებდა.

მეორე ბიჭიც გაჩნდა "ყევარი ხარი უნდა მყავდეს" - ხუმრობდა მერაბი და დღედაღამ შრომობდა. ბიჭები ჯანმრთელები, ჭამისმოყვარულები და "ჯიგოტები" იზრდებოდნენ. უფროსი მებუთე წელიწადში იყო, ოჯახმა მეტი მოითხოვა და მერაბის შრომა და გარჯა გაორმაგდა, მაგრამ კი არ დადიოდა, წყვილი ბიჭის მამა, ფრთებშესხმული დაფრინავდა.

ნათქვამია ბედნიერება ცვდებაო და მერაბის მანქანაც გაცვდა, ტვირთს ვეღარ იტევდა და მერაბმა

და რამაზმა ახალი მანქანა აახარიხეს; თანამედროვე ტექნიკის საუკეთესო ნიმუში იყო ახალი ნაწილებით განახლებული მანქანა - სატვირთო...

უხაროდა ნანას მეულლის სიხარული და ღმერთს მის გვერდით თანადგომას ეაჯებოდა.

- ლირდა წვალებად, ჩემო რამაზ, - მხარი გაკ-კრა მერაბმა მეგობარს - ორ წელინადს მხოლოდ საპოხ-საწვავს მოგვთხოვს, ჩვენი მარჩენალი...

- ასე მგონია ჩვენი მანქანის ფასი მსოფლიოში არ მოიძებნება. გაიცინა რამაზმა.

- უფრო შორს ნუ წახვალ ოცნებებით და არ დავეძებ - ლამაზი კბილები გამოაჩინა მერაბმა.

- როგორ თუ შორს? მე ხვალინდელ, ზეგინდელ და უფრო შორეულ დღეებსაცა ვჭვრეტი...

- მომავლის განჭვრეტა კარგია, მაგრამ მე სხვა სიშორეზე ვამბობ, შენ ალბათ, ჩვენი შეკონიშებული მანქანა ამერიკულ “სტუდაბეკერზე” უკეთესი გვონია...

- ეს რა გამოჩერიე მერაბ? მე არც ამერიკელების მანქანებს ვადარებ და არც ჩინელებისას, ჩვენს მანქანას, ჩვენი ქალაქის ქუჩებში მოსიარულე მანქანების “მეფედ” ვაცხადებ და ასეც იქნება...

- საზიდო ტვირთა არ დაელიოს, ჩვენს პირმშოს და სხვას გზადაგზა გამოახენს, ჩემო რამაზ, ახლა წავიდეთ ჩემთან და გემრიელი პური ვჭამოთ, ჩემს სა-თაყვანო ნანას მზად ექნება სუფრა...

- შენთან რად? ჩემთან! - არ დანებდა რამაზი - დედაჩემს ყველაფერი მზად ექნება.

ასე ვერ მოვრიგდებით, წილი ვყაროთ - მერაბმა ხის ქერქის ნახეხი მუქაში მოიქცია - ვისაც თავი-სუფალი ხელი შეხვდება, მასთან წავიდეთ.

- რატომ, ვისაც თავისუფალი ხელი შეხვდება მასთან არ წავალთ - წარბები აჭიმია რამაზმა.

მერაბმა ორი მომუქული ხელი გაუწოდა ძმა-კაცს და განაცხადა - ეგრე იყოს, როგორც სთქვი.

არ შეხვდა “სავსე” ხელი რამაზს, მეორე ხელი მერაბმა ოდნავ გამალა და გადმოატრიალა...

მერაბთან მოდიოდნენ და რამაზი ემუქრებოდა ძმაკაცს.

- მაინც წაგიყვან, ხვალ ზეგ, მაზეგ... პურ-მარილს არ დავაძებელებთ.

მეგობრები მიუსხდნენ ნანას გაშლილ უხე სუფ-რას და სიცილსა და სადლეგრძელებში დრო შემოე-ლიათ და სასმელიც მოეკიდათ, შრომით დაღლილებს ბახუსი დაეპატრონა...

- ბიჭოს, რა დრო გასულა?! დედაჩემი იდარ-დებს...

- დაურეკე, ისინიც ჩვენსა მოვიდნენ, ზაფხულის დღეც გრძელია და ლამეც თბილია...

- რადაო - ქორწილი კი არა გვაქვს - გაიკირვა რამაზმა - ადრე კი გავიხსენე ჩემიანები, აი..

შუალამე გადასული იყო, მერაბმა რამაზი რომ ქუჩაში გამოაცილა, მერე ბორძიერი შეჩერდა, მეგო-ბარს მხრებზე ჩამოადი ხელები და დამარცვლა:

- ჩვენ ხომ ძმები ვართ რამაზ, მარტო საქმის ძმები კი არა, გულისმიერი ძმები და შენთან დამალუ-ლი სულ პატარა რაიმეც, გულს ლოდად აწვება ...

- და არც არაფერი გვაქვს ერთურთისგან გადა-მალული, არაფერი დამიმალო, თორემ გავწყვები..

- ამიტომ მინდა ფარდა ავხადო ჩემს ტყუილს და ნინასნარ გთხოვ არ გამიწყრ, გული არ აიყარო ბიჭო, ჩემზე, ეს ტყუილი ჩემდაუნებურად მომივიდა...

რამაზი შეფხიზლდა, თვალი გადაავლო წარ-სულს, საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინა, მერე თვალებში ჩამატყდა მოსაუბრეს და ძლივს ამოღერდა:

- ისეთი რა ჩაიდინე, რომ აღიარება გიჭირს?

თქვი, ნუ დამტანჯე...

- არ გამიბრაზდება? ძმობას და მეგობრობას არ დამამადლი? მაპატიებ ჩადენილს?!

- თქვი, თუ კაცი ხარ! ან შენ რად იტანჯები და ან მე რადა მტანჯავ...

- ვთქოო?

- თქვი!

- მაპატიებ?

- გაჩინია, რას - უკან დასახევი დაიტოვა რა-მაზმა.

- ნილისყრის დროს ორთავე ხელში მეჭირა ხის ქერქი... აივანზე გადმომდგარ ცოლს შეხედა რამაზმა, მერე რამაზი ჩახედა თვალებში და დააბოლოვა - ისე ძალუმად მინდოდა პირველი სამაღლარიჩო ჩემს სახ-ლში შესმულიყო, შენი ამორჩეული ხელიდან ქერქი გავაგდე და... მოგატყუე, ჩემო ლხინისა და ჭირის ძმათ... არ გეწყინოს, ბიჭო, ხვალ, ზეგ შენთან ვიპურ-მარილოთ...

მერაბი განაჩენს ელოდა მეგობრისგან... ღვინო აორთქლებულიყო, აღარ ტორტმანობდა.

რამაზს თვალები უცინოდა, შუბლს ძალით იყ-რავდა. დღეს უკეთ მიხვდა მერაბის გულის სიკეთის ამბავს და სიამაყე და სიყვარული ერთად მოეძალა, ფასდაუდებელი ძმაკაცისა, ნიკაპი აანევინა, თვალებ-ში ჩაპხედა და უეცრად ზარივით ხარხარი მოასკდა ბაგეს და ლამას სიწყნარებში დედო-ზარივით დაიქუსა. მერაბმაც ბანი მისცა...

ხარხარებდა ორი მთვრალი ვაჟყაცი, შუაგზაზე მდგარი, გამვლელნი თვალს შეავლებდნენ მოხარხარე ვაჟყაცებს, გაილიმებდნენ და გზას ვარდივით გაშლი-ლი სახით გააგრძელებდნენ. ისინი კი ხარხარებდნენ, შეჩერდებოდნენ და ისევ ახარხარდებოდნენ. მერე უეცრად დაწყნარდნენ.

- მაგაზე მეტი ტყუილისთვის არ გაგვემეტები-ოს ერთმანეთი, ძმაო, ეგ ტყუილი კი არა, მიპატიუება-ში ჯობნებაა. მაგაზე ვერ გავწყრები, მაგრამ იმაზე კი გავპრაზდები, შენ რომ თქვი... “ასე მგონია მეტს ვე-ლარ მოვესნრებიო” ... შენ იპტიმისტი ხარ და მეც იმე-დიო მავსებ, პესიმისტი არ გეეადრება, ჩემო მე-რაბ... მომავლის იმედი და სიყვარულ-სიცოცხლის სურვილი გაუტეხელი უნდა ატარო, გულს ნურც მე გამიტებ და ნურც შენ გაიტეს, უადგილო პესიმიზ-მით... ახლა წავედი, დედა მელოდება.

ვიდრე მერაბი გარეთ იყო, ნანამ საქმეს გული ვერ დაუდო, როცა მეუღლე ლოგინში დაიგულა, ღი-ლინით შეუდგა საქმეს და ისე დაათენდა, წვეთი არ დაუძინია.

- ასე ადრე რატომ ადექი, სიხარულო? სად გე-ძინა ჩემთან რომ არ ინექი?

- სუფრა მივაწყე, სახლი დავასუფთავე, ბავშვე-ბის ტანსაცმელი ამოვრეცხე და დილამ მშვიდობა შე-მომძახა ღია ფანჯრიდან, დანოლა აღარ ღირდა, ჩემო მერაბ...

- დახარჯული ენერგია ძილმა უნდა აღგიდგი-ნოს, ჩემო მშვიდიერო, ასე უაზროდ გახარჯული დრო გვიან გამოაჩინს თავის...

- ჩემი ქმარ-შეილის კარგად ყოფნით ენერგიას ვერაფერი ვერ გამომილებს.

მერაბმა ღიმილით ჩაიკრა მკერდში, მერე კა-რისკენ გაიყოლია, გასვლისას მეუღლეს თბილად ეა-ბორა და გზას იმედიანად დაადგა... ბედნიერ ოჯახი-დან გამოყოლილი სითბო ულევად მიჰყვებოდა მე-რაბს და უიმედობას ვერაფერი დაუმკვიდრებდა გულში...

საქართველოს ეკონომიურმა სიდუხტირემ საბარათო სისტემა დააკანონა სურსათზე. სურსათი განსაზღვრული რაოდენობით შემოდიოდა. კარაქის დეფიციტი ბატონობდა, მაგრამ ტალონებზე მაინც რიგდებოდა...

მერაბსა და რამაზს საკეთის საწყობის გამგემ ტვირთას - კარაქის ჩამოტანა დაუკეთეთა. ბიჭებს საქმე სურდათ და უარი არ ეგებოდა... გახარებულმა მეგობრებმა შუალამებდე ისაუბრეს, მაგრამ მერაბს უცნაური ფორიაქი გულს უმძიმებდა. სახლში მისულმა ცოლშევილს ლიმილით გადავალო თვალი. მძინარე შევილები დაკოცნა, ცოლს მიეფერა და ისე თქვა "თამაზიმ და მე ვივახშეთო" ნანას აღარაფერი უთქვამს. ლოგინში ჩანოლიდ მერაბს ისეთი უეცარი ძილი დაბანვა, ნანას დანოლა არ გაუგია და დილით გაუჭირდა თვალის გახელა, მაგრამ პირველ დიდ საქმეს არ ელალატებოდა...

საჭესთან მჯდარ მერაბს ნუთით არ შეუწყეტისა საუბარი, იცინოდა, გზას აკვირდებოდა და სამომავლო გეგმებს აწყობდა, მაგრამ უსახურ მელანქოლიას ვერა და ვერ იშორებდა.

ჩავიდნენ.

მეორე მანქანაც ბაზაში დაუხვდათ...  
დაიტვირთნენ.

პურა გავტეხოთ ბიჭებო, კუჭი გაფიცეას მიწყობს უკვე - თქვა რომანმა და პირველმა შეაბიჯა სასაფილოში... მებუფეტეს სამი ხუთვარს სევლავინი კონიაკი გამოართვა, ორი მერაბსა და ორაში მიაწოდა - თქვენ ვიცი არ დალევთ, ოჯახებში გასინჯეთ მისი სიძლიერე, ერთს კი მე და დათონ დავლევთ...

- მე შერაბთან დავჯდები, დავით - უთხრა სასადილოდან გამოსულმა რომანმა - შენ მეორე მანქანა გებაროს. არ მიწყონ, გთხოვ - მიყვარს მაგნიტოფონი და მუსიკას მოვუსმენ.

- რა საწყენია, მანქანაა ისიც - გაიცინა დათომ და ლიმილით ჩაჯდა ზილის კაბინაში.

რომანის უკეთოლშებილესი და პატივისმცემელი გული ყველას სიყვარულს იტევდა... ბიჭებს გაუხარდათ დამკევეთის თავისთან ჩაჯდომა და ხალისიანად დაადგნენ გზას...

ნანამ მეუღლე გააცილა, გადვიძებული შვილები დააპურა, მერე ვარდისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი დივანზე მოკალათდა, წიგნი გადაშალა, მაგრამ კითხვას გული ვერ დაუდო, გულს რალაც ეფიქრებოდა, რალაცაზე ნუხდა და რალაც ალიზიანებდა. გულის ერთ კუნძულში გაუმჭვირვალი ჯანი იდგა და ხელს უშლიდა უცნაური მომავლის დანახვას, რაც ტკივილანი, უსურველი და უცნაურის მომლოდინე უფრო იყო, ვიდრე სიხარულისა და ხელს უშლიდა სიხარულის ფეხების აფოფნებას.

ნანამ თავის გაქნევით მოიშორა მოჯარული ფიქრები და აჭინჭყლებულ ჰატარას მიხედა.

- მამიკო მინდა - ატირდა მიშიკო.

- მეც მიდა მამა, მაგრამ არ ვტირი - დიდი კაცივით შეკრა კოპები შოთამ - სადაცაა მოვა მამიკო, მე თვითმავალ გემს მომიტანს შენ კი...

- ფიფლილას! - დაასწრო მიშიკო

- ჰო, თვითმფრინავს მოგიტანს - დაეთანხმა ძმა.

შვილების სიყვარული დარდს უნელებდა ნანას, ქმრის მოლოდინს უვსებდა, მაგრამ შიგნეულის ტკივილ-კვნებას ვერ უნელებდა და გაფიცხებული ტუჩებით ჩურჩულებდა: გული და სული ჩაატანეს მანქანის ფეხზე დადგომას, გვერდით ედექი, მაცხოვარი ჩვენო, მშვიდობა და მომავლის სიხარული არ დაგვილიო თვალის ფეხით...

დრო შეჩერდა, გაიყინა, მზეს მცხუნვარება და-აკლდა, ნანას ხელიდან გაუსხლტა მოთმინების გორგლის წვერი, საქმეს გული ვერ დაუდო, უცნაური ლოდინის უფერული ფარდა ეფარა ყველაფერს, საგნებს აზრი დაკარგვოდა და მხოლოდ მერაბის სახე იდგა გონების ცენტრშიც, ხედვის არეშიც, გულის კარებშიც, ფიქრის გზაზეც თუ ფიქრის გორგალის თავშიც და ყველა და ყველაფერი მისი მეუღლით იწყებოდა, მისით ცოცხლობდა და მისით მთავრდებოდა...

უკვირდა ნანას დღის გაძალება-გაძვალტყავება, უმიზნობა და მიზეზიანობა, მაგრამ დასკვნა ვერ გამოეტანა, მისი მთავარი აზრისთვის ვერ მიეგნო და უცნაურად აძიგიბებულ გულს ვერ იოკებდა...

მზე კრეფდა მცხუნვარე სხივებს და სალამის სიგრილე იჭერდა სიცხის ადგილს. ნანამ ინსტინქტურად ჩართო ტელევიზორი და დიქტორის ხმა შორეთიდან მოესმა

- სამგზავრო ავტობუსი დაეჯახა დატერიტულ ავტომანქანას და მასში მსხდომი მძლოლი და ორი თანამგზავრი ადგილზევე დაილუპჩინენ...

ტელევიზორი გამორთო ნანამ და უბედურების სიმცხუნვარეს იმედიანი ფიქრი შეუნაცვლა:

- ჩემები ირნი არიან - გაიმარჯვა ადამიანურმა ეგოიზმმა - ღმერთო ჩემო, ჩემი არ იყოს, ორონდ ჩემი არა...

აივანზე უმიზნოდ გაეხეტა, ეზოში შეკრებილი ხალხის დანახვამ შავი ტალღა მოახალა გულს, რამზისა და მერაბის თანატოლთა კამაომა თვალი დაუბინდა, მათა ამოხედვაში უბედურების სიშავე დაინახა, სიცივემ კბილები აუკანებანა. ბავშვებთან შებრუნდა, მათმა ტიტინმა გული აპოვნინა... სახლში მეზობლები შემოლაგდნენ, ჩამოსხდნენ. დაღამებულიყო, ნანას ფიქრიც გაშვებულ-გამძაფრებულიყო, გონებას შავი ნისლი დასწოლოდა და ხმის გაღების ილაჯი ნაერთმია მისთვის, ძალაც გაეყოლებია, დიდრონი ჭრელი თვალები შეუცნობელი ნალვლის მწარე ცრემლით აღვსებოდა, მაგრამ ხმამალდა განცხადებამდე იმედს ებლაუჭებოდა და არ ნებდებოდა მოვარდნილ წევარამს და კბილებდაკრეჭილ ხარხარს გამარჯვებულ სიკვდილისას...

ხელოვნურად გამოძერნილი იმედის იმედად დარჩენას არ ანგებდა მომხდარი უბედურება და რაც ბედნიერების სახელით არასოდეს მოინათლებოდა, იმას აძალებდა.

ოთახში დედამთილ-მამამთილი და მული შემოვიდნენ, უსიტყვილ გადაკოცნეს რძალი და კუთხეს მიეყუდნენ. კარებში მალალი, მალალშუბლიანი, არწივისთვალებიანი ვაჟი შემოჩნდა. ნანას ქორწინების დღე დაუდგა თვალწინ; შემოსულმა მხარბეჭიანმა ვიორგიმ ხელგაშლით შემოუარა წრე, მუსიკისა და ტაშის გრიალში და მიწოდებული თასი ღვინო გამოსცალა. მერე ნანა, მისი ნალვლიანი თვალებისა და შეკრული შებლის დანახვამ მეცხრე ციდან მინას დაანაცხა, მაგრამ იმედი სიცოცხლისა და გვერდის მინიჭებული წინილასავით ღინდილებდა, მანამდე, ვიდრე მოსულმა ნალვლიანად არ ამოღერდა:

- ჩემო დაო, გაძლება უნდა თავსდატეხილ უბედურებას, ვერაფერს იზამ, უნდა შეეგულ, მერაბი ავარიაში დაილუპბა. - და ოჯახში შევილების მამა შემოასვენეს, დედის კივილმა გაყიდებული გაყიდებული ტუჩებით ჩურჩულებდა: გული და სული ჩაატანეს მანქანის ფეხზე დადგომას, გვერდით ედექი, მაცხოვარი ჩვენო, მშვიდობა და მომავლის სიხარული წინილასავით ღინდილებდა, მანამდე, ვიდრე მოსულმა ნალვლიანად არ ამოღერდა:

- ჩემო დაო, გაძლება უნდა თავსდატეხილ უბედურებას, ვერაფერს იზამ, უნდა შეეგულ, მერაბი ავარიაში დაილუპბა. - და ოჯახში შევილების მამა შემოასვენეს, დედის კივილმა გაყიდებული გაყიდებული ტუჩებით ჩურჩულებდა: გული და სული ჩაატანეს მანქანის ფეხზე დადგომას, გვერდით ედექი, მაცხოვარი ჩვენო, მშვიდობა და მომავლის სიხარული წინილასავით ღინდილებდა, მანამდე, ვიდრე მოსულმა ნალვლიანად არ ამოღერდა:

- მინამც? - იკითხა მიშიკომ.

- მამიკო – ატირდა შოთა – მამი, ჩვენ გელოდით მამიკო...

- მოაშორეთ ბავშვები აქაურობას – დაიძახა სანშიშესულმა მამაკაცმა და ბავშვები ოთახიდან გაიყვანეს.

ნანა საწოლში დააწვინეს, ნიშადურმა გონზე მოიყვანა, ისევ მეუღლესთან მივიდა, მკერდში ჩაეკრა და გაყუჩდა, სუნთქვაც განუდგა...

- მოაშორეთ მკვდარს, ცოდვაა – თქვა ვიღაცამ.

- აცალეთ იტიროს, ცრემლი გონებას გადაუწმენდს, ფიქრის უნარს აღუდგენს, გულს ჭვანგს მოაშორებს – თქვა ხანდაზმულმა ქალმა – ქმარდაკარგულ ქალს სხვა რა საქმე აქვს? მერე ცხოვრება აჩვენებს თავის გზასა და ადგილს, გაიკვალება ახალი ბილიკი და გაუყვება ნანაც იმ გზით, სადაც ორთავეს ერთად უნდა ევლოთ...

- რა დროს ფილოსოფიაა? მოკვდება ქალიც – წამოდგა ახალგაზრდა ქვრივი – არავინ იცის, როგორ გზას მიაკუთვნებს ნანას ღმერთი, ორი შვილის დედას, სატირალს კი რა დაუღევს საყვარელი მეუღლის დამკარგავს – წამოაყენა და იყვირა – მომეხმარეთ ხალხო, მომკვდარა ქალი!

ძნელი იყო გონსგაყრილი ქალის აყვანა და ოთხმა ადამიანმა მიიტანეს საწოლთან. გონს ძლიერს მოიყვანეს, მაგრამ გამკრთალი სახის ფერი არ იძლეოდა მისი მალე წამოდგომის დასტურს...

მერაბის დედას ჩამოფხოვნილ ლოკებზე სისხლი ჩამოსდიოდა და თმას იგლეჯდა, მამა შეიოს კაცურად ტიროდა და მკერდში ჩაკრული კაცურად ება-ასებოდა.

ნანა უგონო თვალებით იცეკირებოდა...

- ბავშვები, ბავშვები მიუყვანეთ – შეახსენა ვიღაცამ – მათი სიახლოვე ამ ქვეყნისკენ მოაბრუნებს.

ბავშვები ტიტინით მისცვივდნენ დედას.

- დედა, დედიკო ლატომ წევხალ? – ატიტინდა მიშიკო

ნანას თვალებიდან ბინდი გადაეცალა, შვილებს მიეფერა, ამოოხვრას ამოაყოლა – სისუსტე. გაუსაძლისობა, უბედობის ბალდამი და მოვარდნილი უბედურების ზვავის სიმძიმე. დედას ორი შვილისას, უფლება არ ჰქონდა, ქმართან ერთად მომავალიც დაესამარებია და ლამის სიბნელეს გადაულოცა, წკვარამში გადასაშვებად, გაუსაძლისობა.

1995 წ. ოქტომბერი

## რაფიელ გელანტია

თბილისი, 31 დეკემბერი, 2011 წ.

### ანები ანება

სექტემბრის დასაწყისში ჩვენი მეზობელი ანა ოჩამჩირის რაიონში გაემგზავრა. მოქვიდან შემოუთვლიათ, თქვენს ახლობლებში გაუგონარი უბედურება დატრიალდა და თუ შეძლებთ, ჩამოდითო.

ანა ომისშემდგომ არ ყოფილა მოქვში. მიხვდა, რაღაც ისეთი მოხდა, რაც ომის დროსაც არ ყოფილა, ორი თვის შემწეობა აილო და აფხაზეთში წავიდა.

მოქვის თემში რამდენიმე თვე დარჩა. ახლობელი აფხაზების ოჯახებში ათევდა ლამეს, მოგვიანებით დედულებში, ქართული ჯალისა და აფხაზური ჯალაფსუას გასაყარზე მდებარე მშობლიურ სახლში გადავიდა. იქაურთა დახმარებით გავერანებულ ეზოკარს მიხედა და გაპარტახებული სახლიც მოაწესრიგა.

ანას დაბრუნებამდე ყურმოკვრით ვიცოდით მოქვის ამბები, მაგრამ ახალგაზრდა ცოლ-ქმრის თავზარდამცემმა დასასრულმა გაგვაოცა, მეზობლები შევიკრიბეთ და ანას ოჯახში მივედით. ანა ძაძებით იყო შემოსილი.

მალევე გავარკვეით; ახალგაზრდა რუსლან გაბლიას თავი ჩამოუხრჩია, მისი სასოწარკვეთილი მეუღლე კი მდინარეში გადამხტარა.

სიკვდილის სეზონის აფხაზეთში და ეს არავის უკვირს, მაგრამ ამ სიკვდილით სხვა რამ მოკვდაო აფხაზეთში, ამბობენო აფხაზები, -განმარტა ანამ და სახელდახელოდ გაშლილ ჭირის სუფრასთან კაცები მიინვია. წესი წესია და ჩვენც შევუდექით წესის აღსრულებას.

ცნობისმოყვარეებს რა გამოლევს ჩვენიანებში და ანაც სულმოუთქმებოდა გვიყვებოდა იქაურ ამბებს.

ოდესლაც დიდებული და სინმინდით მოსილი ისტორიული მოქვი, ისევე, როგორც ამჟამად მრავალი სოფელი აფხაზეთში, უკაცრიელია, მოსახლეობა გავიდა სოფლიდან და უამრავი ეზო-კარი უპატრო-

ნოა, დანგრეულია გზები და ხიდები, საცოდავად გამოიყურება თემის ცენტრი, სკოლა და საავადმყოფო. სოფელი მოხუცების შერჩათ, რომელთა უმეტესობა გაბლიათ. როგორც იქაურები ვარაუდობენ, მოქვის ოთხივე სოფლის მიწებს გაბლიებმა დაადგესო თვალი. მათ მოის შემდგომ გახსნებიათ, რომ ოდესლაც ამასთები და აშნაუმები ყოფილან და სოფლის მიწები იმპერატორის სიგელით მიუღიათ საკუთრებაში. მერე ეს მიწები კომუნისტებს წაურთმევია და აქვე უკანონოდ ჩასახლებული ლარიბი ქართველი და აფხაზი იჯახებისთვის დაურიგებიათ. გაბლიებს მიაჩინათ, რომ მათმა საგვარეულომ სხვებზე მეტი სისხლი გაიღო აფხაზეთის ომში, რადგან ყველაზე თავგანწირვით იბრძოლეს სამშობლოსა და საკუთარი მიწების გადასარჩენად. ანას აზრით, გაბლიები ვერ იტანენ თანასოფლელ ანჟებს, ვინაიდან მათი უმეტესობა დარჩა სოფელში და საკუთარ ეზო-კარს უვლის, თანაც ეეჭვობათ, რომ მათ დღემდე ვერ გაურკვევიათ აგირებიდან მოდიან თუ ნალდი აფხაზებიდან.

ბიჭის თვითმეტვლელობისა და ჟანის დაბუბნისა წვრილმანებზე იკითხა ვიღაცამ. ანამ იყუჩა, სათითაოდ შემოგვხედა და თქვა: ამ საკითხზე იქ არავინ საუპრობს, ხომ იცით, აფხაზეთია მაინც, თუმცა იქაც არიან გრძელებებიანი და დიდურებებიანი დედაკაცები, რომლებმაც ყოველთვის იციან ყველაფერი, მით უფრო, რომ, როგორც ამბობენ, თვითმეტვლელობის ფაქტებზე წინასწარი მოკვლევა; ასეა თუ ისე, ახალგაზრდებს ისე უყვარდათ ერთმანეთი თურმე, რომ დაცილებას სიკვდილი არჩიესო.

ასე სად ხდება ახლა, ეს მორიგი აფხაზური ზღაპარია, თქვა ვიღაცამ და ამით ქალბატონ ანასთან კაცების სასაუბრო ამოინურა.

ოთახის კუთხეში მიცვალებულებისთვის პატარა კუთხე იყო განყობილი, მაგიდაზე ძველი და ახალი მიცვალებულების ფოტოსურათები, სასმელები

და კერძები ეწყო, უზარმაზარი კანდელი იწვოდა. კედლიდან მშვენიერი ახალგაზრდა წყვილი გვიღიმოდა.

ჩვენ დიდხანს შევრჩით სუფრას, მეზობელმა ქალებმა კი ანა სხვა ოთახში გაიყვანეს და მანამ არ გამოუშვეს, სანამ ქალური ცნობისმყვარეობა სრულად არ დაიკამაყოფილეს.

\* \* \*

რუსლანს მამა, აფხაზეთის ომის გმირი, ლანდივით ახსოვს. იგი მამაცი აფხაზი მეომარი ყოფილა, ტამიშის პრძოლებში დაღუპულა. რუსლანი, თავისი სახელოვანი მამის გამო, ყოველთვის და ყველგან გრძნობდა პატივისცემას და მოწინებას, მით უფრო, როცა ომზე ჩამოვარდება საუბარი. მას ყოველი წლის 30 სექტემბერს ათავად ბებიასთან ერთად იწვევენ გამარჯვების აღლუმზე და მთავრობის გვერდით გამოუყოფენ ადგილებს.

თოხოდვე წლის რუსლანი, დედამისმა, ნაცნობი ქართველების დახმარებით სოხუმში, ბებიასთან გადაიყვანა, თვითონ კი, აფხაზთა ომის წესების გამო, აფხაზ ქალთა ლაშქარში დაბრუნებულა.

რუსლანის ბებია საიდა, ცნობილი ქალია აფხაზეთში, რომელიც თავისთავს ათავადებს აკუთვნებს, თუმცა თავის დროზე აშნაყმა გაბლიაზე ყოფილა გათხოვილი. აფხაზ ბებიას, რომელიც თურმე დიდხანს მუშაობდა აფხაზეთის ხელისუფლებაში და სოხუმის ცენტრში სამოთახინი ბინა აქვს, მის დროს ქალაქში დარჩენილა, რადგან ახალგაზრდობის წლებიდან უბატონიდ არავინ მოიხსენიებდა მას და უკადრისა არც მის დროსაც აკადრებდა ვინმე.

კოშმარები არ ასვენებდა ბებოს და აუზდა კიდევაც-მისი რძალი, რუსლანის დედა, ნაღმზე აფეთქდა ლაპრას მისადგომებთან და სისხლისგან დაიცალა.

რუსლანი დედაქალაქში გაიზარდა, აფხაზეთის უნივერსიტეტი დაამთავრა. ლამაზი, მაღალი, ახოვანი, სიტყვაძუნი და მეტად ნიჭიერი აფხაზი ახალგაზრდა, გაცვლითი პროგრამით ოქსფორდისა და პარვარდის უნივერსიტეტებში გაუგზავნიათ. რუსლანს მთავრობაშიც იწვევდნენ როგორც ექსპერტს და კავკასიისა და აფხაზეთის ეთნოგრაფიისა და ისტორიის საკითხებში, ხანდახან თარჯიმინად ახლდა მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტის მონესრიგებასთან დაკავშირებით სოხუმში ჩასულ დელეგაციებს.

ახალი თაობის პატიოსანი, მომზიბულები და განათლებული აფხაზი ყმანვილი ქალაქის მრავალ გამორჩეული და შეძლებულა აფხაზური ოჯახის ოცნების სასიძოდ ითვლებოდა, მაგრამ რუსლანი თანასოფლელ და თანაკურსელ ულამაზეს ანუ ანუ ას ეტრფოდა, რომელსაც აფხაზთა წესით, უცხო თვალისგან მოშორებით, არდადეგებზე თუ უქმე დღეებში აცილებდა მოქვში და დაბრუნებულზე ოჩამჩირის ავტოსადგურში ელოდებოდა.

ყველასაგან ყველაფრით გამორჩეული იყო ანუ, -არავის ჰექონდა უანასავით ელვარე თმა, ზღვისფერი თვალები, ყირმიზი ყელი, მაღალი ფეხები, თეთრი კანი და ნორჩი ქალის ვნებისმომგრელი სურნელი. ეს იყო, რომ ანუ გაეროს ყველა კონკურსში იმარჯვებდა, მაგრამ გასაუბრების ეტაპზე რატომ-ლაც ფერხდებოდა და უცხოეთში გასაგზავნთა შორის ვერ ხვდებოდა. თბილისში კი სამჯერ მოხვდა და ბევრი თანატოლი შეიძინა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რუსლანმა აფხაზეთის მთავრობაში დაიწყო მუშაობა, ანუ კი მშობლიურ ჯალში დაბრუნდა და მოქვის ძველ და დიდ სკოლაში, რომელსაც რამდენიმე ბავშვი ჯერ

კიდევ შემორჩენოდა, რამდენიმე საგნის მასწავლებლად დაინიშნა.

შარშან, აპრილის დასაწყისში, გვარში უხუცეს-მა ხუხუტ გაბლიამ უხუცესთა სახელით სოფლის ყრილობა მოიწვია. რუსლანიც მიიწვიეს, როგორც სახელოვანი დედ-მამის შვილი, მთავრობის კაცი და გაბლიაების გვარის იმედი. ბევრ საჭირობოროტო საკითხზე იმსჯელეს, მათ შორის უპატრონო მიწებისა ქონების განაწილებაზე და ყრილობის სახელით მოთხოვნა გაუგზავნეს მთავრობას.

შეკრების შემდეგ გამართულ სუფრაზე, ხუხუტ გაბლია, ახლა როგორც თამადა, გამორჩეული პატივით მოეფერა რუსლანს, დიდხანს ისაუბრა მის მშობლების მამაცობაზე, გაბლიების სისხლის საწმინდესა და ლირსებაზე. მერე შეჩერდა, მიმოიხედა, რითაც დამსწრეთა ყურადღება მიიპყრო და რუსლანს ოჯახის შექმნა ურჩია, მაღალი წარმომავლობის აფხაზი ქალის შერთვა და მოქეში მამაბაჟური კერის გაჩალება, თანაც ისე, რომ დედაქალაქშიც დარჩენილიყო. ბევრი გაბლია კარგად იცნობდა ბატონ ხუხუტის ხასიათს, რომელიც უანგარიშოდ სიტყვას არ გაიმეტებდა, ამიტომაც არ გაკვირვებიათ, როცა, იგი ადგა, რუსლანს ბეჭზე დაადო ხელი და ჩურჩულით უთხრა, -აქ ბევრი უპატრონო მინა და სახლია, გეკუთვნის, მოითხოვე, შეიერთე, უპატრონე, მინა, დამიჯერე, ადამის დროდან არის ყველაზე დიდი განძი და ასეთად დარჩება მომავალშით. რაც შეეხება საკომინი წიგნი გაფორმებას, ამას ჩვენ მივხედავთ, მაგაზე შენ არ იდარდო, როგორ წესია, იმგვარად მოგვარდება.

მოწონა ნათქვამი რუსლანს, მოიხიბლა უფროსების რჩევით და დაუფიქრებლად მიიღო გვარის წინადადება, იმ იმედით და რწმენით, რომ მალე ანუიზე დაქორწინდებოდა, ახალგაზრდები სოხუმში დარჩენენ, მის ეზო-კარს კი ანუ ის ხუთი ძმიდან რომელიმე მოუვლიდა.

მაისის ბოლოსთვის ანუ და რუსლანი დაქორწინდენ, ქორწილი სოხუმში გადაიხადეს, ბებია გაუძღვა ამ საქმეს. ქორწილის სუფრას ლამის აფხაზეთის მთელი მთავრობა ესწრებოდა.

გადაირივნენ უხუცესი გაბლიები, აფხაზური ტრადიციისა და წესის მიხედვით შეურაცხოფად მიიღეს რუსლან გაბლიას შეუღლება მდაბიო, ატვი წარმომავლობის ანუ ანუაზე, მით უფრო, გვარის უფროსის თანხმობის გარეშე. მომხდარი სირცხვილად, უთანასწორო სისხლთა ალრევად, ათასწლოვანი ადათის უპატიყებლ ცოდვად ჩაუთვალეს რუსლანს, თუმცა ამაზე ხმამალა არავისთან უთქვამთ.

რამდენიმე დღეში რუსლანი მოქვში დაიბარეს და ხმა არ ამოაღებნეს და განაჩენი გამოუტანეს, -ორი კვირის თავზე ანუისთან გაყრა დაუდგინეს.

რუსლანი გაოგნებული და დამცირებული დაბრუნდა სოხუმში, მაგრამ უხუცესი წათესავების მოთხოვნა ანუს არ გაუმსილა-შეცეცდა უმანკო, უცოდველი ანგელოზი, რომლის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოედგინა. იმ დღეებში ათავადი ავადობდა და მასაც მოერიდა.

ცხრა დღის თავზე რუსლანი სამსახურის მეგობართა ერთად ჩავიდა მოქვში, მარჯვენა ხელის სამი თითო ერთმანეთს მიატყუპა, მაღლა ასწია, ოდნავ მოიხარა და უხუცეს გაბლიებს მშბზია უსურვა, თავაზიანად მოიკითხა და სასაუბრობოდ მოქვის ტაბარში გადასახლება ვეგო, რეზენტი და ფილი უნგებური ცოდვის სიტყვის ხატზე დაფიცება, მსჯავრის დადგენენა.

-რა ტაბარი, რისი ტაბარი, იქ ახლა მხოლოდ სოფლის თხები და ავაზაკები ათევენო ღამეს, ბრძანა

ხუსტ გაპლიამ, წამოდგა და სოფლის გამგებობის გაპარტახებულ შენობაში, გამგებლის ოთახში შეუძლება მოსულებს.

-რატომ გეშლება ყუმანვილო, -მიმართა ბატონმა სუხტ გაბლიამ რუსლანს.- რა დროს ეგეთებია, სხვა დროა ახლა, ქართის სატყუარაა მოქვის სიწმინდისა და პატიოსნების ზღაპრები. გეტყობათ, ეს ნასწავლი ხალხი, შენ და შენი ხასა, მისი ნაბუშარი ძმები და ახლობლები ძველებურად ვერ შელევიხართ ამდაგვარ სისულელებს, -დატუქსა ახალგაზრდები ბატონმა სუხტმა და სოფლის გამგებელმაც დაუკრა კვერი.

იყენა, თავის დაწყნარებას შეეცადა რუსლანი, - უფროსი უფროსია, მისი ნათქვამი-შესასმენი, რჩევა-მისაღები, გადაწყვეტილება-ეჭვშეუტანელი, გაახსენდა ათავადი ბებიას ათასჯერი შეეგონება და ბრაზის მოთვევას შეეცადა; მაღლა აიხედა, კედლისკენ დაიხია დაწყვეტარაში გაიხედა. მზეზე ვარდისაფრად ელვარებდა მოქვის ტაძარი მიმდებარე დიდ მწვანე ველზე, უჩვეულო შარვანდედი ადგა გუმბათზე. მზეს სრულად აევსო სოფლის ზურმუხტისფერი ვაკე და გორაკები. სამოთხე მეფობდა ორგვლივ. თვალში უსიამოვნობ მოხვდა ტაძრის გუმბათს ალაგ-ალაგ დაუსანგული სახურავი, რომელიც სისხლისფერ ენებად იკლაკნებოდნენ გუმბათის ქანობზე.

- მოქვის ლეთისმშობლის საკათედრო ტაძარი ააგო აფხაზთა მეუჯე ლეონ მესამე, იგი უბადლო თავის სიდიადით, არქიტექტურული გადაწყვეტის თავისთავადობით, გარე და შიდა ორიგინალობით, მე ასე მასწავლეს აქაურებმა, მოგვიანებით ვნახე წიგნებში... შეეპასუხა რუსლანი ბატონ ხუცუტის.

- რა კარგი ბიჭი იყო ბავშვობაში, ახლა კი, შესედე, ნამდვილი უზრდელი და სალახანაა, რამდენს ბედავს ეს ნაამერიკელი კატკაჭი,- საუბარში შეიჭრა მოქვის სკოლის ყოფილი დირექტორი და ახლა სოფ-ლის გამგებელი როდიონი.

- აკი გიოთხარი, სად გაგონილა ჩვენებური ათავა-  
დის გაზრდილი ბავშვი, უურჩიეთ გუდაუთაში ან სხვა-  
გან გაეგზავნა, ძიძა, გამზრდელი მოენახა მისთვის. არ  
დაგვიჯერა ათავადმა, მე თვითონო და აი, ნახე-, შეეხ-  
მიანა ბატონი ხუსუტი.

-თქვენ, ბატონი როდიონ, სწორედ თქვენ ას-  
ნავლიდით აქაურებს, რომ სწორედ ეს ტაძარია ყვე-  
ლაზე დიადი და სასწაულებრივი, რაც კი აფხების,  
აფშილების, აფსარების ხელით შექმნილა, თქვენგან-  
ვე გვსმენია, რომ მოქვი არის მოწმე და დასტური  
იმისა თუ როგორ შეიქმნა აფხაზთა დიდი ქვეყანა,  
რომელიც, შემდგომ... შენისა არ იყოს, ქართმა წაგ-  
ვართვა ლიხიდან ტუადფუსებდე, იქნებ იმის იქითაც,  
რომ უმადურმა ხალხმა მოგვპარა ისტორია, ტრადი-  
ცია, ანბანი, „ვეტხისტყაოსანი“ კი... .

-რატომ დაგავიწყათ თქვენვე ძველი ქადაგი, ბატონო როდიონ, არ გაჩერდა რუსლანი, რომ ამ ტაძრის აღმშენებელი სწორედ ის ლევანია, რომელიც ოდესალაც დიდ აფხაზეთის სამეფოს მპრძანებლობდა და ქართლის ერისთავად იჯდა, კახთა მეფეს ებრძოდა და თავის ვასალად აჟანია...

-გააჩუმეთ ეს ყვავის ბახალა, -სკამიდან წამონია ბატონმა ხუცურმა.

-არა, ვერ გამაჩუქუმებთ, იმიტომ, რომ მეც თქვენი სისხლისა ვარ, თქვენსავით ჯიუტი და ამპარტავანი, ფიცი და მარად მოღავე ყველასთან... ჯანდაბას ჩემი თავი, მხოლოდ უფალმა უწყის ვინ ვინაა, ახლა ჩვენი ნარსული, ანშეოდა მომავალი ყირაზეა, მაგრამ ვერსად გაექცევით იმას, რაც იყო, არც იმას, რომ ამავე ლევან მესამემ, დვთისმოშიშმა აფხაზმა კაცმა აღაშენა მოქვი და აძლილან ძალიან შორს გასაოჯარი კუ-

მურდო. ამ ტაძრებით იამაყებდა დიდი ფრანგი, უფრო დიდი გერმანელი თუ ძლევამოსილი ბრიტი...იამაყებდა ყველა, გარდა საკუთარი თავიდან გამოპარული პატარა ხალხებისა...

-ფუცხი ყმანვილია რუსლანი, შეცდა, დაშოშმინდა როდიონი და ბატონ ხუცუტს თვალი ჩაუკრა, - მიუშვი, იქაქანოს, გაერთოს ლანირაკიო...

-აქ, მოქვეში, შვიდასი წლის წინათ, მოქველი და-  
ნიელისა და უფრომის ხელით შეიქმნა მოქვის სახარე-  
ბა, ოქროს ფურცლებზე დაინტერა თოხთავი, მინია-  
ტურები-საკაცობრიო განძი, რომელიც ევროპელმა  
ფაშისტებმაც ვერ მოინტელეს და უვნებელი დაბრუნ-  
და სახლში. აქვე თავისი ფეხით მოსულა იერუსალი-  
მის პატრიარქი, აქვეა ათხაზეთის უკანასკნელი  
მთავრისა და შერვაშიძეთა საძვალე...

-არ ყოფილა მთლად ასე საქმე ჩემო რუსლან,-  
ხმას აუნია პატონმა რადიონმა, -როგორც გაირკვა,  
ჩენი ეკლესია-ტაძრები და მონასტრები მრავალი სა-  
უკუნეა ქართის ტროას ცხენია მარად თავისუფალი  
აფხაზი კაცის საბატონოდ; არც ლეონ მესამე ყოფილა  
მთლად უმნიკვლო ამ საქმეში, იგიც დიდი იმპერიისა  
და გარე ბატონების სამასახურში მდგარა, რადგან მა-  
საც ახრჩობდა უგონო პატივმოყვარეობა...არ გამენი-  
ათ, ალბათ, რომ მეფემ თავისი ხელით მოუხსნა კიბე  
მოქვის აღმშენებელ აფხაზ ოსტატს და იგი მწყურვა-  
ლი მოაკეთინა ტაძრის სახურავზე, რათა ამაზე დიადი  
სხვა ტაძარი არ აეშენებონა. შენი აზრით, ესაა სალო-  
ცავი ადგილი და სინმინდე? რითაა ნაკლები ლიხნი,  
ბიჭვინთა, თურდაც ახალი ათონი. განა დაბრმავდი,  
დაყრუვდი, ვერ ხვდები რა მოხდა, რა ხდება და რას  
გვიპირებენ ეგ შენგან ქებული ცბიერი და მატყუარა,  
ლეონივით დაუნდობელი დასავლეთი და მათზე ყურ-  
მოჭრილად მინდობალი ენგურგალმელები...

-ეს რა მეტის ბატონონ როდიონ, თქვენ ამპიპთ  
ამას? -გადაირია რუსლანი, რადგან ბატვიშვილან სოფ-  
ლის სინდისად და ღირსებად მიაჩნდა იგი, თანაც ათა-  
ვად ძებიას ყველაზე ახლოსტელი ადამიანად, რომელიც  
ომის დროსაც კი ჩამოდიოდა სოხუმში და დიდხანს  
ბჭობდა ბებიასთან.

მაინც არ გაჩერდა რუსლანი.-არ ვარგა ასე, რა-  
ტომ გვართმევთ წარსულს მომავალ თაობებს, რაც არ  
უნდა თქვათ, ღვევანის შეილიშეილია ბაგრატი, აფხაზთა  
დიდი მეფე, რომელმაც აფხაზთა დასტურით და დინას-  
ტიათა შეთანხმებით შექმნა გაბრძყინებული ივერია. ამ  
დიდი აფხაზის თაოსნობით დაწყებული საქმისთვის და-  
იხოცა ათასობით და ათეულ ათასობით აფსილი თუ აფ-  
ხი რაინდო. რას გაძლევთ, რად გინდათ ეს? თუ ასეა, ვე-  
კიოხებით ბატონებო, რაღა დაგვირჩა ჩვენი ისტორიი-  
დან, ძველი ფესვებიდან, მატყუარა აჩრდილების სამე-  
ფოა აფხაზი თუ წმინდა სულთა ქვეყანა? - არაფერი შე-  
გვემალოთ ბატონებო, აფხაზეთის მთავრობაშიც არ ეყჭ-  
ვებათ უკვე, რომ ვინც ჩვენს ისტორიაზე ამოილებს  
ხმას თითის წვერებზე უნდა იაროს, რადგან პატარა  
ხალხების ისტორიის მკეთრებლი მექოთნეები ისე მოგ-  
ვაძამენ ყურებს, როგორც ჩათლიან საჭიროდ სხვა  
დროსა და სხვა ვითარებაში...

-საკმარისია, დავამთავროთ ამ ბავშვთან უზრო  
კამათი, გასაგებია, ეს ბიჭი წასულია ხელიდან, უზ-  
რდელი, უნესო და მეტისმეტად არუპაპია, ამისი გა-  
მოსწორება შეუძლებელია, თქვა ბატონჩა ხუცუტმა  
და განაჩენის გამოსატანად მოემზადა: მძიმედ წამოდ-  
გა, აფხაზური ყალმუხი გაისწორა, მარჯვენა ხელი  
წვერულვაშზე გადაისვა, ჭრისკენ აღაპყრო თვალე-  
ბი, ხელიბი და მშენიდად წარმოთქვა:

-შენ, რუსლან გაბლია, ჩვენი სისხლი და ხორცი  
ხარ, სახელოვანი ოჯახის შვილი, მაგრამ ყურად არ

ილე ჩვენი წესი და ადათი, განარისხე წინაპართა წმინდა სულები, სალოცავები და მდაბიო ქალთან სისხლის აღრევით უპატიებელ ცოდვაში ჩადექი, ამიტომაც დღეიდან შენ მოკვეთილი და გარიყული ხარ ჩვენი გვარიდან...

თქვა და დაჯდა. ასე იყო დიდხანს, მერე რბილად დაამატა-ზუ შეეცდები შუამავლების ძებნას, ათავადის ხალხის გამოგზავნას, ძუძუმტებისა და ახლობლების ძებნას. აი, კიდევ რა, შვილიშვილად მეკუთვნი და მეცოდები, თავს ნუ დაიღუპავ...არ იცი, ალბათ, რომ ანუები მდიდოგან აფხაზობენ, მაგრამ ახვაშალები, არიან, მათი ჯილაგივით ქვეშქვეშები და დაუნდობლები. გაფრთხილებ, ახალი ცოდვა არ დაიდო კისერზე და სისხლისღრ არ გაჩაღლოთ, უთქვენდაც უკვე აფხცა კვაშართა მთელი ქვეყანა...ბევრი ნაბიჭვარი ძმა ჰყავს შენს ხასას, მაგრამ ჩვენ არ დავანებებთ შენს თავს, თავადაც იციან,... რომ მათი სული ხუთი მტკაველია, ჩვენი კი თხუთმეტი... არა მგონია გაბედონ. თუ ასე მოხდა, იცი შენ, იარალი და ტყვია წამალი არ გვაკლია...

ცეცხლი მოეკიდა, ურუანტელმა დაუარა რუსანს, გულმეტრდი აეწვა.

-არა, არ გამოგივათ, არ იქნება ასე, -თქვენ ხალხის მიწებს არ ეღირსებით, აფხაზეთის მთავრობა საერთო ქონებას არ გაყიდის, უმიწო, უქონელ და უსაზღვრებო ქვეყანას მომავალი არა აქვს, ჩვენ კი უბატონო სახელმწიფო გვინდა, რომელიც არ იქნებიან მშერი, მწყურვალი, მათხოვარი მოქალაქები. შეეშვით ჩვენთან დარჩენილი ადამიანების დევნას, ისედაც ცოტანი ვართ, ავაზაკი და ნაძირალა მოგვიმრავლდა, მათი უღელი დღემდე ვერ მოვიცილეთ. გსმენიათ, ალბათ, თუ რა ხდება აფხაზეთს გარეთ, - თავისუფლების სახელით, სახელმწიფოები და ხალხები გაძარცვეს, მეტისმეტად გასულდნენ, ვერაფრით ვერ გაძლნენ და მონათმფლობელობა დაადგინეს, ზენობა გადააგდეს, ადამიანსა და ცხოველს შორის მიჯნა წაშალეს, ჩვენ კი ამას არ დავუშვებთ, ამისთვის არ გვიბრძოლია...

-მე ჯერ არ დამიმთავრებია, -გააწყვეტინა სიტყვა ბატონმა ხუხუტმა, კარგია, რომ შემახსენე-შევთხოვ ყოვლისშემძლე ანცვას, თუ გადაიფიქრებ და ჯიუტობას შეეშვები, გაბლიები არ მიგატოვებთ, უკანონო ქალის გაგდების გამო შენს თავს არავის დავანებებთ...

ბოლო ძალა მოიკრიფა რუსლანმა და თითქოს იქ არც არაფერი მომხდარო, თავაზიანად დახარა თავი და უფროსებს ბზიალა ვააბეიტი უსურვა, მერე კიდევ უფრო დახარა თავი და უნხაა ბზიასეიტით გამოემშვიდობა, ისე, როგორც ამას ათავადი ბებია აკეთებდა.

რუსლანი შუალამეს დაბრუნდა სოხუმში. ანუსი არ ეძინა, მაგრამ სკამიდან არ წამომდგარა, მაგიდაზე დაედო თავი და ტიროდა. რუსლანმა ჩევულებრივად აიყვანა ქალი ხელში, გახადა და გვერდით მიუწვა. სასწაული გამოდგა ის ღამე, გათენებამდე იალერსეს. დიდი ხანია ანუ და რუსლანის ერთი მთელი, ერთი ხორცი და ერთი სული გახდნენ...

ბევრი საქმე დახვდა რუსლანს სამსახურში და მოქვის ამბებზე ფიქრის დრო არ ჰქონდა. გვიანობამდე რჩებოდა ოფისში და შუალამე ბრუნდებოდა ბინაში. ერთხელ ათავადმა თავის საძინებელში მიიწვია რუსლანი და ჩურჩულით უთხრა, ახალი ცოლ-ქმარი ხართ, ზაფხულია, თაფლობის დრო გაქვთ, წადით სადმე, გაერთეთ, ცოდოა, მოიწყინა შენმა ქალბატონმა, დღედალამ იმ ყუთშია თავჩარგული, ნეტავ ვიცო-

დე, რა იპოვეთ იქ ასეთიო. დაფიქრდა რუსლანი, ათავადი ქალი უმიზუხოდ არ იმეტებდა დარიგებას.

სამსახურში ნელა გადიოდნენ დღეები, ანუს გვერდით კი უმალ გარბოდნენ ლამეები. ეს იყო, რომ სულ უფრო უსიტყვო ხდებოდა ანუ, აემლვრა, სევდა ჩაუნვა თვალებში.

ერთ საღამოს ფეისბუქში შევიდა რუსლანი. გაუხარდა, მრავალი ახალი მილოცვა დახვდა, ბევრი ახალი მეგობარი და უამრავი ფოტოსურათი.

ანუს მათი ქორწილს ფოტოები დაედო თავის გვერდზე. ესიამოვნა, ეს მათი ბედნიერი წუთები იყო, ნამდვილი სასწაული, რომელიც არასოდეს დასრულდება.

დაიღალა, წამოდგა, ათი სრულდებოდა. ფერად ეკრანზე შავ-თეთრი ფოტოები შენიშნა.

ჯერ გაუკვირდა, მერე გაშეშდა: აი, ანუს დედა მხედრიონის მეომრებთან, დედიშიმბილა ცეკვავდა, ირგვლივ გალეშილი ბიჭები ხევია ჭიქებით ხელში;

-აი, ანუცი, თავისი ბროლის თეძოები, ნივივები, ტერფები მაგიდაზე შემოუწყვია, მათი ახალგაზრდა ლექტორი კი ძუძუებს უკოცნის;

შეფიქრიანდა რუსლანი, ამ კაცს წამდვილად მოსწონდა მისი ქალბატონი.

... აი კიდევ, ანუ ჰოლივუდის გემოვნებით; გახდილი, შეღებილი, გაშლილი თმები სახესა და მხრეზე მიუყრა, თავი კაცის წელზე შემოუდვია და მის ასოს ეფერება.

ვერ გავარძელა, წამოსტა, კომპუტას ეკრანი მაგიდიდან ჩამოგდონ და დერეფანში გავარდა.

იმ ღამეს მეგობართას დათვრა, გათენებაზე დაბრუნდა შინ. ანუს არ ეძინა, იჯდა, თავი იდაყვებში ჩა-ერგოდა რუსლანს ელოდებოდა.

ხმა არ ამოუღია კაცს, ქალი ხელში აიყვანა, ლოგინზე მიაგდო, მიეძალა და ტანგაუბდელად იხმარა. მერე და მერე ისევ, სანამ არაქათი არ გამოეცალა. ხმას არ იღებდა, ანუ, არ გაძალიანდა, თავი გვერდზე მიაგდო, საბრალოდ კვნესოდა და ტიროდა.

დილით რუსლანი მოეფერა ქალს, უბოდიშა და ჭარბი სასმელით იმართლა თავი, საზიზლარი რუსული პორნოვიდეობი ახსენა.

ანუ დასაკლავი ბატკანივით დუმდა და ცრემლების დამალებას ცდილობდა.

სამსახურში მორჩავლდა რუსლანის სახელზე შემოსული წერილები. ბავშვობის მეგობრები, ნაცონბები აფრთხილებდნენ და ატყობინებდნენ, რომ მისი ცოლი ბავშვობიდან კახპობდა, სადარბაზოებში მეძავობდა, მოქვში ჟყავდა თავისი პირველი მამაკაცი და დროდადრო აკითხავდა.

კურიერს შემოჰქონდა და შემოჰქონდა წერილები, გაკვირვებული თანამშრომელი ქალი მალულად აათვალიერ-ჩათვალიერდა ჭერისკენ მომზერალ რუსლანს და თავდახრილი ტოვებდა ოთახს.

მრავლდებოდა წერილები და მათი ავტორები, ამბები და ფოტოები უფრო და უფრო საინტერესო, სარწმუნო და დამაჯერებელი ხდებოდა.

სასადილოშიც არ ჩადიოდა, გრძნობდა, რომ ყველამ ყველაფერი იცოდა და დასცინოდნენ.

“სამაქვა” აეკვიატა, დუანისთან ერთად აფხაზურ თეატრში ნანახი სპექტაკლი; რუსლანი მკვდარივით გაშოტილი იწვა ტახტზე. დედა და მამა ერთიმეორეს აბრალებდნენ, შვილს ვერ მოუარეო. დედა აკენის “აგარაშვას” უმღეროდა, მაგრამ არც ეს შველოდა. ბებიასაც მოჰქონდა და მოჰქონდა წამლები, მაგრამ სულ ტყუილად, რადგან წამალი კი არა წყალი იყო, ხალხი კი სიცილით იგუდებოდა...

საქმიანი ქალალდებით აიცხო სამუშაო მაგიდა, ვერ აზროვნებდა რუსლანი, გონი არ ემორჩილებოდა. შეუსრულებელი საქმეების გამო უფროსმა დაბარა და უსაყვედურა.

რუსლანი გვიანობამდე იჯდა კომპიუტერთან, მოქვის შეხვედრებისა და შემდგომი ამბების დეტალებს იხსენებდა და დღიურში შეჰქონდა, ახალ ფოტოებსაც ათვალიერებდა და საქალალდეში ჰყრიდა.

ფოტოალბომი დაასრულა და ანუს გადაუგზავნა.

ანუ კი დუმდა.

მეტის ატანა შეუძლებელი იყო და შაბათს სახლში დარჩა, ანუს ხმას არ სცემდა, მოქერებაზე არ პასუხობდა, სარეცელზე მიეგდებოდა და უსიტყვიდ ასრულებდა ცოლის მოვალეობას.

გატყდა რუსლანი, მეტის მოთმენა არ შეეძლო, მაგრამ საუბრის დასაწყებად სიტყვებს ვერ პოულობდა, არც ანუ იღებდა ხმას, თუმცა კაცს არ ეეჭვებოდა, რომ მან ყველაფერი იცოდა.

სალამო ხანს ბინიდან გასვლა დააპირა. გასვლის წინ ანუს უთხრა, -ქალბატონი, ამალამ მეგობართან ვრჩები, შენ ბევრი დრო გექნება, გთხოვ, არ დაიზარო და შენი ელ-ფოსტა დაათვალიერო... არ ვიცოდი, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავიც ყოფილხარო, - მიაძახა და კარი გაიჯახუნა.

კვირადლეს ადრე დაბრუნდა ბინაში, ანუ არ იყო, არც ათავადი ჩანდა.

მაგიდაზე ანუს წერილი იდო: „მე წავედი, არ მექებო, ვერ გაბატიო, რომ ეჭვი შეგეპარა ჩემში, თუმცა უშენოდ სიცოცხლე არ მინდა. მეგონა, რომ პიროვნება და ადამიანი იყავი. იმედი გამიცრუება გატყიყბ, შინ შეგძლია ბატონობა, გარეთ კი მშიშარა და ლაჩარი ხარ, თავისი და საკუთარი ცოლის დაცვა არ შეგიძლია“.

წერილს მინაწერი ახლდა, - „ათავადი ქალბატონი ყველაზე დიდი და ძლიერია თქვენში, მართლმსაჯული მატრიარქი, მოუყევი რა მოხდა სოფელში და რაც ხდება ჩვენს შორის“. ცოტა ქვემოთ კი გამართული ბავშვური ხელით შესრულებული ერთი ფრაზა იყო: „სიცოცხლეში და მის იქითაც შენი უანი.“

გადაირია, რაღაც მოკვდა რუსლანში, კაცს არ ჰგავდა.

გამთენისას ჩაეძინა; შეეცადა ხელი მოეხვია ქალისთვის. ლოგინში ცარიელი იყო. მაღლა აიხედა, ცა კუპრივით შავი იყო. აფრინდა, ღრუბლების ნაბადი ხელებით გადასწია; იქ მზე იყო, დედიშობილა ანუ მუხლებამდე წყალში იდგა და იცინოდა, თავისითან უხმო. მისვლა დააპირა, მაგრამ ფეხები ვერ გამართა. სიმწრით აყვირდა, მაგრამ თავისი ხმა თვითონაც არ ესმოდა... ანუს ირგვლივ თეთრი ანგელოზები დაფარფატებდნენ და ანუსავე მოკლე მკლავებს ეფერებოდნენ... როგორც იქნა, წამოდგა, ქალს გეკიდა და ხელებში მომწყვდება სცადა. უანა გიფივით ახარხარდა და უმაღ მორევში გადაეშვა. რუსლანიც გადახტა, მაგრამ ქალის სველ სხეულს ხელი ვერ შეავლო...

წამოხტა, თვალი გაახილა, ოფლში ცურავდა, კანკალებდა.

ანუ მოენტრა, უსაშველოდ მოუნდა.

კომპიუტერში საჭროარ პროგრამა გახსნა და ჩართული დატოვა, -იქნებ გამოჩინდეს და შემტებიანოს, ან რამე მანიშნოს. ანუ არ ჩანდა. ასეც იცოდა, მეტისმეტად ამაყია აფხაზურ ოჯახში გაზრდილი ქალი, ნათქვამს არ გადავა და უკან არ მობრუნდება.

სამსახურში წავიდა, დღიური შეავსო, დაასრულა და ერთი კვირის შვებულება აიღო.

მესამე თუ მეოთხე დღეს მოქვში გაემგზავრა. შუადლეს დატოვა სოხუმი. უძირო ლურჯი ცა თავზე ნამოეცვა მის ქათქათა ქალაქს, მაგრამ თაკარა მზეს ვერსად გაქცეოდა, მეტისმეტად ცხელოდა. ბინდუნდში უკვე სოფელში იყო.

მეზობელი გაბლიას ბიჭს გასაღებები გამოართვა და ეზოში შევიდა.

გაოცდა, მაგიდაზე „აკ-47“, რამდენიმე ხელ-ყუბარა და სამი მჭიდი ეწყო, წერილიც ახლდა, - „მარტო არა ხარ, მოგხედავთ“. მიხვდა ვისგანაც იყო.

ზღვა ჩამოდიოდა ციდან, საბანი აკეცა და ნესტიიან საწოლში შეძვრა. ჩაეძინა. კარზე კაკუნმა გააღვიძია. ადგა და კარი გააღო. ჟანების გამოგზავნილი ჭადარა აფხაზი იყო, ჯალაფსუას მკვიდრი. თავაზიანად იბოდიშა უდროო დროს მისვლა და ჟანების შემონათვალი გადასცა- რუსლანის სული და ხორცი ჩვენ გვეკუთვნის, მაგრამ თუ გათენებამდე, სანამ ვინმემ არ ნახა, აქაურობას დატოვებს და აფხაზეთს გაეცლება, სიცოცხლეს ვაჩუქებთო.

თქვა და წამოდგა. რუსლანმა კართან შეაჩერა მიმავალი და უანიზე ჰკითხა.

-ძმებმა გადამალეს, უპასუხა მოსულმა, იცი შენ ალბათ, სირცევილია ქმრისგან გაგდებული ქალის სახლში ყოლა. მიმავალმა ურჩია დამხვდურს, - ყველას არ გაულო კარი, ვინ იცის რა ხდებაო და მანდარინის ბურქებში გაუჩინარდა.

რუსლანმა ავტომატი გადატენა, ლოგინი ფანჯარას მოაცილა, უსაფრთხო ადგილი შეარჩია. გონი მოსტიმი, შეეცადა გარკვევას. ცუდად იყო საქმე, ხაფანგში გაეპა; ერთი გასროლა და გაბლიები ატებდნენ სროლას, ისევე როგორც უანები. სახლი გარშემორტყმული იყო, ხალხი განწყდებოდა უაზროდ.

თავის მოკვლა იყო გამოსავალი, მაგრამ არც ეს იყო ადვილი, რადგან გასროლა არ შეიძლებოდა.

სარდაფში ჩავიდა, თოკი მონახა და ოთახში დაბრუნდა. კედლიდან დედა და მამა შემოსცექოდნენ. რა ბედნიერი ხალხია, ღირსეული საქმისთვის გაწყდნენ, მას კი ამისი შანსიც არ დაუტოვეს...

თოკი გახსნა და ერთი ბოლო გამონასკვა, ფანჯრის რაფაზე ავიდა და თოკის მეორე ბოლო ფანჯრის ფარდის საკიდზე გამონასკვა. ცოტაც და ყულფი კისერზე ჩამოიცვა, სკამზე შედგა და ფეხი გამოჰკრა.

დილით მთელი სოფელი დასტიროდა რუსლანს.

სალამოს ახალი უბედურება შეიტყო ხალხმა, უანი გადარეული მოქვინყლის მორევში გადაშვებულა თურმე.

მალევე იპოვეს შავ ზღვასთან ახლოს, ჯუმყურის მიდამოებში.

ათავადი ბებია ჩამოვიდა სოხუმიდან, მკვდრის ფერი ედო. იტირა, დაწყნარდა და საქმეს შეუძგა; დაკრძალვის დღე გადაწყვიტა, უამრავი ნათესავი მოიწვია აფხაზეთიდან და ენგურგადმიდან მოსაწვევთა სია შეადგინა და შემტყობინებლები მოიწვია. მეზობლების გასაგონად კი თქვა, -ისისაც არ მოესვლება ჩვენთან, იცის და თავადვე გადაწყვიტოსა. შავისანი ქალები იახლა და უანის დატირების ნებართვა ითხოვა, ლოყები დაიკანრა და ქალის ცხედარზე დაემზო.

აუარებელი ხალხი ჩავიდა მოქვში ასობით თავზარდაცემული ადამიანი, გაბლიებიდან უანებთან გადადიოდა.

გაბლიების, გაბელიების, გაბლანების, გაბლიანების, გაბლაიების, უანიანების და უანავების ტევა არ იყო ორივე ეზოში. ათავადის ბევრი ნათე-

სავი და ახლობელი ჩამოვიდა სამურზაყანოდან და ენგურგამეტიდან.

უამრავი ხალხი იდგა მოქვის ტაძრის დიდ მწვანე ეზოში.

სოხუმიდან ჩამოსულმა რუსლანის მეგობრებმა თავისი გაიტანეს, -ათავადის ქალი და ქანები დაიყო-ლიეს, რათა ქალ-ვაჟი ერთად დაეკრძალათ.

მესიაკონის გორაკის წვერზე, რომელსაც ხალ-ხი უხსოვარი დროიდან ეკრძალებოდა, საფლავის ერ-თი დიდი ორმო გაიჭრა.

მესიაკონი სამისნოა აფხაზებში, ისეთივე, რო-გორც სამეგრელოში, -კეთილი სულებისა და გონიერი წინასწარმეტყველების მითიური სამყოფელი.

მშვენიერი ადგილია მესიაკონის მოქედის ბორცვი, ზემოდან გადაჰყურებს მდინარე მოქედისა და ღალიძების შუამდინარეთს; წინ, დაბლა და მარჯვნივ ქათქათებს მოქედის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარია, მარ-ცხნივ ბედის ღვთისმშობლის ტაძარი, წინ, შორეულ თვალსაწინერში ილორის წმინდა გიორგის ეკლესის სი-ლუეტი ლივლივებს.

იმ დღეს ტირილით ვერ გაძლა ხალხი, ჭირი-სუფლებს და ჩამოსულებს მრგვალ ჩარჩოში ჩასმუ-ლი ქალ-ვაჟის ფოტოები ეპნიათ გულზე.

ხანშიშესულმა და დიდსათვალებიანმა კაცმა, რომელიც ძელებურ პროფესორს ჰგავდა, ერთი მუ-ჭი მინა მიაყარა მიცვალებულებს და ენის ბორძიკით თქვა,-იმედია, მალე დასრულდება შფოთი აფხაზეთ-ში, გონს მოვეგებით დიდი მდინარის გალმა-გამოლმა. ღმერთო დიდებულო, ნუთუ ასე უძლებია სატანა, ბრმა და მუნჯია ყველა ჩვენთაგანი, რომ აუცილებე-ლია ამ უმანკო ბავშვების სიკედილი, რათა ჩვენი უგუნურების ნაყოფი ვიხილოთ ამ ანგელოზების სა-მუდამოდ გაცივებულ თვალებშიო.. .

\* \* \*

ანა, თავის დროზე თბილისში ნასწავლი ქალბა-ტონია, კარგი დედა, მეოჯახე და საინტერესო მოსაუბ-რეა. ომამდე აფხაზეთის სოფლებში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა თურმე.

ერთხელ ფეხით ამოვედით ჩვენი საერთო საც-ხოვრებლის აღმართზე. მოქედის წყალზე ალიო ქობა-ლიას დიდებული ლექსი ზეპირად წაიკითხა ქართულ და აფხაზურ ენებზე. მერე ლექსის პირველი და ბო-ლო სტროფები ზერელედ იმღერა და თქვა,-ი, ხომ ხედავ, შედევრია, არც კი ვიცი აქ ვინ და რამდენმა იცის ეს ჰიმნი, იქ კი, აფხაზურ ოჯახებშიც დღემდე ლილინებენო ამ საოცარ საგალობელს.

## გიორგი გამხიფაშვილი (ზაკაველი)

### ცლაბია გელოზი

წელინადის ოთხივე დროს ყოველი დილა სხვა-დასხვანაირად ინყებოდა. ზაფხულში – ბადების გა-რეშე დარჩენილი ფანჯრებიდან შემოფრენილი ბუზე-ბის ბზულით და ხანდახან გვარიანი სილის განვნით საკუთარ, ჯერ კიდევ მძინარე სახეში, რომლის კან-ზეც მოსაბეზრებლად დასეირნობდნენ ეს უნიათო, შეუგნებელი მწერები. ზამთარში – იგივე ფანჯრები-დან შემოსული, გაყინული მოტორების დაქოქვისგან გამოწვეული შემანუხებელი ხმაური, რომლის ექოც საფუარივით უერთდებოდა ოთახის ჰაერს, მოცულო-ბას სინათლის სიჩქარის სისწრაფით უზრდიდა და კი-დევ უფრო ამძიმებდა გამამთბობლისგან ისედაც შე-ლახულ, ჭლექიან ჰაერს. შემოდგომით – ზაფხულის ხვატის მიერ ტუსალივით გამოკეტილი წვიმა იგლეჯ-და ერტიკულ ხელბორკილებს და თავისიუფლებამოწ-ყურებული ნარჩარით მოწაუნობდა სახურავიდან ფანჯრის რაფაზე, იქიდან კი დიდებადაბრუნებული ასველებდა შმორიან კედლებს ვიდრე მინამდე. გა-ზაფხულზე – ვულგარულ სამყაროს ჭრელაჭრულა ჩიტების სტევნა-გალობა აკურატულს და შედარებით უბინოს ხდიდა.

მე წელინადის ყველა დროს ვიღვიძებდი.

იმ დილითაც ისევე გამაღვიძია მისმა თბილმა ტუჩებმა და ცხელმა სუნთქვამ, როგორც აგერ უკვე შევიდო წელია მაღვიძებს. ისე ჩუმად მესაუბრება ხოლ-მე, რომ ძლიერ მესმის წარმოთქმული სიტყვები, ლა-მისაა თვალები გავახილო და გავაგებინო, რომ მღვი-ძავს და ცოტა ხმამაღლა ილაპარაკოს. მაგრამ არა!...

მას არასდროს გაუგია, რომ მაგ დროს მე ყვე-ლაფერი, თითქმის ყველაფერი მესმის. არც მინდა გა-იგოს. ასე უფრო კარგად ვგრძნობ თავს, ასე უფრო ვრწმუნდები იმაში, რომ ვუყვარვარ, ძალიან ვუყვარ-ვარ! ეს ალბათ სიამაყეა, თავდაჯერებულობა, რომე-ლიც მუდამ ჩემი ტვინის ახლომახლო დაიარება და

მარწმუნებს იმაში, რომ მე ბედნიერი ვარ, რომ მე ყვე-ლაფერი მაქვს. შეიძლება მას უნდა რომ გამეღვიძოს, მეც ჩავეცუტო, ვაგრძნობინო, რომ ჩემთვისაც ძალი-ან ძვირფასია, მაგრამ არა,,, მე ამას არ ვაკეთებ, ასე უფრო მშვიდად ვარ.

შემოვიდა, ჩემი სანოლის კიდესთან ჩამოჯდა, მაკოცა, რაღაც თქვა, მაგრამ მე ვერ გავიგე. მერე თავზე ხელი გადამისვა (როგორ მიყვარს მისი თბილი ხელის ხეტიალი ჩემს შუბლზე), საბანი გამისწორა და წამოდგა. კართან შეჩერდა და ისევ ჩაილაპარაკა. თითქოს არ უნდა გამეგო, მაგრამ ყურთასმენა ისეთი დაძაბული მქონდა, რომ მისმა სიტყვებმა თითოეული საგნის შემდეგ ჩემს ყურებამდეც მოაღწია: "არას-დროს თქვა, რომ შენ მარტო ხარ"...

გავიდა... თვალები არ გამიხელია. თითქოს არ მინდოდა ამ ფრაზას დავეტოვე, სიტყვებს, რომელთა შინაარსს იმ წამს ვერაფრით მივხვდი. მის ამოხსნაში ისევ ღრმად ჩამეძინა.

- ადექი პატარავ, სკოლაში დაგავგვიანდება. - დედის ხმა მეცნო და გამომაღვიძია. სასიამოვნოდ გა-დავკოტრიალდი სანოლის მეორე მხარეს და საათს შევხედე. სკოლაში არც ერთმა ჩემმა თანაკლასელმა არ იცოდა საათის ცნობა, მე კი შარშან მასწავლა მან, - "უკვე ექვსი წლის ხარ, სკოლაში წახვალ მალე, საა-თის ცნობა ხომ უნდა იცოდე ჩემო ერთადერთო იმე-დო?", მამას სიამაყევ!" - ასე ვისწავლე საათის ცნობა.

რვის წახევარი ხდებოდა...

მე და დედა სკოლიდან ვბრუნდებოდით, ძალიან ცხელოდა და ნაყინი მომინდა, დედამ დაუყოვნებლივ შემისრულა თხოვნა. ძალიან მესიამოვნა, ძლიერ ვიგრილე ყელი. როგორ ცხელა...

- ადექი, ჩემი საყვარელო, ამდენი ძილი როგორ შეიძლება,

ადექი სწრაფად, სადაცაა სტუმრებიც მოვლენ. - კვლავ დედის ხმამ გამალვიძია. საათს შევხედე, თითქმის შუადღე იყო. რამდენი ხნის უახავი მყავდა ჩემი ოთახის კალენდარი. (როგორ მძულს,,,) ავდექი, უცებ ამოვიცვი შორტი და გუშინდელი დღე ჩამოვზიე კალენდრიდან... დღეს თხუთმეტი წლის (გა)ვხდები.

როგორ მომბეზრდა ამდენი ხალხი, როგორ არ მაქს არვის ნერვები, დამღალა ყველაფერმა. ყველას ახლა ვუყვარვარ. ყველა ახლა მეფერება. დამანებეთ თავი! ბავშვი აღარ ვარ!!! ვპრაზდები, ნერვებს ვეღარ ვთოვავ, ყვირილი მინდა, უსასრულო ყვირილი. გაიგებს კი ის ამ ლოდინით სავსე ღრიალს? იქნებ გუმანმა უგრძნის და სადმე, თუნდაც სამსახურში მიმავალი წამიერად შეჩერდეს ქუჩაზე გადასვლისას, შემდეგ მანქანების გამაყრულებლმა სიგნალმა გამოარკვიოს ბუნდოვანი მოვლენისგან, - "მომეჩვენა, გადავიღალე", - თქვას და გზა განაგრძოს...

დიდი მხიარულება იყო, ძალიან ბევრი მეგობარი და მე, ბევრი საინტერესო საუბარი და მე, ბევრი სიმღერა და მე, კისკისი და მე, ჩურჩული და მე, ვალსი და მე, სადღეგრძელობი და მე. რახელა ტორტი გაუკეთებია დედაჩემს, თხუთმეტი ფერადი სანთელი ანთია, თხუთმეტჯერ დამლოცეს.... თხუთმეტჯერ ჩაფიქრდი, მეტკინა!

ალბათ უფრო სიმწრისგან და ბოლმისგან გამოვცალე ამდენი ჭიქა სასმელი. მაგრამ არცერთი იყო ჩემში იმაზე მეტი, ვიდრე მოლოდინმა დამათრო, ლოდინმა დამახვია თავბრუ. როგორ მინდოდა იმ ფერად-ფერადად შეფუთულ საჩუქრებს შორის, რომლებიც მეგობრებმა მომართვეს, მისი თუნდაც ერთი, ჩვეულებრივი კენჭი ყოფილიყო. ქვა, გამოუსადევარი ნივთი, რომელსაც მე მომიძღვნიდა, რომელსაც ერქმეოდა მამის საჩუქრარი.

დედას არასდროს უხსენებია მამა, როდესაც რამეს ვეკითხავდი, მხოლოდ მაშინ თუ მეტყოდა ხოლმე, - "მოგა, აბა სად წავა. მას შენ უყვარხარ."

რატომ აკეთებს ამას? რატომ არ მეუბნება, რომ მან მიგვატოვა? რატომ არ ლანძღავს? ნუთუ ასეთი ჩუმი დარდით იქავებს ტკივილს?! არადა სტკივა, ვიცი, რომ ძალიან უჭირს. (მე მის ადგილას, შემზიზლდებოდა) უყვარს, მეცოდება...

უუყვარვარ?, ალბათ კი. (სასაცილო ვარ, როგორ შეიძლება უყვარდე კაცს, რომელმაც რვა წლის წინ დილით, რვის ნახევარზე მიგატოვა,) თუმცა, მე იგი მაინც მიყვარს. რვა წელია დედს ვეკითხებოდი - სადაა მამა? - ის კი ყოველთვის მპასუხობდა: მუშაობს, სადაცაა დაბრუნდება.

## ქეთევანგელაშვილი

### ის, რაც არ დავაუსავ

მე და ჩემი ძმა სულ ვჩეუბობდით. სახლში ერთი კომპიუტერი გვქონდა და მის გამო ლამის ერმანეს ვზოცვდით დედმამიშვილები.

როცა კომპიუტერთან მე ვიჯექი, ჩემი ძმა მოვიდოდა, ცბიერად გაიცინებდა და თმას ამიჩეჩავდა ხოლმე. (მეზიზრებოდა როცა ასე აკეთებდა): "არ დაიღალე სულ კომპიუტერთან ჯდომით? ახლა ცოტა დაისვენე." მერე მომკიდებდა იღლიებში ხელებს და ამნევდა სკამიდან. მე ცამეტის ვიყავი, ის - ოცის და ამის გაკეთება არ უჭირდა. მერე თვითონ დაჯდებოდა და რამდენიც არ უნდა მეწუნუნა, მეხვენა და გამეღიზინებინა, არ ადგებოდა, სანამ არ მორჩებოდა რა-

როდესაც სკოლაში დავინახავდი ჩემს კლასელ ბექას, რომელიც ყოველ დილით მამამისს თეთრი „ბმვ“-თი მოყავდა, სულ ვფიქრობდი ხოლმე, რომ მამაჩემს უფრო კარგი მანქანა ჰყავდა, რადგან ის აგერ უკვე წლებია მუშაობდა და გვინახავდა (ასე მეუბნებოდა დედა. თუმცალა მას არასოდეს შევუნახივართ) დედა მუშაობდა, მაგრამ ყოველთვის მამისგან გამოგზავნილ საჩუქრას ეძახდა ჩემს ახალ პერანგსა თუ ფეხსაცმელს. რატომ აკეთებდა ამას?...

შვილო, ადექი. - კვლავ დედის ხმა, როგორ მეზიზლება ნეტა ვინგებ იცოდეს ეს ხმა დილაობით, როგორ მინდა არასდროს არაფერი გავიგო. სამზარეულში სურათი დავინახე, თვალები მოვიფშვნიტე, არ მეჯერა,,,

- დედა, ეს სურათი საიდან?

- მამაშენია.

- ვიცი, დედა, მაგრამ საიდან თქო?! - სიბრაზემ ისე მიკბინა, რომ დედას

დავუყვირე.

- დილას მოიტანეს.

- ვერაფერი გავიგო, დედა, ამიხსენი რა ხდება!

- დამშვიდიდი, შვილო, შენ მას უყვარხარ. - ამ სიტყვებმა თითქოს გული გამილდო და თან ისე მომანვა ცრემლი რომ არა დედა, ალბათ ბავშვივით იატაქზე გავერთხმებოდი და ისე დავიწყებდი მოთქმას.

სადამოს რვის ნახევარი ხდებოდა, მერვე სართულზე გავაჩერე ლიფტი, ჯერ დედა გავიდა, შემდეგ მე რამდენს ყვარებია მამა,, ნეტავ, სიცოცხლეშიც თუ ასე ეხვეოდნენ გარს?!...

თოკები გაუშვეს სასახლეს, მინამ მაგნიტივით მიიკრა ხე, თითქოს დიდხანს ელოდა მასში განსვენებულ ნადავლს. მინა და ქვები ერთდროულად ეყრებოდნენ კუბოს ფიცას და იმ სიტყვებს ახშობდნენ, რომელსაც მამა ამომძახოდა დაბლიდან, (ვგრძნობდი, მესმოდა!) იმ დაგვიანებულ სიტყვებს, რომელსაც აღარ შეეძლოთ ჩემი გული სიამაყით აევსოთ, სიტყვებს, რომლებსაც რვა წელი ველოდი დილაობით ჩემს საწოლთან.

მშებიდობით მამა, მიყვარხარ, მე შენ გელოდი, ნლებია გელოდი!

რვა სიტყვით გავაცილე რვა წლის წინ გაუჩინარებული მამა. დღეს კი ისევ მერვე ცაზე ვარ, მამასთან სულ ახლოს.

- გიო ადექი, კურსელმა დაგირეკა, ლექციის დრო შეიცვალა. - კვლავ დედის ხმამ გამალვიძია...

ღაც სულელურ და ჩახლართულ პროგრამებში ძრომიალს და არ დამიძახებდა: "მოდი, დაიკუ, ითამაშე და აცდინე დრო ტყუილუბრალოდ."

"თითქოს შენც იგივეს არ აკეთებდე!" - მივაძებდი ხოლმე.

მოკლედ ვერ ვიტანდი მასთან კიმპიუტერის გამო დავას, რადგან უმეტეს შემთხვევაში მე ვაგებდი.

შაბათ-კვირასაც ის მასწრებდა კომპიუტერთან დაჯდომას. გავიღოიძებდი დილით ადრე და პირველ რიგში კომპიუტერთან გავიჩცეოდი, იქ კი ჩემი ძმა დამზღვდებოდა და დამცინავად გამილიმებდა, მერე მთელი დღე დავდიოდი გაბუტული.

მაგრამ ერთ დილას ჩემი ძმა იქ არ დამხვდა. გამიკვირდა.

პირველად ვიფიქრე კომპიუტერზე მეთამაშა, მაგრამ მეტისმეტად მეუცხველი მისი არყოფნა. თავი რატომლაც ცუდად ვიგრძენი.

სასტუმრო ოთახში გავედი.

იქ იყო დედა, მამა და რამდენიმე უცხო ადამიანი. დედა ტახტზე იჯდა და ტიროდა, მამა ოთახში აქეთიქით დადიოდა და თავში ხელებს იშენდა, უცხო ადამიანები მოშორებით იდგნენ თავჩაქინდოულნი და ხმას არ იღებდნენ.

ვერაფერს მივხვდი.

დედა ხმამაღლა ტიროდა, კი არ ტიროდა ბლაოდა. მის დანახვაზე გული მომენტურა. ახლოს მივედი. ყველამ მე შემომხედა, ისე თითქოს ვეცოდებოდი, მამაშ სახე ამარიდა, დედამ რომ დამინახა ჩამიხუტა და ტიროლი გააგრძელა.

ვერაფერს მივხვდი

მინდოდა მეყითხა რა ხდებოდა, მაგრამ რატომლაც ვერ გავპედე.

- დე, - მხოლოდ ამის თქმა მოვახერხე.

- მაიკო, შენი ძმა შენი ძმა... - დედას ხმა ჩაუწყდა ისე, რომ სათქმელი არ დაუმთავრებია.

მე ვერაფერს მივხვდი.

...

დედამ შავები ჩაიცვა, მამის ხმა დადუმდა, დედა სულ ტიროდა, ნაცნობებს ურეკავდა და რალაცას ელაპარაკებოდა, თან ტიროდა. ბევრი სტუმარი მოდიოდა და გვისამძიმრებდა.

ჩემი ძმა არ გამოჩენილა.

მეორე დღეს მოიტანეს კუბოში ჩასვენებული. აი თურმე სად ყოფილა. მიეხვდი რაც მოხდა, ბუნდოვნად, მაგრამ დედასავით ტირილის სურვილი არ გამჩნია.

რატომლაც არაფერი მიგრძენია.

მოვიდა უამრავი სტუმარი. ზოგს ვიცნობდი, ზოგს - არა. ყველა ტიროდა და საუბრობდა ჩემს ძმაზე.

- რა ახალგაზრდა...სადაა ღმერთი, სადაა სამართალი!?

- რა ზრდილობიანი, მზრუნველი, სხვებთან ურთიერთიბაში არაფერი რომ არ ეშლებოდა.

“ვინ? ჩემი ძმა?”

- თან რა ნიჭიერი, სკოლაში ფრიადებზე სწავლობდა, მასნავლებლებს დიდი იმედები ჰქონდათ... უნივერსიტეტში რომ ჩააბარა ყველას აკვირვებდა მონდომებით. ასეთი ჭკვიანი რამდენ რამეს მიაღწვდა.

“ვინ? ჩემი ძმა?”

- ასეთი ახალგაზრდა, ენერგიით სავსე, მთელი ცხოვრება წინ ჰქონდა, ნეტა ღმერთს მე წავეყვანე მის მაგივრად!

- სამეცნიეროს სული და გული იყო, სადაც ევ არ იყო, საქმე არ კეთდებოდა და მხიარულებაც არ იმართებოდა. ეხლა რალა გვეშველება...

“ვინ? ჩემი ძმა?”

- გავიგე, გოგოს გამო უჩხვბია. ვიღაც აშარს მიუყენებია მისი შეყვარებულისთვის შეურაცყოფა, ეს გამოქმანებია, იმ აშარს კი დანა დაურტყამს, გაუსხმეს ის ხელები და ადრე და მალე მოეღოს ბოლო.

- გოგოს გამო გაფუჭდა ეს კაცი?

- რაინდი ყოფილა, რაინდი. სადღაა ეხლა მაგის-თანები.

ვინ? ჩემი ძმა? ხუმრობთ, ხალხო? ჩემი ძმა ხომ ასეთი სულ არ იყო. ის იყო...ჩემი ძმა იყო...

როგორი იყო?

არ მახსოვს. კომპიუტერის გამო ვჩხუბობდით, სულ არ მაცლიდა თამაშს, თმას მიჩეჩავდა და დამცინავად მეუმრებოდა, რალაც რთულ პროგრამებში დაძრებოდა, ხშირად დადიოდა მეგობრებში, სახლში თითქმის არ იყო, დამცინოდა ხოლმე კომპიუტერზე დიდხანს თუ ვიჯექი და...და...

მეტი არაფერი მახსოვს, მეტი არაფერი ვიცი.

ვინ იყო ჩემი ძმა?

...

სტუმრები კი აგრძელებდნენ მასზე საუპარს. იმდენ ახალ რამეს ვიგებდი ჩემს ძმაზე. დედა კი არ ტიროდა, არამედ ლრიალებდა, სახე დაემანქა და თვალები დაუსივდა. კუთხეში იჯდა ქერა გოგო და ჩუმად ლერიდა ცრემლებს, თან ნაწყვეტ-ნაწყეტ ამბობდა: “არ მინდოდა, სულ ჩემი ბრალია, ჩემს გამორატომ შეეპასუხა, მე ეს არ მინდოდა!”

მე მაინც არ ვტიროდი.

ვიღაცამ შემომხედა. არ მოეწონა, ალბათ. ასე აუღელვებლად რომ ვიდეექი.

- დახე, ამ ლანირაკს ცრემლიც არ ჩამოუგდია. მისი ძმა არ არის, ასე მშვიდად როგორ შეიძლება იყოს?

- დაანებე თავი, ბავშვია ჯერ, მაგას რა ჭკუა მოეკითხება.

“ბავშვი სულაც არა ვარ!”

მათმა მწყრალმა საუპარმა სულ გამიფუჭა ხასიათი. დედა რომ ტიროდა და მამაც საშინლად წუხდა, მეც ჩუმად ვიყავი, ძირითადად გარემოების გამო, სხვებისთვის ხელი რომ არ შემეშალა. ამ საუპარმა კი თახაგრძხობის ეს მცირეოდენი სურვილიც გააქრო.

“დიდი ამბავი! რა ყველაფერს აზვიადებზენ ეს უფროსები, სამაგიეროდ კომპიუტერი სულ მე დამრჩება. როცა მორჩება ეს ყველაფერი, ყველაფერი კარგად იქნება.”

...

პანაშვიდმაც ჩაიარა, დაერძალვამაც. დედას გლოვა არ შეუწყვეტია, მაგრამ თავი ხელში აიყვანა. მამის ხასიათიც შერბილდა. მე ისე ვიქცეოდი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. მშობლები არ მელაპარაკებოდნენ. ალბათ, შეამჩნიერ ჩემი ცივი დამოკიდებულება ყველაფრისადმი. ყველაფერი ასე თუ ისე ჩადგა თავის კალაპოტში. ცხოვრება თავის წინანდელ მდინარებას დაუბრუნდა.

მაგრამ რალაც აკლდა.

რა?

როცა ეს გრძნობა მეუფლებოდა, საკუთარ თავს ვუმეორებდი:

ყველაფერი კარგად იქნება!

ყველაფერი კარგად იქნება!

ყველაფერი კარგადიქნება?

...

შემოდგომა მიიჩნერა.

მას შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა.

რალაც მაკლდა.

კომპიუტერზე თამაშიც მომბეზრდა. აღარ მეხალისებოდა.

დილაპით, როცა კომპიუტერთან მივდიოდი, იქ, სადაც ჩემი ძმა ძმა უნდა ყოფილიყო, სიცარიელე მხვდებოდა.

ხანდახან შევკრთებოდი, მეგონა, რომ ჩემი ძმის ხელი ამიჩეჩავდა თმას ან ამწევდა სკამიდან, მაგრამ, როცა მივიხედავდი, ოთახში არავინ იყო.

რალაც მაკლდა.

რა?

წვიმდა.

სევდა მომერია.

რაღაც მაკლდა.

ტირილი მომინდა ისე ძალიან მაკლდა ეს რა-  
ლაც.

თავი ცუდად ვიგრძენი.

იმ ღამეს გვიან დამეძინა.

...

მესიზმრა, ახალი წლის ღამე, რამდენიმე წლის  
წინ. თოვლით გადაპენტილი ქალაქი, ფიფქების ნელი  
ცეკვა და...ჩემი ძმა.

მესიზმრა, როგორ შევცვდით ახალ წელს ერ-  
თხელ მარტო მე და ის. მთელი დღე ვთამაშობდით  
თოვლში. ჩემმა ძმამ დიდი თოვლის კაცი გააკეთა და  
თავზე მე შემომსვა. ვიჯექი თოვლის კაცის თავზე,  
დავუურებდი ზემოდან ჩემ ძმას და ვიცინოდი. მერე  
ლოლოები ვწუნეთ, სალამოთი კი ავიპარეთ კორპუ-  
სის სახურავზე და ვუყურებდით ფეიერვერკს.

გამახსენდა, როგორ მეთამაშებოდა, როგორ  
მითბობდა ხოლმე ყინვისგან გათოშილ ხელებს, რო-  
გორ თბილად მიღიმოდა, როგორ მიხუტებდა, როცა  
მციოდა და ხელში აყვანილი დავყავდი.

გავიღვიძე. ნუთუ მართლა ასეთი იყო?

ბოლო დროს ხომ სულ ნერვებს მიშლიდა, დამ-  
ცინოდა.

...

კომპიუტერი მომბეზრდა. ჩავიცვი და გარეთ  
გავედი. გადავწვეიტე პარკში გამესირნა.

- მაიყ! – მომესმა ვიღაცის ხმა. მივიხედე. ის

ქერა გოგო პანაშვილზე რომ სლუურებდა.

- როგორ ხარ მაიყო? – მომესალმა. მეც მივე-  
სალმე.

რაღაც მკითხა, ყურადღება არ მიმიქცევია.

- ჩემი ძმა - ვთქვი პაუზის შემდეგ – როგორი  
იყო ჩემი ძმა?

ნაღლიანად გაიღიმა. სადღაც შორს გაიხედა  
და წამოიწყო:

- შენი ძმა? ყველაზე კარგი ადამიანი, ვინც კი  
ოდესმე შემხვედრია. მხიარული, მაგრამ თავდაჭერი-  
ლი, მეგობრები უყვარდა ძალიან და ყველაზე ზრუ-  
ნავდა.

თავი დავხარე.

- სულ თავის დაიკოზე ლაპარაკობდა. – ყურები  
დავცევიტე – როცა სადმე წავიდოდით, ან ზღვაზე  
დასასვენებლად, ან ატრაქციონებზე, ან პარკში სასე-  
ირნოდ, სულ ამბობდა ნეტავ ჩემი და აქ იყოსო, სულ  
კომპიუტერზე ზის და მეშინია ან თვალები არ ასტკივ-  
დეს, ან რაიმე პრობლემები არ შეექმნასო, ეკრანის  
წინ ჯდომის მაგივრად სჯობია გაისეირნოს ან მეგობ-  
რებთან ითამაშოსო.

ცრემლები მომაწვა. სინდისმა შემაწუხა. გამოვ-  
ტირიალდი და გამოვიქეცი.

რა სულელი ვარ!

ჩემი ძმა არასოდეს დამცინოდა, ნერვების მოშ-  
ლაც არ ჰქონდა მიზნად დასახული.

ახლალა მივხვდი, თუ რა სითბოთი და ალერსით  
იყო საცვე მისი ყოველი სიტყვა.

რა სულელი ვარ!

იმის მაგივრად, რომ მასთან ერთად გამეტარე-  
ბინა ყოველი ახალი წელი კომპიუტერზე ვიჯექი და  
მეგობრებს „ვეჩათავებოდი“.

რა სულელი ვარ!

ავტირდი. რამდენიმე თვის დაგუბებული ცრემ-  
ლი ეხლა დავდარე.

უმიზნოდ ვხეტიალობდი. მოსალამოვდა. მშობ-  
ლები ალბათ მეძებენ, მაგრამ სახლში მისვლა არ მინ-  
დოდა.

თვითონაც ვერ შევამჩნიე თუ როგორ მოვხვდი  
სასაფლაოზე.

ჩემი ძმის საფლავზე.

მარმარილოდან მისი მომლიმარი სახე შემომ-  
ცექორდა. ავლრიალდი, ისევე როგორც დედა, რამდე-  
ნიმე თვის წინათ.

ჩამოვჯექი და საფლავის ქვას ზურგით მივეყ-  
რდენი.

აა თურმე რა მაკლდა. ჩემი ძმა. მისი ხუმრობე-  
ბი, თმების აჩერვა, ყოველ დილით მისი ნახვა, მისი  
ლიმილი, მისი ზრუნვა და მასთან თამაში.

შემცივდა. მოვიკუნტე. თავი მუხლებში ჩავრგე-  
ტირილა არ შემიწყვეტია.

- ძამიკო, დაბრუნდი რა!..

უკვე ბერები და მანქანის ხმა მომესმა. ყურად-  
ღება არ მიმიქცევია.

- ძამიკო, რამდენიც გინდა იჯექი კომპიუტერ-  
ზე, თუ გინდა სულ იჯექი, მე ალარ მინდა, რამდენიც  
გინდა ამიჩეჩე თმა და დამცინე, ოლონდ დაბრუნდი  
რა, სულ ალარ გავეკარები კომპიუტერს, ერთად შევ-  
ხდეთ ხოლმე ახალ წელს, ისეთი თოვლის კაცი გავაკე-  
თოთ, როგორც მაშინ, მერე მთელი ღამე ფეიერვერკს  
ვუყუროთ, წავიდეთ ზღვაზე და ატრაქციონებ-  
ზეოლონდ დამიბრუნდითშენ და შენი ალესიანი ლიმი-  
ლი...

...

ტირილი არ შემიწყვეტია. წამით ავიხედე მალ-  
ლა. ფიფქები ნელა ციკვადნენ. დედას მამის მკერ-  
დში ჩაერგო სახე და ტირიდა.

## გულნაზი ხარაიშვილი

### ცრემლში ჩაფულებული რვა მარტი

2012 წლის რვა მარტი, ან გარდაცვლილმა დურმიშხან კუპატაძემ სიზმარში მომილოცა.

მე, პირადად, ამ მნიშვნელოვან დღეს, საქართველოში მცხოვრებ ყველა ქალს და შვილებისთვის  
ლუკმა პურის საშორენელად უცხოეთში გადახვენილ ქალებს გილოცავთ. პირველ რიგში, დაგილოცავთ სა-  
ქართველოს, რათა მგლის ხახამ არ შთანთქას ჩვენი სამშობლო. მერე ვისურვებთ, რომ იყოთ ბედნიერები,  
განურჩევლათ ასაკისა, 2012 წლის ღამეს დაბადებული პატარა ქალბატონებიდან დაწყებული, ასი წლის  
მოხუცების ჩათვლით.

ალბათ დაგაინტერესებთ, შვილმკვდარი დედა რა მოფერების მანიამ შემიპყრო. გეტყვით! .. დამე-  
ლუპა ჩემი ბუთხუზა ბიჭი გელა სხირტლაძე 2012 წლის 19 თებერვალს, დილის ათის ნახევარზე.

მეკითხებით რითა?

გპასუხობთ: — არ ვიცი.

დღეს რვა მარტია, ადრე გამეღვიძა. ჩემი ცრემლების ზღვაში შევცურე და... ფიქრში ის ლექსები ამომიტივდა. რომელსაც ჩემი შვილი კითხულობდა 17 თებერვლის ღამეს დალუპვამდე.  
აი ისინიც:

### (სამარაბლო) მდინარე ფრონე

მდინარე ფრონეს, მთიდან მოაქვს ცრემლის ნაკადი,  
ის სამარაბლოს, ომის ქარცეცხლს შებერებია...  
კვლავ ომია და... სევდიანი ტალღებით დადის,  
ტყივილმოსხმული მსხლის ნაყოფი ძალზე ბევრია.  
წლობით ნაშენებ სახლის კედლებს ხავსის ფერი აქვს,  
ჩამოულებავს ქარს მუხისთვის სულ ნორჩი ტოტი.  
ცრემლმა დაალპო კედლები და ფეტვით დაფქვა,  
სიცოცხლე ქუხდა... ახლა ტირის იქ ხის ნაფოტიც...

იქ, სადაც ჩემმა ბიჭმა ფეხი აიდგა, ტირიოდა ბუნება, ტირიდა ხალხი, თებერვლის სუსხიან დიდთოვლო-ბაში, მთელი სოფელი შეეგება ჩემს შვილს. გულშემატებივარი იყო მთელი რაიონი... საკრებულო, სტიქიას უმ-კლავდებოდნენ, ყველანაირი ტექნიკით, რათა მიეღოთ იქ აღზრდილი და საბოლოოდ გამოთხოვებოდნენ მას.

მოვუხმე ფიქრებს, ჩავუტარე გულს სასამართლო,  
დამჭირდა ყველა ეპიზოდი, ჩემი წარსულის.  
დარბაზად სულის გალავანი, ძალიან ფართო,  
იმედი იყო უიმედობით გადაკარგული.  
მიმტევებლობაც გამოჩნდა და ვიხილე ნაკლიც...  
მადლმა ისინი გადაწონა, აჯობა ყველას.  
სიკეთის ქმნისთვის, ხორცს ვხედავდი დანებით ათლილს,  
გული ამტკივდა და დამჭირდა სასწრაფოდ შველა.  
მივენდე უფალს და დავეძებ გაზაფხულის კვალს,  
ეხ! ვერსად ვნახე მე სიმშვიდის თბილი სამყარო.  
გამოვიყიტე,.. ვიცი, დარდი მე უკვე მომკლავს,  
გაქრა იმედი... გლოვობს ჩემი გულის სამყარო.

ეს ლექსი როცა ნაიკითხე, შვილო, ჩაფიქრდი და მითხარი: მე გამოვტაცებ შენს იმედს ღრუბლებს და  
დარდიან გულში ჩაგახუტებო. რამდენ რამეს მპირდებოდი, იმ დედაშვილის გაყრის ღამეს პოეზიის საღამო  
გვქონდა. ჩემი პოეზიისა, შვილო.

### მარტოობის კუნძული

ქარის კრუსუნმა, ბუხარში სიცივე დამიარხა,  
ამაკანკალა... შევაფეთე თვალები ყინვას.  
ოჳ, რა დღეში ვარ, ნეტავი განახა,  
მარტოობის კუნძულთან ვდგავარ და ვგმინავ... .

### გევრი ვიპროლე

სულის მოძღვარო, რა გზას დავადგე,  
რომ ღმერთთან წარვდგე...  
მადლს ბევრჯერ ვთესავ,  
სიკეთე კი გზებზე დავაგე,  
სიყვარული...  
ჭადრაკივით ვითამაშე...  
ბევრი ვიპროლე...  
მაგრამ წავაგე.

### პატარა ვახტანგის (უმცროს შვილიშვილს)

სულის საამოდ მომევლინე, ჩემო პანავ...  
გული გამითბე, გამიმრავლე,  
ფუძე რჯახის,  
მე შენ სავალ გზას, სიყვარულით  
გამოგინალდავ,  
ვბრძოლობ ღვთის კალმით...

### ხელები მაქვს მადლით ნაჯაფი.

ჰმ!.. დედი, ყველას ტკივილი გტკივა, ამიტომაა, მე შენ რომ გგავარ.

რის ვაი ვაგლახით, ჩამეძინა, ვხედავ, ქარიშხალმა ჩემს სახლში კორიანტელი დააყენა, უშ! სახლი რას ჰავას, ზეზე ნამოვინიე და ვხედავ, ჩემს ფანჯარაში ლამაზ ქოთანში გახარებული ყვავილი დგას, გვერდით დურმიშხან კუპატაძე ომახიანი ხმით მომძახის: შვილი მოგიკლეს? შენ ხომ მკურნალ ექიმზე ერთი აუგი არ დაგცდენა. მიიღე ჩემგან ეს ყვავილი და შეეცადე „იმედი არ მოკლა“. ტელეფონის ზარმა გამალვიძა...

ლიანა მელიქიძე-ოსიაშვილი მირეკავდა, ეს ნიჭიერი ქალბატონი დურმიშხან კუპატაძის დაკრძალვაზე გავიცანი. მისმა თბილმა, მორძნობარე ფიქრებმა დურმიშხანისადმი მიძღვნილა, დამაინტერესა და ახლოს გავესაუბრე. იმ დღიდან ქალბატონი ლიანა ჩემი აკადემიის წევრი და უურნალ „ათინათის“ ავტორი გახდა. ალბათ, ესეც ბედი იყო? მას შემდეგ ის ჩემი ყველა ფიქრის, ჩემი ყველა ტკივილის გამზიარებელია, უთქმელად ესმის ჩემი ყველაფერი. რაც ეხლა ძალიან სჭირდება ჩემს მდგომარეობაში მყოფ შვილმკვდარ დედას.

დურმიშხან კუპატაძის გახსენება უურნალ „ათინათის“ მეორე ნომერში დავხეჭდე. მე მის საფლავთან ფიცი დავდე, რომ ყველა ნომერში მის სულს შევეხმიანებოდი. ის იყო გაზეთ „ლიტერატუ-

რული რუსთავის“ მთავარი რედაქტორი, პოეტი, მწერალი... ყველა ნომერში ბეჭდავდა ჩემი ძმის ლექსებს, ბეჟან ხარაიშვილს მკითხველი იცნობს, ხოლო მან 30 წელი იცოცხლა მხოლოდ, მისი ლექსები დღესაც ცოცხლობენ, 28 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც არ მინახავს ბეჟანი, მენატრება... უსაშველოდ მენატრება. ჩემი ძმა ლევან ხარაიშვილი, ერთი წელია, რაც დამელუპა, ლევანი ისეთი ავტორიტეტი იყო ქ. ჭიათურაში, ბირჟის ბიჭები გაიყოფლენ და გზას მითმობდნენ, ლევანის ხათრით. ჩემ ხელში გაზრდილი 32 წლის სიცოცხლით გაუმაძლარი მაზლიშვილიც ერთი წელია, რაც ალარა მყავს, რამაზ სხირტლაძე. ამ ტკივილებს მიმატებული ჩემი ავადმყოფობა, დარღით შეძენილი „კრიზი“.

დღეს 8 მარტია. კვლავ დურმიშხანის მორთმეული ყვავილები მიდგას თვალწინ, მისი სიტყვები კი მაფიქრებს:

„იმედი არ მოკლა“.

დურმიშხანმა იცოდა, ყვავილები რომ მიყვარდა და არ მაკლებდა 83 წლის მოხუცი ყურადღებას, შენ, ჩემი ნუნუკა ხარ, შვილოო, ხშირად მიმეორებდა ამ სიტყვებს.

ჩემი სახლის წინ ყვავილის ხე დარგო, ამით გამიხსენებო, მითხრა. გიხსენებ, ბატონო დურმიშხან, ჩემი ლექსის სტროფებით...

### სიკათის ხე (დურმიშხან კუპატაძეს)

შენ თესავდი დიდ სიყვარულს ხალხში  
და იცოდი ყადრი შენი მიწის...  
ახლა მაღლა ვარსკვლავთან ხარ ცაში,  
მჯერა მანდაც მუზის ცეცხლით იწვიო...  
დარდმოსხმული შენს ნაკვალებს დავდევ,  
გახსენებას ნამავს ცრემლის წვიმა.  
ჩემს სახლის წინ სიკეთის ხე დარგე,  
ხშირად ფიქრით იმ ხის ძირში მძინავს.  
გრამდეს, ფესვებს ხშირად წყალს დავუსხამ,  
რომ იცოცხლოს იმ ხემ გრილი ცვარით.  
ყურადღება იყო რაღაც სულ სხვა,  
სუნთქვას წყვეტდა წუთიერად მტკვარი.

შენ ჩემო ტკბილო გელა, შენ ვერ გაგიხსენებ, შვილო, შენ დედას სჭირდები. გაურკვევლობაში ვარ, გენაცვალოს დედა. ნუთუ ალარ გაახარებ შენ ლამაზ ცოლ-შვილს. უფროს გოვონა თამარ სხირტლაძე პირველი კურსის სტუდენტი დამიტოვე,

ბიზნესის და აღმინისტრირების ფაქულტეტზე სწავლობს, თეონა მეთერთმეტე კლასშია და პატარა ვახტანგი ორნლინახევრისაა. შემოიხედე, შვილო, ჩემი უურნალის ფურცელებში დაათვარიელე, შენი ცოლ-შვილის სურათები.





გენაცვალოს დედა, იმხელა ტკივილი ხარ ჩემთვის, ზღვაზე დიდი, ცაზე დიდი და დედამიწაზე დიდი. მოგიკვდეს დედა, სიცოცხლით გაუმაძლარო შვილო.

დავუჯერებ დურმიშხანის სიტყვებს და იმედს არ მოვკლავ. თავს იმით დავიმშვიდებ, რომ შინაურების გარდა, შენ უცხო სულები შემოგებებიან: ბათუ ხარებავა, რომელზეც დავწერე პოემა „მდუღარე ცრემლი”, მერაბ ლომიძე, მასზე დედიკო დაწერილი მაქვს, „ჟკვლელობა საკუთარ სახლში”, დავით გამყრელიძე (ზედმეტ სახელად პელე)

„ცაში დატრიალებული სიხარული”. ეს სამი სიცოცხლით გაუმაძლარი იმედის ბიჭები მოგხედავენ, შვილო. მე კი შენს ცოლ-შვილს ცრემლს არ დავანახებ, მე შენ ძმას, მამობას და ძმობას გავუწევ, თუ უხმო ცრემლებმა არ დამახრჩო.

ჩემი ლექსების კითხვაში, გარდამეცვალე დედი! მეხვენებოდი დედი, ექსპრონტად ლექსი მითხარიო, ხომ გითხარი, დედა გენაცვალოს, „ლმერთო სიცოცხლე მაჩუქე, ჩემი შვილისთვის მინდათქო”... ახლა კი ლექსით ვამთავრებ შენთან საუბარს, შვილო.

### შენ რამდენის სტანჯავ „ცუდო ბედო”

ცრემლის წვეთებო, გადმომდინდი მწარე არაყად,  
მერდი ამიგსე, შხამის წვეთით შე, სატიალო.  
დაუნდობელო, არ გრცხვენია? გხედავ ამაყად  
არ გეცოდები? ხორცა მიჯიჯგნი... ჩემში ტრიალებ...  
სხვისი შვილების ტკივილებით ცრემლი გამიშრა,  
ბათუს, მერაბის უკვდავების ძეგლი დავუდგი.  
ლარისას ბიჭის სიკვდილით მე, ძილი დამიფრთხა  
და არასოდეს არც მითქვია სხივისი აუგი.  
ძალიან მიკვირს რად ჩამაცვი სამოსი დარდის.  
სიკეთის თესვით, გზები ხომ მაქვს გადატკეპნილი,  
ქვად მაქციე და... მთელ ძარლვებში ტკივილი დადის,  
დავფორთხიალობ, უკვე წელში გადაწყვეტილი.  
ო, ჯალათო, ჩემი თავი რატომ გეკუთვნის,  
მადლს უხვად ვთესავ... არ მომკივის სხვისი ცოდვები.  
სხვა გზა არა მაქვს, „მდუღარე ცრემლს” ფრთხილად შევფუთნი.  
შენ იმდენს სძულხარ... „ჩემო მკვლელო”, კვლავ მეცოდები.

დედა გენაცვალოს ტყუპებივით გზრდიდით ორივე ბიჭს, ამიტომაა, რომ ვამბობდი ლექსში, მაშინ როცა გახარებული დედა ვიყავი.

მიხარია... მიხარია... მიხარია...

დედა ვარ! შვილებსა ვზრდი, მიხარია,  
ნარსული?.. ჩემებიც იქ არიან,  
სიცოცხლე?.. ერთი ლამის სიზმარია.

ან კიდევ:

თქვენ რომ მინდოდით მყოლებოდით, სული ჩაგიდგით,  
დაიბალეთ და მე დაგარქვით დავითი, გელა,  
თქვენ პატარებმა იქ, დიდ ოჯახში ფეხი აიდგით.  
მე დედა გავხდი, დამეკისრა ტვირთი რამხელა.  
უკვე დაგზარდეთ, დაგამჩნიეთ დედური კვალი

და ჩაგაგონეთ ერის დაცვა, სამშობლოს ვალი .  
გამრავლდით, შვილო, აპრიალდეს ბუხარში ალი,  
გქონდეთ ძმობა და სიყვარული, მაშინ ვარ ქალი.

**ლექსით ვმღეროდი:**

გულში ვმღერი, როცა შვილებს ვხედავ,  
და უფალო, სიტყვას კრძალვით გბედავ.  
სულ მამყოფე ბედნიერი დედა,  
კიდევ რამეს ვინატრებდი წეტა?

ჰოდა, დედიკო, ახლა მე გულში ვტირი, ჩემი დარდით სხვას არ შევაწუხებ, რადგან შვილო, ყველას  
თავიანთი გოლგოთა აქვს გასავლელი, ჩემით არავის დავამძიმებ.

გელა: შენ გაჭირვებული გეცოდებოდა.

გელა: შენ ოჯახი გიყვარდა.

გელა: შენ სამშობლო გიყვარდა.

ჩემო მაგარო, სამართლიანო ბიჭო, ძიუდოს თანრიგოსანო, ლესელიძის სახელობის სამხედრო სკო-  
ლა დამთავრებულო, მეტალურგიის ქარხის მთავარო პერატორო, მერე, უკვე ოჯახს რომ დასჭირდა,  
ყველაფრისმცოდნე, 39 წლის შვილო, წახვედი და დამიტოვე სამი ობოლი.

შენი დაბადების ორმოც წელს, 27 აპრილს შენი გარდაცვალების 40-ით შეხვდები, შვილო.  
დედა გენაცვალოს, შვილო, დედა!

ჩნარედ ვიხსენებ ჩემო ბიჭო,  
შენს ტკბილ ბავშვობას . . .  
ბუნჩულა ხელებს, რომ გიკრავდი  
წითელ არტახით.  
ბიჭი გინდოდა თგყოლებოდათ . . .  
ტკბილ ვახშმობა და . . .  
ახლა სადა ხარ! გელოდება შენი ვახტანგი . . .  
თავის ტოლები, დაჩაგრავენ  
უმამოს შვილო,  
ვის მიაშუროს მოქომავედ, შენმა პატარამ,

ჩემო კეთილო, ალალო და ძალიან თბილო, . . .  
არ შემიძლია ამ ტკივილის უკვე ატანა.  
ისე მძიმეა, ვერ ვერევი დამწყდა  
მკლავები,  
ვთხოვ გამომცადე . . . აბა დედა რას  
იზამს შენთვის . . .  
მე შენს ცოლ-შვილის, მძიმე უღელს  
ვერ ვუმკლავდები,  
ეგ, ფიცრის სახლი, მე დამითმე,  
ინამე ღმერთი!

## ჩემო გელა

გამიჩნდი შვილო, დაიბადე ვეფხვივით ბიჭი,  
ისე გაგზარდე, გრილ ნიავსაც არ გაკარებდი.  
ახლა სადა ხარ, შენს გარეშე ძალიან მიჭირს,  
ცხრა თვე სიფრთხილით, სიფაქიზით დაგატარებდი.  
თავს გევლებოდი, გიფანტავდი, ღრუბლიან ნისლებს,  
რად გამოხურე შენი ჭერის სახლის კარები.  
გულში დამჭერი . . . ველარ ვიძრობ მკერდიდან ისრებს.  
ო, დავიღალე, შავი ფერის კაბის ტარებით.  
ორპირხმალივით გამილესა ბედმა წამწამი,  
და ქარიშხალმა „ნიფელივით“ ლამის გამახმოს.  
ჩამოვიშალე მგლოვიარედ თმიდან ნაწნავი,  
სადახარ შვილო, სად გეძებო, მითხარ სად ვნახავ!



## შეკრიბის

**იკა ქადაგიძე**

### პარტული გზები

გზა მოეც ისეთ უიღბლობის შემორკინებას,  
 ლაშა-გიორგის ხმას რომ ჩრდილავს, ჰე, ჰამადავლე!  
 ძმარი შეასვი ლურსმნის ფერდზე გაკიდულ წებას,  
 საკუთარ სიზმარს ჩონჩხის ყანნით შენ სანამ დალევ!  
 კიდურზე მშვილდად დრო მოგწვდება, გადაწვაროული,  
 მტვრიან ქონგურზე მათრახები გულმშვიდად ავლენ,  
 ყველა ეპოქას მოინელებს მზერა ქართული,  
 მზის ფერხულს ქვიშან შემოაცვდი, ჰე, ჰამადავლე!  
 მე ისე მცხელა, უდაბნოთა კიუინის ფერად  
 ჟამითი კარი უსასრულო ტალღებით განვვლე,  
 მამულის ძარღვი გადამექცა უსავსო წერად  
 შენ რომ გაკროთობდა უშორეს დღეს, ჰე, ჰამადავლე!  
 გზა მოეც ისეთ უიღბლობის შემორკინებას,  
 რომ შიშსაც ხელი ვითა ფაფარს ისე წაავლე,  
 მზემ ლაშას მზერის სილურჯები სვლა თუ ინება,  
 საუკუნენი აღმა დავლენ, ჰე, ჰამადავლე!

### პარტული სული

შენ რომ შეგეძლოს ნაკვერჩხალი რამლივით ყარო,  
 მე დამთხვეული ყარიბივით მზეს ვტყორცნი სურებს,  
 ქართული სული უკერპესად დრო-ჟამს გაჰყურებს,  
 და არად ულირს თუ განუდგა მთელი სამყარო!

შენ რომ შეგეძლოს მოირმისფრო ცა მიწად ყარო  
 ჩემში იფეთქებს მძლავრი ჯიში გადანახული,  
 ვერ აღმოფხვრიან, საფერთქლებში მიდულს ხახული,  
 თუნდ ეპოქათა მძვინვარება გადამაყარონ.

შენ რომ შეგეძლოს ვიწრო სივრცეს სუნთქვა აჰყარო,  
 მე უსაშველო ბრძოლის უინი დამებედება,  
 უუამო სისხლი გამკვრივდება ჭიუბ ქედებად,  
 სადაც ოდესმე მზერას იღრძობს მთელი სამყარო.

შენ რომ შეგეძლოს დედამინა რამლივით ყარო,  
 მზის სავსე ჭიხვინს თავს დავატეს ზღვით სავსე სურებს,  
 ქართული სული უკერპესად დრო-ჟამს გაჰყურებს  
 და არად ულირს თუ განუდგა მთელი სამყარო!

### გზის პეიზაჟი

მე წამოვედი მაშინ, მზე რომ იასამნობდა,  
 რატომლაც წვიმას დაუტოვეს დუმილის წება,  
 ზღვა მოვიკიდოთ ეულ ზურგზე, დრო რომ გვექნება,  
 ზვირთი ამბობდა.

მე წამოვედი მაშინ, მზე რომ იასამნობდა,  
 უეცრად ფეხი წამოვკარი მზერათა უტყვი ქარს,  
 შენი სიტყვები მავონებდნენ წანები სამხარს,  
 ქვიშა რომ ფლობდა.

მე წამოვედი მაშინ, მზე რომ იასამნობდა,  
 რნმენაში ენთო მოარული ფერების ფეტვი,  
 უხსოვარ ბგერებს გავატანე, შენ რასაც მეტყვი  
 მზერა ცას თმობდა.

მე წამოვედი მაშინ, მზე რომ იასამნობდა,  
 უსიერ კლდებს დამთქნარების წაჰევარეს წება,  
 დროს რომ გავუსწროთ თუნდაც ერთხელ,  
 არ შეიძლება? ზღვა გვიამბობდა.

## სერაფიტა

დაეც სიმაღლე — დამრეც კენჭად დრომ რომ მოხატა,  
ხორშაკშეუწველ სივრცეების შემოგელვებით,  
მზის შენაცვლება მოეჟვნისფრო ცრემლის ოხათა,  
ჩემგან ტირიფის სიჩუმეში ყოფნა ეგების.

ქართა სასულეს წვიმა მოსვამს ენკენისთვეთა,  
მზე აღასრულებს ფიქრის სიზმარს, ელვის მბეჭველი,  
ცა ჩემს გიშრისფერ კულულიდან ჩამოეხეტა,  
ფიქალი მხრებით ამოგწვდება დღე უეჭველი.

ჩემს ხრიოკ ღიმილს მოწალდული უამიც ეყოფა,  
ორბაფრენილი სივრცეები, ღრუბლები კიდევ...  
ზღვას მობივრილო ნაპირები შემოექობა,  
ხელითა შენით დაუმსკდარი მზე შემომიჭდევ.

შენთან მოვილტვი, უფასუნჯო სირთულით ულევ  
წყვდიადფერ მზერით უმოძრაო სულებს რომ ფილტრავ  
და ოდეს ზეცა ვარსკვლავთ მოდგმას იბერნისწულებს,  
ქართულ სამყაროს მეოხ ეყავ, შენ სერაფიტა!

\* \* \*

ახლა გავიგე რა არის თურმე  
ბედნიერება ქალის, ძლიერის,  
შემოგარიგებ გრალს მისტუმრე  
ოდეს შვას ქვიშამ დასალიერი.

### ტიტე მოხია

#### ვალი

გამეჩირება ფიქრები ტვინში:  
ჩხირების თლა სკობს კითხვას და წერას.  
მელანქოლია ჩამიჯდა წილში,  
უმოწყალოდაც მიჩაგრავს რწმენას.  
იზრდება დიდი სევდის მინდორი.  
მყრალი ჩხავილი ყორნის გაისმის,  
თუ დავთმეთ ჩვენი წილი დიდგორი,  
მივიღეთ ჩვენი წილი კრწანისი.  
შემოვიქსოვეთ მარაზმის პარკი,  
ვართ განუწულო ნალვლის წვიმაში.  
მამულის დახსნა! ეს არის ხარკი  
და ქედის დახრა ვალის წინაშე.

#### ასლი

მარტის მზესავით კეკლუცობს პოზა,  
ყურს მიეჩრდილა სიმღერა გედის.  
ინყება ჩემი ღლიური პროზა,  
სტრიქონიც ნელა (ცახცახში შედის.  
ზემოდან დამზერს უმცროსი უფროსს,  
როგორც გაპობა გულის სატევრით.  
შენ სააქაოს მოგავსარ უფრო,  
მე საიქიოს რიგში ჩატენილს.  
სიცოცხლე იქცა სიკედილის არსად,  
არარაობის კვალსაც ავლებენ.  
ორიგინალი ვიქეცი ასლად,  
ქსეროქსზე არც კი გამამრავლებენ.

#### ეპისკოპისი პეჯო

იორბა რატიანს

#### ფრაგმენტი სოცემური დღიურიდან

ჩასძინებოდათ ვარსკვლავებს, მთვარეს,  
ზღვა იყო წყნარი და სანაპიროც.  
ხის სიმშვიდეში ეძინა ღამეს,  
თითქოს სამყაროს სუნთქვას ვუსმენდით.  
შენივე გულის მოძრაობა კი  
ჩემს ტუჩებზე იმკვრივებდა ხმას.

გაშიგნულ მინის ქვის სამარხში  
უამთაცვლას ფეხი გადაუცურდა.  
არის სავსება ჰენჯოს სიმშვიდის.  
ბამბუკის მილში  
ვერ ეტევა საწუთროს ვნება,  
იმ ჰაერგამტარ ბამბუკის მილში...  
სანთლის წვეთივით დნება სხეული.

## გივი სიხარულიძე

### ინსლად გადაეფარე

ფიქრობს ათას რამეზე,  
უკვე ჩავლილ დროზე და  
საათებზე, წამებზე..  
სევდას გატყობ, რაინდო,  
უკვე მიმქრალ თვალებზე.  
მერე გილამდებოდა ისევ,  
ისევ ქალებზე..  
ახლა უკვე გაფრინდა,  
ფიქრი შენი ელვარე,  
აღარა ხარ არნივი,  
არც ავაზა მშფოთვარე,  
აღარ ვიდულს ძარღვებში  
სისხლი შენი მღელვარე,  
ჩაქრი, როგორც სახოლი,  
თითქოს მთას მიეფარე,  
და წარსულის ზეობას  
ნისლად გადაეფარე.

### დროის ათვლა

დროის ათვლა, ჩემო, შენით დავინწყე,  
ნალდად ვიცი შენზევე დამთავრდება,  
ვერ გაფიგე წუთისოფლის ანბანი,  
სად იწყება და ან სადრა მთავრდება.  
შენ, ჩემს გულში შემოჭრილო გრიგალო,  
ველარ ვხვდები საით ვაგაგრიალო,  
დამიმსხვრიე გულის შუმაბანდები,  
გიუად ვიქეც გამიჩინე დარდები,  
არც ია ხარ, და არც მისი დობილი,  
ენძელა ხარ მინდვრის ლელვით შობილო,  
მე სიონ ვარ, ძლიერ ქართა ძმობილი,  
შენს სიყვარულს ალალად მინდობილო.

### ღერთისგან ნაფერებო ქალო!

ლაგამს მორეულო,  
უნაგირ აწყვეტილო, რაშო.  
მთის ნისლო, წამოსულო,  
მშვენებად ჩამოსულო,  
ჩანჩქერად გადმოლვრილო, ქალო!  
ზღვის ტალღით ნაფერებო,  
შენ, მუზის ფერებო,  
მზისა და ვარსკვლავის  
და მთვარის ფერებო,  
მისგან ნაფერებო,  
ჩემგან ნაფერებო,  
ყველასგან ნაფერებო,  
ყველგან ნაფერებო,  
შენ, იის ფერებო,  
შენ, ვარდის ფერებო,  
ღმერთისგან ნაფერებო, ქალო!

### ვულკანური ნარმოშობის ქალო

ვულკანური ნარმოშობის ქალო,  
სიყვარულის და სინაზის ქნარო,  
მონატრების საოცარო ნამო  
მე შენს გარდა, აბა ვინ ვინამო?  
ფიქრის ნისლში გახვეულო ქალო,  
შენ, ხატებავ, საამო და წყნარო,  
მთის ფერდობზე მონავარდე წყარო,  
ფერფლად ვიქეც  
თუ არ შეგიყვარო!

### ეთერ ზარიძე

\*\*\*

ჩვენი ლამაზი ვრძნობის უკვდავ ჰანგს,  
ეს გაუმარჯოს აპრილის ზვიმებს...  
სიყვარულისთვის აუღერებულ ჩანგს  
და სიმღერაში დაწყვეტილ სიმებს.  
ქარ-ცეცხლად ვნების აგრიგალებას,  
ჩვენი ოცნების წერტილს და მძიმეს,  
სიცოცხლეს ქცეულს მაღრიგალებად  
და შეხვედრების სითბოს და იმედს.

### ზამთრის ქარები

გამაპეზრებენ ზამთრის ქარები,  
უშენოდ შთენილს, რა მეშვეობება?!  
და თოვლის თეთრი მინანქარები  
სულში ტკივილად ჩაესვენება.  
ვკითხულობ შექსპირს, ბაირონს, დანტეს,  
თავს დამტრიალებს შენი მშვენება...  
გრძნობას, რომელიც ლექსებში ვხატე,  
არ უწერია გადაშენება.

### ერთი ნაბიჯი

ცრემლი დამჩემდა ბედად,  
ვიცი და აღარ გელი...  
გულში სრიალებს სევდა,  
როგორც ასაიტი გველი.  
დარდის საწვიმარ ღრუბლებში  
უჩინარდები ისევ,  
გამიორგულდა ნუგეში,  
სევდის მუსიკას ვისმენ.  
სულში ტკივილმა დათოვა,  
არსად იმედი არ ჩანს,  
სიყალბემ შემომაქსოვა  
სამგლოვიარო ფარჩა.  
ტანჯვამ ვერ გადამაქცია  
მოღალატედ და ჩარჩად...  
ვხედავ, რომ აღსასრულამდე  
ერთი ნაბიჯი დამრჩა.

\*\*\*

ქარმა ღრუბლები ისევ აშალა  
და გადაფურცლა სევდის ამბებად...  
ძველი ოცნების წყარო დამშრალა,  
ნამლერი ლამაზ დითირამბებად.  
ვის გაანდობენ ვარდები გუმანს,  
ბულბულის ენით ნაალერსალინი,  
და მოწყენილი დღეები სდუმან,  
როგორც ზამთარში თეთრი ვერსალი.  
ისევ არყოფნის ზარმა დარეკა,  
მაგრამ იმედად არ ჩანს არავინ,  
და დარდის მღვრიე ტალღამ ნალეკა  
ძველი გრძნობების თეთრი კარავი.

## საით მივექანებით?

ირგვლივ ისევ ბინდია, ქრიან შმაგი ქარები...  
გზები საით მიდიან? საით მივექანებით?  
ულიმლამი სიცოცხლეს ვუმზერ ეჭვის თვალებით,  
ღმერთო, ნეტავ ვიცოდე, საით მივექანებით?  
ქართულ ენას ვიწუნებთ სასაუბროდ, სამდერად...  
უცხო ქვეყნებს მიველტვით, გასართობად, სამზეროდ.  
დედა დედინაცგალზე უსინდისოდ გავცვალეთ...  
სხვის ენაზე სინმინდეს ვრყვნით და განგებ ვამცირებთ,  
ყველაფერი ქართული დასაღუპად გავწირეთ.  
სადღაც ეშმა ხარსარებს, ქრიან შმაგი ქარები...  
ქართველებო, შეჩერდით! საით მიექანებით?!

## პარიზის ცისძვეშ

(ბატონ რეზო ადამიას)

უკვდავ ქმნილებად ამეტყველდა ფერების გამა,  
პარიზის ცისქვემ თავს იწონებს ქართული ნიჭი,  
ჩვენს სამშობლოში თქვენისთანა ბევრია განა,  
მაგრამ ქართველებს კარგის ქება ძალიან გვიჭირს.  
თქვენს ზეკაცობას ძლიერ შვენის ეგ თავმდაბლობა,  
ნამდვილო კოლხო, ზნით მაღალო, სულით ნათელო,  
თქვენ რო არსებობთ, ამისათვის უფალს მადლობა!  
ნეტავ თქვენებრი ბევრი ჰყავი ჰყენს საქართველოს!

## გვედრი უფალო

ამდენ სატანჯველს ისევ რწმენა  
უნდა ვუფაროთ  
გაამთლიანე საქართველო!  
გვედრი უფალო!  
არ დაიკარგოს ჭაბუკ გმირთა  
სისხლი უკვალოდ!  
მომავალს ჩვენსას გზა ისევ ჩვენ  
უნდა ვუკვალოთ.  
ჰქონდეს ქართველებს დღე-მზიანი,  
მშვიდი, უქარო,  
შენც ბრძოლა გმართებს პოეზიის  
ტალღავ მქუჩარო!..  
არ დაუტოვოთ შვილთაშვილებს  
სახლი უკაროდ,  
გაამთლიანე საქართველო!  
გვედრი უფალო!

## თამარ ჯაჭვაძე

### ქართული სული

უკუნი დამე ვეღარ გათენდა,  
ვერ უპოვიათ გზა-კვალი აზრებს...  
თურმე რამდენჯერ დავიბადე და  
რამდენჯერ მოვავდი ცხოვრების გზაზე.  
მე დავიბადე, ცეცხლოვან ცაზე,  
კრატერადეცეულ მთების საშიდან,  
ხეებს აგვისტო ეწვოდათ ტანზე  
და მზის კომეტა მიწას დაშორდა.  
მე დავიბადე, როცა ვიღაცამ  
გამომიწოდა დაცემულს ხელი,  
როცა მაჩუქეს მოულოდნელად  
იასამანი სულ ერთი ღერი.  
როცა ვიღაცა თავისი მკერდით  
ჩემსკენ მომართულ ქვას აეფარა,  
როცა ტკივილებს ლექსებად ვწერდი  
და დამებები საგზლად მეყარა.  
ვიბადებოდი ყოველ გაზაფხულს,  
როცა ენძელა თვალებს ახელდა...  
როცა ძარღვებმი ენგურად ჩემფდა  
მონატრება და გრძნობის გამხელა.  
როცა ძორი გზით ნასულ სიყვარულს  
მოწყურდებოდი, მჯეროდა მისი...  
და მახარებდა ძალიან ცოტა,  
კვირტებდახუჭულ ხეებს ვკოცნიდი.  
მე დავიბადე დაბადებიდან,  
მერქვა ადამი და მერქვა ევა,  
მერქვა ლაზარე, მერქვა გიორგი,  
ხმალი, სანთელი და ცრემლთა ფრქვევა.

მე დავიბადე მაშინ, როდესაც  
შემოდიოდა ჯვრით ხელში ნინო...  
დედის ცრემლივით უანკარესი  
თან ზიარების მომქონდა ღვინო.  
მე დავიბადე ვაზის ყვავილით,  
მეჭირა ხმალი და გუთნის ტარი,  
ვედარებოდი მესიის მახვილს  
და დარუბანდის მებარა კარი.  
მე დავიბადე მაშინ, როდესაც  
ვეფხვის და მიყმის ბალადას ვწერდი,  
თაფლით გაპოხილ მოძმეთა გვერდით,  
როს გავიშიშვლე ზურგი და მკერდი.  
მაშინ, როდესაც მამულს უჭირდა  
და მიაშევლა დედამ ცხრა ვაჟი,  
როცა არაგვზე მტერი ჩაიხრჩი  
სამასი რეინის მკლავის ლავაში.  
მე დავიბადე ძალიან ხშირად,  
მე დავიბადე ძალიან ბევრი,  
მაშინ, როდესაც სიცოცხლეს თმობდა  
მამულისათვის ერი და ბერი.  
მაგრამ, როდესაც მწუხრი მკორტნიდა,  
სიყვარულისგან არ დავიცალე,  
ათი ათასჯერ დაბადებული  
ასი ათასჯერ გარდავიცვალე.  
მე მაშინ მოვავდი, როცა ვტიროდი,  
არ მანუგება ქვეყნად არავინ...  
უკაცური და მიტოვებული  
ქარებს მიჰქონდა ჩემი კარავი.

მე მაშინ მოვკვდი, როცა ზაფხულმა  
არ ჩამიღვარა ძარღვებში სითბო,  
როცა ბიჭებმა არ შემომზედეს,  
როცა გოგონამ სკამი დამითმო.  
მე მაშინ მოვკვდი, როდესაც სიტყვა  
ტყვიაზე მწარედ მეტყინა გულში...  
როცა შეძავის საწოლში ჩანვა,  
ვინც სიგიურმდე მიყვარდა გუშინ!  
მე მაშინ მოვკვდი, როცა მეგობარს  
აღარ ეტკინა ჩემი წუხილი,  
როცა სამშობლოს მიგინებდნენ და  
ხელ-ფეხ გაკრული მე თავს ვუხრიდო.  
როცა მომგლიჯეს გულივით მინა  
და სამშობლოდან გამომაძევეს...  
როს ბაზშვი ციცქნა კუბოში იწვა  
და მთებს შევბლავლე, ლამენათევებს.  
მოვკვდი, როდესაც მართმევდნენ ენას  
და სხვის ენაზე ამაჭიკიკეს...  
ჩემი წიგნები წყალს გაატანეს,  
ჩემი ტაძარი მიუგდეს ჭინკებს.  
როდესაც შვილი, თავისი წებით,  
გზას გაუყენეს სტამბოლისაკენ,  
როცა წამრთვეს დედის ძუძუ და  
ბელურასავით მიყრიდნენ საკენკს.  
მე მაშინ მოვკვდი, როცა აპრილშა  
სისხლით შედება ცაცხვების კალთა,  
მე გაზაფხულის მოსვლას ველოდი,  
სატანა მოდგა თბილისის კართან.  
მოვკვდი, როდესაც ნაწისქვილარში,  
ზუბოვების გზაზე ქარი კიოდა,  
გადაკარგული, გარუსებული  
მგოსნის — ქართული გული მტკიოდა.  
მე მოვკვდი, როცა უცხო მხარეში  
გადაიხვენა დიდი გენია...  
და სალოცავად მშობელ მინაში  
წმინდა საფლავიც არ დამრჩენია.  
მე მაშინ მოვკვდი, როს განჯის გზაზე  
სიკედილს ებრძოდა ერთი მერანი,  
ხელმოცარული, გაოგნებული  
უკან იხევდა ბედის მწერალი.  
მე მაშინ მოვკვდი, ნადედოფლარი  
ქარს რომ მიჰქონდა თეთრი მანდილი,  
ერთგულებას და ერის სიყვარულს  
ვერ ახუნებდა დრო და მახილი.  
როცა ოქროთი ნაჭედი სკივრი  
ბედნიერ ღიმილს ვერ იფარავდა...  
და მძიმე იყო მამობის ტვირთი,  
მარტყოფს ველზე წუხდა მარაბდა.  
მე მოვკვდი, როცა მეტენის ხიდზე  
პირქვე დაამხეს ქართველის სინდისი,  
ასიათასჯერ სისხლმა შედება  
დედის კალთა და ხატება მისი.  
მე მოვკვდი, როცა ბერდანკის ტყვიამ  
გზაში მოცელა თეთრი ირემი,  
თუ საქართველო გოლგოთის ტყვეა,  
დადგეს აღდგომა დანაპირები!  
როს წვიმად მოსვლას ნატრობდა ბაგშვი  
ცალთვალა დევის ნესტიან ქოხში...  
და შეუკერა მამის გენიამ  
ობოლ გოგონას შელის წუკრის ქოში.  
მე მაშინ მოვკვდი, როს ლექსთა მეფეს  
ხელი ვკარით და ცაში გაფრინდა,  
ვიღაცა ალბათ შეიფერებდა,  
ვიღაცა სხეულს დაუდაფნიდა.  
მე მოვკვდი, როცა ავი სენივით

ფილტვებს ეკვეთა მამულზე დარდი,  
ეული მხატვრის გასახსენებლად  
თბილისში დადის მაღალი ლანდი.  
მე მოვკვდი ბელორუსის ტყეში  
და ქერა თმები მიჰქონდათ ქარებს...  
ასი წლის შემდეგ მოვა ვიღაცა  
და ნატყვიარი ლექსით იხარებს.  
...  
ენამებოდა მარად პოეტი,  
სიყვარულით და მამულით სავსე,  
დაბადებიდან ვიბადებოდი,  
დაბადებიდან ვევდებოდი ასე.  
როცა შვილები დავიწყებენ  
აიყრებიან ჭალარა მთებით...  
უკანასკნელად გასკდება გული,  
უკანასკნელად მაშინ მოვკვდები!

## ერის მოძღვარი

საქართველოს  
კათოლიკოს პატრიარქს  
მამულისათვის ლოცვადქცეული  
სიცოცხლის წლები საით მიღიან?!  
ქედუხრელია ქართული სული  
და საქართველო ისევ დიდია.  
დგას ამბიონზე გრაალის მცველი,  
ვინც ერზე ფიქრში წლები ათია...  
და დაღალული მთრთოლვარე ხელი  
საკურთხეველზე სანთლად ანთია..  
მიგვიძლივს ლოცვის საუკუნეში,  
სული სპეტაკი, შუბლი ნათელი,  
ქადაგებს ჩემი ერის ნუგეში  
და ჭირსა შიგან —  
გალობს ქართველი.  
დაქანცულია ლოცვით ხელები,  
სულიერ მამას უსმინე ერო,  
რწმენით მაღლდება შენი ტაძარი,  
სამარადისო, საბედნერო.  
ნუ დაგვეხრები სიმართლის ფარო,  
არ მოგვიშალო მადლით შენება...  
იცოცხლეთ დიდი ერის მოძღვარო,  
თორემ უთქვენოდ რა გვეშველება?!

## გადლოგელი ვარ

რისთვის შემოველ?  
გამაბრუა სანთლების სუნმა,  
ყველა ჩუმია  
და სევდიანი ეკლესიაში...  
რალაც ძლიერი,  
ზებუნებრივი შეიგრძნო სულმა  
და აფარფატდა  
საკმეველის მსუბუქ ნიავში.  
ადამიანურ სურვილს აბა  
რა ძალა დათვლის?  
მე რა ვინატრო?  
სანატრელი რაოდენია!  
სიცოცხლისათვის, ტანჯვისათვის,  
ამ წვიმისათვის,  
არაფერს ვითხოვ,  
სულ უბრალოდ  
მადლობელი ვარ!

## მაის რაზმაში

\*\*\*

მე მივდიოდი საქართველოდან  
მე მივდიოდი, გზა დაღმართს გასცდა,  
თან მიმყვებოდა გორიჯვრის ოხვრა  
და განშორების შეშლილი განცდა  
ბრმა ტყვიასავით შიგ გულში მომხედა.  
მდუღარე ცრემლი, მღვრიე თვალებში,  
გადარეულ და შლეგ ქარებს ჰგავდა,  
უკურთხებელი, რიოში ბედი,  
სულს მიხუთავდა და ყელზე მადგა.  
მაცხოვნებელი მომავლის სხივი  
გაოცებული შემომცეკვოდა...  
სხეულს ავსებდა მწველი სიცივე,  
მე მოვდიოდი საქართველოდან.

\*\*\*

ახლა ისე გულწრფელი  
ვერ ვიქნები იცოდე,  
რაგინდ სიყვარულით და  
ჩუმი ცეცხლით ვიწვოდე.  
დილით ქარის აკორდებს  
ავედევნე ლილიზით,  
ატმის ყვავილს მაგონებს  
თვალმცინარი ლიმილი.  
სხივდაფენილ ქუჩაბანდს  
ამუღლით მივყები  
და ჩვენს პირველ შეხვედრას  
მეათასედ გიყვები.  
გთხოვ, ნუ მომაჩერდები,  
დატუქსული თვალებით,  
ვერ ვირწმუნე ლაჩრების  
გადახდილი ვალები.  
თუმცა, რარიგ მწადია  
თვალდახუჭულს მჯეროდეს,  
მთელი ჩემი ცხოვრება  
მართალ სიტყვას ველოდე!

ისევ გტოვებ საქართველოვ,  
ისევ ზენა ქარია,  
არ გეგონოს, რომ მივდივარ,  
მივერო, მიმისარია.  
საცალფეხო ბილიკები  
ჯვარზე წყვილად ადიან,  
ცრემლებით რომ მიმაცილებს  
ჩემი გორიჯვარია.  
გულის სიმებს აუღარუნებს  
ზე-მაღალი მოირა  
და ცისკარმა განშორების  
სევდა მხრებზე მოისხა.  
დაგბრუნდები, საყვარელო,  
ჩაგეხვევი საგულეს,  
სიყვარულის სურნელებას  
მხოლოდ შენ ერთს გაგულებ.

## 30თ მარტის კამალიები

ზეცის თავანზე ნისლი აშლილა  
მომნატრებია სველი თვალები,  
თეთრი არწივი ფრთას რომ გაშლიდა,  
იმგვარ სილადეს ვეალერსები.  
მწველი სტრიქონის ლურჯი ჩერალი,  
უტიფარი და მწარე სევდები,  
პოეზიაზე შეყვარებული  
წრფელი ცრემლებით დამისველდები.  
ფორტეპიანოს თეთრ კლავიშებზე  
დათამაშობენ ცელქი თითები,  
ეამბორებს სიტყვათა კონებს  
გრძნობა მუზებით ნასათუთები.  
ტკბილად მღეროდა ვით გაზაფხული,  
ნარნარა მოლი ია-იებით,  
ვარ მონყენილი და დაზაფრული,  
ვით მგლოვიარე კამელიები.

## გიული შალიკაშვილი

### ჩემო მამაო შოთა (ბაბლიძე)

წუთის ფორიაქს ავხსნიდი ასე,  
უნდა შვას შენზე ახალი ლექსი.  
ოთახს ციური სხივებით ავსება!  
თვით ანგელოზთა გალობა მესმის!  
ვარდის წვეთები ეცემა რიდეს,  
სხვაგვარად იწყებს სანთელი ლიცლიცს.  
ლვთის სადიდებლად ვილოცებ იმდენს...  
როგორ მიყვარხარ, ეს მან ხო იცის?  
და ანებივრებს თვალს ფერთა გამა,  
გაიძრიალებს მანტია შენი.  
და რომ გშვა ჩვებოთვის მიწამან, ცამან,  
ჩვენ რას ვაკეთებთ, მამაო შენთვის?!

ღვთით ვუმკლავდები, შენით ბედს ელამს! ..

და უქმად იცდის ცდუნება კართან! ..

და ამ ჩემულ საჭრეთელს, წერაქვს,  
როს ვიწყობ ხოლმე სარეცლის თავთან  
ჩამესმის ხოლმ ეგ წმინდა სუნთქვა,  
მაგ ლოცვის ბუტუნს მივყავარ სადღაც!  
მრავალუამიერ, მაღლობა უფალს,  
მჯერა, უკლებრივ ისმენს შენს ლაღადს!

შენით ვიმრთელებ ნაჭუჭებს სულის,  
უამეულ დელგმას შევება უნდა.  
ეგ გამოხედვა, ეგ კილო ბრძნული,  
რომ მაქარგვინებს იმედის გუდას!  
რწმენა ციაგობს, ხალისი მრთელობს,  
ტერფებს ვუკოცნი წინაპართ ჩრდილებს.  
ხმა მივაწვდინო ჩემს საქართველოს,  
რომ გავუფრხილდეთ შენნაირ შვილებს.  
შვილთა სიმრავლით ზეობდეს ჭერი,  
ამ ფიქრით ვურბენ შენს ფუძე-კერას.  
შენებრი რმერთმა დე, გვიშვას ბევრი,  
ვერ იბოგინებს დუშმანი, ვერა.  
ჩემი სიმღერა ახალი, ძველი,  
შენი კურთხევით ეწაფვის ფრენას.  
ციური სითბო გრძნეული ხელის  
სულს დამზრალს რომ ჰგვრის შევებას და ლხენას!  
ასცექს ცის ველზე ყვავილებს გაშლილს,  
სიო აქანებს ნაზად ცის ფარდას.  
მინიერ ელდას დამბაჩას ახლის,  
ეგულებოდე შენ ოღონდ კარგად.

31.08.20116.

## ემიგრაცია — ლალის

ქარი გარს ურბენს გაძარცვულ ველებს,  
ხან მთელი ძალით აწება კარებს.  
დარდი კალთაზე იფშვნიტავს ხელებს,  
რომ კივის ჭერი — ხარ საზღვარგარეთ!  
ელდა ილერებს ყელსა და კისერს,  
შფოთავს წუთი და შუბლს უთვლის დარებს.  
საყვედურობენ ეს მთებიც ნისლებს,  
დედა-შვილი რომ ასე გაგვყარეს.  
და დრო-ვერაგი განაგრძობს ხითხითს,  
ჯერ ისევ ხრჩოლავს კვამლი დენთისა,  
ჯერ არც ამშრალა ტბორები სისხლის,  
ქანაობს ქარში ხიდი ბეწვისა!

მტკვარი ბორგავს და ახეთქებს ზვირთებს,  
შიმშილი დაძრნის კარიდან კარად.  
რუსეთის „მეღლა“ უკან არ იხევს,  
ბოროტების რომ ქცეულა გვამად.

ემიგრანტებზე ტკივილის ექო,  
ბზარებით სავსეს ასკდება ზეცას.  
მე სიმარტოვე თავითვე მერგო,  
ჩემო გოგონავ, ბედს ვჩივი შენსას.  
ამოიკვნესა კალამმაც თითქოს,  
ამდენ კითხვებმა დაზინება დაფა.  
და... შენს ხვალეზე „დედა“ სულ ვფიქრობ,  
დე, დაგიფაროს ღვთისმმობლის კალთამ.  
უხვად მოგმადლოს სამებამ ძალა,  
გზად წმინდა ნინოს გაგიძლვეს ჯვარი.  
ვიცი, ცა გიცნობს წრფელსა და ალალს,  
მან იცის შენი ცხადიც, სიზმარიც!  
ჯებირს ასკდება მდინარე ფიქრის,  
და კივის ისევ დარდსა და ვარამს.  
თუმც მონაცრება ნაპერნკლებს ისვრის,  
დამიბრუნდები, იმედით დავალ.

## მანანა დანგაძე

### სხვა მზით გათადა

რა დროს სევდაა და რა დროს-გლოვა,  
შეხეთ, ეს დილა სხვა მზით გათენდა,  
დღეს თავს მოვუკრავ დარდების გროვას,  
ძილ-ღვიძილში რომ ცრემლებს მადენდა.  
დღეს გავილალებ, ველად გაჭრილი,  
და აპრილივით ავყვავილდები,  
გაფართოვდება ჩემი გზაწვრილი,  
როს დაასკდება ხეებს კვირტები.  
დღეს სულ ერთია, თუ ვინმე მელის,  
ისიც სულ ერთი, თუ არ მელიან,  
მტრედი მომიტანს სატრფოსგან წერილს?!  
თუმცა წერილი... - უკვე ძველია.  
გამოვცოცხლდები სულად ეული,  
ის ფერებით გავმართავ სტრიქონს,  
მთვარის სტუმრობით ღამეთეული  
სევდას მოვაშთობ ისე, ვით პითონს.  
მორჩა ურვა და ჭექა-ქუხილი,  
გათენდა სხვა დღე, შეხეთ ამ დილას,  
წყალს გავატანე ყველა წუხილი  
და მზეს ვპატიჟებ ჩემთან სადილად.

19.03.10

### აპრილი გამიტყუა

ტანს შემოვაფლითე დარდების სუდარა  
ტყე-ველი გავიხადე არედ,  
შეს კი არ დაგეხებ -  
სულს არა უნდა რა,  
აპრილმა გამიტყუა გარეთ.  
გავწყვიტე საბელი, ოცნება ნაგები,  
გუგუნი ავუტეხე ზარებს,  
ნეტავი სად გაქრა კვესი და აბედი,  
რა ვუყო მოურჩენელ ბზარებს.  
მზეს სხივი მოვწყვიტე,  
მწველსა და ალიანს,  
ნალველი გავატანე ქარებს,  
არც ჩემი ბრალია  
არც შენი ბრალია -  
აპრილმა გამიტყუა გარეთ...

### მძულება!

მძულებარ, როდესაც კვირტი იშლება,  
ყვავილებს პენტავს ფიფქებად ქარი,  
ნეიმის ნაფურით დაორსულებულ  
მინას რომ სტკივა ნამამრის კვალი.  
მძულებარ, როდესაც ყველა ნაკვალევს  
ზეცის ცრემლები გადარეცხს, ნაშლის,  
მძულებარ, როდესაც ისევ და ისევ  
შეიფერება სისხლისფრად ვაშლი.  
მძულებარ, როდესაც მოგონებების  
კარავს გაიშლის ფიქრები ბანზე.  
მძულებარ ზამთარში, მძულებარ ზაფხულში,  
მძულებარ დარში და მძულებარ ავდარში,  
მძულებარ, როდესაც ლექსთან ვჭიდილობ,  
სტრიქონს ვატარებ ცეცხლის ღადარში.  
მძულებარ უჩუმრად, მძულებარ უსიტყვოდ,  
მძულებარ, როდესაც სარეცელს ვკეცავ  
და სულერთია მზე გამიცინებს,  
თუ ცრემლებს ინმენდს ღრუბლებით ზეცა...  
უფალს ავხედე, ცა მოწმენდილა,  
გული საგულეს კვლავ შენით ფეთქავს,  
იქ, სადაც სიტყვა „მძულებარ“ წამომცდა -  
ყველგან „მიყვარხარ“ მინდოდა მეოქვა.

19.09.09

...

საკვამურიდან ხრჩოლავდა ბოლი,  
ჩამოილვენთოდა ცრემლებს სანთელი,  
ფიქრის ძაფს რთავდა მთვლემარე ცოლი,  
რამდენი რამე ჰქონდა სათქმელი...  
ეხეთქებოდა ცივ სარკმელს ქარი,  
ამურის ისრებს ისროდა მთვარე,  
სხვის ცოლს უმზერდა ვნებისფრად ქმარი,  
გონდაბინდებულს შეცვლოდა მხარე...  
საკვამურიდან ხრჩოლავდა ბოლი...  
და ილვრებოდა ღვინო ბოციდან,  
დარდის ძაფს რთავდა მწუხარე ცოლი,  
ქმარი ვნებისფრად სხვის ცოლს კოცნიდა.

## მანანა დანგაძე

### სივრცის ანარეპლი

არც არასა გთხოვ,  
არც რას მოველი,  
გრძნობას ვუმლერე  
მწუხრის ჰანგები,  
აქ ცისქვეშეთში  
ცრემლად მოვედი  
და ცვარ-ნამივით  
დავიკარგები.  
არც არასა გთხოვ,  
არც რას მოველი,  
სევდამ აავსო გული ფერფლითა,  
სულს შემოაცვდა განცდა,  
რომელიც  
დროს წუთებივით შემოეფლითა.  
არც აღარას გთხოვ დედამიწიერს,  
დაე, ხანძარმა გული დანაცროს...  
შენ სავანეში შემომიმწყვდიე  
და უნდა დამხვდე  
ყოვლის სანაცვლოდ!..  
მე კი არას გთხოვ,  
არც რას მოველი,  
უხმოდ მივყვები  
გზას ნარ-ეკლიანს,  
მაცხოვრის ხატში სევდა  
ყოველი  
ჩემი ცხოვრების ანარეკლია!..

•••

გაფრინდნენ ჩემი  
ლურჯი სიზმრები,  
მოგონებები  
დამრჩა სახსნელად,  
ველარ ვიხსენებ  
როდის მიყვარდა...  
როდის მიყვარდა  
უკანასკნელად!..

•••

წლები თითქოს გაგეფანტა,  
გაქრა ქარში  
ასეთია ბედის მწარე განაჩენი...  
მზეს თუ ხედავ  
წვიმით სავსე ნაჩლიქარში -  
გადარჩები!

•••

ჩამოფურცლულა ლარნაკში ვარდი,  
ფრთა შეკვეციათ სულში იმედებს...  
ისე მიყვარდი, ისე მიყვარდი,  
სიყვარულისთვის ვერ გაგიმეტე.

### გაცხოვანს!

რა უნდა გითხრა იმაზე მწველი,  
რაც უკვე ითქვა შენზე ჩემამდე,  
შენს მოსვლას უკვე მეორედ ველი,  
ვერ ავიკიშე სულით ზენამდე.  
მოისრა ირგვლივ სიწმინდე ძველი,  
ქვეყნად გამეფდა შურის ბაცილა,  
აღარ გვყავს ტაძრად თევდორე მღვდელი,  
მტერი მეფის გზას რომ ააცილა.  
აღარც დემეტრ „თავდადებული“,  
ნმინდა ქეთევან-რწმენით ქებული  
ვერ ჩაიხუტა მშობელ მინამა.  
ნატვრად გაგვიხდა სიმართლე-წვეთი,  
მომძლავრებულა ქვეყნად პილატე,  
ღმერთო, მაჩვენე ხნული და ბელტი,  
რწმენა მომეცი, ძალა მიმატე...  
რა უნდა გითხრა იმაზე მეტი,  
რაც უკვე ითქვა შენზე ჩემამდე...  
უშენოდ მიჭირს, შენს მოსვლას ველტვი-  
ვერ ავიკიშე სულით ზენამდე!

### მომართები

მოენატრები ნაზამთრალ სულს  
შმაგი სურვილით  
და როგორც სფინქსის საიდუმლო -  
ვეძებ სამალავს.  
ვით აფროდიტეს ვერ მოუკლა  
წყალმა წყურვილი,  
დაურწყულებელ ჩემს სიყვარულს  
ქაფში დავმალავ.  
მომენატრები, როგორც სუროს  
ვაზის ცრემლები,  
ზღვას მივენდობი -  
იყოს ჩემი ფიქრის თავდები  
როგორ წავშალე წარსული და  
მივეცრემლები  
და უშენობა როგორ მკლავს და  
როგორ ვწამდები.  
მომენატრები! კვლავ სიზმრებში  
ჩუმად მოგიხმობ  
და სიყვარულის ზღვას შევასმევ  
ლამეს ვნებიანს,  
ათასმეერთე ზღაპარივით  
ისევ მოგითხრობ  
ყველაზე დიდი ფოთლები რომ  
ადრე წყდებიან...  
მომენატრები და მაცხოვარს  
ვანდობ საწუხარს,  
მოვინანიებ ცოდვას უკვე  
ბევრჯერ მოხდენილს,  
რომ მე წავედი, შენ კი არა,  
შენ არ წასულხარ  
და კარის ზღურბლზე სულ სხვას  
ვეტყვი  
„უკვე მოხვედი?“...  
მომენატრები!..

## მანანა დანგაძე

### სურვილი

ახლა ისეთ ხასიათზე დავდექი,  
მინდა ზეცას მივაწვდინო ხელი...  
ჩამოვხილ ღრუბლის ერთი ნაფლეთი,  
სადედოფლო მოსასხამის ფერი.  
ვარსკვლავები დავიმშვენო მაყრებად,  
ნეფედ ვუხმო ფარნავაზს თუ ქუჯის;  
გაზაფხული უფრო გამილადდება,  
თავს დამადგამს გვირგვინს იის ლურჯის.  
ოქროს ეტლით გადვუქროლო მთა-ველებს,  
და ზეციონს სამადლობოდ ვუხმო...  
ნექტრად შევსვა სადლეგრძელო და მერე,  
ნუთისოფელს გავეცალო უხმოდ.  
გამიტაცებს სივრცე დღით თუ ღამეთი,  
რომ მწვერვალებს მივაწვდინო ხელი,  
გადმოვხატო ნისლის ერთი ნაფლეთი,  
სადედოფლო მოსასხამის ფერი.

### პოეტი

ნუ იტყვით... ნუ იტყვით:  
„საწყალი პოეტი!“  
რადგან დაძონძილი ქურთუკი აცვია... –  
პოეტი ამქვეყნად ყველაზე, ყველაზე,  
ნამდვილად ყველაზე მდიდარი კაცია!  
არა სთქვათ... არა სთქვათ:  
„ბოროტი პოეტი,  
დამრეცი, ნამგლეჯი, მგელივით ტაცია“...  
პოეტი ამქვეყნად ყველაზე, ყველაზე,  
ყველაზე კეთილი და სათხო კაცია!  
რაკი წერს, ნუ ჰყადრებთ:  
„უნიჭო პოეტი“,  
რითმა თუ გახედნა და დაუმარცვლია,  
პოეტი სულია... უბრალო სულია,  
პოეტი უფლისგან რჩეული კაცია!  
ნუ შესძრავთ,  
როდესაც მდუმარებს პოეტი,  
რამეთუ კრძალულის მანტია აცვია...  
პოეტი ამქვეყნად ყველაზე ლარიბი  
და სულით, ყველაზე მდიდარი კაცია!

• • •  
რატომ ყმუოდა იმ ღამეს ძალლი?  
მთვარემ ღრუბლებში გვერდი იცვალა,  
გათენდა... მაგრამ მწუხრს შერჩა სახლი...  
იმ დილას მამა გარდაიცვალა.

### პველი თგილისის გახსენება

დაწანლაობს  
მტკვრის ნაპირთან თბილისი  
და გვირისტი გაატარა ღამემ,  
რა საარი შემოისმა დილის ხმის,  
„ტურფავ, ტურფავ“ –  
მიმღერეო რამე.

სატივეზე მოხსნეს ტივებს საბელი  
და არღანმა გააყრუა არე,  
ფიროსმანმა მიმოხატა რა ფერით  
ორთაჭალის - ძველი უბნის მხარე.  
შეუკაზმავთ ფაეტონში ცხენები,  
გლეხი ყიდის

მის მარჩენალ ხარებს,  
დუღს თბილისი

ციებით და ცხელებით,  
კინტოები თავს უკრავენ ქალებს.  
ყვავილების მიწას ყიდის ვიღაცა,  
იეთიმ გურჯი

ჩამორითმავს ბწვარებს,  
აქ სიმღერა დაუწყია თიხასაც,  
მეთარენი აკვნესებენ თარებს...  
ისმის ზარი,

ზარი ცისკრის ლოცვებად,  
გალობის ხმა ეკლესიას ავსებს,  
მაცხოვარი ისევ დაილოცება  
და მირონი ჩაელვრება თასებს...  
გულს მაწვება დარდებად და იარად,  
ისევ ისე

იმ ძველ თბილისს ვნატრობ,  
როცა მთლიან საქართველოს კი არა,  
ყვავილების მიწას ჰყიდდნენ მარტო!

• • •

წლები იმ წარსლით ამაყობდა...  
ვწუხვარ და... შეცდომებს ვნანობ!  
ნეტავ, კიდევ ერთხელ გამაგონა -  
„დედა შემოგევლოს, მანო“.

• • •

ეხ, საწუთროვ, გამარკვიე  
მივდივარ თუ მოვდივარ,  
თუ მოვდივარ რად შემოსე  
ფერი მკაცრი ტონებით?!

იის ნაზი სულის ნაცვლად,  
ახლა ცივი ლოდი ვარ,  
ნეტავ, საით გამიფრინდნენ  
ჩემი იადონები.



## მანანა დანგაძე

### ოღონდაც

არ მინდა ბრენდი, ვისკი,  
ჯინ-ტონიკი,  
ვერც რომი და ტეკილა გავიტოლე, -  
ვენახი მანავით და ოჯალეშით,  
უფალო, გევედრები - დამიტოვე!  
არ მინდა ფურშეტი და პიკნიკ-ფართი,  
ვერც მოუ, შოუმენი გავიტოლე,  
თამადა მჭერმეტყველი  
ქრისტეს სისხლით,  
უფალო, არ მომაკლო - დამიტოვე!  
არ მინდა ჯიშად გადაგვარებული,  
სხვის ბაგას შეფარებულს ვერ ვიტომებ,  
უფალო, დამილოცე ბიბლია და  
მაცხოვრის სახარება დამიტოვე!  
არ მინდა ურჯულოთა კანონები,  
იუდა ქრისტეს მისვლით გამიოცე,  
მამაო, გამიხარე სიცოცხლის ხე,  
ლაზარეს ამაღლება დამილოცე...  
მავანი ეკლესიას მედავება,  
მავანი მიწის გოჯსაც არ მიტოვებს,  
უფალო, ყველა ცოდვას ვალიარებ,  
ოღონდაც საქართველო დამიტოვე!

• • •  
უფალი გვმოძლვრავს:  
„კეთილი სიტყვა  
არ დაინანოთ - თქვენი ვალია“,  
რადგან ცხოვრება დედამიწაზე  
სიცოცხლის მხოლოდ შესავალია.

### „კიდევაც დაიზრდებიან“

მტერო, მე თუ ვერ გაგეცი  
ჰასუხი საკადრისია,  
თუ ვერ ვივარგე, დავეცი,  
ვერ შევასრულე მისია,  
შვილი მეზრდება ალგეთში,  
სთქვან „ნეტა იმას ვისია“,  
ცეცხლი უბრძყინავს თვალებში  
ნამდვილი ბოკვრის ჯიშია,  
ჯერ სწავლობს რეინის ჭედასა  
ხმალს ლესავს - ესეც ნიჭია,  
ა, ის გიტირებს დედასა  
ისეთი მოდგმის ბიჭია.

• • •

მთვარე, ღამის სტუმარი  
შეა ღრუბლებთან მეძაობს.  
რატომ იყო მდუმარი  
აი, თურმე ზეცაო!  
მოღალატის პერანგი  
კეცა, ვერ დაკეცაო,  
მზეს რა ვუთხრა პასუხად -  
ამას ვფიქრობ მეცაო.

### ლამზირა შეყილაძე

#### ჯვარცმის მიზანი

შენ სიყვარულად მოხვედი ქვეყნად,  
ბევრი გაგიჩნდა ამის მოდავე.  
ტანჯვით, ნამებით, სისხლის დანთხევით,  
უკვდავებაში აიზეცავე.

ხალხის გულისთვის თავი გასწირე,  
ჩვენ-კი გაგყიდეთ ოცდაათ ვერცხლად.  
ლოცვით შესთხოვდი ზეციურ მამას,  
ჩვენი სულების გადასარჩენად.

ჯვარზე გაკრული განამეს ძლიერ,  
ვერ შევეგუეთ სიტყვის სიმართლეს.

უსამართლობის ტკივილებს სძლიერ,  
შენ-კი ცოდვილებს გზა-კვალს გვინათებ.

თავად ხალხი ვართ ჯვარ-ცმის მიზეზი,  
ვერ შეგიცანით უფალი წმინდა...  
თავისუფლება ბარაბას ვარგეთ,  
შენი ნამება თუმც ტკივილს გვგვრიდა.

არის განსჯა და აზრთა ჭიდილი,  
ეხლა სიმართლეს დავეძებთ ზემოთ.  
ტკივილისაგან, რომ ვითანგებით,  
მიზეზი ჩვენში ვეძებოთ მხოლოდ.

8/1 2012 წელი.



## პატონ წუგზარ ნადარაიას

შენი ერის სუნთქვა გესმის,  
გულში ღვივის ერთგულება.  
შენს სამშობლოს შესაძარი,  
ქვეყნად არად გეგულება.

გიყვარს შენი მთა და ბარი,  
იცავ პაპის ადათ-წესებს.  
მათ ნაკვალეეს უფრთხილდები,  
საზრდოს აწვდი ხეთა ფესვებს.

მამულის დარდს იქამანდებ,  
ლოცვით ხვდები ამერ-იმერს...  
მართალ სიტყვის იცი ძალა,  
მით გინოდებ ცოტნეიდელს.

რაინდული სულის პატრონს,  
რა-რიგ გშვენის რაინდობა,  
უხმაუროდ დაგაქვს მადლი,  
ეს სიტყვა ისევ ისე დატოვე.

მჭერ-მეტყველო გიჭრის აზრი,  
და არასძროს არ შეცდები.  
ლმერთმა მრავლად მოგვივლინოს,  
შენებრ ბრძენი ვაჟუაცები.

25/XII 2011 წელი

## პატონ ჯუმბარ ლეზავას

დალაშქრე, ყველა ქვეყნის მწვერვალი  
და მიაღწიე უმაღლეს ზენიტს...  
შენ საქართველოს დიდება დაგაქვს,  
მაღლა და მაღლა, ზევით და ზევით.

გზას გინათებდა რწმენა და მადლი,  
მეულის სულის ნაზი ღიმილი.  
უამრავ ხიფათს დაუგე ფანდი...  
ფარ-ხმალ აყრილი დარჩა სიკვდილი.

მრავალ განსაცდელს უმკლავდებოდი,  
დაბრ კოლებებთან ბრძოლა გიწევდა.  
მეამაყება საქართველოში,  
რომ დააბიჯებს ეაცი ლეგენდა...

25/XII 2011 წელი

\*\*\*

სიცოცხლემ უთხრა სიკვდილს,  
თითქოს ყველა შენში კვდება...  
მე-კი დღემდის ძლიერ მიკვირს,  
რომ შენში მაქვს უკვდავება.

## ამოსურთქვაა გარდაცვალება

ვიცი იდესმე, გარდავიცვლები,  
სიკვდილი მომკლავს? არა მგონია...  
როცა მოვკვდები სიცოცხლე მომკლავს  
და ამ ცხოვრების მელანქოლია.

თუმცა... რამდენჯერ მოვკვდი, ვინ იცის,  
სევდის ცრემლები ღვარა თვალებმა.  
სიკვდილი არის ტკივილი თორებ,  
ამოსუნთქვაა გარდაცვალება.

10/XII 2011 წელი

## სამყაროს დედა

ეს იყო მაშინ, როს გახდი დედა,  
სიცოცხლისათვის გაწირე თავი...  
იმ დღეს ისეთი ლამაზი იყავ,  
რომ შეყვარებულ გაზაფხულს ჰგავდი...

როცა სიცოცხლე გაჩნდა ამ ქვეყნად.  
სიკვდილს მოსტაცე სიცოცხლის წამი.  
მინდა მჯეროდეს, მაუნე ზეცავ,  
სამყაროს დედა... ხომ არის ქალი?..

7/V 2011 წელი

## დროში გვაძვს პოლო

ყოველთვის ვფიქრობ, საიდან მოდის,  
ან სად იწყება, ან სად აქვს ბოლო.  
მოუსვენრობ და ვეფლობი დროში,  
წუთისოფელიც დრო არის მხოლოდ.

ყველას ჩვენ-ჩვენი წარსული მოგვაქვს,  
ო... რა მძიმეა ტვირთი აღმართში.  
ცხოვრება უფრო სატანჯველს მოჰკვავს,  
როცა ვეშვები ცრუ თავდაღმართში.

ამბობენ ასე ვარსებობთ ქვეყნად,  
მე-კი მგონია დროში ვართ მხოლოდ.  
გრძნობებით, ხილვით ვიღვრებით ცრემლად,  
დროს შევყურებთ და დროში გვაქვს ბოლო..  
7/V 2010 წელი

\*\*\*

ქარიშხალს არ მიენდო, ის მაცდურია,  
თავნება ბავშვივით ცელქი და ანცია...  
სიცოცხლით ნაქსოვი სამოსი აცვია,  
ქარიშხლის შვილია, მასავით ტაცია...



## აღარ გელოდი

ღამე ივსება მთვარის ნათებით,  
მელიმილება ლურჯი ზეცა-მე,  
მოხვედი ჩუმი გამონათებით  
და უფსკრულეთი გამიზეცავე...

მეწვიე ისე აღარ გელოდი,  
სასურვილეთი გამინეტარე.  
თურმე ჩემს გულში ჩუმად მზეობდი,  
სულში ვარდები გამინექტარე.

მე-ახლა ვხვდები ჩემი სიცოცხლე,  
შენში მქონია შემონახული.  
მოგელტვი ფიქრით, ნატვრით, ოცნებით  
და სიყვარულით ჯერ არ ნახულით.

23/X 2007 წელი

## სიცოცხლეს ვეძებთ

წუთისოფელში დავალთ  
და უსიცოცხლოდ ვერ ვძლებთ,  
სიკვდილს თვალებში ვუმზერთ,  
მასში სიცოცხლეს ვეძებთ.

ზოგი სიცოცხლით ტკბება,  
ზოგი სიკვდილსაც ნატრობს,  
ზოგი ცხოვრებით თვრება,  
ზოგს ერთი წვეთიც ათრობს...

ბევრს აქეთ რჩება თვალი,  
ამ წუთისოფელს ვერ თმობს,  
ზოგი აქვეა მკვდარი,  
ზოგიც სიკვდილში ცოცხლობს...  
8/IV 2011 წელი

## მოვა ამიტომ

ვერ შემაშინებს მტერთა სიმრავლე  
და ამ ცხოვრების ორომ-ტრიალი.  
ვერ დამიმონებს ცრუთა სიმხდალე,  
უამინდობა ქარიშხლიანი.

მხოლოდ სიცოცხლე მათრთოლებს ისევ,  
რომლის მშვენებაც წლებმა წაიღო,  
რომ გაზაფხული მოვიდეს ისე,  
მე მისი მოსელა ვეღარ გავიგო.

ვერ შევამჩნიო რილო-ჭრელიდან,  
მორცხვად მზირალი ლურჯი იები,  
რომ ვერ ვიხილო მერცხლების მოსვლას,  
რა-რიგ ელიან მაგნოლიები.

რომ გაზაფხული მოვიდეს ჩუმად,  
უნდა ვიფხიზოლო რა დამაძინებს,  
რომ ვერ მომისწროს? გავთავდე სრულად,  
ამაზე ფიქრი მართლად მაშინებს.

მე მაინც გელი ჩემო იმედო,  
ლურჯო ზეცავ და თბილო ამინდო.  
ვიცი იმედი, რომ ბოლოს კვდება  
და გაზაფხულიც მოვა ამიტომ...

20/X 2011 წელი

## სარკე

ო...სარკე, სარკე ადრე მიყვარდი,  
ახლა კი ხშირად გარიდებ სახეს.  
სევდა და დარდმა გამინაპირა,  
მე-კი რატომძაც ვაბრალებ სარკეს.

## რადა ხარ შორი

მეგულთბილები როგორც ზღაპარი,  
ცხოვრებას გასდევს სიცოცხლის ზოლი,  
ჩემში ანთიხარ ვითარც ლამპარი,  
თუ-კი ახლო ხარ, რადა ხარ შორი...

ხშირად მახარებს შენზე ფიქრები,  
კვლავ ნეტარება დგება თვალებში  
თუ ველარ გნახავ ჩავიფერფლები,  
ცხელი უდაბნოს სიმხურვალეში.

12/III 2010

\*\*\*

გულს უშენობა სტანჯავს,  
მზერა გადასცდა ზღვარს.  
ნეტავ აქ იყვე ჩემთან,  
თრთოლვით გავცქერი გზას.

შენ-კი რატომძაც შორს ხარ,  
ამ მონატრების ჟამს.  
გული შენ გიხმობს მხოლოდ,  
შენზე ფიქრიც კი მწვავს.  
8/V 2011 წელი



## ლიანა მელიქიძე-ოსიაშვილი

### მიხეილ სააკაშვილის

ასაკიანი დედა ვარ უკვე  
და შენ ხარ მხოლოდ შვილის სადარი,  
რაც ხმა მოგეცი, მას შემდეგ უფრო  
მელამაზება ჩემი მთა-ბარი.  
რომ გაამართლე ხალხის ეს ნდობა,  
დღეისდღეობით არის მთავარი,  
ვის ადარდებდა ხალხის ტყივილი,  
შეჭირვებული ასე მრავალი.  
ჩვენ ზოგიერთი გვახსოვს თავკაცი,  
კაბინეტებში გამოკუნჭული,  
ააყვავე და გააცისკროვნე,  
მთელ საქართველოს კუთხე-კუნჭული.  
ერეკლეს მსგავსი, დავითის მსგავსი,  
დიდეაცი ქართველს ყოველთვისა ჰყავს,  
დიდ არენაზე შენი სიტყვის თქმა  
მოწმენდილ ცაზე გაელვებას ჰყავს.  
არა ვარ ვანგა, რომ ვიგულობისნო,  
შემდგომში ქართველს რა გველოდება,  
შენებრ ჭკვიანი, შენებრ მამაცი,  
არ ვიცი, კიდევ თუ გვეყოლება.  
უფრო საკადრი სიტყვა ვერ ვპოვე,  
როგორც პოეტი თავს ვგრძნობ ჩაუქად,  
მადლობა უფალს, შენებრ ძლიერი,  
ასე ჭკვიანი, ერს რომ გვაჩუქა.

### გულიაზ ხარაიშვილის

ქალს თუ რა ძალუძს? ამ ღრმა ფიქრებში,  
მისი გაცნობით ახლა შევცურდი,  
წლებით უმცროსმა, კრძალვით მითითა,  
რაა კარგი და, ან რაა ცუდი.  
სიკეთე ფინოს ამ ქვეყანაზე,  
აი, იმისი ხვაშიადია,  
თავმდაბლობა კი, ძალუმ ანაზებს,  
თანაც, ამხნევებს, ჩემებრ დარდიანს.  
ნატკენი სული მომირჩინა და  
სიკეთის ფასიც გამაგებინა,  
ნამომაყენა, მომეფერა და...  
კალამი ისევ ამალებინა.  
რამეს მივაღწევ? მისით მივაღწევ,  
თუმცა... რაღა დროს ამაზე ფიქრი,  
ამ წუთისოფლის მატიანები,  
ბოლო ნაბიჯებს რუდუნით ვითვლი.  
ასეთნაირთა სახელი რადგან,  
ატყვია აწმუნს, გასწვდება მერმისს...  
ჩემს ცხოვრებაში, პირველად მხოლოდ  
მის ხმაში, ჩემი, დედის ხმა მესმის...

### ჯუმარ ლეზავას

შენთვის არ იყო დილა და  
შენთვის არ იყო საღამო,  
მსოფლიო განაცვიფრე და  
ერს სხვა რით უხდა აამო.  
ნიძლავს ჩამოვალ ვერ ცნობენ,  
რინა არის თუ სვანეთი,  
შენისთანაზე ამბობენ:  
რა დედამ შობა ასეთი.  
თუმც ქართველისგან სასწაულს,  
ჩვენ ოდითგანვე ველოდით,  
აირზენათო შიშობენ,  
შენ კი დაპქრიხარ ველოთი.  
მოდგმაში გმირნი ბევრი გვყავს,  
სასწაულს ახდენ შენ ერთი,  
თან მარადმნვანე ნაძვს ჰგავხარ,  
ასაკითაც არ დაბერდი.  
გინესის წიგნში? კვლავ შევალთ,  
თუმც მე არა ვარ მისანი:  
„იდევაც დაიზრდებიან,  
ალგეთს ლევები მგლისანი!“

### სოფო ილარაძეს, ულიო იგლესიასი

ბათუმური იდილია,  
ახალი წლის ღამე,  
სასწაული თუ შეგეძლო  
თან ამხელა რამე.  
გაინაბა სულიერი,  
და მიგეონდა არე,  
შენ პატარა მზე იყავ და  
ის კი... დიდი მთვარე!...

### ლამაზ განოვანეს, მეცნიერს ლუარა სორდიას.

დიდ ბოდიშს გიხდი... შეხედვით,  
ჩვეულებრივი მეგონე,  
მძიმე კალამს სძრავ, უტყუარს,  
მიტომ გვიყვარხარ მეგობრებს.  
შენგან შორია აუგი,  
სხვის ფიქრში ძებნო ჭინკები,  
ძვირფასო, უძლიერესო,  
ღრმა პროზით გვეჭიკიკები.

## დიანა მელიქიძე-ოსიაშვილი

### მაყვალა გონავილს

გემოვნებაზე არავინ დაობს,  
სტრუქტონი ვის რით ახვევს ალებში,  
ზოგს სამიჯნურო აცეკვებს ხარბად  
მე ისარივით გამკრა თვალებში.  
შენმა ამ ხედვამ, დიდო პოეტო,  
შემატორტმანა, შემიძრა სული  
- „ყველას თვალებში კიაფობს სევდა  
და ღმერთმა იცის რა უდევთ გულში...  
და როგორც ჩვენში, აქ ცხოველებშიც  
მეტი ფასი აქვს ძალლებს ჩინიანს.  
ჩირად ფასობენ აქ უჩინონი,  
ვუცქერი, ვფიქრობ და მეშინია... ” –  
და არც ტყუილად არ გეშინია,  
რადგან ბრძოლაა ცხოვრება კაცის,  
და სავალალოდ, პირიქით, ხშირად  
საამურია ცხოვრება კატის...  
თუ მაგარი ხარ, ნუ შეიძვრები,  
განა არ ხდება? განა არ არი?  
თუ ბედმა კაცსა ის მიუსაჯა,  
დანატრებოდა თვისი მთა-ბარი.  
ცხოველებს ზოგჯერ კარგი ბედი აქვთ,  
როს დაჰფოფინებს თვისი პატრონი,  
რა ჰქანან იმ კაცთა, სხვის მიწაზე რომ  
ეხეტებიან სულით მარტონი?  
ან ვინ ჩამოთვლის, რა სასწაული,  
ვის რა ბედი აქვს, ადამთა მოდგას,  
არ ვიცით? ზოგი ქუჩაში ცხოვრობს,  
ვერ იოცნებებს საკუთარ ოდას.  
კიდევ შენიშვნა, ქართლის მგოსანო,  
შენს დიდ ლექსებზე სულნი ჰყივიან...  
შენისთანები ხალხის ხეედრია  
და შენისთანებს... ვერა ჰყიდიან!...

### თამარ ჯაჭვაპეს

გშვენის წვიმალალ კალმით,  
სამშობლოსთვის ვედრება,  
ქართულ ლექსში, ვფიცავარ,  
ქალი ვერ შეგედრება.  
გარეგნობით? გონებით?  
დიახაც ხარ მთავარი...  
პოეზიის მეფე ხარ!  
პოეზიის თამარი!..

### თემურ ნიკლაურს

ქართული პანგის დიდო კორიფევე,  
კვლავ საუკუნე კიდევ გემლეროს,  
ელტონ ჯონი და თუნდ პავაროტი  
და ბელაფონტევ შენ შემოგევლოს.  
ვეღარ შეიძლებ ამხელა სცენის  
დიდი ჭაპანი რომ არა სწიო,  
ქართველთ გულებში დაიდე ბუდე  
შენ, საქართველოს, დიდო არნივო!

### ლალი ვაშაკიძეს

ლამაზ ქალს უზომოდ გშვენის,  
ლამაზ სამოსის ფერები,  
შენ, ცხოველების მინდიას,  
როგორ არ მოგეფერები.  
შენთვის ტკივილის მორჩენა  
კაცის, პირუტყვის ერთია,  
შენისთანების დამცველი  
ძირს მიწა, მაღლა ღმერთია.  
უნდა შემინდო ასეთი  
თამამი აზრის გამხელის,  
შენს შეილზე წინ გეკუთვნოდა,  
მის საქართველოს სახელი.

### აკავი გელიძიძეს

შენს ნაცვლად კითხვას, პასუხს ვერ გავცემ,  
მელოდი, თუ არ მელოდებოდი,  
რა აზრი ჰქონდა ნეტა სიცოცხლეს,  
მეულლედ თუ არ მეყოლებოდი.  
არარად ვაგდებ დელგმას, დიდ ქარებს,  
ციცაბო კლდეზეც ფუცხლად ავდივარ,  
თაკარა მზეც კი ვერარას მაკლებს,  
რადგანაც შენი ჩრდილით დავდივარ.  
ცოლ-ქმრობა მტკიცე გვაქვს დუღაბივით,  
არ გვაქვს ოჯახი ნაჯახირევი,  
ამქვეყნად მხოლოდ შენ გეფერები,  
ამქვეყნად მხოლოდ შენით ვირევი.

### ჩემს გოჯ მინას

ვინ ხარ მაშინ, თუ არ იცი,  
სად არს შენი სალოცავი,  
თუ არა გაქვს გამიჯნული  
სახტომი და საცოცავი.  
რომ დამჯაბნა დღეს ჯაბანმა,  
თავადვეა საცოდავი,  
აფხაზეთ-სამაჩაბლოში  
დარჩა ჩემი სალოცავი.  
იტაცებენ ახლებსა თუ  
ძველს, თავის ხავსებიანად,  
ითვისებენ ფრესკებსაც კი  
ქართულ წარნერებიანად.  
სად დავტოვო ჩემი რინა  
მამა-პაპის ნაფიცრალი,  
არ შეარჩენს ჩემს გოჯ მიწას  
ღმერთი, ჩემი საფიცარი

## სიმონ ზაქარაია

### შეიცავ თავი შეიცავ

#### ეძღვნება აფხაზეთის ომის მოღალატეებს

ჩემი მამული გაძარცვე, ვეღარ გამძლარხარ სისხლითა, ადათნესებიც ხელყავი, სიმხეცით-სისატიკითა. ხოცე და ულიტე მოხუცნი, აღარც ბავშვები დაინდე, არც ხეიბართა წყალობა, ხვეწნა-მუდარა გაიგე. უცხო მხრით გადმოხვეწილო. უთვისტომო და გმობილო, ჩემს მამულს ჩასაფრებულო, მუდამ ღალატით ცნობილო. მეზობელი ხარ ურნმუნოვ, ძმურად გექცევი თანაო, ჩემს განსაგმირად რომ ლესავ, შენს გულს გაგიპობს დანაო. მუხანათობა, ღალატი, წესად გაქვს ადამიანო, რად ეტრფი ძმათა განწირვას ყასაბო დალაქიანო! ნუ ფიქრობ მუდამ სიავეს, აღარ მოგბეზრდა განაო, შენიც და სხვანიც გიხმობენ, ეს სისაძაგლე ქმარაო. „რეზნია“ ხომ გახსოვს, სასტიკი, თავმოჭრილს სისხლმა გბანაო, სხვის მამულს თავი ანებე უფალმა ასე ბრძანაო!

27 ივნისი, 1997 წელი

### ჩემო მამულო!

თეთნულდივით ნათელი ხარ, არწივივით ამაყო, შენი მსგავსი არსად არის, გადაეცი კალამო. ჩენი ერის აკვანი ხარ, ნმინდა სულის ჰამაკო, დედასავით მე რომ მიყვარს, შენ ხო იცი კალამო! ნილხვედრი ხარ მარიამის, ენით, რწმენით მაღალო, უკვდაგება გინერია, გადაეცი კალამო! ერთი „ნაკლი“ კი გამოგყვა სიყვარულში ბრძა ხარო, „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს“, გადაეცი კალამო! ჩემი სულის სიმღერა ხარ, ჩემი გულის მაღამო, ზუსტად ასე გადაეცი, გეხვეწები კალამო.

### ცინაპრების უკვდავებას

გახსოვდეს მუდამ არ დაივინყო, ამაგი დიდი ნინაპრებისა, იქიდან არის შენი აჩრდილი და ზიარი ხარ მათი ბედისა.

### დიდ მაფა აიაფს

რაც ამ ქვეყნად გამაჩნია ყოველივე ძვირი მე, შენი გენის განგებაა, მეფევ, შენი ჭირიმე. ძლიერი ვარ და ამაყიც, მომდევს შენი ნიჭი მე, შენი სისხლი ჩემს გულში ჩქეფს, პაპავ, შენი ჭირიმე. მტერმა ბევრჯერ ამაოხრა, ვერ შემერყე ძირი მე, ისევ ვიბრძვი შენი მზის ქვეშ პაპავ, შენი ჭირიმე! უკვდავების სათავე ხარ, შეწევ მიმღერს გული მე, ჰელიოსის ძეები ვართ მეფევ, შენი ჭირიმე. შენი ბედის დარღი მაქრთობს,

ცხარე ცრემლით ვტირი მე, „ოქროს საწმისს“ გადაჟყევი, მეფევ, შენი ჭირიმე. რომ ანრობდი რკინის სახნისა და ფიცხ ფოლადს ვიცი მე, რკინის ხარით მინას ხნავდი, პაპავ, შენი ჭირიმე. ოქროს ძერწვის ხელოვნებაც, შენ გეკუთვნი, ვიცი მე, ოქროს დარბაზს ამშვენებდი, მეფევ, შენი ჭირიმე. შენს სიყვარულს არას ვაკლებ, მიმიცია ფიცი მე, შენი ბოდგმა უკვდავია, პაპავ, შენი ჭირიმე.

1998 წ.

## ბედი ცვალებადია

ჩვენი ბედი ამინდს მოჰვავს,  
წამდაუნუმ იცვლებაო,  
ზოგს აუგად მოიხსენებს,  
ზოგსაც ამკობს ღირსებაო.  
ბევრს უძეოდ გაატარებს,  
ზოგიც ტყუპებს დაარწევსო,  
ზოგი ტაძრებს ააშენებს,  
ზოგიც კიდევ დაანგრევსო.  
ბევრმა ზღვები გადაცურა,  
ოკეანეს გადაცდაო,  
ზოგმა მოვარეს ფეხი შედგა,  
ვარსკვლავებიც „ალაგზნაო”.  
ზოგჯერ მამულს გმირებს მოჰვრის,  
სამშობლოსთვის უკვდავსაო,  
ლაჩრებსაც კი დაახვავებს,  
ურნმუნოს და გულქვასაო!  
ზოგს სამშობლოს აუყვავებს,  
დახვდება ბარაქაო,  
ზოგიც ცეცხლით გადაბუგა,  
მიწისაგან აღვაგაო.  
ასეთია კაცის ბედი  
ამინდივით იცვლებაო  
თუ უამთსრბოლამ ვერ გიშველა,  
ვეღარ გიხსნის ღვთის მცნებაო.  
1997 წ.

## განშორება...

სანამ შავ მიწას შემომაყრიან,  
შენს სიტყვებს გულით ჩავეხუტები,  
ღვთის შთავონებით მიხვდები მაშინ,  
რომ არასოდეს გაგებუტები.  
1996 წელი.

## ისევ შეხე...

შენთვის მიძღვნია ბზობის დღე ღვთისა,  
თუმცა ლოდინმა უკვე დამლალა,  
ათას ფიქრებში ერთი მადარდებს,  
ნუთუ ყოველი წარსულს ჩაბარდა.  
1997 წ.

\* \* \*

მამულო ხვედრი მონისა,  
ნიმლად არასდროს რგებია,  
გხედავ რომ გიჭირს ნატყვიარს,  
ნყლული ვერ მოგირჩენია.  
სული შენი მაქვს მამულო,  
სისხლიც და ხორციც შენია,  
შენთვის ვილოცო ვიომო,  
განგებას მოუჩენია.  
1999 წ.

## ბეჭან ხარაიშვილი

\* \* \*

მე მივდიოდი საქართველოს გამოხრულ  
გულში—  
ვარძიაში და შემაჩერეს უცბად აწყურთან,  
და თითქოს ურო დამარტყეს თავში,  
და თითქოს იქვე ადგილზე გავშრი,  
ჯარისაცებმა მომთხოვეს საშვი...  
ბებერი მტკვარი გაეკრა მიწას  
და სირცხვილისგან იწითლა ცამან,  
რად არ მოსთხოვა ხანძთელს საგზური  
უკაცრიელმან ადგილმან ამან...  
და ახლა, როცა მესხეთ-ჯავახეთს  
ასდინდა სუნი ქართველთ სიმცირის,  
მე უნდა აქეთ, აწყურთან ვიდგე,  
ჯიშიან ძვლებზე მკენდეს სიცივე...  
და კარს ულებდეს უცხო ტურისტებს  
ხერთვისი, ხანძთა, ბებერი ტაო,  
გადამავიწყე დიდი თურქობა,  
გადმიშვი მთაო!

\* \* \*

გულთან არ დამადო ხელი...  
მტკვა...  
მტკვა...  
და  
დანაღმული ვარ მკერდზე ძარღვებით.  
ეჭვის მახრებით  
ფაჩუნობს ღამე...  
მთვარის ეკრანზე მე გხედავ მუდამ...  
რა ხელმა უნდა აიღოს ნეტავ,  
რომ ვერ დასძალავს  
ისეთი გუნდა?!  
ისევ გამისხლტა თვალთა მიმინო  
და  
შენს ფანჯარას  
გარშემო უვლის,—  
— ყველაზე დიდი სასაფლაოა  
გული!



## ძეგან ხარაიშვილი

\*\*\*

მომიახლოვდი, როგორც არასდროს,  
მომიახლოვდი!  
— ვყიდი ვარძიას,  
— ვყიდი ხერთვისა,  
— ვყიდი არხოტს და  
— ვყიდი ხოშარას...  
მე აღარ მინდა თქვენი ლიბანი,  
ისრაელი და მთელი კამბოჯა,  
მე საკუთარი დარდი გამპოჭავს,  
მე საკუთარი ბოლმა მომშხამავს,  
შენ კი ჯიბეზე ხელებს იფარებ.  
მე ამიტირდა მუხრანი... ანა...  
მე რომ გავყიდო, იყიდი განა?  
მე რომ გავგიჟდე მომკლავდი განა?  
მე თვალებდათხრილ დიდ ფრესკებს  
გიცვლი,  
მხარჩამოკვეთილ ამ ხერთვისს გიცვლი  
იმ პირველადქმინილ საოცრებაზე.

## გაზაფხული

მზესთან  
იანვარში შენათვალ მიჯნურობას,  
მწვერვალებზედაც უარყოფს თოვლი  
და ისე თეთრად  
და იმგვარი სიჩუმით კვდება,  
რომ შინდის კვირტებს გული უსკდებათ.  
რა დროს სიკვდილია,  
კიდევ ერთგან გაჭრიან მიწას...  
ჯერ უნდა მომჭრან მარჯვენა და  
სული მომთხოვონ...  
მწვანე შუქნიშნად ინთებიან  
გზაზე ხეები,  
ეს იმას ნიშნავს, გავიარო,  
— წინ მამულია!

\*\*\*

ცა რომ მტრედისფერობს,  
ტყე რომ ფერი-ფერობს,  
მზე რომ ნისლის ყანწებს ეტანება,  
ბუჩქთან წამოვწვები  
სადმე ცვარიანში  
ლექსებს დავაპურებ ნეტარებით!  
უბეს გამიექავს  
ქარი თიბათვისა,  
გულში ჩამეტკბობა პირველყოვლის,  
რითმებს გაძოაკრთობს  
წვეთთა სინაზები  
და მზით გადაფერავს  
მწვანე მოლი,  
წყარო სისხლს გადუსხამს  
ლელის ცისფერ ვენებს  
და ძმას ჩაეხვევა  
— ძმადნაფიცი,  
ამ მთებს ვენაცვალე,  
ამ ტყეს ვენაცვალე,  
მეტი რალა დამრჩა დასაფიცი!  
ერთი გაიხედე ქარი რა დღეშია,  
როგორ გადალოკა არე-მარე,  
ეს შენ გიმღერიან ზეცის ასულები  
მუხავ, ჩამუხლული, გაიხარე!

\*\*\*

ფულისთვის კი არა...  
განძიგით კი არა...  
ხარკისთვის კი არა...  
ხათრისთვის კი არა...  
ალაპს ემსახურა ძამა ქართველი  
სად არ იარა, —  
სად არ იარა, —  
სად არ აწვიმდა, —  
სად არ ათოვდა, —  
არ იყარებდა ქართველი სათოფედ!  
ენატრებოდა მცხეთა და მარტყოფი,  
გულმა ვერ გაუძლო მარტოყოფნას,  
თმათა სითეთრე თმის წვერით ივარცხნა  
და მამულს შესწირა საკლავი კი არა, —  
სხვა მკლავი კი არა, —  
პაატას მხრებზე დაკლული სიცოცხლე.



## გულნაზი ხარაიშვილი

### მეუღლეს

ისევ შენ გელი... უნდა მოხვიდე,  
ყური დამიგდო და მომისმინო,  
გაყინულ ხელზე, ხელი მოგეიდე,  
გითხარ: ტკივილი როგორ ვითმინო.  
შენ გელოდები კვლავ კიდით — კიდე,  
უსაზღვრო დარღი თავისკენ მძირავს,  
თურმე ჩაგიტყდა სიცოცხლის კიბე,  
მე კი მგონია ლამაზად გძინავს.  
მას შემდეგ მხვდება ცრემლის ნისლები,  
მდის ნიაღვარი... განცდები მტანჯავს,  
დორმ არ მიშველა, მათოვს ფიფქები,  
ტკივილის ფრთილებს ვართავ და ვართავ.  
ნალველი ჩრდილად სულ თან დამყვება,  
შენ კი გასერავ ლრუბლებს თქორიანს,  
თუმც მოგონება მეამაყება,  
იქნებ იქეცი ლამაზ თოლიად,  
ხშირად ვტირი და ვილვრები წვეთად,  
ლამის სიზმრები შენს თავს მახსენებს,  
მაღლა თუ ფრინავ მშვიდობის მტრედად,  
ცოტა ხნით ჩემთან ჩამოისვენე.

### დედა სამყარო

კვლავ შემომესმა ხმაური დელის,  
ზეცაც მგონია წვიმას აპირებს,  
თითქოს ეს წყალი შავ ლრუბლებს ელის,  
რომელიც მთებმა გაინაპირეს.  
აქვს კანონები თავად ბუნებას,  
თანაც მკაცრი და დაუზოგავი,  
ხან მაღლა მეხი დაიგუგუნებს,  
ხან ზვავი მოდის კლდიდან მცოცავი.  
გთხოვ და მოვითხოვ, დედა სამყაროვ,  
მეც განაჩენი გამომიტანო,  
იქნებ ტკივილი უკვე მაკმარო,  
და სიხარული გამომიგ ზავნო.

### არ გაპედო

ჩემს გადადგმულ ნაპიჯს, სულ არ მივტირი,  
კვალს დავეძებ, სადაც შენ გაგივლია,  
მე ცეცხლი ვარ, გაგანია, მიფრთხილდი,  
შემისნავლე, როგორც წმინდა ბიბლია.  
არ გაპედო ჩემი სულის სიხინჯე,  
რადგან გულში შენით გაზაფხულია,  
მაშინ გირჩევ, კლდის ნაპირთან მიხვიდე,  
დაინახავ ხრამი ამოვსილია.  
შეშფოთდები... როს იხილავ წამებულთ,  
ლალატისთვის კუპრის ალში იწვიან,  
შენც სიცოცხლეს დაამთავრებ წვალებით,  
ღირსიაო... დამიჯერე იტყვიან.

### მამული, ენა, სარმაზება

მამულს ვუყურებ, ო, ძლიერ დაღლილს,  
ის მილამაზებს ფიქრს და ოცნებას,  
მას ვუძღვნი ლექსებს და ცრემლებს ვაღვრი,  
ვით სილამაზეს და საოცრებას.  
ქართული სიტყვის ანდამატები,  
მახვილზე მჭრელი, ხანაც თილისმა.  
მადლით მოსილი უფლის ხატები,  
გულში ჩაიკრა დედა თბილისმა.  
ენა რად მინდა მიწის გარეშე,  
ჩემი მამული მტერს რად აოცებს?  
წელში გაგვიწყვიტა უცხომ თარეშით,  
ჰქმენ ისევ მადლი... ღმერთო დაგვლოცე.  
მე ჩემი რჯული უნდა ვინამო,  
რომელსაც ჩემი ფიქრი მიკვივის...  
სიყვარულისთვის ალარ მანამოთ,  
ნურც ცეცხლში დამწვავთ შუშანიკივით.

### ძირულისპირი

ყაყაჩოებით მოფენილა  
ძირულის პირი,  
ხმალი ქარქაშში  
ჩაუანგებულ - დადუმებულა,  
საიმერეთოს წინაპრებო,  
წარსულში ვყვირი,  
ჩვენი მინები მტრების ხელში  
გარინდებულან.  
იქ „მოდინახეს“ ზეციური  
ადგათ ნათელი,  
აუ, რამდენი დაგიკარგავს  
სამშობლოვ გმირი,  
ერმა დაგინთოთ სამუდამო  
ლოცვად სანთელი,  
სოხუმს და გაგრას ტირის,  
გლოვობს ძირულის პირიც.

### მენატრები

მენატრები, საოცნებოვ მენატრები,  
გზას მინათებ ლამეული მთვარის მსგავსად.  
ჩემს ცხელ ცრემლებს მწვავე დარდად ემატები,  
დაგექებ და ვერ გპოულობ, არ ხარ არსად.  
შენს ლოდინში დაღლილი და დაქანცული,  
შენს ტკბილ ალერსა და ტკბილ სიტყვას ისევ ველი,  
სიყვარული, როგორც ხმალი გაბასრული,  
ჩამეც გულში და წამალიც რას მიშველის.  
კენესის სული, მოხვევია ეჭვის მუმლი,  
მოწმე არის უბრად მდგარი ეს ჭადრები,  
უშენობით ყველა დღეა წამებული,  
სიცოცხლე ხარ! ამიტომაც მენატრები.

## გულნაზ ხარაიშვილი

### ფაქტა ახალაია — დიორსაურელს

ტ—იტებს დაგიკრეფ გაზაფხულზე, კონით მოგართმევ,  
ა—გიფაქიზებ სულის კედლებს, ფაქიზო ქალო.  
ტ—ირი აფხაზეთს... გახსენდებით, დარდს თავს ვერ ართმევ,  
ა—ხლოს დავდგები, გაგილენავ ტკივილის კალოს.  
  
ა—სჯერ რომ მომკლან, მეგობრისთვის ღველფში დავდნები,  
ხ—ო, ჩემო კარგო, ერთგულებით ვიცავ ჩემიანს...  
ა—მას გპირდები, სიდუხჭირეს გავუმკლავდები,  
ლ—ოიალობა დამიჯერე, არა მჩვევია.  
ა—ბა, მაშ ერთად, დრამატურგო, კარგო მწერალო,  
ი—ცის ეს ღმერთმა, საქებს ვაქებ, გამოგიტყდები,  
ა—საკიც გშვენის, ხელოვნების დიდო მწვერვალო,

დ—ად გინამე და ჩემი სითბო გესმის სიტყვებით.  
ი—ცინის გული, რადგან შემხვდი ღვთით კურთხეული,  
ო—მის ჭრილობებს უმკლავდები, უძლებ ნატყვიარს,  
ს—ოხუმი გელის, დლები გაქეს აქ უფერული,  
კ—ივილი ხმათა, სისხლისფერი, ზღვას რომ ატყვია.  
უ—წმინდესთან ჩვენ შეგვახვედრა დიდმა უფალმა,  
რ—ოგორ გულნრფელი იყო მაშინ, იქ საუბარი,  
ე—რთად ვიბრძოლოთ, რომ არ გვავნოს კელავ ცივმა ქარმა,  
ლ—ოცვით ფიცი ვთქვათ და არ ვიყოთ მტერთან უბარი.  
ს—იცოცხლევ ჩემო, ფიქრიც არ ღირს უღირსის ნამად,  
ნურც ნაამაგარს გადაითვლი თითებზე ხელით,  
ღმერთმა მომგზავნა, ალბათ, შენთან ჭრილობის ნამლად  
შემოგეცხები მალამოდ და გწამდეს გიშველი!

### ოძრო რად მინდა

ზღვად ჩამიგროვდა გულში ლექსები,  
ტალღა მოასედა მკერდის ნაპირებს.  
ლექსით სუყველას გეალერსებით...  
და... საჩუქრებსაც ლექსით ვაპირებ.  
პრანჭიკელებმა იცინეს ჩემზე,  
აათამაშეს კუნთით ბეჭები...  
პოეტიან ამბობენ შენზე,  
აბა, გვაჩვენე შენი ბეჭები...  
ოქრო?... რად მინდა, განძი ლექსია,  
ხან ბაჯალოა, ხან მზე და მთვარე,  
ის მტევნებივით ჩემში ასხია,  
თქვენი პასუხი აქ დავამთავრე...  
გადახარხარდნენ... დღეობა იწყეს,  
ერთ მასად იქცნენ კაცი და ქალი...  
გულისწორები ვედარ გაიყვეს,  
დაბარბაცობდნენ ქუჩაში მთვრალნი.  
გადამესვენა მკლავებზე მთვარე,  
მომეფაქიზა გადალლილ შუბლზე,  
მითხრა: შენია ეს არემარე,  
და მიმანიშნა ჩემს მდიდარ სულზე.

### ცოტილელო ციდან გლოცავს დიდი უფალი (ლეგზარ ნადარაიას)

შენ უმკლავდები ცივ ქარსა და თოვლიან ზამთარს...  
ღვთის გზას ადგახარ იფერფლები სიკეთის ალით.  
არ უშინდები ქარბორბალას, ერევი აფთარს...  
ცოტნეიდელო, მიტომ გლოცავს ციდან უფალი.

### ხელგამოწვდილი

ხელგამოწვდილი წინ, რომ შეგხვდება  
და კრძალვით გეტყვის: „დამეხმარეო“,  
სირცევილის ალი წვავს და ედება,  
ზიზღით ნუ ეტყვი — „გამეცალეო“.  
იქნებ არა აქვს თვით წამლის ფული,  
და მისცემია დარდსა და გლოვას,  
ვინ იცის როგორ ატკივდა გული,  
„შემინყალეო“... როდესაც გთხოვა.  
იშვიათია, პოეტს რომ ჰქონდეს,  
შემირცხვენიხარ... მცირე არ მისცე,  
შიმშილით გული რომ შეგიღონდეს,  
დაუხმარებლად არ გამოიქცე.  
უკანასკნელი თეთრი გაიღე,  
უსულგულოს კი არ გარქმევ პოეტს.  
მცირე ნალველი, შინაც წაიღე,  
და კიდობანში შეგიშვებს ნოე!

### ჯემალ ხარებავას

გამაოცე... ცრემლები, რომ დაგინახე,  
ნამნამიდან ღვართქაფად შენ გდიოდა.  
შენი სევდა მოფრთხილებით შევინახე,  
რადგან ერის ტკივილებიც გტკიოდა.  
ლექსი ვთქვი და აგვეჯინზრა სახის კანი,  
ხის ტოტს თოთო ფოთლებით, რომ ცვიოდა,  
აფხაზეთში მოწყენილა დილის ცვარი  
ამ ყველაფერს შენი გული ჩიოდა.  
ჰოდა მიტომ ჩაგიცვია ჭირხლის ქურქი,  
ცივ-ქარბუქს კი რას გაუძლებს ჩიორა.  
ცაზე ღრუბლით ალარა ჩანს თეთრი შუქი,  
ვეღარ ირჩენ დამწვარ ადგილს იოლად.  
რალა მექნა მწუხარების ვადამკიდეს,  
როს გხედავდი ტკივილებით ნატანჯეს...  
ახლა უკე ალარ ვიცი სად წავიდე,  
მინდა ღმერთმა შემისრულოს ნატვრა.  
თვალის წვეთი არ დაეცეს თოთქო ყლორტებს,  
რადგან ყველას ტკივილებით ვკვნესი,  
ნალვლიანად გადავყურებ ბალს და ყლორტებს,  
უთქმელადაც ყველაფერი მესმის.

### ღვთით მოვლენილო

#### დავით კილურაძეს

შემფასებელო, შენ ჩემი კალმის,  
წმინდა სული გაქვს, ღვთით მოვლენილო,  
სიტყვები მინდა მოგიძლენა კრძალვით  
და ლექსი ყანწით დაგალევინო.

ფიქრით შევუთვლი ცის ანგელოზისაც,  
ხატებთან ვიტყვი ლოცვით ვედრებას,  
მადლის მთესველზე შევთხზავ ლოზუნგსაც,  
თუ კი კალამი არ დაბერდება.

უფალი ხედავს ავსაც და კარგსაც,  
შენ სიბრძნის ღვინოს ყველგან რომ წურავ,  
ვიცი, ალირსებ ჩემს ქურნალს დარს და  
ვიცი, სიკეთით ცას გადახურავ!

## გულნაზ ხარაიშვილი

### გაგიშირდება

ბატონობას იოლად ისწავლიო,  
გორეთეს უთქვამს...  
გონივრულად მართვას,  
სხვა ნიჭი სჭირდება.  
შენი ნაბიჯი უაზროა...  
ისევ მე მთუთქავს,  
ფუყე თავთავთან, მეცოდები  
გაგიჭირდება.

### თამარ მეურის შესაღარო (თამარ ჯაჭვაძეს)

სულში ოქროს სხივი გიზის,  
ცდილობ ყველა გაახარო...  
ნაბიჯებს დგამ კეთილ მიზნით,  
თამარ მეურის შესაღარო.  
სილამაზეს, რომ ვუყურებ,  
ლექსი კალამს ეფეთება.  
ჯანმრთელობას გისურვებ და...  
მერე ლექსად აფეთქებას.

### ჩემო საქართველო

ცრემლებს ვაფრენევ საქართველო,  
რადგან გასევია მტერი.  
ციტრუსებში სხვები რთველობს,  
ბორიაყობს ტყვიის მტერი...  
ვწუხ... შვილებიც გაგეფანტა,  
შენს მიწებში სხვა ბატონობა.  
საზღვრებს მოსავს სევდის ფარდა,  
ტყვიილები რით ავწონო.  
შენს ხვავრიელ უბე კალთას,  
გაუზრდია თაობები,  
ახლა დგანან უცხოს კართან,  
გაგიმრავლდა აქ ობლები...  
ვწედავ უკვე გაგიჭირდა,  
ხანჯალს ვლესავ ორპირს გრდემლში.  
იმედებით ცას მოვჭედავ,  
იქნებ გაიმართო წელში.

### ციცინათელობა (ციცო სულაძეს)

ცის ვარსკვლავით აბრწყინდი ჩემში,  
ის სურნელით წამში დამათვრე...  
ციცინათელობა... სულეთის ფერში,  
ორი წუთი, რომ პოეტს დამითმე,  
სევდას უჩუმრად სითბოთი მაცლი,  
უფალი წედავს ამ მაღლს ზეციდან.  
ლოცვით, ჩურჩულით, სიკეთეს მარცვლი.  
ამიტომ ლექსშიც ალარ აცივდა...  
ძირძველ ადათი შენში ყვავილობს,  
ენძელაც შენში ამოჩიტულა...  
სამშობლოს დარდით მუდამ დაღლილო  
სიყვარული გაქეს მჯერა ტიტულად.

### რად დამენდურე

არ მახსენდები, მისაყველურე,  
ფიქრით შენთან ვარ... ეს გთხოვ ირწმუნე.  
ჩემი კეთილო, რად დამენდურე,  
შენზე ფიქრებით ლამე მივწურე.  
სუსხმა ისედაც ლამის გამყინოს,  
სიცოცხლე დამრჩა ფარფატა პეპლის.  
ქარი ბატივით სისინ-ყიყინობს,  
მან ამაჭრელა ავდრების წკეპლით.

### გული შეგინვი

გული შეგინვი ერთგულებით შეგიგემოვნე  
აგვისტოს მზეში, თოვლის ფიფქებს, რომ არ ებარდნა.  
ცას გატოლებდი... ღვთის რჩეული რადგან მეგონე,  
იდეებიც კი შენ დაგითმე თუ რამ მებადა.  
ეს არ იკმარე... ჩემი სისხლი ყანწით დალიე...  
ო, რა პატარა ყოფილხარ და... დიდი მეგონე.  
სიცოცხლის რწმენით, ტკივილები უკვე დავძლიე  
გარდასულ წლებს კი შენგან ნავნებს, მნარედ ვიგონებ.

### სავალ გზაზე

სავალ გზაზე ლველფად შემხვდი,  
დამიფუფქე ტერფი,  
მტკივა, მაგრამ ჩემს სატკივარს  
შენ არასდროს გეტყვი.

### ერთხელ თუ მიანც

ერთხელ თუ მაინც,  
ამ ჩემს სულში შემოიხედავთ,  
ყველა შემამჩნევთ,  
რომ სითბოთი ვარ შემოსილი,  
ვეტრფი სიმშვიდეს...  
მიყვარს ყველა,  
მტერს სიტყვას ვპედავ,  
სიკეთის ნერგად,  
სამშობლოსთვის  
ვარ ამოსული.

\*\*\*

თუმც ჩამცელლონ ამ გადადგმულ  
ნაბიჯისთვის  
მაინც ვაქებ ყველა იმას,  
ვინც ღირსია...  
დროს არ ვხარჯავ...  
ბოროტსა და აჯამისთვის,  
უსამართლოდ სიტყვის  
ბომბებს რომ ისვრიან...

## იამზე ჭელიძე

\* \* \*

ბალში შეგიხმო მუზამ ღვთიურმა  
და მოწყალებამ ისევ ციურმა,  
შენს კალამს დიდი შუქი მოჰფინა,  
ვარდ-ყვავილებმა გიგრძნეს დობილად  
და გაზაფხულმა ჩაგაცვა ფერი,  
რის გამოც ახლა ხალისით მღერი,  
რადგან გსურს ყველას გაუთბო გული,  
არავინ შეგხვდეს ან დაჩაგრული.  
და გაზაფხულის სურნელით ხატო  
ყველა სტრიქონი, ლამაზ დროს ნატრობ.  
ვგრძნობ რომ გაგვება სურვილი, ნატვრა,  
ყველა ინამებს შენს სიტყვას მართალს...  
და აი ფიქრი ფიქრს ემატება  
და ანგელოზის გამოცხადება  
კვლავ წარიტაცებს იმ ძველ იარას,  
რამაც ხანგრძლივად დროში იარა.  
შენ გადაიწერ პირჯვარს ხალისით,  
სიონის ზართა რეკვა გასმის,  
იგრძნობ, რომ შენთან მადლი მოვიდა,  
შემდევ დრო უფრო მეტ მადლს მოიტანს  
და ხელაპყრობით კვლავ იწყებ ლოცვას:  
ახლავე, მალე, არა გსურს მოცდა,  
ეკლესიასაც თუ მიაშურებ,  
შენ ღვთის წყალობას დღეს შეასრულებ.  
გალობის ხმებით ტაძარი გიხმობს,  
საგანე არის სულების, ის ხომ...  
მეც შენთანა ვარ, შენი მეგზური,  
შენზე ღვთიური სხვა ვინ მეგულვის!  
ისევ სანთლების ციმციმში ლექსი,  
ტანსხმას იწყებს და წმინდანთ ხმა მესმის...  
სიამე მოდის, შენც ეს გინდოდა,  
ყოველს მშვენიერს ხატავ მიმნდობლად.  
ყველა სიკეთე სულში შემოდის,  
რალა თქმა უნდა გარიყე შფოთი.  
სიამის კარებს მეც შემოვალებ,  
გავიმეორებ შენსავე ნამდერს,  
სიყარული და სიწმინდე ერთად  
ჩვენი რწმენაა, ხმამალლა გვეთქვას!

\* \* \*

ჩემო ჭკვიანო აზრთა განმრიგევ,  
მომიახლოვდი, ხომ ხედავ, ცივა,  
ჩემს ყოველ წაბიჯს უმალ გაიგებ,  
ხმელეთიდან მაქვს აზრი თუ ციდან.  
ხედავ, ჩატეხილ კიბეზე ვდგავარ,  
საიდან მოდის ყოვლის სათავე,  
ქარიშხლისაგან გადაღლილს ვგავარ,  
ამოკვენესასაც ვეღარ ვათავებ.  
რადგან შესცივდათ ადამიანებს,  
დამეა გრძელი, ვინ დააპურებს?  
და ყველაფერი რად იგვიანებს?  
ლოდინი უხმობთ დიდ დანაპირებს.  
ჩემო ჭკვიანო აზრთა განმრიგევ  
ერთად წავიდეთ, მითხარი რამე,  
ზრახვანი ჩემნი უკვე გაიგე,  
იქნებ ეშველოს დროს, განამამებს.

## ფრთიანო ლექსო

ფრთიანო ლექსო, შენ საალერსოდ  
მოსულო მარად, ღვთის შუქი გფარავს,  
იცან გულები დაჩაგრულები,  
შეიგრძნე მარად, მოსულო ფარად.  
ხარ მშვენიერი, ღვთისა იერით,  
ერთობ ძლიერი და ბედნიერი,  
ხალისის მფენო, ღრმა სიტყვავ ჩვენო,  
აზრო ნათელო, ფართედ სათქმელო,  
ყველგან იარე, იძედნიერე.  
დაჩაგრულები მიეც ულევი,  
სიცოცხლის ეშხი შეიგრძნონ შენში,  
აზიდე სული და მიეც სურვილს  
თავისუფლება და ღვთის სუფევა.  
შესვი წექტარი, რაც დროში არის,  
იარე წინ-წინ, შენ როგორც უნინ  
გიყვარდა მარად, ჩვენს გასახარად.  
გაგვიდე კარი, სადაც მზე არის,  
მომართე ქნარი შენ საოცარი,  
შემოდი ლხენით, გაპფანტე ბინდი,  
მაღალი სიტყვა რაც შენგან ითქმის,  
გრიალით ტაშის, კვლავ ფრთების გაშლით,  
გააძლიერე, მედგრად იარე.  
ჭექე ქართულად, შენ შემართულად,  
ასწიე ჭერი, იგრძნონ რომ ვმდერით.  
თავისუფლებავ, შემოდი ახლოს  
იგრძნოს სუყველამ შენს სულში ვსახლობთ.  
ნაპერნელიანი, სიტყვა მზიანი,  
ღვთის ანაშუქი, სიცოცხლეს გვჩუქნის.  
კვლავ რეკას ზარი, გააღეთ კარი,  
ნათება არის ან საოცარი.  
გაფრინდი სიტყვავ,  
შენ ზოგჯერ სიტყვაც  
ხარ ქარიშხალიც და გარიურაჟიც.  
ახლა მზიანო, ომახიანო  
ვგრძნობ შენი სუნთქვა წმინდაა, სუფთა,  
შემოაშუქე, ხიბლი გვაჩუქე,  
ლექსო დიადო, მსურს რომ იარო  
ლამაზ წაბიჯით, ყველა დაგიცდის.  
სიწმინდის მფენო და სიბრძნევ ჩვენო,  
იარე დროში და შენი მოსვლით,  
რბიან ყვავები, ჩვენ ავყვავდებით.

\* \* \*

ამდენ დაბურულ ჰაერს ვაშუქებთ,  
ამდენ უილბლო წამებს ვუმლერით,  
დროვ, სიხარული ახლა გვაჩუქე  
და ნუ ჩაივლი ასე ულმეროთდ.

## გულნაზ ხარაიშვილს

ნათესაური სული შევიგრძენ  
შენში, მაღალი და უწმინდესი,  
თითქოს ახალი სხივით შევისე,  
მესტუმრა წამსვე მღერადი ლექსი.  
ვიგრძენ, თვითონვე ხარ წყარო ლექსის  
და შენს სტრიქონთა სილრმენი მესმის,  
გამორჩეულად ვკრეფ მარგალიტებს,  
ეგ გული, სათხო, რამდენ ხმას იტევს!  
მსურს, რომ გინოდონ შენ ოკეანე,  
შენ, სიყვარულის ღრმად მოტრფიალევ,  
შენ სიხარულის ხარ კარგამღები,  
დროის ტკივილის უხმოდ გამგები.  
მხატვრული სულით აშუქებ ვყელგან,  
შორეული გაქვს ეგ ბრძნული ხედვა,  
ჩემშიც შეიჭრა შენი აურა,  
დამეგობრებას მეტი რა უნდა?!  
გეხმაურები ამ მკრთალი ლექსით,  
რადგან გამომყვა შენი ალერსი,  
მშვენიერებავ, გაჰყევ დროს ხანგრძლივ  
და სიყვარულის იარე ხანძრით.  
შენს ლამაზ სულში მარად მზე ენთოს:  
ბედნიერი ვარ ან, გეთქვას, ღმერთო,  
გაჰყევ ბოლომდე ამ საუკუნეს,  
ლამაზ ცხოვრების ტანსხმას უყურე.

\* \* \*

ადამიანებს მივხედოთ თბილად  
არა სიტყვებით, ლამაზ ნაბიჯით,  
მაშინ წყალობა გვექნება ციდან,  
წარმოვაჩინოთ სახე ნამდვილი.  
რა ხმაურია, გახედეთ გარეთ,  
ტკივილიანი ხმა ესმის კარებს...  
ობოლთა კვნესა გაისმის ისევ,  
როგორ გერება შენ სიხალისე.  
გაეც, საბრალოს მოსწმინდე ცრემლი,  
დღეს გაუმართე დამაშვრალს ხელი,  
ხვალ იქნება მეტი მოგცეს უფალმა,  
გახედე მოყვასს და დროს ნუ კარგავ.  
ლმობიერება და სითბო კვნესის,  
დროში მიხედე და უკეთესი  
რალა იქნება გულს თუ გაუთბობ  
და მცირე საზრდოს მაინც დაუტოვ.  
სიცივემ როგორ დაგვრია ხელი,  
რა სილრმებში წავიდა ხვდები?  
ოი, ცხოვრებავ, გეყო ეკალი,  
რას ფიქრობს ახლა ღმერთი ნეტავი?!  
ვფიქრობ დაგვყურებს ნაწილ-ნაწილად,  
ზოგთან სითბოა, ზოგთან გაწვიმდა,  
სათნეება კი მაინც ერთია,  
ის ხომ მთლიანად შენი ღმერთია...  
და მივყვეთ ამ გზას ლოცვით, ვედრებით,  
სასონარებელის ნუ მივეცემით,  
ყველაზ ვისწავლოთ სიკეთე ფართედ,  
მაშინ უფალი ხელს ჩამოგვართმევს.

## ლელა ბასილაშვილი

**იმარადისებს ქართველი ერი**  
„ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკედეთ,  
მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს...“

შენ გარდასხვავდი... ლექსებს ვნებიანს  
აღვივებს სული სიკვდილს უჩვევი...  
შენს ბარდნალაში იბარდებიან  
კვლავაც ატმები და ალურები.  
კრწანისში ისევ იღვრება სისხლად  
ყაყრების მღელვარე ალი...  
მტერს დაემსხვრევა მეხად და რისხვად  
არაგველების ელვარე ხმალი.  
დუქანში კვლავაც სტუმრობს ნიკალა  
და „წარაფს“ ზეცის ფერებით ხატავს...  
შენ ტანი ელვით გადაგირკალავს  
და ლექსთა კრებულს ანგელოზთ ატან...  
კვლავ იღიმება სივრცე დილის მზით,  
ხან ავი ქარიც ქრის სატიალო...  
ზეობს ბებერი შენი თბილისი,  
ჩევნც რუსთაველზე დავხეტიალობთ.  
ვითარც შენ, ვდაფნავთ პოეტთა ორდენს  
და ცრემლებად ვღვრით მიმწუხრის ლოცვებს...  
ჩევნც „შეიძლება ბრძოლაში მოვკედეთ,  
მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს.“  
სულის საამოდ შენს ლექსებს ვმდერით,  
სიკვდილის ყველა კარი ჩავრაზეთ...  
იმარადისებს ქართველი ერი,  
სვებედნიერად, ამ ქვეყანაზე.

## ეხოლოდ ოცნებას ვგეძავ

მსურს საწადელი გაგანდოთ,  
დარდს, ფარულს, ფიქრი ერთვის...  
ნეტავ ამ ბავშვურ ოცნებას  
თუ მაპატიებს ღმერთი?  
არცა მეხილა მსგავსი რამ,  
არც სმენით გამეგონა...  
ვითა შესძელი, გეციე  
ბრმა სიყვარულის მონად?  
სევდა ცრემლებად იღვრება,  
თვალთაგან მოწვიმს თქემად...  
ვითა შესძელი ეს გული  
გეციოა გასაგლეჯად?  
გაყოფილია ეს სულიც  
და ლელვას ვეღარ ვმალავ...  
ეს სიყვარული შენდამი  
ნუთუ შემენთო ალად?  
ო, არა! არ ვცნობ სიყვარულს,  
მხოლოდ ოცნებას ვბედავ...  
ლექსები მომძალებია  
სიყვარულად და ბედად.  
საიდუმლო ხომ გაგანდე,  
ფარულ დარდს ფიქრი ერთვის...  
ნეტავ ამ ბავშვურ ოცნებას  
თუ მაპატიებს ღმერთი?

## არა გვერ მირზა!

„ნუ მწერ, რომ ბაღში აყვავედა ნუში...“  
მირზა გელოვანი

ორთაჭალაში შევჩერდი გუშინ,  
მიდამოს კაბა ჩაეცვა თეთრი,  
ო, რა საოცრად ჰყვაოდა ნუში,  
რა სასწაულად მზეობდა ღმერთი.  
შენ გამახსენდი საოცრად თბილი  
და ჩემი კბილა, ძვირფასო მირზა!  
შორეულიდან ვუძედავდი თბილის  
და ლექს ვუძლვნიდი გაზაფხულს მისას.  
უშენოდ რარიგ მწუხარობს მტკვარი  
შექად აკლიხარ თბილისურ ფერებს...  
ბრძოლის ქარცეცხლში სიკვდილთან მდგარი  
დარდა და ტყივილს ლექსად ამდერებ.  
მოდიხარ ჩემთან, როგორც ზმანება  
ვით გაზაფხული კრძალულობ თითქოს...  
და მთაწმინდაზე მზის დავანება  
ახლაც წააგავს ელვარე ხვითოს.  
კვლავ თბილისური აპრილობს ზეცა,  
აფეთქებულა სივრცე ნუშებად...  
შენს სტრიქონებთან სული გას კეცავს  
და უშენობა ეხამუშება.  
ამ ზემობას ვულისას მირზა  
შემოხვევი სევდა მარწუხად...  
ქართველთ მოქცეულს მტრისაგან ხიზნად  
რა გამოულევს დარდს და საწუხარს.  
დაუბრებულა სიონის ზარი

გლოვობს გაზაფხულს გული ჯავრილიც,  
მამულის ბედით კვლავ ოხრავს მტკვარი  
ბებერ მეტეხტან როცა ჩაივლის.  
უჟ, ჩამცდა თორემ... არა გწერ მირზა,  
გულს რომ ტკივილი ღარავს ხნულებად...  
აქ შენი სული მზეობს ფაქიზად  
და თბილისა ამკობს გაზაფხულებად.

## იქნებ არ ღირდა...

„მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს“  
ტ. ტაბიძე

ო, როგორ მინდა დავწერო ლექსი,  
შესდექი, ბევრჯერ გულისთქმა მესმა...  
რამდენი სიტყვის სიეშე შევსვი,  
სჯობს იქნებ თავად დამწეროს ლექსმა.  
სჯობს ყველაფერი დავტოვო ისევ  
და მწუხარება მივანდო ფიქრებს...  
თუ სიყვარულით ამ გულს ამივსებ,  
დე, გულმა თავად გიმდეროს იქნებ.  
გიცემორ იქნებ სიტყვაუთმელად,  
შემოფეთებულს თვალებში დიდხანს...  
და უფრო ნათლად, უფრო გულწრფელად  
სათქმელი იქნებ თვალებმა გითხრან.  
ვეღარ ვწერ ლექსებს და დუმილს ვრჩეობ  
დავცექრი ფურცლებს თეთრად გადაშლილს...  
ო, მაპატიე, ბატონონ ჩემო,  
„იქნებ არ ღირდა თქვენთან თამაში?“

## თინკო ხაბურზანია

### შვილებს

მე მხოლოდ ისლა შევძელი, წვეთი წინაპრის სისხლის,  
შემოგინახეთ და ახლა ის თქვენს ძარღვებში მიდის.  
და ესეც თქვენთვის შევძელი, გმირი წინაპრის ძლების,  
თაყვანისცემის პატივი დღემდე, რომ ვზიდე მხრებით.  
მიგროვებია ამ ქვეყნად, არა ოქრო და ვერცხლი  
უძვირფასესი განძი შვილებო თქვენ ხართ ჩემთვის.  
მას შევალიე ჯანი და ახალგაზრდობის წლები,  
რომ ბოლოს ჯილდოდ მიმედო ნაღდი კაცობა თქვენი.  
რომ გაგაჩინეთ ქართველად ტვირთიც აგვიდეთ დიდი,  
ღმერთია გაძლება მოგცეთ მისი ბოლომდე ზიდვის.  
არ გაიმარჯვოს თქვენს გულში ორპირობამ და შურმა,  
სიკეთის ქმანი იცოდეთ აღარ გიმტყუმნოთ მუხლმა.  
გაუფასურდა ლირსება და სიმართლეს დღეს უჭირს,  
მე იმ დროისთვის გაგზარდეთ, კაცს კაცობა რომ უჭირის.  
საფლავიდანაც იცოდეთ მე ამოგძახებთ მუდამ,  
სახელი იყოს საზომი თქვენი კაცობის უნდა.  
არ ჩაგითრიოთ ჭაობში ტკბილი ცხოვრების მახემ,  
კაცი ღირსებას და პატივს ქვასავით ძირს რომ დასცემს.  
სიყვარული და საკეთე ბლოგმად დათესეთ ირგვლივ,  
რომ თქვენს შვილებში ნაყოფი მისი მოიმკათ შვიდგზის,  
იმ სისხლის წვეთმა, რაც ერთხელ შემოვინახე თქვენში  
დე! იჩქრიალოს, იფეთქოს თქვენი შვილების მკერდშიც.

### თეონას - ჩემს რძალს

შენ მერცხალივით შემოფრინდი ჩვენს გაზაფხულ-  
ში,  
სახლი იღვიძებს ყოველ დილა შენი ჭიკჭიკით.  
ასაშენებლად სიყვარულით გამთბარი ბუდის,  
სხვა არაფერი – ჩვენ გვჭირდება შენი ღიმილი.

სიხარულს გვჩუქრი ყოველ დილა შენი იმედით,  
ყვავილივით ვკრეფთ და ვკრავთ ლამაზ თაიგულუ-  
ბად.  
გურიის მთიდან მოფრენილმა უცხო ბუდეში,  
ფრთებით სიკეთე ჩამოზიდე ჩვენთვის ულევად.

ფერი იცვალეს თითქოს სახლის კედლებმა უცხებ,  
გამოიხედეს ნაპარწლებად შენი თვალების  
და მხარ – თეძოზე განოლონმა ნაღველმა უკვე,  
გუდა აიკრა მიილია უცხო მხარეში.

პატარა კერა გაგვითბე და გაგვილამაზე,  
შემონახული გაძლებით და დიდი წვალებით,  
მაგრამ ამ კერას მხოლოდ ერთი აკლია რამე,  
უივილ – ხივილი აყრუებდეს შენი ბარტყების.

## ავტორი თავის ვინაობას არ ამხელს და ლექსებს უძღვნის ეკატერინეს

### ნეირი ცრებები

წვიმის წევთების მოლოდინში გადაღლილა ტანჯული მიწა. საკურთხევლის წინ დაჩოქილი ევედრება მხევალი წმინდანს, მსურვალედ ითხოვს რომ წყალობა მიიღოს ციდან, ცივ ქვაფენილზე მისი ცრემლი ეშვება წმინდა. მისი ცრემლების შემხვედარე სატანა გმინავს, მას დედის ცრემლის ეშინია ყველაზე მეტად. დედის ლოცვას კი ის ვერასდროს ვერაფრით იტანს, უფრო თუ დედას დედალვთისა იფარავს მისგან. წმინდა ცრემლები ანგელოზებს ზეცისკენ მიაქვთ, მხევალი წმინდა სიყვარულით მიაღწევს მიზანს. ამ სიყვარულით უფლისაგან მძიმე განსაცდელს იტანს. ის ხომ მორჩილად ელოდება წყალობას ლვთისგან. ამ ცრემლებისთვის იგი ჯილდოს მიიღებს ლვთისგან. მისი ლოცვები დედალვთისას უფალთან მიაქვს. უფალი მისთვის გაიმეტებს მომავალს მზიანს. სანუკვარ ნატვრას აზიარებს ნათელს და დიადს.

### ეს ვენ მიყვარებარ

ვარდის ფურცლებით ნაზად ნაკეცო, შენზე ოცნებას მე ღამეს ვუთევ. შენ ლამაზ ტუჩებს მინდა ვაკოცო, რომლებზეც მუდამ ღიმილი სუფევს. ეგ თეთრი ყელი ბროლის კოშკივით, წამოჭიმულა მაგ სათუთ მხრებზე. მინდა გიყურო მთელი ცხოვრება, ვენერასავით მიმზიდველ მკერდზე. ორივე ხელი მოგხვიო ნაზად... ლერწმის რტოსავით მოყვანილ წელზე. მინდა შეგხეო წელი ალერსით, სულ მუდამ თბილ და მშვენიერ ხედზე. ჩემი ცხოვრება ქარიშხალივით, დაჟერის და ბოგავს სერიდან სერზე. ცოტაც მაცალე ორივე ფეხზე, დავდგები მყარად ორივე ფეხზე. ხელში აგიყვან და ხელისგულით, გატარებ მუდამ ველიდან ველზე. მე შენ მიყვარხარ, მე შენ მიყვარხარ... მიყვარხარ კარგო, უშენოდ ვერ ვძლებ.

### ასე მეგონა

ასე მეგონა, სიყვარული არ მოკვდებოდა, ასე მეგონა, სითბო უფრო დაგროვდებოდა. ვხედავდი თითქოს ანგელოზი თავს შევლებოდა, ფრთებით მიცავდა, არასოდეს მიმატოვებდა. მაგრამ სატანამ სიყვარული გამიჩნანაგა, სითბო წამართვა, შემინგრია გულის კამარა. ანგელოზს ფრთები მოამტვრია, სადღაც დამალა. იმედი, სითბო სიყვარული დამისამარა. დავდივარ მარტო, ტკივილის და დარდის ამარა.

### ღვთავება ხარ

ვხედავ ცრემლს ღვრი, სჯობს გულის თქმა გამიმხილო, ღვთაება ხარ, ჩემო თოვლის წმინდა ფიფქო, არ მპასუხობ?... და უფლის ნება იყოს, ყველაფერი ჭეშმარიტება, სიყვარულმა გადაწყვიტოს.

### მერი თამაზაშვილი

#### გავისენებლეთ მიმრალ სახეებს მარიტას ტაპუდალებულ სიყვარულს

რა აელვარებს ბრონეულის ბუჩქს, ან რად უკიდებს ცეცხლს საკარეთოს? იქნებ ჩამქრალი ეს სიყვარული ფოსფორის მსგავსად უნდა აენთოს! გოგლასთან ერთად ჟამდაკარგული მარიტას სული თანაზიარობს მისი პატარა გულის ნაწილი პატარეულთან ხომ არ ხმიანობს? და ბრონეულის მზისფერ ყვავილებს ამოსულს ღობის ძირას ეულად იმ გარდასული დროების მაცნედ, მის გამკითხავიც ხო მარ წევეულა. და მიუწვდომელ ოცნებას მისას ჯვარცმულ სიყვარულს, ცრემლს უიმედოს ნათელ სულს ცეცხლის ყვავილად მოსულს, ბრონეულებად, რომ მარად ენთოს! მარიტას სულის ამოძხილში ეს სიყვარული ლამპრად კაფორბს თვით სილამაზე გაუხუნარი ჩვენამდე მოსვლას ხომ არ გვიანობს?

### მოლოდინი

მოლოდინი — ჩუმი განცდა, კაეშანი ნალვენთ სანთლად გულში ჩავლილ — ჩამარგული მოლოდინი — სულში წვდომა, ხვაშიადი დიღხანს დოგმა შეშფოთება და წუხილი თანდართული. მოლოდინი — გულის კვენესა სევდიანი, ჩვენს პირისპირ ყველაფერი განცდილი და დანახული. მოლოდინი — ერთჯერ, ორჯერ და მრავალჯერ გულთან ვალი მონდომებით და პირნათლად გადახდილი.

### გამოვარკვევი

თუ დაგვიანდა, ალარ მოხვიდე მოუსვენარი დამიდგა ხანი რომ ყველაფერი ამოიწურა ნდობაც, პატივიც და კაეშანიც. უიმედობის ჭია ღრღნას ინყებს გულში და ნამში ედება ამ სულს სასომიხდილი ჩამიჯინდება შემოეკვერბა ერთბაშად სხეულს. და დაცლილ სურას დაემსგავსება ჩემში ყოველი ამქეცენიური ეს ხმირად ხდება, მაგრამ სულ ასე ხომ ვერ ვიქნები ერთობ ტყიური? - გამოვერკვევი!

## იმ როს პედისნერას

გუძღვნი ნინო და ეკატერინე  
ჭავჭავაძეთა სიყვარულს

ნინანდლის ბალში ისევ ყვავილობს,  
ის ორი ვარდი სიყვარულისა...  
ნარსულ დროების, ზმანებადნაქცევ  
გზის მანათობლად ბედისწერისა.  
ნინო მომავლით საესე იმედებს  
მოწყდა ვით ციფან ვარსკვლავთა ამქარს,  
ეკატერინე დედოფლად შეოფი  
გვიან აუყვა გოლგოთის აღმართს.  
მაინც რა იყო — თუ ბედი ერქვა  
მიუწდომელი, გზებს მათ ოცნებისა  
რა გაიხსენეს, როცა დათრგუნეს.  
ყველა წადილი, მძაფრ დათრგუნეს  
იქნებ გაფანტეს სევდა გულისა

ჩაგუბებული ტკივილი ფიქრთა ...  
დამათრობელი სურნელი ტრფობის  
ვეღარ შეიგრძნეს ჰაერში თვისთა.  
ორივე თავის ბედზე ჩიოდა  
დღოც გაინტელა, მიჯნურთ ნახვისა  
ასე ულმერთობდ, მთვარის სადარ ქალთ  
დღეები ექცნებ შარად ნატვრისა.  
უამბა კი ფერფლად აწვა ხსოვნას  
მარტო ოცნება — ნაფიქრალისა  
მათვის რომ იქცა, განგების ნება  
მიუწვდომელის და შეუვალისა.  
ნინანდლის ბალში ისევ ყვავილობს  
ის ორი ვარდი სიყვარულისა.  
ნარსულ დროების, ზმანებად ნაქცევ  
გზის მანათობლად ბედისწერისა!

## ნუნუ მალაზონია

### აოცურები საღამო

გარეთ ქარიშხალი ჰქროდა  
მძვინვარე და სამო,  
ცეცხლის პირას მარტოობდა  
მოწყენილი სალამო.  
ცამ თვალები მოინმინდა  
და ცრემლები დამალა,  
შორს მივდივარ, რადგან შენმა  
სიყვარულმა დამღალა.

### გთაცე და გული მატკინა

საცაა მზეც ჩაეშვება,  
ლამე იმძლავრებს დილამდე,  
თურმე ერთი გზით გვივლია,  
გაღმა გორიდან ხიდამდე.  
შენს შესახვედრად მოვრბივარ,  
თავთავი მზედება კალთამდე,  
გნახე და გული მეტკინა,  
რად ვერ წაგანყდი აქამდე?!

### გეძებდი

ნაწვიმარ ბილიკებს ვტკეპნი და  
ეს რა მემართება, ვერ ვხვდები,  
ნიავო, შენ მაინც სადა ხარ,  
რად დადუმებულან ვერხვები?!  
კვლავ სულის შემხუთველ ფიქრებში  
რას აღარ ავყიობს სევ-ბედი,  
იცი, რა ძალიან განვიცდი,  
გვერდით რომ მყავდი და გეძებდი.

### აღვირახსილი ქარი

აღვირახსილი ქარი  
სულ გადავიდა ზღვარს,  
ნინ ელობება ურცხვად  
ქანცგამოლეულ მგზავრს.  
შავი ღრუბლების ჯანდი  
მთას შემოერტყა კვლავ,  
დღეს არა მიშავს, მაგრამ  
რა მეშვეობა ხვალ?!

### ქართველები იყვნენ

დებანისის სამარხში ნაპოვნ  
ზეზასა და მზიას.  
ათასგვარი სხივი  
აელვარებს თაღებს,  
რა ძალა აქვთ თურმე  
შეყვარებულ თვალებს.  
აბორგებულ გრძნობას  
გაიტაცებს ღელვა,  
გადატკეპნის ბილიკს  
შორეული ხედვა,  
ძეთა წინაპარნო,  
თქვენი სიტყვა ითქვა,  
ფეხადგმული გული  
ჩემს მამულში იშვა.  
წარბებშეკრულ ცაზე  
გაიკლაკნ ელვა,  
ქართველები იყვნენ  
ადამი და ევა!

### რომ აღარაფრად მიღირდას

ამ აგიუბულ ქვეყანას  
თუ მაინც უნდა გამყარო,  
ვაი, ფარო და აბჯარო,  
ძირს სამარცხვინოდ ნაყარო.  
ვინმე ჩემფერი შემყარე,  
შე ბედისწერის მაყარო,  
რომ აღარაფრად მიღირდეს  
ჭიანაჭამი სამყარო.

### ქართველობა სხვა მადლია

ჩემი ქვეყნის ყოველ კუთხის  
ცვარ-ნამს მძივად ანაკინძავს,  
ვიდრე თითებს არ შევახებ,  
არ ვიხილავ ვენას, ნიცას.  
მე ხომ ჩემი ერთი ციდა  
მინის დიდი სული მიცავს,  
ხან სიტურფით მაბრუებს და  
ხან მაფხიზლებს დილას სისხამს.  
ქვევრთვალებას ტკივილი მრჯის,  
აბჯარს ვაწვდი ბრძოლის შემძლეს,  
ქართველობა სხვა მადლია,  
ვფიცავ მე ამ გენის შემქმნელს!

## ნარგიზ ტატიშვილი



## მათ, ვისაც არ ვუვარვარ...

ყველაფერი დაწერილა,  
ყველაფერი თქმულია,  
მათ ნაკვალევს ვერ გავყვები,  
ვისაც ადრე უვლია.  
მე ჩემი მაქვს გასავლელი  
ბილიკი და ხეობა,  
ღმერთო, ხელი ძემაშველე,  
არ მომაკლო მხნეობა.  
მე ჭია ვარ აბრეშუმის,  
ჭუპრად დაბადებული,  
ჩემი ყოფის, ჩემი შრომის  
დამცველი და ერთგული.  
თუთის ფოთოლს  
ვინც მომანვდის,  
მისკენ გავეშურები,  
იცოდეს, რომ მას დარჩება  
ჩემი აბრეშუმები.  
არ მჭირდება სატყუარა,  
ხერხები და ფანდები,  
სულ ხომ ჭუპრად არ დავრჩები,  
პეპლად დავიბადები!

## ციხის ნაგრევი

გორის ციხიდან ჩამოველ,  
ნანგრევი ვნახე ძველი,  
იმდენი სხივი ეფინა  
დათვლაც ვერ შევიძელი...  
ამ დიდებული ტაძრიდან  
გადარჩენილა ესლა,  
კედლიდან შემომყურებდა  
აცრემლებული ფრესკა.  
ჰეგავდა შორეულ დედოფალს  
და მზეჭაბუკის სატრფოს,  
მიცქერდა, მეკითხებოდა:  
-კიდევ რამდენ ხანს გავძლო?

## ვრესპა

როცა ფიქრები მომეძალება,  
დაუნდობელი, თანაც ურჩები,  
ფრესკას შევხედავ,  
ლამაზთვალებას,  
შევხედავ ფრესკას და გავყუჩდები.  
მე ეს ლამაზი ფრესკა მაგონებს  
შენს პროფილს ათლილს,  
სახეს მადლიანს,  
დროებით მაინც გამახალისებს,  
ოცნებით ასე დალლილს,  
დარდიანს.  
სანთელს ავანთებ ხელის კანკალით,  
შეირხევიან ბერები ჩრდილები  
და ნათლის სვეტად დამადგებიან  
თავზე შვილი და შვილიშვილები.  
ვილოცებ,  
როგორც მლოცველთ სჩვევიათ,  
ჩუქად, ბაგეთა გაფუჩუნებით,  
მერე სიზმრებში,  
როგორც საყდარში,  
ფრესკას, შენს ფრესკას  
ვეჩურჩულები!

## მოგონება

მომაგონდება ჩემი სოფელი,  
დედულეთი და თეთრი ზამთარი  
და სიყვარულით ტანჯვა ყოველი,  
მხოლოდ წარსულით არის მართალი.  
მომნატრებია სიყრმე, ბავშვობა,  
ნადარბაზევის ფართო ველები,  
სადაც ბავშვობა დათამაშობდა,  
იყო დღეები საკვირველები!  
მხოლოდ ვიგორებ,  
ტკბილად ვიგორებ,  
გავყურებ შორეთს,  
ადგილს მთებიანს  
და გული მწყდება, მწვანე დღეები  
ვაი, რომ ველარ დაბრუნდებიან!

## ავტოპორტრეტი

მე სიყვარული შემიყვარდა,  
ვარ ბედნიერი,  
მე სიძულვილი შევიძულე და  
ვარ მდიდარი...  
სიყვარულით და ერთგულებით  
მე ვარ ძლიერი,  
ქმნა სიკეთისა, ბოროტება -  
არავითარი!  
უკეთურება უგუნურთა  
როგორ არ მძაგდეს,  
რწმენით მივდივარ,  
უსათუოდ მივალ ტაძრამდე!

## სამარაპლოს

წამნამთ შორის ბროლის ცრემლი  
მომწყდა, ღანვზე დაიმსხვრა,  
ჩემს ედემში, ჩემს მაგიერ  
მომღიმარი დადის სხვა.  
გული მტკივა, ვენამები,  
საშველი კი არა ჩანს,  
ზარი რეკავს მეცამეტე  
და თუ სული გადარჩა,  
ვილოცებ და ვიმარტვილებ,  
დაგიდგები დარაჯად,  
იქნებ ღმერთიც შემენიოს,  
მტერს ხმალდახმალ ვეცემი,  
მოვაშთობ, რომ ჩემს მამულში  
არ გაიდგას ფესვები.  
მერე რა, რომ დიაცი ვარ  
ულელს ცალად ვეწევი,  
საქართველოს ლამაზ გვირგვინს  
მოვწნავ ვაზის ლერწებით.

## სალალოგო

კოკის ტუჩი, არა ურჩი,  
დაყოლილი შენს ნებას,  
რა ვქნა თუ ვერ გადავურჩი  
ტრფობის ცეცხლს და საკირეს...  
ჰოდა, ჩემონ ვაჟბატონო,  
ტრფობას თუ არ აპირებ,  
ავდგები და გავუყვები  
ზღვის სევდიან ნაპირებს,  
მერე სულ სხვას მივენდობი,  
სხვა მზესა და აპრილებს.

## გაზაფხული

ჰა, მოვარდა გიუი ქარი,  
აუწენა ხეებს თმები,  
პატარა და ლამაზ კვირტებს  
მე სათუთად ვეფერები.  
ის კი დაპქრის  
გადამთვრალი  
ყვავილების სურნელებით,  
თავებს ხრიან გვირილები,  
ეს საყვარლად სულელები.  
ქარო, ქარო, ხელს ნუ ახლებ,  
ვარდებს ფერი დაუცხრებათ,  
მშიშარები არიან და  
კვირტებს გული გაუსკდებათ.

## საქართველოს მთლიანობას შემაბერება

თავი მომაპეზრა ჩემმა ზამთრეულამ,  
ისევ გაზაფხული მენატრება,  
მინდა გავაძევო ჩემი სიზმრებიდან  
კაბადაკონცილი  
ზამთრის ნაფლეთები.  
მე ის ცვარნაწველი დილა მენატრება,  
როცა მომთაბარედ  
მთასთან ვდობილობდი,  
როცა ფეხშიძველი  
ეკალ-ნემსის წვერზე  
წვივებს ცრემლი ჰქონდა  
სისხლისფერი.  
მზე კი ცახცახებდა  
ლავა დალალებით,  
ლოლო ნანანნალი ტბასთან  
თავს იხრიბდა,  
- იო, საოცრებავ, უფლის ნაბოძვარო,  
ნედლი სურნელებით  
მუხლი მეცვეთება.  
როცა დაფიოზი გვირგვინს  
თავზე იდგამს  
თეთრი ფიქრებით და  
ჩუში ოცნებებით,  
უფალს შევავედრებ ქართლს და  
ქართლის ველებს,  
სულით განანამებ, ბუდეაშლილების...  
ვიცი, ისე ვერ ვთქვი,  
როგორც გეკადრება,  
ღმერთო, გაუთენე დილა  
მტრედისფერი,  
ჩემო გათვალულო,  
მშობლიურო კერა,  
სულით რნმენის ტაძარს  
საღმრთოდ შემოგწირავ!  
ჩემო საქართველოვ,  
ჩემო ერის მიწავ!

...

მე ჯერ არ მითქვამს  
ჩემი სათქმელი,  
დამაქვს რითმები, როგორც მარჯნები,  
მე სიგიჟემდე მიყვარს ქართველი  
და სიყვარულში დავიხარჯები!



## იური ჯინჭარაძე

### არ ვარ მა ლოთი

ამ მზის და მიწის ნაჟური რომ  
ხელში მიჭირავს,  
შენ რომ იცოდე, სხვებზე უფრო  
კაი ბიჭი ვარ.  
არვის ეგონოს, არ იფიქროს  
რომ ვარ მე ლოთი,  
მთვრალი ვარ, მთვრალი,  
მსოლოდ ჩემი საქართველოთი.  
მე ის კაცი ვარ, წელებზე რომ  
ფეხებს იბიჯებს,  
და დახვეწილი სიფათისთვის  
არ ვემნი ინიჯებს,  
ქმერთმა ჰქნას, ყველა გენიოსი  
გახდეთ დიდები,  
მე ლუკმასავით მცირე ჭკუით  
ვემაყიფილდები.  
თქვენ ნაღდად ცდებით, არ იფიქროთ  
რომ ვარ მე ლოთი,  
მთვრალი ვარ, მთვრალი,  
მხოლოდ ჩემი საქართველოთი.

### ყაყაჩო ციხის კედელზე

ბებერ ციხის კედელზე რომ ამოსულა,  
აქ არასდროს არ მინახავს წინათ ის,  
თითქოს ძველი მითებიდან გადმოსულა,  
თითქოს სისხლმა გამოჟონს წინაპრის.  
სიმალლეზე ასვლა მოუსურვებია  
და ნუ გიკირს ძველო ციხე-ქვითკირო,  
მიმიხედვე, პატარა, სულელია,  
მეშინია არაფერი იტკინოს.

### დედა

ოცნებით მივქრი მშობელ მხარეში,  
თვალმა სავალი უცემ მოშვილდა,  
მე მომენატრა დედის ალერსი,  
დედის ალერსი ისევ მომშვიდა.  
ისე ვენვიე, არც კი მელოდა,  
მკერდში ჩავიკარ და ვიგრძენ სითბო,  
თუმც დავყურებდი დედას ზემოდან,  
ის მაინც ჩემზე მაღალი იყო!

### ასე გეონია

რიონის პირას ბექობზე შევდექ,  
დავყურებ ტალღებს, როგორც დილემას,  
ქარტეხილის და წვიმების შემდეგ  
მდინარე მდორედ მიედინება.  
და ტალღებს მიაქვს წეკერძებლის ტოტი  
ნელა-ნელა და სვენებ-სვენებით,  
ასე მგონია, თითქოს მე მოვკვდი,

### დიკი რიმნისთაველი

### ჩემი მამული

ბევრმა ურჯულომ გადაგიარა,  
ვერა დაგაკლო და მიხარია,  
ქართული სისხლი მტერმა კი არა,  
ამ მადლიანმა მინამ დალია.  
შენი ტკივილის ერთგული ვრჩები,  
ნამითაც არ ვარ მე გულნაკლული,  
ჩემი სუნთქვა ხარ,  
რჩმენა ხარ ჩემი,  
მე შენს ჯვარზე ვარ ლოცვად გართხმული.  
და თუ დაგჭირდა ფარ-ხმალს ავისხამ,  
ქუდზე კაცს ვუხმობ,  
ვით დედო ზარი,  
სულიერებამ ბევრჯერ დაგვიხსნა,  
სულიერება ჩვენი ხსნა არის.  
მე შენზე ზრუნვამ ლამის გამთელოს,  
ყოველ წუთს ველი ღმერთის განაჩენს,  
ლექსი თუ იხსნის დღეს საქართველოს,  
ჩემს მამულს ლექსი თუ გადაარჩენს.

### მამული

ვისი შვილი ხარ უნდა იცოდე,  
ვინა ქვეყნად შენი მსურველი,  
გავაზაფხულოთ ლექსით სიცოცხლე  
და ყვავილების ვლგაროთ სურნელი.  
სხეულს გავცილდეთ, სადმე, დროებით,  
გავეარშიყოთ ნიავს ველებზე,  
ყველა ქართველი არის პოეტი,  
ყველა ქართველი არის მელექსე!  
თუ დაძატყვევებს ბუნების ეძხი  
და ჯერ უთქმელი ლექსის ფერები,  
მოთენთილ მთვარეს ავიყვან ხელში  
და როგორც ჩვილ ბავშვს მოვეფერები.  
გადავაბიჯებ საფლავის მინას,  
ცას სწვდება მზერა სალი გონების,  
მე ეს სიცოცხლე მათრთოლებს, მიყვარს,  
მე ყველა ქართველს ვეამბორები.

### გასაუბრება იპოსთან

იპო, რა გითხრა ამ ყველაფერზე,  
ცხოვრება სად და როგორ გვიმუხთლებს...  
როგორ აგიხსნა, რომელ ენაზე,  
უძლური ბედი სად ჩაიმუხლებს.  
ნეტავ განგება კიდევ რას გვიზამს,  
როცა ძარღვებში იგრძნობს სიამეს  
და ლუციფერი ღამეულ სიზმარს  
მარაოსავით დაინიავებს.

## ქეთევან ნათელაძე

### ზღვისჭარ გუაშვი

ეს მოძახილი სუნთქვას ვერ გასცდა,  
და სადლაც გულთან ახლოს გათავდა,  
სულზე მციოდა სხეულის ნაცვლად,  
როცა გოია შიშველს მხატავდა.  
შემოალნევდა ეგ ხმა ბურანში,  
ხმას ტალღებივით ქარი არწევდა,  
და შენს თვალებში – ზღვისფერ გუაშში,  
ლამე ფარულად თითებს აწებდა.  
ატმის ყვავილად გასკდა სურვილი,  
ტანს ურუანტელად რომ დაუვლიდა,  
და საკრალურად ცივი დუმილი,  
ისედებოთა შენი სულიდან.  
მერე გაფითრდა მზე და შებინდდა,  
შენი ვერმოსვლა სწყინდათ ჩერიებს,  
და ვარსკვლავები ბლებად ეკიდა,  
ქარით დაზინქილ ცის კენწეროებს.  
ეს მოძახილი სუნთქვას ვერ გასცდა,  
და სადლაც გულთან ახლოს გათავდა,  
სულზე მციოდა სხეულის ნაცვლად,  
როცა გოია შიშველს მხატავდა.

### ვეღარშერიგების მოწოდოგი

წლები წუთებივით ჩაივლიან,  
ჩვენ კი ალარასდროს შევრიგდებით,  
მაინც მოგონება დალლილია,  
შენი დავიწყების შებინდებით.  
წლები აშვებული აფრებია,  
და ეს ვარსკვლავები – ორგულები,  
ზეცის ჩირალდნებად ჩაქრებიან,  
ფიქრის დაბნელდება ქინგურები.  
მაინც მოგონებებს განდევნიან  
ცეცხლში ნაომარი ელადები,  
მაინც მოგონება ტანდემია,  
როცა მარტო ვარ და მელანდები.  
სული შთაგონების მეუფეა,  
სული მალალია ტაძარივით,  
ცაზე ვარსკვლავების ტრიუმფია,  
გულში გაჩენილი ხანძარივით.  
ქარი გაზაფხულებს მანიჭებდა,  
ქარებს მივსდევდი და არ გელოდი,  
დარდის ჩუქურთმიან კარიბჭესთან  
მოდი, ქალმერთებად განვმეორდი.  
მოდი, ქარიშხლებმა გამაციეს,  
ფუჭი იმედებით მაარაკეს,  
გული ქვად ვაქციე, ქვად ვაქციე,  
ქვაში შენი სახე ვაქანდაკე.  
მაინც მოგონება დალლილია  
ცრემლის მარადიულ შეგირდებით,  
წლები წუთებივით ჩაივლიან,  
ჩვენ კი ალარასდროს შევრიგდებით.

### ჩემს უსულესს

(ხატიას)

ხატია, მგონია, რომ ახლა მარტია,  
ისეთი სიმწიფე იგრძნობა მთვარეში,  
ოცნებამ სანოლთან ლამე გაათია,  
და თოვლის სისუსტე დატოვა თვალებში.  
ხატია, სიჩუმე იმხელა დარდია,  
იმხელა განცდაა... და ჩვენზე ვიგონება...  
მე და შენ სიყვარულს ვოცნებობთ ხატია,  
ყვავილის ფერი აქვთ გალეულ სტრიქონებს.  
ჩვენც დაგვავიწყდება დარჩენა ზღაპარში,  
გაჩნდება დალლა და ერთფერი იჭვები,  
ჩვენც დაგვავიწყდება ეს მზე და თამაში,  
ეს მოსაბეზრებლად უნიჭო ბიჭები.  
ხატია, ოცნების ათასი დარბაზი  
ცრემლების საფასურს მაგით გვიხდიდა,  
გვენვევა რალაცა ძალიან ლამაზი,  
ვადაგადასულ და უგულო ფლირტიდან.  
გვენვევა ლურჯი და კეთილი ზღაპარი,  
და თუ დღეს მგონია, რომ თითქოს მარტია,  
გვენვევა რალაცა, ისეთი მთავარი,  
თავსაც კი გავწირავთ მის გამო ხატია.  
ხატია, ოცნებამ შენთანაც ათია  
ლამე და ლოდინი დატოვა თვალებში,  
ხატია მგონია, რომ ახლა მარტია,  
ისეთი სიმწიფე იგრძნობა მთვარეში.

### ვეშინია...

ჩემში უშენობას მაინც ვერ შველიან,  
შენ არ ნახვიდოდი, გულს თუ გავალებდი,  
რაც შენ ალარ მყავხარ, ზამთრის მეშინია,  
შენზე ფიქრისათვის მოსულ დალამების.  
უამი ქარიშხლებზე უფრო შემლილია,  
ცრემლის ნარღვნად მოსულ წვიმებს დავედრები,  
რაც შენ ალარ მყავხარ, დროის მეშინია,  
ბოლო ფურცლებამდე დასულ კალენდრების.

### მირიან

ვარსკვლავდამსხვრეულ, მთვარეგამტყდარ ლამეს ვათევდი,  
და ქუჩა-ქუჩა მოპოეტო წვიმას ვხვდებოდი,  
ახლა ისე ვარ, მხოლოდ შენ თუ მოგინატრებდი,  
ახლა ისე ვარ, მხოლოდ შენთან ავტირდებოდი.  
ყველა კარიდან, ყველა გზიდან მე გამოვრბოდი,  
მე–მარადიულ განსაცდელის სუსტი შეგირდი,  
ახლა ისე ვარ, მხოლოდ შენს მხარს დავეყრდნობოდი,  
ახლა ისე ვარ, მხოლოდ შენს ხმას დავუჯერებდი.



## ეთერ ფირცხალავა

### გულნაზი ხარაიშვილს დაპადეგის დღის აღსანიშნავად

შენ მოევლინე ამ ქვეყანაზე,  
როცა ყვაოდა ვარდი და ია,  
ალბათ მიტომ ხარ ასეთი კარგი,  
სხვა რა ვიფიქრო ვერ გამიგია.

მე შენ ქედს გიხრი ძვირფასო ქალო,  
ლექსის ზღვა ხარ და გულის დაისი,  
ხალხის მალამოვ, დილის მზის ცვარო,  
მომილოცნია ხუთი მაისი.

### ჩემს საყვარელ რძალს — რანას

მუდამ ხარობდეს შენი მშობლები,  
ვინც შენ პირველად გიმდერა ნანა,  
შენით ვამაყობ თავს შემოგავლებ,  
ჩემო ჭკვიანო, ძვირფასო რანა.

### ელგუჯა სხირტლაძე

\* \* \*

მოგდალა დარდმა სულო,  
სევდამ დაგაჭნო გულო,  
ერთ დროს ხალისით სავსევ,  
დღეს დარდში გაბნეულო.  
წლები გაგექცა ფუჭად,  
და შემოდგომაც გაჰქრა,  
ასაკით დახუნძლული,  
ცრემლ მორეული დგახარ.

\* \* \*

ამემლვრა თვალში ნაკადი ცრემლის,  
მდის როგორც ლავა ადულებული,  
სისხლის წვეთებად ჩაბრუნდა გულში,  
ფიქრთა მორევში, დადუღებული.  
თამბაქოს კვამლში დადუმებულმა,  
მკერდმა ტკივილით გამომარკვია,  
ჩვილი ბავშვივით აჩუყებული  
თვალმა ცრემლები ტანზე მაფრქვია.  
მე როგორც ხიდან მოწყვეტილ ფოთოლს,  
ბრმა ბედისწერით ქარი მიმაფრენს,  
ისევ მივყევი, ამ წუთისოფელს,  
ყოველ დღიური ცდუნების ქნარით.

\* \* \*

როცა ოცნების ლაბირინთებში,  
ჩაძირულ კუნძულს დავემსგავსები,  
მარგალიტებით მოჭედილ ღამეს,  
გადამივლიან ფიქრთა ტალღები.  
როცა დაღალულ თვალებს კურცხალი,  
როცა სულს, სევდა შემოაწვება,  
როცა ოცნება, აუხდენელი,  
მოწყენილ სანთელს დაემსგავსება.  
როდესაც მკერდ ქვეშ, ტკივილი ჩემი,  
გაუსაძლისად მწველი გახდება,  
საძველად ვიხმობ, ჩემს გულის დობილს,  
ღამეს, რომელიც მედაქალება.



## წერილები

### ტიტო მოსია

### ფედერიკო გარსია ლორკა იყო XX საუკუნის I

ნახევრის დიდი ესპანელი პოეტი და დრამატურგი. თავის ქვეყანას ლორკა უდიდეს პატრიოტად მოევლინა. ფაქტზე დამოკიდებულება ჰქონდა ხალხურ შემოქმედებასთან. მას, საერთოდ, სამშობლოს წინსვლა ვერ წარმოედგინა ქვეყნის ისტორიული წარსულის დაფასების გარეშე. ამ მხრივ ლორკა მოგვაგონებს დიდ ქართველ სამოციანელებს, ასევე განუმეორებელ ვაჟა-ფშაველას. ლორკა ემუდარებოდა თანამედროვეთ, რათა გადაერჩინათ ხალხური შემოქმედების განძი, ათასწლოვანი უზომო საუნჯე: „ვისთვისაც ძვირფასია მომავალთან დაკავშირებული ჩვენი ტრადიცია, ყველას, მეცნიერი იქნება ის თუ მინის მხვნელი, უმორჩილესად გემუდარებით: არ დაუშვათ, რომ დაიღუპოს ჩვენი ერის ფასდაუდებელი ცოცხალი განძი, ათასწლოვანი უზომო საუნჯე, რომელიც ანდალუსის სულს შეადგენს“. კონკრეტულ მომენტში საუცხოო ესპანელ პოეტს მხედველობაში ჰქონდა პირველყოფილი ანდალუსიური სიმღერის შედევრი „კანტე ხონდო“.

ლორკა აღფრთოვანებით შეხვდა ესპანეთის ინტელიგენტთა და ენთუზიასტთა ჯგუფის თაოსნობას და განგაშის ატექსას მივიწყების გზაზე მდგარი ესპანური ხელოვნების ეროვნული საგანძუროს გადასარჩენად, ხალხის მუსიკალური სულის საფრთხიდან გამოსატაცებლად. ამ მიზნით 24 წლის ლორკამ 1922 წლის 19 თებერვალს გრანადის „ხელოვნების ცენტრში“ წაიკითხა ლექცია — „პირველყოფილი ანდალუსიური სიმღერის — „კანტე ხონდოს“ ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა“. ეს არის არაჩვეულებრივ სტილში შექმნილი გამოკლევება, რომელიც არასდროს დაკარგავს ლირსებას. ამ ლექციის დედარსი აქტუალური იყო არა მხოლოდ XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისის ესპანური კულტურის სინამდვილეში, არამედ არანაკლებ აქტუალურია დღესაც ყველა ცივილური ერის კულტურული შუბლის შესანარჩუნებლად. საქმე ისაა, რომ ე.წ. გლობალიზაცია ხახადაფრჩინილი ლიმივით მოიწევს წინ და შთანთქმას უპირებს იმ დიდ კულტურულ ტრადიციებს და ჰუმანურ ზნე-ჩვეულებებს, რაც კაციბრიობის მოწინავა ნაწილს შეუქმნია უხსოვარი დროიდან დღემდე.

90 წლის წინანდელი ლორკას ლექციის თემა აქტუალურია დღესაც, ვინაიდან აზვირთდა ნიპოლიზმი წარსული კულტურული შემკვიდრეობის მიმართ, ხალხური ტრადიციების და ხელოვნების მიმართ. ეს ლექცია შეუპოვარ გამოძახილს პოულობს თანამედროვეობაში, განგაშის ზარებს არისხებს, შეგვანჯდოებს, გვაფიზლებს, გამოლვიძებისკენ მოგვიწყოდებს. არც ის იყო შემთხვევითი, რომ ლორკას ეს ლექცია და პოემა „კანტე ხონდო“ სწორედ მაშინ ითარგმნა და გამოიცა ქართულ ენაზე, როცა საქართველოში მოძრაობის ზენიტს მიაღწია და ხელისუფლებაშიც ეროვნული ძალები მოვიდნენ.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ფედერიკო გარსია ლორკა, კანტე ხონდო, პოემა, თარგმანი მერაბ თოფურიასი; პირველყოფილი ანდალუსიური სიმღერის „კანტე ხონდოს“ ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა

როგორც ითქვა, დიდი ინტერესს იჩენდა გარსია ლორკა ესპანური ხალხური შემოქმედებისადმი. მისი შთაგონების ობიექტია „კანტე ხონდო“. მას პასუხი არ აქვს კითხვაზე თუ ვინ შექმნა ეს გენიალური ლექციები — საკუთრივ ხალხმა თუ ერთმა პროფესიონალმა ავტორმა. იგი იმოწმებს უანრუას წიგნს („ფრანგული ხალხური ლირიკის წყაროები“), სადაც ერთგან იყოხება: „ხალხური ხელოვნება არა მარტო უპიროვნო შემოქმედებაა, შემთხვევითი და გაუაზრებელი, არამედ „გაპიროვნებული“ შემოქმედებაცაა, რომელსაც ხალხი თავის გრძნობებს უსადაგებს“. ლორკა ბოლომდე არ ეთანხმება უანრუას თვალსაზრისს და შეინშავს: „დიდი ალლო არ არის აუცილებელი იმის მისახვედრად, რომ ნანარმოები პროფესიონალი ავტორის მიერაა შექმნილი, როგორი პირველყოფილი კოლორიტიც არ უნდა ჰქონდეს მას“.

ფედერიკო გარსია ლორკა აკრიტიკებს იმ პოეტებს, რომლებიც მხოლოდ ხალხური სიმღერების მიბაძვით არიან შეპყრობილი და თავიანთი საქციელით ამღვრევენ ხალხის გულით შექმნილ დიდ ნათელ ფერებს. იგი შთაგონებს შემოქმედთ: „ხალხისაგან უნდა ვიღებდეთ მხოლოდ უმთავრეს არსს და თითო-ოროლა დამახასიათებელ სამკაულს და არავითარ შემთხვევაში არ ვცდილობდეთ მისი განუმეორებელი მოღულაციების ზუსტ მიბაძვას, ვინაიდნ ამით არა მხოლოდ დავამახინჯებთ მათ, დავამახინჯებთ სწორედ ჩვენი განათლებულობით“. ცხადია, ავტორს კონკრეტულ შემთხვევაში „კანტე ხონდოს“ სიმღერებისადმი მიბაძვა აქვს მხედველობაში.

გარსია ლორკა წუხს, რომ ბევრ ესპანელს ნარმდებენა არა აქვს „კანტე ხონდოს“ ისტორიულ და მხატვრულ მნიშვნელობაზე და ის გაიგივებული აქვს უზნეობასთან, დუქნურ გარემოსთან, ლოთების სასაცილო მანჭვასთან: „დაუშვებელია, რომ ის ძაფი, რომელიც იდუმალებით მოცულ აღმოსავლეთთან გვაკავშირებს, მოქეთვე ლოთებმა გამოიყენონ გიტარის სიმად; დაუშვებელია, რომ ჩვენი სიმღერების ყველაზე ბრწყინვალე ნანილი პროფესიონალი სუტენიორების მღვრიე ლვინთ დალაქავდეს.

დიდი ესპანელი პოეტი ცდილობს საკითხში ჩაუხდავ საზოგადოებას გააცნობიერებინოს „კანტე ხონდოს“ რაობა და არს. ამ სურვილის ხორცებსას-ხმელად წინასწარ განსზღვრავს კანტე ხონდოსა და კანტე ფლამენკოს შორის არსებულ სხვაობას. მისი თქმით, კანტე ხონდო ეწოდება ანდალუსიური სიმღერების ჯგუფს, რომელთაგან ყველაზე დამახასიათებელი და გამოსარჩევია ბოშური სიგირია, რომლიდანაც მომდინარეობს ხალხის მიერ ჯერ კიდევ შემონახული სხვა სიმღერები (პოლო, მარტინეტე, კარსელერა, სოლვარი). ამ სიმღერებიდან მომდინარეობს და მის შემდგომ განვითარებას მოასწავებს კანტე ფლამენგოდ წოდებული სიმღერები (მალაგენია, გრანადინა, რონდენია, პეტენერა და სხვ.). განსხვავებას მათ

(ლექცია), თარგმანი ტარიელ ხუნარიასი, თბ., 1990. ვსარგებლოთ ამ გამოცემით და მთარგმნელთა წიგნზე დართული კომენტარებით.

შორის იმაში ხედავს, რომ კანტე ხონდო არის პირველ-ყოფილი ხანის იდუმალებით შეფერილი სიმღერა, კანტე ფლამენგო კი ემოციური ზეგავლენის უქონელ უმნიშვნელო თანამედროვე სიმღერად ესახება. მისი თქმით, პირველისთვის დამახასიათებელია სულიერი, მეორისთვის კი ლოკალური შეფერილობა — სწორედ ესა ძირული სხვაობა კანტე ხონდოსა და კანტე ფლამენგოს შორის.

საინტერესოა, რომ გარსია ლორკა კანტე ხონდოს ფესვებს ექებს ინდოეთის პირველყოფილ მუსიკალურ სისტემებში, ანუ სიმღერის პირველ გამოვლინებაში: „იგი პირველყოფილი მუსიკის უიბევიათესი, მთელს ევროპაში უძველესი ნიმუშია, რომლის ჰანგებშიც აღმოსავლეთის პირველყოფილი რასების შიშველი და მთრთოლვარე გრძნობა შემონახულა. იგი იმოწმებს ესპანეთის დიდი მაესტროს მანუელ და ფალიას, რომლის მიხედვით ბოშური სიგირია კანტე ხონდოს ჯგუფის ტიპური სიმღერაა, ეს ერთადერთი სიმღერა ჩვენს კონტინენტზე, რომელმაც სრული სიწმინდით შეინარჩუნა აღმოსავლეთის ხალხთა პირველყოფილი სიმღერების აღნაგობა და სტილი.

დე ფალიას კვალდაკვალ გარსია ლორკა ცდილობს საქმეში ჩაუხედავით თანამემამულე გაარკვიოს, თუ რატომ უწოდებენ სიგირის ბოშურს, თუმცა კანტე ხონდოს წმინდა ბოშურ სიმღერასთან არ აიგივებს. იგი დე ფალიას ენით სამი ისტორიულ ფაქტს გამოყიფს, ანდალუსიურ სიმღერაზე დიდი გავლენის მომხდენ ფაქტორს: ესპანური ეკლესის მიერ ლიტურგიული გალობის შემოღება, არაბთა შემოსევა, ესპანეთში ბოშების მრავალრიცხოვანი ტომის გაძოჩენა. სწორედ ამ იდუმალებით მოცულმა მომთაბარე ხალხმა მიანიჭავ კანტე ხონდოს მისი საბოლოო სახე. დე ფალიასთან ერთად ლორკა იზიარებს ისტორიკოსების ვარაუდს ბოშების ინდური წარმოშობის თაობაზე. ეს ვარაუდი ემყარება იმ გარემოებას, რომ 1400 წელს თემურ ლენგის ასი ათასი ცხენოსნისაგან დევნილი ბოშების ტომი ინდოეთიდან გამოიქცნენ, ისინი მოედვნენ ევროპის ქვეყნებს. ესპანეთში კი მათი შემოსვლა უკავშირდება არაბთა ჯარს.

ლორკას წმინდა ანდალუსიური სიმღერა ბოშების შემოტანილად კი არ მიაჩნია, არამედ მისი ჩანასახი ბოშების გამოჩენამდე არსებობდა: „ჩვენს ანდალუსიამდე მოლენულმა ხალხმა, ბოშების სახით, გააერთიანა სიმღერის უძველესი ადგილობრივი ელემენტები იმ უძველეს ელემენტებთან, რაც თან მოიტანა და მისცა საბოლოო სახე იმას, რასაც დღეს კანტე ხონდოს ვუწოდებთ“. დიდი ესპანელი პოეტი ამაყობს, რომ „კანტე ხონდო უხსოვარი დროიდან არსებობს და ყველა გამოჩენილი მოგზაური, ვისაც კი ჩვენი მრავალფეროვანი და საოცარი მინა-წყალი დაუვლია, მოხიბულულა ღრმა სიმღერებით, რომლებიც სიერა-ნევრადის მწვერვალებიდან კორდობის მწყურვალ ზე-თისხილის ბალებამდე და სიერა და კასორლადან გვადალკივირის თვალნარმტაც შესართავამდე გაისმის ჩვენს უბადლო და ათასფეროვან ანდალუსიაში“. ლორკა გულდამწვარი და სვეგამანარებული ჭირისუფალივთ დასტირის იმ ფაქტს, როგორც გაქვავებულ ცხედარს, რომ მისი დროისათვის (XIX საუკუნის ბოლო მესამედიდან მოყოლებული) ეს უნიკალური სიმღერები დამწყვდეულია მყარ დუქნებსა და საროსეკიანებში. ამას იგი აბრალებს ესპანური სარსუელის (ესპანური ოპერეტა) და ფერნანდეს ანტონიო გრილოს (ესპანელი პოეტი) ურნმუნო და შემზარავ ხანას, ასევე ისტორიულ მოვლენას. მანუელ დე ფალიასთან, ესპანეთის მონინავე ჰატრიოტ ინტელიგენციასთან ერთად ლორკა თავგანწირივით იბრძოდა ამ უწმინდე-

სი სიმღერების მყრალი დუქნებიდან და საროსკიპოებიდან გამოსაყვანად და მისთვის პირველყოფილი ელფერის დასაბრუნებლად.

ლორკას ხილავს კანტე ხონდოს ეროვნული ხასიათი, რომლის არევა სხვაში შეუძლებელია. ამიტომ აფრთხილებს იგი დაინტერესებულ პირთ, რომ სიგირია და მისი ვარიანტები არ იგულვონ აღმოსავლეთიდან დასავლეთში უბრალოდ გადმოტანილ სიმღერებად. ისევ დე ფალიას იმპველიებს: „აქ ლაპარაკია, დიდი-დიდი, დამყნობაზე, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ფესვთა დამთხვევაზე, რაც გამოვლინდა, ცხადია, არა ერთბაშად, არამედ ჩვენს ნახევარკუნძულზე საუკუნეების მანძილზე მიმდინარე ისტორიული მოვლენების შედეგად. სწორედ ამიტომ ეს, ანდალუსიისათვის დამახასიათებელი სიმღერა, რომელიც ძირითადი ელემენტებით თუმცა კი ემთხვევა ჩვენგან გეოგრაფიული მეტად დაშორებული ხალხის სიმღერებს, იმდენად ეროვნული ხასიათის მქონეა, რომ შეუძლებელია იგი სხვაში აგერიოთ“.

მანუელ დე ფალია როდესაც მსჯელობს ურთიერთდამთხვევებზე კანტე ხონდოს ძირითად ელემენტებსა და ზოგიერთი ინდური სიმღერისათვის დამახასიათებელ ელემენტებს შორის, შენიშვნავს შემდეგის: „უპარმონიობა, როგორც მოდულაციის საჟუალება გამოიყენება ისეთი შეზღუდული მელოდიკური სივრცისა, რომელიც იშვიათად სცილდება სექსტას; ერთი და იგივე ნოტის გამუდმებული, თითქმის აპეზარი განმეორება (დამახასიათებელი ილეთი, შელოცვების დროს რომ გამოიყენებოდა) და თვით ის რეჩიტატივები, რომლებსაც შეიძლება ვუწოდოთ ისტორიამდელი და რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ სიმღერა მეტყველებაზე ადრე წარმოიშვა“.

ლორკა საუბრობს გარემოს ორ იდეალურ ნახევარსფეროდ გამყოფ ბოშერი სიგირიის შემზარავ კივილზე, გარდაცვლილი თაობების კივილზე, გარდასულ საუკუნეთა მძაფრ ელეგიაზე, მძელვარე მოგონებაზე სიყვარულისა, ხმების საიდუმლოს გახსნაზე, ქვითინიდან და ჰანგების მდინარიდან გამოჩენილ მუღერი ცრემლის პატიოსან თვალზე. მისი თვალსაზრისით: „კანტე ხონდო უახლოვდება რა ინდოეთის პირველყოფილ მუსიკალურ სისტემებს, არის ერთვარი ბუტბუტი, ხმის ნაკადი — ხან მაღალი, ხან დაბალი; ესაა ხმის მშვენიერი რხევა, რომელიც სცილდება ბეგრათა ჩვენთვის ჩვეული გამის შეზღუდულ საზღვრებს... ნახევარტონების ათასფურცლოვან ყვავილად იფურჩენება... კანტე ხონდო უახლოვდება ფრინველის ჭიკჭიკს, მამლის ყივილს, ტყისა და წყაროს ბუნებრივ მუსიკას“. ვინც ლორკას სანალიზო ლექციას გაეცნობა, ადვილად მიხვდება, რომ ის იყო არა მხოლოდ დიდი პოეტი, არამედ დიდი მუსაკათმცოდნე.

გარსია ლორკა ჩვენს ყურადღებას მიაქცევს სხვადასხვა აეტორის თვალსაზრისზე მეტყველებდისა და სიმღერის თავდაპირველად ერთიან მოვლენაზე. მას ციტატა მოაქვს პარიზში 1840 წელს გამოქვეყნებულ ლუკასის ნაშრომიდან („ახალი აკუსტიკა“) უპარმონიობაზე წყობის მომხიბულებრივი შეკველისათან დაკავშირებით: „ეს უანრი გაჩნდა ყველაზე ადრე. ნაკარნახევი იყო თვით ბუნებით და ბაძავდა ფრინველთა გალობას, ცხოველების ძახილს, და, საერთოდ, მატერიალური სამყაროსათვის დამახასიათებელ ბერებს“. ასევე ლორკა იმონტებს ჟუგო რიმანის „მუსიკის ესთეტიკაში“ მოცემულ მტკიცებულებას, რომ ფრინველთა გალობას ნამდვილ მუსიკას უახლოვდება და რომ ამ გალობასა და ადამიანის სიმღერის შორის

არ არის არავითარი განსხვავება, რადგან ერთიცა და მეორეც გრძნობათა გამოხატულებაა.

ფედერიკო გარსია ლორკა კანტე ხონდოს „ეს-პანეთის დიად სიმს“ უწოდებს იმის გამო, რომ მან ეს-პანეთის ყველა მუსიკოსზე იქონია გავლენა (ალბენი-სიდან გრანადინისამდე და ფალიამდე), ასევე უწოდებს მას წმინდა და მაცოცხლებელ წყაროს, ყველა ჭაზე და ზღვაზე ღრმას. დიდ პოეტს კანტე ხონდო იტაცებს არა მხოლოდ თავის მშვენიერი მუსიკით, არამედ ლექსებითაც: „ყველა თანამედროვე პოეტი, ვინც ასე თუ ისე ვმონანილეობთ იმ უხვად განშტოებული ლი-რიკული ხმის გასხლვასა და მოვლაში, რომელიც რო-მანტიკოსებმა და პოსტრომანტიკოსებმა დაგვიტო-ვეს, მოჯადოებუნი ვართ კონტე ხონდოს ლექსებით“.

თავის ლექციაში — „პირველყოფილი ანდალუსიური სიმღერის „კანტე ხონდოს“ ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა“ — გარსია ლორკამ კომპაქტური, მაგრამ თითქმის ამომწურავი ნარმოდგენა შეგვიქმნა კანტე ხონდოს ლექსების მშვენიერებაზე. მის ყველაზე დამახასიათებელ თვისებად პათეტიზმი მიაჩინა. ასევე ამ ლექსების თვალსაჩინო თვისებად გამოყოფს „ნახევარტონების“ უქონლობას: „ჩვენ, ანდალუსიელები, იშვიათად ვამჩნევთ „ნახევარტონებს“. ანდალუსიელი ან ვარსკვლავებს შეჰქივის, ან მშობლიური გზების მონი-თალო მტვერს კოცნის. მისთვის არ არსებობს ნახევარტოში. იგი მათ ძილში თუ ხვდება:“ ლორკას მთელ ესპანეთში არ ეგულება კანტე ხონდოს ლექსების მსგავსი სტილით, განწყობილებით და ემოციური სიზუსტით. საუბარია სიგირიასა და მის ნაირსახეობათა ტერცეტებსა და კატრენებში მშეთქავ ტყივილსა და სევდის უთვალავ ელფერზე, როგორც წმინდა გრძნობების ზუსტ გამომხატველზე.

ლორკა განიხილავს ამ „უხვად განშტოებულ ლირიკული ხის“ მეტაფორულენოვან მეტყველებას, რომელიც თითქმის არ სცილდებათ თავიანთ ორბიტებს. ასევე იგი საუბრობს ანდალუსიური ლექს-სიმღერების სულიერი გმირის ურთიერთშეხმატებილებაზე, როგორც ადამიანთა გულების დამყრობზე. მათ ერთ სანტისად სიყვარული და სიკვდილი ესახება. მაგრამ „ეს სიყვარული და სიკვდილი დანახულია სი-ბილას თვალებით, იმ აღმოსავლური არსებისა, რომელიც ჭეშმარიტად ანდალუსის სფინქსია“. როგორც ტურგენევი ალიქვამდა თავის თანამემამულებში სფინქსად ქცეულ რუსულ სისხლსა და ხორცს. ისე ალიქვამს ლორკაც ანდალუსიური ლექს-სიმღერების მნიშვნელოვან ნაწილს: „ო, ანდალუსის სფინქსო: „ვიცი, მოხვალ და დამიძახებ, / მაგრამ მე არ გაგიღებ კარს / და იგრძნობ, რომ კარს უკან ვტირი მნარედ“.

ლორკის თანახმად, „ლექსტბი დაფარულია შეუღწეველი საბურველით. მათ სძინავთ ოიდიპოსის მოლოდინში, რომელიც მოვა, რათა ამოიკითხოს ისინი, გააღვიძოს და კვლავ დაუბრუნოს მდუმარებას“. ავტორი აქცენტირებს ლამის წყვდიდაში კანტე ხონდოს უდერადობაზე: „მას არ გააჩნია არც დილა, არც სალამო, არც მთები, არც ველები. არ გააჩნია არაფერი, უსაზღვრო და ვარსკვლავებით მოჭედილი ლამის გარდა. სხვა ყველაფერი ზედმეტია“. გამომდინარე აქედან, ლორკა მას ადარებს სიბნელეში მდგარ უზარმაზარ ლურჯ მოისარს, რომლის კაპარჭიც არასოდეს ცარიელდება. იგი სტყორცნის ოქროს ისრებს, რომლებიც ჩვენს გულებს განწინისო. კანტე ხონდო ესახება უსინათლო ბულბულის გალობად, „ამიტომ მისი ტანჯვით აღსავს ლექსებისათვის და უძველესი მელოდიებისავის საუკეთესო გარემოა ღამე, ჩვენი ველების ლურჯი ღამე“.

აქ არ შემიძლია უყურადლებოდ დავტოვო ლორკას მიერ ილუსტრირებული გამომსახულობის ორი ტიპური ნიმუში, რომელიც მეტყველ და მგრძნობიარე პარალელს პოულობს ჩვენს ეროვნულ პოეზიაში. ეს არის ასტურის მუსიკალური ლირიკისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ასტურიული სიმღერა, რომელიც ასე უდერს: „ვა ჩემდა, გზა ამებნა / ამ სევდინ მთაზე; / ვა ჩემდა, გზა ამებნა! / შემიკედლე, თუ ლმერთი გნამს, / ნუ დამტოვებ გარეთ. / ხშირ ჯაგარში მე და ჩემ ცხვარს / გზა აგვებნა, ვა ჩემდა! / გამიღე და მათევიე ერთი ღამე შენთან ერთად. / ნისლში გზა ვერ გავიკვლიე, / გზა ამებნა, ვა ჩემდა!“

ჯერ გავეცნოთ ლორკას კომენტარს დამოწმებულ სტროფებთან დაკავშირებით: „სასწაულებრივად აშკარად წარმოგვიდგება მთა და ქარში ახმაურებული ფიჭვები; ისე ზუსტადაა დახატული გზა აღმავალი მწვერალებისკენ, სადაც ჩასძინებია თოვლს. ისე თვალნათლივაა უფსკრულიდან ამომავალი ნისლი, რომელიც ბურავს სველ კლდეებს და ათასნაირ რუს ელფერს ანიჭებს მათ, რომ გვავიწყდება „საწყალი მწყემსი“, რომელიც ბავშვივით სთხოვს თავშესაფარს უცნობ მწყემს ქალს“.

ვისაც ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური პოემა „განდეგილი“ წაუკითხავს და გაუთავისებია, საოცარი სულიერი შეხმანების მონმება გახდება ზემოთ დამოწმებულ სტრიქონებთან. ერთი განსხვავება: „გადეგილში „მასპინძელი“ მამაკაცია, მესენაკე ბერი, რომელსაც მწყემსი ქალი სთხოვს თავშესაფარს, ასტურიულ სიმღერაში კა „საწყალი მწყემსი“ კაცია, ქალისთვის შეხაზების მთხოვნელი. „განდეგილს“ მწყემსი ქალი მთაში ცხვარს აძოვებდა: „მწყემსი ქალი ვარ, აქ მთის კალთებზე / ცხვარს ვაძოვებდი მამიჩემისას. / ბალახმა ცხვარი ამოიტყუა / და მეც ამოვ-ყევ ფარასა ცხრისას“.

მას ავდარმა გზა აუბნია, ცხვარიც დააღუპვინა („დავლებე ცხვარი მე მამის ურჩმა“. ეს სიტყვები ასოცირდება სახარების ასეთ ფრაზასთან: „დაჭვსცე მწყემსი და განიბინებნენ ცხვარვარნი სამწყსოქსა მისისანი“ (მათე, 26, 31) და აიძულა თავშესაფარი ეძია. გაახსენდა, რომ ბეთლემის მონასტერში ერთი მნირი იმყოფებოდა და იქითკენ გასწინია. ასკეტ ბერს ემუდარება, რომ შეიკედლოს, გარეთ არ დატოვოს. შემდეგ მოუყვება თუ როგორ აეძნა გზა თავის ცხვართან ერთად. სათანადო პარალელების მოტანა „განდეგილი-დან“ გადატვირთავდა ტექსტს. ასტურიულ სიმღერას და „განდეგილს შინაარსობრივად ართიანებთ: მწყემსობა, ცხვრის ძოვება, გზის აბნევა და ამაზე მოთქმა, თავშესაფრის ძიებით გამოსავლის პოვნა, ხვენნა-მუდარა შეკედლებისა, გადარჩენისათვის ზრუნვა. „

ანდალუსიური სიმღერიდან ლორკას მიერ დამოწმებული რამდენიმე ტაები გამოძახილს პოულობს ტერენტი გრანელის პოეტურ სულში: „ეგ სულ ერთი არის ჩემთვის, / ალვნარში თუ ხიდან ხეზე / რაღაც ჩიტი გადაიფრენს“. „

ლორკა ამ სიმღერის განწყობილებაში (და არა აღნაგობაში) აშკარად ასტურიულ წარმოშობას ამჩნევს. დამოწმებული ტაებები გვაგონებს გრანელისეულ გამონათქვამს: „გაზაფხულის საღამოა მშვიდი, / ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“. „

ამ ამონარიდმა რ. სირაძეს ათქმევინა: „პოეზიას ძალუბს გვაგძნობინოს სილამაზე, როცა ის, თითქოს არც კი ჩანს. ფერწერა ახერხებს გვასწავლოს ბუნების განცდა, აღმოაჩინოს მასში უჩინარი სილამაზე“. <sup>2</sup> თუ ანდალუსიური სიმღერის ავტორისათვის სუ-

<sup>2</sup> რ. სირაძე, სახისმეტყველება, თბ., 1982, გვ. 29.

ლერთია ალვნარში ხიდან ხეზე ჩიტის გადაფრენა, ტერენტი გრანელისთვის ეს „გადაფრენა“ სიმშვიდის მომგვრელია და ბუნების განცდის აღმძვრელი. ასე რომ, შინაარსობრივი თვალსაზრისით მათ საერთობაზე საუპარი ზედმეტია. აქ არის მეტყველი და საზრიანი დამთხვევა გამოხატვის გარეგნულ ფორმაში.

გარსია ლორკა ყურადღებას ამახვილებს კანტე ხონდოს ლექსების პანათეიზმით გამსჭვალვაზე. ლექსი მიემართება ზღვას, მიწას, ქარს, მთვარეს, უბრალო საგნებს, ფრინველს: „გარე სამყაროს ყოველი საგანი იძენს პაროვნების მეფიო ნიშნებს და იმდენად ხორცებს ხმულია, რომ აეტიურად მონანილეობს ლირიკულ შემოქმედებაში.“ ლექსის მთქმელი ქვეყნად ერთგულს და სანდოს ვერ პოულობს და მიწას უმსხელს საიდუმლოს, რაც გადახდება თავს თანაც სჯერა, რომ მოუსმენს: „მეცა მხოლოდ მიწას ვეტყვი, / თუ კი რამ გადამხდება, / რადგან ერთგულს და სანდოს / ვერვის ვერ შეგხვდი ქვეყნად“.

ლორკამ კანტე ხონდოს ლექსებში ბევრგან აღმოაჩინა ქარის გაპიროვნების მომენტები. ქარს იმ პერსონაჟად გაიცნობიერებს, რომელიც ვნებათალელვის გადამზეყეტ მომენტში გამოწინდება გოლიათივით, ანარცხებს ვარსკვლავებს და ახვავებს ღრუბლებს. ესპანეთი განუმეორებელ პოეტს ერთი კლასიკური ნიმუში მოაქვს: „ავედი გალავანზე და ქარმა მომცა რჩევა: მორჩი იხვრას და კვეჩესას, არ გეშველება მანც. მაგრამ ატირდა ქარი, როგორც კი დაინახა ჩემი უზომონ დარდა. მე შემიყვარდა ქარი, სატრფოს-გან მონაბერი. ქარს მივეცემი, რადგან ისაა ჩემი ქალი. მე ვეჭვიანობ ქარზე, სახეზე რომ გეხება, კაცი რომ იყოს ქარი, მოველავდი უეჭველად...“

ბოშურ სიგირიამი ლორკა ტირილის თემას განიხილავს. ცრემლთა მშვენიერ პოემას უნიდებს მას, სადაც ტირის მელოდიაც და ლექსიც. ეს ტირილი სულის გამწმენდია: „რომ მქონებოდა მერდში / პატარა სარკემლი მიწის, დაინახავდი ჩემს გულს, / სისხლის ცრემლით რომ ტირის“.

ფედერიკო გარსია ლორკა კანტე ხონდოს ლექსების გარკვეულ ნაწილში ეძებს უძველეს აღმოსავლურ ელემენტებს, მსგავსებას აღმოსავლეთის უძვე-

ლეს სიმღერებთან. ეს ითქმის უპირველესად ტკივილისა და სიყვარულის გამოხატულებაზე, რაც აახლოებს მას არაბი და სპარსელი პოეტების ნააზრევთან. ნიმუშად ავტორს მოაქვს არაბი პოეტის სერას ალ ვარაკის ლექსი („მტრედს, რომელიც ძილს მიფრთხობს თავისი მოთქმით, ჩემსავით აქვს მკერდი ანთებული კაშკაშა ალით), ასევე იმავე არაბი პოეტის იბნ ზიატის ელეგია სატრფოს სიკვდილზე: „ვუვეოდი საფლავს ჩემი სატრფოსი — / მიოჩევდნენ ნუგეშად მეგობრები, / მაგრამ მივუგე: განა აქვს მეგობრებო, / სხვა საფლავი, თუ არა და ჩემი მკერდი?“

მაგრამ დიდი ესპანელი პოეტი თვალსაჩინო მსგავსებას და ხშირ დამთხვევებს კანტე ხონდოს ლექსებთან სპარსელი პოეტის ჰაფეზის ამაღლებულ სასიყვარულო ღაზელებში ხედავს (ღვინო, ლამაზი ქალი, იდუმალი ქვები, შირაზის ლურჯი ლამე). ლორკას თქმულის დასადასტურებლად მოაქვს საინტერესო პარალელები. ერთი ნიმუშის ფიქსაციით შემოვისაზღვრებით. ჰაფეზი: თუმცა არ ვუყვარვარ, დედამინის სფეროს გავცვლიდი მხოლოდ ერთ ლერში მისი თმებისა; „გაბმულია შენს შავ თმებში ჩემი გული სიყმანვილიდან სიკვდილამდე, კავშირი ეგზომ სასიამოვნო არც დაირღვევა, არც ნაიშლება“. სიგირია: „რომ მოკვდარვიყავ უცებ, დაგავალებდი ამას: შეგეკრა ჩემი ხელები და შენი ნაწნავით შავით“.

„კანტე ხონდოს“ პირვანდელი დიდების დასაბრუნებლად და გადასარჩენად ლორკა მოწოდებით და ლექციის კითხვით კი არ იფარებლებოდა მხოლოდ, არამედ პოეტური შემოქმედებითაც სანიმუშო მაგალითს აძლევდა თანამედროვეთ და შთამომავალთაც. მან თავადვე შექმნა უბრნყინვალესი პოემა „კანტე ხონდო“, რომელშიც გაერთიანებულა პოემათა ციკლი „პოემა ბოშურ სიგირიაზე“, „ექვსი კავრიჩიო“, „პეტენერას სილუეტი, ო ქალიშვილი“, „ბოშური ვინიეტები“, სამი ქალაქი“. ამ პოემებში პირველყოფილი ანდალუსიური სიმღერების „კანტე ხონდოს“ სულიქრის. მისი თემების რეკონსტრუირებას ახდენს პოეტი, რომელთაგან უპირველესია სევდა, კვნესა, წუხილი, მდუმარება, ნამრავლობის განცდა, სიყვარულის ნასვლა და არდაბრუნება.

## ლუარა სორდია

### სიყვარული — ყოფა — არსებობის კარი

ბიბლიის მიხედვით, ღმერთი არის „სიყვარული“: „...ეს არის მეტრფე ჩემი, ეს არის საყვარელი ჩემი...“ (ქებათა ქება, 5, 16) (1, 17).

იოანეს ეპისტოლები „ღმერთი სიყვარულია“ (კათოლიკე ეპისტოლები | იოანესი, 4, 8) (2, 320).

იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში ღმერთი „პირველი სიყვარულია“. ქრისტემ ასე უსაყვედურა ეფესოს ეკლესიას: „შენ მიატოვე შენი პირველი სიყვარული“ (გამოცხადება, 2, 4) (2, 492).

ნეტარი ავგუსტინე ღმერთს მოიხსენიებს, როგორც „დიად სიყვარულს“: „ეს სამყარო დიადი სიყვარულით... ბრწყინავს და იწვის, ვითარცა მარადიული შუვა დღე“ (აღსარება) (3, 390).

დანტე ალიგიერის ღმერთი არის „სიყვარული პირველი, სიყვარული უტებესი, დაუშრეტელი სიყვარული, უზენაესი სიყვარული“ (4, 90, 328).

საყვარელს უნიდებდნენ ღმერთს დავით გურამიშვილი, ვახტანგ VI, აკაკი წერეთელი.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ღმერთი არის „ზექვენიური სიყვარული, სხვა სიყვარული, უკანასკნელი სიყვარული, შორეული სატრფო, იდუმალი სატრფო, სრული ტროფობა“ (5, 46).

პოეტების მეფე ათეისტურ მეოცე საუკუნეში დავინიშებული საღვთო სიყვარულის ხელახლა აღმომჩენი გახდა: „ვერ ყველასაგან მიუკვლეველი აღმოვაჩინები გახდება“ (დადგა აგვისტო) (6, 265).

ეს სალვოთ გრძნობა სულიერი გვალვის წამალია: „ეს სიყვარული დააცხობს გვალვას და გაგიშებას უფრო უარესს“ (დადგა აგვისტო).

პოეტმა უღმერთო ეპოქის ტკივილი მრავალგზის გამოხატი. „არსად ჩანს ტკბილი ნათელი შუქმფრეველ სიყვარულისა“, „სიყვარულის ხმა არსით ისმოდა“, „სიყვარულის არ მესმის ნანა“, ჩიოდა პოეტი (უდაბნო) (6, 30, 21).

“ცრემლი მდიოდა, რადგან ჩემი უკანასკნელი, ჩემი მწუხარე სიყვარული მაგონდებოდა”, აფიქსი-რებდა პოეტი გულისტიკივილით.

პოეტის არსებაში მუდამ ცოცხლობდა “ხსოვნა იმ ტრფობის სრულის” (მიმღერე რამე).

“მე სიყვარული მესიზმრებოდა, დამეებს ვა-თევ კვლავ სიყვარულით, მე სიყვარულით ვიყავი მთვრალი, და სიყვარული მახარებს მარად”, ამბობდა პოეტი.

ათეისტურ ეპოქაში “იუდას სახე, კანის ლანდი და ლამეების შავი გუგუნი” ჩაისროდა, სისხლის, ცრემლის ნიაღვრებს, დამსხვრეულ ჩინარს ჭვრეტდა და “სხვა სიყვარულის” მოგონებებით ცხოვრობდა (როგორ ეპროდნენ ზარებს ზარები) (7, 179).

თუ სატანისეულთ სიყვარული ჭაობად ესახე-ბოდათ, თვითონ ფარული ოცნების ახდენად, გაზაფ-ხულის სახით ევლინებოდა უზენაესი: „...ეს არის გრძნობა კვლავ სიყვარულთა, გადაქცეული სხვის-თვის ჭაობად, ეს ოცნებაა ფერთა ფარულთა და გა-ზაფხულის სანახაობა” (კოსმიური ორკესტრი) (7, 241-245).

ანამებდა “სიყვარულის გამქრალი სხივი, დაუბ-რუნებელ დროთა მესივი” (ალვის ხეები მშვილ-ისარს ხრიან) (7, 282).

პოეტს ეზმანებოდა მეგობრად დასახული მტრის მუხანათობები, მისი “ფარული ჯადობი” მორ-კალული გზები, დალილას ლანდი, ვიქტორია, ლედი გოდივა, დაწყვეტილი ვარდები, ძირს დაყრილი ქან-დაკებები, ძეგლების ქვეშ ობლად დამარხული, „უგო-ნო სიყვარულით” შერყეული, რწმენით დაობლებული გული: „...ზამბახთა შორის ყრია თეთრი ქანდაკებები, თეთრი ძეგლები, და იმათ ქვეშ ობლად მარხია გული, უგონო სიყვარულმა რომ შეარყია...” (გული) (7, 320).

ძვირფასი დრო შორის იყო, უარყოფილი სიყვა-რული კი ვატერლოს ომში დამარცხებას ემსგავსე-ბოდა: „...რაც უფრო შორს ხარ, ძვირფასი დრო, უფ-რო სავსეა გზა ამ გედებით, და სიყვარული, ვით ვა-ტერლო, მოფენილია ამ იმედებით” (დგება შემოდ-გომა) (7, 332).

ჭეშმარიტი სიყვარულის მოთმენაზე საუბრობს პოეტი იისფერი თოვლის, ქალწულის, ხიდის, მანდი-ლის (მარიამის სიმბოლოებია) თანხლებით (თოვლი) (7, 343).

სიყვარული პერსონიფიცირებულია ლექსში “ქალაქისკენ” (6, 435): „ის გამოვიდა ძლიერ ადრე, ვით სიყვარული, მთვარიან ტყეზე მიდიოდა გზადაც-ვარული”.

ლმერთი “პირველი” და „უკანასკნელი” სიყვა-რულია, მაგრამ გალაკტიონი თავის ეპოქაში ვერ პო-ულობდა მას და უსიყვარულო, ულმერთო არსებობის ფაქტს აფიქსირებდა: „...და ჭენება, ჭენება სიყვარუ-ლი უკანასკნელი, ჭენება მწუხარედ, ნაზად, მაგრამ უსიხარულო...” (უსიყვარულოდ) (6, 35).

ათეისტურ ეპოქაში ცეცხლითა და მახვილით იდევნებოდა რწმენა, ლმერთის სიყვარული დანაშაუ-ლად ცხადდებოდა და სასტიკად ისჯებოდა: „...მე მარწმუნებდნენ, რომ არ იქნება, შენ დაუსჯელად გიყვარდეს იგი” (მე მარწმუნებდნენ) (6, 242).

პოეტს ანუხებდა ულმერთო ცხოვრების ამაოე-ბა, უზენაესი სიყვარულის შეუცნობლობა: „ვინ იგ-რძნო სიცოცხლე ამაო, უმიზნო, ან შეება ვინ იგრძნო, ან ტრფობა ვინ იცნო” (8, 194).

ურწმუნებისგან გაუხეშებული სულის მქონეთ არ ესმოდათ სიყვარულის ერთადერთობა, არც სასახ-ლები მის მოვლინებას ხედავდნენ: „...სიყვარული სა-სახლები მხოლოდ ერთხელ მოდის” (მოვა, მაგრამ რო-დის?) (6, 153).

გალაკტიონს კი სურდა ფრთებით სწრაფვა “ქალწული თოვლისკენ”, ღრუბლისკენ (მარიამის სა-ხელებია), მზისკენ, (ღმერთის სიმბოლოა), რათა ცის კაბადონზე დაენერა ეს უცვეთელი, განუმეორებელი და უმაღლესი შინაარსის მატარებელი სიტყვა: „ფრთები რომ მქონდეს, გავწევდი იმ მწვერვალს, საზღვრად დადებულს, იქ, ქალწულ თოვლთან ვპო-ვებდი ბინას მზით აფერადებულს. მე მსურს იქ დავა-სადგურ ჩემი სიმღერა და ქარი და ვკოცნო, ვკოც-ნო ღრუბლების ბაგე აღისფერ-ნარნარი. ფრთები რომ მქონდეს, მზისაკენ გავექანები ზღვის ნავად, ცის კაბადონზე დაენერდი მსოფლიოს შესახედავად: გიყ-ვარდეთ, რათა ყველას შეხვდეს ამ ნაწერს თვალები და შეიყვარონ, რადგანაც კაცნი არიან და-ძმები” (ფანტაზია) (8, 154).

გვაგონდება ვაჟა-ფშაველას „კლდემ მხოლოდ ერთხელ თქვა”, რომლის რეზიუმე ასე უდერს: “გიყ-ვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი”. ორივე მწერლის წყარო არის ბიბლია.

გალაკტიონი ევედრება ციურ სულს „სხივის-თვის, ყვავილებისთვის, სიყვარულისთვის” (საღვთო სახელებია): „დაადნე სხივი, სულო ციერო, ამ სიცი-ვისგან გაყინულ გულზე, ტკბილი მორევი შემიგუბდე-ბა ჩვენს ყვავილებზე, ჩვენს სიყვარულზე” (ნიაღვარი) (8, 335).

გალაკტიონის პოეზის ლირიკული გმირი რწმენით იყო გაცისკეროვნებული და ხანჯალს (ძალ-მომრებას) ის სინაზეს აგებებდა: „ხანჯალს დავფა-რავ ისევ იებით” (დღეთა კარებთან). იგი განადიდებ-და სიყვარულს, სითბოს, პატიებას: „ო, გაუმარჯოს, ...სიყვარულს, სითბოს და პატიებას” (ისევ მაისის მათრობს თვალები) (6, 305).

პოეტს აფიქსირებდა მიტოვებული ძველი გზა და „მიტოვებული ძველი სიყვარული” (აქ ოდესმე) (7, 786).

სიზმარშიც „სიყვარული ესიზმრებოდა” (მე მივდიოდი), ხსნის გზად „სიყვარულის სიმღერა” ესა-ხებოდა: „გულში ქლერს რახანია, სიყვარულის სიმღე-რა, როგორც ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედი” (ილიას მოტივი) (7, 602).

გალაკტიონი პოეზიაში სიყვარული არის „...კაცთა მსაზრდოებელი ძლიერი ღმერთი”, „სიყვა-რული არის ყოფნა-არსებობის კარი” (აკაკი წერეთე-ლი).

ლმერთი არის „სიყვარულის ხმა”, რომელიც „დაადუმეს” კომუნისტებმა: „სიყვარულის ხმა არსით ისმოდა”.

გალაკტიონის არასიდეს გაუწყვეტია კავშირი სიყვარულთან: „...ო გაუმარჯოს სიყვარულს, სითბოს და პატიებას” (ისევ მაისის მათრობს თვალები).

პოეტს ლმერთის — სიყვარულის მარადიულო-ბის რწმენა აცოცხლებდა: „გზაც უკვდავია, როგორც ტრფიალი” (მშვიდობის წიგნი) (10, 304).

გალაკტიონის „სიყვარულის სიმღერა” არის მი-სი რელიგიური პოეზიის მახასიათებელი, რადგან სიყ-ვარული საღმრთო სახელია.

### ლიტერატურა

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.
2. ახალი ალქემია და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992.
3. ნეტარი ავგუსტინე, „ალსარება”, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985.
4. დანტე, ლიტერატურის კომედია, თბ. 1941.
5. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძისფილოსოფიური ლირიკის საკითხები, თბ. 1996.
6. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1988.
7. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977.
8. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 1993.
9. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 12, თბ. 1975.
10. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 11, თბ. 1973.

**დარიუმ ფიფია**

### შოთა ჩანტლაძის მცირლური სამყაროს ზოგიერთი ასპექტები

„არა, არ მინდა სახელი და დიდება! არა, არ მინდა და დაფნის გვირგვინები! არა, არ მინდა დააწეროს ტომები იმის შესახებ, თუ როგორ ვწერდი ტომებს! არ მინდა დააწეროს ჩემი ვრცელი ბიოგრაფია!.. მე მინდა სქოლიონ“—, ეს სიტყვები შოთა ჩანტლაძის მწერლური ბუნების შესაცნობად ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია, თუმცა თანამედროვე ლიტერატურის ისტორია, ეპოქის გათვალისწინებით, ზოგჯერ გულგრილი, ხანაც მეტად სამართლიანი, მეტ-ნაკლებადაა ვალმოხდილი ამ სიტყვების ავტორის მიმართ, რამეთუ მას არცუა ჩრდილოვანი ადგილი მიუწინა ქართული პოეტური კულტურის ქომაგთა შორის.

ლიტერატურათმცოდნეთა ინტერესი ყოველთვის ცხოველია იმდენად, რამდენადაც მრავალნახნა-გოვნად ესახება ესა თუ ის საკვლევი ობიექტი. თუ ამ განზომილებით ვისარგებლებთ, შოთა ჩანტლაძის შემოქმედება ორი ძირითადი მახასიათებელი ნიშნით— თავისთავადობითა და მრავალფეროვნებით, მართლაც საინტერესო და კვირკვების ობიექტს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი ნიშანი(მრავალფეროვნება) შესაძლოა, ოდნავ საკამათოდაც მოგვეჩვენოს, რადგან, უნდა ითქვას, რომ ზედაპირულად მისი პოეტური ხელწერა მონოტონურობის შთბეჭდილებას ქმნის, რაც საპქოთა სალიტერატურო კრიტიკისთვის ერთ დროს სრულიად მიუღებლად და არაკანონზომიერად მიიჩნეოდა(ამ და სხვა არაერთი მიზეზით იყვნენ იგნორირებული ტ. გრანელი, ნ. სამადაშვილი და მრავალი სხვა შემოქმედი ქართული მწერლობიდან).

შ. ჩანტლაძის მოღვაწეობა 50-იან წლებს ემთხვევა. მისი ლიტერატურული გემოვნება იმთავითვე ჩანდა ინდივიდუალური. მინორულ განწყობაზე გაშლილი ინტრაციები, მარტოსულობის შეგრძნება, მიუხედავად თემატური მრავალხოვანებისა, ბოლომდე გაჰყავი შ. ჩანტლაძის უფაქიზეს ლირიზმის. „ მე მერტოხელა ვიყავი კაცი, მე ყველაფერი მომწყიდვა ახლა“, — წერს 1957 წელს, მხოლოდ 29 წლის პირტო და ამ განცდას ხშირად უბრუნდება ცალკეულ სტრიქონებში:

„ოთახში თბილა და ქუჩებში დაძრნის სიცივე, ითახი მძიმედ დაგმანულა, როგორც სქოლიონ“;  
„ეს შემოდგომა ქარივით გავა და არვინ ქვეყნად არ მეტყვის ძმობას“.

მისი დრამატულობა არ არის წამიერი, ზერელე, სტილის თავისებურებისთვის გამოგონილი პოზა. ის

უპირველეს ქრისტიანი მორწმუნება, ვინც ადამიანური ყოფიერებით დამძიმებული, ხშირად რწმენის დაკარგვაზე დარდობს და მკაცრი იმუამინდელი პოლიტიკური ცენტურის მიუხედავად, თამამად ავლენს საკუთარებას პროტესტის გამოსახატავად:

„დაინგრა მონასტრის ზეცა და გუმბათი,  
დაინგრა კარები აღსავლის...  
ნავიდა წვიმა და მოვიდნენ ქარები,  
წვიმები, ქარები მეასედ,  
სციონდა მარიამს და დედის მკლავებში  
სციონდა პატარა იესოს.“

შ. ჩანტლაძე რომ ქართული კლასიკური მწერლობის მაგისტრალური გზის გამგრძელებელია, ეს არ გამორიცხავს მის ხელწერაში კლასიკური ფორმებიდან გადახვევის ტენდენციის შენიშვნას. მისი შემოქმედების მკვლევარნიცი/ი. ორჯონიკიძე, ე. კვიტაიშვილი/ ხაზს უსვამენ პოეტის მკვეთრად გამოვლენილ ინდივიდუალობას, ხატვის ერთგვარ ექსპრესიონისტულ მანერას, კონტრასტულ აზროვნებას. სწორედ მოდერნიზებული ოციანი ნლების ექო ისმის მის სიტყვიერ სამყაროშიც. ამას უდავოდ ადასტურებს შ. ჩანტლაძის მხერლური სტილი—თავისუფალი ლექსი და მინიატურა, თუმც რითმასაც არანაკლებ მიაგო ჯეროვანი პატივი. მასთან ნიშანდობლივია ვალერიან გაფრინდაშვილის ციკლი, რითაც აშკარად ეხმიანება ქართველ სიმბოლისტის. ბოჭემური განწყობით ენათესავება გაფრინდაშვილის დაისების თემას მისი „პაპიროსის გამყიდველი“, „მზესუმზირის გამყიდველი“, „ავლაბარი“, „ახალი ლოთები“, „კარტის თამაში“. ლიტერატურული პარალელი ნათელია ამ ორ პოეტს შორის სტრიქონებით:

„ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა, ვით შემოდგომის ლამეებში თეთრი ვერსალი...“

/ვ. გაფრინდაშვილი/;

„ვარ მოწყენილი და მოწყენა მე ალარ მიევირს, რადგან მოწყენაც მომზყინდა უკვე“ /შ. ჩანტლაძე/.

კლასიკურ მწერლობასთან სიახლოეს მოწმობს ასევე „ვეფხისტყაოსნის“ თემა მის „გულანშაროში“.

ინტუიცია, წინათგრძნობა, ბედის სიმუხთლე და მოსალოდნელ ნაადრევ გარდაცვალებაზე ფიქრი პოეტს ტ. გრანელის სულიერ თანაზიარად წარმოგვიდგენს. შ. ჩანტლაძის სიტყვებია:

„სწორი მაქვს ალლო და სიკვდილის წამი მენიშნა, ამ თაობიდან მე პირველი მივალ ფინიშთან“, – მისი ლირიკის ფილოსოფიურ ასპექტს თუ შევეხებით, ზემოთხსენებული პოეტის ნააზრევთან პარალელის გამოკვეთა არ გაგვიძნელდება:

„ახლა სიკვდილი ბედია ჩემი,  
ვარ მინაში და თან მიხარია,  
არა არ მინდა ამოსვლა ზევით,  
რადგან სიცოცხლე სიმწუხარეა,  
რადგან გარდაცვლილთ სიცოცხლე გვიმძიმს,  
ისე, ვით ცოცხლებს – სიკვდილი თვისი“ (შ. ჩანტლაძე).

სიკვდილ – სიცოცხლის გრანელისეული განცდაც ამგვარად უღერს: „დარჩენილი ვარ ბავშვივით ამ ცოდვილ ქვეყანაზე და არ ვიცი, როგორ ამოვიდე იმ ტალახიდან, რომელსაც ენოდება მინა“.

შ. ჩანტლაძე ფერწერული ტიპის პოეტია, განსაკუთრებით ზამთრის პეიზაჟების ერთგულო. შთამბეჭდავია მისთვის თოვლისა და ყინვის სიმბოლური გაზრება:

„ო, დედაჩემის თეთრი თმების სათნო ციმციმი, ჩემში აღვიძებს პირველ თოვლის მელანქოლიას.“

„თოვლი და ქალაქი“, – ასე ჰქვია მის ერთ-ერთ მინიატურასაც. ბუნებასთან სულის თანაზიარებას, მისგან განუყოფლობას გვანიშნებს უდიდესი ლირიზმით სავსე ფრაზები:

„მე შემოდგომის ბალში ვიყავი,  
მე მოვისმინე ფოთოლთ იგავი,  
მე შემოდგომის ბალში ვიყავი,  
მე შემოდგომა ვიყავ იგივე“.

მისი თავისუფალი ლექსების ზოგიერთი სპეციური თავისებურებიდან უნდა შეინიშნოს განმეორების ხერხი, რემინისცენცია, რითაც ვაჟას პოეტურ სამყაროს ეხმანება:

თანდათან იცრიცება უკუნი ლამე,  
ლამე საზარელი და ვეებერთელა.  
თანდათან ამოდის მზე დიდებული,  
ამოდის, ნათდება თანდათან,  
ამოდის, ნათდება, ნათდება, ამოდის,  
ამოდის, ნათდება თანდათან.“

ცალკე თემას წარმოადგენს მწერლის პროზაულ ნაწარმოებებზე დაკვირვება, სადაც მკაფიოდ იკვეთება შ. ჩანტლაძის პირველული და მწერლური ხასიათი, ბუნება. „მე ისე ვიმორჩილებ ქართულ სიტყვას, როგორც ლექსის კითხვის დროს საკუთარ ხმას“, – წერდა და ამიტომაც, მისი ხელწერა სხვადასხვა თაობათა მხატვრულ სტილსა და ფორმას უკავშირდება. კ. გამასახურდისაეული ექსპრესიონიზმის კვალიც ამის გამოვლენაა მინიატურაში „საათი“. თემატურად მრავალფეროვანია მისი „სქოლიო“, „პოეტი და ძალიი“, „ჭადრაკის მსხვერპლი“, „სიზმარი პაპანაქებაში“ და სხვა მრავალი პროზაული ქმნილება, სადაც ის ხშირად ეპოქის მეისტორიედ გვევლინება და ყოველთვის სიწმინდისა და უბინოების აპოლოგიას ეწევა.

ადამიანური პატიოსნების ხიბლი ბეჭდად აზის შ. ჩანტლაძის მხატვრული სამყაროს ყოველ ასპექტს, ამიტომაც მასთან მიახლოება ამაღლებული, სრულყოფილი განცდების ზიარებაა. „მე ვარ ზარის ხმა უდაბნოში“, – წერდა თავადაც და მართლაც ყოველ დროს, ყოველ თაობაში გაიუღერებს შ. ჩანტლაძის ეგზომ ორიგინალური ხმა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. შოთა ჩანტლაძე – „, მე შემოდგომის ბალში ვიყავი“, თბ., 1992წ.
2. შოთა ჩანტლაძე – „, თენდება, ლამდება...“, თბ., 1984წ.

*Дарико Пиппи*

### Некоторые аспекты писательского стиля Шоты Чантладзе

#### Резюме

В статье освещены особенности поэтических и прозаических произведений одного из интереснейших представителей грузинской литературы 50-х годов 20 века.

Автор отмечает тематическое многоцветие его литературных произведений, обогащающее культурный мир писателя. Несмотря на то, что Ш. Чантладзе продолжил магистральное направление грузинской классической литературы, в его творчестве явно усматривается и тенденция выхода из классических форм.

Приведенные в статье литературные параллели и выдержки полноценно выявляют творческий талант Ш. Чантладзе и его писательскую индивидуальность.

### შოთა ჩანტლაძის მნიშვნელური ხელოვანობის ზოგიერთი ასპექტები

სტატიაში გაშუქებულია მეოცე საუკუნის 50-იანი წლების ქართული მწერლობის ერთ-ერთი საინტერესო შემოქმედის შოთა ჩანტლაძის პოეტური და პროზაული ქმნილებების მნიშვნელოვანი თავისებურებანი.

ავტორი შენიშნავს თემატურ მრავალფეროვნებას მის ლიტერატურულ ნაწარმოებებში, რაც ამდიდრებს მწერლის კულტურულ სამყაროს. იმის მიუხედავად, რომ შ. ჩანტლაძემ ქართული კლასიკური მწერლობის მაგისტრალური გზა გააგრძელა, მის ხელწერაში აშკარაა კლასიკური ფორმებიდან გადახვევის ტენდენციაც.


ლიტერატურული პარალელები და გარკვეული ამონარიდები სტატიაში სრულფასოვნად წარმოაჩენენ შ. ჩანტლაძის შემოქმედებით ტალანტს და მწერლურ ინდივიდუალობას.

## ნოდარ ბერულავა

### „ვიკინგთა ეპოქის“ კაროლინგური მაცვილებელი (VIII-X სს.)

მახვილის იმ ტიპს, რომლის ვარიაციები ევრო-პაში VIII ს-ის ბოლო მესამედიდან ვრცელდება, ჩვეულებრივ „კაროლინგურს“, ხოლო უფრო იშვიათად - „სკანდინავიურს“ (1,33) ეძახიან. როგორც ჩანს, აღნიშული მახვილი კარლოს დიდის სახელმწიფოში გაჩნდა, თუმცა სკანდინავებმა ვიკინგებმაც არამარტო სწრაფად აითვისეს იგი, არამედ ხელი შეუწყვეს კიდევაც ავროპაში მის გავრცელებას. კერძოდ, ისეთ ქვეწებში, როგორცაა ბიზანტიია, რუსეთი, აღმოსავლეთ ბალტიისპირეთის რეგიონი, ირლანდია, ხოლო ნაწილობრივ, შოთლანდიასა და ინგლისშიც კი, სწორად ვიკინგები იყვნენ ამ ტიპის მახვილის მთავარი გავრცელებლები.

კაროლინგური მახვილების მთავარი საერთო ნიშნები შემდეგია: ფხა სწორი, ორპირი. მისი სიგანეა 5—8 სმ., ხოლო სიგრძე - 80-95 სმ. ის უფრო დიდი და სქელია, ვიდრე მანამდელ მახვილებს ჰქონდა (2 სმ-მდე ვადასთან), მომრგვალებული ან ოდნავ წაწვეტილი დაბოლოებითა და აუცილებელი ერთი ფართო, კარგად გამოკვეთილი გასწრივი დარით, რომელიც მიდის პრაქტიკულად ფხის მთელ სიგრძეზე და მისი სიგანის ორ მესამედამდე იკავებს. ვადა მასიურია, მაგრამ არცთუ გრძელი, ელიფსოიდური ან ზოდისებური ფორმისა. სახელური ოდნავ გაბრტყელებულია და საკმაოდ მოკლე. X ს-ის ზოგიერთ სურათზე ჩანს, რომ მეომრის ხელი მასზე წესიერად ვერც კი ეტევა და საჩვენებელი თითო ვადაზე დევს. ასეთი მდგომარეობა შესაძლებელია, მაგალითად, თუკი მახვილის ახალ მფლობელს უფრო დიდი ხელები ჰქონდა, ვიდრე ძეველს. კოტის თავი სამართლებული მახვილის ფხა უნდა დააბალანსოს. ის ათი წლის მოზარდის, ხოლო ზოგჯერ — მოზრდილი კაცის მუშტის ხელა და შედგება ორ ნაწილისაგან - მასიური ზოდისა და დაბოლოებისგან. სწორედ ეს დაბოლოება არის კაროლინგური მახვილების მთავარი დამახასიათებელი დეტალი, ერთგვარი „სავიზიტო ბარათი“. ის, როგორც წესი, ვერტიკალური ღარებისა ან რელიეფური ზოლების მეშვეობით დაყოფილია სამ, ხოლო ნაკლებ ხშირად, ხუთ ნაწილად, რომელთა შეთავსებისა და ფორმის უამრავი ვარიანტი არსებობს.



კაროლინგური მახვილები მოვერცხლილი ტარჯით  
(ტიპი III ულერ-ოქშოთის კლასიფიკით)

X ს - ის დასაწყისიდან, ფოლადის ათვისებასთან ერთად, შესამჩნევია ცვლილებები კაროლინგური მახვილების ფხის ფორმაშიც. თუ ადრეკაროლინგური მახვილების მთავარი ფუნქცია იყო ძლიერი მკვეთავი დარტყმები (რამაც გამოიწვია მათი ფხის მკვეთრი დამძიმება), ახალი მახვილების დიდი ნაწილი ნაკლებ მძიმე იყო. ფხის დაგვიროება ბოლოსკენ უფრო შესამჩნევი გახდა, ისე, რომ სიმძიმის ცენტრი ვადასკენ იქნა ვადაადგილებული. შედეგად შესაძლებელი გახდა მახვილის უფრო სწრაფი აწევა დარტყმის მერე და ძლიერ გაადვილდა ვერტიკალური დარტყმების გვერდითად ქცევა. ფხის წვერიც შესამჩნევად წვრილდება, და, მიუხედავად იმისა, რომ მაინც ინარჩუნებს მეტნაკლებად “ნიჩისებურ” ფორმას, ხშირად საჩხვლეტი დარტყმებისთვისაც საკმაოდ ვარგისი ხდება. თუმცა მჩხეავი დარტყმა ისევ პრევალირებს. ჩხვლეტა იშვიათად თუ ნახსენებია ამ ეპოქის წერილობით და ლიტერატურულ წყაროებში, და ჩვეულებრივ კონკრეტული მდგომარეობის სპეციფიკით განპირობებული იყო (2,68).

ამავე დროს ტარის ცვლილებებიც შეიმჩნევა: ვადას ბოლოები საკმაოდ ხშირად საგრძნობლად იხრება ფხისკენ. ზოგჯერ, თუმცა შედარებით იშვიათად, ზედა ვადაც (კოტის თავის ჰორიზონტალური ძელი) იღუნება, თუმცა ძირითადად - საპირისპირ მიმართულებით. ადრეკაროლინგური მახვილებით ძირითადად იყვნებოდა „ირიბი ჯვრის“ ფორმის დარტყმები. ამ პირობებში ნორმანთა დიდი ფიზიკური ძალა წარმოადგენდა სერიოზულ უპირატესობას: როცა ვიკინგთა რაზმის პირველი საზო ტყორცნიდა შუბებს, მერე კი, დიდი ფარების მთლიანი კედლით დაცული, საშენელი სისწრაფითა და ძალით მძიმე ცულ-მახვილების სინქრონულ ქნევას იწყებდა, მათ ნინ ვერაინ უდგებოდა ხოლმე. ამისთანა ბრძოლის დროს განსაკუთრებით ხშირად ხდებოდა ხელ-ფეხის მოკვეთა. მახვილის ახალი, შედარებით მოქნილი და მსუბუქი ფორმა ნაწილობრივ ათანაბრებდა ვიკინგებისა და მათი მტრების შესაძლებლობებს: ნაკლებ ტანადი ბრიტანელებისა და სხვა ქვეყნების მეომრების შანსები ჩრდილოეთის გოლიათებთან ბრძოლის დროს საგრძნობლად იზრდებოდა.

X ს-ის 50-ანი წლებიდან აქა-იქ ჩნდება მახვილების ახალი ტიპი. დააბლოებით 1000 წ-დან გვიანკაროლინგური მახვილი საბოლოოდ ქრება.

პირველად ხორმანთა მახვილების კლასიფიკით ნორვეგიელმა მეცნიერმა ი. პეტერსონმა სცადა, თუმცა მისი კლასიფიკაცია ზედმეტად ვრცელი და ჩახლართულია (იბ.3,100). მ. ულერმა და ე.ოქშოთმა პეტერსონმა კლასიფიკაცია მნიშვნელოვნად გაამარტივეს, თანაც ეყრდნობოდნენ არა მარტო სკანდინავიურ, არამედ ზოგად ევროპულ მასალას. მათ გააერთიანეს აღნიშნული ეპოქის მახვილები სულ 9 კატეგორიაში. აქედან მხოლოდ III-VII ტიპები კაროლინგურ მახვილებს წარმოადგენს, ხოლო დანარჩენები — ამავე ეპოქაში ევროპაში გავრცელებული სხვა მახვილებია (4,160).

მასასადამე, III ტიპი ამ კლასიფიკაციის მიხედვით - სამ, იშვიათად კი ხუთ ნაწილინი კოტის თავი (ზოგჯერ ზოომორფული ფიგურებით წვერებზე) და

სწორი ვადით. ცენტრალური ნაწილი ყოველთვის ყველაზე დიდია. IX-X ს-ში მოიპოვება მთელ ევროპაში, მაგრამ ძირითადად - სკანდინავიასა და ჩრდილო-დასავლეთ ერმანიაში. ჩანს მემკვიდრეობითი კავშირები უძველეს ტრადიციებთან.

**IV ტიპი** გენეტიკურად უკავშირდება III-ს. ეს ფაქტობრივად ბრტყელი ხუთწევრიანი ტარის ქუდია, სადაც ხუთივე ვერტიკალური რელიეფური ნანილი ერთი ზომისაა, მხოლოდ ზოგჯერ ცენტრალური ოდნავ აღემატება დანარჩენებს. ხმარებაში იყო ძირითადად 850-950 წ. წ. **V ტიპი** გვხვდება ამავე დროს. მას ახასიათებს მკეთრად ნაწევტილი ცენტრალური ნანილი, ხოლო ზედა და ქვედა გარდები მნიშვნელოვნად მოღუნულია. გვხვდება ძირითადად ინგლისში. **VI ტიპი** კი დამახასიათებელია დანიისთვის, X ს-სა და XI-ის დასაწყისში. აგრეთვე გვხვდება აღმოსავლეთ ევროპასა და ინგლისში. **VII ტიპი** ხასიათდება ნახევარმრგვალი, გლუვი კოტის თავით. მისი ტრადიციული სამნევრიანი დაყოფა რუდიმენტალური ხდება და სიმბო-

ლურად, მხოლოდ ვიწრო ღარებითაა აღნიშნული. ზოგიერთ ეგზემპლარს აქვს მხოლოდ ერთი, ჰორიზონტალური ღარი, ან სულაც არცერთი. კოტის ეს ტიპი დამახასიათებელია ძირითადად X ს-სთვის (4, 162-164).

კაროლინგური მახვილი - მახვილის პირველი ტიპია ევროპაში, რომლის სილამაზე არა იმდენად მისი მორთულობით, რამდენადაც მისი დახვეწილი ფორმებით იყო განპირობებული (4,161).



კაროლინგური ტიპის მახვილები: ზემოთ —



ადრეკაროლინგური (IXს.), ქვემოთ — გვიანკაროლინგური (Xს.)

ვიკინგთა ეპოქის მახვილების ტიპოლოგია (ერქმოთის მიხედვით)

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Дельбрюк Г. История военного искусства. Смоленск, 2003;
2. Кирпичников А. Древнерусское оружие, З. Л., 1971;
3. Лебедев Г. Эпоха викингов в Северной Европе. Л., 1985;
4. Окшотт Э. Археология оружия. М., 2004

Нодар Берулавა

### Каролингские мечи эпохи викингов (VIII-X вв.)

#### Резюме

Данной статьей продолжается наш цикл работ, посвященный вооружению европейских стран в средние века. Темой данной статьи являются мечи т.н. «каролингского» типа, являющиеся своеобразным «брэндом» бурного периода в раннесредневековой истории Европы, известного, как Эпоха Викингов. В статье даны краткие характеристики вышеназванного типа оружия, общие сведения по его типологии.

### მადლენა მჩიგავა

### სოცხელის სახელმწიფო უნივერსიტეტი შორისძებულთა ფუნდციისათვის გოდერძი წოდელის სამეცნიერო ცენტრი

შორისძებულებს (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) უდიდეს როლს ანიჭებს გოდერძი ჩოხელი, რადგან იგი ტევადი ემოციური სახეების შექმნის საკმაო შესაძლებლობას აძლევს სიტყვის ოსტატს. გ. ჩოხელის ენა საერთოდაც გამოირჩევა გარკვეული ემოციურობით, „მღელვარებით“. ავტორი ყოველთვის უხვია გრძნობათა გამოხატვისას და ოსტატურად იყენებს ენობრივ სამუალებებს, მათ შორის, რა თქმაუნდა, შორისძებულებსაც. როგორც ცნობილია, შინაარსის მიხედვით არსებობს შორისძებულთა სამი დიდი ჯგუფი: ემოციური, იმპერატიული და ფრაზაშესიტყვებით გამოხატული ფიცილი, ალერსი... (1, 33),

მაგრამ ყოველი მათგანი, თავის მხრივ, იყოფა ქვეჯგუფებად (2, 30). საანალიზო მასალაში გვხვდება სამივე სახის ნიმუშები. მნერალი იყენებს როგორც საერთოქართულ მასალას, ასევე დიალექტურ ფონდსაც. უმრავლეს შემთხვევაში სხვადასხვა ნარმოების შორისძებულები გვერდიგვერდ გამოიყენება წინადადებაში: პირველადს ფორმას მოსდევს მთელი ფრაზაშესიტყვება, რომელიც მაქსიმალური სისავსით აღნერს პერსონაჟის ფსიქოლოგიურ პორტრეტს, ამა თუ იმ სახის ემოციას, გუნდა-განწყობილებას. ჩვენ ზედმეტად არ შევჩერდებით სხვადასხვა გრძნობის გამომხატველ შორისძებულებზე, ისინი უხვადაა ნარ-

მოდგენილი მხატვრულ ლიტერატურაში და მათ შორის — გ. ჩოხელის შემოქმედებაშიც. მაგ.: რა უფრო გიყვარს? — ჰე, ჰე, ჰე, ქალი, როგორ არ მიყვარს! [1, 71]; ობ-ობ-ობ-ობ-ობომ!<sup>3</sup> ეს რა ხდება, როგორ აყვავდა კამკამა ზეცა! [8, 7]; ვა, ვა, ვა, ეს რა მომხდარა, გაიგეთ? — ყვირის [1, 74]; ჰა, რა ფეხს ითრევთ, გამაიარეთ! [1, 184]; ას! — ერთხელაც გასძახებს მთებს [მოცეკვავე] და მზის სხივებს შეაშრება იმისი სული [1, 221]; ეუშ, შე ძეჩაო, შენა, შენი ტირილით ვის რასლა არგებ [11, 1]...

ყურადღებას იჭრობს დიალექტური წარმომავლობის შორისდებულები: ამანდაი, ეგრეც ვიცოდი! [2, 94]; ავაპტერ! — ლონავს ნეფის დედა [4, 167]... უმეტესად კი ამგვარი შორისდებულები ფრაზაში, შორისდებულის ფარდ შესიტყვებებში გვხვდება: უი შენ და შენი ხმის ჩაწყვეტა! [1, 135]; ვახ, დედის ერთასასა! [6, 36]; ვაიმეე, მინამც გამისკედება! [5, 75]; ვაი, მამიკვდა თავი, რა გონთ გამოვე [11, 1]; აბაიშე ჩემ თოლეგბა, ავი სული ეცემა სოფელს! [4, 228]; ავაიმე ჩემ თოლეგბა! — დაიძახა დედაჩემბა [6, 87]; ავაპტერ, დედავ, გამაერე ქალო! [11, 1]; მოგიკვდით, შვილო, აგრიადარა (ჰაგრეა და რა არის)... — ამოიოხრა ქალმა [1, 207]; ხმას არ იღებ, შე ქალობაჩამოსაშლელო, შენა, აგრიადარა [4, 157]...

შორისდებულის გამოყენების, მისი პოტენციის, გამომსახველობითი უნარის გამომზეურების საინტერესო ნიმუშია ნიველა „გუდამაყრელი დედაკაცები“, რომელიც, ფაქტობრივად, ერთი შორისდებულითაა აგებული, ავაპტერ გამოხატავს ლირიკული გმირის (მწერლის) დარდს — დედისა და გუდამაყრელი დედაკაცების თანაგრძნობას, რომელიც ბავშვობიდანვე მოჰყვება მას. ამ მარადიულ ტკივილს არც უხდება სიტყვაჭარბობა. ამიტომაც გამოხატა იგი ასე დაწენებილად, ლაკონიურად. გარდა ამისა, შთაბეჭდილებას აძლიერებს აღნიშნული შორისდებულის რეფრენად განმეორება და ფრაზების ანაფორული დასაწყისი:

„ავაპტერ!

ეს სიტყვა რაღაცით ჰგავს გუდამაყრელ დედაკაცებს, თუკი შეიძლება სიტყვა ადამიანს ჰგავდეს და მსგავსება ზოგად სახეს ატარებდეს.

ავაპტერ!

ეს სიტყვა დადის სახნავ-სამკალზე, სათიპ-სახ-ვეტზე.

დადის ნელში ოდნავ მოხრილი. შავი სამოსი აცვია ტანზე. გუდამაყრელი დედაკაცების მსგავსება ამ ერთ სიტყვაშია მომწყვდეული. ცად აზიდული მთებით არის შემოფარგლული ეს სიტყვა. აქ, გუდამაყრის ვინორ ხეობაში, არის მისი საუფლო.

— ავაპტერ!

— ავაპტერ, ჩემო დედისერთავ!

— ავაპტერ, შე ძეჩაო, შენა!

— ავაპტერ, შე საპირმიწევ!

— ავაპტერ, ჩემო ჯეილობავ!

— ავაპტერ, ჩემო!..

დადის ეს სიტყვა ჭირში და ლხინში...

— ავაპტერ, ჩემო დედისერთავ!

— ავაპტერ, შე ძეჩაო, შენა!

— ავაპტერ, ჩემო ქალობავ!

— ავაპტერ, ჩემო!..

.....

რად, რად გილონავთ გული...

რა, რა გიშველოთ...

ავაპტერ, მოგიკვდათ ჩემი თავი!

იმპერატივული შორისდებულები: სხვებს ვეტყვიდით რომა, ციც! [1, 277] — ბრის! ბრის! — უბაკუნებდა ფეხს [კატას] [2, 11] — დაუპატიუებელ სტუმრებს არ ვლებულობთ, აბა, ახლავე, მარშ! აქ მე თაგვი ვარ თუ ნაბდის ძევლი! [1, 161] — საინტერესოა, რომ ამ ფრაზების წარმომთქმელი პერსონაჟები არც თავად არიან რუსულენოვანნი, არც ამ ენაზე მოლაპარაკეთ მიმართავენ.

ორნამენტული ფუნქციის თვალსაზრისით საინტერესოა შორისდებულებთან ფუნქციით გათანაბრებული ზოგი სიტყვა თუ სიტყვაშესამება, ასევე — მიმართვის ფორმები და მთელი ფრაზები სხვადასხვა თემატური ჯგუფისა (ფიცილის, დალოცვის, დაწყვლის, ლანდღვა-გირბის...). ამჟამად არ შევუდგებით ყოველი ცალკეული სისტემის გამოწვლილვით ანალიზს (ეს ცალკე მსჯელისა საგანი), უბრალოდ, ზოგადად დაგხარისხებთ მათ შინაარსის მიხედვით, რათა თვალსაჩინო გაეხადოთ ამ მასალის მრავალფეროვნება და ის მნიშვნელობა, რომელსაც მათ მწერალი ანიჭებს. ამგვარი შესიტყვებები თუ ფრაზები გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობითია: ა) ერმაზრვი — თავად ენობრივი მასალა მასიმალურად უახლოვდება სალაპარაკო ენას, როთაც უშუალობასა და ბუნებრიობას ინარჩუნებს; ბ) ექსპრესული — ავტორი ზუსტად ფერადოვნად გადმოსცემს პერსონას გუნება-განწყობლებას; თვალსაჩინოს ხდის ფსიქოლოგიურ გარემოს, კონკრეტულ ემიცეულ ველს, როთაც ზემოქმედებს მკითხველზე, ადეკვატურ განწყობლებას ინვესტიციებს; გ) მხატვრულ-სტილისტიკური — ქმის გარკვეულ კოლორიტს (ამა თუ ის ტერიტორიული თუ სოციალური დაალექტისას):

**ფიცილი** — თუ კიდევ გადმასცდები ამ სამანს, ღვთის მადლმა, მერე მე ვიციო [1, 179]; მაგაში კი მართალი ხარ, ჩემი თავის მზება [1, 278];

**ირონია** — თორე, შენმა მზებ, არ ამომაღებინე ხმა! [6, 64].

**მუქარა** — მინაში არ დამმარხოთ, თორემ ვათ თქვენი ბრალი! [1, 69];

**წყევლა** — უი შენ და შენი ხმის ჩაწყვეტა! — ჯოხი ნამოუსვა სალომებ [6, 166]; ვაი ჩემ თოლეგბა და ბრელი, განა კარგა ვეხდავ [1, 175];

**ალერსი** — რა იყო, ბებია გენაცვალოს [1, 208];

**თხოვნა-მუდარა** — ნუ მამთხრი და გამაცივებ, ბერო, შენი ჭირიმე [4, 113]; ნუ, შენ მადლისა, — შესთხოვდნენ ესენი [4, 96]; შენამც გახეირებს დმერთი, ჩემო კვირიავ! [1, 134]; აგრემც დმერთი გიშველით, რამე მიშველეთ, ხალხო! [1, 279];

**დალოცვა** — ღმერთო,... გაგვიქარვე [დარდები], აგრემც დაიღოლოცები! [1, 76]...

### სამეცნიერო ლიტერატურა:

**1. მ. გაჩეჩილაძე,** შორისდებული ახალ სალოტერატურო ენაში (ლექსიკონითურთ), თსუ გამომც., თბ., 1979;

**2. А. Д. Германович,** Междометия русского языка, Киев, 1966;

**3. ს. ულენტი,** შორისდებული ახალ ქართულში, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბ., 1965;

<sup>3</sup> აღნიშნულია, რომ ბეგერებით შორისდებულის მთელი ემოციური სიმღერის გადმოცმა მაინც ძნელია, ფონეტიკურად გაივლის უფრო მეტია, ვიდრე გრაფიკულად გამოხატული (3, 178), ამიტომ მწერალი მაქსიმალურად ცდილობს ფორმისა და შინაარსის დაახლოებას.

### საილუსტრაციო მასალა

1. გ. ჩოხელი, ადამიანთა სევდა, გამომც. „მერანი“, თბ., 1986;
2. გ. ჩოხელი, ბალახის ცხოვრება, გამომც. „მერანი“, თბ., 1997;
3. გ. ჩოხელი, ბინდისფერი ხეობა, გამომც. „მერანი“, თბ., 1982;
4. გ. ჩოხელი, თევზის წერილები, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1989;
5. გ. ჩოხელი, მგელი, გამომც. „მერანი“, თბ., 1990;
6. გ. ჩოხელი, მოთხრობები, გამომც. „მარსი“, თბ., 2003.
7. გ. ჩოხელი, მღვდლის ცოდვა, გამომც. „მერანი“, თბ., 1990;
8. გ. ჩოხელი, სულეთის კიდობანი, გამომც. „ბაკმა“, თბ., 2001;
9. გ. ჩოხელი, ღმერთის შვილები, გამომც. „სანი“, თბ., 2002;
10. გ. ჩოხელი, შემინახე, დედაო მიწავ! გამომც. „მერანი“, თბ., 1991;
11. გ. ჩოხელი, წერილი ნაძვებს, გამომც. „მერანი“, თბ., 1980.

**Sukhumi State University  
Summery  
Function of interjection in Goderdzi Cokheli's literary language**

This article describes the analysis of one of the characteristics, namely the interjection, in the literary language of the modern writer and director, Goderdzi Cokheli. The writer's language is characterized by a particular emotion, which is created, along with other stylistic specifications, by interjection. The novel "Gudamakreli Dedakacebi", which is entirely built on only one interjection-avahme, is reviewed.

### ირა დანელია

### „გეატვრული ტექსტის კომპლექსური შესწავლა ენობრივ ფაზულთეტზე“

საკვანძო სიტყვები: სწავლება, აღქმა, კომპლექსურობა, აქტივობა, საკომუნიკაციო ფუნქცია ენობრივ ფაზულთეტზე სწავლების პროცესში ორიგინალური მხატვრული ლიტერატურის კითხვას ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავია და ენის დაუფლების აუცილებელ პირობასა და საშუალებას ნარმოადგენს, რაც თავის თავში კითხვის კულტურის ჩამოყალიბებას გულისხმობს.

კითხვის კულტურის უნარ-ჩვევების ფლობა ნიშნავს ენის ცოდნას, მის სტილისტურ მრავალფეროვნებაში გარკვევის უნარს, მდიდარი ავთენტური ნაწარმოებების ენის გაგებას, ავტორის თვალსაზრისის გამოყოფას და ტექსტის ესთეტიკური აზრის აღქმას. ყოველივე ამის მისაღწევად საჭიროა ლიტერატურული ნაწარმოების კომპლექსური შესწავლა, რაც აერთიანებს ლინგვისტურ, ლიტერატურულ და საერთო კულტურულ ცოდნას. ამ დროს არ ირღვევა შინაარსისა და ფორმის, მთლიანისა და ნაწილების ერთიანობა და ხდება ყველა სამეტყველო უნარ-ჩვევის განვითარება ნაკითხულთან დაკავშირებით.

მხატვრულ ლიტერატურას შეისწავლის რამდენიმე მეცნიერება, მათ შორის ფსიქოლოგია, ესთეტიკა, ხოლო ენობრივ ფაზულთეტზე მხ. ლიტერატურა რამდენიმე საგნის (ლექსიკოლოგია, სტილისტიკა, ლიტერატურის თეორია და ისტორია) შესწავლის ობიექტს ნარმოადგენს.

როცა შემსავლელი უცხოურ ენაზე ორიგინალური მხ. ტექსტის კითხვას იწყებს, მასში ფიქსირდება ამ გადაწყვეტილების შესატყვევის განწყობა. ამ განწყობას სუბიექტში ქმნის რაიმე მოთხოვნილების არსებობა, ხოლო ეს მოთხოვნილება კონკრეტულ აქტივობად მაშინ გადაიქცევა, როდესაც გარემოში მისი დაკმაყოფილების რეალური სიტუაცია იქმნება [4].

შემეცნებითი ინტერესის გამომწვევი უნდა შეიცავდეს ახალ, საინტერესო ინფორმაციას, ანუ წასაკითხი მასალა შემსწავლელში უნდა იწვევდეს დადებით ემოციებს, თუმცა ყველა სტუდენტში ყველანაირი წასაკითხი მასალა ვერ გამოიწვევს ერთნაირ დაინტერესებას. მაშინ ჩნდება საჭიროება, რომ კითხვისთვის შეიქმნას მოტივაციის სხვა საფუძვლებიც [1].

სასწავლო პროცესში საგანთშორისი კავშირების რეალიზება მნიშვნელოვნად ამაღლებს ცოდნის ხარისხს, აფართოვებს შემსწავლელთა პორიზონტს და აყალიბებს მათ მსოფლმხედველობას. ხდება ცოდნის ერთი სფეროდან მეორეში გადატანა/ურთიერთვდომა, რასაც თან ახლავს შემოქმედებითი ზეპირი და წერითი აქტივობის სრულყოფა.

9. ზმინაიას აზრით [5], კითხვა როგორც სამეტყველო აქტივობა მოიცავს ორიენტირების, დაგეგმვისა და რეალიზაციის ეტაპებს. ორიენტირების ეტაპზე მკითხველს გარკვეული ნაწმოდებენა ექმნება წასაკითხი მასალის შესახებ, რაც ხორციელდება სათაურზე, ილუსტრაციებსა თუ მასწავლებლის მიერ ზეპირი ფორმით მინოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ეფექტური მკითხველი კითხვისას წინასწარ გეგმავს გამოიყენოს თუ არა ლექსიკონი და როდის (უცნობი სიტყვის შეხვედრისთანავე თუ პირველადი წაკითხვის დასრულების შემდეგ), ერთჯერად წაკითხვას მიმართოს თუ განმეორებითს, დაეყრდნოს თუ არა გრამატიკულ ანალიზს, აირჩიოს მისთვის ოპტიმალური კითხვის ტემპი და ა.შ. კითხვის რეალიზაცია მკითხველის ინტენციასა და მის გამოცდილებაზეა დამოკიდებული.

კითხვა, როგორც ყოველი რეცეპტული აქტივობა, ემყარება გამოცნობას. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, აღქმის პროცესში შედის. გამოცნობა კი, როგორც ფსიქოლოგიური პროცესი აღსაქმელი საგნის ხატის იმ ხატთან მიკუთვნებითი ხასიათის საქმიანო-

ბას წარმოადგენს, რომელიც ჩვენს ცნობიერებაში მისი აღქმის პროცესში ხდება. ტექსტის ნაკითხვის დროს ხატების შერჩევა გრძელვადიან მესიერებიდან ავტომატურად ხდება ტექსტიდან გამომდინარე სიგნალების ზემოქმედების შედეგად და მეტად აქტიური ხასიათი აქვს. უცნობ წინადადებაში ჩვენ ვწნობთ მხოლოდ ლექსიკურ და გრამატიკულ ელემენტებს, რომლებიც ჩვენს გრძელვადიან მესიერებაშია შემონახული.

კითხვის დროს მასალის თანმიმდევრული აღქმის პროცესში, გარკვეული წესების შესბამისად, ავტომატურად ვაერთიანებთ მორფებს სიტყვებში, სიტყვებს შესიტყვებებში და წინადადებებში. გაერთიანების ეს პროცესი სრულდება თვითონ მკითხველის მიერ და აქტიურ ხასიათს ატარებს. მისითვის, რომ სიტყვები გაერთიანდნენ შესიტყვებებსა და წინადადებებში, აუცილებელია მათი შენახვა/შეკავება ე.წ. ოპერატორულ მესიერებაში, მანამ, სანამ ესა თუ ის სინტაგმა თუ წინადადება ბოლომდე არ იქნება გააზრებული, რაც თავის მხრივ ისევ აქტივობას მოითხოვს [3].

მკითხველის აქტივობა აუცილებელი პირობაა ტექსტის არა მარტო აზრობრივი, არამედ ფორმალური მხარის აღსაქმელადაც, რის გარეშეც ტექსტის გაგება შეუძლებელი იქნებოდა. გაგება უკავშირდება აზროვნების სფეროს. აზროვნება იმ ინფორმაციის გადამუშავებაა, რომელსაც ადამიანი გარე სამყაროდან იღებს, გაგება კი განსაზღვრავს აღქმული ინფორმაციის სისრულეს, ამასთანავე, გაგება დაკავშირებულია მკითხველის შემოქმედებით და ემოციურ აქტივობასთან. კითხვის ეფექტური სწავლებისათვის აუცილებელია ამოქმედდეს ინფორმაციის გადამუშავების ემოციური დონე, რათა მოხდეს ენობრივი ერთეულების შეფარდება პიროვნულ თავისებურებებთან: მოთხოვნილებებთან, მოტივებთან, მიზნებთან, ემოციებთან.

უცხოენობრივი მხატვრული ტექსტების სწავლების მოდელი ემოციურ-აზრობრივი მიდგომის თვალსაზრისით ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- კითხვის როგორც შემეცნებითი აქტივობის სწავლება
- კითხვისა და საუბრის ურთიერთდაკავშირებული სწავლება
- კონტექსტუალურ-სიტუაციური სტიმული ევრისტიკული ქმედებისადმი

ზემოაღნიშნული შემოქმედებითი აქტივობისა და თვითგამოხატვის უნარ-ჩვევათა განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს სპეციალური სავარჯიშოების თავისებურებათა გათვალისწინებით და სიძნელეთა თანდათანობითი ზრდით [2].

შემსწავლელთა ქმედება ენობრივ მასალასთან დაკავშირებით ეფექტური გზაა საგნისადმი ინტერესის გასავითარებლად. მყარდება ბუნებრივი კავშირები. ცოცხალ ენასა და ლიტერატურას, უცხოურ ენასა და ჰუმანიტარული ციკლის საგნებს შორის, რაც შემსწავლელები ავითარებს გონებრივ აღლოს და სწორი მეტყველების გემოვნებას. გარდა ამისა, უცხოენის კავშირი ლიტერატურასთან ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია.

იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს კავშირის დამყარება უცხოური ენისა და სხვა საგნების შესწავლას შორის, აუცილებელია ისეთი სავარჯიშოთა სისტემა, რომლის ცენტრშიც იქნება არა ცალკეული ენობრივი მოვლენა, არამედ მთლიანი ტექსტი. მხატვრული ტექსტი შეიძლება განვითილოთ როგორც ფონეტიკის, სიტყვათნარმოების, სინტაქსის შესწავლის

ინტეგრირებისა და აქტუალიზების, სხვისი სტილის გააზრებისა და საკუთარი სტილის ფორმირების სა-შუალება [8].

საგანთშორისი კავშირების დასამყარებლად უნდა დაიგეგმოს პროგრამა და განსაკუთრებით იმ ნაწარმოებებზე უნდა შევჩერდეთ, რომელიც მოგვანვდის მდიდარ და შთამშეჭდავ მასალას კითხვის პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით.

საგანთშორისი კავშირების დამყარებისას წინასარ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი მომენტები:

- რა სფეროში გვაქვს მსგავსება-ანალოგია და რა მიმართულებით არის საჭირო ამ მსგავსებაზე ყურადღების გამხხვილება

• როგორ გამოვკვეთოთ მსგავსებასთან ერთად განსხვავება

• როგორ ავსებენ სხვადასხვა საგნების მსგავსი საკითხები ერთმანეთს

• რა მიზნით ხდება მსგავსი საკითხების განხილვა ცალკეულ საგანში და რა დამოკიდებულებაა მასასა და შესადარებელი მასალის ძირითად პრობლემატიკაშის შორის

• როგორ ეხმარება სტუდენტებს აზროვნების განვითარებასა და მსჯელობის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში საგანთშორისი კავშირი [8]

მხატვრული ტექსტის შესწავლას უცხოური ენის ფაკულტეტზე აქვს პრაქტიკული, საგანმანათლებლო, განმავითარებელი და აღმზრდებულობითი ღირებულება.

ენის სწავლების კომპლექსურობიდან გამომდინარე, მხატვრული ტექსტის შესწავლის პროცესი უნდა მოხდეს საგანთშორისი კავშირების რეალიზაციის, ცოდნის ხარისხის ამაღლების და შემსწავლელთა მსოფლმხედველობის გაფართოების მიზნით. მხ. ტექსტის ანალიზმა უნდა უზრუნველყოს არა მარტო ენობრივი და სიუჟეტური, არამედ ემოციური, ესთეტიკური და ინტელექტუალური ინფორმაციის მიღებაც. იმისათვის, რომ მკითხველისთვის მისაწვდომი გახდეს მთელი ის ინფორმაცია, რომელიც შეიცავს მს. ტექსტი, უნდა მოხდეს მისი ენობრივი, სტილისტური, კულტურული ანალიზი – ერთი სიტყვით, კომპლექსური ანალიზი.

ნაწარმოების გაგებაში არ იგულისხმება თითო-ეული სიტყვის, სახის, პერსონაჟის და იდეურ-თემატური შინაარსის ზუსტად ავტორისეული გაგება. რაც უფრო მნიშვნელოვანია ნაწარმოები, მით უფრო მდიდარია სხვადასხვა ადამიანების მიერ მისი განსხვავებული გაგების შესაძლებლობები. თუმცა ეს განსხვავებანი ეფუძნება ტექსტს და არაფერი აქვთ საერთო თვითნებურ და საფუძველს მოკლებულ გაგებასთან.

მხატვრული ნაწარმოების, მისი ენის, შინაარსის შესწავლა უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის პერიოდში საზოგადოებრივი ცხოვრების, იმ ეპოქის კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების ცოდნას, იმ დროის სასაუბრო და ლიტერატურული ენისა და მისი სტილის შესახებ ნათელ წარმოდგენას, ავტორის მეთოდსა და მის სიტყვიერ-მხატვრულ ღსტატობაში გაცნობიერებას.

მხატვრული ტექსტთან ურთიერთობა ნიშნავს კუნკრეტულ კულტურულ გარემოში მოხვედრას. შემსწავლელი, როგორც ერთი კულტურის სუბიექტი შედის დიალოგში მეორესთან.

ავთენტურ ტექსტზე მუშაობისას კულტურულ სპეციფიკასთან დაკავშირებული ბევრი სირთულე იჩენს თავს. ამ თვალსაზრისით ტექსტის კულტურული ანალიზი უზრუნველყოფს ერთი მხრივ, მშობლურ ენაზე ინტერცერენციის ეფექტურ დაძლევას, მე-

ორე მხრივ, იძლევა შესასწავლი ენის სიმდიდრის გაცნობიერების საშუალებას [6].

მხატვრულ ტექსტზე მუშაობას უცხოენობრივ ფაკულტეტებზე აქვს პრაქტიკული, საგანმანათლებლო, განმავითარებელი და აღმზრდელობითი ლირებულება, რაც გულისხმობს საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარებას, მომავალი სპეციალისტების შემეცნებითი აქტივობის გაღრმავებას. ყოველივე ზე-

მოთქმულის მისაღწევად მხ. ტექსტზე მუშაობისას აუცილებელია ისეთი სავარჯიშოთა სისტემა, რომელიც უნდა ასახავდეს მუშაობის ადგილს (შინა-აუდიორონიაში), ეტაპს (ტექსტმდელი – ტექსტთან მუშაობა – ტექსტის მომდევნო ანუ სამოტივაციო-მოსამზადებელი, ანალიზურ-სინთეზური, სარეალიზაციო – საკონტროლო) და ფორმას (ინდივიდუალური – წყვილური, ჯგუფური, ფრონტალური).

### გამოყენებული ლიტერატურა

- 1) ალხაზიშვილი ა. უცხოური ზეპირმეტყველების სწავლების ძირითადი გზა. „უცხო ენები სკოლაში“. თბ., 1982, 1. გვ. 44-50
- 2) დანელია ი. ინგლისურენოვან მხატვრულ ტექსტზე მუშაობის მეთოდიკა უმაღლესი სასწავლებლების ენობრივ ფაკულტეტზე. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი. 2005. გვ. 100-114
- 3) კრავეიშვილი მ. უცხოური ენების სწავლების მეთოდიკა. თბილისი, 2002. გვ. 162-165
- 4) უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია, შრომები, ტ. 3,4. თბილისი, 1964. გვ. 131
- 5) ზишნაი ი.ა. О вероятностном характере речевого восприятие. Ученые запис. М. гос. пед. института иностр. яз. им. М. Тореза, 1971. т.6
- 6) Нефодова М.А., Лотарева Т.В. Страноледческий материали, познавательная активность учащихся, "Иностр. Эзыки в школе", 1982, №3. ст. 26-28
- 7) Философский словарь. 3-е изд. М., 1975. ст. 488-489
- 8) Шановалова Т.А. Роль межпредметных связей в семиотическом аспекте. Русский язык. Проблемы теории методики преподавания, Нижневартовск, 1917.
- 9) რაბე, ჭ. ლუენცუ ინ რეადინგ. თჰირტყ-ფივე ყეარს ლატერ. ლეადინგ ინ ა ფორეიგნ ლანგუაგე. წოლ. 22. ო. 1. 3.3. 71-83
- 10) ჭალტერ, ჩ. უტცენტიც ლეადინგ. ჩამბრიდგე; ჩამბრიდგე ნივერსიტყ რესს. 1982, პ.3. 8-20

### Summary

The complex work with literary English text at the department of foreign languages is best provided with the help of interdisciplinary links as it involves all language skills( pronunciation, grammar, vocabulary, speaking, reading listening, & writing), information on the countries of the language under study( geography, history, lifestyle,values, & etc.) which is presented in a non-obtrusive way & the possibility to apply knowledge acquired in theoretical & general educational subjects such as lexicology, stylistics , history of literature & so on.

### ლამარა გერგედავა

#### სერვანტესის “დონ კიხოტის” არქეტიპები ეართულ ლიტერატურაში

დონკიხოტური სულისკვეთების პერსონაჟებითაა დასახლებული გ. ლეონიძის მწერლური სამყარო (“ნატვრის ხე”).

გიორგი ლეონიძე (1899-1966) – უახლესი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელთაგნი, ერთ-ერთი ყველაზე თვითმყოფადი პოეტური ნიჭი XX საუკუნის ქართული მწერლობისა; ლიტერატურული ტალანტი მრავალნახავოვანი: ლირიკოსი, ეპიკოსი, პროზაიკოსი, ესეისტი, ლიტერატურის ისტორიკოსი, ფილოლოგი... ვერსიფიკაციის ვირტუოზი, ენის დიდი მესაიდუმლები”<sup>1</sup>

“ნატვრის ხე” თვისებრივად ახალი მოვლენაა XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, ფართო მასშტაბების მომცველი დიდი წიგნი, შემოქმედებითი ნარმოსახვის შედეგად შექმნილი მთელი მიკროსამყარო, რომელიც ლიტერატურული ტიპებისა და სახეების მრავალფეროვან გალერეას ქმნის.”<sup>2</sup>

ჩორეხი (წოველა “ჩორეხი”) ისევე თავგადადებული ოცნებობს საქართველოს ნარსულზე და მისტიკის მას, როგორც დონ კიხოტი ოქროს საუკუნეს ესპანეთისას – ორივე ცდილობს ძველი დროის დაბრუნებას.

ჩორეხი ფანატიკურადაა შეყვარებული ნარსულზე. მისა მთელი განცდები და ოცნებები შემდეგი მიმართულებით იყო ნარმართული: “მამულის თავისუფლება”, “მამულის სევდა”, “გმირი ნინაპრები”, “ბაზალეთი”, პირველი აღთქმა მამულისადმი: “უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალემი, დაივიწყენ მარჯვენი ჩვენი”, ქართული მინა, ნარსული დიდება, მინა, სადაც: ”ჩვენი ქედნაგრებილი მოძმენი ცხოვრობენ...”<sup>3</sup>

<sup>1</sup> თ. კვაჭანტირაძე. სასიტყვეთი. თბ. 2002, გვ 399.

<sup>2</sup> ა. ნიკოლეიშვილი. ქართული ლიტერატურა. ქუთაისი, 2002, გვ 288

<sup>3</sup> გ ლეონიძე. კრებული “ნატვრის ხე”. თბ. 1976. გვ. 199

“ბავშვი ისე არ გაეტირება დედას, როგორც ჩოხერი მისტიროდა საქართველოს წარსულ დიდებას...”<sup>1</sup> უნიადაგო მეოცნებეს ღრმად სწამდა, რომ მომავლის ხმას მაღვე გაიგონებდნენ, ამპირა, ქალალდზე მეოცნებეთა დრო წავიდა და საქმიანი საჭირო, მერე კი თვითონ, ალბათ, უკვე წაოცნებარს დააყოლებდა: “ისევ დაისხავს ჩვენი ვენახი. ისევ დაგვებადება რუსთაველი, აღმაშენებელი, თამარი! ნუ გეშინიათ!...”<sup>2</sup>

XII საუკუნე, ოქროს ხანად წოდებული ეპოქა, არაერთი შემოქმედის შთავანების წყარო გამხდარა. ეს ხომ ის პერიოდი იყო, როდესაც ქვეყანა, თამარის ხელმძღვანელობით, პოლიტიკურად ერთიანი იყო, ეკონომიკურად – ძლიერი, საზოგადოებრივ ურთიერთობებში კი ჰარმონია სუფევდა.

გ. ლეონიძის პერსონაჟი, სწორედ, იმ დროის მსგავსი პერიოდის მოვლენას ელოდა და ცდილობდა სხვებიც, ახალგაზრდებიც, დაერთმუნებანა თავისი ჩანაფიქრის სისხორეში. ესპანეთის ხელოვნების ოქროს ხანაში (XVI-XVII ს. II წახევარი) მოღვაწე სერვანტესის “დონ კიხოტის” პერსონაჟიც გ. ლეონიძის ჩორეხის (“ჩორეხი”) მსგავსად წარსულს მისტირის, ჰარინა, რომ გაიდეალული რაინდული საუკუნე აღორძინდება.

თხის მწყემსებთან საუბრისას დონ კიხოტი, ბედნიერს უწოდებს იმ დროსა და საუკუნეს, რომელსაც მათმა წინაპრებმა ოქროს საუკუნე უწოდეს, მაშინ ჯერ კიდევ უცნობი იყო სიტყვა “ჩემი და შენი”... ის გულწრფელად უწოდებს იმ პერიოდს კურთხეულს: ”მაშინ ყველგან მეგობრობა, მშვიდობა და სიყვარული მეფობდა.”<sup>3</sup>

“მაშინ საუკეთესო გულისთქმანი უფრო გულწრფელად და მარტივად იხატებოდნენ, ამისათვის ხელოვნური სიტყვების თქმა როდი იყო საჭირო, ცილი, სიცრუე და ვერაგობა სიმართლეს და გულახდილობას არა ბუნდავდა და ყველგან მართლმასჯულება სუფევდა; ახლანდელივით ვერაგობითა და ანგარებით შემწიკვლული, დევნილი და დაჩაგრული როდი იყო იგი; მსაჯულის გულსაც პირადი თვითმმწერელობა ჯერ არ მიჰკარებოდა; ან კი მსაჯულები მაშინ სად იქნებოდნენ, როდესაც განსასჯელიც არავინ იყო...”<sup>4</sup>

დონ კიხოტის აზრით, მოგზაურ რაინდთა ორდენი მაშინ დააარსა, როცა სახლში გარყვნილებამ გაიდგა ფეხი. მან მწყემსებს ამცნო, რომ რაინდები ხალხის სამსახურს სწირავდნენ თავს. მათ ქალწულები, ქვრივები, ობლები და დაჩაგრულები უნდა დაიცვან. თვითონაც ამ პატიოსაც ორდენს ეკუთვნიდა.

“მწყემსები მთელ ამ სიტყვას გაოცებული მდუმარებით უსმენდნენ და გათავების შემდეგაც დიდხანს იყვნენ ისევ მდუმარედ გაცბუნებულები.”<sup>5</sup> მათ ასეთი თავდადება, თანამედროვე ესპანეთის პირობებში, ვერ წარმოედგინათ, ამიტომაც დონ კიხოტის გრძელი, შთამბეჭდავი სიტყვისაგან ვერაფერი გაიგეს და მდუმარება არჩიეს, ბოლოს კი გართობა, გამხიარულება შესთავაზეს, რაბელზე (ფანდურის მსგავს, პრიმიტიულ, სამსიმიან საკრავზე) მომღერალ ჭაბუქს ელოდენ, ისიც გამოჩნდა. მან მაღვე რომანსიც დაამღერა და ხალხის სამსახური, თავდადება არავის გახსენებია.

დონ კიხოტიც და ჩორეხიც ორივე ოქროს ხანას მისტირის, ორივეს სურს მისი აღორძინება, ორივეს კეთილშობილური მიზნები ამოძრავებს, მაგრამ მათ ირგვლივ არ ჩანან თანამოაზრები, ისინი, თითქოს შარტოსესავით შრიალებენ ტრიალ მინდორზე, ერთიცა და მეორეც ფანატიკურადა შეყვარებული სამშობლოს წარსულზე და არც ერთს არა გაეგება დღევანდელი ცხოვრებისა: “...ჩორეხს ბევრი არა გაეგებოდა რა, არა შეესმოდა”, შოთას თქმისა არ იყოს, “სოფლის გაღმა გაებიჯა”. იგი მხოლოდ წარსულში იყო შელტოლვილი და იყოცა

ჩორეხიცა და დონ კიხოტიც ვერ ხედავდნენ, რომ რთული იყო ეპოქების მოხმობა შორეთიდან, რომლებმაც უკვე ჩაიქროლეს და წარსულის ლაბირინთებში ჩასთვლიმეს. ორივე ილუზიათა სამყაროში ცხოვრობს, ორივეს უანგარო სიკეთე ამოძრავებს, ორივეს ჰყავს თანამზრახველი, ჩორეხს – ახალგაზრდობა, რომელთაც მიაჩინათ, რომ მათი: “ნამდვილი მასწავლებელი, მართლაც, ჩორეხი იყო და არა ჭროლა ლონგო...”<sup>6</sup> დონ კიხოტს კი – მიამიტი სანჩიო პანსა, რომელიც დარწმუნებულია, რომ თავისი ბატონის ერთგული მხლებელია და წამოწყებული კეთილშობილური საქმე ერთ დროს გამარჯვებით დაგვირგვინდება.

დონ კიხოტის ირგვლივ, მისი კეთილშობილური საქმეებით დაუინტერესებელი ხალხი ტრიალებს, მათ ღიმილს გვრის ბერიავი “რაინდის” ფაფსური.

ჩორეხის ირგვლივ კი მარტი ბალები არიან, მათ ბოლომდე არცა აქვთ გაცნობიერებული თავიანთი “მასწავლებლის” შეძახილი: “ქუდზე კაცი! ქუდზე კაცი გამოვიდეს და დავიხსნათ მამული!”<sup>7</sup> არავინ უგდებდა ყურს, გარდა შემინებული თავისივე ცოლისა, რომელიც ასეთ შეძახილზე ორივე ხელს აიფარებდა პირზე: “გაჩუმდი, კაცო, არ გაგიგონ, არ დაგვლუპო!”<sup>8</sup>

“ჩორეხი მხოლოდ წარსულით სუნთქავდა”, წინაპრებს ახსენებდა, მათი სული კიდევ მუშაობსო, ამბობდა. ახალგაზრდებს ლექსს შეახსენებდა “ბაზალეთის აკვანზე”... ადგილობრივი მკვიდრის, დათა პაპაშვილის მიერ, ილიასათვის მოყოლილი ლეგენდის საფუძველზე შექმნილი ლიტერატურული წარამოების იდესა ღრმად სწამდა.

“ლექსში ნახსენები თამარ მეფე ქვეყნის დიდებული წარსულის სიმბოლოა. ლეგენდის მიხედვით, ბაზალეთის ტბის ძირში სწორედ მის მიერ ჩადგმული აკვანია. ილიას ამით, ალბათ, ამის თქმა სურდა, რომ ერის წარსული დამარტიულია, დაფარულია, წყლის ქვეშაა, მაგრამ გამქრალი არ არის... საზოგადოდ, წყალი განახლების, აღორძინების სიმბოლოა, ამავე ღროს, იგი განწმენდაზეც მიანიშნებს. წარლვნის წყლებით განწმინდა ღმერთმა კაცობრიობა ცოდვებისაგან. წყალი მაცოცხლებელი სტიქიაა, ადამიანის 4 ელემენტთაგან ერთ-ერთი წყალია. ასე რომ, წყალი ინახავს ერის განძს”...<sup>10</sup>

<sup>1</sup> იქვე: გვ. 199

<sup>2</sup> გ. ლეონიძე “წატვრის ხე” თბ. 1976 გვ. 201

<sup>3</sup> სერვანტესი, დონ კიხოტი, I ნაწილი. თბ. 1985 გვ. 101

<sup>4</sup> სერვანტესი, დონ კიხოტი, I ნაწ. თბ. 1985 გვ. 101

<sup>5</sup> სერვანტესი, დონ კიხოტი, I ნაწ. თბ. 1985, გვ. 102

<sup>6</sup> გ. ლეონიძე, “წატვრის ხე”, თბ. 1976, გვ. 202

<sup>7</sup> იქვე: გვ. 198

<sup>8</sup> იქვე: გვ. 201

<sup>9</sup> იქვე

<sup>10</sup> ქართველი მწერლები სკოლაში, ილია ჭავჭავაძე, I, მ. ჯალიაშვილი, გვ. 87 – 88

“...ის ყრმა” საქართველოს თავისუფლებაა, მისი “მარად თანამდევი უკვდავი სული”, რომელმაც გარეგნულად საპირისპირო განსახოვნება აჩრდილის სახით ჰპოვა”<sup>1</sup>  
სახელმავანი ვაჟაპეტია: “ვისიცა ხელი პირველად დასწოდება იმა აკვანსა”, კიტა აბაშიძის თქმით, “უსათუ-ოდ იქნება ისე, როგორც “მამული აყვავდა ერთ დროს”<sup>2</sup> ჩორეხი ელოდა დროს, როდესაც ის ყრმა გაიზრდებოდა და გაათავისუფლებდა საქართველოს.

გ. ლეონიძის თქმით: “ასე სწამდა ჩორეხს, სასწაულით, ხელგაუნძრევლად თავისუფლების მოპოვება”<sup>3</sup>

ჩორეხი, რომელიც სამშობლოს ნაქარალს, ნაქორალს, დატრილ არნივსა და უსულიდ დანარცხებულ ვეფხვს უწოდებდა, ვაებდა, ოხრავდა, ცდილობდა მსმენელთა ყურადღება ნანგრევთა დაღადისთვის მიეპყრო, მოთქამდა, რომ იმარხებოდა საქართველო, ქრისტეს კუნძული... უფლისთვის მიეპყრო თვალი, თან თითქოს წინასარ “ზეიმობდა ჩორეხის სული”, რომ მომავლის ხმას მალე გაიგონებდა ყველა. პესიმისტური განწყობაც ეუფლებოდა: “შავ ზღვაში ჩავარდა მზე საქართველოსი! რაღა ამოიყვანს?” თანაც გაკვირვებული კითხულობდა: “მესია რად იგვიანებს?”<sup>4</sup>

დონ კიხოტისაც ჰქონდა უკეთესი მომავლის მოლოდინი, სანჩიო პანსას ეუბნებოდა მისი იმედი უნდა ვიქონიოთ.

ნახევრად შეშლილი იდალგო დონ კიხოტიც ადიდებდა თავისუფლებას: “იცით თუ არა, ჩემო სანჩიო, რომ თავისუფლება უძვირფასესი სიკეთეა, რომელიც ზენამ მომადლა ადამიანს? ვერაფერი შეედრება თავისუფლებას, ვერც დედამიწის ქვესკენელში დამარტული საუნჯენი, ვერც დიდება, ვერც სხვა რამ. თავისუფლებაზე სანუკარი ბედნიერება ამ ქვეყნად არ არსებობს. თავისუფლებისა და სახელისათვის თამამად შეიძლება თავ-განწირვა, რადგან ნაძრახი სიცოცხლე და მონობა ყველაზე უდიდესი უბედურებაა კაცისათვის...”<sup>5</sup>

სიკეთისთვის, თავისუფლებისათვის მებრძოლი დონ კიხოტის, ნახევარშეშლილი იდალგოს სიტყვები ხშირად სიბრძნითაა სავსე, ის მხოლოდ მაშინ იწყებდა აბაუბდას, როცა რაინდობა გაახსენდებოდა.

გ. ლეონიძის პერსონაჟის ჩორეხის (“ჩორეხი”) სიტყვებიც, ასევე სიბრძნითაა სავსე, ავტორი არ უწოდებს მას ნახევრადშეშლილს, ხეპრეს, პირიქით, მოძღვრავდან სკოლიდან გამოცვენილ რამოდენიმე ბავშვს, წვრთნიდა. “ნამდვილი მასწავლებლის” ერთადერთი საგანი საქართველო და მისი სიყვარული იყო, მაგრამ თვითონ ჩორეხი დონ კიხოტური სულისკვეთებისა იყო, მთელი მისი მონდომება მინაზე ფეხის დარტყმასა და წამოძახილში გამოიხატებოდა: “აღსდევ, საქართველოო!!!” ილუზიებისა და ოცნებების ტყვეობაში მყოფი, ისევე ვერ ხედავდა ხსნის გზას, ისევე ვერ ცნობდა თავისი დროის საქართველოს, როგორც სერვანტების უბადრუკი აზნაური, დონ კიხოტი, ესპანეთს... ორივეს – ერთს “ოქროს ხანა”, მეორეს – “ოქროს საუკუნე” მონატრებოდა.

ხასიათის თვისებებით, თითქოს, ეს ორი პერსონაჟი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ორივე წიგნიერების მოყვარულია.

გ. ლეონიძის ჩორეხი, შინგაზრდილი მწიგნობარი, “ვეფხისტყაოსანს” შოთას ძლვენს უწოდებდა, კვირა-ძალზე მის სურათს სანთელს უნთებდა. პოემა, რომელიც სიყვარულის საგალობელსა და “სამთა ფერთა საქე-ბელთა” რაინდების ხოტბას წარმოადგენდა,

ჩორეხის საყვარელი წიგნი იყო, აღტაცებას იწვევდა მასში “მშვენივრად თქმული”, “სამთელქეყენო” წიგნი და მღვდელს გაკვირვებული მიმართავდა: “რით არის სახარებაზე წაკლები?”, შემდეგ კი მისგან შერისხეასა და შენყალებას ითხოვდა, მაგრამ, ავტორის თქმით, სასულიერო პირს არც სხყინდა და არც ეცალაო რუსთაველისთვის, მინიერ კაცს, რომელიც ხევჭაში იყო გართული.

დონ კიხოტიც მწიგნობარი იყო, მას სატრფიალო წერილებისა და ხმალში გამოწვევის ამბავთა წაკითხვა მოსწოდა. ყველაზე სახელგანთქმულად სარაინდო წიგნების ავტორის, XVI ს. ესპანელი მწერლის, ფილესიანო დე სილვას წიგნები მიაჩნდა. ისიც ხშირად ეკამათებოდა სოფლის მღვდელს.

ჩორეხი, ავტორის თქმით: “სულ ერთთავად დადიოდა, ან შარაგზაზე უნდა გენახათ, ან ტყე-ლრეში იარებოდა”<sup>6</sup>.

დონ კიხოტიც: “ნადირობის დიდი ტრფიალი იყო და დილაადრიან ადგომა უყვარდა”<sup>7</sup> ისიც სულ მუდამ დადიოდა.

თითქოს მსგავსებას ვპოულობთ ჩორეხისა და დონ კიხოტის პორტრეტებშიც. ჩორეხი იყო: “აწონილი, წვრილულვაშიანი, სათვალიანი, გამხდარი, ახოვანი... მკაცრი შესახედაობისა, თმააბურძგვნილი, უქუდო, მტვრიანი, გაოფლიანებული, ძველებურ მასრებან ჩოხაში, ხარაზულ წულებში”<sup>8</sup>.

დონ კიხოტი: “თუმცა კაფანდარა და პირხმელი იყო, მაინც ბრგე აგებულება ჰქონდა”<sup>9</sup>.

ორივეს ზედმეტი სახელი შეერქვა წანწალის, ხეტიალის გამო.

დონ კიხოტს “მწერა სახის რაინდი” პირველად სანჩიო პანსამ უწოდა: “ბერების მაშხალათა შუქზე უცებ შემოგხედეთ და თქვენი სახე ისეთი საცოდავი და საბრალო მეჩვენა, რომ იმ სახისა ჯერ არსად მინახისართ”<sup>10</sup>.

ჩორეხს “ყოველდღიური ხეტიალისა და წანწალისათვის მუდამ ჩანთით, წერაქვითა და ჭოვრიტით მავლს, წანწალისანს უწოდებდნენ: “ – მოდის ჩვენი წანწალოსანი!”<sup>11</sup>

დასცირნდნენ დონ კიხოტს, დასცირნდნენ ჩორეხს...

პატივით უსმენდნენ დონ კიხოტს, პატივისცემით ეგებებოდნენ ჩორეხს მეზობლები, მეგობრები.

<sup>1</sup> ქართველი მნერლები სკოლაში, ილია ჭავჭავაძე, I, შ. ქაჯაია, გვ. 90

<sup>2</sup> ქართველი მნერლები სკოლაში, ილია ჭავჭავაძე, I შ. ქაჯაია, გვ. 92

<sup>3</sup> გ. ლეონიძე “ნატვრის ხე” თბ. 1976, გვ. 202

<sup>4</sup> იქვე, გვ. 200

<sup>5</sup> სერვაცტესი, დონ კიხოტი, I, თბ. 1985, გ. აგიაშვილი, გვ. 13

<sup>6</sup> გ. ლეონიძე, “ნატვრის ხე”, თბ. 1976, გვ. 205

<sup>7</sup> სერვანტესი, “დონ კიხოტი”, I ნან. 1985, გვ. 33

<sup>8</sup> გ. ლეონიძე, იქვე, გვ. 205

<sup>9</sup> სერვანტესი, “დონ კიხოტი” 1985, გვ. 33

<sup>10</sup> სერვანტესი, იქვე, გვ. 169

<sup>11</sup> გ. ლეონიძე, იქვე, გვ. 205

აზნაური იყო ჩორეხი, „შავი გურანას“ ქმარი, მაგრამ უშვილძირო.

იდალგო დონ კოხოტიც უშვილძირო იყო, ცოლი არ შეურთავს.

გ. ლეონიძის ჩორეხი – ნანნალოსანი ქვეყნის ეკონომიური ვითარებით შეფიქრიანებული, ძველი ნაშთების გარდა, ხეტიალის დროს ღელეებსა და ხევებში მადნებს ეძებდა, სათუთად ინახავდა ოქრონარევ ქვიშას, მზინავ რიყის ქვებს... ოცნებით ფრთაშესხმული ერთხელ, ნანახი სიზმრის შემდეგ, უჯარმის ნანგრევებში, ქვემო კოშკის ლიბოში გადააწყდა უცნაურ ქვას... გ. ლეონიძის თქმით, მას ხალხში გაგონილი პქონდა, უჯარმის მფლობელი ვახტანგ გორგასალი ხელთ ოქროს ბურთს ათამაშებდათ...

ჩორეხმა ამ ბურთად მიიჩნია ნაპოვნი ქვა, ეგონა: „ქვის ოქროს კრთომა თავისუფლების ლვთის კრთომა იყო“<sup>1</sup>. ჩათვალა, რომ უკვე ეშველა საქართველოს: „ეს ყოველივე მისი ფიცხელი ოცნების ნაგონარი იყო და ჩორეხს ნამდვილად ეგონა, რომ ეს ვატარა ქვა სიყვთის უცილოდ ზეგარდმო ნიშანი იყო“.<sup>2</sup>

ერთ დროს ქართლოსის ძეგლის ოქროს თავი აიუინა. წმინდა ნინოს ლოცვით, სეტყვამ არმაზი კი არა, ქართლოსის ოქროს ძეგლი დაამსხვრია, სეტყვისა და ქარიშხლის მერე, მისი ოქროს თავი, გამოქანდაკებული, სევში ჩაგორებულა და იქ უნდა ვეძიოთო.

ჩორეხი „მისდევდა თავის ოცნებას“, სანამ ზირაქ მღვდელზე არ განაწყნდა... მისი მეშვეობით გორგასალის ქვაც, ნივთებიც, ხელანერებიც, „რუს ექსარხოსს“ ჩაუვარდა ხელში...

ცნება და რეალობა შეეჯახა ერთმანეთს: „ვიდრე „მამულის“ გამოხსნის დღე“ დადგებოდა, მანამ ზირაქ-თან კამათში ატარებდა დღეებს. ოცნებით თვალახვეული ჩორეხის წინაშე იდგა „სოფლის ამაღებაში“ გართული“ სასულიერო პირი, რომელსაც წირვა-ლოცვისთვის არ ეცალა, ვაჭრობდა, საკუთარი ეტლით „დილიჯანით“ თბილისში მგზავრები დაჲყავდა, ჩუმად არაყს ხდიდა, ფულს დიდი სარგებლით ასესხებდა, ჰყავდა საყვარლები და მაჭანელობდა კიდევაც. უიმისოდ სოფელში არანაირი საქმე არ კეთდებოდა. ასეთი ადამიანების გარემოცვაში მცხოვრებმა, გულანთებულმა, მეოცნებე ჩორეხმა, მწარე სინამდვილეს შერკინებულმა, რომელიც ზირაქ-მა დაასმინა და საბურობილები რამდენიმე თვით ჩაასმევინა, მოგერებულმა, ცხოვრებაზე ხელჩაქნეულმა სული დალია.

მისი სიკვდილის შემდეგ უკვირდათ: „რას წვალობდა, წანნალობდა ამდენს საწყალი?“, „მთელი სიცოცხლე წანგრევებსა და ხაზინის ძიებაში გაატარა!“, „გურანას კი უკვირდა, რომ მისი მეუღლისაგან არავითარი საქმე და დოვლათი არ დარჩა“

ერთ-ერთი ნოველის ბოლოს გ. ლეონიძე ამბობს: „პოეტები მხოლოდ ქალალდზე რითმებით მოლაპარაკენი როდი არიან. პოეტური თვალით, პოეტური გულითა და დიდი ოცნებით გასხივოსნებული სხვაც ბევრი და-დის დედამინაზე.“

„ნატვრის ხეში“ პოეტური სულითა და დიდი ოცნებით გასხივოსნებული ბევრი ასეთი ადამიანის შთამბეჭდავი სახე გამოძერნა მწერალმა. ისინი მათ მიერვე „შეთხული უცნაური ოცნებებით იფარავენ თავს მხეცივით შემოტეული სინამდვილისაგან“ და ამითლა ებრძვიან და უპირისისპირდებიან ცხოვრების სისასტიკეს. რომანტიკული შარავანდედის სინათლით გაბრწყინებული მათი სახეები ღრმად აღიბეჭდა ჩვენს ცხოვრებაში და მათ მიერ ანთებული ოცნების წაერწყალი ჩვენი სიცოცხლის განუყოფელ წანილად იქცევა.“<sup>3</sup>

ერთ-ერთი მეოცნებე, კეთილშობილი, ხალხისათვის მზრუნველი პერსონაჟია „ნატვრის ხეში“ ბუნბულა, ამავე სახელწოდების ნოველიდან („ბუნბულა“), მის წინადადებაზე ყველას ელიმებოდა, ერთმა ვირულმა ბიჭჭა შეჰკადრა კიდეც: „ტვინი ამოგილვარესო?“

ბუნბულას მოწოდება, რომ შეერთებულიყვნენ, ხელმწიფესთან მისულიყვნენ და ეთქვათ: „ომი არ გვინდა-თქო!“ მხოლოდ გაკვირვებას იწვევდა, პირველი<sup>4</sup> მსოფლიო ომის შემდეგ, ამგვარი მოწოდებით გამვლელება მიმართავდა.

დონ კიხოტური სულისკვეთების ადამიანი ბუნბულა, ერთი მოულოდნელი გაუჩინარებისა და უკან დაბრუნების შემდეგ დარცხვენილი, „ტანისამოსშელახული“ უსმენდა მამასახლისს „ვინ მოგცა მთავარმამობა... რომ ხელმწიფის საქმეში ერვიო!“ მერე კი სულხანს უყვებოდა, თუ როგორ გასწია მთავარმართებლის სანახავად რათა ეთქვა, რომ ხალხს ომი არ სურდა: „სასახლის კართან – გამომიცივდნენ, აქ რა გინდა, მუჯლუგუნი მკრეს, ქიმენჯებით გამომაგდეს. არ წავალ, საქვეყნო საქმეზე ვარ მოსული-მეთქი! – წამითაქეს, ახლა ქუჩაში შევჩივლე წაცნობ თუ წყალოს. ერთს გადავუდევ, - გაიცინა, მეორემ – შემომაგინა, მესამემ – გიჟიან! ეს არ მაკმარეს, ახლა პოლიციამ ჩამჭიდა ხელი, ვინა ხარ, ალბათ ჯაშუში იქნებიო, სხვა ხელმწიფის მოსყიდულიო! პოლიციაში წამიყანეს, ერთი კვირა ცარიელ ფიცრებზე ვიწერი, მშიერ-მცყურვალი!...“

ბუნბულა გაკვირვებულია: „რას მერჩიდნენ? ე ხომ საქმეზე ვიყავი წასული, ქვეყნის სამჯობინარი მინდონდა.“<sup>5</sup>

სულხანი ბუნბულას მდუმარედ უსმენს, მერე ღვინოს მიაწვდის, მაგრამ გაკვირვებულს ესმის: „იქ იმოდენა სისხლი იღვრება, მე ღვინოს როგორ დავლევო, სისხლს მაგონებსო.“

ავტორის თქმით, ბუნბულა: „იყო კაცი თავმომწონე და გარემოებაში ნაკაცარი გახადა, მერე რისთვის? – კაცობრიობის გულისათვის.“

გ. ლეონიძის ნოველაში, „ნიშარძეულის წყალი“ ფორე, იგივე ქრისტეფორე თამარიძე, კეთილშობილურ სურვილს მარტო შერჩენია, მას სურს ნიშარძეულის წყალი თავის სოფელში ჩამოიყვანოს, მხოლოდ ორიოდე მეზობელი აქეზებს. არადა, ყველანი მთელი სიცოცხლე ლაზარეს შესთხოვდნენ, სამყოფი წყალი პქონოდათ, ებრძოდნენ გვალვას, სიცხეს, მტვერს, მათს ერთადერთ ნუგეშს წვიმა წარმოადგენდა: „სოფელს თვალები ცა-ზე ყურებით სტკიოდა, შავი ღრუბლის ცვარის მოლოდინში.“<sup>6</sup>

<sup>1</sup> გ. ლეონიძე, „ნატვრის ხე“, თბ. 1976, გვ. 208

<sup>2</sup> იქვე, გვ. 209

<sup>3</sup> ა. ნიკოლეიშვილი, ქართული ლიტერატურა, XI კლასი, ქუთაისის სახ. უნივერსიტეტი 2002, გვ. 289-290

<sup>4</sup> გ. ლეონიძე, „ნატვრის ხე“, თბ. 1976, გვ. 248

<sup>5</sup> გ. ლეონიძე, 251-251-251

<sup>6</sup> იქვე, გვ. 251-251-251

<sup>7</sup> იქვე, გვ. 251-251-251

ფორემ მთელი ცხოვრება ნიშარძეულის წყალზე ოცნებას შეალია, თანამზრახველი ვერ გამონახა, მალე ომმა კი ყველაფერი შეცვალა. ნიშარძეულის წყლის გამოყვანა უკვე აუზდენელ ოცნებად ეჩვენებოდათ, ყველანი აღმაცერად უყურებდნენ “სოფლის სოფლის მარტომბრძოლ ფორეს”. დრო გადიოდა. უკვე სწირმა კიდევ ერთხელ მოუნოდა სოფელს. “ტვინი უფრინავსო, ურგები კაციაო, თითქმის სალექსედ გახადეს.”<sup>1</sup>

უცვალებელი ოცნება მაინც ცოცხლობდა ფორქს მკერდეკვეშ, „...მარტილმარტომ ვერ დაიმორჩილა ვერც ჩანჩქერი, ვერც ვერავის გული. ერთი საქმიანი თანამგრძნობელი არ მისცა ბედმა... ერთ ღამეს თვითონაც გადამდნარიყო იმ ოცნებაში!“

დონ კიხოტური სულისკვეთების ადამიანებს ვეზდებით მწერალ რევაზ მიშველაძის ნოველებში: “ქველი”, “უფასო პანსიონატი”, “დიოგენი”, “ვინ დამექაბს”.

რ. მიშველაძის შემოქმედების ცენტრში ყოველთვის ადამიანი დგას, სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა ეროვნების, ასაკის, სქესის, გემოვნების, საქმიანობის, ახალი დონ კიხოტები, ახალი დიოგენები, ახალი წმინდა-ნები და ავაზაკები...”<sup>2</sup>

“ინტელიგენტთა ერთი ნაწილი თუ ფარისეველ-მწიგონბართა კასტიაში მოიაზრება, არიან ადამიანებზე, სიკეთეზე ფარატიკურად შეყვარებულები, გენეტიკური კოდებიდან რომ დაჟვებათ ხოლმე უანგარო კეთილშობილება, ივიწყებენ პირადულს და უკანასკნელ დანაზოგს გასცემენ ხოლმე გაჭირვებულებზე, თანაც ყოველგვარი აფიშირების გარეშე”.

რ. მისველაძის ნოველა „ქველის“ პერსონაჟი, გიგა ხაჩიძე, წლობით დაგროვილი დანაზოგის (ხელფასის მონარქენების), ქველმოქმედების გზით, ულარიძეს, წვრილშვილიანი ოჯახის ერმინე სახამშერიძისთვის გადაცემამ, უანგარო კეთილშობილებამ, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. უამრავი გაუგებრობის, გაურკვევლობის, უმაღურობის და წყვნის მიზეზი გახდა. „კარგი საქმის უანგაროდ კეთების სურვილი რომ არ უჩნდებოდეს ადამიანს, ცხოვრება უფერულ ტრამლს დაემსგავსებოდა და სული ერთფეროვნების ნაცრისფერი ნისლიდან ვერ გამოალწევდა. ხშირად უნაპირო სიკეთის რეალობად ქცევა სულიერ მოთხოვნილებად ისეთ ადამიანებს ექცევათ, რომელთაც ყველაზე მეტად უჭირთ ეკონომიურად, მაგრამ ამ ამაღლებულ მიზანს უნდობლობის, ეჭვის, დაუჯერებლობის, გულგრილობის სენით დანალმული ველი აუგასურებს.“<sup>4</sup>

ნოველა „უფასო პანსიონატის“ პრესაზე მზარდი განვითარებული ჟურნალის მიერ გამოიცინა.

ნოელა „დიოგენის“ ჰერსონაუს, გოგიტა ჩიტაიას, დონ კიხოტური, შეუძლებელი მიზანი დაუსახავს. მას აწერებს სიყვარულისა და პატივსცემისაგან დაცლილი ურთიერთობები, ავისა და კარგის აღრევა, დამნაშავე-თა სამყარო, სიკეთის კვლემა და გადაუწყვეტია „მართალთა ლაშქრის“ შემნა.<sup>5</sup>

“გადავეჩენიეთ ერთმანეთის მოფერებას და პატივისცემას ადამიანები... ძალიან გაუტურამგელდით ერთმანეთს. მოელი ცხოვრება ვასნავლით კაცს ქურდობას და კარგად რომ ისწავლის, სწორედ მაშინ ნაფუჭერთ ყელში ხელს, ვინ ვასნავლა, საიდან შეითვისე ეს მურტალი საქმეო... რაც დრო გადის, უფროდაუფრო ძნელი ხდება ავი კაცის კარგისან გამიჯვნა.”

### **3.5.5. *Antennal hair***

1. ka. wikipedia. org/ wiki რენესანსი
  2. გ. იმედაშვილი, რუსთაველი და მისი “ვეფხისტყაოსანი”, ჟურნ. “სკოლა და ცხოვრება”, 1996, 9
  3. ka. wikipedia. org/ wiki ჰუმანიზმი
  4. მსოფლიო ლიტერატურის შედევრები, გამ. “მერიდიანი” თბ. 2002 (ქურციკიძე, მოდებაძე, მაჭარაშვილი, ნარ-გიზიშვილი)
  5. www. npig. gov. ge/ უცხო სიტყვათა ლექსიკონი
  6. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, ტ. III-IV, თბ. 1998
  7. თ. კვაჭანტირაძე, სასიტყვეთი, თბ. 2002
  8. ა. ნიკოლეიშვილი, ქართული ლიტერატურა, ქუთაისი 2002
  9. გ. ლეონიძე, კრებული “ნატვრის ხე”, თბ. 1976
  10. ქართველი მწერლები სკოლაში, ილია ჭავჭავაძე, I მ. ჯალიაშვილი. თბ
  11. ლ. სორდია, რევაზ მიძველაძის ნოველათა სამყაროში, თბ. 2001
  12. სერვანტესი “მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტ ლამანჩელი, ნიგნი” თბ. 1985
  13. Б. Пурищев о романе Сервантеса Дон Кихотю Сервантес Хитроумный идальго Дон Кихот Ламанчский ю Москва 1980

1 030, 83. 224

<sup>2</sup> ლ. სორდია, რევაზ მიშველაძის ნოველათა სამყაროში, თბ. 2001. გვ. 7

^3 030, 83. 301

<sup>4</sup> ლ. სორდია, რევაზ მიშველაძის ნოველათა სამყაროში, თბ. 2001, გვ. 302

<sup>5</sup> 930, 83. 303

<sup>6</sup> օյցօ, ՁՅ. 303

## სიმონ ზაქარაია

ყველა დროის ღირსაული დასტაკარი  
30ქთებრ ზარეუა - 85

ვიქტორ კონსტანტინეს-ძე ზარქუა დაიბადა ქ. სოხუმში 1927 წლის 29 მარტს. საშუალო განათლება მიღებული აქვს ქ. სოხუმში. 3 წლიანი საფერმლო სკოლა დაამთავრა ნარჩინებით 1945 წელს. მოხვდა ფრიადოსნების 5%-იან ნაკადში. სწავლას აგრძელებს ქ. ვინიცის სახელმწიფო სამეცნიერო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე (უკრაინის რესპუბლიკა).

1950 წელს ამთავრებს ვინიცის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტს და ინსტიტუტის განანილებით ინიშნება ქ. დგერო-პეტროვსკის ოლქის, ნოვოპოლიტოროვსკის რაიონის, სოფელ შიროკოეში ამბულატორიის გამგედ. 1951 წლის ივნისიდან საკავშირო ჯანდაცვის მინისტრის განკარგულებით გადმოყვანილია აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროს განკარგულებაში (თავისი თხოვნის საფუძველზე, სადაც ცხოვრიბდღნენ ხანდაზმული მშობლები). 1951 წლის 15 ივლისიდან ინიშნება ქ. სოხუმის მე-2 საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ორდინატორად.

1957 წლის 15 ნოემბრიდან გადმოყვანილია აფ-  
ხაზეთის რესპუბლიკური საავადმყოფოს ქირურგიუ-  
ლი განყოფილების უფროსს ორდინატორად.

1965 წლიდან ინიშნება აღნიშნული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგედ და აგრძელებას მუშაობას 1993 წლის 27 სექტემბრამდე, სოხუმის დაცვემამდე.

1981 წლიდან ერთდროულად მუშაობს აფხაზე-  
თის ჯანდაცვის სამინისტროს მთავარ ქირურგად, ქი-  
რურგთა საზოგადოების თავმჯდომარედ სოხუმის  
დაცვებისამდე.

1962 წ. დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია მედიცინურ ბათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

1970 წ. საქართველოს ჯანდაცვის სამინის-  
ტროს საატესტაციო კომისიაზე მინიჭებული აქვს ქი-  
რურგის უმაღლესი კატეგორია.

1994-2008 წ. მუშაობდა საქართველოს ომის ვეტერანთა პოსპიტალის ქირურგიულ განცოფილებაში და თბილისის იძულებით გადაადგილებულ პირთა პოლიკლინიკის ქირურგ-კონსულტანტად.

1994 წლიდან – 2000 წლამდე ერთდღოულად  
მუშაობს სოხუმის ო. ვეკუას სახ. უნივერსიტეტის,  
თბილისის ფილიალის, სამეცნიერო ფაკულტეტის თე-  
ორიული მედიკინის კათედრის გამგებელი.

2001-2008წ. ამავე უნივერსიტეტის თბილისის ფილიალის სამედიცინო ფაკულტეტის ქირურგიული კათედრის გამგეა.

2003 წლიდან სამედიცინო ფაკულტეტის დეკანი. 2004 წლის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით მინიჭებული აქვს, პროფესორის წოდება.

1997 წლიდან უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის უურნალ „მედიკოსის“ რედკოლეგიის წევრია.

1999 წლის 12 ოქტომბერს რეგისტრირებულია საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად. მოწმობა 22-71.

1975 წ. მინიჭებული აქვს აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდება.

1981 წ. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ექიმის წოდება. იროდიონ ფიფიასთან ერ-

თად გამოქვეყნებული აქვს წიგნი „საკრატ არშბა“. 60-მდე შრომის აცტორია. მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები:

1. 1970 წელს – მედალი, ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომისათვის ვ.ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით.

2. 1981 წელს – მედალი – შრომის ვეტერანი  
სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილე-  
ბით.

3. 1994 წელს – მედალი – მსედრული მამაცობისათვის, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში მონაწილეს.

4. 2003 წ. მიღებული აქვს „ლირსების ორდენი“ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეორგანზაციის პროცესში აქტიური მონაწილეობისათვის და ნაყოფიერი სამეცნიერო-პრატიკული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის.

2006 წ 02.02. არჩეულია საქართველოს ფაზისის  
აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად.

2011 წლის ივნისიდან ვ. ზარქუა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უსცუცესთა საბჭოს ნევრიდა.

საზოგადოებაში ადამიანის სიყვარული და პატივისცემა, იმდენადაა ზეამაღლებული, რამდენადაც „ღმერთი არს“ მის პიროვნებაში. სწორედ ასეთებზეა ნათქვამი – დვორული კაციაო.

ვიქტორ კონსტანტინეს-ძე ზარქუა, აფხაზეთისა და საქართველოს დამსახურებული ექიმი, ლირსების ორდენის კავალერი, საიმედო და საფიცარი მეგობარი – ასე იცნობენ მას როგორც აფხაზეთში, ასევე დანარჩენ საქართველოში. ეს მართლაც ღვთიური კაცი, 60 წელზე მეტია, რაც ხალხის ჯანმრთელობის სა-დარაჯობზე იმყოფება და დღესაც იგი, მიუხედავად ხანდაზმულობისა, კიდევ ინარჩუნებს საიმედოობას, როგორც გამოცდილი სპეციალისტი. ძალიან მინდა მკითხველი წამით ჩაუფიქრდეს ჩემს მიერ აქ მოტანილ რეალურ ციფრებს – ბატონმა ვიქტორ ზარქუამ, ამ ჯადაცნურმა დასტაქარმა, დღემდე 10 ათასზე მეტი წარმატებული ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარა ჰაციენტებს, მათ შორის 1200 კუჭ-ნაწლავის ურთულესი ოპერაცია. ეს უწყინარი, ადამიანის სიყვარულით აღსასე კაცი, ერთნაირად გახლავთ საიმედო პიროვნება, როგორც საოპერაციო მაგიდაზე, ასევე საზოგადოებაში მეგობრებს შორის. ამასთან ერთად, იგი ძლიერი და განათლებული ოჯახის თავკაცია (ოჯახში 5 ექიმი).

ଦ୍ୟାତ୍ମକ ପିଲିଫର୍ମର୍ସ, ଏଣ୍ଟର୍ ମାଶିନ ଉଦ୍ଯାଳାତ୍ମିଆ କୌଣସି ରାତ୍ରିରେ ଜୀବିତିରେ ପାଇଁ ପରିବର୍ତ୍ତନ ଆବଶ୍ୟକତା ହେଉଥିଲା. ଏଣ୍ଟର୍ ମାଶିନ ଉଦ୍ଯାଳାତ୍ମିଆ କୌଣସି ରାତ୍ରିରେ ଜୀବିତିରେ ପାଇଁ ପରିବର୍ତ୍ତନ ଆବଶ୍ୟକତା ହେଉଥିଲା. ଏଣ୍ଟର୍ ମାଶିନ ଉଦ୍ଯାଳାତ୍ମିଆ କୌଣସି ରାତ୍ରିରେ ଜୀବିତିରେ ପାଇଁ ପରିବର୍ତ୍ତନ ଆବଶ୍ୟକତା ହେଉଥିଲା.

ვითაა აღმართული საკუთარი სამშობლოს, მისი მრავალტანჯული ხალხის სიყვარული და პატივისცემა, რომელსაც იგი დღემდე გულწრფელად და უანგაროდ ემსახურება.

როგორც ამ პუბლიკაციის დასაწყისში ჩამოთვლილი ოფიციალური დოკუმენტების დოსიედან ჩანს, ბატონ ვიქტორ ზარქუას ცხოვრების ხანგრძლივი პერიოდი მუდამ პასუხისმგებლობით აღსავსე იყო. ამდენად, ეს ნიჭიერი და ბრძენი კაცი, მუდამ მოწოდების სიმაღლეზე გახლდათ, რისი შემოქმედებითი შედეგიც ლოგიკურია – ანუ წარმატებული.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონ ვიქტორს თავისი სპეციალობის მიხედვით მუშაობა სხვადასხვა ადგილზე მოუნია (სოხუმის მე-2 საავადმყოფოში – 7 ნ), მისი მოღვაწეობის უმეტესი ნაწილი მაინც აფხაზეთის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გაატარა. ამ მნიშვნელოვან და ცნობილ საავადმყოფოში იგი 36 წელზე მეტ ხანს იდგა ათასობით ჯანმრთელობაშერყეულ პაციენტთა სიცოცხლის სადარაჯოზე.

ვინც ბატონი ვიქტორის მუშაობის სტილს კარგად იცნობს, იმან ისიც იცის, რომ ამ დასტაქარს შესანიშნავი ინტუიციაც გააჩინა, რაც ყველა დიდი სპეციალისტის თანმდევრი თვისებაა.

ავადმყოფის მძიმე მდგომარეობის დროს ბატონი ვიქტორის სწორ, მაღალ პროფესიულ გადაწყვეტილებებს ბევრჯერ უხსნია განწირული პაციენტის სიცოცხლე. ერთხელ – იხსენებს დასტაქარი, აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტრომ, როგორც მთავარი ქირურგი, მიმავლნა ერთ რაიონში (საავადმყოფო, ავადმყოფი და ქირურგი არ სახელდება), სადაც ოპერაცია უნდა გაკეთებულიყო რესპუბლიკაში ცნობილ პიროვნებაზე. როცა ბატონი ვიქტორი ჩავიდა რაიონში და საავადმყოფოს ეჭიუმრა, ავადმყოფზე ოპერაცია უკვე ჩატარებული იყო, ადგილობრივმა კოლეგამ დაამშვიდა იგი და სოხუმში დაბრუნებაც კი ურჩია. თუმცა ჩამოსული ქირურგი უკან სწრაფ დაბრუნებაზე თავს იკავებდა, რადგან ინტუიცია სხვას კარახოდდა. ოპერაციის გაკეთებიდან ერთი საათის შემდეგ, ბ-ნი ვიქტორი ავადმყოფს მაჯას უსინჯავს... იგი შესამჩნევად აჩქარებულია, კიდევ ნახევარი საათი და პაციენტს სიცხე უწევს. ნათლად ჩანს, რომ ყველაფერი რიგზე არ არის...

საქორო შეიქმნა ავადმყოფის ჯანმრთელობის სწრაფი გაუარესების მიზეზის დადგენა. ბატონი ვიქტორის დიაგნოზით, ავადმყოფს მუცულის ღრუში დაწყებული ჰქონდა სისხლდენა, რისი ლოკალზაკიაც სწრაფად უნდა მომხდარიყო. ავადმყოფს ოპერაცია მესამედ გაუკეთდა, დიაგნოზი სწორი აღმოჩნდა, იგი გადარჩა...., ჩამოსული ქირურგის გამოცდილებამ, ოსტატობამ და ინტუიციამ სასარუველი შედეგი გამოიღო. და ასეთი შემთხვევები ალბათ მრავლად იყო ბატონი ვიქტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე.

ახლა მკითხველს მინდა მივაწოდო მცირე ცნობები აფხაზეთის ოში პირადად ვიქტორ ზარქუასა და მისი ოჯახის წევრების მონაწილეობის შესახებ, რომელიც სოხუმის დაკამადი გრძელდებოდა.

აფხაზეთში მომზდარი ომს ტრაგედია მძიმე ტვირთად დააწვა ჯანდაცვის მედპერსონალს. ომის დაწყების პირველსავე დღეებში აფხაზეთს ტერიტორიაზე იქმნებოდა სამხედრო ჰოსპიტლები. ქალაქ სოსუმში ამ მიზნით მობილიზებული იქნა პირველი საავადმყოფო (სხვათა შორის ომის დაწყებიდან მე-6 დღეს მტრის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული მძიმე ჭრილობის შემდეგ ამ საავადმყოფოში გამოიკიტდა ოპერაცია), თუმცა ალნიშნული ჰოს-

პიტალის რამდენჯერმე დაბომბვის გამო და სხვა სტრატეგიული მიზეზების გათვალისწინებით, იგი ჩა-  
მოყალიბდა რესპუბლიკური საავადმყოფოს შენობა-  
ში. ჰოსპიტალს ემსახურებოდა 300-ზე მეტი ექიმი, ექ-  
თანი და სანიტარი. სწორედ ამ საავადმყოფოში მუშა-  
ობდა ბატონი ვიქტორი ქირურგიული განყოფილების  
გამგედ. აქვე მუშაობდა მისი მეუღლე – ნათელა ჯო-  
ბავა, რომელიც ომის დაწყებამდე პენსიაზე იყო გასუ-  
ლი. ვიქტორის უფროსი ვაჟიმშვილი ვახტანგი ჰოსპი-  
ტალში ქირურგი გახლდათ, რომელიც მკავლაში დაიჭ-  
რა კიდეც, ხოლო უმცროსი – კოტე – კარდიოლოგიუ-  
რი განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებე-  
ლი იყო.

ତେବେ ପିଲାଗ୍ରୀମଣ୍ଡି ମେଡାର୍କେରସନ୍ଦାଲ୍ଲୋ 24 ସାବାତିଲେ ଗାନ୍ଧାର୍-  
ଲୁଙ୍କାଶି ମୁହଁରାନ୍ଦିରା ଶାବାତ-ଜ୍ୟୋରିଣୀ ରିତାଵଳିତ. ଅଥ ବେଳେ  
ଗାନ୍ଧାର୍-ଲୁଙ୍କାଶି ସାବାତାମଧ୍ୟମୁଖ୍ୟାନ୍ତିରି ଶେମର୍ଯ୍ୟାନ୍ତିଲ୍ଲ ଇନ୍ଦ୍ରା  
1767 ଫାର୍ମିଲ୍ଲୋ ଜ୍ୟାରିନ୍‌ସ୍କାଫ୍ରୋ, ରନ୍ମଲ୍ଲେପ୍ଲେବ୍‌ରାଫ୍ଟ ରିଆଫ୍ରାରିଦାତ  
ଉର୍ତ୍ତରୁଲ୍ଲେସି ଓପ୍‌ରାଫ୍ରାଫ୍ରେବ୍‌ରୀ ଏବଂ ଗାନ୍ଧାର୍-ଲୁଙ୍କାଶି ସାବାତାମଧ୍ୟ-  
ଦିନିକିନ୍ଦା ଦାକମାର୍ଗେବା. ଶୈବରୀ ମାତଗାନୀ ଗାମର୍ଜାନଥରତ୍ତ-  
ଲ୍ଲେବୀଳ ଶେମଦ୍ଦେବ, ଇସ୍କେ ଉଦ୍ଧର୍ଜୁନଦେବନନ୍ଦନ ଫ୍ରାନ୍କିଲ୍ସ ବାହୀ  
ଏବଂ ତାନାମେଧର୍ମଦର୍ମଲ୍ଲେବୀଳ ଗ୍ରେରଦିତ ଗାନ୍ଧାର୍-ମନ୍ଦିରଜ୍ଞବ୍ରତ  
ତା-  
ବାନତି ମିନ୍ଦା-ନ୍ୟଲିଲ ଏବଂ ପାଶ. ଦାତାନ୍ତି ବିକ୍ରିତାନ୍ତି ଦୀର୍ଘ  
ଗୁଣିଲିତିକୁଣ୍ଠିତ ନିର୍ମାଣକାରୀ ମେଧର୍ମଦର୍ମ ବାହୀ  
ଏବଂ ପାଶ, ରନ୍ମଲ୍ଲେପ୍ଲେବ୍‌ରାଫ୍ଟ ସିପ୍‌ରୁଚିଲ୍ଲୋଲ ବ୍ୟାନା, ମିଶ୍ରିତାଦିଗୁରୁ  
ଏବଂ ଦାଲିଲିକୁଣ୍ଠିତ ପାଶ.

ბატონი ვიქტორი დიდად აფასებს, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს უანგარო დახმარებას, რომელიც მდგომარეობდა გამოცდილი სპეციალისტების თანადგომითა და საჭირო მედიკამენტების დროულად მომარაგებისათვის. სოხუმიდან თბილისში ორჯერ გადაჰყავდათ მძიმე მდგომარეობაში მყოფი დაჭირლი მეომრები, რომელთა სიცოცხლის სსნაც მათი თავდადების შედეგია. დაჭრილთა უმრავლესობას ბედი წყალობდათ, იმიტომაც რომ ჰოსპიტალი ტერიტორიულად ფრონტის ხაზთან მდებარეობდა (მდინარე გუმისთისპირა ზონა), საიდანაც ისინი სწრაფად გადმოყავდათ ექიმთა გარემოცვაში.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ბატონმა ვიქტორ-  
მა და მისმა კოლეგებმა 5-6 დაწრილ აფხაზ და მათ  
მოკავშირე ჯარისკაცს ჩაუტარეს უმძიმესი ოპერაცი-  
ები და მათ ყველას შეუნარჩუნეს სიცოცხლე. ეს კი,  
კაცობრიობის სატანური სამყაროდან, ლვოიურ სივ-  
რცეში დაბრუნების ყველაზე რეალური გზაა, რომ-  
ლისთვისაც ბატონ ვიქტორს და მის კოლეგებს არც  
ერთხელ არ უდალაგნიათ ომის მძიმე პერიოდში.

სამწუხაროდ, საქართველოს ჯარისკაცთა თავ-  
განწირული ბრძოლა და ხშირად მათი დიდი წარმატე-  
ბები, საბოლოოდ მიზანს მაინც ვერ აღწევდა, აშე-  
რად ჩანდა, რომ ომი დაგეგმილი იყო და იგი მტრის  
სასარგებლოდ უნდა დამთავრებულიყო. განსაკუთ-  
რებით ეს იგრძნობოდა სექტემბრის თვის (1993 წ) და-  
საწყისშივე, სოხუმის გარშემო ფრონტის ხაზი ვიწ-  
როვდებოდა, ქალაქი ზღვიდან, ხმელეთიდან და ჰა-  
რიდან განუწყვეტლივ იბომბებოდა, ფრონტზე დაღუ-  
პულთა რიცხვმა იმატა. ხშირი იყო ჰოსპიტალის ტე-  
რიტორიის დაბომბვა, თანამშრომელთა დაჭრის ტე-  
ობევებიც. საავადმყოფოს ადმინისტრაცია და ზემ-  
დგომი უწყებები იძულებული შეიქმნა ჰოსპიტალი გა-  
დაეტანათ უფრო დაზღვეულ ადგილებში. ეს პროცე-  
სი ორგანიზებულად 21 სექტემბერს ღამით ჩატარდა,  
დაჭრილი ჯარისკაცები გადაყვანილი იქნა გულირიპ-  
შის ჰოსპიტალში, ხოლო რამდენიმე სამოქალაქო პი-  
რი ქალაქ სოხუმის მე-2 საავადმყოფოში. უნდა აღი-  
ნიშნოს, რომ ყველა ამ ღონისძიებაში აქტიურად მო-  
ნანილეობდნენ ბატონი ვიქტორის ორივე ვაჟიშვილი  
ვახტანგი და კოტე და აფხაზეთის მთავარი გინეკო-

ლოგის გიორგი ბარეალიას შვილი თემური. ამ ვაჟეკ-ცებმა თავიანთი მანქანებით თავგანწირული სამსახური გაუწიეს ჰოსპიტალს, გადაიყვანეს როგორც მედცერსონალი, ასევე დაჭრილთა გარკვეული რაოდენობა, დაინიშნულების ადგილებზე.

ბატონი ვიქტორი დიდი გულისტკივილით იხსე-  
ნებს იმ საღამოს მომხდარი საზარელი ტრაგედიის შე-  
სახებ. გიორგი ბარკალაია, მთელს აფხაზეთში ცნობი-  
ლი სპეციალისტი, უსათუოდ დიდი პიროვნება, რომე-  
ლიც 13 თვის განმავლობაში უანგარო სამსახურს  
უწევდა ჯანდაცვის მედცერსონალსა და ჰოსპიტ-  
ლებს, საღამოს 10 საათზე საკუთარ სახლში იყო წა-  
სული. იგი შეიღის – თემურის დაბრუნებას ელოდე-  
ბოდა. ღამის საათებშიც სოხუმის დაპიმპები  
გრძელდებოდა, ბატონი გიორგი მეზობლებთან ერ-  
თად ეზოში ისხდა და შექმნილი ურთიულესი მდგომა-  
რეობიდან გამოსავალზე თაბირობდნენ. როგორც  
ცნობილია ზემდგომი უწყებებიდან ხალხს არანაირი  
ინფორმაციები არ მიენოდებოდა – იყო განმაცვიფ-  
რებელი ინფორმაციული ვაკუუმი. სწორედ ღამის  
ოთხ საათზე, მათთან ახლოს ჩამოვარდა ჭურვი, რომ-  
ლის აფეთქებამ ცველანი ნაფლეთებად აქცია. ზუს-  
ტად ნახევარ საათშიც თემური დაბრუნდა სახლში,  
თავისი თვალით იხილა ნარმოუდგენლად უმძიმესია  
სურათი... დრო არ ითმენდა, დარჩენილებს უნდა ეზ-  
რუნათ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაზე, სხვა  
გზა არ არსებობდა, თემურიმ თავისი საყვარელი მა-

ლუარა სორტია

#### **მსოფლიო მოგზაურის გინესის რეკორდები**

მსოფლიო მოგზაურმა ჯუმბერ ლეჟავამ დაა-  
მარცხა სიყვდილი, ავადმყოფობა და ამას მიაღწია  
არა მედიკამენტებით, ექიმების რჩევით, არამედ სა-  
კუთარი, ინდივიდუალური მეთოდებით, რომელშიც  
განსაკუთრებული ადგილი ეკავა ნებისყოფას, ფსი-  
ქოლოგიურ გარდაჭმას, ვარჯიშებს.

ამის შემდეგ მსოფლიო რეკორდების დამყარება გახდა მიზანი.

1990 წლის იანვარში “სოფეტსკი სპორტში” ნახა  
სტატია “გინესის ახალი რეკორდის დამყარების ცდა  
წოლელა მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვებში”.  
ვიღაც მოსკოველი აცხადებდა პრეტენზიას.

კუმბერ ლეგავა დიდი ხანია ვარჯიშობდა სპორტის ამ სახეობაში. მან წერილი მისნერა გიჩენისა რედაქციას ლონდონში და ნებართვაც მიიღო.

დღეში 4-5 საათს ვარჯიშობდა. მიზნად დაისახა 4000-ზე მეტი აზიდვის ჩვენება.

“ნუთუ მოვახდენ საოცრებას და ჯერ სიკვდილის, შემდეგ კი მუდმივი ინვალიდობის დამარცხების შემდეგ დავაძირებ მსოფლიოსა და გინესის ახალ რეკორდებს? რატომაც არა! ხომ არსებობს ასეთი მაგალითები! სიკვდილის დამმარცხებლები! — აიმედებდათავს.

უკვე დღეში 8 საათს ვარჯიშობდა, შედეგი 4000-სს აღწევდა. ეძინა მხოლოდ 5 საათი.

კრიტიკული მომენტის დროს ყოველთვის ახერ-  
ხებდა შესაძლებლობის მაქსიმალურ მოპილიზება.

მოსკოვში ჩასული სასტუმროშიც აგრძელებდა ვარჯიშს.

მის სხეულის ნაფლეთები მეზობლებთან ერთად შეაგროვა და იქვე მიწას მიაპარა. დაბომბვები გრძელდებოდა, გადარჩენილი ხალხის ტკივილიანი ინტუიცია რეალობად იქცა, მტერი ქალაქში შემოდის... ხალხი სტიქიურად, მაგრამ საკუთარი ინიციატივით ტოვებს ქალაქს, თავის მინა-წყალს, ნაშრომ-ნაამაგარს, კიდევ ერთი უმძიმესი ტკივილი ქართველ ხალხს, ჩვენი წინაპრების ოფლითა და სისხლით მორჩყული და გაპონიერებული მიწა მტერმა მიიტაცა..., გულო გაუძელ, უნდა ემზადო ხვალინდელი უშეღავათო ბრძოლის-თვის.

როგორც მთელმა ქართულმა მოსახლეობამ, ბატონ ვიქტორ ზარქუას ოჯახმაც დატოვა აფხაზეთი, იგი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, როგორც იძულებით გადაადგილებული პირი.

სამშობლოსათვის თავდადებულ ერთულ ჯარისკაცს, არც თბილისში ყოფნის პერიოდში დაუყრია ფარ-ხმალი, რაზედაც პუბლიკაციის დასაწყისში ჩამოყალიბებული დოსიე მიუთითებს.

ვიქტორ კონსტანტინეს-ძე ზარქუას, უსათუოდ დიდ პიროვნებას და საფიცარ მეგობარს, დიდი ოჯახის თავკაცს, თავისი მრავალრიცხოვანი მეგობრების, აღზრდილებისა და თაყვანისმცემელთა სახელით გვინდა მივულოცოთ ლირსეული იუბილე, ვუსურვოთ დიდი ხნის სიცოცხლე, ბედნიერება და აფხაზეთში ლირსეული დაბრუნება.

1990 წლის 9 თებერვალს დაინიშნა ღონისძიება „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციაში. მონინააღმდეგე არ მოვიდა. შეჯიბრება ითვალისწინებდა ერთსაათიან ვარჯიშს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მკლავებზე აზიდვაში. შედეგი იყო 2811 აზიდვა. იყო მილოცვები, სერთიფიკატის გადაცემა. რეკორდსმენი მაინც უკამაყოფილო იყო.

პრესკომისტერნციაზე შეჯიბრების ორგანიზა-  
ტორებს სთხოვა, რომ ახლო მომავალში დაწესდეუ-  
ლიყო შეჯიბრი, რომ ეჩვენებინა 4000-იანი შედეგი.

ჯუმბერ ლეგანას არ აკმაყოფილებდა მილნეული, მისი ამოცანა იყო 5 საათიან რეკორდზე იერიშის მიტანა. გარჯოშობდა სახლში, სამსახურში...

1990 წლის 11 მარტს მოსკოვში შედგა ახალი შეჯიბრი და ისევ ბრნეინგვალე გამარჯვებით — 4447 შედეგით დასრულდა.

ბექას სახელი.  
ეს იყო ავადმყოფობის დამარცხება, საკუთარ

თავზე გამარჯვება.  
შემდეგ ვარჯიშის დროს მკლავი დაიზიანა. ექი-  
მი ურჩევდა თავი დაენებებინა ვარჯიშისთვის, მაგ-  
რამ არ დაიჯერა ეს, თვითონ მოძებნა ტკივილის მი-  
ზიზი და ისევ სპორტული ფორმა დაიბრუნა.

1990 წლის 20 მაისს ისევ მიიღო მოსკოვში შეჯიბრებაში მონაწილეობა და 5 საათის მანძილზე 16 300 აზიდვა აჩვენა, რამაც დიდი სენსაცია გამოიწვია 1989 წლს ინგლისელმა პედი დოილმა დაამყარა რეკორდი ბირმინგჰემში 35 350 აზიდვით.

5 საათში ჯუმბერ ლეჟავამ შესძლო 16 274 აზიდვა და გინესის რეკორდი დაამყარა. აირჩიეს რეკორდსმენთა კლუბის ვიცე-პრეზიდენტად. უსაზღვრო იყო ქართველი სპორტსმენის პოპულარობა, ტელევიზია, გაზეთები, ინტერვიუები იუნივერსიტეტების ამ უჩვეულო წარმატებას.

საქართველოში დაბრუნებისას, კავკასიონზე გადმოფრენისას ფერდობებს შორის საშიშროების გამომწვევ უფსაკრულებს ჭრეტდა, ჯოჯოხეთის ასოციაციას რომ ინცევდა, მაგრამ გამარჯვებით ამაღლებული, შეშს კი არა, ძალას და სიამაყეს გრძნობდა: “თვალი შევავლე კავკასიონის ნემსივით წევეტიან და თითქოს ნაჯახით დაჩიხილ, თოვლიან ფერდობებს, მათ შორის უფსაკრულებია, მისი ყოველმხრივი საშიშროების გამო შეიძლება წარმოიდგინო ჯოჯოხეთად. აქა-იქ მოჩანან პატარა სოფლები, დამშენებული კლდის ფენოვანი ფიქალის ქვებით აშენებული კოშებით. ვგრძნობ, რომ ბუნების არა მარტო სილამაზე, არამედ მედიდურობა და ძლიერება ჩაბუდდა ჩემში”, აფიქსირებს მსოფლიო რეკორდსმენი დღიურში.

მოსკოვიდან ჩამოსვლის მესამე დღეს მეულლებ განუცხადა: “ჯუბა, შენ რაც უფრო პოპულარული ხდები, ჩვენ მით უფრო ვშორდებით ერთმანეთს.”

მსოფლიო რეკორდსმენი და დიდი მოგზაური გვაუწეუბს: “ერთ მომენტში, ფიქრებში, რეკორდების დამყარებისთვის თავის დანებება გადავწყვიტე, მაგრამ არ გამომივიდა! თითქოს ჩემს მეორე სიცოცხლეს ძალად ვკლავდი! ლიკას ნათევამიდან დასკვნა ვერ გამოვიტანე, მე პირიქით ვფიქრობდი, რადგან მის მშვენიერებას მე ჩემი პოპულარობით ვუახლოვდებოდი.”

მეულლის შეში განშორებაზე რეალობაში აცხადდა, რადგან ლინა ალიბეგაშვილის სიცოცხლე 1990 წლის 3 ივნისს დასრულდა.

თავის მოკვლაზე ფიქრი ძეირფასი ადამიანის სლოვის უკვდაყყოფის ფიქრმა შეცვალა. გადაწყვიტა რეკორდების დამყარება, რომელსაც მიუძღვიდა მისგან ნაადრევად ნასული ცხოვრების თანამგზავრს, რითაც გაახანგრძლივებდა განუმეორებელი სიყვარულის გრძნობას.

მარტოობას მეულლის საფლავზე ყოფნით იქარვებდა...

აგრძელებდა ვარჯიშს, სურდა ერთ-ერთი უჩვეულო რეკორდის დამყარება ლიანა ალიბეგაშვილის სახელზე.

სიყვარულის სტიმულით სიმძიმეთა შემსუბუქებას აღწევდა: “მე ვერ ვგრძნობ წონას, მგონია რომ დავდივარ ჰაერში. ალმდეგნი ვარჯიშებით, ძიებით, მიღწეულია გარკვეული დაავადების განურნების მეთოდი, რასაც აუცილებლად სტირდება დამუშავება და წიგნად გამოქვეყნება,” აფიქსირებს დღიურში.

7-8 საათს აგრძელებდა ვარჯიშებს, 25-26 ათას აზიდვას ახერხებდა. თვითონვე იყო გაოცებული: “რა ხდება ჩემს თავს? ნუთუ ეს ის ენერგიაა, ღმერთმა კლინიკური სიკედილის დროს რომ მიბოძა? რა თქმა უნდა, სხვა საიდან მოვიდოდა? გრძელდება მზადება ერთ-ერთი გამორჩეული რეკორდის დამყარებისათვის, რომელსაც ლიანა ალიბეგაშვილის სახელი დაერქმევა.”

მოსკოვში, შეჯიბრების დაწყების წინ, პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მოხსნიდა ინგლისელი პედი დოილის 24 საათიან მსოფლიო რეკორდს.

გულშემატკივარმა ბიჭიკო სულიაშვილმა ჰკითხა: “თავს როფორ გრძნობ?”

პასუხი ასეთი იყო: “კარგად რომ ვარ, დაწყების წინ დაგიმტკიცებ, სამედიცინო შემოწმებისას, უძლიერესი რომ ვარ მსოფლიოში — 13 საათის შემდეგ.”

მეგობარს ცრემლები მოერია და ძმურად გადაეხვინენ ერთმანეთს.

ამ დროს გაკეთდა განცხადება, რომ ერთსაათიან აზიდვებში რეკორდი უნდა დაამყაროს მოსკოველმა მაქსიმ კორილოვმა.

ჯუმბერ ლეჟავამ მიხვდა, რომ ეს ფსიქოლოგიური შეტევისთვის იყო გამიზნული.

ურნალისტიც გამარჯვების რწმენას უკლავდა თითქოს: “რომ ვერ შეძლო?”

ქართველმა სპორტულმა მტკიცედ, დაუგვებდლად განაცხადა: “მე დღეს ფენომენალურ რეკორდს დავამყარებ.”

პირველად მსოფლიოში 12 საათის განმავლობაში 40 ათასი აზიდვა უნდა გაკეთებულიყო, უნდა აწეულიყო 2 000 ტონაზე მეტი ტვირთი, ამ დროის მანძილზე კი უნდა გადამუშავებულიყო 11 ტონამდე სისლი.

კიდევ ერთხელ უნდა დამტკიცებულიყო ადამიანის არა მარტი ფიზიკური შესძლებლობა, არამედ მისი უებრონების სტილი მეტი ტვირთი, ამ დროის მანძილზე კი უნდა გადამუშავებულიყო 11 ტონამდე სისლი.

გაოცებას ვერ ფარავდა ოფიციოზი, დამსწრე საზოგადოება. ოპერატორი კამათობდა, ხელის მოხრა არ არის სრულიო, რაც სიცრუე იყო და იგი გააძევეს. ეს იყო მეორე ფსიქოლოგიური შეტევა, პირველის შემდეგ, როცა ხელოვნურად გამოაცხადეს ვიღაცის გვარი, თუმცა კონკურენტი არ ჩანდა.

ასევე დაინიებს მიღწეული შედევების დამახინჯება, აკლებდნენ რაოდენობას მიზანმიმართულად. 6-დან 2 მსაჯი ცრუობდა, რასაც მოპყვა რეკორდსმენის პროტესტი და ისინი გააძევეს შეჯიბრებიდან. გაირკვა, რომ ეს გამყალებლები იყვნენ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები ტანვარჯიში, თანაც რუსეთის წარმომადგენლები.

დაფიქსირდა 35 ათასი მაჩვენებელი, გარებრებმა ჩამატეს 37 ათასის დაძლევის შესძლებლობა. ესეც ფანტასტიკური იყო. გაკეთდა ბრწყინვალე განაცხადი ადამიანის შესძლებლობების უსაზღვრობაზე. იყო სენსაცია, მიღწეულები, ინტერვიუები, სერთიფიკატის გადაცემა.

როცა სასტუმროს ნომერში მარტო დარჩა, მივიდა მეულლის სურათთან, რომელიც ხატთან ერთად ედო, პირველი გადაინერა და მიმართა: “კიდევ მრავალ გამარჯვებას მოგიძლენი, ჩემო ლიკა!” დიდი გამარჯვების ეიფორიაში მყოფი, ვახშამზე კი არა, შემდგომ შეჯიბრებებზე ფიქრობდა.

1990 წლის 29-30 სექტემბერს 12 საათის წოლელა მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვის რეკორდი დაამყარა, შედეგი 34 955 იყო.

უკვე დამყარებული პქონდა ერთსაათიანი, ხუთსაათიანი, 12 საათიანი რეკორდები.

რეკორდსმენის დაუცხრომელი სული 24 საათიან აზიდვებზე ფიქრობდა, რითაც სურდა შეეკრასპორტის ამ სახეობის ყველა დროითი რეკორდების კომპლექტი

არ ასვენებდა ყველა დროის რეკორდზე იერიშის მიტანის სურვილი.

ასევე მიზნად დაისახა ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარება მუცლის პრესის ერთსაათიან ვარჯიში, ერთ საათიანი მცლავებზე აზიდვების რეკორდის გაუმჯობესება.

1991 წლის 26 იანვარს განახორციელა ჩანაფიქრი. მიაღწია 5011 მცლავებზე აზიდვას ერთ საათში, რაც იყო უპრეცედენტო მსოფლიოში.

ამას მეორე ფენომენალური რეკორდი მოჰყვა მუცლის პრესის ვარჯიში. 1991 წლის 27 იანვარს ორ დღეში ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ამით ზოგიერთ ურნებულო თომას დაუმტკიცა თავისი აბსოლუტური ჯანმრთელობა, განგრენით დაავადების დამარცხება.

არ არსებობს მსგავსი მაგალითი, რომ სპორტის ორ სხვადასხვა სახეობაში ერთ პირს დაემყარებინოს ერთდროულად ორი მსოფლიო რეკორდი.

ამ ახალ-ახალი შესაძლებლობების გამოვლინებას დიდი შრომა სჭირდებოდა. მცლავებით ასწია დაახლოებით 300 ტონა ტვირთი, რაც საოცრება იყო.

ვაჟა ტულუშს, რომლის მოადგილედაც ერთ დროს მუშაობდა, უკითხავს ბატონი ჯუმბერი. როცა უთქვამთ, რომ ის დარბაზში ვარჯიშობდა, გასცინებია, — ვარჯიშობს, თორემ ეგეც მსოფლიო ჩემპიონი არ გამოიდეს! ყოველი რეკორდის დამყარების შემდეგ იგი გულით ულოცავდა რეკორდებს და თან დააყოლებდა, “ჩემი ნათქვამის გამო ხომ არ გახდი ჩემპიონი” და იცინდა.

“ეს არის მაგალითი იმისა, რომ თუ კაცი რაღაცისთვის სერიოზულად ემზადება, მას ხელს არაფერი არ უშლას, ხშირად ასეთი ნათქვამი სტიმულატორიც ხდება. ეს ისე კომენტარისათვის, თორემ მე და ვაჟა ერთმანეთის უფროსი და მოადგილე კი არ ვიყავით, არამედ უახლოესი მეგობრებიც და ერთმანეთის წარმატება თანაბრად გვახარებდა ორივეს”, შენიშვნას მსოფლიო ჩემპიონი.

ისევ და ისევ უსაყვარლესი მეუღლის ხსოვნა ხდებოდა ახალ-ახალი გამარჯვების იმპულსი.

2 ივნისს, როცა ლიანა ალიბეგაშვილი უნდა გამხდარიყო 46 წლის, ჯუმბერ ლეჟავამ ისევ დიდი მიზანი დაისახა: “მე მისი კიდევ ერთხელ ალიარებისთვის ვინყებ უჩვეულო მარათონს, რადგანაც ასეთი სირთულის გზა ჯერ არავის არ გაუვლია.”

შეჯიბრება დაიწყო 2 ივნისს და დამთავრდა 9 სექტემბერს. გრაფიკის მიხედვით, უარი ეთქვა დასვენებას, დღესასწაულებს. 100 დღეში მოახდინა 100 მილიონადე კილოგრამის აზიდვა 30 სმ. სიმაღლეზე. სისტემატურად იცვლებოდნენ მსაჯები.

შესანიშნავი რეკორდით დაფიქსირდა ადამიანის ფიზიკური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების განუსაზღვრელობა ექსტრემალურ პირობებში. დამტკიცდა დაამიანის სასწაულებრივი ნებისყოფა, განსაკუთრებული სწრაფვისათვის მობილზების შესაძლებლობა.

100 დღის განმავლობაში მიღწეული იყო

1 730 000-ჯერ აზიდვა.

მსოფლიოში მოგზაურობის დასრულების შემდეგ ჯუმბერ ლეჟავას ერთ-ერთ ინტერვიუში ასეთი შეკითხვა დაუსვეს: “თქვენი აზრით, სად გადის ადა-

მიანის, გნებავთ ფიზიკური, გნებავთ გონებრივი, ან ორივეს ერთად, შესაძლებლობათა ზღვარი?”

მსოფლიოს 15-გზის ჩემპიონმა და მსოფლიო მოგზაურმა ამ კითხვას ასეთი ბრძნული პასუხი გასცა: “საერთოდ მიმართია, რომ არ არსებობს ადამიანის არც ფიზიკურ და არც გონებრივ შესაძლებლობათა ზღვარი. აინტერინმა თავისი ალბათობის თეორია რომ შეიმუშავა, მას შემდეგ ბევრი მეცნიერი მუშაობდა ამ თეორიის განვითარებაზე. მძლეოსანი, რეკორდსმენი დაუსრულებლად აუმჯობესებს თავის შედეგს სპორტში. ათი წლის მანძილზე, ზამთარ-ზაფხულ, ყველანარ ამინდში ამილია სტარტი სამოგზაუროდ. ზამთარში თითქმის მუდმივი ზამთრის ქვეყნებში მიმოგზაურია, ცხელი ზაფხულის პერიოდში — ცხელ ქვეწენებში... დარწმუნებული ვარ, მომავალში ვინმე ჩემზე მეტს და ჩემზე უკეთესად გააკეთებს ამას. მიმართია, რომ ადამიანის შესაძლებლობებს ზღვარი არა აქვს, მადლობა უფალის.”

ურნალისტის შეკითხვაზე, თუ რით ახსნიდა მსოფლიო მოქალაქე ჩემულებრივი ადამიანის შესაძლებლობებზე ამაღლებას, რესპონდენტმა ასეთი პასუხი გასცა: “რაც გამიკეთება, რისთვისაც მიმილნევია, მე არასდროს ვამბობ: მე!... ყოველთვის ვამბობ: ჩვენ!... ვმოგზაურობთ მე, ჩემი ღმერთი და ჩემი ველოსიპედი...”

ამავე ინტერვიუში ასევე დაისვა საყველთაოდ საინტერესო კითხვა: “მანც ვინ არის ჯუმბერ ლეჟავა? მოყვარული მოგზაური თუ მეცნიერი, სპორტსმენი თუ თავგადასავალებისა და ფათერაკების მაძიებელი რომანტიკოსი?”

პასუხი ისევ და ისევ განამტკიცებს აზრს რესპონდენტის განსაკუთრებულობაზე: “თავიდან ვიყავი მეცნიერი — სპეციალობით კიბერნეტიკოსი. ამ დარგში 24 სამეცნიერო შრომის ავტორი და ჩემს სპეციალობაში სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვარ. ასევე ვარ პროფესიონალი სპორტსმენი, პროფესიონალი მოგზაური, თხუთმეტგზის მსოფლიო ჩემპიონი და გინესის რეკორდსმენი მელავებზე აზიდვებსა და მუცლის პრესის ვარჯიშში...”

შემდეგი კითხვა ასეთი იყო: “ვინ მიგარინათ პლანეტის ყველა დროის დიდ, გამორჩეულ ადამიანებად და რა ნიშნით?”

პასუხი გვარნმუნებს, რომ ჯუმბერ ლეჟავა პატივს სცემდა უპირველესად ქართული სპორტული ძალისა და გონის, ქართული მუსიკის, ბალეტის, სკულპტურული გენის მსოფლიო მასშტაბებში გამოვლინებას: “ერთმანეთი, არა მოდით, საქართველოში ვიმოგზაუროთ... ჩვენ ქართველებს, ბევრზე ბევრი გვყავს ასეთი... მუსხელიშვილი, ვეკუა, რაზმაძე... არა სულ პირველი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვანდ გამსახურდია ჩამინერეთ, მერე ნონა გაფრინდაშვილი, ვიქტორ სანეევი, ლევან თედიაშვილი, კახი კახიაშვილი — სიმძიმეების ანევაში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი. ვახტანგ ჭაბუკიანი, პაატა ბურჭულაძე, ზურაბ სოტელავა, მერაბ ბერძენიშვილი, მიხეილ მესხი ჩამინერეთ — ათს ხომ არ გადავცილდით? ბევრი რჩება მაგ ათეულის გარეთ...”

(ესაუბრა თინათინ სიყმაშვილი, გაზეთი “რუსთავი”, 1-7 მაისი, 2007 წ.)

გივი ხაზალია

## აღზრდა-სცავლების საკითხებთან დაკავშირებული მოსაზრებები

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში არსები-  
თად შეიცვალა ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზ-  
რდა თაობების აღზრდისა და სწავლების პრობლემები-  
სადმი მიღვომა. დღეს სკოლებში მასწავლებლები  
ახორციელებენ ჰედაგოგიკური პროგრამის იმ ნაწილს,  
რომელიც მოზარდი და ახალგაზრდა თაობების სწავ-  
ლების მეთოდიკაზეა ორიენტირებული. რაც შეეხება  
ჰედაგოგიკის მეორე, არა ნაკლებად მნიშვნელოვან  
პროგრამას, რომელიც სააღმზრდელო ღონისძიებების  
გზით მოსწავლეთა შეგნებაში თვითმართვის მიზანმი-  
მართული ჩვევების დამკვიდრება – განმტკიცებას ით-  
ვალისწინებს, ხორციელდება არა სკოლის ჰედაგოგე-  
ბის, არმედ სკოლის მანდატურების მიერ.

ადამიანის მოღვაწეობის სფეროებს შორის პე-  
დაგოგის სპეციალობა, ისევე როგორც მედიცინობა-  
ლის, ის გამონაკლისია, რომელიც წარმატებული პედა-  
გოგიური მოღვაწეობისათვის საგნის კარგ ცოდნასთან  
ერთად, მასალის გადაცემის კარგ უნართან ერთად,  
კარგი დონის საერთო განათლებასთან ერთად მასწავ-  
ლებლებისაგან მოითხოვს მაღალი დონის სულიერე-  
ბას. სწორედ მაღალი დონის სულიერებაა ის ერთად-  
ერთი ფასეულობა, რომელსაც შეუძლია დაამყაროს  
მასწავლებელსა და მოსწავლეების შორის ურთიერთ  
გაგებაზე, ურთიერთ პატივისცემაზე დაფუძნებული  
დამკიდებულება — ერთად — ერთი საშუალება ნორმა-  
ლური პირობების შექმნისა კლასში. მეტიც, იმდენად  
აუცილებელი და მოთხოვნადია მოსწავლეებისათვის  
მასწავლებლის მაღალი დონის სულიერება, რომ ისინი  
მზად არიან პატიონ მასწავლებელს ძირითად მოვა-  
ლეობებში არსებული ხარვეზებიც კი.

აღზრდა-სწავლების ურთულებს ლაპირინთებში ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდა თაობები-სათვის იმ იმფორმაციის მიწოდება კი არ არის ძნელი, თუ როგორ მოიქცენ ან როგორ ისნავლონ, არამედ ძნელად მოსაფიქრებელი და რთულად გასახორციელებელი იმ ხერხებისა და საშუალებების მიგნებაა, რომელთა სრულფასოვანი რეალიზაციით შესაძლებელი გახდება აღზრდისა და ცოდნის მიღების პროცესშივე გამოუმუშავოთ მოზარდ და ახალგაზრდა თაობებს საკუთარი თავის სრულფასოვანი მართვის ჩვევები.

საგზაო შემთხვევები – უდანაშაულო ადამიანების დასახიჩრებისა და მათი სიცოცხლის ხელყოფის გახშირებული შემთხვევები, მოძრაობის წესების უცოდინარობით კი არ არის განპირობებული, არამედ იმით, რომ მძღოლების გარკვეულ ნაწილს სწორედ საკუთარი თავის მართვაში აქვს მნიშვნელოვანი ხარვეზები.

ქცევის წესების უფროდინარობის გამო კი არ არის გადატვირთული პენიტენციალური სისტემა პატიმრებით, არამედ იმის გამო, რომ მათ არ აღმოაჩნდათ საკუთარი თავისი მართვის მყარად დამკიდრებული ჩვევები. შესაბამისად რაღაც გარკვეულ ექსტრემალურ სიტუაციაში იმოქმედეს არა გააზრებულად, არა არსებული წესის მიხედვით, არამედ იმპულსურად, რომელიმე არა ჯანსაღი, ამპარტაციული, მომხვეჭელური ან სხვა რომელიმე მანკიერი სულიერების მიერ აღძრული ემოციის კარნახით.

ჩვენი შეხედულებით მოზარდი თაობების აღზრდა—სხვავლების პროცესში სწორედ აღზრდის პროცესში უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღების.

ბა. ეს სასურველი კი არ არის, არამედ აუცილებელია, ვინაიდან სრულფასოვან აღზრდას მოკლებული, მაგრამ ცოდნას დაუფლებული ადამიანი უფრო საზიანოა და საშიში საზოგადოებისათვის, ვიდრე ნაკლებად განსწავლული.

ამიტომ მასნავლებლების მოსწავლეებთან ურ-  
თიერთობის არსენალი იმდენად მდიდარი უნდა იყოს  
შემოქმედებითი მიღებომებით, რომ მასნავლებლება  
ხელიდან არ უნდა გაუშვას მოსწავლეებზე, ფარული  
იქნება ის თუ ღია, ზემოქმედების არც ერთი მეტნაკ-  
ლებად ღირებული საშუალება. ძალისხმევის მიზანი  
კი ორად ორია: მოსწავლეების შეგნებაში თვითმარ-  
თვის მყარი ჩვევების დამკვიდრება, მათი ცოლნითა  
და გამოცდილებით გამდიდრება. ეს ორი ერთმანეთის  
პარალელურად მიმდინარე პროცესი არცერთ შემ-  
თხვევაში არ უნდა დაცილდეს ერთმანეთს, ვინაიდან  
როგორც ცხოვრებსსულმა პრაქტიკამ დაადასტურა  
კარგ სპეციალისტად ჩამოყალიბებულია ადამიანიც კი,  
თუ მას მნიშვნელოვანი სარვეზები აქვს საკუთარი  
თავის მართვაში, ვერ უძლებს მის გარშემო არსებულ  
ცოლნებებს და მისთვის და საზოგადოებისათვის სა-  
ზიანოდ უშვებს სრულიად გაუმართლებელ შეცდო-  
მებს.

ბავშვის ალზრდა მისი მუცულადყოფნის პერიოდიდან იწყება. დედა, როგორც წესი, ყოველგვარი შელამაზების გარეშე მთელი სისრულით გადასცემს ბავშვს როგორც დადებით, ისე უარყოფით იმ ემოციას, რომელიც აღიძვრება მის ცნობიერებაში, ადამიანებთან საყოფაცხოვრებო, სამსახურეობრივი და საზოგადოებრივი ურთიერთობების პროცესში.

ბავშვისათვის დედის მიერ მიწოდებული ემოციური მუხტი, დადებითი იქნება ის თუ უარყოფითი, ფიზიკური ტკივილის მსგავსად კი არ ქრება, ამ ტკივილის გამომწვევ მექანიკურ ზემოქმედებასთან ერთად, არამედ მყარად რჩება, როგორც დედის, ისე ბავშვის მეხსიერებაში. ხშირი დადებითი ემოცია, ბუნებრივია უფრო ხალისიანს, უფრო კომუნიკაციულს გახდის ბავშვის სულიერებას. რაც შეეხება გახშირებულ უარყოფით ემოციებს, პირიქით, ის დამთრგუნველ ზემოქმედებას ახდენს ბავშვის სულიერებაზე და, ცხადია, ნაკლებად იქნება ის გახსნილი მეგობრული ურთიერთობებისათვის. მეტიც, სულაც არ არის გამორიცხული, რომ სწორედ მუცლად ყოფნის დროს და ბავშვობის ნლებში მიღებული ემოციური ტრამვები იყოს მთავარი მიზანი მისი ფიზიკური მოშლილობის.

ალნიშნულიდან გამომდინარე, ძნელია დაეთანხმო ფრონტის, რომელიც ბავშვის მიერ დაბადების პროცესში მიღებულ ფიზიკურ ტრამვას მიიჩნევს ცხოვრების ასპარეზზე გამოსული ადამიანის სულიერი მოშტოლობის მიზანად.

ორ წლამდე ასაკის ბავშვი, როგორც წესი ოჯახში, მშობლებთან იზრდება. ბავშვის ექიმი ვალ-დებულია მკაცრად გააფრთხილოს ოჯახის ყველა წევრი, რათა მოფერებით და მხოლოდ მოფერებით მოაშლევინონ ბავშვს ესა თუ ის მიუღებელი ჩცევა. მაქსიმალურად მოერიდონ ბავშვის გასაგონად ერთმანეთის მიმართ უარყოფითი ემოციის აღმძვრელ გამოთქმებსა და ქმედებებს. მეტიც, სამსახურებრივი მოგალეობის გამო ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდა თაობების ალზრდა—სწავლების პროცესებში ჩართულ ყველა რანგის ხელმძღვანელს, ყველა

დარგის მასწავლებელს, მომსახურე პერსონალის ნებისმიერ წარმომადგენელს მთელი სისრულით უნდა ჰქონდეს გათვითცნობიერებული ის უმნიშვნელოვანესი ჭეშმარიტება, რომლის მიხედვითაც ნიუტონის მესამე კანონი „ქმედება ინვესტიციების ტოლი ძალის უკუქმედებას“ ძალაშია სულიერ სფეროშიც. ადამიანების ურთიერთობებზე უზრალო დაკვირვებაც კი საკმარისია იმისათვის, რომ ვირწმუნოთ გამოთქმული მოსაზრების სისწორე. მართლაც, რაც მეტად იქნება დატვირთული ბავშვის ფსიქიური უარყოფითი ემოციებით მით უფრო ადვილად მოახდენს ის ზრდასრულობის ასაკში მასში დაბუდებული ბოლმის რეალიზაციას, თანაც არა იქ, სადაც ეს შეიძლება გამართლებულიც კი იყოს, არამედ სრულიად უაღილო სიტუაციაში და ამასთან შეუფერებელი სიმებრით.

მრავალმხრივი, საინტერესო და ინტენსიური უნდა იყოს ბაგა-ბალში ბავშვების აღზრდა-სწავლების პროგრამა. შესაბამისად, მინიმუმად უნდა იყოს დაყვანილი ბავშვების უნებლივ ხასიათის იმპულსური, ყოველგვარ აზრს მოკლებული ქცევები და ქმედებები.

საბავშვო ბალებში აქტიურად, ამასთან უწყვეტ რეჟიმში უნდა მიმდინარეობდეს ბავშვების მორალური მახასიათებლების, სულიერი მოცემულობების, ხასიათის თავისებურებებისა და ფიზიკური შესაძლებლობების შესწავლა და ამ მონაცემების დადებითი მიმართულებით გაუმჯობესების პროცესი. ვინაიდან სწორედ საბავშვო ბალის, ე.ი. ორიდან ხუთ წლამდე, ასაკში ამჟღავნებნ ბავშვები დაუფარავად თავიაზთ დადებით და უარყოფით თვისებებს და რაც ძალიან მნიშვნელოვანია სწორედ საბავშვო ბალის ასაკში, საბავშვო ბალის თანატოლებაზან და აღმზრდელ მასწავლებებთან უშუალო კონტაქტში იქნება ყველაზე ეფექტური მათი უარყოფითი მონაცემების დადებით მონაცემებად ტრანსფორმაცია.

საბავშვო ბალებში მასწავლებლების ყველა ძალისმევა, ყველა ღონისძიება ერთმნიშვნელოვნად უნდა იქნეს მიმართული იმ ერთი მიზნისაცენ, რომლის მიხედვითაც მასწავლებლებმა ბავშვებს საკუთარი ქცევა - მოქმედებების მართვა უნდა ასწავლონ არა ძევლი, არამედ ახალი, უკვე დადებითი მიმართულებით კორექტირებული, მოცემულობების შესაბამისად.

საბავშვო ბალებში ბავშვები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ გასართობი ხასიათის ისეთი პროგრამებით, რომლებიც მონაცვლეობით ხელს შეუწყობს მათი როგორც ფიზიკურ ისე გონიერივ განვითარებას.

ფიზიკურ განვითარებაში იგულისხმება ისეთი პროგრამები, რომლებიც განუვითარებს ბავშვებს სისწრაფეს, მოწილობას, ჩქარ რეაქციასა და რაც მთავარია მისცემს მათ სხვადასხვა სახის სპორტული ხასიათის სასარგებლო მოძრაობების შესრულების შესაძლებლობას.

გონიერივ განვითარებაში იგულისხმება ისეთი პროგრამების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს მათი მეხსიერებისა და მოსაზრებულობის გაუმჯობესებას, დასახული მიზნის განხორციელებისაცენ სწრაფვას.

ფიზიკურ და გონიერივ შესაძლებლებებში ერთმანეთთან შეჯიბრებამ ბავშვები უნდა მიაჩვიოს სხვათა წარმატების არა მხომლოდ აღიარებას, არამედ დაფასებას.

ბავშვების აღზრდა-სწავლების პროგრამაში გამოკვეთილად უნდა იყოს მინიშნება შრომისადმი ბავ-

შვების დამოკიდებულების იმ ასპექტზე, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი შრომის სახეობა არ უნდა იყოს მათვის მიულებელი და, მაშასადამე, სათაკილო.

უნდა დაწესდეს მორიგეობა გაფანტული სათამაშოების მოგროვებისა და მათი არსებული წესის მიხედვით დალაგებაზე.

არასწორ ქმედებებზე სამართლიანი რეაგირებისათვის შემოლებულ უნდა იქნეს საჯარიმო ქულები. საჯარიმო ქულების რაოდენობა უნდა იყოს ბავშვის ქცევა - მოქმედებების შეფასების ერთ-ერთი მნიშველოვანი კრიტერიუმი.

მოსწავლეების ერთი ნაწილი უკვე მე-4 კლასის ფარგლებში ხდება ზედმეტად ეგზალტირებული და მაშასადამე, უმართავი. მასწავლებლებმა კლასის დამრიგებლის მონაწილეობით უნდა მოიფიქრონ ზედმეტად ცელექი მოსწავლეების რომელიმე მათვის საინტერესო მიმართულებით დაინტერესება. ეს უნდა მოხდეს თითოეულ მოსწავლესთან მასწავლებლის მხრიდან ძალიან მეგობრული საუბრის ფონზე. მასწავლებლის მიერ მიცემული დაგალების ერთი სახეობა სასურველია იყოს ისეთი, რომლის ამოხსნისათვის ლოგიკური აზროვნება იქნება საჭირო. მეორეს კი, მასწავლებლის მიერ მითითებული ლიტერატურის წაკითხვა და მისი განალიზება. საილუსტრაციოდ მოვიყვანო როივე ტიპის მაგალითს:

1. ასაკვანი ტაქსის მძღოლს გვერდით ზის ახალგაზრდა მგზავრი, რომელსაც პყავს მანქანა და იცის კიდევაც მისი მართვა. უცპად გზაზე გამორჩდება დაბრკოლება. მგზავრი მისდაუნებურად ინსტიტის კარნაზით აჭერს ფეხს არარსებულ მუხრუჭს. მოგვიანებით, მაგრამ იგივეს აკეთებს ტაქსის მძღოლი და ცხადია ანელებს მანქნის მოძრაობას. რატომ დაასწრო დამუხრუჭება მგზავრმა ტაქსის მძღოლს?

დაბრკოლება, ცხადია მოივემ ერთდროულად შეამჩნია, მაგრამ გადაწყვეტილების მისაღებად ასაკვან მძღოლს მეტი დრო დაჭირდა ვიდრე ახალგაზრდა მგზავრს. ამ მოვლენას რეაქცია ჰქვია და ასაკვან ადამიანებს ის შენელებული აქვთ.

2. რატომ არ შეიძლება მდინარის ერთსა და იმავე წარმომადგენერი ბანაობა? მოსწავლე უნდა მიხედვების ფილოსოფიის რომელი მიმდინარეობის წარმომადგენლებმა გამოიყენეს ეს მაგალითი თავიანთი შეხედულების დასამტკიცებლად.

მასწავლებელმა უნდა დაუსახელოს მოსწავლეს ლიტერატურა. ამ შემთხვევაში მოსე გოგიბერიძის ფილოსოფიის ისტორია ტ. I.

ფილოსოფოსებს ერთი ნაწილი, კერძოდ დიალექტიკოსები თვლიდნენ, რომ ამ ქვეყანაზე ყველა-ფერი იცვლება დროის ცვლილებასთან ერთად, რომ მარადიული ამ ქვეყანაზე მხოლოდ ცვალებადობა.

სტატიის ავტორს სწორედ ამ მეორე მაგალითის წყალობით შეეცვალა სიცელეისადმი მეტისმეტი მიღრეკილება, ფილოსოფიისადმი მომეტებული ინტერესით.

საბავშვო ბალების უპირველესი მნიშვნელობის ამოცანა ბავშვების აღზრდა. ამ ძირითად მიზანს უნდა ემსახურებოდეს ბავშვების გასართობი და ზოგად-საგანმანათლებლო ხასიათის ყველა ღონისძიება.

სკოლების უპირველესი მნიშვნელობის ამოცანა ბავშვების აღზრდა. ამ ძირითად მიზანს უნდა ემსახურებოდეს ბავშვების გასართობი და ზოგად-საგანმანათლებლო ხასიათის ყველა ღონისძიება. სკოლების უპირველესი მნიშვნელობის ამოცანა ბავშვების აღზრდა. ამ ძირითად მიზანს უნდა ემსახურებოდეს ბავშვების გასართობი და ზოგად-საგანმანათლებლო ხასიათის ყველა ღონისძიება.

## ნიკო ხერკელაძე

### პოეტ ნიკოლოზ გარათაშვილის დამოკიდებულება გ. სააკაძის ფენომენთან და მარტყოფის თმის შესახებ

პოეტებისა და საერთოდ პოეზიის მისიაა, ეროვნული სამართლიანობის გაკრისტალება, სუფთა, გაფაქიზებულ, დაწმინდავებულ ისტორიულ მოვლენებს, საზოგადოება დიდი წყურვილით ენაფება. ამ მხრივ მოვიყვანთ ჩვენი უდიდესი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის შეგონებას ქართველი ხალხის მიმართ. პოეტი სააკაძის მოღვაწეობისამი როგორი გულისტყვივილით სვამს საკითხს და როგორი სამართლიანობით განმარტავს როცა ამბობს:

„თქვენ ის აზრი, როდის გადაწყვიტა სააკაძემ აჯანყება, მანამდის სანამ ხელი იყდებდა შაპ-აბასის მსტოვარს, ბარათით თუ მერე? მაგრამ ისტორიას ამასთან არაფერი ესაქმება, მარტყოფი ეს ის არის რისი გულისთვისაც მოევლინა ამ ქვეყანას „დიდი მოურავი“ მარტყოფი საქართველოს გადარჩენაა, მარტყოფი ის ჭრილობაა, რომლისაგანაც ვეღარ განიკურნა შაპ-აბასი. მარტყოფი გიორგი სააკაძის ბედის-წერაა და სხვა დანარჩენი წვრილმანი პატარა კაცუნების მონაჭორია.“

პოეტებისთვის სამშობლო ჯერ ხალხია, საზოგადოება, სარჩმულოება, ტრადიციები მერე ამ თვისებებზე შექმნილი ისტორია, რომლის ნაწილშიც თვითონ გ. სააკაძეა, ქვეყანასთან მიმართებაში. შეცდომის დაშვება არ შეიძლება, იმიტომ რომ ყველა მორალური საკითხის მაკონტროლებელი ზნეობაა. ეს ზნეობა სულშია თავშეფარებული, სული კი ადამიანში უფლისაგან არის ნაბოძები, რომ სამართლამ გზა არ დაკარგოს და უპატივებელ ცოდვად არ გაჰყვეს ქართველ შთამომავლობას.

პოეტმა რადიკალურად განმარტა „მაგრამ ისტორიას ამასთან არაფერი ესაქმება“, ე. ი. მოსახდენი მოხდა მარტყოფის აჯანყება გამარჯვებით დამთავრდა, არ ეშლება 6. ბარათაშვილის, ისტორიულ ლაბირინთებში ჩახდევა. არ ეშლება იმიტომ, რომ გენეტიკური ალლო აქცს და თან ერთვის დიდი შემოქმედის პოეტური ალლოც. მისი სიტყვებიდან უზნავს, სინანულიც, იმის გამო, რომ გ. სააკაძის შესახებ არამართებული აზრიც მოუსმენია და პოეტი ალუშტოთებია. მისთვის მარტყოფი სამშობლოს გადარჩენაა, უსამართლო განმარტებით პოეტს მინა-წყალი, სამშობლო, შეურაცხვეს. პოეტი მკითხველის გასაგონად ამბობს „მარტყოფი საქართველოს გადარჩენაა.“

აი ასე უყვარს ნიკოლოზ ბარათაშვილს სინდის მინდობილი სიმართლე. იგი შემოქმედია და უდიდესი პოეტი, მისი სიტყვები გულით ნათქვამი და სულით გასპეტაკებულია, ამოვლებული გრძნობათა წიაღმი, უშეცდომო და ტკივილიან.

პოეტი, გ. სააკაძის მოღვაწეობაში, თავისი ქვეყნის მიმართ დიდ ამაგს ხედავს, ესაა მთავარი საბრუნავი ღული და ქართველ საზოგადოებას მოუწოდებს სააკაძესთან მიმართებაში შეცდომა არ დაუშვან. იმიტომ, რომ ამბიციით დაშვებული შეცდომა, სამშობლოსადმი ზერელე დამოკიდებულებამი აისახება. როგორ შეიძლება ასეთი ვეებერთელა მგოსანი ტენდენციურად ცდებოდეს? მაშინ ცდომილება ექნება პოეტს, თავის შემოქმედებაშიც.

იმას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, რომ პოეტში არავითარი ტენდენციურობა არ იმაღლება.

საყურადღებოა ისიც, რომ 6. ბარათაშვილი, სააკაძის როლის აღმოსავლეთ საქართველოს გადარჩე-

ნისათვის, ქართველ საზოგადოებას მხოლოდ მარტყოფის ომის მნიშვნელობას ახსენებს და სულაც არ თვლის საჭიროდ, მკითხველის საყურადღებოდ მოიყვანოს სააკაძის დამსახურება ტაშისკარის ოში, მარაბდის და ქსნის ომებში. მარტყოფის ომი კმარაო, პოეტი გვეუბნება: განა შეიძლება ვიფიქროთ ისე, რომ პოეტი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა აქ ჩამოთვლილ ომებს.

ჩვენ თუ შეცყრებთ, სააკაძის მიერ მცირე თარეშულ ბრძოლებს, როგორიც იყო ლოისთან გამარჯვება, გორის ციხესთან და მიუმატებთ აწყურის ციხესთან, ფარავნის ციხესთან, ახალციხესთან ყიზილბაშების განადგურებას. ერთი დიდი ომი ასეც გამოვა. ნიკოლოზ ბარათაშვილმა იცის მარტყოფის ომის უდიდესი მნიშვნელობა, რომ სააკაძისგან და მთელი ქართველი ერისგან დიდი მოთმინძების ხარჯზე დაფუძნდა ასეთი ომის საფუძველი, რომ სააკაძისგან შვილის განირვა მარტყოფის ომმა განაპირობა, რომ უმთავრესი მოხდა, აღმოსავლეთ საქართველო გადარჩა, განა მას არ შეეძლო თავის სიტყვებში პაატას სახელიც აღნიშნა, რომლის ნაზ მხრებზეც დადგა მარტყოფის ომი.

6. ბარათაშვილს, როგორც პოეტს, როგორი მძაფრი ტკივილი ექნებოდა, სამსხვერპლოდ მის განირვაზე, მაგრამ ამაზე არ ამახვილებს ყურადღებას. პოეტი არ ამახვილებს ყურადღებას არც ქარჩხის ქსნის ომზეც რის საფუძველზედაც შაპ-აბასმა უკან წაილო თავისი ავი გეგმები საქართველოს მიმართ. განა პოეტ 6. ბარათაშვილს ცოტა ჰქონდა დარჩენილი კიდევ საქებარი სააკაძის მიმართ? აქაც შემოქმედის ზომიერებაა ყურადსალები.

პოეტი 6. ბარათაშვილი პირადი ვარამითა და ტკივილითაც იყო შემოსილი როცა ამბობს:

და წყნარ სალამოს, ვით მოგობარს შემოვტიროდი,

რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი?

ვინ და რამ აუტკია პოეტს სათუთი გული? სწორედ იმ ატკივებული გულითაა დანახული სააკაძის ცხოვრება, როცა ამბობს: „მარტყოფი მტრისათვის ის ჭრილობაა რომლისაგან ვეღარ განიკურნა შაპ-აბასი“. წოეტს თავისი ტკივილი არ ყოფნიდა, რომ სააკაძის ტკივილსაც დასდგომიდა ქომაგად? როცა ქართველი საზოგადოებისთვის შესახენებლად დასჭირებისა სააკაძის მოღვაწეობის მნიშვნელობა, რომ მარტყოფით საქართველო უნდა იცნობდეს საკუთარი გენეტიკის წიაღმი წარმოშიბილი დიდი კაცის თვისებებს, რომლის რუდუნებითაც გადარჩა ქართველი მოსახლეობა. ამ საქმეში მას უფალი უძლოდა წინ, რომ მარიამ ღვთისმშობლის წილების გვედრი ქვეყნის შვილების სიცოცხლე ირანის ახრიოკებულ გზაზე არ დაინაცრა.

იმ დროის ქართველი ხალხის დამდუღრული ყოფა, რომელთა შიშის საფუძველი ირანში გადასახლებიდან მოღილიდა და ამ ავი მოვლენის წინააღმდეგ, ხელი ქართველმა ხალხმა გ. სააკაძის მეთაურობით გამოიღო, რაც პოეტის მოუსვენრობის მიზეზი გახდა და რადგან სააკაძე თავისი ვარამიანი ბედითა და მტერზე გამარჯვებით, თავისი ქვეყნის თანამანილია,

პოეტმა თავისი პოეზიით მოუწოდა ქართველ ხალხს ლრმად გააანალიზონ ყოველივე.

როცა ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი ნათელი სულით, ნათელი შეიტანა სააკაძის ლვანლში, მისმა მაღალმა ზნეობამაც დაისვენა, როცა ხალხს სიმართლე უთხრა. მეორე მხრივ თავის სიტყვებშივე დაგვიტოვა უთქმელი განცდა იმისა, რომ, როცა ტაშისკარის ომით ქართლი გადარჩა, როცა მარტყოფის გამარჯვებით ქართლიცა და კახეთიც გადარჩა.

საქართველოში წერტილი დაესვა შაპ-აპასის ვერაგ გეგმებს. ასეთი საქმეების აღმასრულებელმა მებარახტრემ შვილიც თავის ქვეყანას შესწირა, იმ რთულ დროში თუ რამე უნებლიერ შეცდომა მოუვიდა, დიდი მერქელობაა სააკაძეს საყვედლური რომ შევეკადროთ. მოლალატე პირდაპირ მოღალატეა, ის შევილებს სამშობლოსთვის არ სწირავს და ამდენ ომებში გამარჯვებას არ მიაღწევს. 6. ბარათაშვილს არ უჭირდა იმის მიხვედრა, რომ რადგან სააკაძე წარმომავლობით დაბალ საფეხურზე იდგა, მაგრამ ასეთი სარდალური ნიჭის პატრონი, რაც უდიდესი ძალაა და მას სხვა ძალა არ გააჩნდა, ის სხვა ძალა მხოლოდ ძლიერ მეფეთა ხელთ იყო. სააკაძის საშუალო აზნაურობა კი ამდენი ენერგიების გამლებით იყო, რაც აჩვენა კიდევაც ორივე მეფესაც და ქვეყანასაც, რადგან დიდებულთა ჯგუფი სააკაძის თანამედროვეობაში ფერმკრთალად გამოიყურებოდა, მათ გადაწყვიტეს ქართული ფსიქოლოგის ნაწილისთვის ეჭვის ბურუსი შემოეხვიათ, იმის გამო რომ სიცხადე და ულერადობა დაჰკარგვოდა სააკაძის გადახდილ ომებს, ამან ქართულ ორგანიზმი სისხლის გამტარობა შეაფერხა, წნევის დარეგულირება გახდა საჭირო ქართული ფსიქოლოგის დასამშვიდებლად და აპა გამოჩნდა კიდევაც სულმანითი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელმაც უფლისაგან ნაჩუქარი ნიჭითა და სამართლის ენით, მარტყოფი საქართველოს გადარჩენაა და სააკაძის ბედისწერაა. ეს თქვა და ერიც დამშვიდდა.

პოეტი საკუთარ სხეულში განიცდის სააკაძის ბედსა და დიდებულთა ნაწილისგან უმაღლებებას, ქართულ სხეულზე ავად მოსისინე ენებმა ნაიარევი დატოვეს, რამდენი უფიქრია პოეტის სააკაძის ბედზე? იმდენი რამდენიც თავის ქვეყანასა და შემოქმედებას ესაჭიროებოდა.

პოეტმა სააკაძის დამსახურებაზე იფიქრა იმდენი, რაც თავისივე პოეზიაში და სიტყვაში სული აქვს ჩანურული. იმიტომ, რომ რაც სააკაძეს ეხებოდა მის თანანანილად სამშობლოსაც ეხებოდა, არც მეტი, არც ნაკლები. თუ კომპრომისზე წავა პოეტი, იცის სიმართლის ჩრდილი მიადგება და ქვეყანა დაზარალდება, ბევრი ნაფიქრია მის სიტყვებში ზღვა ფიქრია, რომ მოკლედ და ლრმად განცდილი, ხალხის გასაგონად ამოეძია და მისი ამოძახილი ზარის ხმად გაისმა ხალხში. მარტყოფის მტრის გვამებით მოფენილი ველი ხალხის წარმოდგენაში გაცოცხლდა, ვისი ქანც მიუკარები მარჯვენა ტრიალდება იქ, როცა თან იცოდა სულ რამდენიმე დღეში, მისი შვილი პაატა, შაჰისგან წამებით აღესრულებოდა.

პოეტმა ლრმად იცის, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანების მოსურნე სააკაძის ფასი, როცა ერთიანი ყოფილა საქართველო. დიდი აღმშენებლობა და დიდი წარმატებები მაშინ ჰქონია, ეს მისია დიდ მეფეთა ხელში იყო. ეს იმიტომ, რომ ძალაუფლება მათ ხელში იყო. საშუალო აზნაურ სააკაძეს ამის წადილი დიდი ჰქონდა, მაგრამ წინააღმდე-

გობა ჰქონდა ისეთი, რომ ეს შეუძლებელი გახდა, მაგრამ მარტყოფის ომის მოგებით აღმოსავლეთ საქართველო გადაარჩინა.

როცა პოეტის სიტყვებმა, ქართულ ფსიქოლოგიაში, სალბუნის მსგავსი აუცილებლობა განაპრობა „მარტყოფის ომით საქართველო გადარჩაო“, უშედავათ მნარე ენის მიზნით ნასროლი ისრიდან, მიყენებული ჭრილობიდან სისხლის დენაც შეწყდა.

გულისთვის ყველაზე დიდი მტერი ენაა და ენით მიყენებული ჭრილობა ყველაზე მძიმე ჭრილობაა. სიტყვით დაკოდილი ქართველთა გულებისათვის, მალამოსავით განმკურნებული სიტყვა, მაღალზნეობრივი კაცის ენით უნდა თქმულიყო როგორიც იყო პოტი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

6. ბარათაშვილი, საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული გვარის წარმომადგენელია, პოეტი იმ ეპოქაზე ფიქრმა ორი უკიდურესი მოვლენის წინაშე დაყენა, როგორც თვითონაც, დიდებულთა გვარის წარმომადგენელი, ან უნდა გაჩუმებულიყო, სააკაძის ოპოზიციური მხარის საამებლად, ან როგორც პოეტი და პატრიოტი, თავისი სულისა და გულის ამოძახილი, ხალხისათვის უნდა ეთქვა, გააკეთა ის რაც მის სპეტაც სულს შეეფერებოდა, როგორც სააკაძის თავის ქვეყნის წინაშე დამსახურების არ დამკარგავი, პოეტისაგან აღარ მოყვანა სააკაძის სხვა გადახდილი ომების მნიშვნელობისა და ამ შემთხვევაში მისი დუმილი აიხსნება ასე, მე მარტყოფის ომის შინაარსზე მოგახსნეთ, ჩემი ასეთი განმარტებით თუ თქვენი გული კიდევ ვერ მოლბა, სააკაძის შესახებ საქებარი კიდევ ბევრი დაგვრჩაო. პოეტი არავის არ ეფერება, ასეთი შეფასებით თვით სააკაძესაც არ ეფერება, მით უშეტეს პოეტია, მისი სული მგრძნობიარე სიმებითაა ანყობრილი და პაატას ქვეყნისათვის მამისგან სხვერპლად შეწირვა, დიდი ტრაგედია და უდიდესი მაგალითია. ქართველი ხალხი გ. სააკაძის სიდიადეს, სწორედ შეილის ქვეყნისათვის მსხვერპლად გაღებაში ხედავს.

მაშასადამე პოეტის მრნამსში, მსხვერპლის გაღება ხდება უფრო დიდი ნიშნისათვის, ერისათვის, სამშობლოსათვის, რაც მის მრნამსში აიხსნება „მარტყოფი საქართველოს გადარჩენაა.“

ნიკოლოზ ბარათაშვილი, ჯერ როგორც მოქალაქე, მერე როგორც პოეტი უსათხოესი პიროვნებაა, განაპოეტმა არ იცოდა როცა თავის ხალხს მიმართა, მარტყოფის ომით საქართველო გადარჩა და სხვა დიდებულთა გვარების სააკაძისადმი იპოზიციონერობა და რადიკალურ, თან პირებულ პოზიციაზე დადგა. აი, აქაა არა მარტო პოეტი, არამედ მაღალზნეობრივი ნიკოლოზ ბარათაშვილის მოქალაქეობრივი ლირსება იმისა, რომ ამშიციებს არ დაუთმო სააკაძის დამსახურება.

ადამიანმა თავისი პოეტური სული, კაცობა, ისეთ სადარაჯოზე დააყენა, რომ უფლებამოსილმა შემოქმედმა, დიდი ზარი ჩამორეკა და ქვეყანას ამცნობ, ის რომ უმთავრესი სამშობლოს გადარჩენაა, მასთან სუფთა სიყვარული ვალდებულებაა და რადგან მარტყოფის აჯანყებით, საქართველომ თავი დაისხნა, პოეტმაც არ დაახასიათება ზარის ხმად გაისმა ხალხში. მაგრამ ამის შემთხვევაში გამარჯვების დანიშნულება მთავარია გული, სიყვარული და ენერგია შეახამო შენს ქვეყანას, გინდ დიდებულთა გვართან იყოს პიროვნება განდეგინებით, საქართველოს გადარჩენა და შესაძლოა შეცდომა მოხდეს, უმთავრესი კი ის არის სამშობლო უნდა გადარჩეს.

## ლია ნურნებია

### თეიმურაზ 1-ლის შემოქმედებით ახალი ეტაპი

თეიმურაზ 1-ლის შემოქმედებით ახალი ეტაპი (ე.წ. „ალორძინება“) დაიწყო ქართულ მხატვრულ აზროვნებაში: გამოიკვეთა ტენდენცია, რომელის XVII-XVIII სა-ის ქართული ესთეტიკური აზრის განმსაზღვრელი ალმოჩნდა: მხატვრულ-შემოქმედებითი პროცესი წარმართულიყო რუსთაველის პოეტური აზროვნების კვალდაკვალ. ეს ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობისკენ შემობრუნების დასაწყისი იყო და იმ ზნეობრივ-ესთეტიკური იდეალების აღორძინებაზე მიუთითებდა, რომლის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა სპარსოფილურ-მაჰმადიანური გავლენის დაძლევა, ეროვნული სულის გამოღვიძება.

თეიმურაზმა სათავე დაუდო ამ ტენდენციას იმით, რომ მის პოეტურ შემოქმედებას წითელ ზოლად გასდევდა რუსთაველის პოეტურ სიდიდადესთან გაჯიბრების იდეა. მეფე-პოეტი საკუთარ შემოქმედებით ძალას რუსაველის პოეტური სამყაროს სიმაღლიდან აფასებდა. მისთვის რუსთაველი ლექსის მეტრი იყო, მას ბაძვდა სალექსო ზომით, სიტყვათა წყობით, ლექსივით. „იოსებზილიხანიანის“ შესავალში თეიმურაზი „ბრძეს“ უწოდებს რუსთაველს, რომელმაც „...თვით მინდობილმანა სიბრძნისა, მერე თამარის ხმობითა...“ „შეათხზნა ბროლსა გიშერო, ძონსა სადაფი წყობითა.“ თეიმურაზისთვის რუსთაველი „ენა რიტორია“, რომელმაც მშვენიერი ქართულით დამდერა მიჯნურნების ამბავი.

თეიმურაზ I-ლის პოეტურ სტრიქონთა ქვეტექ-სტში რუსთაველისადმი „დვთიური შური“ იგრძნობა. გიორგი მერჩულე სწორედ ამ ტერმინით მოიხსენიებდა ნეტარი გრიგოლ ხანთელის მონაფეთა უზენაეს სურვილს, მოძღვრის მიბაძვით აეგოთ ტაძრები და მონსატრები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. თეიმურაზიც რუსთაველთან გაჯიბრების სურვილს პირდაპირ აცხადებს და არა შეფარვით: „ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ტებილად სასმენლად ყურისა, მაშინაც რუსთველს აქებენ, მე იმან გამაგულისა.“

მოგვანებით თეიმურაზის ეს სიტყვები ლაიტ-მოტივად აქცია არჩილ II ბაგრატიონმა თავის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, სადაც ბრნებინგალედა გამოყენებული პაექრობის ფორმა ორი სხვადასხვა ესთეტიკურ-მსოფლმხედველობრივი მრწამისია და სხვადასხვა პოეტური ძალის შემოქმედთა შესადარებლად.

XVII საუკუნის საქართველოს დაუძინებელი მტერი ჰყავდა შეაპას I-ლის სახით. სპარსეთის შეაპას არა ერთი შემოსევით მთელი კახეთი გაავერანა, მოსახლეობა საკუთარი მინა-წყლიდან აყარა და შეიდა სპარსეთში გადაასახლა (ამ დროის წარმონაქმინა ფერე-იდანის ქართველობა), უპატრონოდ დარჩენილ სოფლებში კი თურქმანები ჩამოასახლა. კახეთის მეფემ თეიმურაზ I-ლმა, მთელი ცხოვრება შეალია შაპ-აპასთან ბრძოლას, შესწირა ოჯახი - დედა ქეთევანი, მეფე-პოეტის პირადი ცხოვრების ტრაგედია მჭიდროდ გადაეწნა ქვეყნის ბედუკულმართობას: „მე დამემტერა სოფელი, მტერთანა ყოფა მეყოფა. ჩემკენ არ ბრუნავს საწუთორო, მისთვის მოძულდა მე ყოფა“ („მეჯამა“. თეიმურაზის ეს სიტყვის მოძულდა და ყოფა „მე ყოფა“). თეიმურაზის ეს სიტყვის ლიტერატურულ რეზონერობაში არ ჩამოერთმევა. მეფე-პოეტმა თავისი ქვეყნის უბედურება საკუ-

თარი იჯახის წევრთა სისხლის ფასად იწვნია. ამიტომაც დამაჯერებლად და მძიმე ფსიქოლოგიურ განცდად აღიქმება საწუთოსადმი წყევლისა და გმობის ის სიტყვები, რომელებიც ერთნაირი სიმძაფრით გაისმის სხვადასხვა დროს დაწერილ მის პოემებსა თუ ლექსებში. თეიმურაზ I-ლმა შეძლო თავის ლექსებში ეროვნული და პიროვნული სატკივარი პოეტური მსოფლალქმის განასერში ისე გაეშეუქებინა, რომ შემდგომი საუკუნების ქართულ მხატვრულ საზროვნო სივრცეში დასაბამი მიეცა სიკვდილ-სიცოცხლის „სოფლის სამდურავის“, „ამაოებათა ამაოების“, ადამიანის ცხოვრების საზრისისა და მოვალეობის პრობლემების ფილოსოფიური გააზრებისათვის. ტეიმურაზ I-ლმა თავისი დროის აფორია-ქებული საზოგადოების ცხოვრების ტრაგიული მოვლენები ასახა ისტორიულ პოემა „ქეთევანიანში“. ისტორიული ფაქტის – ქეთევან დედოფლის წამების – მხატვრული ენით გადმოცემა სრულიად ახალი სიტყვა იყო ქართულ მწერლობაში: ეროვნულ თემაზე დაიბადა პირველი ისტორიული პოემა, მაღალმხატვრული, ფსიქოლოგიზმით დატვირთული, რომელშიც ავტორი არა მარტო ისტორიულ პირებს ახსენებს შესაბამის კონტექსტში, არამედ თავის დამოკიდებულებასაც ამჟღავნებს მათ მიმართ.

თეიმურაზის სულიერი ძალა და მხატვრულ-შემოქმედებითი ნიჭი საკუთარი დედის – ქრისტიანობისთვის ულვოთდ ნამებული ქეთევან დედოფლის – გმირული სახის შექმნაში მოჩანს. მეფე-პოეტი ძლიერი მხატვრული ფორმებით გადმოსცემს ქეთევან ნამებულის სულიერ მდგომარეობას, მის მტკიცე ხასიათს სიკვდილის წინ ლოცვაში. ეს არის განსაკუთრებული სულიერი ენერგიით დამუხტებული, სამშობლოსთვის დედის ლოცვა ლვოთისადმი, რომელსაც სთხოვს სასწაული მოუვლინოს საქრისტიანოს და გაამარჯვებინოს მის შვილს მტერზე. პოემაში ქეთევანის ლოცვა არა მარტო ქართული პოეტური სიტყვის უნიკალური ნიმუშია, არამედ მთელი საქრისტიანო პოეზიის შედევრი.

მართალია, თეიმურაზ I-ლის პოეზია სათავეს იღებს ქართული კლასიკური მხატვრული აზროვნებას სიმაღლეებიდნ, მაგრამ ამავე დროს იგი მჭიდრო შემოქმედებით კავშირშია სპარსულ კლასიკურ პოეზიასთან. სპარსული ენის ბრნებინვალე მცოდნე ქართველი მეფე-პოეტი დედანში ეზიარა ფირდოუსის, ნიზამის, საადის, ომარ ხაიამის, ჯალალედინ რუმის სიტყვის მაღლა. ამან განაპირობა მისი აღფრთვებაზეა სპარსული ენის ხაზოვნებით. სპარსული პოეზია აძლევდა მას სულიერ საზრდოს, ამიტომაც გულწრფელად ამბობდა: „სპარსთა ენისა სიტკომანა მასურვა მუსიკობანი.“ ყიზილბამთა ბარბაროსიამაბ მის სამშობლომი, ოჯახის ამონცეტება, შაპ-აპასის დაუძინებელმატრობამ ვერ გადაფარა ტეიმურაზის უდიდესი მოწინება სპარსული პოეზიის წინაშე, რაც მეფე-პოეტის მაღალზმეობრიობასა და დიდ მხატვრულ გემოუნებაზე მიუთითებს. მთელი ცხოვრების მანძილზე სპარსეთის წინააღმდეგ მებრძოლ მეფეს მტკიცე სიძულვილმა ჭეშმარიტი კულტურულ ღირებულებების შეფასებაში ხელი არ შეუშალა. ეს მაღალი გემოვნებისა და ჭეშმარიტი ფასეულობის ღრმად განმცდელი პიროვნების პოზიცია იყო.

## სიმონ ზაქარაია

### ცოტა რამ ვლადიშე ვახანიას ნიგნე – „კოლხეთ-საქართველოს ეპოსი, ერისთა პოლო სიტყვები; ლაზარეს აღდგენა“-ს შესახებ.

„პროტო-ქართული, ანუ იაფეტური ფუძე-ენა არის ერთიანი, გლობო-გონიური ფენიმენი, საერთო საფუძველი ყველა ენებისა, რომელიც წარმოიშვნენ მისგან დიფერენციაციის პროცესში“.

ნიკო მარი

არიან მეცნიერ-მკვლევარები, რომლებიც პროტო-ქართველურს, პროტო-ევროპულსაც უწოდებენ, რამეთუ ეს პირველები წარმოადგენენ შემდგომ პერიოდის ცივილიზაციის საფუძველს, რომლებიც მომდევნო ეპოქებში სრულიად სხვა ხალხთა ენებითა და მათი ისტორიით მოევლინა ქვეყნიერებას.

ერთი სიტყვით, იაფეტური ფუძე ენიდან წარმოშობილი ენები ვრცელდებოდა დასავლეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით სემიტურ სამყარომდე.

მომდევნო ეპოქებში იაფეტური ანუ პროტო-ქართველურ მოდგმას, დათრგუნვეს და შეავინტოვებს ინდოევროპული მოდგმა (ზევსის სახით) და მას კავკასიაზე მიაჯაჭვავს მითოლოგიური ამიარანის (პრომეთე) სახით. იგი დამდაბლებული და დაწუნებულია მტრის მოდგმით გარშემორტყმული.

მიუხედავად ამისა, ქართველური მოდგმა შემდგომ პერიოდში, მაინც აღორძინდება და ნაწილობრივ დაიბრუნება ცივილიზაციისა და კულტურის შემნელის პოზიციებს მსოფლიოში.

დიდ ბედნიერებად უნდა ჩაითვალოს ის ჭეშმარიტი ფაქტი, რომ 3-4 ათასი წლის წინანდელი ქართველური ენები დღესაც ცოცხლობენ და ფუნქციონირებენ, ეს ეხება ძველ ქართულს, მეგრულსა და სვანურ ენებს. აქედან გამომდინარე ძველი კოლხური ენის, მისი ცალკეული სიტყვების ღრმა ანალიზი და შესწავლა, მისი დღევანდელ მოქმედ ენებთან შედარება, გაშიფრავს იმ რთულ კოდირებულ სიტყვების ძირებს, რომლებიც გამოავლენს და ნაწილობრივ აღადგენს ჩვენი საამაყო წინაპრების ღვანლის უკვდავებას.

მართალია, მრავალი ქართველი და უცხოელი მეცნიერები იკვლევენ ჩვენი წინაპრების პრეისტორიული და ისტორიული ეპოქების ყოფას, მაგრამ ეს ჯერ კიდევ, რომ იტყვიან, ზღვაში წვეთია.

სწორედ ამ თვალთახედვით, მკვლევარ ვლადიმერ ვახანიას ავტორობით გამოცემული წიგნი – „კოლხეთ-საქართველოს ეპოსი“ უკანასკნელ პერიოდში ერთ-ერთი მნიშვნელოვან ნაშრომად უნდა შეფასდეს.

ისმება კითხვა – რაში მდგომარეობს წიგნის სიძლიერე და ლირსება, მისი უმთავრესი შინაარსი? უპირველეს ყოვლისა, წიგნში განხილული წყაროები ეკუთვნის იმ ცნობილ მეცნიერებს, რომლებიც მეტ-წაკლებად ანარმობებდნენ მსოფლიოს ხალხთა ისტორიის განზოგადოებას და დაბალანსებას, ამასთან ერთად ისინი გვევლინებიან სუბიექტური მოსაზრებების ექსპერტადაც.

ამ წყაროების შეპირაპირებისას, მკვლევარს მოჰყავს ქართული და ქართველური სიტყვების ფუძი-სეული მნიშვნელობები და შესანიშნავ დასკვნებს აკეთებს, რასაც არ შეიძლება თუნდაც დარგის ცნობილმა მეცნიერებმაც სათანადო ყურადღება არ მიაქციონ.

ვლ. ვახანიას კვლევას საფუძვლად უდევს ღრმა განსწავლულობა, მასთან ერთად, მისი ფანტასტიკური სიყვარული და თაყვანისცემა იმ ღირსებით აღსავს საამაყო წინაპრებისადმი, რომლის მსგავსი ალბათ სხვა ხალხებში ნაკლებად მოიპოვება. აღნაშნული შრომის გარშემო უნდა იწერებოდეს არა მარტო რეცეზიები, არამედ წიგნებიც კი მისი გამოკვლევების განსამტკიცებლად.

ჩვენი და მომდევნო თაობები გამუდმებით უნდა იკვლევდეს და წერდეს იმ უამრავ ტოპონიმებზე, ჰიდრონიმებზე და არქეოლოგიურ მასალებზე, რომლებიც უხვად მოიპოვება ჩვენს ახლო თუ შორეული ქვეყნების მიერ დაცყრიბილ ტერიტორიებზე, სადაც დღეს სტუმრადაც არ გვლებულობენ. ჩვენი წინაპრების განადგურებით დამკიდრებული ტომების, შავი, მოურჩენელ ჭირით ამონცვეტის შემთხვევაში, ჩვენი მოდგმა, როგორც კანონიერი მემკვიდრე ამ სივრცეებისა, მედგრად უნდა იდგეს მის დასაბრუნებლად. სწორედ ამიტომაც, ვლ. ვახანიას გამოცემული წიგნების მსგავსი ნაშრომები მრავლად უნდა გამოდიოდეს, მათში უამრავი ფაქტობრივი მასალების სიუხვე არსებობს.

აუცილებლად მიგვაჩნია, ამ წიგნის უცხოებზე გამოქვეყნება.

## ლუარა სორდია

### (საესმეთყველების ერთი ასაეპი მერაბ კოსტავას პოვზიაში)

მერაბ კოსტავა საქართველოს თანამდევი მარადიული სულია.

ერის ბედისწერამ მოავლინა იგი ადამიანისა და სამშობლოს მისისის შესაცნობად, აპოკალიფსურ მხეცებთან მებრძოლად, რათა უდიდესი უპირატესობით გაემარჯვა ბნელეთის მოციქულებზე.

ქრისტეს მხედარი, უფლის მებაღე, ქართული ეროვნული ფენიმენის განსაკუთრებულობის დასტური, უწმინდური გველაშაპისთვის ლახვარჩამცემი

წმინდა გიორგის მიწიერი ჰიპოსტასი, ცოტნე დადიანი მაღალი ზნების, გმირული სულით გამორჩეული, სამშობლოს „მუდამ ფხიზელი სინდისი“ (კობა იმედაშვილი) იყო მერაბ კოსტავა.

გრაალის ორდენის უშიშმარი რაინდი, მისივე მიგნებული გამოთქმით, „სიტყვით ნათლისმცემელი“, ასეთად დარჩება მერაბ კოსტავა ერის მეხსიერებაში.

მისი ფილოსოფიურ-რელიგიური ხასიათის ნაშრომები: „ფიქრები საქართველოს მისიაზე“, „ფიქრები

ქართულ კულტურაზე", "წერილები", "ლექსები" გვენმუნებს, რომ მათი ავტორი იყო სულინმინდის მადლით გაბრძობილი, ბიბლიურ წინასწარმეტყველთა, ცონბილ ლვთისმეტყველთა, ფილოსოფიოსთა აზროვნებას, ქართული და მსოფლიო სულიერი კულტურის მიღწევებს ნაზიარები სიტყვის ოსტატი.

მერაბ კოსტავას პოეზია "ზეცის, მიწის და საქართველოს მარადიული დიდება" ("ზვიად გამსახურდია, "ძე ქარიშხლისა") (1,10).

მაღალი სულიერება, ქრისტიანული მრწამისი, ეროვნული ტრიადის ერთგულება დაანათლა არსთგანმრიგემ მის შემოქმედებას.

მერაბ კოსტავა უცდომლად იცნობდა ადამიანს, გაცნობიერებული ჰქონდა მისი პიროვნული, საქვეყნო, საკაცობრიო ვალი, ულრმავდებოდა სიკვდილ-სიცოცხლის, სულის და ხორცის, მიწის და ზეცის იდუმალებას, ხედავდა "უჩინარს", "მჭვრეტელთაგან უხილველს", სანამდა სულის მარადიულობა.

მისი ლირიკის მთავარი პერსონაჟია სული უფლისმიერი, სული სატანისეული, სული რაინდული, სული მარადიული, სასწაულმოქმედი.

ის ფლობდა სულის მართვის, სულის წრთობის, დაოკება-დაურვების, მისი სიკეთისკენ მოქცევის, ბელზებელის განგდების ძალას, დაოსტატებული იყო სულის წრთობის, სულის ზრდის საიდუმლოებებში, ნაზიარების იყო ეზოტერულ სიბრძნეს.

ბიბლიაში, თეოლოგიაში, სასულიერო ლიტერატურაში სულის მრავალსახეობის, უსაზღვრობის, უკეთურობის დასახასიათებლად გამოყენებულია ზღვის, ოკეანის ბინადართა, ქვეწარმავალთა, ნაზიარმეცების, სცილასა და ქარიბდას სიმბოლური სახეები, რომელთა დამარცხება მხოლოდ გულისა და გონების განსაკუთრებულ ძალისხმევას, რწმენას ხელენიფება.

მერაბ კოსტავა ამ მარადიულ პრობლემას ბრძენი ფილოსოფოსის სიდინჯით, მარლომორწმუნე ქრისტიანის სულგრძელობით აშენებდა და ჭეშმარიტების მიმგნები, სულის ხსნის გზებს გვიჩვენებდა, გარდუვალ გამოცდასა და განსაცდელთა დაძლევის შესახებ გვესაუბრებოდა.

ამ მხრივ, მის პოეზიაში ყურადღებას იქცევს ოკეანის, ზღვის, მდინარის, წყაროს სახეები.

ბიბლიაში ზღვა ცოდვილი ცხოვრების სიმბოლოა: "ბოროტეული ალელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრიან ლაფს და ტალას" (ესაია 57, 20) (2,116).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, "ზღვა მნარენ-ყლიანი მარილისგან და მშევრთვარე ქარიშხალთაგან, სიმბოლოა ამა სოფლისა" (3,519)

ზღვა წმინდა წერილის ენაზე აჯანყებული, მოუსვენარი, ლვთისმოსაობის მტერი ხალხის სიმბოლო-ცაა (4,179)

ლვთისმეტყველი გვასწავლის, რომ ამ ზღვაზე გადასასვლელია გემი, ძელი, იგივე ჯვარი, ანუ რწმენა (3, 453).

ზღვაზე ნარმატებით გადასვლა შეძლო ებრაელი ხალხის წინამდლოლმა მოსემ (გამოსვლა, 14,1-31) (5,71-72)

ქრისტე აწყნარებდა ქარს, ზღვას და თავისუფლად დადიოდა წყალზე (მარკოზი, 4,39) (6, 76)

"მცირედმორწმუნე" პეტრემ ვერ შეძლო იგივე და ჩაძირვა იწყო (მათე, 15,28) (6, 32).

ზღვის გადალახვა იქ ბინადართა — ეშმაკეულთა, ვეშაპის, ნიანგის დამარცხებას, სცილასა და ქარიბდას შორის გავლასაც გულისხმობს და ლვთისმოსავნი ევედრებოდნენ ღმერთს დანთქმისაგან გადარ-

ჩენას, მყუდრო ნავთსაყუდელის პოვნას (გრიგოლ ხანძთელი, სოფლისა ზღვაი ალძრულ არს) (7, 476)

გალაკტიონ ტაბიძეს ზღვის გადავლის, უეთურ ძალებთან შერკინების ძალას აძლევდა "დამხსნელი ჯვარი", "რაღაც სპეტაკი, უცხო შვენება" (პორტრეტი).

მზე, სიცოცხლე, სიყვარული, (ღმერთი) იყო პოეტის წინამძღვარი მრისხან ზღვების გადავლისას(გადავიარეთ მრისხან ზღვები) (8,385)

ამასთან, გალაკტიონის პოეზიაში "დაიდის" შექმნის სტიმულია ზღვასავით ამოუწურავი ოცნება, ხოლო პოეტის არსებაში ახმაურებული ზღვა მისი გენია (ზღვა ახმაურდა) (9, 491).

მერაბ კოსტავას ლირიკაში ადამიანის სულის მახასიათებლად გვხვდება ზღვა, ოკეანე, ტბა, მდინარე, წყარო.

ლექსში "ეტიუდი" (1,80) ცოდვის წვეთები "რისხევიან, გულვარძლიან, დაუნდობელ, მძვინვარე ოკეანედ" იქცევა და ახალი წარლვნის საშიშროებას ქმნის: "ისევ აღვზევდები, დავლახავ წაპირებს, მე – ოკეანე. ვარ რისხვაგვიანი, ვარ გულლვარძლიანი, წარლვნად ამხედრებას აშკარად ვაპირებ. ვარ დაუნდობელი, შფოთი და მძვინვარე... კაცთა მზვაობრძბავ, გაგაუჩინარებ ჩემი მზვაობრძბით და გვამთა მდინარეს ზღვას გაუმდინარეს რომ შევრთავ, გპირდებით... მტრისას, ო, მტრისას ჩემი გავეშება, აშკარად სიკვდილი ცელს ლესავს თქვენს უკან".

ეს ოკეანე – უკეთურება ადამიანის სულშია, ნების მოჩლუნების, ცოდვათა დაუოკებლობის შედეგია: "მე ოკეანე, არათუ გარეთ, ადამიანო, შენს სულში ვმძვინვარებ, ნების მოჩლუნების განანებ მნარედ, ვერ დამარცხებ და სასტიკად ინანებ".

"ვნებათა ღელვის" დამარცხების ძალა "სულიერი კუნთებია", ადამიანის ძალისხმევაა: "ჩვენს შორის ზავი არასდროს დაიდება, ისევ შენს ხელთა ჩემი დამშვიდება. ვნებათა დააცხრე ღელვა საშინელი, სულიერ კუნთებით ეკვეთე გულადად".

ახალ ალთემაში ბოროტების დამმარცხებელ ძალას ეწოდება "ღვთის სიტყვა" — "ორლესული მაცვილი" (პავლე მოციქული, ებრაელთა 4,12) (6, 472) "რწმენისა და სიყვარულის აბჯარი", "ხსნის იმედის მუზარადი" (პავლე მოციქული, I თესალონიკელთა, 5, 8) (6, 442).

სულინმინდის ქნარად წინდებული წმინდა მამა გვირჩევს ბოროტებასთან ბრძოლისთვის ავილოთ "სიმართლის ჯავშანი", ... "რწმენის ფარი", ხსნის ჩაჩქანი და სულის მახვილი", რომელიც არის "ღვთის სიტყვა" (პავლე მოციქული, ეფესელთა, 6, 14, 16, 17) (6, 422)

მერაბ კოსტავას "ეტიუდში" ხსნის გზად ისახება "სიქველის ნათელი" (ღმერთი), სულის ხორცზე აღმატება, მხოლოდ მშვიდი ზღვიდით (მშვიდი ბუნებით) იხილვება ზეცა - ვარსკელავეთი: "სიქველის ნათელით იხსენ სამშვინველი, თავად სამშვინველი გარდაპეტენ სულადა. სიმშვიდით დაპკაფე ზვირთები ას-მკლავა, რამეთუ მშვიდი ზღვა ირეკლავს ვარსკელავეთს".

პოეტის აზრით, მხოლოდ ასე შეიძლება "არსთა არსთა" (ღმერთთან) მიახლოება, ციური დასის ჰარმონის განცდა, ამალება: "მშვიდი მშვიდი ზღვიდი" (მშვიდი ბუნებით) იხილვება ზეცა - ვარსკელავეთი: "სიქველის ნათელით იხსენ სამშვინველი, თავად სამშვინველი გარდაპეტენ სულადა. სიმშვიდით დაპკაფე ზვირთები ას-მკლავა, რამეთუ მშვიდი ზღვა ირეკლავს ვარსკელავეთს".

დაცემის აცილება, ცოდვათა დამარცხება მხოლოდ რელიგიასთან, სიბრძნესთან, სიყვარულთან, მშვენიერებასთან წილნაყარის ხვედრია: "აღარ გა-

დია შენ სხვა რელიქვია. ვერსით მოიპოვო შენ სხვა ბედნიერება. ეგრე დაცემული გიხსნას რელიგიამ, სიბრძნემ, სიყვარულმა და მშვენიერებამ".

სიბრძნე თავად ღმერთია — "წყარო სიბრძნისა" (ბარუჟ წინასწარმეტყველი, 3, 12) (5, 190).

"ღმერთი სიყვარულია" (კათოლიკე ეპისტოლენი I ოთანესი, 4,8) (6, 320).

ოკეანის მუქარის, "სასტიკი ლტოლვების" ამ-ლაგმავი მხოლოდ სულია, სული ღვთისგან ნაბოძები, რადგან ადამიანი შექმნილია სახედ და ხატად ღვთისა.

ხორციელ ადამიანში აპობორებული ცოდვის ოკეანეს მხოლოდ ღვთაებრივი საწყისიდან ჩანერგი-ლი სული ამარცხებს.

სული უნდა იქცეს ამ სტიქიის მმართველ ძა-ლად, სათავედ: "მაშ ისევ შენ უნდა ამომდო ლაგამი, სასტიკი ლტოლვები, ვითარცა ნაგავი, საკუთარ ბუ-ნების ფესვიდან აღგავო. ბუნება შენი არის ოკეანე, სული შენი კი არის სადაცე". პოეტი ენდობა მხოლოდ "გადაუმსხვრევა ანძებს".

ღვთისმეტყველებაში აფრა, ანძა, იალქანი, ღუ-ზა არის სულის სიმბოლო (გრიგოლ ღვთისმეტყველი, სწავლანი, ეფრუბ მცირეს თარგმანი) (10, 82)

ადამიანი ზეცის ნერგია, ედემის ბაძის ბინადა-რი, მაგრამ იქიდან ცოდვის, აკრძალული ცნობადის ხის ნაყოფის მიღების გამო განდევნილი, მაგრამ ადა-მის და ევას შვილმა სეთმა წმინდა ცხოვრებით ისევ მიიღო სამოთხეში შესვლის უფლება, რათა დაებრუ-ნებინა გრაალი და დაეკრსებინა სულიერი ცენტრი, დაკარგული სამოთხის ხატი და შემცვლელი (11,4).

შერაბ კოსტავა თავისი ლექსის პერსონაჟს შე-ახსენებს ადამის მაგალითს, თავის ვალს - მოსთხა-როს ეკალ-ბარდები და ახაროს ვარდი (ასეთ შემთხვე-ვაში გალაკტიონი ამბობს: "ყვავილთ შემოშენებაო": „ნერგს, ზეცით გადმორგულს ნუ დააზიანებ, ცად მობრუნებული გახსოვდეს ადამი, ვალის მიტევებას ნუ დააგვიანებ, ვარდი დარგება და მოსთხარე ევალი".

ვარდი საღვთო და საღვთისმშობლო სახელია.

ეკალი ურნებული სულის მახასიათებელია: "რო-გორც დაუმუშავებელი მინა უხეშდება და იფარება ბუჩქნარებით, ასევე საღმრთო სწავლებას მოკლე-ბულ სულშიც ალმოცენდება ეკლები და მანკიერი სურვილები" (12, 25).

ადამიანის ცდომილებას მოსდევს "ეკლებისა და კუროსთავების ალმოცენება (13, 357).

ამ შეგონების გაუთვალისწინებლობისას ხდება სულის დაწყლულება: "თორემ მოგიზტები ყოვლის წამლეკავი, თორემ არ დაცხება ჩემი მძვინვარება. ზათქით გადავრეცხავ ზურგს დედამინისა, მცირე ნა-კოდარებს გიქცევ იარებად".

ცოდვილი ადამიანი გადაგვარებული, მავნე, უნაყოფო თესლია, მატლი, მას ვერ იხსნის "ახმახ-ცა-თამბჯენები", მისგან მხოლოდ მტვერი დარჩება, ფსერზე ალმოჩნდება: "ქიმს შენახეთქები მტვრად გარდაიქმნები, საკუთარ ლტოლვათა ფსერზე დაინ-თქმები, ოდეს გადაგიარ ტალღათა გრეხილით" (ეტი-უდი).

ადამიანის სული აპობორებული ოკეანეა, ყოვ-ლისამლეკავი სტიქიაა, რომელსაც სჭირდება ჯები-რი: "შენ ხარ ოკეანე, აპობორებული, ამასთანავე შენ ხარ ჯებირი, შლეგი ტალღების შემქეტველი რვალის კლიტულში".

სული არის როგორც დიონისოს (ქვეცნობიე-რის, ქაოტურის, დაფარულის), ისე აპოლონის (ღვთა-ებრივი ჰარმონიის) სავანე: "შენში ღრეობდა დიონისო და ან აპოლონ უკრავს შენში ღვთაებრივ ჰანგებს" (პაემანი) (1, 121).

"პაემანი" ეძღვნება ზვიად გამსახურდიას, რო-მელიც წერს, რომ ამ ლექსში მერაბმა "საოცრად იწი-ნასწარმეტყველა ის, რომ იგი ჩემზე ადრე დასტოვებ-და ამ წუთისოფელს და მე მის აკლდამასთან, თალხით მოსილი, დაველოდებოდი მეგობრის აჩრდილს. აკი ამიხდა ყოველივე!" (1,5)

სულით მკვდრეთით აღდგომის სანინდარია "სინანულის ზღვა", ცოდვათა მოკვდინება: "...ხამს სი-ნანულის ზღვაში ჩაყვინთო, მოკვდი და მკვდრეთით აღდექ" (სული დაიცა) (1, 40).

გველის და ცოფის სახეით მოვლენილი ბორო-ტება ემტერება სიკეთეს, რწმენას: "გველი ღუზიდან ამოჰყირის გემებს, ზღვაში გადარეცავს ლახტით".

შარლ ბოდლერი ყოველ ადამიანში ხედავს უარ-ყოფის სულს, რომელიც სიმბოლიზირებულა გველის სახეში და "სავაჟი იმედის თასს" აცარიელებს ეს "აუ-ტანელი გველებსალა" (მკენარი) (14, 252).

"სიბრძნის წყაროსთანა" (ღმერთან) წილნა-ყარს ძალუძს თავის ნებას დაუმორჩილოს "ოკეანეთა ვნება", რათა სულში აშენდეს ახალი პლანეტა: "და ოდეს ვნებას ოკეანეთა, გარდაჰქმნი პირმშოდ შენივ ნებისა, სულში ჩადგება სულ სხვა პლანეტა, სხვა სიბ-რძნე სფინქსის ქარაგმებისა" (სფინქსი) (1, 7677).

ადამიანი უნდა ელტვოდეს მადლის მდინარეს, ცის წყაროს – ღმერთს (წყაროვ ო, წყაროვ) (1, 115).

"მკვდარი ტბა" ენოდება უგულო, ეგოისტი, მხო-ლოდ პირადულისთვის მზრუნველ არაკაცს (ბიბლიუ-რი რემინისცენციები) (1, 87-164).

პოეტის იდეალია "მხოლოდ გადარჩენილი გე-მები, მხოლოდ გადაუმსხვრევი ანძები" (ქარვა გაუ-ხუნდათ ალვებს), რისთვისაც საჭიროა "რწმენა და კე-თილსინდისიერება" (პავლე მოციქული, 1 ტიმოთე, 2, 19) (5, 440).

მერაბ კოსტავას რწმენით, ბოროტება ჯერ სულში, "ასტრალურ ზღვაში" უნდა დამარცხდეს რწმენის გზით, რათა განწმენდილი ადამიანი სიკე-თისთვის ირჯებოდეს. ასეთი პიროვნების იდეალი იყო ზეიად გამსახურდია, რომელსაც შემდეგნაირად მი-მართავს: "დაუცხრომელო სულიერ ცდაში, დაუსაბა-მო სიტყვის მხმბელო, უკიდეგანო ასტრალურ ზღვა-ში დემონთა ხროვის დამამხობელო" (ქმას ქრისტე-მიერს) (1, 11-16).

როგორც ვხედავთ, „მერაბ კოსტავას პოეზია ღვთიური სიყვარულისა და სათნოების წყაროა ულე-ვი" (სოსო ჯაჯანიძე, მერაბ კოსტავას შემოქმედება) (15, 12).

### ლიტერატურა

1. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
3. ნეტარი ავგუსტინე, აღსარება, თბ. 1995
4. თოლია ბიბლია, კომენტარი ა. პ. ლოპუხინა, მ. 1991
5. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I
6. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992

7. ქართული მწერლობა 30 ტომად, ტომი I, 1987
8. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 1991
9. გალაკტიონ ტაბიძე, ორ წიგნად, წიგნი 1, 1988
10. თამარ კუკავა, ეფრემ მცირეს იამპიკოები, 1988
11. რენე გენონი, გრაალის სიმბოლიზმი, "ლიტერატურული საქართველო", 15 ოქტომბერი, 1992
12. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი 3, 1990
13. წმინდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმინევნითი გადმოცემა, 2002
14. შარლ ბოდლერი, ბოროტების ყვავილები, თარგმანი დავით აკრიანის, 1992
15. "მწერლის გაზეთი", 2002 წ. 10-16 სექტემბერი

## კულტურული ძეგლები

### კონსტანტინე გამსახურდიას ნოველის – “ზარები გრიგალში” – პოეტური სამყარო

ნოველაში მტკიცნეული განცდით აღბეჭდილია საბჭოთა ათეისტური რეჟიმის დამყარების შედეგი-ადამიანთა ცხოვრებაში უსულობისა და მონური შემ-გუებლობის გაპატონება. საერთო ფონის სიმშვიდეს მოულოდნელად არღვევს „პატარა ადამიანი,” რომე-ლიც კვლავ დასანახს ხდის სულის არსებობას.

„ზარები გრიგალში,” როგორც კონსტანტინე გამსახურდიას ნებისმიერი ნაწარმოები, პოეტური ოსტატობის სრულყოფაა. მისი “ავტორი ისე მეტყვე-ლებს მხატვრული სახეებით, თითქოს აყვავებულ წალკოტში იდგეს და დაუსრულებლად კრეფდეს ყვა-ვილებს”(4,გვ.35).

კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრულ ხერ-ხთა ულევი მარაგი აქვს. მწერალი იშვიათად ხმარობს მარტივ ეპითეტს, შედარებასა თუ მეტაფორას. აზრს ერთი წინადადებით იშვიათად გადმოსცემს(2,გვ.198). ორი, სამი და ზოგჯერ მეტი, სხვადასხვა ელფერის მქონე წინადადება თუ მხატვრული გამოთქმა, ერთმა-ნეთთან რიტმით, რითმით, ევფონით შეწყობილი, დი-დი მხატვრული გამომსახველობის ძალით მოქმედებს მყითხველზე. პირველი და ძირითადი განმსაზღვრე-ლი კონსტანტინე გამსახურდიას ენისა არის რიტმი.

მწერლის პროზის რიტმს სამეტყველო ერთე-ულთა თანაზომიერი გამორების გარდა, ქმნის წინა-დადების ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებე-ლი წყობის გამოყენება. ინვერსული წყობა უფრო მუსიკალურია, რადგან სიტყვების ბუნებრივი განლა-გება შეცვლილია და მახვილი მოდის გადაადგილე-ბულ სიტყვაზე. ეს კი ზრდის ემოციურობას და შთა-ბეჭდილებას აძლიერებს. ნოველაში “ ზარები გრი-გალში” ვკითხულობთ:

„იმედი მას არასოდეს დაუკარგავს, რადგან არასოდეს ჰქონია იგი”(1,გვ.146).

„და ქარი მოვარდა წვიმების სადავის ველური ტლაშუნით, შემოჰკურა რუხი ფრთა სამრეკლოს გუმ-ბათ... მეზარებ იცვალა ადგილი, რადგანაც სახეში აწვიმდა” (1,გვ.147).

ნაწარმოების მუსიკალურობას, რიტმთან ერ-თად, დიდად უწყობს ხელს რითმაც, რომელიც ძირი-თადად ლექსისთვისაა დამახასიათებელი. სიტყვის რიტმით და რითმით დაკავშირება კონსტანტინე გამ-სახურდიას პროზას ვერლიბრის სახეს აძლევს. მაგა-ლითად:

„ლუწი და კენტი. კენტი და ლუწი.”

„დიდი და პატარა, მსხვილი და წვრილი ერთბა-შად შეჯგუფდნენ, შედედნენ, შეერთდნენ, ხმა ხმაზე მიაწყვეს, ხელი ხელს ჩაჰკიდეს, გაქანდნენ, გაიჭრნენ,

ეძერნენ ქარს. დაბმულმა რაშებმა სადავე გასწყვი-ტეს და ხმლები იშიშვლეს შავჩოხიანებმა, გაქანდნენ უშიშრად მიეჭრნენ თხმელნარს, რომელიც ისედაც ქარს სალამს აძლევდა“(1,გვ.147).

„უშტი და მრისხანე თვალებით ეძებდნენ მტერს. ქარს ფერი გაუკრთა. ნაცემი, სველი ფრთა ძლივს გადაათოია და შავი ალამი დაკეცა ველზე. დაჭრილი ნადირი გარბოდა სერზე. . . მშიშარა დიაცი ჩასაფრდა ხევში.”(გვ.148).

ნოველაში “ზარები გრიგალში” უხვადაა გამო-ყენებული აღმავალი თუ დაღმავალი გრადაცია. ის შთაბეჭდილებას აძლიერებს, ან ანელებს. გრადაცია აქ გამორებასაც მოიცავს და ხშირად სხვა პოეტურ სახეებთან ერთად ქმნის ერთიან კომპლექსურ სუ-რათს.

კონსტანტინე გამსახურდია გრადაციის დი-დოსტატია. აღმავალი გრადაციის გამოყენებით მწე-რალი ახერხებს ინტერესის გაძლიერებას, მკითხველი თითქოს განიცდის მოქმედების ზეალსვლას.

„ანკრიალდნენ აუღერდნენ, ამღერდნენ. . . აიჭ-რნენ ააში(1,გვ.147).

„მიჰეროლდნენ აწყვეტილი ზარები გრიალით, კისკისით, ხარხარით ზეცისკენ, გალობდნენ დიდი და მაღალი ხმით.”

“ატოვდნენ, აბორგდნენ, აზვავდნენ, გაბრაზ-დნენ, აბუბუნდნენ დიდი და მრისხანე ზარები-ტყის მდევები.”(1,გვ.146).

ორივე სინონიმური გრადაცია ამავე დროს ასო-ნანისის (ხმოვანთა გამორების) შესანიშნავი ნიმუში-ცაა. მკითხველს ხიბლავს სიტყვათა ბეგერული ულერა-დობა და ქართული ენის მუსიკალობას დიდი ემოცი-ით განაცდევინებს.

„ზარები ამღერდნენ, აუღერდნენ, აჭრიალდნენ, ჰაერში გაიფანტნენ. დაბალი, ქედმოხრილი, მორ-ჩილი ეახლნენ უჯიათ მტერს. დაეცნენ მუხლებზე, იტირეს ივაგლახეს, ფეხები დაუკოცნეს და შენდობა სთხოვეს ცოლიან ქარს(1,გვ.147).

შესანიშნავ გრადაციასთან ერთად აქ საქმე გვაქვს ელიფსასა და ჰიპერბოლასთანაც. მხატვრულ თქმათა ეს კომპლექსი დიდი ემოციურობითა და მხატვრული გამომსახველობითა ძალით ნოველის თა-ვისებურ სტილს ქმნის. ხანარმოებში მრავლადა სი-ნონიმური გრადაციები: ”წელში გამართული, თავა-ული, აღტკინებული, მსუბუქი ნაბიჯით მიდიოდა თემშარაზე გადახილული ჩრდილებს ქვეშ (გვ.148); “სიცილით, კისკისით აიჭრნენ ცაში და ქაოსს კალ-თაში ჩაეძინათ ნებიერ, უცოდველ ბავშვებს(1,გვ.148).

კონსტანტინე გამსახურდია ხშირად იყენებს დალმავალ გრადაციასაც. ამით მნერალი ყურადღებას უკიდურესად ძაბავს და მკითხველიც შეუნელებელი ინტერესით მიჰყება ქვედა სვლას;

„ოცდახუთი წელინადი რეკავდა, რეკავდა ცისკარზე, რეკავდა მწუხრზე. სხვას ალვიძებდა, მისი ცხოვრება კი მოსაწყენი და კოშმარული სიზმარი იყო, სიზმარი, რომელიც გამოფხიზლებულს არც მოაგონდება(1,გვ.145).“

„მთელი დღე ეგდო წაქცეული სამრეკლო წმ. ზაქარიას ეკლესის ეზოში, როგორც მკვდარი ღმერთის უშველებელი, უპატრონო ლეში.“

„აწვიმდა სამრეკლოს, აწვიმდა საყდარს“ (1, გვ.150).

მოთხოვთ „ზარები გრიგალში“ რიტმულობა-სა და მუსიკალობას ქმნის ნაწარმოებში უხვად გამოყენებული განმეორება, ალიტერაცია, ასონანის დასხვ.

**ალიტერაცია.1. „ბზინავდნენ, ბრწყინავდნენ წყლის ბრილინანტები მწვანეზე, მოლზე, ცაცხვების ფოთლებზე (1.გვ.1480).**

„რა პატარა ბუდე ყოფილა! დაბალი-ჭადრები, და ალვის ხები. და მოკლე სიცოცხლის ნახევარი გზა(1.გვ.148).“

„ნკმუტუნით, ნივილით, ღრიალით გაიქცა თავის კუდიან დედასთან (1.გვ.147).“

„დაიქშინა. დაილმუვლა. დაიფრუტუნა და ქარიფარატით, ბარბაცით დაეცა მინაზე (1.გვ.146).“

ასონანის (ხმოვანთა გამეორება):

„აწრიალდნენ, აწრიპინდნენ კოპიტის კიბის საფეხურები(1,გვ.147).“

„პატარა ზარები გამხნევდნენ. აწკრიალდნენ ხელმეორედ, აულარუნდნენ, ამღერდნენ, კოტრიალით გადაირბინეს ცაცხვების, კოპიტების ალვების მღელვარე ქოჩირზე“(1.გვ.148).

„მოვარდა ქარი ქლოშინით, აქოჩილი, ხახადა-ლებული ძუ მგელი ექერა სამრეკლოს, შეანჯლრია, შეატორტმანა“(1.გვ.148) და სხვა მრავალი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ აქ ყოველი სიტყვა ერთმანეთთან ბერეული თვალსაზრისით შეწყობილი და შეხმატებილებულია.

საგანი ან მოვლენა ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი და ერთმანეთს მიმსგავსებული რამდენიმე ეპითეტით, მეტაფორით ან სხვა ალმავალი თუ დაღმავალი მხატვრული ხერხითა დახასიათებული.

ზემომოტანილი ყველა მხატვრული ხერხი ევფონიური (ალიტერაცია-ასონანსური) იქნება ეს თუ სიტყვათა კეთილხმოვანი განმეორება-დამსგავსება, ხელს უწყობს ნოველის რიტმულ, მწყობრ მიმდინარეობას, რაც მკითხველს დიდ მუსიკალურ-ესთეტიკურ სიამოვნებას განაცდევინებს.

ეპითეტი. შეიძლება ითქვას, რომ ნოველის „ზარები გრიგალში“ ყოველი მეორე სიტყვა ეპითეტია. მნერალი განსაკუთრებით ხატოვან, რთულ ეპითეტებს არჩევს სათქმელის მკაფიოდ გადმოსაცემად: „უჯიათ მტერი“, „ჩხრიალა ზარები“, „ნებიერ უცოდველ ბავშვებს“, „ცოფიან ქარს“, „მღელვარე ქოჩირს“, „გაზაფხულის სქელ ჯიქანიდან გადმოსქდა მოზღვავებული წვიმა“, „ნაცემი, სველი ფრთა ძლივს გადაათრია და შავი ალამი დაეცა ველზე“, „დაჭრილი ნადირი გარბოდა სერზე, მშიშარა დიაცი ჩასაფრდა ხევში“; „ზარების ჯარები ფოლადის აბჯარში, მდევრები უშიშო, თავგამეტებული მისდევდნენ გრიგალის გაფრენილ მერნებს;“ „ცბიერად აპაჭუნებდა“;

წვრილსა და წიტიან თვალებს”; ”მთის ზურის გადალმა გადახტა ცეცხლისა გველი, გაბზარა, გაკანრა ცისფერი ეტრატი“; ”ამღერებდა, დაუანგულ, დამუჯჯებულ ზარებს“;

კონსტანტინე გამსახურდიას ხატოვან თქმებში ოსტატურად ჩაქსოვილია ათეისტურ გარემოცვაში მნერლის მებრძოლი, დაუდგრომელი სულისკვეთება და, რაც მთავარია, იმედი სულიერების დახსნისა (“რა მჩატე ყოფილა საბრალო მეზარე“)!.

**შედარება.** ვტორი განსაკუთრებით მოხდენილა იმარჯვებს შედარებებს. ამ მხვრივ ის ლირსეული მემკვიდრეა შოთა რუსთველისა და “ვისრამიანის” ქართული ვერსიის ავტორის სარგის თმოგველისა.

“უცოდველი მთვარე თეთრ ღრუბლების საგებზე იცინის, ვით ჩვილი იესო მწყემსების ბოსელში.” “მთელი თვე ეგდო წაქცეული სამრეკლო წმ. ზაქარიას ეკლესის ეზოში, როგორც მკვდარი ღმერთის უშველებელი, უპატრონო ლეში.”“არც ერთი ყურშა ძალი არ ისურვებდა ოქროპირასავით ცხოვრებას.” “მოვარდა ქარი ქლოშინით, - აქოჩილი, ხახადალებული ძუ მგელი.”

**შეტაფორა.** მეტაფორა არის ტროპის ისეთი სახე, რომელიც ერთ მოვლენას გვიხატავს მასზე მეორე მოვლენის თვისებების გადატანის საშუალებით და ეს “ერთი მოვლენა” ამოსაცონიბია. მოთხოვთაში “ზარები გრიგალში” მეტაფორა მკვეთრ და ცხოველ წარმოდგენას აძლევს მკითხველს საგნისა თუ მოვლენის შესახებ, რაც ემყარება მსგავსებას, შედარებას, ანალოგიას.

კონსტანტინე გამსახურდია მეტაფორების უბადლო ოსტატების: მერჩულის, სარგის თმოგველისა და შოთას ტრადიციის ბრწყინვალე განმგრძობია.

“ბუქ-ლურჯი ზეცა გაფხრინა ცისქარის ნათელმა ღიმილმა. აუშვა ავრორამ ცისფერი ეტლები, ეთერის უფსკერულში ტრიუმფით აჭრილმა”; „სადავე-მიშვებული ზარები მლეროდნენ, გალობდნენ, მთვრალი ანგელოზები, მიჰქროდნენ სულ მაღლა და გაიხსნა ნათელი, რძისფერი გზა მეზარესა და ცას შორის;“ „სულის გამყიდველი და სულნასულები შენთებზე სხედან, ხელმეორედ ცეცხლში მონათვლას ელიან;“ „ნაზი მიმქალი ღრუბლების მარმაში ილეკროს მარმაშით და ფოტერა მზემ;“ „და თალხმა ღრუბლებმა გზა მისცეს მთვარის კრისტალის კუბოს, რომელსაც თეთრი ბალდახინით მოასვენებდა მტირალი ქარი“; „ხარობდა ოქროპირ, მისი აღტკინებული სული ფოლადსა და რკინას აგალობებდა“; „ცას ღიმად გაეკრა ნათელი ზოლი“; „ცის კიდურს მოეხსნენ გაშლილი აფრები“; „მოვიდნენ მეზარის საფლავზე ათასი წლების მიცვალებული“; „გასდრიკა წელში მძლე გოლიათები“.

ხშირად მეტაფორა სხვა რომელიმე მხატვრულ ხერხში გადადის. ზემოთ მოტანილი მეტაფორები ჰიპერბოლა და გაპიროვნებაცაა.

**პოეტური სინტაქსი.** .გამსახურდიას ნაწარმოებთა რიტმს, მის დახვენილ და ჩამოყალიბებულ კონსტრუქციას ქმნის თხრობის ლაპიდარული სტილი.

ნაწარმოებში ხშირად რიტმის მარტივი წინადაღებები და დაუდგრომელი გადმოცველი, ზოგჯერ მხოლოდ ზმნებით გადმოცველი, ზოგჯერ მხოლოდ სახელდებით: “აწვიმდა სამრეკლოს.” “აწვიმდა საყდარს.” “ეკლესია დაიკეტი”; „მღვდელი გაიპარსა“; „რა მნათე, რა მებადური“; „დალიეს“. „იმძლავრა ქარმა“. „ატოკ-

დნენ, აბორგდნენ, აზვავდნენ, გაბრაზდნენ...” “ამ-ლერდნენ, აულერდნენ, აწრიალდნენ...” ”ლუწი და კენტი. კენტი და ლუწი”; “ორი ანგელოზი მიფრინავდა ეთერში”. “რა მჩატე ყოფილა საბრალო მეზარი”.

ავტორის ჩარევა მოქმედებაში ამჟღავნებს მის დამოკიდებულებას მოვლენისადმი. “არ ვიცი, სად წა-იყვანეს მნათე ოქროპირის საბრალო სული”. —ამ-ბობს მწერალი და დაამატებს, —“ჩემთვის ეკითხათ”.

“მე ვეტყოდი: ასწიეთ ადამიანი მაღლა, სულ მაღლა. .

.” მწერალი “აჯილდოებს” მნათეს და ახალი დროის მძაფრი ქარიშხლით მინაზე დანარცხებულს მაინცდა-მაინც შემოქმედის გვერდით მიუჩენს ადგილს, “რად-გან სიბნელეში დაბრმავებულმა ერთხელ მაინც იგ-რძნო აღტაცება და ექსტაზი დაიღუპა”.

და ბოლოს, ამ პატარა ნოველის მოქნილობა, დინამიკურობა, განუმეორებელი პოეტური ლექსიკა დამაჯერებლად “აცოცხლებს” სულიერებას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. მე-20საუკუნის ქართული მოთხოვნის ანთოლოგია, თბ., 2007
2. თ. კიკაჩევიშვილი, კ. გამსახურდიას მხატვრული პროზის პოეტიკა, 1985.
3. 6. ლემონჯავა, კ. გამსახურდიას ენისა და სტილის საკითხები, 1981.
4. თ. ინჯია, დიდოსტატის მარჯვენის სტილი”, დისერტაცია, 1998.

### Juleta dzadzua

#### Poetics of the story “Calls in the storm” by Konstantine Gamsakhurdia summary

K. Gamsakhurdia has an inexhaustible supply of artistic techniques. The writer rarely applies for simple either epithets, comparisons or metaphors. Also he seldom conveys the idea by means of a single sentence. Two, three or even more scented sentences and artistic expression, along with rhythm, euphonic contribute for great artistic expressiveness and hugely influenced upon a reader. The primary and the vital characteristic of Konstantine Gamsakhurdia's language is rhythm.

A speech unit of the writer's prosaic rhythm is proportionate without repetition, and creates an appearance of application of old Georgian Language features. An inversion form is more musical due to changed words' natural order and acuteness falls on the relocated word. It augments emotion and intensifies impression.

### ნანა ჯალალონია

### სიცილი – სულიერი თავისუფლება

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ადამიანს ათასი ფიქრი და აზრი უჩნდებოდა, რაც რასაკვირველია, დაკავშირებული იქნებოდა მისი ცხოვრების პირობებ-თან. ცნობილია, რომ მხატვრული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი განვითარების მანძილზე მწერ-ლები ხელმძღვანელობდნენ სხვადასხვაგარი შემოქ-მედებითი მეთოდით (1,69). მეოცე საუკუნის ქარ-თულმა ლიტერატურამ არაერთი ნაწარმოები იცის, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ყალბი შემართებით იყო შექმნილი. ბუნებრივია, რადგან ქართულმა ლი-ტერატურამ იცის პერიოდები, როცა მწერლის მიერ შექმნილი ნაწარმოები მკაცრ ცენზურას გადიოდა. მწერლები, რომლებიც ხელისუფლებისადმი ლია კონ-ფრონტაციის გზას იორჩევდნენ, არსებითად განწირუ-ლები იყვნენ ფიზიკური განადგურებისათვის, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, ნახავდა თუ არა მათი ნაწარ-მოები დღის სინათლეს. უფრო მეტიც, გარკვეულ ფა-ზაში ტოტალიტარული რეჟიმი მოქმედებდა პრინცი-პით-ვინც ჩვენთან არაა, ის ჩვენი ნინააღმდეგია და, შესაბამისად, მწერალიც დროდადრო იძულებული ხდებოდა ემტკიცებინა ბოლშევიკებისათვის, რომ ისიც ნამდვილად მათთან იყო-სამართლიანად შენიშ-ნავს კახაბერ ლორია (2,41). სინამდვილის, სიმარ-თლის ობიექტური ასახვა, ზუსტი ცხოვრებისული ამბის აღნერა მუდამ იყო პროგრესული ლიტერატუ-რული საგანძურის თანამგზავრი. თავი იჩინა მეტად

მნიშვნელოვანია თავისებურებამ; მწერლები იუმო-რით ცდილობდნენ გამოაშეკარავებას ცხოვრებისეუ-ლი ბნელი სურათებისა. მათ იუმორი- სიცილი გან-სხვავებული დოზითა და ფორმით გამოიყენეს, რო-გორც სინამდვილის ჭვრეტის საშუალება(3,170). „სა-ტირისა და იუმორისტული ლიტერატურა ძალიან მყაცრად ასახავს იმ ჭიდოლსა და ბრძოლას, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების წიაღში, საზოგადოებ-რივ ფერებს, კლასებსა და მათ წარმომადგენელ ცალ-კეულ პირთა შორის არსებობს. შეიძლება ითქვას, რომ სატირა და იუმორი ბრძოლის ერთ-ერთი სახეა, მართალია თავისებური, მაგრამ არანაკლებ გამანად-გურებელიც, ვიდრე თავდასხმის სხვა საშუალება. მო-ხერხებული და მიგნებული დაცინვა ობიექტის გაცამ-ტვერების, მისი უვარებისობის გამომჟღავნების ნაცა-დი და უტყუარი საშუალებაა”.(4,15). ზემოთ უკვე ნახ-სენები ვითარების გამო, ჩვენი ეროვნული მხერლო-ბისთვის მძიმე პერიოდი იდგა. მიუხედავად ამისა, მე-ოცე საუკუნის ქართველ მწერალთა სამოციანელთა თაობამ აქტიური მოქალაქეობრივი პათოსით შემოიყ-ვანა ლიტერატურაში ის გმირები, რომელთაც წარუშ-ლელი კვალი დატოვეს მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიაში. მათი ყურადღების ცენტრში უბრალო, რიგითი ადამიანები მოექცნენ, თავიანთი განცდებით, სიხარულით, სევდითა ადამიანური ყო-ფით.

"ლიმილით და სიცილით დაიმკვიდრა ადგილი ქართულ მწერლობაში ნოდარ დუმბაძემ. იგი იმ პლეა-დას ეკუთვნის, რომელიც ადამიანს ახალი სამყაროს შესწავლასა და შეცნობაში ეხმარება. დუმბაძე იუმო-რის დახელოვნებული ოსტატია. მისი პერსონაჟე-ბი(ზურიკელა, ბებია, ილიკო, ილარიონი და სხვები) თანაგრძნობითა და სიყვარულით მიიღო მკითხველ-მა. მათ მოიტანეს ურთიერთობათა სისადავე და სით-ბო გ. ასათიანი შენიშნავს, „მათ ოინებში, მათ მხია-რულ ლაზლანდარობაში იყო ბევრად უფრო მეტი ნი-შანი ნამდვილი ზნეობისა, ვიდრე ყველა პერსონიფი-ცირებული ეთიკური ნორმის, ყველა სამუდამოდ მო-ბეზრებული რეზონიერის „სანიმუშო ყოფაქცევაში“.

საინტერესოა თავად ნ. დუმბაძის აღიარება: „მე თავისუფლება მინდოდა და სიცილი ამიტომ ავირ-

ჩიე“. ამ სიტყვებში, ასათიანის შენიშვნით, დიდი და ამაღლევებელი აზრი დევს, რადგან სწორედ სიცი-ლით შეაყვარა მან თავისი გმირები მკითხველს, სიცი-ლით მიანიშნა ადამიანთა შეცდომების მრავალ სათა-ვეზე, მაგრამ ისე, რომ ყველა თავის მსხვერპლს გა-მოსავალი დაუტოვა, ნუგები არ გადაუწურა .”სიცილი ზოგჯერ ცრემლზე უარესიაო“-უთქვამს აკაკის. „გამ-კითხავი სიცილი ბასრ ხმალზე უფრო ჭრისო“- აღია-რა დიდმა ილიამაც. „სიცილი სულიერი თავისუფლე-ბაა-წერს გ. ნიშნიანიძე უურნალ „კრიტიკის“ ფურ-ცლებზე, ფარაონისათვის მონად არ ქცეულა, ბატო-ნისათვის-ყმად, მეცესლაშერობაში არ ხლება, არ დაუმშვენებია მისი ამაღა. არც ერთი მონარქის ქვე-შემდრომობა არ მიუღია. იგი ერთადერთია, ვისი ექ-სპლოტაციაც ვერ შეძლეს“. (5,134).

### გამოყენებული ლიტერატურა:

- 1). შ. რადიანი. მოგონებები და წერილები. 1976წ.
- 2). კ. ლორია. წითელი ჩრდილი. 2009წ.
- 3). ი. კენჭოშვილი. კრიტიკა. 1985წ.
- 4). გ ნიშნიანიძე „სატირა-რევოლუციის ჯარისკაცი“. კრიტიკა. 1987წ.
- 5). გ. კიკნაძე. თხზ. მე-2 ტომი, 2003წ.
- 6). გ. ასათიანი. კრიტიკული დიალოგები, .2007წ
- 7). გ. ასათიანი. თანამდევი სულები. 2007წ
- 8). ნ. გაფრინდაშვილი, მ. მირესაშვილი, ნ. წერეთელი. „სოციალური რეალიზმის განვითარების ეტაპები საქართველოში“. წიგნი მე-2.

### ლია ყანჩაველი

#### “სუბ-გორება” როგორც გოვითის საფუძველი ჩაღებული ნარმონაქმნი

ამ ბოლო დროს გონიერივი გადახრები თით-ქოს ნორმალურ კანონზომიერებად იქცა და ძირი-თადში მათი კულასიფიკაცია უფრო ფართოვდება, ვიდრე ადამიანის მდგომერეობიდან გამოყვანა და რეალურ სამყაროში შემობრუნება. როგორც წესი, ასეთი რთული პრობლემების გადაწყვეტა უკუჭვრე-ტას მოითხოვს გადახრის ქვაკუთხედის და წარმოშო-ბის მიზეზის მოძიებისათვის. მეორეს მხრივ, პიროვ-ნების პრობლემას განშტოებაც და ჩიხში მომწყვდე-ვაც თან სდევს, რის გამოც ის ჩაიცილება, ჩაიკეტება და გამოსავალს ვერ პოულობს ანდა არც სურს ამის მონახვა, რადგან შესაბამისი მსოფლმხედველობისა ან ჩვევის გამო ადაპტირებულად მიიჩნევს თავს „მე ასეთი ვარ“, „ცხოვრება თავის კანონებს კარნახობს“ და ”თავს ზევით ძალა არ არის“ პოსტულატების გამო. მაინც რატომ ხდება ძირითადში შედეგის მკურნალო-ბა და არა მისი გამომწვევი მიზეზის მოძიება და აღ-მოფხვრა.

ფსიქოლოგიის სხვადასხვა თერაპიები ეფექ-ტურ შედეგს იძლევიან, თუმცა ისინი ხშირად დროე-ბითია, რადგან ფსიქოთერაპევტის მიზანი პიროვნე-ბის სოციუმში ჩასმასა და დაბრუნებას უფრო გულის-ხმობს, ვიდრე მის მიერ საკუთარი თავის შეცნობას და გარემოს ისე მართვას, რომ მის უარყოფით გავლენის ქვეშ არ მოექცეს. ეს მდგომარეობა კი მიღწეული უნ-და იქნეს თვით პიროვნების მიერ აზროვნების ახალი, უფრო მაღალი განზოგადოებების და შესაბამისი შე-ფასებების და დასკვნების აღმოჩენით. შთაგონება და

რჩევები უფრო სხვისი იდეების ქვეშ დაქვემდებარე-ბას გულისხმობს. ლ. რონ ჰაბარდის მიერ მოწოდებუ-ლი კვლევის მეთოდიკები გონების „გახსნისა“ და გან-ვითარებისთვის მისი საწყისების ანალიზს და თერა-პიას გულისხმობს. ეს საწყისები „სუბ-გორების“ სახით თვით გონების ქვედა დონეზე არსებობს. სწორედ სუბ-გორებაა აბერაციების, არასწორი გაგება-დას-კვნების და ქცევის წყარო, რადგან ის უფრო დაბალ, უჯრედულ დონეზე მუშაობს, ვიდრე ადამიანი თავის გამაცნობიერ გონებად მიიჩნევს.

დ. უზაბის მიერ დაფუძნებულმა განწყობის თეორიამ გარკვეული მიზეზების გამო ვერ ჰპოვა სა-კადრისი განვითარება, თუმცა ჰაბარდისეულ ფართო განზოგადოებაში განწყობის თეორიის ადგილი, პირ-ველ რიგში, პიროვნების როგორც მთლიანობით გან-ხილვაში, აგრეთვე „ქცევის დასწავლის ნიმუშში“ და „ჩვევაში“ მოინიშნება. გონების ძირითადი კომპონენ-ტები კი არის: ანალიტიკური, რეაქტიული და სომა-ტური გონება. მათ ძირითადი ადგილი უკავიათ გონე-ბის ფუნქციონირებასა და მის ახსნაში.

გრძა ამისა, ფარდა ეხდება ეგრეთ წოდებულ „არაცნობიერს“, რომელსაც ავტორი მის დღეგანდელ გაებას სავსებით უარპყოფს, რადგან გონება როგო-რც ასეთი, ვერასოდეს ვერ იქნება არაცობიერი, თუ არ ჩავთვლით პიროვნების „უგონო“ მდგომარეობას, როცა ის გათანგულა მაღალი სიცხის, ალკოჰოლის, ანესტე-ზის და, მით უმეტეს, ნარკოტიკების და სხვა მიზეზების

გამო. “უგონო” მდგომარეობა ანალიზური გონების გა-  
თიშვის შედეგია და რეაქტიულ და სომატურ გონებაში  
პიროვნების გარშემო მომხდარის შესახებ ყოველგვარი  
დეტალის ჩაწერა ხდება იმ ინფორმაციის სახით, რომე-  
ლიც შემდგომში ადამიანის ფსიქიკაზე და მის ზოგად  
ჯანმრთელობაზე მოქმედებს.

ეს ფაქტი ავტორს მრავალწლიანი კვლევებითა  
აქვს ნაპოვნი და დადასტურებული, რაც მისი ჩანაწე-  
რები და დასკვნები და ორაპიის შემოთავაზებული  
მეთოდიკა ადასტურებენ. ამჟამად ყოველ ადამიანს  
შეუძლია საკუთარი გონების “საიდუმლოს მოჩერეკა”  
და, მით უმეტეს, საკუთარი უარყოფითი ქცევის მიზე-  
ზების ამოცნობა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი, თსუ, 1940 წ.

2. უznadze D. N. Психологические исследования. M., «Наука», 1966. 3.

ლ. რონ ხაბბარდ. Дианетика – современная наука о разуме. ნევ-ერა, 1950.

4. ლია ყანჩაველი. გაჯანმრთელების ახალი პერსპექტივები – კომპიუტერული ფსიქოლოგია. სამეცნიერო ძიე-  
ბანი, ტ. 2, 242. ჭავჭავაძის სახ. თბილისის უნივერსიტეტი, 2006.

5. ლია ყანჩაველლი. სულიერი (გონებრივი) ცხოვრების ახალი ასპექტები. ფ. გოგიჩაიშვილის სახ. თბილისის  
იურ.-ეკონომ. ინსტ. სამეცნიერო შრომები, ტ. 1, გვ. 235, თბილისი, 2008.

“სუბ-გონება” როგორც გონების საფუძველში ჩადებული წარმონაქმნი  
აკადემიური დოქტორი ლია ყანჩაველი  
რეზიუმე

ლ. რონ. ჰაბბარდის მიერ გონების საფუძველის ახსნისათვის “სუბ-გონების” ცნების შემოტანამ ავტორს  
როგორც ფსიქოლოგის, აგრეთვე ფსიქიატრიის და ფსიქოსმატიკის პრობლემების სფეროში მეტად ფართო  
განზოგადოების შესაძლებლობა მისცა. სუბ-გონებაზე, როგორც აბერაციის (ქცევისა და გონების გადახრების)  
შემცველ წარმონაქმნზე სპეციფიკური თერაპიის შედეგად ყოველგვარი შაგონების, რჩევის და წამლების გა-  
რეშეც კი მიიღწევა პიროვნების გათავისუფლება ყოველგვარი გადახრებისაგან.

“Sub-mind” as formation, depending on mind and laying in his basis

Academic Doctor Lia Kanchaveli

Resume

L. Ron Hubbard brought in the concept of “submind” to explain the fundamentals of mind and that let him made the wide generalizations in spheres of problems of psychology, psychiatry and psychosomatic illnesses. Treating the “submind”, that contains aberations ( behavior and mental aberations), with specific therapy improve the health of person without any medicine, suggestion and advices.



## ალმარ ლომიძე

### ართურ ლაისტი და საქართველო

წელს, 160 წელი სრულდება გერმანელი  
მწერლის, პუბლიცისტისა და მთარგმნელის,  
ქართველი ხალხის დიდი მეგობრის  
ართურ ლაისტის დაბადებიდან.

„საქართველოს სიმშვენიერე ისევე ძნელი ასა-  
ნერია და მიუწვდომელი, ვით უთვალავი თვალ-მარ-  
გალიტი აღმოსავლეთის საარაკო მფლობელისა. დი-  
ახ, ძნელია, მაგრამ ვისაც უყვარს საქართველო, მის-  
თვის სამურია მის სილამაზეზე ლაპარაკი“

ეს სიტყვები ეკუთვნის საქართველოს დიდ მე-  
გობარს, გამოჩენილ გერმანელ ქართველოლოგს,  
პუბლიცისტსა და უურნალისტს ართურ ლაისტს. უყე-  
ლაფერი კი იმით დაიწყო, რომ 29 წლის ლაისტმა,  
იტალიაში მოგზაურობისას გაიცნო თავისი თანამემა-  
მულე, ცნობილი გერმანელი პოეტი ფრიდრიხ ბოდენ-  
შტეტი. მას უმოგზაურია საქართველოში და აღ-  
ფრთოვანებით უყვებოდა ლაისტს მის შესახებ. სწო-  
რედ ეს გახდა მიზეზი ლაისტის საქართველოში ჩა-  
მოსვლისა.

კონსტანტინე ბალმინტმა „ვეფხისტყაოს-  
ნის“ თარგმნით მსოფლიო ასპარეზზე გაიტანა ქარ-  
თველ მწერალთა სახელი. ყველაზე ადრე უცხოელე-  
ბიდან მარი ბრისემ მიაქცია ყურადღება საქართვე-  
ლოს ისტორიას და კულტურას, შემდეგ იყო მარჯორი  
უორდორპი, რომელმაც ბევრი იღვანა საქართველოს-  
თვის... მაგრამ უნდა ითქვას, რომ პირველი, ვინც 80-  
იანი წლებიდან მთელი 40 წლის განმავლობაში, სიბე-  
რემდე ატარა საქართველოს ისტორიული წარსულის,  
ქართველი ერისა და მწერლობის სიყვარული, იყო არ-  
თურ ლაისტი — შეუცვლელი ელიტი გერმანიისა სა-  
ქართველოში. მოგვიანებით კონსტანტინე გამსახურ-  
დია ასე დაახასიათებს ართურ ლაისტს. „არტურ ლა-  
ისტი მოვიდა ჩვენთან როგორც მცოდნე, ცოდნას  
მოწყურებული და დარჩა ჩვენთან. მას შეუყვარდა ჰე-  
ლადური ცის ლავვარდი, ჩვენი მთების ამპარტავან  
ცასთან ჭიდილი და საქართველომ იგი დაატყვევა,  
როგორც ჯადოსნურმა ნიმფა — კალიფსომ ოდისეოს  
ზღაპრულ კუნძულზე. იგი 40 წელი იყო ჩვენს შორის.  
ხარობდა ჩვენის სიხარულით და იტანჯებოდა ჩვენის  
სატანჯელით, მღეროდა ჩვენს პოეტებთან ერთად“.

1881 წელს ლაისტი იწყებს ქართული ენის  
შესწავლას. ერთი წლის შემდეგ უკვე კითხულობს  
ქართულ ტექსტებს, თვალს ადევნებს ქართულ პრე-  
სას, რომელიც მას მეგობარი ქართველებისგან მოს-  
დის. პირველი ახლადშექრის მეგობართავანი იყო  
მწერალი და დარამატურგი დავით ერისთავი. მას ლა-  
ისტი ჯერ კიდევ ადრე იცნობდა თბილისურ და ჰე-  
ტერბურგულ გაზეთებში მოთავსებული შესანიშნავი  
ფელეტონებით. დავით ერისთავი დაეხმარა ართურს  
ქართული კულტურის, ქართველ საზოგადო მოღვა-  
ნეთა გაცნობაში. 1882 წელს ლაისტი წერილს უგზავ-  
ნის აკაკი წერეთელს „...მე მზატვრული სიტყვის მსა-  
ხური ვარ, ვწერ გერმანულად და პოლონურად. მინდა  
ვიტვირთო ინტელექტუალური ურთიერთობის დამყა-  
რება ამ ორ ერებს შორის“ და მან ეს შეძლო.

1884 წლის 1 ივნისს ართურ ლაისტი პირვე-  
ლად ჩამოდის საქართველოში. რეინიგზის სადგურზე  
მან მოწინებით ჩამოართვა ხელი ქართველი ხალხის  
დიდ შევილს ილია ჭავჭავაძეს, რომელსაც გარს ეხვია  
სტუმრის დასახვედრად მოსული ქართველ მოღვაწე-  
თა ჯგუფი. ამ პატივმა ააღელვა გერმანელი ახალგაზ-

რდა და თავისი სათქმელი ილიას სტრიქონებს მიან-  
დო:

„მამულო საყვარელო,  
შენ როსლა აყვავდები!“

სთქვა მისეული ქართულით და უცხოობის  
უხერხულობაც მაშინვე გაიფანტა დამხვდურთა და  
ჩამოსულს შორის.

იმავე სალამოს ილიამ ნადიმი გამართა სტუმ-  
რის პატივსაცემად, დაუპატივუა მას ცნობილი ქარ-  
თველი მოღვაწენი. სადილზე ილია ჭავჭავაძემ  
გრძნობით საესე სადღეგრძელო წარმოსთქვა. აი  
ისიც: „დღეს ჩვენს შორის ბრძანდება უცხო კაცი და  
სტუმარი, მარტო იმით, რომ სხვიდან მოსულა, ხოლო  
სულითა და გულით ჩვენი მახარობელია, ჩვენი თავი-  
სიანია, ამიტომაც ორნაირად სასიხარულოა მისი  
ჩვენს შორის ყოფნა“. ბოლოს ილიამ იმედიანად დაამ-  
თავრა თავისი სადღეგრძელო,... „,იმედია, რომ ამ სიყ-  
ვარულით ჩაგონებული პირუთვნელი სიტყვა ბატო-  
ნის ლაისტისა მოპფენს მთელს განათლებულს ქვეყა-  
ნას იმ ამბავს, რომ შორის სადმე არის ერთი პატარა  
სამოთხე, რომელსაც საქართველო ჰქვია და ამ პატა-  
რა სამოთხეში ცხოვრობს ერთი პატარა ერი, რომელ-  
საც უცემს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა,  
სიკეთისა და ბეჭინიერებისათვის, ღმერთმა აკურ-  
თხოს ბატონი ლაისტი“.

სტუმარს უთარგმნეს ილიას სიტყვები, მან კი,  
თავის მხრივ, უთხრა ილიას, რომ როცა მის ლექსს  
„მტკვრის პირზე“ გერმანულად თარგმნიდა, მაშინ  
რას წარმოიდგენდა, თუ იმავე მტკვრის პირზე მას-  
თან ერთად ნადიმად ჯდომა მოუხდებოდა.

იქნებ ართურ ლაისტი იმიტომაც დაუმეგობ-  
რდა ქართველ ხალხს და გულით შეიყვარა საქართვე-  
ლო, როგორც თავისი სამშობლო, რომ ზუსტად ისე-  
თივე ხასიათი შეუმუშავა თავისმა მშობლიურმა სი-  
ლეზიამ, სადაც იგი 1852 წელს დაიბადა. კუთხე, რო-  
მელიც საქართველოს მსგავსად მრავალფეროვანი  
იყო, ისედაც რაღაცით წაგავდა საქართველოს. ბალ-  
კანეთის მოის დაწყებამდე იქ თავი მოიყარეს რეაქცი-  
ულმა ძალებმა, იმძლავრა ძალადობამ, ამიტომაც  
იყო, რომ ახალგაზრდა ლაისტი ერთი ქალაქიდან მე-  
ორებში გადადიოდა, ბოლოს კი საქართველოში ჩამო-  
ვიდა.

საქართველოში ჩამოსულითანავე ართურ ლა-  
ისტი შეუდგა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას. თარგმნი-  
და ასევე ქართველი პოეტების ლექსებს.

1878 წელს ლაისტი წერდა გადასახლებაში  
მყოფ ქართველ პუბლიცისტს ნიკო ნიკოლაძეს. „ბა-  
ტონი! რამდენიმე ხანია ჩვენი ყურადღება დაპყრობი-  
ლია ქართველებისა და სომხების ინტელექტუალური  
ცხოვრებით. ამ ერების კულტურამ აღმაფრთოვანა. მე  
ვარ თანამშრომელი პირველხარისხოვანი გერმა-  
ნული გაზეთისა „ალლეგრიუნე ცეიტუნგ“ მეტად კმა-  
ყოფილად ჩავთვლიდი თავს, რომ გერმანელებს გა-  
ვაცნო ქართული ლიტერატურა“.

წიგნების გამოცემის მიზნით ართურ ლაისტი  
გერმანიაში პრუნდება. 1889 წელს ლაიფციგში გამო-  
ვიდა დიდი მოცულობის წიგნი „საქართველო, ბუნება,  
წეს-ჩვეულებები და მოსახლეობა“, 1903 წ. დრეზდენ-

ში გამოიცა დიდი ნაშრომი „ქართველი ხალხი“, პერიოდულად ლაისტი აქვეყნებს უურნალებში წერილებს ქართული ლიტერატურის შესახებ, ამავე დროს წერილებს აგზავნის საქართველოს სხვადასხვა გამომცემლობებში. მოგზაურობს ავსტრიაში, იტალიაში, თურქეთში და სამი წლის განშორების შემდეგ კვლავ საქართველოში ბრუნდება, ამჯერად სამუდამოდ ლაისტი განვირობს მუშაობას შესანიშნავ წიგნზე „თაგებუჟ ეინეს ვანდერერს“ (მოგზაურის დღიურები).

1906 წელს ართურ ლაისტი თბილისში მყოფ განათლებულ გერმანელებთან ერთად აარსებს „გერმანულ-ქართველთა კულტურულ საზოგადოებას“. იმავე წელს მისი ხელმძღვანელობით გამოდის გაზეთი „კავკაზიშებ პოსტი“. იგი იბრძეის საქართველოში ევროპული ტექნიკის გავრცელებისათვის. ამ მიზნით აარსებს სახელოსნო კურსებს, რისთვისაც სამშობლოდან იწვევს გერმანელ ისტატებს. დიდი ღვანძი მიუძლვის ლაისტს ნიჭიერ ქართველ სტუდენტთა გაგზავნაში გერმანიაში სასწავლებლად.

ლაისტი განუყოფელი წევრი გახდა ქართული საზოგადოებისათვის. იგი იყო ყველასათვის სასურველი სტუმარი, მეგობარი და თანამშრომელი. „ივერიის“ სხდომათა მონანილე. ქართველი მწერლები უიმისოდ არ გავიდოდნენ ქალაქებარეთ სანადიმოდ თუ სასეირნოდ. მისი საუკეთესო მეგობრები იყვნენ: აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, აკაკო გოგებაშვილი, თედო სახოვავა, ალექსანდრე ყაზბეგი, ვალერიან გუნია, ვანო მაჩაბელი, ნიკო ცხვედაძე, პეტრე უმიკაშვილი, ვაჟა-ფშაველა, გიგო გაბაშვილი და სხვები.

განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა ლაისტს ილია ჭავჭავაძესთან. ხშირად სტუმრობდა მას. განსაკუთრებით უყვარდა საგურამოში ყოფნა. აღლვებით იხსენებდა 1907 წლის 21 აგვისტოს, როცა იგი უკანასკნელად ესტუმრა ილიას საგურამოში. იხსენებდა ნათელ დღეს, ამაღლვებელ საუბრებს, პოეზიისა და სილამაზის შესახებ. ლაისტი ასე ახასიათებს ილიას: „... არა მარტო მისი მდიდარი აზრების პოეტური თვისება მიზიდავდა, მხიბლავდა აგრეთვე მისი ჰერანური შეხედულება კაცობრიობის შესახებ. ლაისტი გრძნობდა თითქოს, რომ უკანასკნელად ხედავდა მას. მართლაც, სამი დღის შემდეგ თბილისში დაბრუნებულმა გაიგო მეგობრის საბედისწერო სიკვდილი და მაშინვე გაემზავრა საგურამოში. ეს მეგობრობა ლაისტმა შეძლო ილიას სიკვდილის შემდეგაც დაემტკიცებინა. როცა ილიას ოჯახი გასაჭირო ჩავარდა, მისი მეუღლე ოლდა კი ავადმყოფობდა, 13 წლის განმავლობაში ლაისტის ოჯახი ეხმარებოდა და ანუგეშებდა მას. ილიასადმი მიძღვნილი ნანარმოებებით ა. ლაისტმა ერთგვარად ხარკი გადაუხადა მასთან მეგობრობას. მან მთელი რიგი წერილები მიუძღვნა ილიას: „ილიას გარეგნობა და ხასიათი“, „ილიასთან საუბარი“, „ილიას მახლობლები“, „ილია და

გლეხობა“, „ივერიის რედაქციაში“, „ერთი დღე სოფელში“ და სხვა.

ართურ ლაისტის მოღვაწებას საქართველოში უაღრესად დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა. ლაისტი გულით უყვარდა საქართველო, ჩვენი ხალხის სულიერი კულტურა, მისი ბუნება, პატივს სცემდა ქართველი ხალხის ადათ-წესებს. ახალგაზრდა ლაისტმა ფეხით შემოიარა საქართველოს თითოეული კუთხე და მოხიბლულმა ყოველ მათგანს მიუძღვნა წიგნი: „კოლხიდა“, „იმერეთი“, „კახეთი“, „საქართველოს გული“, „აღაზნის ველი“, „მთაწმინდა“, „მცხეთა“, ასევე წერილები: „პურადობა“, „ქართული სოფელი“, „ჩონგური“, „ურემი“, „ბაზარი“. აღსანიშნავა მისი წერილები ქართულ თეატრზე, მუსიკაზე, არქიტექტურაზე, ქართულ ეკლესია-მონასტრებზე, ხალხურ პოეზიაზე. იგი უმღეროდა საქართველოს ბუნებას, ზღვას, წყაროს, ქართულ იუმორს.

ცალკე წერილები უძღვნა ლაისტმა ქართულ ლიტერატურას, ქართველ პოეტებს, რომელთა ნანარმოებებიც მან თარგმნა. რაც კი უნახავს ა. ლაისტს საქართველოში მოგზაურობის დროს და ვისაც კი შეხვედრია, სამუდამოდ აღუნესსაც მეხსიერებაში და თავის შესანიშნავ მემუარებში. ქართველი ერი, რომელიც არ იყო განებივრებული უცხოელთა ყურადღებით, სიყვარულით მიაგებდა პატივს ლაისტს. ამის დასტურია 1922 წლის 22 ოქტომბერს ართურ ლაისტის ორმოცი წლის მოღვაწებობის აღსანიშნავი საღამო. საღამოზე სიტყვა ნარმოსთქვეს ქართველი ერის სათაყვანო შვილებმა. ზემში მონანილეობდნენ უცხოელები. საღამოზე ართურ ლაისტმა გაიხსენა ილიას 40 წლის წინ ნათქვამი სიტყვები: „ქართველმა იცის თავისანის დაფასება“.

მთაწმინდაზე, ძველისძველი სვეტებიანი სახლის ფანჯარასთან მოგონებების წერაში აღამებდა ართურ ლაისტი, დიდი მეგობრის ილიას გარდაცვალების 22 წლისთავი სრულდებოდა იმ წელს, მოხუცი ცოლ-ქმარი ლაისტები ჩვეულებისამებრ შებათ დღეს ავიდნენ საგურამოში ილიას ხსოვნის პატივსაცემად.

გაზაფხულის დამდეგს 1927 წელს, 75 წლის ართურ ლაისტი ფილტვების ანთებით გახდა ავად. იგი ლოგინად ჩავარდა და ადარც ამდგარა. სიკვდილის წინ მეგობრებს სთხოვა, ნაწერები შემინახეთო. მთელს ევროპაში ნატარებ ფურცლებს შორის ერთი ასეთი ფურცელიც ერია: „მაპატიე, ჩემო პატარა, სამშობლოს ნაცვალო საქართველო, თუ ჩემი მწირი ღვანძლით ლირსი არა ვარ შენს წმინდა მიწაზე დასაფლავებისა.“

ქართველმა ხალხმა დიდი პატივი მიაგო ართურ ლაისტს. ლირსულად დააფასა მისი ნაღვანი ქართველი ერის წინაშე. ლაისტის ნეშტმა სამუდამო განსავენებელი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ჰპოვა.



## თანამდებობი

**ნაწყვეტი უურნალიდან „Bibliotheque Nationale de Paris“ : 1999 ან.  
რეფერირებული თარგმნა მარინა სხირტლაძისა.**

**‘all the Source of the National of Paris’ represents an abstract translation from the French journal done by Marina Skhirtladze. A short history of the foundation of the National Library of Paris up to XIX centry is given in this work.**

### პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის სათავეები

ამ უძველესი კულტურული დაწესებულების სა-  
თავეები მეტად მისტიკურია. შარლ V-დან (1364-1380)  
მოყოლებული ფრანგი მეფეები თავიანთ ბიბლიოთე-  
კებში წიგნების კოლექციებს აგროვებდნენ.

შარლემბის თავის სასახლეში ექს-ლა შაპელში  
უკვე საკუთარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. ლუ ლევი მოს-  
სავი და შარლ მელოტი თავის მხრივ ცდილობდნენ  
ძვირფასი ტექსტების გაფერადებას, რომელთაგან  
ბევრი შემდგომში ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებ-  
ში გადავიდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს ფაქტიც,  
რომ ფრანგ მეფეთა პირველი კოლექციები, მაგალი-  
თად, წმინდა ლუისისა, მათი სიკვდილის შემდეგ იყარ-  
გებოდა. როცა შარლ მებუთემ, 1365 წელს ლუვრის  
ერთ-ერთ შტომი საკუთარი ბიბლიოთეკა დაარსა,  
სწორედ ამის გამო სათავსოს კედლები ჰოლანდიური  
მუხის ჰანელით გაამაგრებინა, ხოლო თაღი — კვიპ-  
როსის ხისგან დაამზადებინა, ფანჯრებზე ტილო გა-  
დაჭიმეს, რომელიც ინტერიორს იცავდა „ჩიტებისა  
და სხვა რამისგან“. ბიბლიოთეკის მცველად მუშაობ-  
და თავად მეფის ნდობით აღჭურვილი პირი — უილ  
მალე, რომელიც ინვენტარიზაციას ანარმობდა. 1380  
წლისთვის ბიბლიოთეკაში უკვე 917 ტომი ინახებოდა.  
შარლს ჩI-ის (1380-1422) დროს ეს ტომები ვინძე  
ნარჩინებულმა ინგლისელმა შეისყიდა. ბიბლიოთეკა  
გადატანილ იქნა ინგლისში 1429 წელს, რის შემდეგაც  
იგი უკვალოდ დაიკარგა. ასე რომ, ყველაფერი თავი-  
დან იყო დასაწყები.

მხოლოდ ლუი XII-ის მეფობის (1461-1483)  
წლებში გახდა შესაძლებელი ბიბლიოთეკის უწყვეტო-  
ბის დაცვა. შეკრებილი კოლექცია მისი ვაჟის შარლ  
VIII-ის შემდეგ აღარ დაფანგულა, რაც უდავოდ ამ მო-  
ნარქის მიერ ბიბლიოთეკის დიდ მზრუნველებაზე მეტ-  
ყველებს.

მოგახსენებთ, რომ შუა საუკუნეების პერგამენ-  
ტები საუკეთესო ოსტატების მიერ თავდადებული  
შრომით შექმნილი უძვირფასესი წიგნებია. ლუი XI-ის  
ბიბლიოთეკაში ასეთ პერგამენტებთან ერთად ინახე-  
ბოდა 1370 წ. ფლორენციაში გადაწერილი და მოხა-  
ტული ბოკაჩიოს „დეკამერონი“. მეფის ფავორიტის –  
მხატვარ უან ფუკეს მიერა მოხატული სენ მიშელის  
ბრძანებათა წესდებები, რელიგიური წიგნები, კლასი-  
კოსი ავტორები თაროზე მათ გვერდზე ენყო იმდო-  
ინდელი ასტროლოგიური რუკებიც.

სტამბის განვითარების შემდეგ სამეფო ბიბლი-  
ოთეკა აგრძელებდა ფონდების შევსებას ძველი ხელ-  
ნაწერებით, რომელიც სწავლულთა სამუშაო იარაღს  
წარმოადგენდა. სპეციალური მისიების შედეგად მო-  
პოვებულ იქნა არაბული, ებრაული, ჩინური და შორე-  
ული აღმოსავლეთის ქვეყნების დოკუმენტური მასა-

ლები. პირველი უცხო ხელნაწერები ბიბლიოთეკაში  
შემოვიდა 1700 წელს – მექსიკური, 1717 წელს – რუ-  
სული. რაც შეეხება დასტამბულ წიგნს, ბიბლიოთეკა-  
ში იგი უცებ არ მოხვედრილა. 1645 წლის ინვენტარის  
მიხედვით, ბიბლიოთეკაში ფონდებში ირიცხებოდა  
1329 დასტამბული წიგნი. ბეჭდური წიგნის ილუსტრა-  
ცია ხეზე შესრულებული გრავიურის დახმარებით XVI  
საუკუნიდან ხელს უწყობს გრავიურის მოდიფიცირე-  
ბას. 1667 წელს ბიბლიოთეკაში შემოვიდა მიშელ დე  
მაროლის კოლექცია, რომელიც მოგვიანებით გახდა  
ტიფრის კაბინეტის სიამაყე.

შუა საუკუნეებიდან ფრანგი მეფეები თავიათ  
სასახლებში მონეტებს, სმკაულებს და სხვა ნივთებს  
აგროვებდნენ. შარლ IX დაარსა კაბინე დე მეტაი –  
მედლების კაბინეტი, რომელიც რელიგიურ ომებს შე-  
ენირა. შემდგომ ის ბიბლიოთეკისგან დამოუკიდებ-  
ლად აღდგენილ იქნა VI-ის მიერ. ეს დაცული კო-  
ლექცია ლუვრში საკმაოდ გაიზარდა და 1666 წელს  
სამეფო ბიბლიოთეკას შეუერთდა, რომელიც მაშინ  
ვიკიენის ქუჩაზე მდებარეობდა. ლუ ლუ დაცული  
მფარველობდა ამ ძვირფას კოლექციას და 1684 წელს  
იგი ვერსალში გადაატანინა, თუმცა ზედამხვედვე-  
ლობა მასზე ისევ ბიბლიოთეკას ევალებოდა.

ბიბლიოთეკების კოლექციების გაზრდის ძირი-  
თადი პირობა ლეგალური შენატანი იყო, რომელიც  
მონპელიეს მიერ 1537 წლის 3 დეკემბერს ბრძანებუ-  
ლებით დაწესდა. ეს ბრძანება გამომცემლებს ავალ-  
დებულებდა მათ მიერ დასტამბულებული ყველა ბეჭ-  
დური ნაწარმოებებიდან ორი ეგზემპლარის გაზავ-  
ნას ბლუას შატოს ბიბლიოთეკაში. ეს რევოლუციური  
მოთხოვნა ერთაშად არ იქნა მიღებული, თუმცა 1624  
წელს ბრძანებულება კვლავ განახლდა და ახლა უკვე  
წიგნით მოვაჭრებს აკვრძალათ გაეყიდათ ისეთი  
წიგნი, რომლის ორი სავალდებულო ცალი არ იქნებო-  
და დაცული ბიბლიოთეკაში. 1672 წელს ეს წესი გავ-  
რცელდა ესტამპებზეც და 1745 წელს – მუსიკალურ  
ნოტებზეც.

მეტად საინტერესოა ბიბლიოთეკის მუშავთა  
დამოკიდებულება მკითხველებთან მიმართებაში. 1692 წლამდე ბიბლიოთეკით სარგებლობა დასაშენები  
იყო მხოლოდ სწავლულთათვის, მაგრამ მკითხველთა  
რაოდენობის ზრდამ გადაწყვეტა საჯარო ბიბლიოთე-  
კის ფონდების ფართო მასებისთვის გახსნა. თავდა-  
პირველად ეს ხდებოდა კვირაში ორჯერ, თუმცა მალე  
(1706), ეს ექსპერიმენტი შეჩერდა ერთი ტომის მო-  
პარვასთან დაკავშირებით (ეს არის საფრანგეთის  
ბიბლიოთეკების ისტორიაში ქურდობის პირველი შემ-  
თხვევა). შეცნიერები ბიბლიოთეკებით სარგებლობას  
კვლავაც განაგრძობდნენ.

ბიბლიოთეკის ფონდების ზრდამ დღის წესრიგში დააყენა ყველა დოკუმენტის კლასიფიცირებისა და მათი კატალოგიზაციის აუცილებლობის საკითხი. პირველი სახელმძღვანელო ბიბლიოთეკათმცოდნებაში დაწერილ იქნა 1627 წელს აბრიელ ნოდეს მიერ. ნიკოლა კლემენტი, რომელიც 1670 წელს სამეფო ბიბლიოთეკას ჩაუდგა სათავეში, ბეჭდური წიგნების კლასიფიკაცია მოახდინა. მის მიერ ნაშრომშები დაყოფილი იყო 23 კლასად. თითოეული მათგანი წარმოდგენილი იყო 23 კლასად. თითოეული მათგანი წარმოდგენილი იყო ანგანის ასოთა რიგის მიხედვით: 1 – 4 რელიგიისათვის, 2 – იურისპრუდენციის, 3 – ისტორიის, 4 – ფილოსოფიის. მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურისათვის. ხელნაწერები იყო დაყოფილი ენებისა და შინაარსის მიხედვით.

განმანათლებლობის სახელით ცნობილი მე-18 საუკუნე ოქროს ხანა იყო ბიბლიოთეკისათვისაც. საინტერესოა აბატი ბინიონის მოღვაწეობა სამეფო ბიბლიოთეკაში. იგი იღებდა რა სხვადასხვა კოლექციებს კერძო ბიბლიოთეკებიდან, ზრდიდა ბიბლიოთეკის ფონდებს და, რაც მთავარია, მან მოახერხა თავისი ადგილი მიეჩინა ბეჭდური წიგნის, ხელნაწერების, მედალიონების, გრავიურებისა და ესტამპებისათვის, უფრო მეტიც – მან 1720 წელს მეფეს სამეფო სტამბაში დაბეჭდილი ბიბლიოტეკის კატალოგების პირველი ტომი წარუდგინა. 1720 წელს საბიბლიოთეკო საბჭოს გადაწყვეტილებით, ბიბლიოთეკის კარები ფართო საზოგადოებისათვის კვირაში ერთხელ დია გახდა, რაც თავისთავად ბიბლიოთეკის საჯაროობის წინაპრობა იყო.

1741 წელს აბატი ბინიონი პენსიაზე გავიდა, მისი წასვლის შემდეგ ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდნენ აბატი ბარტელში (მედალიონების მცველი) და უგეს – ადრიან უოლო (ესტამპების მცველი), რომლებმაც თავიანთი საქმიანობით ბიბლიოთეკაევროპელ სწავლულთა ცენტრად გადააქციეს. ისინი ინტენ-

სრიურად მუშაობდნენ ფონდების გაზრდაზე და არ-სებული ლიტერატურის დაცვაზე.

საინტერესოა ბიბლიოთეკის თანამდებობის მსურველთა პირობები. პირველ პირობად ბიბლიოთეკარის განსწავლულობა, თავმდაბლობა და საქმისადმი ერთგულება იყო მიჩნეული. ბიბლიოთეკის დირექტორს კი ირჩევდნენ რვაკაციანი მცველისგან შემდგარი საბჭოს თანხმობის შემდეგ. დირექტორი უშუალოდ ეკვემდებარებოდა შინაგან საქმითა მინისტრს.

საეკლესიო ქონება, რომელიც სხვადასხვავარი შინაარსის გამზ განაწილებული იყო მუზეუმებსა თუ ეკლესიებს შორის, 1789 წლის ნოემბერში სამეფო ბიბლიოთეკას გადაეცა. გადაცემულთა სიაში შედიოდა სორბონის ბიბლიოთეკის 29 800 ბეჭდური და 2000 ხელნაწერი, სენიექტორის სააბატოდან ბიბლიოთეკაში მიიღეს 3000-ზე მეტი დოკუმენტი, რომელთა შორის იყო იმ დროის გეოგრაფიულ რუკათა მშვენიერი კოლექცია. მეორე დიდი პიროვნება, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა სამეფო (შემდეგ ეროვნული) ბიბლიოთეკის ისტორიაში, ეს გახლავთიოსებ ვან პრაე (1754-1838). იგი ბიბლიოთეკაში 1784 წელს მივიდა და 1838 წლამდე იმუშავა. მისმა დაულალავშა შრომამ შედეგი გამოიდო: 1794 წლისათვის ბიბლიოთეკის ნაბეჭდ წიგნთა რაოდენობა 12 500-ს წარმოადგენდა. დირექტორი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა წიგნების აუქციონერებში, სადაც არ უნდა ჩატარებულიყო ვაჭრობა ქვეყნის შიგნით თუ გარეთ. ისეს ვან პრაე მშვენიერ გემოვნებას ამჟღავნებდა. ბრწყინვალედ იცოდა რა ბიბლიოთეკის ფონდები, მისი გამდიდრებისათვის განსაკუთრებულ ეგზემპლარებს იძენდა და უკვე XIX საუკუნის 30-იან წლებისათვის დღიდან ბიბლიოთეკის დაარსებისა ფონდების გაორმაგება აღინიშნა. XIX საუკუნემ ახალი მიზნები და ამოცანები დაუსახა ბიბლიოთეკას და ბიბლიოთეკარებს, მაგრამ ეს უკვე სხვა დროისათვის შემოგთავაზებთ.

## თინათინ ხოხობაშვილი

DhD: Tinatin khokhobashvili (Patronumic: Gurami)  
Tel: 598-34-01-15. 551-55-52-35 E-mail: [tiniko.xoxobashvili@mail.ru](mailto:tiniko.xoxobashvili@mail.ru)  
Bio Diversity

## Natural reneval of Chestnutree (*Castanea sativa*) in Lagodekhi State Reserve

Lagodekhi protected areas is located on the eastern part of Georgia, exactly in lagodekhi District. It was announced by the initiative of Russian scientist R. kuznecov in 1912 year [2]. At first was stretched on 17,818 hectare. From which 12,146 hectare was covered by forest bot the rock area was 593 hectare [2]. According to the law in 2003 year, two protected areas were created on based of lagodekhi State Reserve. Lagodekhi State Reserve ehich was stretched on 22,266 hectare and Deprived area of Lagodekhi stetched on 1,992 hectare.

Four rivers source takes place on lagodekhi protected area in high mountain: Ninoskhevi, lagodekhi water and Land water which flows at the border of georgia end Azerbaijan. These rivers make some spillways and waterfalls. The most noteworthy is waterfall of Ninoskhevi. (Which is located in the village Gurgeniani. Its high exceeds tens of meters). There are some lakes In the Alpine belt Which is origin by Glacier. The deepest one is Black rock

lake. It flows at the border between Georgia and Russia and high is 14 meters.

Lagodekhi Protected area high varies between 400-3500 meters above the sea level [2]. The altitude difference is more than 2600 meters. This peculiarity of the nature has led to the diversity of flora and fauna in the Reserve where the dominant Plants are Beech and Hornbeam. Beech occupies 8,843 Ha. and Hornbeam occupies 2326 Ha.[2]. in Lagodekhi state Reserve.

Chestnut is tertiary origin Relict-cal species. It is distinguished by its thousands years unique timber. Its timber is strong and durable. Because of the unmethodical exploitation by population for ages its distribution areal is sharply reduced. That is why the Chestnut is included in IUCIN Red List. From the 11th type of Chestnut we can meet only one type in Georgia Castanes sativa Mill [3]. In Lagodekhi State Reserve the Chestnut growth in natural way.

It grows on altitude is 200-1200m. But we can meet it on altitude 1400-1500m as some individual types. [3]

Chestnut is light-loving deciduous plant. It grows very well on clay soil of Humus. Often we can meet it of stony and sandy soil. Chestnut high is 35m and its Diameter reaches to 1,5 m.

Chestnut tree forests are very important ecologically for nature. Except ecological needs it is widely used in agriculture and carpentry. That is why it has scientist and practical importance to renewal chestnut tree forests naturally and research their nowadays development. It enables us to twig to the biological mechanism which leads to formation and development regularities of chestnut tree.

The aim of our research was to find out Beech natural renewal in Lagodekhi state reserve park.

The research was held on the geographical coordinates N=43.05.942; F- 45.23.266. The land area is 10 x10.

The relief is characterized by diversity on the 700 m. high above the sea level on the eastern exposition slope. It shakes between 10-15%. The depth of soil is 40-45 sm.

In the dead-covering we meet leaves and small branches which coverage is approximately 80%. The number is 1000-1200mm of annual precipitation but average annual temperature doesn't exceed to 13 degrees.

Based on our research we can conclude that in studying area we mainly meet stands of adult chestnut tree, which amount is 45 trees. Adolescent chestnut tree amount is 37, but browses are 9. According to recent data Lagodekhi state reserve – park chestnut tree door characterized by natural renewal which is mainly the result of the plentiful harvest of seed and also of good mode of protection of nature reserve.

### Literature

1. Lagodekhi protected areas. Field guidebook. Tbilisi 2007, page 16.
2. R. Kvachavadze Plants of Lagodekhi state reserve. Tbilisi 1999, page 4, 5, 27.
3. „Metsniereba da technologiebi” („science and technologies”)  
Monthly scientific-reviewed magazine  
Of Georgian national academy of sciences Tbilisi 2011, N 4 – 6, page 83.

### R e s u m e

The article discusses the natural renewal of chestnut tree in Lagodekhi state reserve-park. The research was held on Geographical coordinates N=43.05.942; F- 45.23.266. Land area 10x10. The important results are stated. According to recent data Lagodekhi state reserve-park chestnut tree door characterized by natural renewal which is mainly the result of the plentiful harvest of seed also of good mode of protection of nature reserve.



## მეტნიურებები

### მანანა კვატაია

#### ამპივალენტურობა ენიგმისა

გრიგოლ რობაქიძის “ადოლფ ჰიტლერი, ერთი უცხოელი პოეტის მიერ დანახული” მწერალმა, მისივე მითითებით, 1938 წელს დაწერა და 1939 წლის შემოდგომაზე გერმანიაში გამოაქვეყნა. ჩვენში ათწლეულების მანძილზე აკრძალული ეს სკანდალური ტექსტი ქართველმა მკითხველმა მშობლიურ ენაზე ძალზე დაგვიანებით იხილა: მისი შორენა შამანაძისეული თარგმანი 1995 წელს დაიბეჭდა, 2006 წელს კი წიგნი სელახლა დალი ფანჯიკიძემ თარგმნა და გამოსცა (ის მეორედ 2010 წელს დაისტამბა).

ვერ ვიტყვით, რომ “ადოლფ ჰიტლერი” გრ. რობაქიძის საუკეთესო თხზულებათაგანია. ჩვენი აზრით, ესაა წიგნი-ენიგმა, რომლის ამბივალენტური, ალეგორიული პლანი განსაკუთრებულ დაკვირვებას ითხოვს. ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია თვით ავტორის დეფინიცია: “საბჭოთში მე მომნათლეს “ფაშისტად”, ესეც სინამდვილეს ენინაალმდეგება. “წიგნი ჰიტლერზე”? ეს წიგნი “პითაგორეული” გეგმებითაა აგერცული. მოკლედ: აქ ნაციონალისტურ-სოციალისტური მსოფლებელია სრულიად შენგრეულია შინაგან.. ომის დერლიონში ვიღას ეცალა ნიუანსების ამოცნობისათვის?” (იხ. გრ. რობაქიძე. “გულნადები”, წერილი ქართველ მწერლებს).

“ადოლფ ჰიტლერის” ტექსტი იმითაცაა ლირებული, რომ მასში ძალზე ორიგინალურადაა წარმოდგენილი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის მსოფლიოს ბედისტერად ქცეული დიქტატორის პიროვნული პორტრეტი და სილრმისეულადაა გააზრებული მისი რთული ფენომენი.

ახლადმოვლენილი ბელადის პიროვნებით გრიგოლ რობაქიძის დაინტერესება არ იქნებოდა შემთხვევითი. მსგავსი შემოქმედებითი სტილისა და მანერის მწერალი, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლიდა უსაზღვრო გავლენისა და ძალაუფლების მქონე ფაშისტთა წინამდლოლის ფენომენს, რაც, ბუნებრივია, არ წინავს რობაქიძის “ჰიტლერიანელობას”. როგორც მწერლის თანამედროვენი, ისე მკვლევრები ერთხმად აღნიშნავენ, რომ გრიგოლ რობაქიძე ჰიტლერს პირადად არასილეს შეხვედრია, “არც იმ უთვალავ მიტინგსა და კრებას დასწრებია, რომელზეც ფიურერი გამოდიოდა” (ბაქრაძე 2004: 177). ამას ადასტურებს ამ ბოლო ხანებში გამოქვეყნებული “ჩემი განმარტებაც”, რომელიც მწერალს 1947 წელს გერმანულ ენაზე დაუწერია: “მე ის ფიზიკურად არასილეს მინახავს. მაგრამ ამის მაგიერ ჩემ წინ მისი ურიცხვი ფოტოსურათი ელაგა” (გაგნიძე, შუხარდი 2011: 258). ამასთან, რობაქიძე თავადაც მიუთითებდა, რომ მეორე მსოფლო მომის წლებში მას გესტაპო მუდმივად მეთვალყურეობდა.

“ადოლფ ჰიტლერი, ერთი უცხოელი პოეტის მიერ დანახული” გერმანიაში ფართოდ გავრცელებულა. მარგრეტ შუხარდის ინფორმაციით, 1939-1945 წლებში აქ მისი 112.192 ეგზემპლარი გაყიდულა. თუმცა ამ სკანდალურმა თხზულებამ გრიგოლ რობაქიძეს დორებით წარმატებასთან ერთად მრავალი უსიამოვნება მოუტანა.

ცნობილია, რომ გამოჩენილი პიროვნებების მხატვრულ-ესეისტურ ბიოგრაფიებს მწერალი საქართველოში მოლვანების პერიოდშიც ქმნიდა. 1919 წელს თბილისში რუსულ ენაზე ცალკე წიგნად გამო-

ცემულა მისი “პორტრეტები”. ესეების კრებული “დემონი და მითოსი” (იენა, 1935 წ.) სტალინის, ნეფერტიოტისა და გრეტა გარბოს პიროვნული არსის შეუდარებელ დახსასიათებას ვთვავაზობს. ნიცშეს, რასპუტინისა და სხვათა ესეებისტური პორტრეტები უცხოეთში, რობაქიძის არქივში დაცულ თხზულებებში ყოფილა წარმოდგენილი. თანამედროვეთა გამორჩეული სახეები გამოქვერწა მწერალმა რობაქიძიც.

გრიგოლ რობაქიძის გერმანული გარემოცვისათვის მისი შემოქმედებითი ოსტატობა ცნობილი გახლდათ და, დაბეჯიორებით ვერ ვიტყვით, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ “ადოლფ ჰიტლერი”, ისევე, როგორც შემდგომ “მუსოლინი”, მას გერმანიის დაინტერესებულმა წრებებმა დაუკვეთეს. ამას ნოდარ კაკაბაძის ცნობაც გვაფიქრებინებს. მის ნაშრომში “გრიგოლ რობაქიძის გერმანული პორტრეტი” მოტანილია წანყვეტი წიგნის ზომბარტის მოგონებათა წიგნიდან (გერმანიას თავშეფარებული გრ. რობაქიძე მისი მშობლების ლიტერატურული სალონის ხშირი სტუმარი გახლდათ და ზომბარტი მწერალს ბავშვობისას პირადად იცნობდა): “გრიგოლის ამ წიგნს მოულოდნელი, ჩვენთვის კი არასასურველი წარმატება პერნდა. გიობელსმა ეს წიგნი შეიტანა პარტიის მიერ რეკომენდებულ წიგნთა სიაში. გაყიდა წიგნის ასი-ათასობით ეგზებმბლარი. გავიგეთ, რომ გიობელსმა “უცხო მწერალი” პროპაგანდის სამინისტროში მიინვია.. უფრო მეტიც, მან მიიღო დავალება მსგავსი წიგნი მუსოლინიზეც დაეწერა, რაც მან შეასრულა კიდეც. რობაქიძეს რომში აუდიენცია გაუმართეს, ომის დროს კვირეუბის განმავლობაში ცხოვრობდა კაპრიზე, იტალიის მთავრობის ხარჯზე. აქ მან დაწერა მუსოლინიზე წიგნი... ეს წიგნიც შევიდა პარტიის ბიბლიოგრაფიაში. რობაქიძე ამით წელში გაიმართა” (კაკაბაძე 1992: 227). იმავე ნ. ზომბარტის მითითებით, “ჰიტლერში გრიგოლ რობაქიძე რუსი ბოლშევიკ-კომუნისტებისაგან დამონებული საქართველოს პიპოთეტურ განმათავისუფლებელს ხედავდა” (ბაქრაძე 2004: 168).

თუ გრიგოლ რობაქიძის “ადოლფ ჰიტლერის” ტექსტს დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ავტორი ზომიერტის დაცვას ცდილობს: ფაშიზმის ან თავად ჰიტლერის ბრძანების პარტიის გვევლინება (თხზულების გმირის აშკარა პანეგირიკული ეპითეტებიც კი არსად გვხვდება), სათქმელს ხშირად შეტაფორულა, მითოლოგიური თუ ფილოსოფიური წიაღსვლებით ნიღბავს. რობაქიძის მთავარი მიზანი ამ უდავოდ გამორჩეული პიროვნების ქარიზმის, მისი შინაგანი, მისტიკური სახის კვლევა და გამომზეურება. უფრო მეტიც, სურვილისა და შესაძლებლობის შემთხვევაში, დაკვირვებული მითხველი თხზულებაში გმირის პიროვნებიდან მომდინარე იმ “საფრთხეებსაც” შენიშნავს, რაც, შეგნებულად თუ არაცნობიერად, მწერალმა სტრიქონებს შორის იგულისხმა (ამას ის მოგვიანებით თავის “განმარტებაშიც” მიუთითებს).

დამაფიქრებელია თხზულების დაწერის თარიღი: 1938 წელი. ეს ჰიტლერის პიროვნები ზეობის ბელიც გახლდათ. დოკუმენტური მასალის გაცნობა ცხადყოფს, რომ იმდროინდელი მსოფლიოს გარევეული ნაწილი აღფრთოვანებული იყო გერმანელი ჯიურერის მოულოდნელი ელვისებური წარმატებებით, პიროვნები ნიჭით, სიძლიერითა და უკომპრომისო-

ბით. მართლაც, ჰიტლერმა და მისმა მომხრეებმა „ექვსი წლის ბატონობის მანძილზე (1933-1939) ვერსალის შემდეგი პერიოდის „გერმანული არარაობა“ უძლიერეს სახელმწიფოდ აქციეს... 1933 წელს მათ თითქმის არავითარი შეიარაღება არ ჰქონდათ... 1939 წელს კი მთელი ევროპა შეაზანზარა გერმანული იარაღის ძალაში“ (კვესელავა 1991: 152). ჩემბერლენს განუცხადებია: ამგვარი ნებისყოფისა და ძლიერი სულის ადამიანი ინგლისისაც სჭირდებათ.

მეტიც, ამერიკულ ურნალ „ტაიმს“, თითქოს-და საბედისწერო წინასწარმეტყველებით, 1939 წლის 2 იანვარს გერმანელი ფიურერი დაუსახელებია 1938 „წლის ადამიანად“, რომელიც დამდეგ, 1939 წელს, ისეთ რაიმეს გააკეთებდა, რაც კაცობრიობას დიდხანს ემახსოვრებოდა („წლის ადამიანის“ საპატიო წოდება მანამდე მხოლოდ თეოდორ რუზველტსა და მაჲთმა განდის მიუღიათ) (როზანოვი 1991: 21). შევნიშნავთ, რომ 1939 წელი ჰიტლერის სიუბილეო წელიც გახლდათ: 20 აპრილს მას 50 წელი უსრულდებოდა. ამ შეფასებების ავტორებს, ისევე როგორც მთელ კაცობრიობას, ჯერ კიდევ უერ ამოხესნათ ადოლფ ჰიტლერის სფინქსისებრი ენიგმა. ვფიქრობთ, ესეს დაწერისას გრიგოლ რობაქიძე იმდროინდელი საყოველთაო პანეგირისტული ტალლითაც უნდა ყოფილიყო შთაგონებული.

კიდევ ერთი გარემობა: 1938-1939 წლებში ადოლფ ჰიტლერმა თავდაპირველი განზრახვა, აღმოსავლეთზე გალაშქრება, ტაქტიკური მოსაზრებით, დროებით გადავავადა და, თავდაუსხმელობის დადებული პირობის მიუხედავად, ჯერ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შეუტია (აქ გვინდა გავიხსენოთ მისი სიტყვები: „სახელმწიფოს ინტერესები მოლაპარაკებებზე მაღლა დგას“)...). ცბიერმა და გამჭრიახმა ფიურერმა ამავე პერიოდში სარკ-სთან ურთიერთობების დროებითი დათბობის პოლიტიკა გაითამაშა. ვფიქრობთ, წიგნის დამკვეთთათვის ისიც მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ რობაქიძე იოსექ სტალინის ოპზიციონერი თანამემამულე გახლდათ და „ჩაკლულ სულში“ საპჭოეთის ლიდერის შესანიშნავი ესეისტური პორტრეტიც შექმნა. ა. ბაქრაძის აზრით, „გრიგოლ რობაქიძისათვის... ლენინი, სტალინი, ჰიტლერი, მუსოლინი უფრო მითოლოგიური პერსონაჟები იყვნენ, ვიდრე მე-20 საუკუნის რეალური ადამიანები“ (ბაქრაძე 2004: 178).

„ადოლფ ჰიტლერის“ ანალიზი მრავალ სირთულეს უკავშირდება. თხზულება ესეისტური მანერითაა დანერილი და მისი კვლევისა და აღქმისას ამ უანრის თავისებურებაც უნდა გავითვალისწინოთ. „ინტროსპექციის გზით – ზოგადდად ადამიანის შემეცნებისაკენ“ - ეს არის ყოველი ესეისტური ნაწარმოების პრინციპი“ (ხელაია 1986: 352). ესეს მახასიათებლები ასეთია: „მიუხედავად გარეგნული ფრაგმენტულობისა, ესეს შინაგანად შეკრულია, მთლიანი.... ესეს სტილური თავისებურებანი – ფრაგმენტულობა, არათანმიმდევრულობა, არაკატეგორიულობა, ალბათური ხასიათი, პარადოქსულობა, სუბიექტივიზმი, მოზაიკურობა, განსჯის სილალე, თავისუფლება და სხვა და სხვა მჭიდრო კავშირშია მის თვით-შემეცნებით ბუნებასთან“ (ხელაია, 1986: 350). ვფიქრობთ, ესეს უანრი გრ. რობაქიძეს შემთხვევით არ შეურჩევია: ეს მას ჰიტლერის პიროვნების გააზრებისას შემოქმედებით თავისუფლებას მიანიჭებდა, აღქმის სუბიექტივიზმი კი თხზულების სათაურმშევე იგულისხმება, თუმცა, ბუნებრივია, ამგვარი გაბედულება იმ დროს და იმ ვითარებაში უფსკრულის პირას სიარულის ტოლფა-სიც გახლდათ.

1944 წლის 20 ოქტომბერს რაიხსფიურერისა და რაიხსმინისტრის პაინრიკ ჰიმლერისადმი მიწრილ

ვრცელ წერილში გრ. რობაქიძე „ადოლფ ჰიტლერის“ შესახებ აღნიშნავს: ეს არისო „არა ჩვეულებრივი ბიოგრაფიული პორტრეტი, უფრო მეტად, არსის სატი, ნორდ-გერმანულ სივრცეში დანახული... ეს ნარკვევი მოხსენიებულია ვერმახტის უურნალ „ზოლდატებრიცეში“, რეკომენდებულ წიგნთა შორის და თანაც როგორც ერთადერთი ნაშრომი ფიურერზე. ბოლო გამოცემამ მიაღწია 79-112 ათასს“ (ბაქრაძე 2004: 159).

ვფიქრობთ, რობაქიძის ეს სიტყვები ამ სკანდალური თხზულების გასაღებს გვთავაზობს: „ადოლფ ჰიტლერი“ გერმანელი ფიურერის ენიგმის, მისი იმდროინდელი ქარიზმის ასხნის ცდა, ესეს გმირის ირაციონალური, მისტიკიზმით აღბეჭდილი იდუმალი ფენომენის რობაქიძისეული ინტერპრეტაცია.

აქ მრავალი კითხვა ითხოვდა პასუხს: როგორი იყო ის, დიდების ზენიტში მყოფი ადოლფ ჰიტლერი, მისი თანამედროვეს, იმუამად გერმანიაში მცხოვრები ემიგრანტი მოდერნისტი ქართველი მწერლის, გრიგოლ რობაქიძის თვალთახედვით? რას უქადა კაცობრიობას ერთი შეხედვით Amor fati-ით შთაგონებული ახლადმოვლენილი ბელადი? ვინ იყო ის: ღვთის რჩეული თუ უფლესმიერ სასჯელად მოვლენილი ბოროტი გენია, გმირი თუ კაცობრიობის ბედით ბრმად მოთამაშე თავზეხელადებული ავანტურისტი? ამ კონცეპტუალური კითხვების პასუხებს ყველაზე უკეთ თავად რობაქიძის თხზულება გვთავაზობს, თუმცა ჭეშმარიტი აზრის ამოკითხვა, გასაგები მიზეზების გამო, ხშირად ტექსტის სტრიქონებს შორისაა შესაძლებელი. ცნობილ ემიგრანტს, მიხეილ წერეთელს, გრიგოლ რობაქიძის 70 წლის იუბილეზე მწერლისათვის უთქვამს: შენი წიგნები მკითხველთა მასებისათვის არ არის დაწერილი, არც საშუალო დონის, არამედ „არისტოს“-მკითხველისათვის სულითა და გულით. ამგვარი „არისტოს“-მკითხველი კი, რობაქიძის „ადოლფ ჰიტლერს“ თვითი დიქტატორის პიროვნებიდან მომდინარე „საფრთხეთა“ თვალსაზრისითაც გაიაზრებდა.

ავტორის სწრაფვა მოუხელთებლის, იღუმალის წვდომისაკენ - ესეისტური თხზულების კიდევ ერთი თავისებურებაა. ჩვენი დაკვირვებით, ვრცელი ესეს, „ადოლფ ჰიტლერის“ ძირითადი ვექტორი სწორედ მისი მთავარი გმირის მრავალუცნობიანი ფენომენის ამოხსნისაკენ გახლავთ მიმართული. ამასთან, მისი მხატვრული თუ აზრობრივი ინტერპრეტაცია მეტად ინდივიდუალური და ორიგინალურია. მივყვეთ თხზულების ტექსტს (ნაშრომში „ადოლფ ჰიტლერის“ ანალიზისას მისი ჩვენ მიერ გერმანული ენიდან შესრულებული ქართული თარგმანით ვსარგებლობთ):

გრიგოლ რობაქიძის პირველი შთაბეჭდილება Amor fati-ის ნიშნით აღბეჭდილ გერმანელ ფიურერზე მის ხელთ არსებული უამრავი ფოტოსურათიდან მომდინარეობს, რომელთაც ჰიტლერი სრულიად განსხვავებულია და აღქმის გაუსახლებელი ხასიათი არ არის პიროვნებისათვის: საცნაური ნიშანი შინაგანი მზერა ამბეჭდილ გაურბანის: საცნაური ნიშანი შინაგანი მზერა ჩვენებისას”, - შენიშნავს მწერალი. ამჯერად დაკვირვებისათვის მას ორი ფოტო შეურჩევია: 1. ოთხმოცი წლის ჰიტლერის შენდენბურგთან ერთად გადაღებული, სადაც აშკარაა კონტრასტი: მხედვისანი მხედართმთავარი იდუმალების გარეშე, კლდის ლოდივით დგას, მოკრძალებით ხელებგადაჯვარედინებული ჰიტლერის მზერა კი საკუთარი თავისეკუნაა მიმართული. გრ. რობაქიძე ფიურერის განყენებული, შორეული იზოლირებული კამერაც კამერა კამერას და თავისებული სათაურმშევე იგულისხმება, თუმცა, ბუნებრივია, ამგვარი გაბედულება იმ დროს და იმ ვითარებაში უფსკრულის პირას სიარულის ტოლფა-სიც გახლდათ.

ბისათვის დაიჭიროს". იდუმალი თავს არ გვაჩვენებს, მაგრამ "ლირს იმად, რომ ეს შევიგრძნოთ", - შენიშვნავს ბოლოს.

თხზულების ავტორი ყურადღებით აკვირდება მეორე ფოტოსურათს, რომელზეც ადოლფ ჰიტლერი ლონდონში გერმანის მაშინდელ ელჩთან ფონ რიბენ-ტროპთან ინგლისთან საზაო მოლაპარაკების შემდეგაა გადაღებული: "რიბენტროპი სიხარულისაგან ბრწყინვას, თუმცა სხივი ფიურერის შინაგანი სინათლიდან მოდის". აქედან მწერლისეული დასკვნა: "მისი სახე იდუმალად ხელშესახებად იხსნება სხვაში, ვის-თანაც ის წამიერად საუბრობს."

გმირის ენიგმის წელიმისათვის გრიგოლ რობაქიძეს კინოქრონიკებიც გადაუთვალიერებია. თხზულების მიხედვით, მას დაკვირვებისათვის გენერალ-ფელდმარშალ გერინგის ქორნილის კადრები შეურჩევია. აქ ჰიტლერი ახლოს დგას ყველასთან, განსაკუთრებით, საქორნინო წყვილთან: "და მაინც: იგი ამავდროულად სხვა ადგილას მყოფი ჩანს, ის მიუდგომელია. გაქვს შეგრძება, თითქოს დღესასწაულზე გადამთიელი გამოჩენილიყოს, რომელსაც მაინც უმაღვე ყველას წდობა დაუმსახურებია".

როგორც თავადვე წერს, გრ. რობაქიძეს უცდია, ჰიტლერის ფენომენის იდუმალება განეცადა "შემოქმედებითად შთაგონებულ სულიერ სიბრტყეზე, სადაც წარმოსახვითი თითქმის რეალურს ესაზღვრება", მაგრამ ამაռოდ: "ვერცერო მხატვარი ვერ დაიჩინებს, რომ ამომწურავად წარმოაჩენს მის შინაგან ხატს, ვითარცა პორტრეტს", - შენიშნავს იგი. რობაქიძეს აზრით, შესაძლოა, გმირის არსის გამოხატვისათვის ხის გრავიურა გამოდგებოდა, მაგრამ ისიც ვერ წარმოადგენდა ადოლფ ჰიტლერის მუქცისფერ, და მაინც წარელ თვალებს, საკუთარ თავში მის სულიერ სამყაროს რომ მაღავენ. "ამ თვალების მეაცრი მზერის წინაშე ყველა სიყალე და სიცრუუ შეძრნუნებული უნდა გაქრეს", - ასეთია მწერლის დასკვნა.

წიგნში რამდენიმე შტრიხით ჰიტლერის მოძრაობის მანერაცაა დახასიათებული (რომელიც ასევე თვალში საცემია): "ზოგჯერ იგი კიბეზე ჩამოდის, ბოლოში ამაყად ჩერდება, თავს მაღლა სწევს, გასცერის შორეთს, საგნებს იქით, თითქოს გეშით რაღაც შეინიშნაო. მერე თავს ხრის, თუმცა გზას ენერგიული ნაბიჯებით მკაცრად, მტკიცედ აგრძელებს. ხელების ქედია მის მტკიცე სვლას თითქოს ფრთხებს ასხამ... აქ ყოველი მისი მოძრაობა პლასტიკურად დასრულებული ჩანს".

როგორც ვხედავთ, რამდენიმე არსებითი, ექსპრესიული მონახაზით გრიოლ რობაქიძემ ადოლფ ჰიტლერის გარეგნული სილუეტი გამოკვეთა, საკმაოდ ბუნდოვანი, თანაც იდუმალი. და მაინც: ეს შტრიხები გმირის პიროვნების ენიგმას ბოლომდე ვერ ხსნის. აქ მწერლის ინტერესი ძლიერდება: მაინც სადა იდუმალების გასაღები, იქნებ მის ხმაში, კინოქრონიკებსა და აუდიოჩანაწერებს რომ შემოუნახავთ? ეს ყველასაგან გამორჩეული, მტკიცე, ნერვიული, საოცრად გადამდები, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხმა ("ხმა იდუმალი", როგორც გრ. რობაქიძე უნდოებს), მილიონობით ადამიანს რომ ატყვევებდა და იმორჩილებდა. შთამბეჭდავად გადმოსცემს ავტორი ამ ხმით გამოწვეულ მასობრივ ექსტრაზს: "მისი გამოჩენა მუდამ ერთჯერადად განიცდება. ათასები უშუალოდ მას უცდიდნენ და მილიონები რადიოტრანსლაციით მის გამოსვლას ელოდებოდნენ. ტალღა ტალღაზე მვზებარედ მოგორივს და შთაგონება ათრობს. სხეულებრივად გრძნობ: ის მოდის, იგი უკვე ახლოსაა. ყოველ ბერაზე მომლოდინეთა სინათლით აღვსილი ფესვები ირხევა. ტალღები მსგავსად იზ-

რდებიან... წალველი და ხაფანგი ერთდროულად. ახლა ფიურერი აქა. მის გამოსვლას შტორმული გრიგალი შემოუბრდენს: "ჰაილ, ჰაილ, ჰაილ!"

თითქმის ბრმად ეგზალტირებულ\_მასას მწერალი ფართოდ გადაჭიმულ გალეშილ ზღვას ადარებს, რომელიც ნელ-ნელა ცხრება და სიმშვიდის წამიც დგება. "მხოლოდ გულები ძეგრენ მძლავრად, გზნებით, მომლოდინებ. აქ გაისმის ღრმა, მკვეთრი და ალერსიანი ხმა: და ისმის სუნთქვისშემკვრელი სიტყვები: "გერმანელო მამაკაცები და ქალები!" ...

ამ საბედისწერო ხმას მილიონობით ადამიანთან ერთად მწერალიც აყურადებს, დროდადრო სიტყვებს ვერ არჩევს, თუმცა ესმის მისი შინაგანი ენა და, საკუთარ თავში მწერაჩაბრუნებული, რეალობას უბრუნდება. ულმობელი სინამდვილე კი ასეთია: "გამოფიტულ დედამინაზე ორი მილიონი გარდაცვლილი წევს, შეიძნახევარი მილიონი ისევ სისხლისაგან იჩრიტება. იარალისაგან იზნიქება დოდი გერმანული არმია. მძიმე, უმთვარო ღამეში სიჩუმე გაბატონებულა, არაამ ქვეყნიური". ამ ავისმომასწავებელ მდუმარებაში "უეცრად შორიდან გაისმის ხმა, სავსე ვაებით, და თანაც, გაბედული სიცოცლისუნარიანობით — ხომ არა ეს მეყდრეთით აღმდგარი, მითად ქცეული ჯარისკაცების ხმა?" - კითხულობს მწერალი. ის აკვირდება გერმანელთა საყოველთან განერიული საკუთარი საკუთარი სულის სილრმეში შეიგრძნობს, თითქოს თავად ის ლაპარაკობდეს". ჰიტლერის მღლვარე დიქცია გადამდებად ზემოქმედებს, "დროდადრო იკარგება შეგრძნება, თითქოს საქმე კვლავ ცოცხალი ადამიანის ხმას ეხებოდეს. ჭეშმარიტად, აქ აზრობრივად გერმანული "მე" ცხადდება." გრ. რობაქიძე დაფიქრებული კითხულობს: "ეს ხმა მეტაფორულად უნდა გავიგოთ?"

თხზულების გმირის ხელშესახები არსებითი შტრიხების ექსპრესიული გააზრებით მწერალი რწმუნდება, რომ ადოლფ ჰიტლერის იდუმალი ენიგმა ლოგიკას, ანალიზს, განსჯას არ ექვემდებარება, ის უფრო ღრმაა, ირაციონალურია (გავიხსენოთ ნიცშესეული გაგება: ზეკაცზე მთლიანად ირაციონალური ძალები უნდა ბატონობდეს) და მისი პიროვნების გახსნისათვის ის ამჯერად მეტაფორულ, მითოლოგიურ თუ ფილოსოფიურ პარალელებს მიმართავს, უპირველესად კი გოეთეს თაურმცენარის (მცენარის მითიური რეალობის) ფენომენს, რომლის რობაქიძისეული ინტერპრეტაცია ასეთია: "ყოველი მცენარე მხოლოდ დროის ერთ მონაკვეთშია ხილული: ან ყლორტში, ან ყვავილში, ან მწიფობისას. თუმცა ის საკუთარ თავში ატარებს შესაძლებლობას, მისი ყოველი ნანილიდან მთელი მცენარე გამორჩეს, ასე სტრეტს მას მთლიანობაში მზისდარი გოეთეს თვალი, წინ: ყლორტიდან ყვავილმდე, უკან: ყვავილიდან ყლორტამდე. ამჟამად ჩევნენ წინაშე მატერიალურ-არამატერიალურად თავად თაურმცენარე აღიმართება". ის კი მცენარის ყოველ ფაზაში თვლებს, "თუმცა ზრდაში, მაინც ერთჯერადად მთლიანად. შეიძლებოდა გვეთქვა, ესაა: მცენარის მითიური რეალობა. ის სრულფასოვან ექვივალენტს ხალხის ყოფიერების ხატში ბოულობს. ამგვარად შეიძლებოდა ხალხის თაურელემენტზე გველაპარაკა".

გრიგოლ რობაქიძის მითითებით, ხალხის თაურელემენტი (აქ: გერმანელობის მითიური რეალობა) ყველაზე ღრმად ადოლფ ჰიტლერს აქვს გათავისებული. მაგრამ რა უნდა იყოს ეს "მითიური რეალობა"? აქ იმ თვეისებათა ერთობლიობა ხომ არ იგულისხმდობა, რომლის გამო ჯერ კიდევ გოეთემ საკუთარ ერს კაცობრიობის "საშინელი სამსჯავროს" წინ-

ნაშე წარდგომა უწინასწარმეტყველა? ანდა ეს “რეალობა” გერმანელობის დემონიზმთან იდუმალი წილნაყარობის გამოვლენა ხომ არ გახლდათ, თომას მანს ასე რომ აშფოთებდა?.. ვფიქრობთ, “გერმანელობის მითიური რეალობის” შეხსენება მომზადებულ მეითხელს ზემოხსენებულ “საფრთხესაც” მიანიშნებდა.

თაურელემენტის პარადიგმის უფრო ნათლად განმარტებისათვის მწერალი თხზულებაში მშობლიური ქართული ენის პარალელს მომვეღიერს. ესაა “მზიური თვალის” მეტაფორა. მისი თქმით, კითხვაზე: ”რა მოსდის მზიფობის უამს ყურძნის მტევანს?” ქართველი გლეხი პასუხობს: “თვალი ჩადის მტევანში” (თვალი=მზე). ამას ახალი კითხვა-პასუხი მოსდევს: “თვალი მზიური ხომ არ არის – მზე ხომ ვერასოდეს დაინახას? ბუნებრივია, ვერა. მაშ, საიდან იცის ეს საიდუმლო? პასუხი: ეს ცოდნა მის ენაშია მოცემული, სადაც “მზეს” და “მტევას” ერთი და იგივე ძირი აქვს. მაგრამ ვინ დაინახა ეს? ჯერ ერთი, მზე რომ კოსმიური თვალი იყოს, მწერლის სიტყვით, ამ მნათობზე ცოტა რაიმეს ამბობს და შემდეგ: ეს თვალი მტევანში ჩადის, რათა ის დაამწიფოს”. კითხვაზე: “ვინ შექმნა ეს საოცარი ხატი? – პასუხი რობაქიძისეულია: “ალბათ, ვინმე უსახელომ, რომლის თვალსაზრისი შემდგომ გადაეცა”. ეს კონკრეტული ადამიანი არაა, რადგან “ყოველი ინდივიდი თავის ენას უკვე თაურხატიდან შექმნილად იღებს”.

ავტორი უფრო ღრმა განზოგადებისაკენ მიდის: ყველა დროის ადამიანში “რაღაც მოცემულია, რაც მასში ჩნასახშივე დაფენილია და განუზევეტლივ ცოცხლობს” და ის ენის შეღიუმში მულავხდება, როგორც სამყაროს ხატის (სურათის) კერძო შექმნელი ძალა. ეს თაურფენომენია. მას ხალხი დაცუმის თუ რომელიმე ნეტარი ექსტაზის უამს შეიგრძნობს. “ეს შეგრძნება ზოგჯერ ფესვებში ისე მიდის, რომ ერთი მაღლით მოსილი პიროვნება საკუთარ თავს ხალხის იდენტურად აღიქვამს. შინაგანი მსხვერპლისეული თავგანირვით ის შემდეგ ბრბოს “მე”-ში გადაიზრდება”.

ამ მეტაფორის ნათელსაყოფად გრიგოლ რობაქიძე პაგანინის ვიოლინოსაც იხსენებს, რომელიც იმ მუსიკალურ ტალღებს ინახავს, გენიალური მევიოლინე ოდესლაციმისგან რომ აუდერებდა. ამას თუ ახერხებს ხე, თუნდაც ტრანსცენტრურად, “ადამიანს, რომელიც საკუთარ თავს სრულად ხალხს უძლენის, შეუძლია უარი თქვას წმინდა სახალხო ელემენტების საკუთარ თავში მიღებასა და შენახვაზე?” – პათეტიკურად კითხულობს მწერალი. “ჰიტლერის ფენომენი აქაა, სხვაგვარად არსად”, - დასძენს იგი.

როგორც ვხედავთ, თხზულების მიხედვით, ადოლფ ჰიტლერი გერმანელი ხალხის თაურელემენტის (მითიური რეალობის) გამომზატველია, რის ხორცშესხმასაც მწერალი ამჯერად ერთ ისტორიულ მომენტში ხედავს: 1919 წელს გერმანიაში დიქტატურა დამყარდა, გერმანელმა ხალხმა თითქოს თავისი ისტორია შეაჩერა – ეს მონაკვეთი ვარსკვლავისებურ გაელევებას ჰგავდა. ერთ საფრთხის ნინაშე კონსოლიდირებულია. ყოველი გერმანელი “ახლა საკუთარ თავში მხოლოდ ერთს შეიგრძნობს: რომ ის გერმანელია. მასში შეიგნით ღრმად ჭრილობა იხსნება, ხალხის არსებობა საფრთხეშია. მთელ ქვეყანას ერთიანი ტალღა გადაუვლის: ტკივილის ტალღა... იგი მსგავსად გადადის კაციდან კაცზე, თითქოს ეძებს ერთს, რომელიც მისი ტკივილის გახმოვანებას მარტო შეძლებდა”. ეს ტალღა პოულობს რჩეულს, ჭაბუკ ადოლფ ჰიტლერს, რომელიც მისი მიმღები და გამომზატველია. ამის დასტურად ვრ. რობაქიძეს ესახება 1914 წელს ომის გამოცხადების მიტინგის ფოტოსურათი,

სადაც მასის შუაგულში სრულიად უცნობი ახალგაზრდა მოჩანს, დაფიქრებული, დაძაბული, Amor fati კი მასზე მძლეველ გამბედაობად აღბეჭდილა. “ის აქ შეუპოვრად დგას: სრული მზადყოფნა. იგია, რომელშიც ერთეულმა ტალღამ თავისი შეგნებული ბურჯი მონახა. ამ წამს გერმანული სამყარო ახალ გარდატეხას შეუდგა. ისტორიამ მოგვიანებით გაამჟღავნა უსახელოს სახელი: ადოლფ ჰიტლერი”. აქ სტრიქონთა შორის მწერლისეული ეჭვიც გამოკრთება: პირველ მსოფლიო ომში გერმანელთა მარცხის ტკივილით ახალგაზრდობამიგე შეძრული ჰიტლერი წლების შემდეგ მსოფლიოს ულმობელ შურისმაძიებლად ხომ არ მოევლინებოდა? (ვფიქრობთ, ჭაბუკი ადოლფ ჰიტლერიდან მომავალი “საფრთხის” ფესვები აღნიშნულ ფოტოზეც ჩანს).

იმავე ფოტოსურათიდან ავტორისათვის იკვეთება ადოლფ ჰიტლერის უმთავრესი პიროვნული შტრიხით: თავგანნირვისათვის მზაობა. სწორედ მის დახასიათებას ეძღვნება ქვეთავი “Amor fati”. “ის მსხვერპლური შინაგანი თავგანწირვით აღსავსეა”, შენიშნავს მწერალი და სწორედ მსხვერპლს გრძნობს ჰიტლერის ხმაში, რომელიც ზოგჯერ მგრძნობიარე, ზოგჯერ დამუქრებული, ზოგჯერ გამამხნევებელი და ნათელია. თავგანნირვის გამბედაობა კი იოლი არ გახლავთ, “ეს გარდატეხის მხნეობაა: გენია ცეცხლისა”, - ვკითხულობთ თხზულებაში. ამის ნათელყოფისათვის გრ. რობაქიძე იხსენებს საოცარ თქმულებას: ვინც ერთ ძველ ხეს ცეცხლს წაუკიდებდა, ის უკანასკნელ (მეორედ მოსვლის) საიდუმლოს იხილავდა, ოლონდ თავად აუცილებლად დაიღუპებოდა. დიდი ინტერესის მიუხედავად, ხის დაწვა ვერავის გაუბედავს, გარდა ერთი კაცისა, მაგრამ მასაც, მტაწველი საიდუმლოთი ანთებულს, ეს რამდენჯერმე უცდია, თუმცა ამაოდ, ხელები არ დამორჩილებია. ბოლოს, მისი ძილისას, მისგან დამოუკიდებლად, ხეს ლერწმის ნაპერნ კლისაგან ცეცხლი მაინც გასჩენია, მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ თვით კაცს საფრთხე უკვე აღარ ემუქრებოდა, ის, თავზარდაცემული, ინსტინქტურად მაინც ცეცხლის ჩასაქრობად მივარდნილა: მას არ ეყო გამბედაობა, უკანასკნელი უამის საიდუმლოს, ე. ი. ყოფიერების საიდუმლოს ზიარებოდა. “ამ გამბედაობის გარეშე კი არ არსებობს ან წვდომა იდუმალისა, ან ისტორიული გმირობა”, - თვლის გრ. რობაქიძე და დასძენს: ლუთერი ან ნიცე ამ ხეს დაუფიქრებლად გადასწვევდნენ, “ნაპოლეონის დიდებული მზერა მუდამ ამ ცეცხლიდან გამოდიოდა”, ისევე, როგორც სხვა ადამიანებისა, რომლებიც თავიანთ ხალხში ამაღლდნენ. “ყველა ისინი ცეცხლის გენიიდნენ”. რობაქიძის დაკვირვებით, ამგვარი გამბედაობით ხასიათი მოიცავს, მისი გარეშემომავალი საიდუმლო მიურნის შემდეგ ამ ცეცხლიდან გამოდიოდა”, ისევე, რობაქიძე პასუხისას, მისი გარეშემომავალი საიდუმლო მიურნის შემდეგ ამ ცეცხლიდან გამოდიოდა. ამ ფრაგმენტის წაკითხვის შემდეგ ახალი კითხვა ჩნდება: განა არ იყო მოსალოდნელი, რობაქიძის ტკივილის გენიიდნენ. “ნაპოლეონის დიდებული მზერა მუდამ ამ ცეცხლიდან გამოდიოდა”, ისევე, რობაქიძე პასუხისას, მისი გარეშემომავალი საიდუმლო მიურნის შემდეგ ამ ცეცხლიდან გამოდიოდა?

ამ ყოვლისნამლეკავი გამბედაობის მაგალითად მწერალს მოჰყავს გამაოგნებელი შემთხვევა ოტო დიტრიხის წიგნიდან “ჰიტლერთან ერთად ძალაუფლებაში”: მძვინვარე ქარიშხლისა და უამინდობის მიუხედავად, ადოლფ ჰიტლერს 1932 წელს მიუნხენში, მიტინგზე თვითმფრინავით გამგზავრება არ გადაუდინარე “საფრთხე” არ იმაღლებოდა?

კანკალებდა. “და მაინც: გრძნობა დაცულობისა ჩვენში სტიქის ამ შემოტევისას. ფიურერის აბსოლუტური სიმძინდე ყველა ჩვენგანს გადაედება”, - წერს ამ ამბის თვითმხილველი.

გრიგოლ რობაქიძეს მხედველობიდან არ რჩება პიტლერის გამპედაობის გადამდები ზემოქმედება: “იგი არ კრთება, ხედავს რა საშინელებას. დაახ, ნათელია: იგი მას სძლევს.. ის საკუთარ თავში თავისი ქვეყნის მთელ მაჯისცემას ფლობს. ბრმა ბედისწერას ათვინიერებს”. საიდან იღებს სათავეს პიტლერისეული ბედისწერის მომთვინიერებელი გამპედაობა, როცა ბედისწერაც კი მის შესახედრად მოდის? (ძლიერ პიროვნებას ხომ შინაგანი ჭიდილის გადალახვა ძალუძს, ეს მის არსებამიც ღრმადაა ჩანერგილი). ამ კითხვაზე პასუხს მწერალი 1937 წელს გერმანიაში გამოცემულ მისავე რომანში ეძებს. “გრაალის მცველი”-ს ვრცელი ფრაგმენტი ადამის ცოდვით დაცემის პრობლემას ეძღვნება. რომანის გმირი თავადი გიორგი ფიქრობს: “დაცემამდე ადამ კადმონი ღმერთისაგან დამოუკიდებლად ცხოვრობდა. დაცემის შემდეგ მან ღმერთი თავის სანინაალმდევოდ ყოფილი აღმოაჩინა. მან საგნეშს შეინიდან გარეთ შეხედა, ახლა ისინი აღიქვა, როგორც ობიექტები”. აქ გაჩნდა კითხვა: როგორ შემიძლია შევიცნო რაიმე, რაც მე თავად არა ვარ? სწორედ დაცემის შემდეგ შეიძინა ადამმა ცალკე “მე” (“თვითობა”, Sonderselbst), მიიღო ცოდნა ყოფიერებაზე: “ახლა ის მეტად აღარ არის თავად ყოფიერება”. სამაგიეროდ, მწერლის აზრით, ამის შედეგად კაცობრიობამ დაკარგა განუყოფლობა, რომელსაც სწორედ ცხოველი ფლობს. მისი დაკავირვებით, საიდუმლო სწორედ ესაა: ამიტომ აღმერთებდნენ ცხოველებს, ამიტომ გვჯაპნიან ისინი ძალით. მაგრამ “ცხოველს არა აქვს “მე”, ნიშანი ლვთაებრივისა: ის “მე”-ს გარეშეა. თუმცა მას საკუთარ თავში ლვთაებრივი ყოფიერების მთლიანობა შემოუნახავს. ცხოველი გარესამყაროს სინათლის ზღვასავით იღებს: ის ობიექტებს ვერ ხედავს. “თუ თვალს გადააშორებს სინათლის ზღვას, როგორც ობიექტის საპიროსპიროს, მისი ხედვის ძალა უმაღვე დაიმსხვრევა. ეს დაცემის ერთი სახე იქნებოდა. ცხოველების აღქმის სამყარო მისი ზემოქმედების სამყაროს თანხვედრია”, - შენიშვნავს მწერალი. წარმოსახვის უუნარობას ცხოველი საგნის უშუალო შეხებით ცვლის, “ის ობიექტში იჭრება. აქედან, მისი საშინელი მაგია. თავისი შიშველი მარტოოდენ გამოჩენით ველური ცხოველი ცვლის ატმოსფეროს, რომელიც მის ირგვლივა. ამგვარად, ცხოველი ლვთაებრივად მთლიანია, ყოფიერებაში შუალედური სივრცის გარეშე”. გრიგოლ რობაქიძის მითითებით, ადამ კადმონი ერთდროულად ცხოველიც იყო და ადამიანიც – განუყოფელი – ლვთაების ნიაღში. ახლა კი ადამიანი ნაღვლობს თავის დაკარგულ ნახევარზე – ცხოველზე.

აქ ისევ ჩნდება კითხვები: შემთხვევითია ფიურერისადმი მიძღვნილ თხზულებაში ცხოველისეულ საშინელ მაგიაზე საუბარი? რას უნდა ნიშნავდეს ფრაგმენტი: “თავისი შიშველი მარტოოდენ გამოჩენით ცხოველი ცვლის ატმოსფეროს, რომელიც მის ირგვლივა... ის ობიექტში იჭრება”? ხომ არა ეს შეგნებული თუ ქვეცნობერი პარალელი რეაქციასთან, მასში პიტლერის გამოჩენა რომ ინვევდა და ხომ არ იმაღლებოდა აქ მისი პიროვნებიდან მომდინარე კიდევ ერთი “საფრთხე”: ფიურერის უკონტროლობა და ყოვლისგამანადგურებელი ძლიერება? სიტყვები: “ადამიანი ნაღვლობს თავის დაკარგულ ნახევარზე – ცხოველზე” – ხომ არ გახლავთ ასევე ფარვული მინიშნება აღზევებული ბელადის პიროვნებაში ცხოველისეული საწყისის პრიმატზე? ცნობილია, რომ პიტლერს აღაფრთოვანებდა შპენგლერის

მიერ წარმოდგენილი გერმანელის “მარად მეომრული ტიპი ადამიანი-მტაცებელი ცხოველისა” (კვესელავა 1991: 366). მეტიც, ის საკუთარ თავს მგელს ადარებდა. ფაშისტური ელიტა მას ამ ზედმეტსახელით მოიხსენიებდა, რაც ფიურერს ძალზე მოსწონდა. შტაბების სახელნოდებადაც მას “მგლის ბუნაგი” და “ველური მგელი” შეურჩევის. “პიტლერის ფენომენის” მკვლევარი რუდოლფ აუგშტაინი მიუთითებს: “პიტლერი იდგა ზღვარზე, სადაც ადამიანი გადაიქცევა აგრესიულ ვეფხვად, ველურ მგლად” (როზანოვი 1991: 18). და კიდევ: განა დამაფიქრებელი არაა რობაქიძისეული ფრაზა: “ცხოველს არა აქვს “მე”, ნიშანი ლვთაებრივისა?”...

ადოლფ პიტლერის ფენომენის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებლის ანალიზს ეძღვნება თხზულების ქვეთავი, რომელსაც Kairos პქვია. მწერლის განმარტებით, “პიროვნებას, რომელიც მთელი არსებით ხალხის ბედისწერას ემორჩილება, თანდათან საჩუქრად ეძლევა წყალობა ყოფიერებისა, ძველი ბერძნები “Kairos”-ს რომ უწოდებდნენ (“ესე იგი ქმედებისას სწორი მომენტის დანახვის (გარტყმის) უნარი”, - ხსნის გრ. რობაქიძე). რაც ვინროა მონაკვეთი, მით ძლიერია Kairos. ის ცხოველის შიშველი ინტუიციის მსგავსია. მწერლის აზრით, ამ თვალსაზრისით ქემალ ათათურქის ცხოვრების გზა ფანტასტიკურს ესაზღვრება. თითქმის ყოველთვის, საბედისწერო სიტუაციაში, სადაც 90:10 მის ნინაალმდეგა მიმართული, ის მოულოდნელად სწორ მომენტს იჭერს და “სახიფათო ზონაში გამაოგნებლად ბედს თავის სასარგებლოდ გადაღუნავს”. აპისინის მოიდან გამომდინარე, ამასვე ხედავს რობაქიძე მუსოლინის პიროვნებაში. “განსაკუთრებით მრავლად ფლობს ამ უნარს ადოლფ პიტლერი”, - შენიშვნავს მწერალი (ვფიქრობთ, ფიურერის პიროვნებიდან მომდინარე „საფრთხე“ თხზულების ამ მოხავეობიც აშკარად იკითხება). ამის გამოხატულებად თვლის გრ. რობაქიძე პიტლერის რამდენიმე სწრაფ, ელვისებულ წარმატებას 1920-1938 წლებში, განსაკუთრებით გამოყოფს მის გამოსვლას სპორტის სასახლეში (წელი მითითებული არაა). “ყოველ სიტყვაში იგრძნობოდა, მას ომის თავიდან აცილება სურდა. ერთი მოლეკულა ფინჯანზე და ჭექა-ქუხილი უმაღვე განმუხტული ჩანს. კაცობრიობა შეიმით და ლოცვით ქვავდება.” როგორც ვხედავთ, მწერალი შინაგანად აშფოთებდა იმჟამდელები რეალურ მდგომარეობა. ის განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა ევროპის ოთხი წამყანი სახელმწიფოს მეთაურის: პიტლერის, მუსოლინის, ჩემბერლენის, დალადის შეხვედრაზე — “და მშვიდობა და მსოფლიო გადარჩენილია”, - ფიქრობს ის. მისი აზრით, 99%-ით შესაძლებელი იყო, განსეინილება არ მოხსდარიყო, “ფიურერის შემთხვევაში ეს სხვაგარად მოხდა”, - დასახენს შემდეგ. აქ იგულისხმება 1938 წლის 30 სექტემბრის შეხვედრა მიუნხენში, პიტლერის “ყავისფერ სასახლეში”, გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის უმაღლესი პირები რომ ესწრებოდნენ. მათი ხელდასმით პიტლერს საენებულ ქვეყნებზე თავდაუსხმელობის პირობის სანაცვლოდ ჩეხისლოვაკის ერთი ნანილი გერმანიისათვის შემოურთებია (თუმცა ეს პირობა მაღლევე დაურღვევება). მიუნხენის შეხვედრა შემდგომში პილიტიკური ახლომხედველობის, გამყიდველობისა და ვერაგონის სიმბოლოდაც მიიჩნიეს. ჩეხისლის ის ასე შეუფასებია: “ინგლისს არჩევანი უნდა გაეკეთებინა ომსა და სირცევილს შორის. მისმა მინისტრებმა სირცევილი აირჩიეს, რათა შემდეგ მიმიღლოთ” (როზანოვი 1991: 33).

პიტლერის პიროვნებული ენიგმის ანალიზისათვის რობაქიძე “ჩემ პრძლობასაც” მიმართავს და ფიურერის კიდევ ერთ გამორჩეულ ტვისებას გამოყოფას

“ყოველ ადამიანს გვერდით მრჩეველი ჰყავს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას კაცი თავად იღებს”. მწერალი გერმანულ სიტყვას *Allein* (მარტო) ასე შელის: *All* (სამყარო), *eins* (ერთი) და კითხულობს: ეს ერთის სამყაროსთან ყოფნას ხომ არ ნიშნავს? პასუხი ასეთია: “სამყაროსთან ერთი რომ იყო, ყველაფერს ზურგი უნდა შეაქციო” (და კვლავ კითხვა: ადოლფ ჰიტლერის ეს თვისება მისი უსაზღვრო ვოლუნტარიზმის “საფრთხესაც” ხომ არ მაღავდა?).

პასუხისმგებლობა გერმანიის წინაშე ფიურერს თავადვე უკისრია: “დიახ, ის გადაწყვეტილების წინაშე დგას, - წერს რობაქიძე, - *All-Ein*, სადაც *All* (სამყარო) მისი ხალხის თაურმდგენს ნიშნავს. ჩანს, გადაწყვეტილებას იგი პირველი იღებს, თუ ის მარტოდ ყოფნის უამს ამ თაურმდგენით აღიგესება”. შესაბამისად, თხზულების შემდეგი თავი სწორედ თაურმდგენის (*Urheber*) პარადიგმის განმარტებას ეძღვნება: “იდუმალებით ალვსილია რაღაც (*Etwas*), რაც ჩნდება, ვითარცა ხალხის თაურმდგენი. ეს თაურმდგენია პირველგამზენი: მაგრამ არა თაობათა ან მოდგმათა თანმიმდევრობის გაგებით”. ის ზებიოლოგიური არსებაა, რაც ყოველ ჩვენგანში ცოცხლობს. “ის შინაგანი სულიერი არსების ხმიდან მომდინარეობს”, - განმარტავს მწერალი და დასძენის: ზეპიროვნულობის მიუხედავად, ის მაინც კონკრეტულ პიროვნებად გვევლინება.

პარალელი ისევ საქართველოს რეალობიდანაა მოხმობილი: რობაქიძის მითითებით, ქართველი ხალხის თაურმდგენის, კარდჰეს=ქართლოსის საფლავი მცხეთაშია, თბილისთან ახლოს, და ის ყოველ წელს დაიტირება. “თაურმდგენის გენის გარეშე ხალხი მეტად არ არის ხალხი. პირიქით, ადამიანთა გროვაა, მაგრამ არასოდესაა არსება”, მიუთითებს მწერალი. მას დღიდ ხნის გამქრალი ლანგობარდები ახსენდება, თუმცა ხმელთაშუა ზღვის აუზში ხშირად შეხვდებითო ადამიანს მათი რასისული ნიშნებით. აქვე კავკასიის მცირერიცხოვანი ხალხის - უდების მაგალითიცაა მოხმობილი, მათგან მხოლოდ სამი სოფელი შემორჩენილი და “მათი მორიდებული სიჩუმე მეტაფიზიკურ სკვდილს ემსგავსება”, - სევდიანად დაასკვნის ავტორი. მას სწამს, რომ ნათელმხილველის უნარით დაჯილდოებული შემოქმედი ერთი ადამიანის სახეში ხშირად შესაბამის რასისულ ხატს განჭვრეტენ. უცნობი მხატვრის მიერ შექმნილი უტა ფონ ნაუმბურგის სახე რობაქიძეს გერმანელების თაურდედაკაცად (ჩრდილოური ევას თაურხატად) ევლინება.

მწერალს მხედველობიდან არ რჩება თაურმდგენსა და ცალკეულს (ინდივიდს) შეორის დრამატიზმით აღსავს მუდმივი დაძაბულობა, რომელსაც, მისი აზრით, განსაკუთრებით ნათლად შემოქმედი ადამიანი გრძნობს. საყურადღებოა რობაქიძის აზრი: თაურმდგენს ზიარებული ადამიანი ორგვარია - ან მსოფლიოს გამაერთიანებელი, ან მსოფლიოს გამანადგურებელი (მწერლის რწმენით, ვინც ვერ დაძლევს შინაგან ბრძოლას თაურსანყისთან, ის მოსპობისთვისაა განნირული). ვფიქრობთ, მრავლისმთქმელია ავტორისეული დასკვნა: “აქ ვპოულობ ადოლფ ჰიტლერის ფენომენის საყრდენ (ცენტრალურ) წერტილს” (ვფიქრობთ, “საფრთხე” თხზულების ამ ფრაგმენტშიც აშკარა).

მწერალი იზიარებს ფრანგი ალფონს დე შატობრიანის მოსაზრებას, რომელმაც ჰიტლერს ახალი ადამიანი უწოდა, ყოველ ახალ ადამიანს კი ახალი მსოფლხატიც მოაქვს. რობაქიძის მითითებით, ჰიტლერის მსოფლხატი ასე აღინიშნება: “ხალხის სასიცოცხლო ენერგია, მისი რასით განპირობებული”.

მიმართებით მწერლის მსჯელობა უკვე რასსის (=ჯიშის) განმარტებას ეძღვნება. “ადრინდელი კულტურები, რომლებიც ყოფილებების საერალურის დაცვას ცდილობდნენ, ამ იდეით არიან დაავადებულნი”, - ვკითხულობთ თხზულებაში. მაგალითი კვლავ ქართული სინამდვილიდანაა: თუ ქართველს ვინმეს შეურაცხყოფა სურს, წყველის: “შენი ჯიში ამოვარდაო” (ნათელია, რომ “რასსის” ნაცისტური და რობაქიძისეული გააზრება ერთმანეთისაგან განსხვავდება). მწერალი სინაულით შენიშნავს: “ჩვენ დროში თაურცოდნა რასსის სინმინდეზე უკვალოდაა გამქრალი.” აქ დამონმებულია ბარონ იულიუს ევოლას შეხედულება: “კულტურები და რასსები არა სისხლის მეშვეობით აისხნებიან, არამედ სისხლის სიძველით” (ეს ის იულიუს ევოლა, რომლის შესახებ უმბერტო ეკო მიუთითებს: “ტერმინი “ფაშიზმი” ყველაფერს ერგება... დაუმატეთ კელტური მითოლოგიის კულტი და გრალის მისტიკიზმი (აბსოლუტურად უცხო იფიციალური ფაშიზმისათვის) და ფაშიზმის ერთ-ერთ ყველაზე პატივსაცემ გურუს, ევოლას, მიიღებთ” (ეკო 2005: 182).

სისხლის ფენომენზე მსჯელობას ეძღვნება “ადოლფ ჰიტლერის” ქვეთავით “საიდუმლო კანონი”, რომლის მიხედვით, “ყველა დროის აღმოჩენები სისხლის - ამ “სრულიად განსაკუთრებული წვენის” შესახებაა. ეს ერთისადმი მსხვერპლშენირვის რიტუალით ხერხდება, პირველდღვთაებრივ ენერგიას ძალას რომ მატებს. ამგვარად, ის განსაკუთრებულ თვისებას აღნევს, რაც, როგორც უნარი, კოსმიურში ჩარევად აღინიშნება”. ეს უნარი კი შემდგომ შემკვიდრეობით შთამომავლობაზე გადადის: “ეთერისმაგვარი ფაქიზმი სხეულით, რომელიც საკუთარ თავში სულის გამოცდილებას ანაბეჭდივით ინახავს”. მწერალი მიუთითებს, რომ ამას ემყარება პირველკეთილმობილების ფენომენი, ასევე სისხლის ჯიშის მკაცრი აზრი. თუმცა, მისივე თქმით, მხოლოდ ჯიში საკმარისი არაა, ადამიანს “მეორე დაბადებაც” სჭირდება (მსგავს შეხედულებას გრ. რობაქიძე იმეორებს სიცოცხლის მიწურულს დანერილ ესები “ქართული გენია, როკევით განფენილი”). “სისხლი და სული აქ ერთმანეთზე ზემოქმედებენ. სისხლში სული ფორმირებისათვის განვითარებულ პლაზმას ეძებს, სისხლს კი მსგავსადვე ენატრება სული, ვით შემოქმედებითი აღმაფრენა”. თუმცა კეთილმობილება გადაგვარებასაც ექვემდებარება, სიცრუის თუ სხვა ცოდვათა გამო. მწერალი ამასც სისხლის საიდუმლოდ თვლის და დასძეს: ეს კანონი არა მხოლოდ ინდივიდს, არამედ რასსებს, ხალხებს, კულტურებს ეხება.

გრიგოლ რობაქიძე შეგნებულად არიდებს თავს ადოლფ ჰიტლერის ქრისტიანობისადმი დამკიდებულების განხილვას, თუმცა მიწიერი ძალების რწმენასთან მიმართებაზე მაინც საუბრობს. მისი თანადროული ქრისტიანობის კრიზისს ის სწირედ მიწიერი ძალების უგულვებელყოფას უკავშირებს. ამის გარეშე რწმენა მხოლოდ აღიარებად რჩებაო. ამ დებულების განმარტებისათვის მწერალი ისევ იმოწმებს თავისივე გმირის, გრაალის მცველის, გოორგის, სიტყვებს: “რწმენა მეტია, ვიდრე აღიარება. მე შევიცნობ საგანს, ამგვარად ის ჩემთვის მიმირების აღმაფრენა”. თუმცა კეთილმობილება გადაგვარებასაც ექვემდებარება, საპირუის თუ სხვა ცოდვათა გამო. მწერალი მიპირისპირდება არა მხოლოდ ინდივიდს, არამედ რასსებს, ხალხებს, კულტურებს ეხება.

ესეს ძირითად პოსტულატებს გრ. რობაქიძე ერთგვარად აჯამებს შემდეგი ფრაზით: “ადოლფ ჰიტლერი ქმნადობის (Werden) სამყაროში დგას – მოცემულ შემთხვევაში, გერმანელების ხალხად ჩამოყალიბებაში – ვითარცა მიწინერი ძალების ბიძგის მიმცემი. ამასთან, ის ისტორიული ქმედების მნიშვნელობით უსაზღვროდაა გამორჩეული”. მაგალითისათვის მწერალი “ჩემ ბრძოლაში” ფრანგების მისამართით გამოთქმულ ავტორისეულ შეფასებას იხსენებს, რომელსაც გერმანია-საფრანგეთის მოლაპარაკება შეუფერხებია. ფრანგებს ჰიტლერისათვის “ჩემ ბრძოლაში” მათთვის უხერხული ადგილის შესწორება უთხოვიათ, რაზეც ფიურერს უარი განუცხადებია: “კორექტურას ჩემს საგარეო პოლიტიკაში ვატარებ... მე ისტორიის დიდ წიგნში კორექტურა არ შემაქვს”. ეს პასუხი უცხოელებს ძალზე მოსწონებიათ. გრ. რობაქიძის დასკვნა კი ასეთია: “ასე თქმა შეუძლია ადამიანს, რომელსაც ისტორია ქმნის, მაგრამ ის (ისტორია) არ წერს”.

სამშობლოს ცნებასთან ადოლფ ჰიტლერის მიმართებას ეძლვნება ნაწარმოების ქვეთავი “მზის სასმელი”, სადაც ჩართულია ამბავი მე-18 საუკუნის ბოლოს სამეგრელოდან თურქეთში მონებად გაყიდულ ორი ჭაბუკისა, ეგვიპტის პირმიდებთან სხვათა ომში რომ დაასრულეს სიცოცხლე. “სამშობლო – ეს მისი ცეცხლოვანი გვირგვინია”, - პათეტიკურად წერს ფიურერზე გრ. რობაქიძე და, შესაძლოა, აქ მისი ემოცია გულწრფელია. პათეტიკა იგრძნობა მწერლისეულ შეფასებაში, სადაც ჰიტლერი სამშობლოს განსახიერებადა ნარმოდგენილი, რაც, თავის მხრივ, ხალხზეც აისახა. მისი თანამედროვე გერმანელების ფიურერისადმი დამოკიდებულების გადმოსაცემად გრ. რობაქიძეს გამოუყენებია გეორგ შოტის წიგნი “სახალხო წიგნი ჰიტლერზე”, საიდანაც შერჩეულ მაგალითებში იკვეთება იმდროინდელი გერმანიის მოსახლეობის ფანატიზმი და უსაზღვრო რწმენა ახლადმოვლენილი ბელადისადმი, მსუბუქ ირონიასაც რომ იწვევს: ირკვევა, ორ ახალგაზრდა მამაკაცს ერთმანეთისათვის უნებლიერ ერთნაირი საჩუქარი - ჰიტლერის სურათი უჩუქებია; გერმანელ ქალს ბოტანიკოსისათვის სპეციალურად უკითხავს და გაუხარებია იმ ვარდის ჯიში, ყოველწლიურად 20 პარილს (ფიურერის დაბადების დღეს) რომ იფურჩენებოდა და ა.შ.

გრიგოლ რობაქიძე იმ დიდ სულიერ ზეგავლენაზეც ჩერდება, ადოლფ ჰიტლერი გერმანელ ხალხზე რომ ახდენდა. “ის ხალხის ენერგიას ფორმას აძლევს; ამით მისი პიროვნული არსი გვიახლოვდება. ამას თავადაც ღრმად შეიგრძნიბს საკუთარ თავში”. მწერალს გავლენის ორმხრივობაც არ ავიწყდება: “მან სამი წლის მანძილზე გერმანელ ხალხს ძალა მისცა... გერმანელმა ხალხმა, თავის მხრივ, მას მისცა ძალა. მან ერი რწმენაში განამტკიცა. ის იმედოვნებს, რომ ახლა ერი მას განამტკიცებს რწმენაში”.

სიმბოლური ხასიათისაა თხზულების ბოლო თავი “იგგდრაზილის წყარო იფნის მარჯვნივ”, სადაც ფიურერის მოლვანეობა შეფასებული: “ადოლფ ჰიტლერა დიდი გერმანია შექმნა; ის მისი სუვერენული დამფუძნებელია. მისი ისტორიული საქმე ჯერ კიდევ არაა დამთავრებული. ისტორია მის სახელს უკვე მითიურად სჭედავს”. აქ გრიგოლ რობაქიძეს ახსენდება

ჩრდილოური მითი იგგდრაზილის, ცხენ იგგის, მარადმწვანე იფანზე, საიდანაც ცვარი ტალერში ეშვება (ხე საოცრად ყვავის, წყაროები ჩუხუხუხებენ, იქვე ორი გედი ცხოვრობს, ხის კენეროში კი ირმები შეკრებილან). ამ იფანს, მსოფლიო ხეს, თავად მსოფლიოს რომ განასახიერებს, მწერალი სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებს: მისგან ისტორიულად მოდინ დიდი გერმანიის შექმნელები. “ეს ხე ადოლფ ჰიტლერის საგვარეულო ხეცაა”, - წერს რობაქიძე, “მისი დინების ძალა მომდინარეობს წყაროდან, რომელიც მსოფლიო იფანს ასაზრდოებს”. ასე იდილიურად მთავრდება სკანდალური თხზულება “ადოლფ ჰიტლერი”, რომლის ავტორი 1938 თუ 1939 წელს ალბათ ბოლომდე ვერც გაიაზრებდა, რომ აღზევებული გერმანელი ფიურერი იდენ “დიდი გერმანიის” შექმნით არ დაგმაყოფილდებოდა და მისი სამხედრო ავანტურის მასშტაბები მაღალ მთელ მსოფლიოს გადასწვდებოდა... ჰიტლერის “მითიური სახე” მაღალ თანდათან გამოიკვეთა: მსოფლიოს ავ ბედისწერად მოვლინა კაცი, რომლის საყავარელი ფრაზა ყოფილა: “უმაღლესი ბოროტება უმაღლესი სიკეთის გამოვლენაცა” და, რომელიც, ნიცხეს მსგავსად, ჭეშმარიტებას “სიკეთისა და ბოროტების მიღმა” ეძებდა” (კვეშელავა 1991: 155). ჭეშმარიტება კი მისთვის “იდეალური ნაციონალ-სოციალისტური მსოფლიოს” შექმნის იდეა გახლდათ, რომელსაც, ბუნებრივია, განხორციელება არ ეწერა. “ადოლფ ჰიტლერის” წინ უძღვის ეპიგრაფი: “ოდეს საკუთარ თავს ვუძღრმავდები, ვხედავ წმინდა მთას, მირიადობით მამაკაცი კვლავ ჩემთანაა და ვვალ უშიშრად..” ეს ბჟაგავატ-გიტას სიტყვებია, რომელიც, მწერლის თქმით, ჰიტლერს კარგად ახასიათებს. მთაზე ასვლა ჭეშმარიტების მწვერვალზე ასვლის სიმბოლოა, რაც მედიტაციას, სულიერ ამაღლებასა და განწმენდის იდეასაც გულისხმობს. “მწვერვალის, მთის, მისტიკურ შინაარსს განაპირობებს სწორედ ის, რომ იგია მინისა და ცის შეერთების ადგილი, ამ ორი სამყაროს ურთიერთკავშირისა და, იმავე დროს, ურთიერთდაპირისპირების განსხეულება” (რევიშვილი 1998: 153). ნიცხესულია ფრაზა: “მწვერვალი და უფსერული ერთად იქმნა”. ჩანს, 1938-1939 წლებში დიდების მწვერვალზე მყოფი ადოლფ ჰიტლერი სწორედ ამ მიჯნაზე იდგა და, წარმატებებით დაბრმავებული, ვერ ჭვრეტდა მის მომლოდინე უფსერულს, რომელმაც ის და მისი გარემოცვა რამდენიმე წელინაში შთანთქა. სამწუხაოოდ, დათქმულმა ბელადმა ათეულმილიონობით ადამიანის სიცოცხლეც თან ჩაიტანა.

გრიგოლ რობაქიძის “ადოლფ ჰიტლერი, ერთი უცხოელი პოეტის მიერ დანახული” სწორედ ამ გზაგასაყარზე მდგომი გერმანელი ფიურერის ირაციონალურ შინაგან ხატს წარმადგენს, რომელიც გახლავთ “არსის ხატი, ნორდ-გერმანულ სივრცეში დანახული” და არა რეალური პიროვნება, თავისი ქმედებით, შეცდომებით, დადებითით თუ უარყოფითი მხარეებით. ამ “არსის ხატიდან” მომავალი “საფრთხეების” ამოკითხვას მომზადებული მკითხველი ოდენ სტრიქონებს შორის თუ შეძლებდა.

#### ლიტერატურა:

1. ბაქრაძე 2004: ბაქრაძე ა. თხზულებანი, ტ. 2. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი”, „ლომისი”, 2004.
2. ეკო 2005: ეკო უ. მარადიული ფაშიზმი. უ. ლიტერატურა და სხვა. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2005.

3. კაკაბაძე 1992: კაკაბაძე ნ. გრიგოლ რობაქიძის გერმანული პორტრეტი. უ. ლიტერატურა და ხელოვნება, 5-6, 1992.
4. კვესელავა 1991: კვესელავა მ. ასერგასის დღე, ნ.2. თბილისი: კონპერატიული ფირმა „დიდოსტატი“, 1991.
5. რევიშვილი 1998: რევიშვილი მ. მთის სიმბოლიკა და ბასილ მელიქიშვილის პროზა. კრებ. მიერლვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას. მეორე სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი: „ლომისი“, 1998.
6. როზანოვი 1991: როზანოვი გ.ლ. სტალინი. პიტლერი. 1939-1941 წლების საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დიპლომატიურ ურთიერთობათა დოკუმენტური ნარკვევი. მოსკოვი: გამომცემლობა „მისლ“, 1991 (რუსულ ენაზე).
7. ხელაია 1986: ხელაია მ. ქართული ლიტერატურული ესსე. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1986.
8. გაგნიძე, შუხარდი 2011: Gagnidze N., Schuchard M. Grigol Robakidze (1880-1962). Ein georgischer Dichter zwischen zwei Sprachen und Kulturen. Shaker Verlag. Aachen, 2011.

## ნანა შენგელაია

### ფესტოსის დისკოს ამოკითხვის შესახებ

ეს წერილი მოკლედ განიხილავს იმ ვითარებას, რომელიც ახლდა 1908 წელს ლუიჯი პერნიეს მიერ კუნძულ კრეტაზე, ქალაქ ფესტოსში აღმოჩენილი ე.ნ. ფესტოსის დისკოს შესწავლას, შეფასებასა და მისი წარმერის დეშიფრირების ცდებს, სანამ ამ დისკოს ტექსტს პროტო-ქართველურ — კოლხურ ენაზე ამოიკითხავდა მათემატიკოსი გ.კვაშილავა.

ვეცდები, ერთი მხრივ ვაჩვენო, თუ რამ დააბრკოლა მთელი ამ დროის განმავლობაში ფესტოსის დისკოს ტექსტის დეშიფრირება. ამას გარდა, წარმოვადგენ ჩემ მოსაზრებას იმის თაობაზე, თუ რა პოსტულატების და თეორიული წარმატების წარმოდგენით შეძლო გ.კვაშილავამ დისკოს ტექსტის ამოკითხვა. აქ ზოგადად ვიტყვი, რომ მათემატიკოსმა

გ.კვაშილავამ გადაჭრა მანმადე გადაუწყვეტელი საკითხები, წარმოადგინა ფესტოსის დისკოს პრობლემისადმი ახლებური მიდგომა და შექმნა სრულიად ახალი, ზოგადი სახის აღმოჩენით ტექსტის წარმომადგენად.

უკვე 100 წელია, რაც მე-20 საუკუნის ენიგმად წოდებული ფესტოსის დისკო მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს. ამ დროის განმავლობაში 16 სანტიმეტრიანი დიამეტრის მქონე დისკოსთან დაკავშირებით სპეციალისტები მხოლოდ იმაზე შეთანხმდნენ, რომ დისკოს ორივე მხარეს დაბეჭდილია გარკვეული სახის ტექსტი, თუმცა თვით ამ ტექსტის რაგვარობის თაობაზე მრავალი სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული.



ფესტოსის დისკოს აღმოჩენის 100 წლისთავისადმი შიდვნილი 1 საერთაშორისო კონფერენციის მომაწილეები:

ნიკოლას რიდი, ედმენდ მერიო, ფი. კვაშილავა, მარკ მერიონი, ჯერომ ამენდერგი და სხვები.

დონორნის სიმებელების შემსწავლელთა სამოგადოება და დიდი ბრიტანეთის ხელოვნების სამეცნიერო აკადემია.

( ჯ. საგონის ფოტო. მეცნიერებისა და არქეოლოგიის საერთაშორისო ჟურნალი „მინერვა“).

[www.mineravamagazine.com](http://www.mineravamagazine.com)

ლონდონში 2008 წლის შემოდგომაზე ფესტო-სის დისკოსადმი მიძღვნილმა საგანგებო კონფერენ-ციამ ერთგვარად შეაჯამა დისკოს კვლევის ყველა შე-დეგი, ცხადად წარმოაჩინა მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პრობლემები და შეხედულებათა მრა-ვალფეროვნება.

გადაუქრელ საკითხთა ისეთი სიმრავლე და სირთულე გამოჩნდა კონფერენციაზე, რომ ლამის უკ-ვე დაბეჭითებით გამოცხადდა, რომ მკვლევართათვის ტექსტის ამოკითხვა შეუძლებელია; კონფერენციის ორგანიზატორმა ჯ. ა. აზენბერგმა დასვა შეკითხვა, ხომ არ არის დისკოს წარწერა ნიშნების ნებისმიერად დაბეჭდვით შექმნილი ნაყალბევი.

მაგრამ ამ მოსაზრებამ ვერ პოვა მხარდაჭერა, რამდენადაც წაუკითხავი წარწერაც კი ნიშნების გა-ნაწილების ისეთი კანონზომიერებასა და სიმეტრიას ავლენს, რომ – როგორც ქვემოთ ვნახავთ – არა მხო-ლოდ ის არის ცხადი, რომ ეს ტექსტია, არამედ ფეს-ტოსის დისკოს ტექსტის რაგავარობაზეც მეცნიერთა ჯუფმა ერთნაირი ზოგადი ვარაუდიც გამოთქვა. კონფერენციის დასასრულს 29 რეგისტრირებული მონანილოდან 20-მა დისკოს წარწერის ავთენტურო-ბას დაუჭირა მხარი, 5-მა თავი შეიკავა, ხოლო 4 მონა-ნილე ფიქრობს, რომ ტექსტი ნაყალბევია. ამდენად, ფესტოსის წარწერა ნამდვილ ტექსტად გამოცხადდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ მოგვიანოდ კრეტაზე ალ-მოჩინილ არქეოლოგიურ მასალაზე – არქალობორის ცულზე, მალის ქვის ბლოკზე, ფესტოსის ლარნაკზე არსებული წარწერები იმეორებს დისკოს ნიშნებს და, როგორც უკვე ვიცით ([3]), მათი ამოკითხვაც იძავე კა-ნონზომიერებებს ექვემდებარება, რასაც თვით დისკოს წარწერა.

ქვემოთ მოყლედ შევხები რამდენიმე კონკრე-ტულ საკითხს.



ფესტოსის დისკოს A მხარე

### I. ფესტოსის დისკოს ტექსტის შესახებ

#### a. წარწერის შესრულების ტექნიკური მხარე

აღიარებულია, რომ წარწერა შესრულებულია ოქროსაგან საგანგებოდ დამზადებული „საბეჭიდი ქვებით“, როდესაც ერთი და იგივე ყალიბი იმდენჯერ გამოიყენა მბეჭდავმა, რამდენჯერაც გვხვდება მოცე-მული ნიშანი დისკოზე. ამ თვალსაზრისით ფესტოსის დისკოს ტექსტი წარმოადგენს მსოფლიოში ჯერჯე-რობით ცნობილ ყველაზე ძველ ნაბეჭდ ტექსტს. თუ ფესტოსის დისკო, როგორც ვარაუდობენ, ძველი წელთაღრიცხვის 2000 წლით თარიღდება, იგი გურენ-

ბერგის მიერ დაბეჭდილ პირველ ევროპულ წიგნებს (1440-1445) დაახლოებით 3500 წლით უსწრებს წინ.

წარწერის შესრულების ტექნიკასთან დაკავშირე-ბით საინტერესოა გერმანელი მკვლევრის დიტერ რუმ-პელის ([4]) მიერ დიუსელდორფში ჩატარებული სამუ-შაო. მან თვითონ დაამზადა დასკოზე აღბეჭდილი ქალ-ლმერთის მსგავსი ოქროს ყალიბი და ამ ყალიბით თიხა-ზე დაბეჭდა გამოსახულება, შემდეგ თიხა გამოწვა (ანუ მან, ფაქტორუად, გაიმეორა დისკოს ტექსტის შექმნის პროცესი). დ. რუმბელის მიერ დაბეჭდილი გამოსახუ-ლება გამოწვის შემდეგ უფრო ნატიფი და მკვეთრი გახ-და.

მისი აზრით, ოქროს აქვს თიხაში შეღწევის ქი-მიური თვისიება, როთაც იქმნება მტკიცე შენართი, რომელსაც შეუძლია საუკუნეები გაძლოს. ლუი გო-დარი თვლის, რომ თიხაზე ოქროს ყალიბებით ბეჭდვა საერთოდ ბეჭდვის ყველა სხვა საშუალებაზე უფრო გამძლე და მტკიცეა. დ. რუმბელის მიერ სხვა მეტა-ლის ყალიბით დაბეჭდილი გამოსახულებები არ გა-მოდგა ასეთი მკვეთრი — ისინი გაფუჭდა და დაიფ-შვნა.

როგორც ცნობილია, კოლხური წარმოშობის მქო-ნე კორიბანტები ფლობდნენ წერის სპეციფიკურ ხე-ლოვნებას, რომელსაც ძველი ბერძენი ავტორები „ოქ-როთი წერას“ (ოქროდამზერლობას) უწოდებდნენ. კო-რიბანტებმა ამ ხელვნებით შექმნილი წარწერები ჩაი-ტანეს კრეტაზე და ხმელთაშუა ზღვის სხვა კუნძულებ-ზე. ოქროთი წერის ამ ტექნიკის აღწერა ვერძის ტყავზე იყო აღნერილი; ქართველ მკვლევართა აზრით (მაგ., [2]) სავარაუდოდ, სწორედ ამ მნიშვნელოვანი ხელოვნების ამოსაცნობად ჩამოიდნენ არგონავტები კოლხეთში.



ფესტოსის დისკოს B მხარე

#### b. დისკოს ნიშნების გრაფიკა და თვისებრიობა

აღიარებულია, რომ ფესტოსის დისკოს ნიშნები არის ლოგოგრამები და სილაგოგრამები, ანუ ეს არის სილაბურ-ლოგოგრამული დამწერლობით შესრულე-ბული ტექსტი.

ფესტოსის დისკოს ნიშნების გრაფიკული მახასი-ათებლების ტიპოლოგია, ამ ნიშნების გრაფიკული მსგავსება სხვა თანადროული წარწერების ნიშნებთან ადრეც შეისწავლებოდა.

სპეციალისტების აზრით, დისკოს ნიშნები აშკა-რა მსგავსებას ავლენს მინოსური A და B ხაზოვანი დამწერლობების, აგრეთვე, კრეტული იეროგლიფური დამწერლობის ნიშნებთან ([4]). გ. ოუენსი თვლის, რომ

მ. ვენცრისის მიერ მიკენური პერიოდის ბერძნულით ამოკითხული B ხაზოვანი წარწერის ნიშანთა ფონეტიკური მნიშვნელობებით შესაძლებელია ფესტოსის დისკოს ზოგიერთ ნიშანთა ფონეტიკური წაკითხვაც. აგრეთვე ფიქრობენ (დ. რუმპელი [4]), რომ ფესტოსის დისკოს ნიშნების ფონეტიკური შედარება A ხაზოვანი წარწერის სტრუქტურებთან დიდი ალბათობით მიგვანიშნებს იმაზე, რომ ფესტოსის დისკოზე წარმოდგენილი სილაბური ნიშნები ღია მარცვლებს წარმოადგენს.

### გ. წარწერის წაკითხვის მიმართულება

მნიშვნელოვანია ფესტოსის დისკოს სპირალური ტექსტის წაკითხვის მიმართულების დადგენა; ამ საკითხზე ერთმანეთის სანინალმდეგო მოსაზრებებია გამოთქმული.

ეს სხვადასხვაობა ჩანდა ამ საკითხის გადაწყვეტაში ლონდონის 2008 წლის კონფერენციაზეც, მაგრამ ახლა შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საერთო დასკვნა მაინც ის არის, რომ წაკითხვა სპირალის ცენტრიდან გარეთ უნდა იყოს მიმართული. მკაფიოდ დასაბუთდა გ.კვაშილავას მტკიცებულება ერთადერთი სწორი გადაწყვეტილების თაობაზე ტექსტის ცენტრიდან გარეთ წაკითხვის შესახებ (ამაზე უფრო დაწვრილებით — ქვემოთ). უნდა ითქვას, რომ კითხვის მიმართულების გასარკვევად საკმაო მასალა ქონდათ ხელთ მკვლევრებს, მაგრამ ეს საკითხი მაინც საკამათოდ იყო მიჩნეული.

### დ. ფესტოსის დისკოს ტექსტის შესახებ

თავისი აღმოჩენის შემდეგ ფესტოსის დისკომ მტკიცედ ინახავდა წარწერის საიდუმლოებას ერთი საუკუნის განმავლობაში. არსებობს მრავალი ვერსია იმის თაობაზე, თუ რას ეხება ტექსტი. მაგალითად, ვარაუდობენ, რომ ეს არის პროტო-ბიბლიური ტექსტი, უძველესი მიკენური საზღვაო კალენდარი, სასოფლო-სამეურნეო კატასტროფის აღნერა და სხვა მრავალი ([4]).

მაგრამ არტურ ევანსის მიმდევრები (მკვლევართა დიდი ნაწილი) ფიქრობენ, რომ ტექსტი წარმოადგენს ჰიმნს ან სხვა სახის რელიგიურ ტექსტს. უფრო მეტიც, ნ. რიდი, მაგალითად, თვლის, რომ ტექსტის ორი მხარე ერთმანეთისაგან განსხვავებულია (და დაკავშირებულიც) იმით, რომ A მხარეზე მიმართავენ ან ხოტბას ასხამენ ერთ ლვთაებას, ხოლო B მხარეზე კი — მეტები ლვთაებას ([4]).

ნ. რიდა ამბობს, რომ ბეჭდვის დროს ფესტოსის დისკოზე 16-ჯერ მოხდა ნაბეჭდის ჩასწორება: მბეჭდავმა საგულდაგულოდ ნაშალა და გასასწორა ნაბეჭდი ნიშნები, რამდენადაც მისათვის მნიშვნელოვანი იყო ტექსტის გამიზნული შინაარსის ზუსტი გადმოცემა. ამის საფუძველზე, მეცნიერის აზრით, არა მხოლოდ დასტურდება ტექსტის ავთენტურობა, არამედ ისიც, რომ ეს არის მნიშვნელოვანი დოკუმენტი ან, იქნებ, კანონიკური ტექსტი, რომელიც დაუშვებელი იყო შეცდომა, ნიშნების შეცვლა, გადასმა და ა.შ.

ტექსტის განსაკუთრებულ ლირებულებას და მისი ორივე მხარის ერთიან ტექსტად განხილვის აუცილებლობას ადასტურებს ისტუ, რომ წარწერისათვის დისკოს ორივე მხარეა გამოყენებული, რაც გარკვეული აუცილებლობით იყო განპირობებული. თიხის დისკოს ორივე მხარეს ბეჭდვას, ცხადია, ზედმეტი ტექნიკური სიძნელები უნდა შეექმნა მბეჭდავისათვის.

ახლა შეგვიძლია ვთქვათ: მიუხედავად იმისა, რომ საკუთრივ ფესტოსის დისკოს ტექსტი სხვადასხვა თვალსაზრისით იყო შესწავლილი მრავალი გამოჩენილი მკვლევრის მიერ, მისი ამოკითხვა ვერა და ვერ მოხერხდა. გ. კვაშილავას მიერ ტექსტის ამოკით-

ხვამდე მიღებული ყველა დასკვნა ეხებოდა მხოლოდ ტექსტის ნიშანთა გრაფიკულ დახასიათებას, ნიშანთა განაწილებასა და გამოჩენის სიხშირეს, გრაფიკული პარალელების ძიებას, ზოგი ნიშნის შესაძლო ფონეტიკურ გაუღერებას.

ყოველივე ეს, ცხადია, ტექსტის შინაარსის ცოდნის გარეშე ხდებოდა, კვლევა ერთგვარად „ადგილზე იტკეპნებოდა“, ანუ დისკოს აღნერისა და შესწავლის პროცესში არ მომხდარა ტექსტის ამოკითხვისათვის საკარისი და საჭირო თვისებრივი სიახლე, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტს იკვლევდნენ, როგორც ვთქვით, გამოჩენილი მეცნიერები და ანალიზური კვლევის დიდოსტატები (მაგ., ელის კობერი).

თვითონ წარწერის გარკვეული ვიზუალური სისადავე და სილამაზე არის აღბათ იმის მიზეზი, რომ მეცნიერები განსაკუთრებული სიყვარულით ეკიდებიან დისკოს და იმ საიდუმლოსაც, რომელსაც, როგორც აქამდე ფიქრობდნენ, ისინი ვერასაღრის ვერ ამოიცნობდნენ. როგორც ლონდონის კონფერენციაზე ითქვა, წარწერის მტკიცე იქროს ყალიბებით შესრულება უნდა იმას ნიშნავდეს, რომ მბეჭდავებს სურდათ მათთვის ესოდენ მნიშვნელოვანი დისკოს ტექსტი უსათუოდ დიდ ხანს (საუკუნეები) შენასულიყო, რაც ასეც მოხდა, მაგრამ მის წაკითხვას, სამწუხაოდ ვერ ვახერხებოთ.

მაილ ვენტრისი და ჯონ ჩედვიკი ამბობდნენ, დისკოს ტექსტს ვერ ვკითხულობთ, იმიტომ რომ არ ვიცით, რა ენაზე იგი შესრულებულიო. მათ ვერ მოახერხეს დისკოს ენის ამოცნობა. ერთადერთი, რაც მათ სრულიად მტკიცედ და ცალსახად განაცხადეს და რაც ყველა მკვლევარმა გაიზიარა, ის იყო, რომ დისკოს ენა არ არის ძველი ბერძნული (ამის თაობაზე იხ, აგრეთვე [5], 47; 51).

### ე. მცირე დასკვნა

ახლა შევაჯამოთფესტოსის დისკოს კვლევისა და ანალიზის შედეგად მიღებული შედეგები მისი ტექსტის ამოკითხვამდე პროტო-ქართველურ ენაზე:

1. დისკოს წარწერა არის ტექსტი;
2. ფესტოსის დისკოს ტექსტი წარმოადგენს მსოფლიოში პირველ ნაბეჭდ ტექსტს;
3. ტექსტის საბეჭდი ყალიბები იქროსაგან იყო დამზადებული;
4. დისკოს ტექსტი შესრულებულია წერის სილაბურ-ლოგოგრამული სისტემით;
5. დისკოს სილაბური ნიშნები წარმოადგენდნენ ღია მარცვლებს;

6. დისკოს ნახატ-ნიშნებს გარკვეული გრაფიკული მსგავსება აქვს მინოსური A და B ხაზოვანი დამზერლობებისა და კრეტული იეროგლიური დამზერლობის ნიშნებთან; ასეთ ნიშნებთაგან რამდენიმეს აქვს, აგრეთვე, მსგავსი ფონეტიკური გაუღერებაც;

7. ტექსტი რელიგიური ხასიათისა და წარმოადგენს ჰიმნს;

8. ტექსტის ენა არ არის ძველი ბერძნული.

### II. ტექსტის ამოკითხვის შესახებ გ. კვაშილავას მიერ

#### 1. ტექსტის ენის შესახებ

ცხადია, ზემოთ წარმოადგენილი მიღწევები მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ისინი არასაკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ წაკითხული ასეთი ზომის სამუშაოს მიუხედავად დისკოს დეშიფრირებით დაკავებულმა ბრწყინვალე მეცნიერებმა მაინც ვერ ამოკითხეს ტექსტი; ამის მიზეზად თვითონვე ასახელებ-

დნენ იმას, რომ ვერ გაირკვა, რა ენაზეა შესრულებული ტექსტი.

მაგრამ ეს მთლად ასე არ იყო: ვარაუდი იმისა, რომ ტექსტის ენა კოლეურია, გამოითქვა 20-22 წლის წინ.

ავსტრიულმა ინჟინერმა პერპერტ ძებიშმა, შექმნა კომპიუტერული პროგრამა ფესტოსის დისკოს ნახატ-ნიშნების სტატისტიკური მასასიათებლებისა და მათი განანილების საფუძველზე; იგი დაანტერესებული იყო ფესტოსის დისკოთი და სურდა დაედგინა, რომელ ენაზეა შედგენილი ტექსტი. ამ პროგრამას ძებიშმა დაუკავშირა ყველა მისთვის ცნობილი დევლი ენა: უძველესი ბერძნული, ბიბლიის ებრაული, დევლი სლავური, სხვა ძეველი აღმოსავლური ენები. მაგრამ ამაოდ, ეს ენები პროგრამას არ მიუდგა. წელიწადნახევარიანი ძების შემდეგ ძებიში წააწყდა გამოკვლევას პროტო-ქართველური ენის შესახებ. შეიტანა მისი მონაცემები კომპიუტერში და აღმოჩნდა, რომ პროგრამამ „უპასუხა“ მასალას – მარცვლების განანილება ეთანადებოდა დისკოს ნიშნების განანილებას.

ძებიშმა გააგრძელა მუშაობა, დაიბეჭდა მისი შრომები და გამოიცა მისი წიგნები იპერიულ-კოლხური ენის შესახებ, რომელსაც იგი ევროპის უძველეს ენას უნიდებს (ბიბლიოგრაფიისათვის იხ. [3]). თავისი შრომის შედეგები მან 1988 წელს ბუდაპეშტის კონგრესს (EIRENE) მოახსენა. ბუდაპეშტის მოხსენებაში ჰაშებიშმა განაცხადა, რომ ფესტოსის დისკო კოლხური დებრიულზეა დაწერილი.

ძებიშის თეორიამ ვერ ჰქოვა გაგრძელება, ფესტოსის დისკო პროტო-ქართველურზე ამოკითხვის მიმართულებით სხვა კვლევა აღარ ჩატარებულა. მაგრამ დისკოს ტექსტი საბოლოოდ (2006 წელს) სწორედ ამ ენაზე ამოკითხა მათემატიკოსმა გ. კვაშილავამ.

## 2. დისკოს ტექსტის ნაკითხვის მიმართულება

მხოლოდ დისკოს ენის არ ცოდნა და ძებიშმის პიპორეზის უგულებელყოფა არ ყოფილა ტექსტის ვერ ამოკითხვის მიზეზი.

კვლევის დროს მეტისმეტი ყურადღება ენიჭებოდა ტექსტის ნაკითხვის მიმართულებაზე მსჯელობას, რაც აქამდე მთავარ პრობლემად იყო მიჩნეული. ეს საკითხი „მარტივად“ გადაწყვიტა გია კვაშილავმ:

ფესტოსის დისკოს ტექსტის როგორც A ისე B მხარეს სპირალის გარე ბოლო უჯრაში მოცემულია დასასრულის ნიშანი – ხუთი ვერტიკალური წერტილი. ამ ნიშნის თაობაზე ადრეც მსჯელობდნენ არტურ ევანსი და ლუი გოდარი. კვაშილავამ აჩვენა, რომ ამ წერტილების მნიშვნელობა კარგად დასტურდება სხვადასხვა წარწერებში (ძველი ბერძნული, ეტრუსკული, ძველი ქართული წარწერები). განკვეთილობის ნიშნები ი-ჯავაბაშვილის მიხედვით ([6], 144-146; [5], 95; 50), ქართულ დამწერლობაში გამოიყენება VI საუკუნიდან, შემდეგ კი გიორგი მთაწმინდელთან, ეფრემ ციორესთან და სხვებთან.

გ. კვაშილავამ აგრეთვე გაითვალისწინა ვ. კეანის მისაზრება დისკოს A მხარის ცენტრალური ნახატ-ნიშნის – ვარდულის ერთერთი მნიშვნელობის შესახებ, კერძოდ ეს მნიშვნელობაა „დასაწყისი“. გ. კვაშილავას აზრით, სპირალის ცენტრი ვარდულით ტექსტის დასაწყისია, და დისკოს B მხარეზე ცენტრში მოთავსებული მთვარის ნიშნის სიმბოლოც დასაწყისის ნიშანია.

ამდენად მარტივად და ცალსახად განისაზღვრა ტექსტის ნაკითხვის მიმართულება სპირალის ცენტრიდან გარეთ ანუ მარცხნიდან მარჯვნივ სპირალის გასწვრივ. (საზოგადოდაც, სპირალი ბრუნვის დროს ცენტრიდან გარეთ იშლება და ფართოვდება).

## 3. დისკოზე ნახატ-ნიშანთა ბრუნვა და გ. კვაშილავას ალგორითმი

ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი, რამაც დააბრკოლა ფესტოსის დისკოს ტექსტის ამოკითხვა, იყო მასზე დაბეჭდილი ნახატ-ნიშნების სხვადასხვა მიმართულებით დაბეჭდვის ანუ მათი ბრუნვის ენობრივი ლირებულების უგულებელყოფა. ეს, ალბათ, ზოგადად გამოწვეული იყო მეცნიერთა შორის გავრცელებული წინასწარი განწყობით, რაც ხშირად დიდი ხნით აბრკოლებს კვლევას.

მაგალითად, დისკოზე ლომის თავის ხან პორიზონტალურად და ხან ვერტიკალურად, ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ მიმართულებად (სულ ოთხი შესაძლებილი პოზიცია) დაბეჭდვის მიზეზად ითვლებოდა მბეჭდვის დაუდევრობა. მაგრამ, ამავე დროს, სხვა მკვლევრები ხაზს უსვამდნენ დისკოზე შეცდომების საგულდაგულო გასწორებას (ნ. რიდი და სხვები), რაც ცხადყოფს, რომ ეს ისეთი სახის ტექსტია, რომელიც უსათუოდ უხარვეზოდ, უშეცდომოდ უნდა დაბეჭდილიყო.

ტექსტის შესწავლის დროს გ. კვაშილავამ მისი ამოკითხვისათვის გადამწყვეტი და თვისებრივად ახალი ნაბიჯი გადადგა: მან ლირებულად ჩათვალა ფესტოსის დისკოზე ნახატ-ნიშნების სხვადასხვა პოზიციას სპირალის ხაზის მიმართ, და განსხვავებულ პოზიციაში დაბეჭდილი ერთი და იგივე ნიშნები ფონოლოგიურად და, მაშინადამე სემანტიკურადაც, სხვადასხვანაირად ამოკითხა. მის მიერ ტექსტის ნაკითხვის მიმართულების დადგენამ მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნა იმისათვის, რომ გაირკვას თვით მბრუნავი ნიშნების ამოსავალი პოზიციის განსაზღვრა.

მეტიც, კვაშილავამ შექმნა ალგორითმი, რომელიც ასახავს ამ ბრუნვის დროს ნიშანთა ნაკითხვისა და ინტერპრეტაციის ერთსა და იმავე ზოგად კანონზომირებას.

კერძოდ, ალგორითმი განსაზღვრავს დისკოს წარწერის მბრუნავი ნიშნებისათვის მათი მარცვლების ნაკითხვის რიგს: სპირალის ხაზისადმი პორიზონტალურად დაბეჭდილი ნიშნები იკითხება როგორც ორმარცვლიანი სიტყვა; სპირალის ხაზისადმი 90°-ით დაბეჭდილი იმავე ნიშნისათვის იკითხება მხოლოდ პირველი მარცვალი, სპირალის ხაზისადმი პორიზონტალურად 180°-ით დაბეჭდილი ნიშანი იკითხება როგორც ორმარცვლიანი სიტყვა მარცვალთა შებრუნებული რიგით, ხოლო სპირალის ხაზისადმი 270°-ით დაბეჭდილი ნიშანისათვის იკითხება მხოლოდ მეორე მარცვალი.

რა თქმა უნდა, უფრო მეტი დეტალი არსებობს ალგორითმის სრულყოფილი მოქმედებისათვის, მაგრამ ჩვენ მიერ მათი აქ განხილვა ზედმეტია.

მოცემული ალგორითმი წარმოადგენს ფესტოსის დისკოს ტექსტის ნაკითხვის გასაძლებს. მეტიც, კვაშილავას ალგორითმით, იმავე სისტემითა და იმავე ენაზე იკითხება წარწერები არქალობრის ცულზე, მალის ქვის ბლოკზე, ფესტოსის ლარნაკზე; აგრეთვე კრეტული იეროგლიფური და A ხაზი წარწერებიც. აქაც ნიშნები სხვადასხვა მიმართულებით არის ამოტვიფრული.

## 4. ხაზების მნიშვნელობა დისკოს ტექსტის ამოკითხვისათვის

ფესტოსის დისკოს ტექსტის ამოკითხვის დროს, გ. კვაშილავას მიხედვით, მნიშვნელობას იძენს და სხვა თვისებრიობა ენიჭება, აგრეთვე, დისკოს უჯრები ვერტიკალური და ხაზების გამორჩეული წარწერების მიმართ ამოტვიფრული.

ეს ხაზებიც, მპრუნავი ნიშნების მსგავსად, სერ არტურ ევანსმა და მის შემდეგ ყველა სხვა მკვლევარ-მა ახსნეს მბეჭდავის აჩქარებით და დაუდევრობით. მაგრამ, როგორც გ. კვაშილავა წერს, დისკოზე კარგად ჩანს, რომ ამ ხაზებს ძალიან ზუსტი პოზიცია უჭირავთ, მათი გამოჩენა დისკოს წარწერაზე გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება. გ. კვაშილავამ გამორიცხა ამ ხაზების შემთხვევითად გამოჩენა წაბეჭდ ტექსტში და დაუშვა, რომ ისინი ფონეტიკურად და სემანტიკურად ღირებული ნიშნებს წარმოადგენენ.

აქვე მინდა მხოლოდ დამატებით აღვნიშნო საინტერესო ფაქტი, რომელიც გ. კვაშილავას კვლევას განსაკუთრებულ თვისებას ანიჭებს: ალგორითმი, ისევე როგორც ტექსტის წაკითხვის მიმართულების დადგენა, ნიშანთა ბრუნვისა და ხაზების რელევანტურობის დაშვება და სხვა მიგნებები, თავის საფუძველში ეყრდნობა თავისთავად ცხად და ბუნებრივ კანონზომიერებებსა თუ მონაცემებს, ე.წ. ბუნებრივ ლოგიკას. ამიტომაც ჩანს ეს მიგნებები მარტივი, და ესეც სარწმუნოს ხდის გ. კვაშილავას შედეგებს.

### 5. ლინგვისტური მასალის მნიშვნელობა

გ. კვაშილავას მიერ ფესტოსის დისკოს ამოკითხვას ბრნყინვალედ ასაბუთებს ძალიან ზუსტი ლინგვისტური მასალა, რომელიც ქართველური ენების უძველესი საფეხურის რეკონსტრუქციას ეხება ([1]).

ლინგვისტურ მასალას ასევე შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ფესტოსის წარწერის დათარიღებაში: დისკოს ტექსტში დასტურდება ისეთი ფონეტიკური მასალა, რომელიც მხოლოდ პროტო-ქართველურისათვის არის დამახასიათებელი – უფრო გვიანდელი პროცესები, რომლებიც პროტო-ქართველურის დაყოფის შემდეგ მოხდა, დისკოს ტექსტში არ არის ასახული. იგივე ითქმის პროტო-ქართველურის ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემების თავისებურებაზე და სხვა.

### გ. შეჯამება

გ. კვაშილავას მიერ ფესტოსის დისკოს ტექსტის ამოკითხვა პროტო-ქართველურ ენაზე შესაძლებელი გახდა, პირველ რიგში, ყველა იმ მონაცემის გათვალისწინებით, რომელიც თვით ფესტოსის დისკოს ეხება.

ეს არის: დისკოს დათარიღება, მისი თიხის მასალის თავისებურება, ბეჭდვის სახე; გათვალისწინებულია, აგრეთვე, ყველა ის ანალიზი, რომელიც გაუკეთდა ტექსტს, ის მასალა და მოსაზრებები, რომელიც მანამდე გამოითქვა დისკოს შესახებ. ასევე გათვალისწინებულია ძველი ბერძნული და სხვა ევროპული თუ ქართული წყაროები, გეოგრაფიული, ისტორიული, ეთნოგრაფიული მასალა; კარტოგრაფია, მიგრაციები, მითოლოგია. შესწავლილია ის დამწერლობები და ენები, რომლებიც რაღაცნაირად მანც უკავშირდება ფესტოსის დისკოს წარწერას.

ფესტოსის დისკოს წახატ-ნიშანთა ამოკითხვა მოხდა უმდიდრესი არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებით, აგრეთვე სხვა თანადროული წარწერების ნიშნებთან გრაფიკული, ფონეტიკური და სემანტიკური პარალელების დადგენის საფუძველზე. მთელი ამ მასალის სიუხვემ გააბათილა სირთულე, რაც განპირობებულია ამ სილაბურ-ლოგოგრამული ნიშნებით დღემდე მხოლოდ ერთი გაბმული ტექსტის – ფესტოსის დისკოს წარწერის არსებობით და, ამავე დროს, მანვე გახადა სარწმუნო ფესტოსის დისკოს პროტო-ქართველურ (კოლხურ) ენაზე ამოკითხვა.

ამოკითხვის შემდეგ ფესტოსის დისკოს ტექსტი უნდა ვალიაროთ ამ ქვეყნად ერთ-ერთ უძველეს რელიგიურ ტექსტად. ეს არის ჰიმნი-ლოცვა, რომელიც მიმართული დიდ დედალვოთაება ნენასადმი, ჰეფსა-ტოსადმი, თარონისადმი და ერთგვარ მიმართვას წარმოადგენს, ასევე, ნენას (რეა-კაბელეს) მცველების – კორიბანტებისადმი.

ცხადია, ყოველივე ზემოთქმული შესაძლებელი გახადა გ. კვაშილავას დიდი ხნის განუზომელმა და თავდადებულმა შრომაშ და ნიჭმა.

ტექსტის გაშიფრისათვის მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, რომ გ. კვაშილავა ღია აღმოჩნდა ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა არსებული ინფორმაციისათვის, არ იყო შეზღუდული ნინასწარი განცყობით, რომელიც როგორც ზემოთ ვახსენეთ, ხშირად ყველა-ფერში ასე ძალიან გვიშლის ხელს.

ყოველივე ეს გახდა საწინდარი იმისა, რომ ფესტოსის დისკოს აღმოჩნდან ერთი საუკუნის შემდეგ გ. კვაშილავამ ამოკითხა XX საუკუნის ენიგმად წოდებული ფესტოსის დისკოს წარწერა.

### დამოწმებული ლიტერატურა

1. გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. საერთო ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია. მეცნიერება, თბილისი, 1965.
2. ინგოროვა პ., ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა I. მნათობი 1, თბილისი, 1939.
3. კვაშილავა გ., კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუშის – ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების გაშიფრვის შესახებ. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი. თბილისი, 2008.
4. ფესტოსის დისკოსადმი მიძღვნილი ლონდონის საერთაშორისო კონფერენცია (თეზისები). 31.10 – 01.11.2008 (ინგლისურ ენაზე).
5. ყაუხიშვილი თ., ბერძნული ეპიგრაფიკა. ლოგოსი, თბილისი, 2002.
6. ჯავახიშვილი ი., ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა, თბილისი, 1949.

## ისტორია

### ანა ხუნაშვილი (ბოდბელი)

#### „ლექს უფრო ყურსა უგდებდე“...

ლამაზი ქალი, სათნო, მწუხარე,  
 ნეტარყოფილი, უნმინდესი, კეთილი დედა,  
 ჯვარი ძლევისას აღმართველი  
 სულის მზე ჩვენი,  
 ჩვენი ენის და ჩვენი ტაძრის  
 ძემნე და მცველი  
 ან და მარადის ვადიდოთ ნინო.

წმინდა ნინო, ანგელოსი მინის და ზეცის, მოციქული უფლის დედისა, ფარავნის ტბის თეთრი ფარავანა, უტურფესი პატარძალი მარადიულის, ქადაგი, ბრძენი, ლომ-გულოვანი, მეხის ტეხა აეროლითა (აეროლითი – ციდან ჩამოცვენილი სიმბოლო ქვები, რომელთაც თაყვანს სცემდნენ უკულტურო მოდგმანი).

თვალშეუდგამი ნათლის ნათელი, ნაზი სურნელი სარემეველისა, წინაპრის სულის ექო და სევდა, კარის გუმბათი საგალობელთა, პოეტ მეფეთა ცისკრის ვარსკვლავი, დედოფალი ივერიისა, ვადიდოთ ნინო!

ქრისტიანობა სულის მარადიული განწმენდა, განახლება, მარადიულის სიცოცხლეა. „ერის სული, მისი ენა და ბუნებაც მარადიულ ქრისტიანულ გაცხოველებას ითხოვს“. დედამინაზე არ არსებობს მეორე ისეთი ძალა, რომელიც ისე აერთიანებდეს, ასის-ხლხორცებდეს ადამიანებს ერთმანეთთან, როგორც სარწმუნოება. „მოყვარუნი სჯულისანი გარე შემოივლებენ თავისა თავისსა ზღუდესა (იგავ. სოლ. 28,4) ამბობს ძველი ალტემის ბრძენთა ბრძენი მეფე სოლომონი. წმინდა ნინოს სახელზე შექმნილი თითოეული საგალობელი, ლექსი, პოემა, მოთხრობა, ქადაგება ეს არის ერის თავისუფლების და თვითარსებობის შეგნება — განმტკიცების წმინდა ემბაზი. განსაუკურებელით დიდი იყო ასეთი ნაწარმოებების მნიშვნელობა მაშინ, როდესაც საქართველოს მართმადიდებლური ეკლესია ჰგავდა: „კედელსა მიღრეკილსა და ღობესა დაჭენებულსა“ და ფასდაუდებელია დღესაც, როცა ასე მომრავლდა სხვადასხვა სარწმუნოებრივი მიმდინარეობა.

წმინდა ნინოს პრობლემა საუკუნეების მანძილზე ქართული მწერლობის აქტიური თემა იყო, ეს ბუნებრივიცაა, ამიტომ შეიქმნა მოციქულთა სწორის, ქართველთ განმანათლებლის სახელზე სხვადასხვა რედაქციის ცხოვრებანი. გვიანი ფერდალური ხანის მწერლობაში, როდესაც „ლექს უფრო ყურსა უგდებდენ“... როგორც ყველასთვის ცნობილია, შეიცვალა დამოკიდებულება პროზაული ტექსტისადმი. დაინტერეს საერო თუ სასულიერო შინაარსის თხზულებათა გალექსა. სულხან თანიაშვილს „ამირან დარეჯანიანი“ გაულექსავს 1681 წლამდე. ბეგთაბეგ თანიაშვილს უნდა გადაეწერა 1680 წელს გიორგი XI-სათვის „ვეფხისტყაოსანი“ (335) არჩილი, მამუკა მდივანი აქტიურად ლექსავდნენ სხვადასხვა ძევლებს. ვახუშტი ბატონიშვილმა დაინტერესი ბიბლიის გალექსავა. (ხელნაწერი ინახება პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში). პეტერბურგშივე გაილექსა გიორგი ბრწყინვალის მეფობის ისტორია ქართლის ცხოვრებიდან (ინახება პეტერბურგის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ყოფილი საჯარო ბიბლიოთეკის, იოანე ბატონიშვი-

ლის კოლექცია), პაპუნა ორბელიანმა დაიწყო თავისი ისტორიის გალექსვა, ამის შესახებ ცნობა გამოაქვეყნა ლილიუ ქუთათელაძემ და სხვა.

არც წმინდა ნინოს ცხოვრება დარჩენილა უყურადღებოდ. დათუნა ქვარიანმა გალექსა წმ. ნინოს ცხოვრება, წმ. გიორგის წამება (ეს უკანასკნელი გამოაქვეყნა ე. გაბიძაშვილმა), ქეთევანმა, ზურაბ წერეთლის ასულმა (იოანე ბატონიშვილის მეუღლე) საგანგებოდ დავაგალა პოეტ ქალს სოფიოს, რომ დაეწერა ლექსად „ცხოვრება წმინდა ნინოს“ (ჭ. რუხაძე, „ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან“. 1954წ. გვ. 152).

ეს ჩანს თვით ლექსიდან:  
**გულს მოდგინებით მიბრძანებს**  
**შენის ცხოვრების ნერასა,**  
**უმეცარი და უცნობი,**  
**შეძლებელი ვარ მე რასა,**  
**მე ვითა ხელვპყოფ ალწერად**  
**ქებასა შენ საფერასა,**  
**მაგრამ სხალს ხელმწიფისასა**  
**უარს ვკადრებდი ვერასა.**

„ქართველებში უნინაც გავრცელებული იყო კითხვისა და სწავლის სიყვარული. დარწმუნებით ვიცით, რომ ანინდელს დროს საკითხის წიგნების საჭიროებას მთელ საქართველოში გრძნობენ:, - წერს გაზეთი „დროება“ 1866 წელს. (გაზ. „დროება: 1866 წ. 37).“

ჩვენი დღევანდელი ინფორმაცია შეეხება XIX საუკუნის ერთი მწერლის ნაწარმოებს. ჩვენი მიზანია საერთოდ თავი მოვუყაროთ და შევისწავლოთ XIX საუკუნის საზოგადოების დამოკიდებულება ნინო განმანათლებლის პიროვნებისადმი.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ მრავალზე მრავალი ნიმუში, რომელიც XIX საუკუნეში შეიქმნა, ვერც თემის დამუშავებით დღევანდელი მკითხველის ყურადღებას ვერ დაისყრობს, მაგრამ მწერლობის ისტორიამ თავისი უნდა მაგრა დიდსაც და პატარასაც, ნიჭიერსაც და უნიჭოსაც. სწორედ ნათემაზის პასუხისმგებლობამ გადაგვანეუვეტინა თქვენს წინაშე გამოვსულიყვანით ამ ინფორმაციით.

XIX საუკუნეში წმინდა ნინოს პიროვნების შესახებ ინტერესი კვლავ იზრდება. ჟურნალი „საქართველოს სასულიერო მახარებელი“ 1866 წლის ერთ-ერთ ნომერში წერდა: „სამართალი ითხოვს, რომ ყოველმან ქართველმან, წულმან და ქალმან იცოდეს (ცხოვრება განმანათლებლისათვის წმინდისა ნინოსი).“

ნინოს ცხოვრების მხატვრული დამუშავება, უფრო სწორად ცხოვრებისეული ფაქტების პოპულარულად მოთხრობა უცდის ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს, მრავალი პოეტური სიტყვა უძღვნეს აკაკიმ, ვაჟამ და სხვებმა.

წმინდა ნინოს ცხოვრების ლექსის ფორმით გადმოცემა, უფრო სწორად პროზაული ტექსტების გალექსვის ერთ-ერთი პირველი ცდა როგორც ვთქვით დაუზა ქვარიანს ეკუთვნის ( დაცულია - 1779 - ხელნაწერში).

XIX საუკუნეში ნინოს ცხოვრების ორიგინალური ლექსითი ვარიანტი რამდენიმე მოვაინანძო შეიქმნა. ჰუბლიკაცია კი უფრო გვიან მოხდა. „ცხოვრება წმინდისა ნინოსი აქამომდე არა ყოფილა დაბეჭდილი ქართულად ცალკე“ — აცხადებს ზემოთ დასახელებული უურნალი. დღეს ჩვენ გვინდა საგანგებოდ შევჩერდეთ იროდიონ ელიოზიძის თხზულებაზე „აღნერა ცხოვრებისა წმინდისა მოციქულთა-სწორისა ნინოსი ქართულთ განმანათლებელისა“ (ლექსად თქმული. დაბეჭდილია ქ. თფილისს, ენფიანჯიანიცის სტამბაში (1868 წელს).

ამავე პერიოდში 1848 წელს სანკტპეტერბურგში დაიბეჭდა XIX საუკუნის 30-50-იან წლებში თბილისში მოცხოვრებ ვინძე ა. მარსოვის პოემა „Святая Нина просветительница Грузии“ (издание Павла зиновьевекаго), რომელსაც როესანა ახვერდიანმა მიუძღვნა რეცეზზია. 1884 წელს გამოქვეყნდა მ. ა. ოპოჩინინის „წმიდა ნინი“ რუსულ ენაზე. ქართულად უთარგმნია ივ. კერესელიძეს და დაუბეჭდავს თავის უურნალში („ივერია“ 1884 წ. XI, XII).

იროდიონ ელიოზიძე ქართულ მნერლობაში არც თუ ცნობილი პირია. მისი ცხოვრების ფაქტები ვერც ჩვენ მოვიძიეთ, ცნობილია ერთი რამ, რომ ის იყო სასულიერო პირი, მღვდელი, და მსახურობდა სამხედრო უნიყებაში. 1872 წელს შურნალ „ცისკარში“ (2,3) გამოუქვეყნებია ლექსები „მეგობრობაზე“, „მოძღვრობა“, „სიმღერა ოკროსტიხი“, „ოკროსტიხად“ და სხვა. 1869 წელს „საქართველოს სასულიერო მასარებელშიც“ (2) დაუბეჭდავს ლექსი „ივერიის მოზღვოების ხატი“. ცნობილი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი 1868 წლის 24 მარტს ჰელისინკის უნივერსიტეტის რუსული კათედრის პროფესორს, აკადემიკოსს გ. ვროტს (იაკოვ კარლოს დე 1812-1898) სწერს: „მღვდელ იროდიონ ელიოზიძის მიერ გალექსილი წმინდა ნინოს ცხოვრება დაწერილია კარგად. მისი გამოცემა სასარგებლო იქნება ყველასათვის...“ პლატონ იოსელიანი თვით კისრულობს გამოცემის პასუხისმგებლობას და კორექტურას (წერილი დაცულია საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურ საჯარო ბიბლიოთეკაში იშვიათ გამოცემათა და ხელნაწერთა (რარიტეტი) განყოფილების ფონდში, ნომრით S-40/124).

პლატონ იოსელიანის შეფასება შეიძლება დღეს მთლად არ იყოს მისაღები, მაგრამ ერთი ფაქტია, რომ XIX საუკუნეში შექმნა ორიგინალური პოემა წმინდა ნინოს ცხოვრების შესახებ.

პოემა საკმაოდ მოზრდილია, იგი შედგება 261 თექსმეტმარცვლიანი სტროფისაგან და ბოლოს ერთვის ავტორის კოლოფონი 6 სტროფიანი აკროსტიული ლექსი, რომლის კიდურნერტილობა იძლევა: „ლვდელი იროდიონ ელიოზიძევი.“

ლეონტის რედაქციის დამოკიდებულება „მოქცევას“ ტექსტთან მეცნიერებაში ცნობილია. იგი ზედმინევნით იყენებს მას, ხშირად სიტყვა-სიტყვით იქამდე, რომ ლეონტის ვარიანტით შეიძლება „მოქცევას“ ტექსტის გამართვაც კი.

იროდიონ ელიოზიძეს წყაროდ თავისი პოემისათვის აუღია ლეონტი მროველის რედაქციის ტექსტი. ამ დროს „ქართლის ცხოვრების“ პროსეს გამოცემა უკვე არსებობდა (1840 წ.) და სწორედ ამ გამოცემით სარგებლობდა იგი. მას ხელნაწერი არ გამოუყენებია. ჩვენ შევადარეთ პოემა და ლეონტის ტექსტი,

გაირკვა, რომ როგორც ვთქვით, პოეტი ეყრდნობა „ქართლის ცხოვრებას“. არავითარი შემოქმედებითი გადახვევისათვის ავტორს არ მიუმართავს.

#### ლეონტი (გვ. 74-75)

„მაშინ შეიძრნეს ათნი საერისთაონი: ხოზამა, ხოზა, გაახილაჯა, ტენებაგა, ხინგარაგი, ზიჯა, ზადა, ზარმა და თმონიდა, სამეფო და მიეგებვოდეს ესე ყოველნი მდინარეს ზედა დიდსა და ღრმასა.“

#### იროდიონი (გვ. 7, 21, 22, 23)

გახდა ბრანჯგთშორის ამბავი, ლაშქარ მთავართ, მეფისათვეს, მათისა ნათლის-ლებისა, მათისა სიცოცხლისათვეს, შეიძრნეს ათნი სამთავრო, მათის მიეგებისათვეს, და შესწირეს მადლი ზაბულონს, მათისა გამოხსნისათვეს. ხოზამო, ხოზა, გაახლაჯა, ხონებაგა ხანგსათურთ, ზაჯა, ზაგა, ზარდამ, ზამარა, თმონი სამეფოთურთ, ესე თემინი მიეგებნენ, ჭაბუკ, ყრმანი დედებითურთ და ჰერდრეს მეფეს და ზაბულონს, ნეთელი გულიც ყველასა გუსურს.

მიეგებება ბრანჯგთა იყო, ერთსა წყლის პირისა ლრმისასა, დააყენა მეფემ ერნი, ორსავე მხრით მის წყლისასა, აუკურთხა წყალი ხუცესმან, განინმინდნენ, ემბაზსა ქრისტეს ღუთისასა.

#### ლეონტი (გვ. 77)

ხოლო დედაქ იგი წმინდისა ნინოქსი მისცა პატ-რიარქმან მსახურად გლახაკთა დედათა და უძლურთა და წმიდა ნინო მსახურებად ნიაფორსა სომხესა დვი-ნელსა ორ წელ, და პკითხვიდა ყოვლადვე ვნებათა მათოთს ქრისტესთა: ჯუარცმისა, დაფლვისა და აღ-დგომისა მისისა, და სამოსლისა მის და ტილოთა და სუდარისა, და ჯუარისა და სხვა.

#### ლეონტი (გვ. 77)

რამეთუ არავინ ყოფილიყო და არცა ვინ იყო შორის იერუსალემსა სწორ მისსა მეცნიერებითა სჯულისა, ძულისა და ახლისათა, ყოველსავე ზედამიწევ-ნით.

#### ლეონტი (გვ. 77)

„ხოლო ინყო უნყებად მისა და პრქუა: „ვხედავ, შვილო, ძალსა შენსა ვითარცა ძალსა ლომისა ძუისა-სა, რომელი იზრახებენ ყოველთა ზედა ითხევრმთა, გინა ვითარცა ორბი დედალი, რომელი ათვიდის სი-მაღლესა ჰერთასა.“

#### იროდიონი (გვ. 9, 33)

პატრიარქმან გლახაკთ დედათ, სუსანა მისცა მსახურად, წმიდა ნინო ნიაფორას, სომებს დვინერლსა მსახურად ორ წელ დაპყო წმიდა ნინომ, ნიაფორისა მსახურად, და პკითმდა მას კუართისათვეს, ვით იყო ქრისტე ვნებულად.

#### იროდიონი (გვ. 10, 34)

რადგან ნიაფორის მსგავსად არავინ იყო მეცნიერი, არცა ახლისა ჰერულისა, არცა ძულის მესხი-ერი, მან მოუთხრა ქრისტეს ჯუარცმა, ურიათაგან ძლიერი, და აუწყა მას კუართისათვეს, რაც ჰსურდა ნინოს ძლიერი.

#### იროდიონი (გვ. 10, 35)

ესრეთ რექუა ნიაფორამ, განსწავლულსა ყოვლისასა, „შვილო ჩემო შენი ვხედავ, ძალსა ლომის ძუისასა, „რომელ აზახებნ ყოველთზედ, მმეცნიერისა მთხოვნება, და „გინ დედალი არნივი, აღმსვლელი ჰერისასასა.“

მაგალითების გაგრძელებას აზრი აღარ აქვს. ცხადია ყველასათვის, რომ პოემის ავტორს დედანა აულია ლეონტის ტექსტი და იგი გაულექსავს.

იროდიონ ელიოზიძე არის XIX საუკუნის მწიგნიბარი, რომლის თხზულებასაც რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, მაღალი შეფასება დაუმსახურებისა პლატონ იოლესლიანისაგან. იგი არის ე. ნ. ძველი

თაობის შემოქმედთა წარმომადგენელი თავის შემოქმედებითი პრინციპებით. მთავარი იყო ნინოს მოლვანეობის ფაქტის დაფიქსირება. ლიტერატურული მხარე მისთვის არ იყო გადამწყვეტი. წმიდა ნინოსადმი მიძღვნილი პოეტური სტრიქონები მაღალი პოეტურობით არ გამოირჩევა, მაგრამ ნინოს თემისადმი ინტერესი აშკარაა. ყოველივე ამას კი მოკრძალებით თვით ავტორიც აღიარებს.

მომიხსენე მე უდირსად,  
ლირსო წმიდაო ქალწულო! —  
უკეთესისა ხარ ლირსი,  
დიდებად ქებად ქალწულო.  
ემის უკეთეს მე ვერ ვსთქვ,  
ლექსად ცხოვრება შენია,

ისტორიული ყოველი გსთქვი,  
იკარონ მკითხულოთ ძლუზნია.

იროდიონ ელიოზიძე — მორჩილი ლეთისა, სარწმუნოების ბეჯითი მოდარაჯე, ჩვენში არსებული დუხტირი აღზრდა-განათლების სისტემის დროს, ცოდნის მსახურია. საქართველოს მართმადიდებლური ტაძრის ამბიონიდან, უბრალო. გაშლილი ხელის-გულით ქართველ ერში წმიდა ნინოს და უფლის მცნებათა სიყვარულის მთესველია. წინაპრის ხელით და-თესილ ყანის ყვავილოვან წალკოტში, ფარავნის ტბილან ბოდგემდის, აღმართულ ტაძრებს, დაწერილ წიგნებს, დახატულ ფერებს, სულის სინაზის და სიძლიერის მარადიული სურნელი აქვს.

## ნუგზარ ნადარაია

### ფაზისი კოლეგი ცივილიზაციის გვირგვინი (გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ 2)

„ბერძნული წყაროების მიხედვით შავი ზღვის სანაპიროზე არსებობდა: ბიჭვინთის, სებასტოპოლის (სოხუმის) და ლაზიკის (ფაზისის) ეპარქიები. მოგვიანებით მათ მიუღიათ ავტოკეფალიები. ლაზიკის ეპარქიებს სათავეში ედგა ფაზისის მიტროპოლიტი, რომელსაც ექვემდებარებოდა: როდოპოლისის, საისინთა, პეტრას და ზიგანევთა (გუდაყვა) ეპარქიები, სებასტოპოლის (სოხუმის) ეპარქია უფრო პატარა იყო და მას დაქვემდებარებული ეპისკოპოსები არ ჰყავდა. ფაზისის მიტროპოლიტის ცენტრი იყო ქალაქ ფაზისში (ფოთში) აქ პეტრა და თავისი ეპარქია ლაზიკის ეპარქიის მიტროპოლიტის. მას ექვემდებარებოდა ოთხი ეპისკოპოსი: როდოპოლისის (ვარციხის) ეპისკოპოსი სავარაუდო პირველმოსაყდრედ ითვლებოდა. პეტრა არის ლაზიკის ცხობილი ციხე-სიმაგრისა და ადმინისტრაციული ცენტრის პეტრას სახელი. მკვლევართა აზრით, საირინი არის დღევანდელი ცაისში (ზუგდიდის რი). კოლხეთის ეს ოთხივე სამიტროპოლიტო მეათე საუკუნემდე კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში შედიოდა. მეათე საუკუნის პირველ წლებში (901-907) ლაზეთის ეპარქია თავისი ოთხი საეპისკოპოსო კათედრით (როდოპოლისი, ცაიში, პეტრა, ზიგანევი-გუდაყვა) არ ექვემდებარებოდა კონსტანტინეპოლის პატრიარქეს. იგი მცხეთის საკათალიკოსოს დაუკავშირდა... არც ერთ შემდგომ ნოტიციაში (X, XI, X, X) რომელიც თარიღდება X საუკუნიდან, ძველი ეპარქია ლაზიკისა, რომლის მიტროპოლია ფაზისში (ფოთში) იყო. კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ საყდართა შორის არ ჩანს”<sup>1</sup>

ფაზტო ჭარისტიანობა, როგორც ყველა სხვა სარწმუნოებასთან შედარებით პროგრესული და ფაქტობრივად რეალური, ღვთითკურთხეული მრნამსი, მეცნიერულ მონაცემებსა და საფუძვლებს დამკვიდრებული მოძღვრება, სწორედ ფაზისში (ფოთში) კულტურის, განათლების, სულიერებისა და ეკონომიკის აღორძინებულ შეგიზღვისპირეთის ამ მნიშვნელოვან ცენტრში გზას უკვალავდა კოლხეთის (ფაზისის) აკადემიის დაარსებასა და საუკუნეების მანძილზე (III-XIII ს.ს.) მის წარმატებულ ფუნქციონირებას, სადაც ლებულობდნენ აღზრდასა და განათლებას ქრისტიანობისა და სახელმწიფოებრიობის თვალსაჩინო მოღ-

ვაწეები. აღნიშნულის უტყუარი დადასტურებაა ბიზანტიელი ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის თემისტიოსის (317-383 წ.წ.) ცნობა ფაზისში (ფოთში) უმაღლესი სკოლის არსებობის შესახებ. დიდი ივანე ჯავახიშვილი ბიზანტიოლოგის ლატიშევის ნაშრომში დაყრდნობით წერს: „ელინური სწავლა-განათლებისთვის ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩნდა კოლხეთში და ქვეყნა ელინური კულტურისა და „მუზათა სადგურად უცევიათ“. კოლხებს იმ დროისათვის სადლესასწაულო ყრილობებშიც კი უსახელებიათ თავი რიტორიკითა და მჭერმეტყველებით“. ასევე ცნობილია თემისტიოსის რჩევა სწავლის მოსურნე ახალგაზრდობისადმი, რომელიც თხოვდა მას დაეხმაროს სატახტო ქალაქ ათენში ამ კონსტანტინეპოლში უმაღლესი განათლების მიღებაში. (თემისტეს 27-ე სიტყვა) მე თავად უმაღლესი განათლება მივიღე არა ათენში და კონსტანტინეპოლში, არამედ ფაზისში. ამდენად კოლხეთის (ფაზისის) აკადემია ბიზანტიის ანალოგიურ სასწავლებლებთან შედარებით, ყველაზე დაწინაურებული გახლდათ იმ დროისათვის (III-VIII ს.ს.) აკად. შალვა ნუცუბიძის მტკიცებით: თემისტე სრულიად ნეიტრალური პირია და აქ სუბიექტივიზმი უნდა გამოირიცხოს, რადგან იგი სრულებითაც არ არის დაინტერესებული კოლხეთში სწავლა-განათლების, აღზრდისა და რიტორიკაში წერთნის განვითარებით.<sup>3</sup> ისტორიულ წყაროებში ისიც არის ცნობილი, რომ თემისტიოსის მამასაც ევგენიოსს (III ს.) კოლხეთის აკადემიაში მიუღია უმაღლესი განათლება და ამით მამა-შვილი ორივენი ამაყობდნენ. ფაზისის (კოლხეთის) აკადემიაში არა ცხენზე ჯირითს, შუბისა და ბადროს ტყორცნას ასწავლიდნენ, მეზობელ ბარბაროსთა მსგავსად, არა-მედ წვრთნიდნენ რიტორიკულ ხელოვნებაში, ფილოსოფიაში, ისწავლებოდა ქრისტიანული მოძღვრება, საბუნებისმეტყველო დარგები, სავაჭრო საქმე, ამზადებდნენ სამართლის მოღვაწეებს... ე. ი. აკადემია „მუზების ტაძარის“ წარმადგენდა. თემისტიოსი სიამაყით აღნიშნავს „მე რიტორიკის ნაყოფი მოვწყიტე პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად, სადაც არგომ თესალიიდან დაისადგურა და სადაც ვეზიარე „მუზებისა და სიბრძნის ტაძარში“.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. გვ. 253

<sup>3</sup> შ. ნუცუბიძე ქართული ფილოსოფიის ისტორია. ტ. I თბ. 1956. გვ. 96

<sup>1</sup> იხ. ბიზანტიური მწერლობის ცნობები საქართველოს შესახებ. ს. ყაუხჩიშვილის თბ. 1952 წ. გვ. 128

ნააზრევიდან გამომდინარე ნარმოგიდეგნთ  
ჩვენს მიერ ისტორიულად უტყუარ წყაროებზე დაყ-  
რდნობით შემუშავიბულ დასკვნიბს”

1. საუკუნეების მანძილზე, ისტორიული ფაქტებით დადგენილი ჭეშმარიტების, პოლიტიკური კონიუნქტურის ზეგავლენით სუბიექტივიზმისაგან დაცვა ყოველ პატრიოტს ღირსებასა და სიამაყესთან ერთად, ქვეყნისა და ერის წინაშე განუზომელ პასუხისმგებლობას აკისრებს, იგი პირველ რიგში მომავალი თაობებისადმი ჩვენს მზრუნველ გულშემატკივრობას შეეხება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი დღევანდელი სამეცნიერო კონფერენცია აღნიშნულის კონკრეტული გამოხატულება და მტკიცებულებაა.

2. დადასტურებულია, რომ ცნობილი „დიდი აბრეშუმის გზა”, ანუ საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც ევროპასა და აზიას აკავშირებდა, მოდიოდა ინდოეთიდან, ჩინეთიდან და რომელსაც კასპიის ზღვით, აღბანეთითა და მტკვრით, სურამის უღელტეხილის გავლით, შორაპნიდან მდინარე რიონისა (ფაზისის) ჩამდინარე შენაკადების მეშვეობით, საქართველოს ტერიტორიაზე შავი ზღვის (პონტიოს ზღვა) სანაპირო ქალაქ ფაზისს (ფოთს) უკავშირდებოდა, აქედან კი ხმელთაშუა ზღვისპირეთსა და მიმდებარე ქვეყნებს. ამდენად ფაზისი (ფოთი) იმ დროისათვის გახლდათ მნიშვნელოვანი სანაოსნო-სავაჭრო, კულტურულ-საგანმანათლებლო, ეკონომიკური ცენტრი. მაღალგანვითარებული ტექნიკური-სამშენებლო აზროვნებით, მეტალურგიით,

მნერლობითა და რელიგიურობით, ჩვენი წელთაღ-  
რიცხვიდან კი ქრისტიანობით. ფაზისი კარგად იყო  
ცნობილი გარე სამყაროსათვის. ქვეყანას (დასავლეთ  
საქართველო), რომელშიც მდებარეობდა ფაზისი და  
ასე ძლიერად ჩქერდა სიცოცხლე, ერქვა აია, შემ-  
დგომში კი კოლხებიდა, ლაზეთი, ეგრისი. ბერძნები  
ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში ეწვივნენ ამ  
ქვეყანას, რასაც თავადვე ბერძულ ისტორიული წყა-  
როებით ადასტურებენ. კოლხეთის ისტორია ძველი  
წელთაღრიცხვის II ათასი წლეულში იდგეს სათავეს.

3. ქრისტიანობა მეცნიერულ მონაცემებს და  
საფუძვლებს დამკვიდრებული მოძღვრება, სწორედ  
ფაზისში (ფოთში) კულტურის განათლების, სულიე-  
რებისა და ეკონომიკის აღორძინებულ შევიზღვისპი-  
რეთის ამ უმნიშვნელოვანეს ცენტრში გზას უკვალავ-  
და კოლხეთის (ფაზისის) აკადემიის დაარსებასა და  
საუკუნეების მანძილზე (III–VIII ს.ს.) მის წარმატებულ  
ფუნქციონირებას. აკადემიაში მზადდებოდა სახელ-  
მწიფო და სასულიერო მოღვაწე-წინამდლოლნი. მეც-  
ნიერული რიტორიკის დიდოსტატები. მ. შ.: მეცე გუ-  
ბაზის, ფარტასის, აიეტის, და წათეს საჯარო გამოს-  
ვლები საქართველოს ბიზანტიასა და სპარსეთს შო-  
რის პოლიტიკური ორიენტაციის თაობაზე, აქტუალუ-  
რობას დღესაც ინარჩუნებს. სახალხო რიტორიკის ეს  
შედევრები დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის  
ფონდებში. ცნობილი რუის-ურბინისის საეკლესიო  
კრების წყაროებთან ერთად – დიდი დავით აღმაშე-  
ნებლისა და ასევე დიდი გიორგი ჭყონდიდელის ლვან-  
ლის ამსახველ მატიანესთან ერთად.

ქართველი კაცისათვის, სამშობლოს თავდადების გრძნობასავით, ღირსების გრძნობის ჩანერგვა-განმტკიცებაში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება ქართულ მართლმადიდებლურ, სამოციქულო, ავტოკეფალურ - დედა ეკლესიას, წმინდა სინოდს, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მეთაურობით. ადამიანმა, ლვის შვილმა მიწიერი კეთილდღეობა არ უნდა მიიღოს ღირსებაზე უარის თქმით, რადგან ასეთი ქმედება წყველისა და ღალატის ტოლფასია, როგორც პიროვნებისათვის, ასევე ერისა და მთლიანად ქვეყნისათვის. რამეთუ საზოგადოება, რომელიც ღირსების, ჭეშმარიტების მაღლას მოკლებულია, განწირულია გადაგვარებისა და დაღუპვისათვის... სწორედ ამ ტრადიციების დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ კოლხეთის (ფაზისის) აკადემია პირველი უმაღლესი სასანავლებელია, ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელს ტერიტორიაზე, რაც დიდ საბჭოთა და პედაგოგიკურ ენციკლოპედიებშიც არის აღნიშნული და დადასტურებული. ფაზისის საერო აკადემია გახსლავთ დედა აკადემია იყალთოს, გელათის, ეროვნული და სხვა სადღეისოდ ფუნქციონირებადი დარგობრივი აკადემიებისა. ეს ფაქტი, გარდა იმისა, რომ საამაყოა, დიდ პასუხისმგებლობასა და მოვალეობასაც გვაკისრებს. ასევე შემთხვევითობით არ უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევარში სწორედ ფოთში (ფაზისში) მსოფლიოში სახელგანთქმულმა ქართველმა მეცნიერებმა აკადემიკოსებმა: ილია ვეკუამ, ალექსანდრე ბარაძემ, ანდრია აფაქიძემ, ცოტნე მირცხულავამ, ეგნატე ფიფიამ, გიორგი ჯიბლაძემ, კოტე ჩაჩვამ, გიორგი ჩიტაამ, პავლე ინგოროვამ, პარმენ ზაქარაიამ, პროფესორებმა: დავით ხახუტაშვილმა, ილია ტაბადუამ, ვენორი ქვაჩახიამ და სხვებმა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამსვლელ სესიაზე ოფიციალურად აღადგინეს III-VIII საუკუნეებში ნარმატებით ფუნქციონირებადი ფაზისის (კოლხეთის) მეცნიერებათა აკადე-

მია, რომელიც საბედნიეროდ დღესაც მოქმედებს. მართლაც, ლირსების გრძნობა საკვირველი და გადამრჩენია ერისა, ამიტომაც საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ ამ უმაღლესი ისტორიული სკოლის წარსული, ისტორიული, ლიტერატურული, ფოლკლორული და სხვა წყაროებზე დაყრდნობით და მხოლოდ მათ საფუძველზე გამოვიტანოთ დასკვნები, ესეც ხომ ლირსების საქმეა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაზისის საერო აკადემიის სამეცნიერო კონფერენცია აყენებს საკითხს ქვეყნისა და ადგილობრივი საქალაქო, რაიონული თვითმმართველობის სადირექტივო ორგანოების, საქართველოს საპატრიარქოს, წმინდა სინოდის წინაშე, ქალაქ ფოთს დაუბრუნდეს ისტორიული სახე-

ლი ფაზისი, ხოლო ფოთისა და ხობის ეპარქია იწოდებოდეს ფაზისის სამიტროპოლიტოდ. ამასთან დამტკიცდეს ბატონ გვანჯი მანიას მიერ წარმოდგენილი საექსკურსი მარშუტი, „აბრეშუმის გზისა“ და „არგონავტების ნაკვალევზე“ – სახელმოდებით. დასასრულს, კიდევ ერთი ისტორიული ფაქტი: თუ არ იქნებოდა არისტოტელე, არ იქნებოდა მაკედონელი, თუ არ იქნებოდა გიორგი ჭყონდიდელი, არ იქნებოდა დავით ადმაშენებელი, თუ არ იქნებოდა კოლხეთი, არ იქნებოდა მისი გვირგვინი – ფაზისი... (წატარდა კენჭისყრა, წინადადებები მიღებული იქნა ერთხმად).

საქართველოს ჭყონდიდელ-ცოტნეიდელთა საზოგადოების თავმჯდომარე, ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი, ე. მ. დოქტორი.

## სიმონ ზაქარაია

### ნიგილან – „დევილები გოლგოთის გზაზე“ რუსეთი კავკასიაში პოზიციებს არ თმობს

ისტორიიდან ცნობილია, რომ დასავლეთ ევროპის ხალხებმა ფრანგების, პოლონელების და გერმანელების მაგალითისამებრ, რომლებსაც ახლახან ბალტიისპირეთის პოსტსაბჭოური ქვეყნებიც შეუერთდნენ, სამკვდრო-სასიცოცხლო ომებით, თუ ბრძნული, მომგებიანი დიპლომატიური პოლიტიკის გატარებით რუსეთის იმპერიას მათკენ მიმავალი ყველა გზა გადაუკეტეს. ამჟამად დასავლეთ ევროპის დიდი თუ პატარა ქვეყნების ხალხები დამოუკიდებლად წყვეტენ თავიანთ სახელმწიფოებრივ საქმეებს, რაც ჭეშმარიტად უდიდესი მონაბოვარია ამ ერების ისტორიაში.

...მაგრამ სამაგიეროდ დიდი უბედურება დატრიალდა კავკასიაში, რუსეთის იმპერიის ქვეყნად დაუტევევარი „ინტერესები“ გადმოიდვარა სამხრეთის მოსაზღვრე ქვეყნებში, რამაც გაამნარა და სისხლში ჩა-

ძირა კავკასიის მრავალტანჯული ადგილობრივი მცირე ერები. ჯერ იყო და იმპერიულმა რუსეთმა საუკუნეების მანძილზე მეგობრულად, ერთ დიდ და ძმუროვაში მცხოვრები ხალხები ათასნაირი ხრიკებით გადაკიდა ერთმანეთს, შემდეგ კი ორი საუკუნეა იარალის გამოყენებით ხოცავს და საკუთარი მინაწყლიდან ერეკება ასიათასობით ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას. რუსეთის ბოროტების იმპერია, არც საბჭოთა სისტემის ნგრევის შემდეგ თმობს პოზიციებს კავკასიაში. მეოცე საუკუნის მიწურულს „გათიშე და იბატონებს“ პოლიტიკით რუსეთი ახდენს საქართველოს ტერიტორიების ანექსიას აფხაზეთსა და სამარიალოში. ამასთან ერთად აფხაზი და ოსი სეპარატისტების დახმარებით მარტო აფხაზეთიდან 300 ათასი ქართველი გამოაძევეს.

### სოხუმის დაცემის ნინა დღეები... ძალი მოსახლეობაში

მინდა მოვიგონო ის მძიმე დღეები, რაც სოხუმის დაცემამდე რამდენიმე დღით ადრე სუფევდა მოსახლეობაში და დაცემის შემდეგ, როცა სასონარკვეთილი, ყველასგან მიტოვებული იმედდაკარგული ხალხი აშკარად გრძნობდა მოახლოებულ და გარდაუვალ უბედურებას.

1993 წლის სექტემბრის პირველი ნახევრიდან დედაქამი – ნუცა თედოს ასული ბაგათელია გადმოვიყენ საცხოვრებლად – თხუბუნში (გულრიფშის რნი), სადაც მდებარეობდა ჩემი სამსახურიც – სოხუმის ეთერზეთოვანი კულტურების სამეცნიერო ორგანიზაცია. მე მაშინათვე ჩავენერე იქვე არსებულ შტაბში, რომელსაც ხელმძღვანელობდა გულრიფშის რ-ნის სოფ. მაჭარის საკრებულოს გამგებელი ედუარდ ალექსანდრეს ქე შანგუა. ჩვენს ათეულს იარაღით ხელში ევალებიდა მდინარეების – კელასურისა და მაჭარას შორის ზღვის სანაპირო ზოლის დაცვა, რათა ე.წ. „ზასტავის“ ტერიტორიაზე მტერს არ გადმოესხა დესანტი ზღვიდან. ეს ტერიტორია ხშირად ხდებოდა მტრის სამიზნედ, ამიტომ მდინარე გუმისთის გაღმიდან „გრადისა“ და „პაუბიცის“ დანადგარებიდან ჭურვების სროლა და მათი აფეთქება განუწყვეტლივ წარმოებდა. 23 სექტემბერს, საღამოს საათებში, მტრის მიერ წასროლი ერთ-ერთი ჭურვის აფეთქებისას, ნამ-

სხვრევმა მარცხენა ფეხის ქუსლთან მყესის ძარღვი გადამიჭრა. იქვე მეგობრებმა ფეხი შემიხვის, მაგრამ ჭრილობა იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ დღესაც მიშლის სიარულში. ეს ჩემი მეორე ჭრილობა იყო, როცა სიკვდილს შემთხვევით გადავურჩი. 25 და 26 სექტემბერს, როგორც დღისით, ასევე მთელი ღამის განმავლობაში ხალხის ნაკადი არ წყდებოდა მდინარეების კელასურ-მაჭარას შორის საავტომობილო ტრასაზე, ყველა მაცხოვრებელი თვითნებურად თუ იძულებით ტოვებდა სოხუმისა და სოხუმის რაიონს და მერხეულ-წერდების მიმართულებით ზემო სვანეთისკენ მოემართებოდა. თუ 20-22 სექტემბრად მოსახლეობის გარკვეულ წანილს ცოტათი მაინც გვჯეროდა ჩვენი მთავრობისა და სამხედრო ხელმძღვანელობისა, ბოლო დღეებში ისიც გაგვეფანტა, რადგან მტერი ქალაქს ყოველი მხრიდან უახლოვდებოდა. ხალხის უიმედობა უფრო იმან განაპირობა, რომ შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა ჯგუფ-ჯგუფად მიტოვება და ქალაქიდან გასვლა. მოსახლეობა მიხვდა იმას, რომ მისი დამცველი და მხსნელი უკვე არავინ იყო და გაგრის ტრაგედიის განმეორებაც იყო მოსახლეობის თვითნებით მარტო აფხაზეთიდან 300 ათასი ქართველი გამოაძევეს.

26 სექტემბერს საღამოს თხუბუნის ქართული მოსახლეობა შეიკრიბა ჩვენი შტაბის წინ და კატეგო-

რიულად მოითხოვა იმ სამხედროებისთვის იარაღის ჩამორთმევა, რომელიც თვითნებურად ქალაქს ტოვებდნენ. ხალხის სურვილი და მოთხოვნა იყო იარაღით ხელში თვითონ დაეცვა თავისი მიწა-წყალი. თუმცა ეს მამულისთვის გულანთებული ადამიანების სურვილი უფრო იყო, ვიდრე ჭეშმარიტი რეალობა, რადგან ამასც ხომ სჭირდებოდა ხელმძღვანელი და ორგანიზაცია.

### გადავიცის სოცელი დარჩენა

მე ცენტრალური ტრასის ზემოთ მდებარე ბინაში ავედი. გადავწყვიტე, ჩემს დედასთან ერთად ახლობელი აფხაზის ოჯახისათვის შემეფარებინა თავი, რადგან სვანეთის ურთულეს გზის გავლას დედაჩემი ვერ გაუძლებდა მაშინაც კი, ვინმე გარკვეულ მონაკვეთზე ტრანსპორტით რომც დაგვემარებოდა. ასეთი მტკიცე მოსაზრებით შევედი ბინაში, სადაც ჩემს დედასთან ერთად დამხვდნენ კარის მეზობლები ძიძარიას ქუჩიდან, მამა-შვილი სერგო და რობერტ ბერაიბი. სერგომ მითხრა, რომ ჩვენი დიდი ქუჩის მოსახლეობა, რამდენიმე მაცხოვრუბლის გარდა, მთლიანად დაიცალა. მალე გვესტუმრა აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ჩემი ბიძაშვილი გიმერი გივის-ძე ბაგათელია, ამავე სამინისტროს თანამშრომლები ზურაბ თორია და რეზო მიქაელი. აქვე მინდა ალექსიშვილი ის ფაქტი, რომ მიუხედავად შინაგან საქმეთა სამინისტროს

რა თქმა უნდა, რეალურად დადგა ის დროც, როცა უკანასკნელი ქართველი უნდა გასულიყო თავისი ქალაქიდან. 27 სექტემბრის ლამის 12 საათიდან იმატა ხალხის ნაკადმა, ხოლო 4 საათზე ჩვენმა ხუთეულმაც დატოვა ზღვისპირა საგუშავო ზონა. თხუბუნის მოსახლეობის ქართული ნაწილი მიჰყვა ქალაქიდან მიმავალ კოლონას.

### აფხაზი მეგობარი ჩემს გეგმებს ცვლის

სწორედ ასეთ უცნაურ დროს, კიდევ ერთი სტუმარი შემოვიდა ბინაში, რომლის გამოჩენამ, ბურუსით მოსილ ჩემს გონებას მცირე ნათელი და იმედი შემატა. ეს კაცი იყო ედი ხაშბა, ჩემი ოჯახის ახლო მეგობარი, ეროვნებით აფხაზი, ჩვენი სამეცნიერო ორგანიზაციის დაცვის უფროსი, რომელიც ბალმარანის ქუჩაზე ცხოვრობდა. როგორც ყოველთვის, ის პირველად დედასთან მივიდა, გადაეხვია, მოეფერა და შუბლზე აკაცა, იტირა კიდეც, შემდეგ ყველას მოგვესალმა. ის ქართულად ლაპარაკობდა, გვთხოვა დავმსხდარიყით და ყურადღებით მოგვესმინა. ედიკის მოსვლის მიზეზი და მიზანი ყველას აინტერესებდა. მან შემდეგინართად მოგვმართა: ძვირფასო დედა, ჩემი ძმაო სიმონ, ამ სალამოს მე დავაზუსტე ცნობა იმის შესახებ, რომ აფხაზი ბოევიკები უკვე ქალაქში შემოვიდნენ. ისინი რამდენიმე საათში აქაც გამოჩნდებიან, თქვენმა მებრძოლებმა სოხუმი უკვე დატოვეს. ყველას კარგად გახსოვთ გაგრის დაცემას რა უბედურება მოჰყვა, ვერავინ მოგცემთ იმის გარანტიას, რომ იგივე ტრაგედია აქაც არ განმეორდეს. თავზეხელადებული ბოევიკები არავის შეიბრალებენ, ამიტომ მიუხედავად ჩვენი უტყუარი და ულალატო ძმობისა, მე თქვენი გადარჩენის გარანტიას ჩემს თავზე ნამდვილად ვერ ავიღებ. ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ სოხუმში ქართველებთან დარჩენილ ნაწილ აფხაზებს, გუდაუთის მთავრობა როგორი ეჭვით გვიყურებს. ერთი სიტყვით, მინდა დაგარჩნმულოთ, რომ თქვენი მდგომარეობა ძალიან კრიტიკულია, რაც შეეხება დედას, განაგრძო მან, ჩვენმა ოჯახებმა კარგად იციან, რომ 1964 წლიდან იგი ჩემი დედაცაა. 29 წელი გავიდა ჩემი მშობელი დედას გარდაცვალებიდან, მას შემდეგ მე დედას მხოლოდ თქვენ გეხასით, თედოვენა – უთხრა დედაჩემს. თქვენი ზრუნვა ჩემზე მუდამ თბილი, დედაშვილური იყო. მე და სიმონს სტუდენტობისა და ასპირანტურის პერიოდში, შვილი წელინა-დი ერთ ოთახში ძმურად, ურთიერთგაგებით გვიც-

შენობის მრავალჯერ დაბომბვისა, თავდადებულ მეომრებთან ერთად გიმერი ბაგათელია ბოლომდე იცავდა თავის მშობლიურ ქალაქს.

დედაჩემმა ძმისშვილს ტრადიციისამებრ თავზე ხელი შემოავლო, ერთმანეთს თბილად გადაეხვინენ. შემდეგ ყველამ რეზო მიქავასკენ გადავიტანეთ უურადღება, რომელსაც დასისხლიანებული შუბლი ცხვირსახოცით ჰქონდა შეხვეული. როგორც გიმერიმ აღნიშვნა, ნითელ ხიდთან გადმოსვლის დროს, კინო-თეატრ რუსთაველის წინ, რამდენიმე ჭურვი როცა აფეთქდა, ერთ-ერთმა ნამსხვრევმა მიქავას შუბლი დაუზიანა. ჩვენ მას სათანადო დახმარება გავუნიერთ, რის შემდეგ გიმერთან ერთად ბინა დატოვეს. ჩვენთან დარჩა ნათესავი ზურაბ თორია. ჩემი სტუმრები ჩემს გადაწყვეტილებას ელოდებოდნენ, თუ როგორ მოვქცეულიყავით.

ხოვრია. შემდეგ მე ოჯახი შევქმენი, სიმონი ჩემი ხელის მომკიდე ხდება. ჩემს ერთადერთ ვაჟიშვილს სახელი მან დაარქვა და მისი ნათლაც სიმონი გახლავთ. ასე რომ, მთელი ჩემი ცხოვრების ნახევარი, თქვენთან კეთილ ურთიერთობაში გავატარე. ჩემი ბესიკიც ხომ ამის პერიოდში მუდამ თქვენთან იმყოფებოდა და ნუცა ბებოს არ მოცილებია. ნამდვილი ბებოს შესახებ მან მხოლოდ გადმოცემით იცის. ჩვენს ოჯახებს შორის ასეთი მტკიცე და ღვთიურ დამოკიდებულებას მე დიდად ვაფასებდი და ვაფასებ დღესაც. სხორედ, ღლეს ჩვენს გარშემო შექმნილი რთული და კრიტიკული სიტუაცია მავალდებულებს, რომ მე თქვენთან ვიყო და თქვენს გადარჩენაზე ვიზრუნო. ამ გვიან სალამოს ამით იმის თქმა მინდა, რომ სიმონი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, თავის მეგობრებთან ერთად, რაც შეიძლება სწრაფად უნდა ნავიდეს აქედან. ერთადერთი მშვიდობიანი გზა დევნილი მგზავრობისათვის სვანეთის მიმართულებით უნდა იყოს, რადგან აფხაზი მებრძოლები პირველ დღეებში თქვენს გამოდევნებას ვერ გაბედავენ. თქვენ კი, ჩემო საყვარელო დედა, ვერსადაც ვერ წახვალთ, რადგან მთების შვილი ვარ და კარგად ვიცი იქაური გზების ავკარგიანობა, მას თქვენ ნამდვილად ვერ გადალახავთ. ჩემი სიმონის გამძლეობისა და გონიერების ამბავი ყმანვილკაცობიდან მოყოლებული კარგად ვიცი, ფიზიკურად ძლიერია, სულიერად გაუტეხელი, მჯერა, რომ სიმონი და მისი მეგობრები ამ გზას გადალახავენ. ახლა კი, ჩემო საყვარელო დედა, მე და შენ ნელ-ნელა ბალმარანის ქუჩით ჩემს ბინაში წავიდეთ, როცა დადგება მშვიდობიანი პერიოდი, შენს შვილთან მე თვითონ წაგიყვანა – თქვა ედიკმა და წამოდგა. ჩემი აფხაზი მეგობარი დაბაბული იყო, აშკარად გრძნობდა კრიტიკული დროის დაგომას და მის სიმძაფრეს, მოსალოდნელი სავალალო შედეგების გარდაუვალობას. ყურადღებით ვუსმენდით ედიკს და მის გულწრფელობაში არავის შეპარვია ეჭვი.

## დედაქავის მფაიცა გადახყვეტილება

ბოლოს ჩემმა დედამ ყველას დაასწრო, ჩემთან ახლოს მოვიდა და მისთვის დამახასიათებელი დამაჯერებლობით მომმართა: ჩემო შვილო სიმზნ, ერთი წელი გავიდა ძმათა კულელი ომის დაწყებიდან, ვინ მოთვლის, რამდენი აფხაზისა და ქართველის ოჯახია გაუბედურებული. ამ ოში ორივე მხარე წაგებულია, გაიხარა და ზეიმობს მხოლოდ მესამე, რუსული იმპერიის კაცთმოსულე პოლიტიკა. ახლა მთავარია ქართულმა მოსახლეობამ და განსაკუთრებით ახალგაზრდობამ თავს უშველოს. რაც შეიძლება ნაკლები უნდა იყოს პირისპირ შეხვედრა გააფთრებულ ბოევიკებთან. ჩემმა ახლობლებმა კარგად იციან, ჩემო შვილო, რომ მთელი ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები დღემდე შენთვის შემომინირავს. მამაშენი 23 წლის იყო, როცა ქერჩის სასაკლაოზე დაიღუპა. მაშინ შენ ერთი თვისაც არ იყავი, რა თქმა უნდა, გამიმართლე და ჩემი შრომა დააფასე, მადლობის მეტი რა მეთქმის. ახლა კი გონიერებაა საჭირო, რომ დედა-შვილმა შეცდომა არ დავუშვათ, შენი ტრაგიკული აღსასრული ჩემს თვალინინ რომ დატრიალდეს, ეს ღმერთის ნების წინააღმდეგ იქნება მიმართული, მითუმეტეს ორჯერ ბენგზე ხარ გადარჩენილი. ედიკიც მართალია, რითაც შემეძლო, მე მისთვის და ბესიკისთვის გული, სული და მონდომება არ დამიკლია. რადგანაც ედიკი ჩემს

დარჩენაზე პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს, მათ იჯახს მცირე ხნით შევაწუხებ და აქ დავრჩები, ეს მოსაზრება ბევრად უფრო გონიერია, ვიდრე რომელიმე სხვა გადაწყვეტილება. შეეცადე ჩემზე ნაკლებად იდარდო, ჩვენი დედა-შვილობა ყოველთვის სამაგალითოდ მიმართდა, არც ახლა მიღალატო და ედიკს და ჩემს თხოვნას დაჰყევი. აგრე შენი მეგზურებიც – ახლო მეგობრები სერგო, ზურაბი და რობერტი. ბედნიერად გევლოთ ამ ჯერ კიდევ საიდუმლოებით მოცულ გზაზე, ღმერთი იყოს თქვენი და ედიკის მფარველი. ასე დაგვმოძლვრა დედამ. როგორც ყოველთვის, ახლაც, ამ კრიგიყულ წუთებშიც მე დედის თხოვნას დავემორჩილე. მართალია, დედა ისევ ამაყად გამოიყურებოდა და ერთი შეხედვით მისი ცხოვრების დამამშვენებელი შემართებაც ახლდა, მაგრამ მაინც მეჩვენა, რომ ის იმ წუთებში უფრო დაპატარავდ, შინგანად დათრგუნული ჩანდა. ჭკვიანმა ქალმა კარგად იცოდა დედა-შვილის განმორების წუთებიდან არჩეული გზა, რამდენად სახიფათო იყო ორივესათვის: დარჩენაც და წასვლაც! ეს წუთები ჩემს ცხოვრებაში იყო ყველაზე დრამატული და დამთრგუნველი. ვიდექი იმ არჩევანის წინაშე, რომლის შედეგი წინასწარ არავინ უწყოდა. მისი სისწორე მხოლოდ შემდეგში განვითარებულმა მოვლენებმა დაამტკიცეს.

## განშორება დედასთაც

27 სექტემბერს დილის 5 საათზე ეკელასურში, ბალმარანის მოსახვევთან მე და დედაჩემი ერთმანეთს გამოვემუშვიდობეთ. ამ მძიმე და დაუკინებარ წუთებს ვერაფერი დამავინებს. იმ დროს ჩემი ერთადერთი იმედი ედიკ ხაშბა იყო. ედიკმა გაამართლა ჩემი და ჩემი დედის იმედები, მან ღვიძლი დედასავით მოუარა ჩემს დედას და ერთი თვის შემდეგ იყი გალში ჩაიყვანა ძმასთან, ალიოშა ბაგათელიასთან. ბიძის იჯახში ედიკი ბევრჯერ იყო ნამყოფი და იმ დღეს მისი იქ გამოჩენა აფხაზი და ქართველი ხალხების ურთიერთპატივისცემის ჭეშმარიტი გამოხატულება გახლდათ. ჩემი დედა დღესაც დიდი სიყვარულით იგონებს მის შვილობილს – ედიკ ხაშბას, დიდად არის დაინტერესებული მისი ბედით, თუმცა მასზე არაფერი გვსმენია.

27 სექტემბრის გრილი დილის 9 საათზე, ჩვენმა ოთხკაციანმა ჯგუფმა მერხეულის სოფლის ცენტრადე მიაღწია. აქ რამდენიმე წუთი შევჩერდით, ყველას თავ-თავისი ზურგჩანთა მოპქონდა. ჩემს ზურგჩანთაში მედო ერთი სპორტული კოსტუმი, ერთი წყვილი რეზინის ჩექმა, ათი ცალი იოდით სავსე შუშა, ამდენივე სამედიცინო ბინტი, ერთი პირსახოცი და ორი ცალი საპონი. გარდა ზემოთ დასახელებულისა, მოქონდა ჩემი გამოხდილი 70-გრადუსიანი ჭაჭის არაყი „შავი“ დლისთვის, 5 ლიტრა ბენზინი და კარგად გალესილი ბასრი პატარა ნაჯახი. სერგოს ზურგჩანთაში ეწყო 10 ცალი დედაჩემის მიერ წინადლით გამომცხვარი მჭადის კვერი. დამატებით მე და ზურაბს გვქონდა თითო ავტომატური იარალი, თითო ხელყუმბარა და ავტომატის ტყვეები, გზაზე მუდამ იმის მოლოდინში ვიყავით, შეიარაღებული მტერი ტრანსპორტით არ წამოგვწეოდა.

სვანეთისკენ მიმავალთა უმრავლესობა ფეხით მოსიარულენი ვიყავით, საკმაოდ ბევრი მგზავრობა მსუბუქი და სატვირთო მანქანებით, სხვადასხვა მარკის ტრაქტორებით, ცოცხალ გამწევ ძალაზე მიბმული ტრანსპორტით და სხვ. ზოგიერთი დევნილი საქონელსაც მიერეკებოდა, განიერ სამხედრო გზაზე ფეხითა და სხვადასხვა ტრანსპორტით მგზავრთა ისეთი სიმარვლე იყო, რომ ლათამდე თავისუფალი გადადგილება ჭირდა. მე ბინიდან წამოსვლისას არ მიფიქროა არც საკუთარი და არც სამსახურის მანქანით გამგზავრება, რადგან არც საწვავის საკმარისი მარაგი გვერდა და მეორეც, ვინც რამდენიმე დღით ადრე წავიდნენ ოჯახური წივთებით დატვირთული, დააყაჩადეს და გაძარცეს. ამ და სხვა მიზეზთა გამო ვარჩიეთ ფეხით გვევლო ბოლომდე, თუმცა არც დროის ხანგრძლივობა და არც გზის დასახული იყო ჩვენთვის ცნობილი. და მაინც ადამიანთა ამ უზარმაზარი წაკადის უპირველესი მიზანი და იმედი იყო აფხაზეთის სვანეთის ბუნებისა და მოსახლეობისათვის თავის შეფარება.

მერხეულ-წებელდა-ამტყელის გზებზე ადვილად შეიმჩნეოდა უიმედო მდგომარეობაში ჩვევრდნილი ხალხის სტიქიურობა: ზოგი სწრაფად მიდიოდა, ზოგი შესვენებით, ზოგიც ცალ-ცალკე იჯახების მიხედვით. ტრანსპორტით მავალთა შორის ბევრი იყო ნაცნობები, მაგრამ მათი ტრანსპორტის გადატვირთვის გამო არავის გვერდა და მისი იმედი, რომ ვინმეს წავეყვანეთ. ყველანი შემფლოთებული იყვნენ თავსდატეხილი უბედურებით – იძულებით ვტოვებდით ჩვენს ძირძელ მიწას, გასაოცრად ლამაზ ბუნებას, ნალოლიავებ სახლ-კარს. ჩვენი ტრაგედია ისიც იყო, რომ აბსოლუტურად გაურკვეველი მომავალი გველოდა წინ.

## გიორგი ბეჟიტაშვილი

### საქართველოსა და აზერბაიჯანის მემკრობის ისტორიიდან

ალბანეთი – ეს არის უძველესი ტომებით და-სახლებული ქვეყანა საქართველოსა და სომხეთის გვერდით. ერი, რომელიც კავკასიურ ტომებს შორის თავისი არსებობის 2500 — წლიან ისტორიას ითვლის, ქართველ ერთად მეგობრობის გზით მოდის დასაბამიდან დღემდე. თავისი საზოგადოებრივი წყობით, ანტიური ხანიდან დღემდე - დროების უამთას-ვლასთან მიმართებით ინარჩუნებს მეგობრობის ტრა-დიციებს.

დიდია უამთასვლის ისტორია ორ ძმურ ერს შორის. ათასჯერ შეცვლილა ბედის ბორბლის ბრუნვა საუკუნების განმავლობაში, მაგრამ საერთო მტრების წინააღმდეგ ერთ მუჭად შეკრულ კავკასიელებს - ალბანელებსა და ქართველებს მეგობრობის, საზოგა-დოებრივ-პოლიტიკური ერთიანობის უდელი ერთიანი გამარჯვებით უტარებიათ.

ორი მომე ქვეყნის ურთიერთობა უძველესი ისტორიული ეპოქიდან იღებს სათავეს. იგი იმთავით-ვე თავისუფლებისთვის ბრძოლაში ურთიერთდახმა-რების სულისკვეთებითაა განმსჭვალული. უძველესი ხანიდანვე ორ ერს გააფთრებული ბრძოლა უწევდა მსოფლიო იმპერიებთან, საკუთარი დამოუკიდებლობის და ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. თუმცა იყო ისეთი პერიოდებიც, როდესაც მათი მჭიდრო ურთიერთებულება უამთა სიავის წყალობით მტრული იმპერიების წიაღში ხდებოდა. ასეთი იყო, მა-გალითად, აქემენიანთა სპარსეთის ეპოქა, როდესაც ქართველ და ალბანელ ხალხებს სასტიკი უდლის ზიდ-ვა ერთობლივად უწევდათ, ასევე მათთვის თავსმოხ-ვეულ უცხო და უაზრო ომებში მონაწილეობის ჩათ-ვლით.

მომდევნო ეპოქა არანაკლებ ულმობელი აღ-მოჩნდა. თუმცა ელინისტურმა ხანამ შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ შემდგომ ეტაპზე ორი ერის მეგობრობას არანაკლებ მკაცრი გამოცდა ელო-და. რომაული ექსანსიის სუსხან ხანაში მათ შეძლეს საკუთარი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება, ხო-ლო ფარნავაზიანთა დინასტიის საუკეთესო წარმო-მადგენლების - ფარსმან I-ისა და ფარსმან II ქველის მმართველობისას ისინი ჩრდილოკავკასიელ ხალხებ-თან ერთად კვლავ მხარდამხარ იბრძოდნენ ირი მძღვანილი მეზობლის - რომისა და არშაკიანთა პართი-ის მოძალეობის წინააღმდეგ.

I საუკუნის 35-ე წელს სომხეთს პართიელები დაეუფლნენ. რომის იმპერიატორმა ქართლის მეფე ფარსმან I-მა შემოთავაზება მიიღო. მან დასახმარებ-ლად ჩრდილო კავკასიურ სარმატებსა და ალბანე-ლებს უხმო. მოკავშირ სარმატთა და ალბანელთა დახმარებით ფარსმან I-მა შეძლო პართიელთა სომხე-თიდან განდევნა და თავისი ძმა მიიღდატი სომხეთში გაამეფებდა. ფარსმან I-მა შემოთავაზება მიიღო. მან დასახმარებ-ლად ჩრდილო კავკასიურ სარმატებსა და ალბანე-ლებს უხმო. მოკავშირ სარმატთა და ალბანელთა დახმარებით ფარსმან I-მა შეძლო პართიელთა სომხე-თიდან განდევნა და თავისი ძმა მიიღდატი სომხეთში გაამეფებდა. სარმატები და ალბანელები თანამედროვე აზერბაიჯანელი ერის ეთნოგენეზში აქტიური მონა-წილეები იყვნენ.

არშაკიანთა დინასტიის დრამატულ ალსასრუ-ლამდე კავკასიელი ერები, ასე თუ ისე, ახერხებდნენ რეგიონში არსებულ ძალთა წინააღმორობის შენარჩუ-ნებას, მაგრამ ახალი N.აღ.-ის 224 წლიდან ვითარება კარდინალურად შეიცვალა. ერთი მხრივ, დასუსტებუ-

ლი პართიის ადგილას სასანიანთა სპარსეთის წარ-მოქმნამ, ხოლო მეორე მხრივ, რომის იმპერიის ფატა-ლურმა დასუსტებამ რეგიონი არივ-დარია და კავკა-სიის ხალხები ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა. სა-სანიდებთან უთანასწორო ბრძოლაში საქართველომ, სომხეთმა და ალბანეთმა ერთიმეორის მიყოლებით დაკარგეს დამოუკიდებლობა – რა თქმა უნდა, დროე-ბით და სპარსეთის სამარზანოებად იქცნენ. მაგრამ ამ პრიცესს წინ უძლოდა ნახევარსაუკუნოები აღ-მავლობისა და, ამავე დროს, თავგანწირული ბრძო-ლის პერიოდი, რომელიც იმ დროის უდიდესი ქართვე-ლი მეფის ვახტანგ გორგასლის, სახელთანაა დაკავში-რებული.

სხვადასხვა მიზეზთა გამო, ერთობლივი ბრძო-ლის ეს ეტაპი წარუმატებლად დასრულდა. კავკასიის ერებმა სხვადასხვა ხანგრძლივობით დაკარგეს დამო-უკიდებლობა, თუმცა ბრძოლა მის აღსადგენად და ამ ბრძოლაში შეძლებისდაგვარად ურთიერთდახმარება არასოდეს შეწყვეტილა.

არაბების მხრიდან დამარცხებული ირანელი ფეოდალები 639 წელს დიდი ჯარით შეიჭრნენ ალბა-ნეთში. ალბანეთის მმართველმა (მეფემ) ჯავანშირმა, გარკვეული სტრატეგიული თვალსაზრისით, ჯარი იბერიის სამეფოს საზღვრებთან ახლოს განალაგა, შემდეგ კი კამბისენას (კამბერივანის) ტერიტორიაზე გადავიდა. აქ მტერს ბრძოლა გაუმართა. ბრძოლაში ჯავანშირი დაიჭრა. მოსე კალანკატუელის გადმოცე-მით, დაჭრილ ჯავანშირთან მოვიდა ლირსეული კაცი, მისი მეგობარი, იბერიის ერისმთავარი ადარნასე. იგი თავის მეგობარ და მოკავშირ ჯავანშირს ყველაფ-რით დაეხმარა, მათ შორის – ჯარით და საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივად იბრძოლეს. ამგვა-რად გაძლიერებულმა ჯავანშირმა ირანელები უტის ლექისაკენ შეავინოვა და შემდეგ განდევნა ალბანე-თის ტერიტორიებიდან".

IX საუკუნის 20-იანი წლების ბოლო ხანებისათ-ვის საქართველოში მოწყობილი აჯანცების ჩასაქრო-ბად, არაბი სარდალი ხალიდ იბნ იაზისი იძულებული გახდა მეორედ გამოელაშერა საქართველოში. არაბთა წინააღმდეგ საბრძოლებელად კახელ აჯანცებულებს მეგობრული დახმარების ხელი ხურამიტებმა გაუწო-დეს. ხურამიტთა ჯარს აზერბაიჯანის ეროვნული გმირი ბაბეკი მეთაურობდა. არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველთა და ალბანელთა გაერთიანებულმა ჯარმა არაბთა ჯარი გაანადგურა".

თავისუფლებისთვის ბრძოლის შემდგომი ეტა-პი რეგიონში არაბთა გამოჩენასთან ერთად იწყება. მას წინ უძლოდა რეგიონის ტრადიციულ ჰეგემონთა - აღმოსავლეთ რომის იმპერიისა და სასანიანთა სპარ-სეთის ურთიერთდასუსტება. უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად კავკასიელები, ისევე როგორც ახ-ლო აღმოსავლეთის სხვა ხალხები, არაბებს ძველი მჩაგვრელებისგან განმათავისუფლებლებად აღიქ-ვამდნენ. მართლაც, ადრეული ხანის არაბთა სახალი-ფო, საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე, დამორჩი-ლებულ ხალხებს შედარებით აღმობის ლიმობიერად ეპყრობო-და. მაგრამ ასე დიდხანს არ გარდელებულა. ვითარე-ბა განსაკუთრებით აბასინთა დინასტიის სათავეში მოსვლასთან ერთად გაუარესდა. არაბთა ულელი ამ

დროს ერთიორად დამძიმდა, რასაც რეგიონში განუწყვეტელ აჯანყებათა სერია მოჰყვა. ამ მხრივ თავისუფლებისთვის მებრძოლი ერების მდგომარეობას სასალიფოში გამუდმებით მიმდინარე რელიგიური დაპირისპირება აუმჯობესებდა, რასაც IX საუკუნის დასაწყისიდან თან დაერთო არაბთა უკიდეგანი იმპერიის თანდათანობით რღვევა. ამ პერიოდში წარმოებული ბრძოლის სადემონსტრაციოდ საგანგებოდ აღსანიშნავია ბაბექის გრანდიოზული აჯანყება აზერბაიჯანში (816).

დაახლოებით 1014-1016 წლებში ბიზანტიის იმპერატორი ბასილი კეისარი ბულგარელებთან ომით იყო დაკავებული. ამითომ აღმოსავლეთის ტერიტორიებისადმი ყურადღება შეანელა. ამით ისარგებლა მეფე გიორგი I-მა და დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ ბიზანტიის მხრიდან მიტაცებულ ტერიტორიებს დაეპატრონა.

ომიდან გამარჯვებით დაპრუნებულმა ბასილი კეისარმა გიორგი I-ს წერილი გაუგზავნა და ახლად დაკავებული ტერიტორიების დაცლა მოსთხოვა. გიორგი I-მა ამ წერილს უარით უპასუხა. ამითომ ბასილი იმპერატორმა გიორგი I-ის დასჯა გადაწყვეტა და ჯარი დაძრა მის წინააღმდეგ. ქართველ მემატიანეთა გადმოცემით ეს 1021 წ. მოხდა. მოწინააღმდეგები მდინარე არების სანაპიროებზე ერთმანეთს პირისპირ დადგნენ. ერთ ხანს ვერც ერთი მხარე შეტევას ვერ ბედავდა. გიორგი I-მა უკან დახევა ბრძანა. ბასილი იმპერატორმა მათი დევნა დაიწყო. სოფელ შირომნთან ბიზანტიელთა მოწინავე რაზმებისა და ქართველთა ზურგის რაზმებს შორის შეჯახება მოხდა. ორივე მხარის ძირითადი ძალები ბრძოლაში ჩაებნენ. ბრძოლაში ბიზანტიელებმა გაიმარჯვეს. გიორგი I-მა ნიალის გზით თრიალეთის მიმართულებით უკან დაიხია. აქ გიორგი I-ის დასახმარებლად კახელებისა და შექულების რაზმები მოვიდნენ. გიორგი I-ის გაძლიერების შემხედვარე ბასილი კეისარმა ბრძოლა შეწყვიტა, ჯავახეთი-არტანის მიმართულებით უკან დაიხია და გამოსაზამთრებლად ტრაპიზონში დაბანაკდა.

X საუკუნის ორივე მოძმე ერი სახელმწიფოებრივი გაერთიანების პროცესში შესვდა. იგი ორივე ქავეკანაში განსხვავებული წარმატებით მიმდინარეობდა. სხვადასხვა გარეშე ძალა კვლავაც ცდილობდა ამ პროცესისთვის ხელის შეშლას, თუმცა საქართველოში ის მაინც წარმატებით დაგვირგვინდა.

XI საუკუნის მეორე ნახევრიდან შუა აზიდან მომსკდარმა თურქულენოვანი ტომების ნაკადმა კავკასიის ეთნოპოლიტიკური რუკა კვლავ რადიკალურად გადასახვაფერა. საქართველოსთვის და მისი მეზობლებისთვის ეს ყოფნა-არყოფნის დრამატული ხანა იყო. მაგრამ ჯვაროსნულ ლაშქრობათა ეპოქის დასაბამბა ბედისწერის ბორბალი ისევ წალმა შეპრუნა და კავკასიელი ხალხებისთვის კვლავაც გაერთიანებისა და აღმავლობის ხანა დადგა. 120 წლიანი ეპოქის განმავლობაში, რომელსაც საქართველოს ოქროს ხანას უწოდებენ, კავკასიელებს ისევ ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში მოუხდათ ცხოვრება, თუმცა უცხო და მტრული იმპერიებისგან განსხვავებით, ეს მათი მშობლიური, კავკასიური სახელმწიფო იყო, რომელშიც მათ ამ ეპოქის ქართველ მეფეთა სკიპტრის ქვეშ აყვავებისა და განვითარების ყველა წინაპირობა შეექმნათ.

ოქროს ხანას მონღლოლთა შემოსევამ მოულობოლო. ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხები კვლავ უცხო უღლის ქვეშ აღმოჩნდნენ. ამჯერად ეს მონღლოლ ჰულაგუანთა-ილხანების-სახელმწიფო იყო. ასოცინიანი აღმასვლა და ერთიანობა საუკუნე-

ნახევრიანმა დაცემამ და დანაწევრებამ შეცვალა. მონღლოლთა ბატონობამ კავკასიელი ერების არა მხოლოდ სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ მათი მეტალიტეტიც სერიოზულად შეარყია და მათთვის მანამდე უცხო ბევრი მახინჯი მოვლენა შეიტანა მათ ცხოვრებაში. თუმცა XIV საუკუნიდან ვითარება კვლავ დადებითად იცვლება და იგი კვლავაც დიდი ქართველი მეფის გიორგი ბრწყინვალის სახელს უკავშირდება. ამ უკანასკნელის დროს გარკვეულნილად აღდგა 150 წლის წინ მონღლოლთა მიერ დაკნინებული კავკასიური ერთანობა საქართველოს ხელმძღვანელობით, მაგრამ ძალზე მცირე ხნით. საუკუნის ბოლოს თემურ ლეგნის შემოსევებმა არა მხოლოდ კავკასიელთა აღდგენილ ერთანობას დაუსვა წერტილი, არამედ რეგიონი პრაქტიკულად განადგურების პირას მიიყვანა. ამ დროიდან კავკასიელი ხალხების პოლიტიკური დაქასასულობა, სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენა და ზნეობრივი დეგრადაცია შეუკცევად ხასიათს იღებს, თუმცა მათი პოლიტიკური ბედი მაინც სხვადასხვაგვარად წარიმართა: თუკი სომხეთმა და აზერბაიჯანმა პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაკარგეს და ფაქტობრივად მეზობელი დიდი სახელმწიფოების პროვინციებად იქცნენ, საქართველომ, თუმცალა პოლიტიკურად დაშლილ-დანანერვებულმა და გამუდმებული შემოსევებით სისხლისგან დაცლილმა, სახელმწიფოებრიობა მაინც შეინარჩუნა.

მტრული იმპერიებით გარშემორტყმული კავკასიელები, განსაკუთრებით რეგიონის ქრისტიანი ხალხები, არახელსაყრელი გარემოცვასგან თავდალნევის სხვადასხვა საშუალებებს ეძებდნენ. ჯერ კიდევ XV საუკუნის შუახნიდან მათ თვალი დასავლეთ ევროპას მიაპყრეს. თურქ-ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ თითქოსდა ხელსაყრელი ვითარება შექმნა დასავლეთთან დიპლომატიური კონტაქტების გააქტიურებისთვის, რომელსაც ოსმალეთის იმპერია ასევე ემუქრებოდა. მაგრამ თავად ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებულმა ღრმა დაპირისპირებამ ანტიოსმალური ლიგის შექმნა შეუძლებელი გახადა, თუმცალა ევროპასთან კავშირების დასამყარებას დაშლილ-დანანერვების შემდგომშიც არაერთხელ ყოფილა, მაგრამ ყოველი ასეთი მცდელობა უშედეგოდ მთავრდებოდა ხოლმე.

დასავლური მიმართულების წარუმატებლობამ კავკასიელები აიძულა გეზი ჩრდილოეთისკენ აელოთ. XVI–XVIII საუკუნეებში რუსეთის ტერიტორიულმა ექსპანსიამ რეგიონის ხალხებს ოსმალურ-ირანული უძლისაგან თავდალნევის გარევეული იმედები ჩაუსახა. რუსეთთან კავშირების დამყარებას არა მხოლოდ ქართველები და სომხები ესწრაფოდნენ, არამედ, შპანის ირანთან სარწმუნოებრივი ერთანობის მიუხედავად, აზერბაიჯანელებიც არ ერიდებოდნენ.

XVIII საუკუნიდან სპარსეთიც და ოსმალეთიც ღრმა შინაპოლიტიკურმა კრიზისმა მოიცვა. ამ გარემოებამ ხელსაყრელი ვითარება შექმნა რუსეთის ექსპანსიონისტურ გეგმებს. რუსეთს ამ გეგმების განხორციელება ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის დასაწყისში შეეძლო, თუმცალა დასავლეთით განუწყვეტილმა გართულებებმა და ევროპულ მოქმედი მისმა მუდმივმა მონაწილეობამ ამაში ხელი შეუშალა.

ხელსაყრელი მომენტი რუსეთს მხოლოდ XVIII–XIX საუკუნეთა მიჯნაზე დაუდგა. ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი ქართლ-კახეთის სამეფოსთან დადებული გეორგიევსკის ტრაქტატი აღმოჩნდა. იგი აღმოსავლეთ საქართველოზე პროტექტორატის დამყარებას ითვალისწინებდა, თუმცა რუსეთის ნამდვილი გეგმები გაცილებით მზადიდან და

შორსმიმავალი იყო. 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით იწყება ამიერკავკასიის დამორჩილების ხანგრძლივი პროცესი, რომელიც საბოლოოდ მხოლოდ 1864 წელს დასრულდა. კავკასიელი ერები კვლავ უცხო და მჩაგვრელი იმპერიის მარწუხებში აღმოჩნდნენ.

მიუხედავად იმ უარყოფითი მხარეებისა, რაც რუსულ იმპერიალიზმს თან სდევდა, სახეზეა დადებითი მომენტებიც. კერძოდ, რუსეთი ერთგვარ ხიდად იქცა კავკასიის ევროპებიზაციის გზაზე. რუსეთთან შეერთების მომენტიდან, მას შემდეგ, რაც იმპერიის-თვის შეიარაღებული წინააღმდეგობის უსარგებლობაში საბოლოოდ დარწმუნდნენ, კავკასიის ხალხებმა საკუთარი თავისუფლებისთვის ბრძოლა კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის სიპრტყეში გადაიტანეს. ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც იმპერიაში გატარებულმა რეფორმებმა საამისოდ ხელსაყრელი ვითარება შექმნეს, კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას უკვე პოლიტიკური გააქტიურებაც დაერთო. XX საუკუნის დასაწყისისთვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა მთლიანად იმპერიის ფარგლებში, და მათ შორის, კავკასიაშიც, ახალ ფაზაში შევიდა. ამას ხელი შეუწყო თავად რუსეთში განუხრელად მზარდმა სოციალურმა დაძაბულობამ, რაც იმპერატორ ალექსანდრე II-ის მიერ გატარებული რეფორმების პირდაპირი შედეგი იყო. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი ეროვნულმა მოძრაობამ იმპერიის განაპირო მხარეებში რუსეთის რევოლუციებს შორის პერიოდში მიიღო, როდესაც იმპერიის რღვევა შეუქცევადი გახდა. 1914 წლის აგვისტოში დაწყებული პირველი მსოფლიო ომი რუსული თვითმყრობელობისთვის ჩაცემული უკანასკნელი ლახვარი აღმოჩნდა და 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ მას საბოლოოდ დაუსვა წერტილი.

რუსეთის იმპერიის დამხობამ კავკასიელ ხალხებს კვლავ ხანმოკლე დამოუკიდებლობა მოუტანა. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, სწორედ ამ დროს ჩაეყარა საფუძველი საქართველო-აზერბაიჯანის თანამედროვე ურთიერთობებს. ეს ურთიერთობები მნიშვნელოვანილად განსაზღვრა 1918 წელს ჩამოყალიბებული თითოეული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ურთიერთობაზ პირველ მსოფლიო ომში მებრძოლ კოალიციურ ბლოკებთან. საქართველომ იმთავითვე მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა იმსანად რუსეთთან წარმატებით მებრძოლ გერმანიასთან, რომელმაც დაძაბულ და რევოლუციური ქაოსით მოცულ იმპერიის ბრესტ-ლიტოვსკის დამამცირებელი ზავი მოახვია თავს. ამანვე განსაზღვრა მისა სამოკავშირო ურთიერთობა აზერბაიჯანთან, რომელიც გერმანიის მოკავშირი ოსმალური თურქეთის სატელიტად

ითვლებოდა. ამ დროს ეყრება საფუძველი საქართველო-აზერბაიჯანის მეტად ნაყოფიერ თანამშრომლობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სამხედრო სფეროებში. კერძოდ, ამ მხრივ ალსანიშნავია 1919 წელს საქართველოს მიერ აზერბაიჯანის რეპუბლიკისთვის აღმოჩენილი სამხედრო დაბმარება გენერალ დენიკინის აგრესის წინააღმდეგ (ასეთივე დაბმარებას უწევდა იგი ჩრდილოკავკასიელ ნაციონალისტებსაც, სანამ ისინი ისლამისტმა ფანატიკოსებმა არ ჩაანაცვლეს).

რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომში ბოლშევიკების გამარჯვებამ და მათმა კავშირმა ქემალისტურ თურქეთთან კავკასიის ახალგაზრდა სახელმწიფოების მდგომარეობა მკვეთრად გააუარესა. ამ კაშირმა 1920-იანი წლების დასაწყისში თავისი ნაყოფი გამოიძო, რასაც შედეგად კავკასიური რესპუბლიკების გასაბჭოება და ანექსია მოჰყვა.

საბჭოთა პერიოდი მრავალფეროვნებით გამოიჩინა და მას ორივე ერისთვის ისეთივე დადებითი და უარყოფითი შედეგები ჰქონდა, როგორც ცარისტულ იმპერიაში ყოფნის პერიოდს.

უახლესი ეტაპი ორი ქვეყნის ურთიერთობაში 1991 წელს, სსრკ-ს დამლით იწყება. ამ წელს საქართველომ და აზერბაიჯანმაც დამოუკიდებლობა აღიდგინეს და 1992 წლის 18 ნოემბერს დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა. 1997 წლის 10 ოქტომბერს სუამის დამფუძნებელი წევრები გახდნენ. მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა რეგიონის ეკონომიური განვითარებისათვის (ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენი, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა). ორივე ქვეყანა ჩართულია ნატოს პროგრამაში - პარტნიორობა მშვიდობისათვის. ზვიად გამსახუდიას დროს, 1990 წლის დეკემბერში ხელი მოეწერა შეთანხმებას კულტურულ, ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში თანამშრომლობის შესახებ. მსგავსი ხელშეკრულება გაფორმდა ასევე 1993 წლის თებერვალში, რომლითაც საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ აზერბაიჯანულ გაზსა და ნავთობს სომხეთში არ გაიტანდა.

მიუხედავად მათ შორის არსებული ზოგიერთი სადაცო საკითხისა, საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობა ზოგადად დღეისათვის მზარდი დინამიზმითა და პარტნიორული სულისკვეთებით ხასიათდება. განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი ამ ურთიერთობებმა საქართველოში 2003 წელს მომხდარი ვარდების რევოლუციის შემდეგ მიიღო. კერძოდ, აღსანიშნავია რევოლუციის შემდგომ როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური კავშირების გაღრმავება ორ ქვეყანას შორის და მათ შორის ინვესტიციების ურთიერთნახალისება.



## საქართველოს სამართლისადმი

### ბეჭა კვანტალიანი

#### მორალი და სამართლი

მორალისა და სამართლის დაკავშირება უზრუნველყოფს დამნაშავის წინააღმდეგ მის გამოყენებას.

გავიხსენოთ იურიდიული ლიტერატურიდან ყოფილი საბჭოთა კავშირის მეტად გავრცელებული ლოზუნგი „ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამ-ხანაგი და ძმაა“, სადაც აქცენტი კეთდება ზნეობასა და სამართლიანობაზე.

ზნეობრივი ნორმები ატარებენ ერთგვარ შემფასებელ ხასიათს და იკვებებიან საზოგადოებრივი აზრით.

თუ სამართლი სახელმწიფოსთან ერთად იშობა, მორალს უფრო დიდი ხნის ისტორია გააჩნია. მოგეხსენებათ, რომ სახელმწიფოს დაღუპვასთან ერთად კანონებიც ქრებიან, ხოლო მორალი ყოველთვის ინახება და ვითარდება საზოგადოების ევოლუციასთან ერთად.

სამართლის ნორმებით რეგულირდება ის საზოგადოებრივი დამოკიდებულება, რომელიც საჭიროებს სახელმწიფო გარანტიებს, ხოლო მორალი მოიცავს ხალხის დამოკიდებულების უზარმაზარ სფეროს, რომელიც მიიღება ხალხის ზნეობის საფუძველზე.

ნებისმიერი სამართლის ნორმის დარღვევა ეს არის უზნეო საქციელი-კულტივირდება სამართლზომიერი ქცევით, რასაც შეიძლება მორალი ვუწოდოთ.

მორალისა და სამართლის ცოდნა იძლევა იმის საშუალებას, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანის საქციელი საზოგადოებაში, ისინი ახდენენ ადამიანის შეგნების ფორმირებას. მიუხედავად ყველაფრისა ისინი საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: წარმოშობით, მოქმედების სფეროთი, შემოქმედების ხარისხით, გამოხატვის ფორმით და მოქმედების მექანიზმით.

შევიხსენოთ, რომ ქცევის განსაზღვრული წესი, რომელსაც აქვს უზნეასი იურიდიული ძალა და აისახება ნორმატიულ აქტებში-არის კანონი.

კანონები იგივეა, რაც სამართლის ნორმები, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობას მოქალაქეებს შორის, ასევე სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის.

კანონისაფინი წილისტური დამოკიდებულება ბადებს უიმედობას, მკვეთრად ზრდის დანაშაულთა ჩადენის პროცენტს და ხელს უწყობს წარსულის მავნე გადმონაშთების რესტავრირებას.

კავშირი, სამართალი და მორალი-ეს არის ორი ერთნაირი სისტემა: წარმოდგენის, შეფასების, დარ-

წმუნების, ხასიათისა და შეგრძენების მიხედვით. აქვე დავძინთ, რომ სოციალურ ნორმებს შორის წამყვანი როლი ენიჭება სამართლის ნორმებს, რომელიც აუცილებელი სახელმწიფო რეგულატორია. ზნეობა იგივე მორალია, რომელიც ადამიანის სულიერ მხარეს განსაზღვრავს. მისით გაჯერება ეხმარება ადამიანს კანონის პატივისცემაში.

ჯერ კიდევ ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდში „სამართლებრივი რეფორმების შესახებ“ (1985წ.) მიღებულ რეზოლუციაში ზნეობრივი ნორმების ინტერპრეტირება თავისებურად ხდებოდა, რაც კანონით არ იკრძალება-ე.ი. ნება დართულია, თუმცა არა ყველაფერი, რადგან აქ ზნეობის ელემენტების სიმირესთან გვაქვს საქმე.

წესრიგი და თვითდისციპლინა აუცილებელია, როგორც ჭეშმარიტი თავისუფლების უმთავრესი წინაპირობა.

შევიხსენოთ ვაჟა-ფშაველას ფილოსოფიური გამონათქვამი: „სადაც აზრი ამირანის ლახტს არ იქნევს, სადაც გრძნობა სიკეთისა არ აბრძოლებს იმას, იქ ყოველგვარი უწესობაა მოსალოდნელი. როგორც თითოეულს საზოგადოების წევრის თავში, ისრე გულში, და, მაშასადამე, საზოგადოებაც უმწყემსოი ცხვარივით დაიქსაქსება, გახდება სამგლედ და საყორნედ“.

იმისთვის, რომ შევითვისოთ კომპლექსური მიდგომა სამართლის საკითხებისადმი აუცილებელია ოთხი (წყარო 3-4) ძირითადი ელემენტის გათვალისწინება:

-სამართლიანი სამართლებრივი სისტემის კოორდინირება;

-კომპლექსური დაგეგმარება;

-სამუშაოს სრული ორგანიზება;

-მასალათა სისტემატიური ანალიზი.

ყველა ფაქტორების გათვალისწინებით სამართლებრივი საკითხების საკითხება უნდა მოხდეს მორალის ნორმების გათვალისწინებით.

სამართლებრივ-ზნეობრივი ელემენტების ჩამოყალიბებისას საჭიროა საზოგადოების და მისი თათოეული წევრის ფსიქოლოგიური და ემოციონალური თავისებურების გათვალისწინებით. აქ უნდა ვიგულისხმოთ კომპლექსური შეთანაწყობის შეთვალება ტრადიციებთან, რომლებიც მისაღებია თანამედროვე პირობებშიც-განახლებული სახით, კომპეტენტური აზრის გათვალისწინებით.

კომპეტენტური ადამიანი-ის არის, ვინც ცდება წესების მიხედვით.(პ.ვალერი)

#### მორალი და სამართალი რეზიუმე

სტატიიდან ვრწმუნდებით, რომ მორალისა და სამართლის ცოდნა იძლევა იმის საშუალებას თუ როგორ უნდა იყოს ადამიანის საქციელი საზოგადოებაში აქვე ვიგებთ, რომ ზნეობრივი ნორმები ერთგვარ შემფასებელ ხასიათს ატარებენ და საზოგადოებრივი აზრით იკვებებიან. ზნეობა იგივე მორალია, რომელიც ადამიანის სულიერ მხარეს განსაზღვრავს. მისით გაჯერება ეხმარება ადამიანს კანონის პატივისცემაში.

**Bela Kvantaliani**

Moral and Law  
Resume

Sure from the article that moralisa and knowledge enable us to what should be the law of human behavior in society should learn to evaluate any kind of moral standards of conduct and character of public opinion fed. Moralisa same morals, the spiritual side of man. Saturation because it helps the person in respect of the law.

## დარიკო ონიანი ირა ონიანი

### ადამიანის უფლებები და აზრთა თავისუფლება

საქართველოში ადამიანის უფლებების ეფექტიანი დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის, მისი გადაწყვეტილებების დახვენა და სრულყოფაა. სწორედ საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს კონსტიტუციით დამტკიცებული ადამიანის უფლებებისა და აზრთა თავისუფლების ფარგლებსა და მოცულობას. ყოველ ინდივიდს ებადება კითხვა, რა კრიტერიუმებით უნდა განსაზღვროს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მოცემული შემთხვევები. პასუხი უდაოა ადამიანის ძირითად უფლებასა და აზრთა თავისუფლებებში, სახელმწიფოს უკანონობის დასადგენად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებების სამოტივაციო ნაწილში თანაზომიერების პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს. თანაზომიერების პრინციპი კონსტიტუციური კონტროლის მნიშვნელოვანი ელემენტია, ყველა ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემონმება აღნიშნულ პრინციპებს უნდა ემყარებოდეს კერძოდ; თანაზომიერების პრინციპი, როგორც კონსტიტუციური კონტროლის მაშტაბი; თანაზომიერების პრინციპის კონსტიტუციური და ზოგად თეორიული საფულები; თანაზომიერების პრინციპის შინაარსი; თანაზომიერების პრინციპი, როგორც ადამიანის უფლებებისა და აზრთა თავისუფლების შეზღუდვის ფარგლების დადგენა; შეპირასირება, როგორც თანაზომიერების პრინციპის მნიშვნელოვანი ელემენტი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და თანაზომიერების პრინციპი; {1\*}

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით გაცხადებულია საქართველოს მოქალაქეთა ურუკევი ნება დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წეს-წყობილება და სამართლებრივი სახელმწიფო. თვით ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შორის, დემოკრატიული წყობილებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა აზრის თავისუფლება (კონსტიტუციის მე-19 მუხლით არის გარანტირებული) აზრის თავისუფლების ძირითად უფლებასთან ერთად მე-19 მუხლით სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებებიც არის უზრუნველყოფილი, თუმცა ამ მიმოხილვაში მხოლოდ აზრის თავისუფლებას შევეხებით, რადგან თავის მხრივ ამ (სინდისის, აღმსარებლობისა რწმენის) თავისუფლებასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული სახელმწიფოს თავისუფლალი მოქალაქისათვის და ამჟამად მიზანშეწონილია მათი ცალკე ანალიზი. „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოიტვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, ნერილობით ან სხვაგვარი საშუალებებით“.

ძირითადი უფლებები არა მხოლოდ იცავს ადამიანს, მისი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ჩარევებისაგან არამედ, ამასთანავე, ობიექტური პრინციპებია, რომელიც, როგორც ძირითადი კონსტიტუციური-სამართლებრივი გადაწყვეტილება მოქმედებენ სამართლის ყველა სფეროს მიმართ. {2\*}

ძირითადი უფლებების ასეთი ფართო მოქმედება გამოიხატება ორგვარად: პირველი სამართლის (კერძო თუ საჯარო) ნორმები არ უნდა ეწინაღმდეგაბოდეს ძირითად უფლებებს, და მეორე სამართლის ნორმები უნდა განიმარტოს ძირითადი უფლებების არსისა და სულისკვეთების გათვალისწინებით.

ძირითადი უფლებების ობიექტურ-სამართლებრივი შინაარსი, რომელიც უნდა გაითვალისწინონ საერთო სასამართლოებმა, მნიშვნელობას იძენს სუბიექტურ-სამართლებრივადაც. თუკი მოსამართლე ყურადღებას არ აქცევს ძირითად უფლებებთან დაკავშირებულ კანონებზე ძირითადი უფლებების ზეგავლენას, ამით იგი არღვევს არა მხოლოდ ობიექტურ სამართლს, არამედ მოსამართლე, როგორც საჯარო ხელისუფლების მფლობელი, თავისი გადაწყვეტილებით არღვევს (კონკრეტულ) ძირითად უფლებას, რადგან სასამართლო ვალდებულია „ხელისუფლების განხორციელებისას“ გაითვალისწინოს ძირითადი უფლებები, ხოლო მოქალაქეს აქვს აღნიშნულის მოთხოვნის უფლება (რომლის უფლებაც დღევანდელ პირობებში შეზღუდულია). კანონები დასახული უნდა იქნეს ძირითადი უფლებებისა და აზრთა თავისუფლების მნიშვნელობის გათვალისწინებით და მათი ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს იმგვარად, რომ ამ უფლების ღირებულებათა შინაარსი, რომელიც თავისუფლება დემოკრატიულ წყობილებაში ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აზრის თავისუფლებას აუცილებელ წინა პირობად მიიჩნევს, ყველა შენთხვევაში ხელშეუხებელი და დაცული იქნება.

აზრის თავისუფლება სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემიკრატიის საფუძველია, ის არა მარტივ მოქალაქეთა, არამედ ყველა ადამიანის საყოველთაო უფლებაა. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აზრის თავისუფლებასაც უძინავს მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული სახელმწიფოს თავისუფლალი მოქალაქისათვის და ამჟამად მიზანშეწონილია მათი ცალკე ანალიზი. „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოიტვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, ნერილობით ან სხვაგვარი საშუალებებით“.

თავისუფლალი ანუ საეუთარი აზრის თავისუფლად და შეუფერხებლად გამოთქმის გარეშე წარმოუდგენელი და შეუძლებელია ადამიანის თვითგანვითარება, უპირველეს ყოვლისა სწორედ დემოკრატია (რომელიც ყოველდღიურად ირღვევას საქართველოში, მხოლოდ დემაგოგია) როგორც სახელმწიფო ფორმა, უზრუნველყოფს ყველა მოქალაქისათვის გარანტი-

რებულ შესაძლებლობას თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება უზრუნველყოფს აზრთა მუდმივი ჭიდილის, ინტელექტუალური დაპირისპირების შესაძლებლობას, რაც დემოკრატიის სასიცოცხლო ელემენტია.

როგორც ცნობილია, ინფორმაციის თავისუფლება აზრის თავისუფლებისაგან დამოუკიდებლად არსებობს, მაგრამ იმავდროულად მასთან უწყვეტ კავშირშია. იგი აზრის თავისუფლების წინაპირობაა, რადგან აზრის თავისუფლების გონივრული და პასუხისმგებლობით სავსე გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ მოქალაქეთა მიერ, რომელიც შეუძლიათ წინასწარ შეუფერხებლად მოიპოვონ ინფორმაცია, გარდა აღნიშნულისა, ინფორმაციის ფლობას დადი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეთა პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის. აზრისა და ინფორმაციის თავისუფლებების მსგავსად მასობრივი ინფორმაციის საშუალებების (პრესა, რადიო, ტელევიზიი ინტერნეტი) თავისუფლებაც, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებითი ელემენტია. {4\*}

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თანამედროვე დემოკრატიის ფუნქციონირებისათვის, რადგან მოქალაქეს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია მხოლოდ მამრი, როდესაც იცნობს სხვების აზრს და აქვს შესაძლებლობა ერთმანეთს შეადაროს, გაანალიზოს და ანონ-დაწონოს და გააკეთოს შესაბამისა ანალიზი.

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით, რომელმაც დაარსა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სასამართლო გადაწყვეტილებები სავალდებულოა მხოლოდ იმსახელმწიფოებისათვის, რომელიც დავის მხარეები არიან, კერძოდ როცა საქართველოში დაიმიანის უფლებები მიმართეს აღნიშნულ სასამართლოს, ასე მაგალითად: სტრასბურგის სასამართლოში 2008 წელს გაიგზავნა სანდრო გირგვლიანის საქმე მკვლელობის შესახებ, საიდანაც 2011 წლის ბოლოს მიღებული იქნა პასუხი, რომ საქართველოს სახელმწიფომ გირგვლიანის ოჯახთან სასამართლო წააგო. სასამართლომ დარღვეულად ცნო ევროკონვენციის მეორე მუხლი, რომელიც სიცოცხლის პატივისცემას ითვალისწინებს, ევროსასანართლომ მიუთითა, რომ გამოძიება, რომელიც საქართველოს შიდა ინსტანციაში შს-ში, პროკურატურასა და სასამართლოში არ შეესაბამებოდა ევროკონვენციის მეორე მუხლის სტანდარტებს, რომელიც ითვალისწინებს, სახელმწიფოს ვალდებულებას, ითანამშრომლოს სასამართლოსთან ფაქტების დადგენაში. ევროსასამართლომ სამთვიანი ვადა მისცა საქართველოს იმისათვის, რომ მოსარჩევე გურამ გირგვლიანის სასარგებლოდ გადაიხადოს 50 ათასი ევრო და აგრეთვე დააკისრა გაუთვალისწინებელი ხარჯების ანაზღაურება. [5\*] ასეთი მაგალითების მოყვანა უამრავი შეიძლება.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, საქართველოში სრულყოფილად არაა დაცული ადამიანის უფლებები და აზრთა თავისუფლება. იმ სახელმწიფოებისათვის, რომელიც არ არიან კონკრეტული დავის მხარენი, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება (პრეცედენტი) არ არის სავალდებული. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთი პრეცედენტული სამართლის ქვეყნა, ისიც კი განასხვავებს “პრეცედენტული სამართლის” ორგვარ მნიშვნელობას. ბრიტანეთის ლორდთა პალატამ, საქმეში კლენის კლიერდის წინააღმდეგ (2001 წ) განაცხადა, რომ ევროპული კომისიი-

სა და სასამართლოს პრეცედენტების მნიშვნელობა არ უნდა იქნეს ისე გაგებული, როგორც ისინი გაიგება ჩვენს სამართალში. [6\*]

იურისტებს, მათ შორის მოსამართლეებს, ხშირად უჩნდებათ კითხვა: სახელმწიფოს რომელი ნორმატივული აქტით განისაზღვრება ის, რომ ეროვნულმა სასამართლებმა უნდა გამოიყენოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მართლმსაჯულების განხორციელებისას?

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავჯდომარები გაამახვილა ყურადღება სწორები აღნიშნულ საკითხზე თავის მოხსენებაში – „საქართველოში მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ“ რომელიც გააკეთა საქართველოს მოსამართლეთა კომფერენციაზე. იქვე აღინიშნა: ....განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი მოსამართლეების მიერ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გაცნობას, რომელიც ხელს შეუწყობს ქართულ სამართალში ევროპული სამართლის ინკორპორაციას და ჩვენს მართლმსაჯულებაში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სტანდარტების რეალურ დამკვიდრება. [7\*]

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციისა და განსაკუთრებული ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებმაც უნდა ისარგებლონ და გამოიყენონ ევროპის კონვენციები, მაგრამ დღემდე არ არის თავისუფლები დამოუკიდებელი სასამართლოები საქართველოში, მიუხედავად თავიანთი მცდელობისა, მაინც ხდება სასამართლებზე სახელმწიფო მესვეურთა ზეგავლენა, რომლის მაგალითების მოყვანა შეიძლება, თუ როგორ ირღვევა ადამიანის უფლებები საქართველოში, თუ როგორ უკანონოდ ჩამოართვეს საქართველოს მკვიდრს, დიდ ქველმოქმედს მოქალაქეობა (ბიძინა ივანიშვილს და მის მეუღლეს), მაშინ როცა პრეზიდენტი მსაკაცვილი უცხო ქვეყნის მოქალაქეებს წარა-მარა აძლევს საქართველოს მოქალაქეობას.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტულ საქმეზე, ის ასეთი გადაწყვეტილების (პრეცედენტის) მეშვეობით განმარტავს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსს. კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ადგენს სტანდარტს, რომლის მნიშვნელობა სცილდება კონკრეტულ სასამართლო საქმეს, ევროპული სასამართლოს პრეცედენტებით ზუსტდება ამა თუ იმ უფლებების შინაარსი და ფარგლები, რაც შესაძლებლობას აძლევს ეროვნულ სასამართლოს, სწორად განმარტოს ეს უფლებები და თავისუფლებები. [8\*]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სასამართლო უნდა იქნეს გამოყენებული არა მხოლოდ მართლმსაჯულების განხორციელების დროს, არამედ ასევე ნორმაშემოქმედებით პროცესში, მას შეუძლია სახელმწიფო კანონმდებლობაზე სასარგებლო წვლილი შეიტანოს ეროვნული კანონმდებლობის დაცვენაში. [9\*]

თუ სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისობას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლთან, მცირე იქნება ევროპის კონვენციის დარ-

ლვევის რისკი (რომელიც ხშირია საქართველოში) ქვეყნის ნორმატიული აქტების ევროპულ სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო. ამიტომაცაა, რომ საკანონმდებლო ხელისუფლებას განსაკუთრებული როლი ენიჭება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლთან ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფაში.[10\*]

ამდენად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება საშუალებას მისცემს ქვეყანას, შეაფასოს თავისი კანონმდებლობა და პრაქტიკა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, მოახდინოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის კორექტირება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის დახვენას. საქართველოში უნდა შეიცვა-

ლოს იურისტების და მათ შორის მოსამართლეების შეხედულება მართლმსაჯულების განხორციელებაში ადამიანის უფლებათა და აზრთა თავისუფლების, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლის შესახებ. საქართველოს სასამართლოებში თანდათანობით ფეხს იკიდებს და თითქმის დამკვიდრდა კიდეც ხელისუფლების ზეგავლენა, რის საფუძველზეც მოსამართლები და თვით სასამართლომაც თანდათანობით დაკარგა თავისი ფუნქცია. რა არის ამის გამოსავალი? მხოლოდ ხელისუფლების შეცვლა, რომ შეძლოს საკანონმდებლო ხელისუფლებამ და სასამართლომ დამოუკიდებლობა, მიუკერძობლობა, ზეგავლენისაგან განთავისუფლება, მხოლოდ მაშინ იქნება დაცული ადამიანის უფლებები და აზრის თავისუფლება, რომლის დეფიციტია საქართველოში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლევან იზორია. ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში. 2002 წ. გვ:43–53.
2. საქართველოს კონსტიტუციის მე–7 მუხლი პირდაპირ მიუტითებს, რომ „ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეძლებული არიან“.
3. კ. ყუბლაშვილი. ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში. თბ. 2008, გვ:109–137.
4. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, მუხლი 24–ის 1–ელი პუნქტი.
5. 666.24საატი.გე
6. ლ. ჭანტურია – ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს სამოსამართლო სამართლის მიმოხილვა. საქ. უზენაესი სასამართლო. თბ. 2001 წ. გვ.1
7. საქ. უზენაესი სასამართლოს ლ ჭანტურიას მოხსენება ევროპის უზენაესი სასამართლოს თავჯდომარეთა VII კონფერენცია 2002 წ.
8. კონსტანტინე კორკელია ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპულ სასამართლოში. თბ. 2002 წ. გვ. 105
9. EuGH — Ruckdesihel. Slg 1997; გვ. 170.
10. EuGH. Slg 1991; გვ. 29.

Human Rights and Freedom of Thoughts

Dariko Oniani Ira Oniani

Resume

In Georgia, human rights and freedom of thoughts are protected by 19th p. of Constitution, that clarify ensuring of freedom of thoughts and belief (conscience, religion), human rights. Every person has right to sustain his rights, freely receive and spread information, express his opinion verbally, in writing or in any manner whatsoever. Basic rights not only protect a person in various spheres of his life from interference, realizing by government, but they are objective principles also, acting as fundamental constitutional-legal decisions in every sphere of law (7th p. of Constitution of Georgia).



## ხელოვნება

ელისო ცანავა-კვაშილავა

### ხელოვნება ღვთისგან მოიხსენები სიკათავა



რეზო ადამია ერთ-ერთი უდიდესი მხატვარი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, გალაქტიონ ტაბიძის და დავით აღმაშენებლის პრემიერების ლაურეატი. იგი აგრეთვე ხატმწერია. დედა ტერეზამ თან გაიყოლა, მისი ორი ხატი: იესო ქრისტე და მიქა-ელ მთავარანგელოზი.

მონაწილეობდა დიჟონში გამართულ საფრანგეთის საერთაშორისო გამოფენაში, რისთვისაც გა-დაეცა პირველი ხარისხის დიპლომი.

რამდენიმე წელია, ბატონ რეზოს იწვევენ პა-რიზში, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში (პრე-ზიდენტი სიმონ ბრუნი), სადაც ის დიდი შემოქმედებითი ენთუზიაზმით იღწვის, ქმნის არაჩვეულებრივ ფაქიზ ფერწერულ ტილოებს.

მხატვრის მიერ შექმნილი ხატები ასვენია, როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნების ეკლესიებსა და ოჯახებში, ხოლო ტილოები დაცულია საქართველოს მრავალ მუზეუმსა და გალერეაში, ისინი ასევე ინახება კერძო კოლექციონებში და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რომელთა შორისაა საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, პოლანდია, თურქეთი, ამერიკას შეერთებული შტატები. ინგლისი, რუსეთი, ლატვია, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი. მის კალამს ეკუთვნის არაერთი ესსერი და სამეცნიერო წერილი, ნოველა, მოთხოვბა. ტერენტი გრანელს მთელი ციკლი უძვნა: „პოეზია და მზის დღესასწაული“. მონაწილეობს

თბილისისა და მსოფლის მრავალი ქალაქის გამოფენაში.. მან მშობლიურ კოლხეთსაც უძლვნა გამოფენა. ..აარიზული მისტიკა და კოლხური თოვლის იდუმა-ლება”. მისთვის უტკბეს კოლხეთს მხატვარი ისე „და-ათბობს თოვლით”, რომ სევდანარევს ამაღლებული განცდით გეფიქრება: „მხოლოდ კოლხეთშია, ნეტავ, თოვლი ასეთი სტეტაკი, თუ..”

ბატონი რეზოს გამოფენის თაყვანისმცემლებს, დარბაზი ვერ იტევს. ესწრებიან ცნობილი მსახიობები, პოეტები, ხელოვნებათმცოდნები, ხელოვნების მოყვარული ქართველი თუ უცხოელი სტუმრები. მო-სულები აღფრთვანებას ვერ მაღავენ ნანახით და განცდით. გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდებს მა-თი გამონათქამებიდან.

,რეზო ადამიას გამოფენა ჩემთვის დიდი აღმოჩენაა მიუხედავად იმისა, რომ მას დიდი ხანია ვიცნობ, როგორც დიდებულ ფერმწერს. მისი აღმასვლა აღ-ბათ დაუსრულებლად გაგრძელდება და სახელს და დიდებას მოუტანს არა მარტო მას, არამედ ქართულ საზოგადოებასაც.”

#### დიმიტრი ხახუტაშვილი

,სამწუხაროდ, ჩვენს უძველეს კოლხეთს რეზო ადამიას ქმნილებანი თუ გადაარჩენს და საბედნიეროდ მართალს, თავისი დიდი სევდითა და მწუხარებით, როგორც მეგრული სიღერებია. სიმღერები,

რომელსაც ისმენ, საქართველოს ისტორიას ფურცლავ.

რეზო ადამიას „კოლხეთს“ ისაა, რასაც ეს-ესაა სულზე მივუსწარით და „გადავარჩინეთ“.

#### თოია იოსელიანი

„საქართველოში ამ დაპრუნებამ სულის სიღმემდე ამაღლევა. მადლობათ და „ბრავო“

პიერ რიშარი

„მინდა მივულოცო ბატონ რეზო ადამიას ასეთი მშვენიერი წარმატება. უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავ მის მრავალუროვან ფერწერას, რომელიც ირეალურია და მხატვრის ქართული სულიერი საყაროს ნაწილია. პარიზული ხედები კონტრასტულ ხილვაში წარმოვიდგება და სწორედ ეს არის ბატონი რეზო ადამის მხატვრული ფერწერის ეშნი; მადლობას ვუხდი მას ამდაგვარი მშვენიერი ფერებისთვის“.

#### ფელიქს ბრუნი

გთავაზობთ შესანიშნავი ქართველი მხატვრის, ინტერვიუს.

-ბატონ რეზო, გთხოვთ გვიამბოთ თქვენს შესახებ, როგორც ქრისტიანი მართლმადიდებელი და როგორც ხელოვანი ადამიანი.

-მე ბავშვობიდანვე გახლავართ, მართლმადიდებელი მორწმუნე. ჩემი ოჯახი იყო ქრისტიანული სულისკვეთებით განმსჭვალული. ბებიაჩემი გახლდათ მორწმუნე, დადიანის თავადის ქალი. ბაბუაჩემი-მი-მაზრის მწერალი. ჩვენი ოჯახი გახლდათ გაკულაკებული. სკოლაში, როდესაც შემიყვანეს პორტრეტის ყელსახვევი არ გავიკეთე და კომკავშირელიც რასაკვირველია არ ვიყავი. ბავშვობიდანვე ეკლესიაზე გახლდით შეყვარებული და ვხატავდი ეკლესიებს: გუმბათოვანს, ბაზილიკას მაგრამ სკოლაში მიკრძალავ-დნენ. მე-5 კლასში, როდესაც ვიყავი ძალიან მცემა ისტორიის მასწავლებელმა, „არ მოეშვები ეკლესიების ხატვას“. სამხედრო სამსახურის მოხდის მერე სწავლა განვაგრძე სოხუმის სამხატვრო სასწავლებელში, შემდეგ ჩავირიცხე თბილისის სამხატვრო აკადემიში, ფერწერის ფაკულტეტზე. სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი ხატწერაზე, ფრესკებზე. ვმუშაობდი როგორც საგნობრივ ხელოვნების მიმრთულებით ასევე უსაგნო ხელოვნების, აბსტრაქციის დარგში. ჩემი ძირითადი ქანკებია: ხატწერა, პეიზაჟი, ფიგურული თემატიკა, პორტრეტი და ნატურმორტი.

როგორც მართლმადიდებლი ქრისტიანი ყოველთვის მქონდა ფიქრი, რომ აღმედგინა, ჩემი რაიონის სოფელ დელისენაკის ეკლესია. უნინდეს და უნეტარეს ილია მეორეს ვთხოვე, რომ მოეცა კურთხევა ეკლესიის აღდგენისა. მან მომცა გარკვეული თანხა. კომუნისტების დრო გახლდათ, ურთულესი პერიოდი. ცეკაში იყო რელიგიის განყოფილება. მათ ვთხოვდი, რომ არ შეშალათ ხელი ეკლესიის აღდგენისთვის. წმინდა ტაძარი განადგურებული იყო, საწყობად ჰქონდათ გადაკეთებული, დავასუფთავეთ, გადავხურეთ და დახახლოებით 8 წელი დასჭირდა, ეკლესიის აღდგენას. აგრეთვე აღვადგინე ნოქალაქევის წმინდა ტაძარი.

წმინდა ტაძარი ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა. ეკლესია არის ღმრთისმ სახურების აღსასრულებლად განკუთვნილი შენობა, ღმრთისა და კაცის ურთიერთობის ადგილი. მის შესახებ თვით უფალი ბრძანებს: „სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს“. (მათე 21.13)

სამი პატრიარქის მომსწრე გახლავათ, ეფრემი II (სიდამონიძე), დავით VI (დევდარიანი) და უნინდესი და უნეტარესი ილია.

როდესაც დავით მეოთხე ბრძანდებოდა პატრიარქი მე და მურთაზ ჩახავა (სუხიშვილების მოცეკვა-ვე), მივედით დავით მეექვესე დევდარიანთან და გავანდეთ ჩვენი სურვილი. ჩვენ მივატოვებთ ჩვენს სასწავლებლებს და გვთხოვთ გაგვიშვათ ლენინგრადის სასულიერო აკადემიაში სასწავლებლად. პატრიარქმა გვიორჩია მოგვეფიქრებინა და აგრეთვე მოგვცა ამონა-ნერი, რომ აგვისტოს თვეში მოტანთ საპუთებს და მიგიღებთ სასულიერო აკადემიაში, მაგრამ უფლის ნებით ვარ მხატვარი, ხატმნერი. წმინდა სახარების მიხედვით, შემთხვევით ამქვეყნად არაფერი ხდება, რომ ყველაფერს ლვთის განგებულება განაგებს. როგორც წმინდა მამები გვასწავლიან, უფლის გზები გამოუცნობია და ადამიანს თავისი მწირი სულიერი და გონებრივი შესაძლებლობებით ყოველთვის ზუსტად არ შეუძლია განსაზღვროს, თუ რატომ ინება ზეციურმა განგებულებამ ამგვარად და არა იმგვარად.

- რას გვეტყვით ჭეშმარიტი სარწმუნებლის, მართლმადიდებლობის და კულტურის, ხელოვნების ურთიერთავებისა და ურთიერთგავლენაზე?

-ჩვენ უნდა გვასცოვდეს, რომ უნიკალური კულტურის მქონე ერი ვართ, გაგვაჩნია მართლმადიდებელი სარწმუნებლისა და ისეთი რეალური საგანძური, რომლითაც შეუძლია იამაყოს მთელმა მსოფლიომ. ჩვენი მაღალი კულტურის თვალსაჩინო მაგალითებია ჩვენი ეკლესიები და მონასტრები ხელნაწერები, მხატვრობა, არქიტექტურა, მინატურა, პოეზია, და არქელოგიური გათხრებით აღმოჩენილი უძველესი კულტურის აღმნიშვნელი ხელოვნების ნიმუშები. ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს იმ ღვთიურ მადლისა და სიკეთეს, თუ გვსურს საზოგადოების წინსვლა უნდა ვიზრუნოთ მის კულტურის ამაღლებაზე, რაც გულისხმობს ადამიანში ადამიანურობის გამოვლენას.

ვფიქრობ, ჩვენი ერი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ქართული კულტურა, ზნეობრივი თუ ეროვნული ფასულობანი შევინარჩუნოთ.

- ბატონ რეზო, რას წარმოაჩენთ საქართველოს კულტურისა და ხელოვნების ტრადიციებიდან, მონაპოვრიდან და მიღწევებიდან, რომლებიც წარმოჩინდება ქვეყანა მსოფლიო ცივილიზაციაში?

- ევგენიოსი ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს: „კაცობრობის ცივილიზაცია იწყება კოლხეთიდან“.

არსებობდა კოლხეთის სამეცნ..

კოლხეთის ამაღლესი რიტორიკული სკოლა, კოლხეთის აკადემია. III და VI სს-ში არსებული უმაღლესი საფეხურის სასწავლებელი. ბერძენი ფერმოს თემისტიონსაც ამ სასწავლებელში რიტორიკული განათლება მიუღია. სკოლის აღსაზრდელები რიტორიკულ ხელოვნებაში იწრთობოდნენ და ელინთა დღეობებზე ბრწყინვადნენ. თემისტიონსაც ცნობიდან ისიც ჩანს, რომ კოლხეთი უმაღლესი რიტორიკულ სკოლა თავისი შინაარსითა და მიზანმიმართულებით ძე. ბერძენულ და რომაულ რიტორიკულ სკოლებისაგან ბევრად არ უნდა განსხვაბულიყო. ისევე როგორც რომაულ რიტორიკულ სასწავლებელში, კოლხეთის აკადემიაშიც ასწავლიდნენ ლიტერატურას, ასტრონომიას, მუსიკას, მათ. ელემენტებს, ძირითადად კი ფილოსოფიას და სამართლის საფუძვლებს. რიტორიკულ ხელოვნებას იმუშავიდელ საქართველოში დიდი გამოყენება ჰქონდა.

საქართველომ მოგვცა ხელოვნება და კულტურა. მოგვცა დავით აღმაშენებელი და რუსთაველი,

რომელნიც გაუტოლდებიან რენესანსის ეპოქის ნებისმიერ ევროპული ქვეყნის დიდ ჰუმანისტებს.

თავად ბუნება არის საოცრად ლამაზი და ბუნება ბადებს ნიჭიერს. ბრეგმა, როდესაც იმოგზაურა საქართველოში და იხილა საოცარი ბუნება, მან აღნიშნა ეს ქვეყანა დაბადებს დიდ მახატვარს და ამ დროს ფიროსმანი ბავშვია, იბადება და ყალიბდება რამოდენიმე წელიწადში.

**-ბატონო რეზო, რა პრობლემებსა და ნინაალ-მდეგობებს ნარმოაჩენთ კულტურასა და ხელოვნებაში?**

-ჩვენ გადაუჭრელი პრობლემების ზღვაში ვცურავთ და ჯერჯერობით უკეთესობისკენ შესამჩნევი სვლა არ იგძნობა. ერთ სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული ზნებრივი კატასტროფის ნინაშე აღმოჩნდა. სავალალო დღეშია, ყველა სფერო, მათ შორის მეცნიერება, განთლება, კულტურა, ხელოვნება. რა ხანია აღარ მოგვისმენია, ახალი ქართული ოპერა, სიმფონია.

სირთულების მიუხედავად, მანც სიყვარულია მთავარი და რწმენა. როცა შენ დაიბადე პოეტად, მხატვრად, ნებისმიერ სირთულეს გადალახავ და შექმნი ნანარმოებს. უფალი გეხმარება, რომელმაც მოგცა ნიჭი.

ჩემს მიერ შექმნილი ხატები დაბრძანებულია საქართველოს სხვა და სხვა ეკლესიებში და აგრეთვე პარიზში, ლონდონში, ვაშინგტონში დედა ტერეზას საზოგადოებაში და მსოფლიოს სხვა და სხვა ქალაქში. დავწერ მავედრებელი ღვთისმშობელი, მთავარანგელოზი. წმინდა ნინოს 12 კომპოზიცია შევქმნი, რომელიც უცხოეთში დიასპორამ დაიტოვა.

უნმინდესი მეუბნება: „რეზო შენ გაქვს შენი ხელწერა“. აღნიშნავენ რომ, ჩემს მიერ დაწერილი ხატები, არის თანამედროვე. ეს იმიტომ რომ თანამედროვე ბიჭების და გოგონების, რომლებშიც შეზავებულია იდეალური, ამაღლებული, უბრალოებით და დიდებულებით შინაგანი კეთილშობილებითი გამომეტყველი სახე გადმომაქვს ხატზე, მაგრამ თანამედროვე ადამიანების სახე კი არ არის არამედ კონსტრუქცია მათი. ზოგჯერ ბავშვები დავინახავა წმინდანია. იბეჭდება ჩემში მისი სახე და ვექმნი ხატის. მაგალითად, რეფაელმა, რომ დახატა „სიქსტეს მადონა“ 100 ულამაზე-სი ქალბატონიდან აირჩია ერთი და შექმნა ხატი, რომაელები განრისხდნენ. მიუვარდნენ რაფალეს სახელოსნოში, ჩაქოლვეს სურდათ, იმისათვის, რომ მინიერი ადამიანი როგორ დახატა ხატადო და სახელოსნოს კარი რომ შეაღეს ნახეს ღვთისმშობლის ხატი და დაიჩინება განრისხებულმა ხალხმა და თაყვანისცა. რაფაელს სახე დაეხმარა, რომ შეექმნა ხატი, როცა ასეთ ტექნიკას არ გამოიყენებს ხატმწერი. რუსული, ბერძნული ან უძველესი ხატების გავლენის ქვეშ აღმოჩნდებიან და ხატში სული არ არის. ხატში უნდა იყოს სული და მაღლი უნდა გადმოდიოდეს. მხატვარმა უნდა შესძლოს სულის ხატვა, მწერალმა, სულის ხატვა-ნანარმოებით. პოეტმა-ლექსით. აი, ეს არის მთავარი.

### გულნაზი ხარაიშვილი

შედევრები და მარადიულობა რეზო ადამიას შემოქმედებაში

(აკროსტიქი)

შ—უქს ასხივებს, მზეს ირეკლავს შენი ფუნჯი, ე—ს ნიჭი, შენ, უშურველად ღმერთმა მოგცა, დ—ედო ზარს სცემ, გიყვარს ფერი — მუქი ლურჯი, ე—სმის უფალს, ჩემი კაღმით მეც რომ გლოცავ.

ვ—ერ ჩავნვდები შენს სიღრმეთა ნიჭის არეს, რ—ოგორ ვცდილობ გზა გავკვალო, სულის ცელით.

ე—ს თქვენს ხართ, მიღმიეთის ციურ მთვარე, ბ—ინდ ღამეში დედამიწა შუქს რომ ელის,

ი—ქ ამედოს რომ ადარებ დოლის ცისკარს,

დ—იდ ვანგოგსაც ქების სიტყვებს არ დააკლებ, ა—მიტომაც ლექსს დაგინერ ახალს, ცინცხალს,

მ—ზეა შენში, ღვთის ქვაბში რომ იქროს ავლებ, ა—ი ისე, ჩემი კაღმის ფიქრის ფონზე,

რ—ამდენჯერმე ვილილინებ იდილიას, ა—ვაცეკვებ ლამაზ სიტყვებს ალიონზე,

დ—იდ მხატვარზე ლექსის წერა ადვილია.

ი—ის სურნელს შემოვაფრქვევ შენს ნახატებს,

უ—ფრთხილდები ღვთის შედევრებს მოკრძალებით,

ლ—ამაზად რომ კვლავ სიცოცხლის წმინდას მმატებს,

ო—ცეცხლია, იწვის ფერთა აალებით.

ბ—ობიქარი ზღვის ტალღაა, ხანც თერგი,

ა—თასნაირ სახეებით მაჯადოვებს.

რ—ა სითბოა, დაჭუმბალობს წყალში გედი,

ე—ს სიმდიდრე გულის კედლებს მიფართოვებს,

ზ—ოგჯერ სივრცეს, შორს კოსმიურ ცასაც სწვდები,

ო—რაგულებს აშემარკალებ შენ ხის ფუნჯით.

ა—ისის დროს ფიქრის ტბასთან აყვავდება

დ—ა იქმნება შედევრები მეფე ქუჯის.

ა—ცისკროვნებ წინაპრების განვლილ გზებსაც,

მ—ილიონშიც არ გადაცვლი შენს ფიროსმანს,

ი—ქ მხატვრების საფლავებთან რგავ იქბს და...

ა—მიტომაც გინოდებენ ღვთის დიდ მგოსანს.

ს—ასანულობ, ფუნჯით ხატავ რაღაც უცხოს,

შ—ავ ღრუბლებს რომ გადადენის მიღმის იქით,

ე—ფერები შენს აფხაზეთს იმედს უხმობ,

მ—აღლა დიდ ღმერთს ადლეგრძელებ, ფუნჯის ჭიქით.

ო—ამდერებ ზღვის გედივით ყველა ნახატს,

ქ—არბორბალას ჩამოახრჩობ შედევრებით...

მ—გონი ჩავნვდი, როგორ აკრავ სხივით არტასს,

ე—რთი სიტყვით დაგიპყრა მთათა ზღვრები.

დ—ედ-მამის სულს გაახარებ, გენიოსო,

ე—სმით მშობლებს, შენი შრომით ცას რომ გასცდი,

ბ—არაქა გაქვს, გულით აღარ დაიკვენესო,

ა—ხლა მიგხვდი იდეებს რომ ღმერთი განვდის.

შ—ენ გახურავს, უფლის მადლის, წმინდა ქუდი,

ი—სე გშენის, მტერსაც ბევრჯერ შეშურდება.

გაიხარე, აიცილე თოვლის გუნდი,

და გჯეროდეს აფხაზეთიც დაბრუნდება!



## თამარ ჯაჭვაძე

### სიცვარული სიცვარულის ტილ გულნაზი ხარაიშვილის ერთი აკროსტიქის სამყაროში

პოეტები, ძალიან ხშირად, ერთ უცნაურ სიტყვას ხმარობენ საკუთარი ლექსის მისამართით — ”დაინერა”. მორფოლოგიას რომ გვერდი ავუაროთ, ეს სიტყვა უბრალიდ, უზუსტობაა, იგი ავტორის იქ არყოფნას გულისხმობს და ყოველთვის უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვებს. ჩემი აზრით, ალბათ ამაში ამბარტავნული თავმდალობაც იგულისხმება. ამიტომ არასოდეს მომწონდა ეს სიტყვა.

ორიოდე წლის ნინ, ჩვენი დროის უდიდესი მხატვრის, ილია პატაშვილის გალერეაში მოვხვდი. ძნელია იმ გრძნობის და შთაბეჭდილების გადმოცემა, რაც იმ კონია სამყაროდან წამომყვა. ვცადე სიტყვაში გადამტანა აალებული ფერებით დაშუბული სულის ბორგვა და ნინასნარ რომ არც მიფიქრია, ისე მოულოდნელად დამენერა შთაბეჭდილება. უფრო სწორედ, დიდმა მხატვარმა თვითონ დაწერა საკუთარი სადიდებელი, მე უბრალოდ ქაღალდზე სიტყვებად გადავიტანე. ის ორიოდე ფურცელი, ალბათ დღის სინათლეს ვერასოდეს იხილავდა, რომ არა გულნაზი ხარაიშვილის უურნალი “ათინათი”. ჩვენი დროის მექანიზებული პრესა, (იმვიათი გამოხაკლისების გარდა), ადამიანური სულისაგან დაცლილი, ამ სულის მაგინებელი, კინკლაბის ასპარეზია და მეტი არაფერი. გაიშვიათდა დონენიხოტური კეთილშობილება და სასაცილო გავიხდა, უკვე მერამდენედ!

ოტია იოსელიანის მსგავსად, მეც არ მიყვარს “სხვათა მოხმობა”, მაგრამ არსებობენ ტიტანები, რომელნიც ყოველი გასაჭირის და დასალხინის ჟამს, თუ მოუხმობ, უსათუოდ გვერდით დაგიდგებიან. გალაკტიონს მოვიშველებ: “ანგელოზსაც დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი”.

ნამდვილად ძნელია შეამჩნიოს ადამიანმა, ამ-დენ მუქ ფერებში გამომკრთალი სინათლისა და სიკეთის პანია სხივი. შეამჩნიოს და დღის სინათლეზე გამოიტანოს, მოეფეროს იმ პატარა სასიკეთო სხივს, რათა ადამიანებმა ერთმანეთის თანადგომა არ დაივიწყონ. მოდარაჯე ან ჩასაფრებული კაცი იოლად ხედავს გასაკიცხს და ეშინია სხივის მიღწევის დანახვისა, რათა თავად არ მიადგეს ჩრდილი. ასე ნელ-ნელა მოსაწყენი და საშიშიც კი ხდება სხივის ქება-დიდება, მაგრამ მრავალი დამეთახმება, გადაჭარბებული ძვირის თქმას, გადაჭარბებული ქება მაინც სჯობია, რადგან ადამიანური ბუნება ასეთია, თუ ხშირად გაუმეორებ — ძლიერი ხარო, არ შეიძლება არ ეცადოს გაძლიერებას. ზოგჯერ დუმილი ყველაზე ბევრის-თქმაა, მაგრამ დუმილიც მთავრდება მაშინ, როდესაც რაღაც გაიძულებს ხმა ამოილო, ანდა კალამი აიღო ხელში.

გულნაზი ხარაიშვილისათვის ბევრს უთქვამს: — კალამი ხელში ამალებინე და ლექსი დამანერინე. შეიძლება ვებერთელა ქართულ მნერლობას შედევრები ველარავის შეუქმნას, მაგრამ სულიდან წამოსული სიტყვა სალბუნად რომ დაადო, თუნდაც ერთი ადამიანის ჭრილობას, ეს ხომ დიდი მარადისობის კანონის გაგრძელება იქნება! სწორედ სხვათა ტკივილებზე სალბუნად დასადებ სიტყვას ეძიებს ქაღალდობრი გულნაზი, ეფერება დიდსა და მცირეს. დუმილით გვერდს აუვლის ამპარტავნებითა და შურით გაჯერებულ სხეულებს და ეძებს სიკეთის მარცვალს, რათა გულის სითბო უშურველად დააფრქვიოს და იმ პატარა მარცვლიდან ხე სიკეთისა აღმოაცენოს.

მრავალტკივილგადატანილი პოეტი ქალი, ზოგჯერ ჩაფიქრდება და იტყვის: “მეც მიხდა მოვერება!” მოსაფერებელი კი ნამდვილად არის: დედა, პოეტი, რანდებიმე კრებულის ავტორი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი აკადემიის პრეზიდენტი, კოლეჯი “გრალის” დამარსებელი... და ტიტულომანიას რომ თავი დავანებოთ, მშვენიერი უურნალის “ათინათი” რედაქტორი და სულისჩამდგმელი.

საზოგადოებრივ საქმიანობაზე წერა შორს წაგვიყანს, ამჯერად ერთი ლექსით შემოვიფარგლოთ. ლექსი ჩვენი დროის უდიდესი ფერმწერის, ილია პატაშურის ნახატების დათვალიერების შემდეგ მიღებული შთაბეჭდილება.

ილია პატაშურის საოცარმა ფერწერამ ბევრ პოეტსა და კრიტიკოსს ააღებინა ხელში კალამი. დიდი მხატვრის მზისფერად ააღებულ სამყაროში შეღწევისთანვე, გულნაზი ხარაიშვილის მუზას, ერთი დიდი ქართული ტკივილი შეეფერთა. ლეგენდარული არაგველების შთამომავალს, მებრძოლი და მარადიულად ჯაჭვგაუხდელი სულის მხატვარს, საკუთარ სიცოცხლეზე მეტად შევებარებული ტილოების შესახებ უთქვამს პოეტი ქალისათვის: “ყველა ჩემს ნახატს მივცემდი, ოღონდ საქართველო გამთლიანებულიყოს და აფხაზეთი დაგვიბრუნდესო”. ეს დღევანდელი “ქართლის ჭირი” და მოუშემარი ტკივილი გადაეჯაჭვა ილია პატაშურის ნახატებიდან აჩრდილებივით გადმოსულ, თორ-აბჯარში ჩაჭედილ რაინდებს, ლანდებს, ზეცის თალიდან მზის სხივები მახვილით რომ ჩამოაქვთ დედამინაზე... თვალისმომჭრელი ფერების ელვარება აირევლა მთელ სამყაროზე, ხილულსა თუ უხილავ საგნებზე, აჩრდილივით თან გამოჰყვა ამ ჯადოსნურ ფერთა ციალი პოეტ ქალს და მანამდე აწვალებდა მის სულს, სანამ ქაღალდზე ლექსად არ გადმოიღვარა:

“ბევრი ვიფიქრე, დამეუფლა წერის სულილი, ამოვალაგე ყველა სიტყვა, რაც კი მებადა...”

დამეთანხმება ყველა პოეტი, როდესაც სული სხვა განზომილებაში გადადის და დიდი ძიების პროცესშია, მაშინ ლექსის ტკინიკურ მხარეზე ლაპარაკი ზედმეტია. რაოდენ ძნელია ამ დროს აკროსტიქის არსებობა გაიხსენო კი არა, ზერთული წინადადება გამოიყენო და თავიდური ასოებით ზე სტრიქონიანი აკროსტიქი ერთი ამოსუნთქვით დაწერო. “ბატონო ილია, თქვენი ნახატების დათვალიერებით ზღაპრულ ლაბირინთში მოვხვდი, გზა ამებნა და ფერთა პალიტრაში დავრჩი”. ალბათ ამისთანაზე უნდა თქვას ავტორმა “დაინერაო”.

ილია პატაშურის ყოვლისშემძლე ფუნჯით ნაგებ და ამავე ფუნჯით დანგრეულ სამყაროში, პოეტი ქალის თვალი კარგად ამჩნევს, რომ აქ “არხენიად სახლობს ნაღველი” და “ოხრავს ფუნჯი”, რადგან დედა და საქართველოს სხეულის ნანილი “ინვის, ალშია აფხაზეთი, ტირის ნაღვერი”... “დუმან ეკლესის გუმბათები”, გაუდაბურებულა სალოცავი სამშობლო და გაქცეულან საჯიშე შვილები, “ლომის ბოკვრები უცხო მხარეს დაბადებული”.

გულნაზი ხარაიშვილის პოეტური სულით ანთებული ქალია, რომელსაც ვინ იცის, სხვაზე ათასგზის მეტად სტკენია ის მოურჩენებით ტკივილი, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია, რომელსაც ზევიადის იდეებთან მდგარი, საკუთარი ძმის სახელი ჰქვია, დიდ პოე-

ზიასთან წილნაყარი, ნაადრევად მზეგადასული ბეჟან ხარაიშვილი და რა გასაკვირია თუ მის “ხელში კალამ-მა უნებურად დაინტერესონა”. დიდი მხატვრის ტკივილიანმა თემატიკამ და კოსმიურმა ფერებმა მასაც “აუცრემლა თვალი” და ამოაკვნესა: “საით წაგიყვანს ბედისწერა არ გეკითხება... მაგრამ მეწყერივით მოვარდნილი ურჩი ფერები, ვინრო ჩარჩოებში ვერდატეული, სივრცეში გადმოღვრილი და პოეტის სულზე არეკლილი, მარად უკვდავი და უბერებელი იმედის ნაღვერდალს ალვიქტს გულში, ფრთებს შეასხამს ქართვლის დედას და პოეტიც მოკრძალებით გაგიმხელს, რომ მის “ნაწვიმარ გულში აღიღინდა იმედის გედი”. ეს დიდი ტკივილებით მიღწეული მარადისობის გზა, სადაც ხორციელი ითრგუნება და რჩება სასოების შექით განათებული და ამაღლებული, ზეადამიანური ხელოვნება, რომლის მჭვრტყელი, მარტო პოეტის კი არა, ყველა ადამიანის “სულის ზარი ანკრიალდება” და მთელი სამყაროდან “აიკრიფება დილის სხივით ნამის წვეთები”. შეხედავ გამჭვირვალე ეთერს და უხილავი მახვილით დაჭრილი ირემივით მთის წყარო მოგწყურდება, მერე კი პოეტის ყურთასმენას მისწვდება წყლის ჩხრიალი, აცეკვებულ ფერებში დაინახავს, რომ აյ სადაცც “მდინარეა... ჩაგვალ წყურვილი”. ესეც ერთი უცნაური თვისება ყოფილა დიდი ხელოვნებისა, არა მარტო სულიერი, არამედ ფიზიკური წყურვილიც მოგიყლას და ზერეალურ სამყაროში გადაგისროლოს.

მართლაც და კოსმიურია ფერთა გრადაციები და გრეხილები, რომელიც სცილდება ერთი ადამიანის შესაძლებლობებს, სცილდება რეალობას და მარადისობას უერთდება. მკრეხელობაა ასეთი დიდი ხელოვნება, მკრეხელობაა ისიც, პოეტს რომ აიძულებ ამონახოს: “აცეკვებულა შენს ხელებში მთელი სამყარო”, მაგრამ ამ მკრეხელობას თვით უფალი გაპატიტებს, რადგან უბრალო სახელმძღვანელო მუზა”, ეს თვით უფლის ხელია, რომელიც შედის შემოქმედის სულში და აიძულებს სასწაულები მოახდინოს. თავად “პოეტებს ღვთით გვეძლევა დავალებები” – ამბობს პოეტი ქალი და იგი მართალია ღმერთთან და საკუთარ თავთან. მართალია, როცა ათას ენაზე ამეტყველებულ, მომღერალ ფერთა პარმონიაში, მისთვის მანიც მშობლიური “ისის ურმული”, რომელსაც თარგმანი არ სჭირდება. ამ მეტყველ ფერებს შეუძლია ნატყვიარიც მოგირჩინოს და პირიქით ტკივილებადაც შემოქრას სულში. ეს ტკივილი “სულის გადარჩენა” იქნება და დიდი ხელოვნების გაგრძელება ხელოვნებაში.

ილია პატაშურის ხელთუქმნელი მხატვრობა რომ მიუწვდომელი და ჩაუღწევადია, ამას ერთეულე-

ბი ხვდებიან. დადგები გრანდიოზული ტილოების წინ და გიჭირს სულიდან ამოვარდნილი კივილის შეჩერება... მერე კი, როცა შენელდება პირველი მძაფრი შთაბეჭდილება “იბრძვის კალამი”, ეს კიდევ ერთი დიდი მადლია და ღვთიური ნიჭი - დაგსვას და განერინოს დაუსრულებელი სადიდებელი, რომელიც სულ გერენება, რომ არასრულია და კიდევ და კიდევ გინდა მეტი დაწერო, მეტად შეაქო და მოეფერო დიდ ხელოვანს. ეს გულნაზი ხარამშვილის ცხოვრების სტილია, თბილი სიტყვა არ დაიშუროს შემოქმედისათვის, რომელსაც ჩვეულებრივ ადამიანებზე ათასჯერ მეტად ფაქიზი და მგრძნობიარე სული აქვს, ეს თბილი სიტყვა, მარტო მხატვარს კი არა, თავად პოეტს აძლევს არსებობის ძალას.

მანიც რა არის ილო პატაშურის ფერწერა? წარმოსახვითი თუ რელური სამყარო, როგორც პოეტი ამბობს: “ჩრდილია მთვარის” თუ “შმაგი თერგია”, “ცივი მთების ედელვასის” თუ “ცხელი უდაბნო”, “ბროლის მძივია”-? ან იქნებ “ენძელებია, გეფინება წითელ ხალიჩად”... ეს საოცრად ზუსტი მიგნებაა გულნაზი ხარამშვილისა, სწორადაც რომ წითელ ხალიჩად ეფინებიან მოლებერტს ილია პატაშურის თეთრი ენძელები... მერე გადმოდიან ჩარჩოებიდან, ფეხს აიდგამენ და მარადისობაში მიაბიჯებენ... ასეთ დროს ვინ არ დაგიჯერებს, რომ უთხრა შეუძლებელიც შესაძლებელიაო. თუნდაც ტილოებში, თუნდაც ყველაზე თამა ოცნებაში “აფხაზეთიც დაგვიძრუნდება”... “და იმედებით გაძრწყინდება კვლავ საქართველო”, რადგან “წარმარ მინებს” თვით “ნახატშიც სტკივათ” უკვე იმედნარევი დიდი ეროვნული ტკივილი, ის ტკივილი, რომელიც უკვდავი სულივით შემოქმედის მარადიული მეგზურია და ურომლისონდაც არც ფუნჯის და არც კალმის მოსმა არ შეიძლება.

გულნაზი ხარამშვილი დიდი ეროვნული ტკივილის მეგზურობით შევიდა ილია პატაშურის ფერთა გალერეაში და იქიდან უფრო დიდი ტკივილით და სიხარულით გამდიდრებული დაბრუნდა პოეზიაში. “დიდო მხატვარ, ეგ სიმდიდრე უფლით გრგებია” – აღმოხდა ბოლოს მის კალამს და ეს ხომ კიდევ ერთი ჭეშმარიტებაა.

ილია პატაშურის “აზვირთებულ ნიჭს” მართლაც, ღვთის ხელი მართავს, დიდი შემოქმედის ხელი. პოეტის „მთვარის ჩრდილები“ გულნაზი ხარამშვილის ხელით შექმნილი, მაღამოდ ეფინება მკითხველის გულს. მხატვრის ლაბირინთებში დარჩენილი პოეტი კალმით ეძებს მზის დასალიერს.

## მთვარის ჩრდილები (აპროსტიქი)

ბატონი ილია, თქვენი ნახატების დათვალიერებით ზღაპრულ ლაბირინთში მოვხვდი, გზა ამებნა და ფერთა პალიტრაში დავრჩი.

- ბ—ევრი ვიფიქრე, დამეუფლა წერის სურვილი,
- ა—მოვალაგე ყველა სიტყვა, რაც კი მებადა,
- ტ—კივილით გული მწარედ არის გულდამდულრული,
- ო—მის სურათებს ნახატებში ჩვენთვის ებარდნა.
- ნ—ანგრევ ადგილში არხეინად სახლობს ნაღველი,
- ო—ხრავს ფუნჯი და დარდი ფიქრში დაბუდებულა.

ი—წვის, ალშია აფხაზეთი, ტირის წალვერი,  
 ო—ომის ბოკვრები უცხო მხარეს დაბადებულა.  
 ი—მიტომ დუმან ეკლესიის გუმბათები და...  
 ა—ისი არ ჩანს, ჩანისლულა ირგვლივ მიდამო.

თ—ოვლში ნაზ კვირტებს არ ეშლებათ თეთრი ბაფთები,  
 ქ—არიშხლის დროსაც გამარჯვება უნდა ვიწამოთ.  
 ვ—ხედავ მხატვრობით დაგიპყრია მყინვარის ქედი,  
 ე—სხმება ფრთები ქართვლის დედას, იძრობს მანტიას,  
 ხ—აწვიმარ გულში აღიღინდა იმედის გედი,  
 ი—სმის ურმული, სურათებით მირჩენ ნატყვიარს.

ნ—აისრი მკლავი კვლავ გაუძლებს ურჩხულთან ბრძოლას,  
 ა—მოფოფინდა სხივები და ბრიალებს ალი...  
 ხ—ელში კალამმა უნებურად დაიწყო თრთოლვა,  
 ა—მოჩუხჩუხდა ანკარა და იმედის წყალი.  
 ტ—უჩების კვნეტა დავივინებე, უსიტყვოდ ვდუმდი,  
 ე—ხლაც მაურუოლებს, ქალი ცაში როგორ ბრძოლობდა.  
 ბ—ევრი ნაღველით, გულო ჩემო, ნუ გამიხუნდი,  
 ი—სევ დამთოვა, მზე მინდოდა ახლოს მყოლოდა.  
 ს—აით წაგიყვანს ბედისწერა არ გეკითხება,

დ—არდით ივლი თუ მეფესავით გინევს ცხოვრება,  
 ა—ისი ბევრჯერ ახლოსაა, ხან ქარით ფრთხება,  
 თ—ოვს და ქარიშხლით ტკივილები განმეორდება.  
 ვ—კვნესი და ცრემლი წამნამების გახდა მოსახლე,  
 ა—ტირდა ფუნჯი, წახატები თითქოს ფერდება.  
 ლ—ომივით ბიჭებს როს იგულებ სხვების მოახლედ,  
 ი—მათი დარდით ტკივილები წინ გეფეთება.  
 ე—რთხანს ვიფიქრე, არ მივხედავ გრძნობით წახატებს,  
 რ—ამდენჯერ უნდა ამიცრემლონ თვალი ფერებმა?  
 ე—ს სურათები ცოდნას მისცემს დიდს და პატარებს,  
 ბ—როლის მძივია... თუმცა არის მშვენიერება.  
 ი—ფერქებს წუში და ტყემალი აყვავილდება,  
 თ—ავთავებით შენ უხვად დაყრი დოვლათს კალოზე,

ზ—არზეიმებით სულის ზარი აწერიალდება.  
 ღ—ონის მოკრეფით ვილილინებთ საქართველოზე.  
 ა—იკრიფება დილის სხივით წამის წვეთები,  
 პ—ირს გიკოცნის მზე, ის სითბოთი ცრემლებს გაგიშრობს,  
 რ—იურაჟია და ქარო, სულში ნუ ეფეთები,  
 უ—ღიმის მთვარე, მწვერვალები უნდა დაიპყროს.  
 ლ—ურჯთვალა იამ აგიცევა მხატვარს ხელები,

ლ—ომივით მთიულს ღმერთმა მოგცა დიდი წოდება.  
 ა—მ დროს პოეტებს ღვთით გვეძლევა დავალებები...  
 ბ—ევრ ლექსს მოგიძლვნი თუ კი ეს შენ მოგეწონება.  
 ი—ის სურნელმა მომხიბლა და თითქოს დამათრო,  
 რ—იურაჟზე წამმა, ყვავილებმა, ოდამ, წალიამ...  
 ი—ასამნებმა სილამაზის ხიბლით ჩამათბო,  
 ნ—აომარ მინებს თუმც წახატშიც სტკივათ ძალიან.  
 თ—ითქოს გულისთქმას შეიგრძნობ და შენში სახლდება,  
 ე—სხივფერება შენს პალიტრას მზის ათინათი.  
 ბ—ევრი ტკივილით, ქარიშხლებით დლენი გაკლდება,  
 შ—ურით და ომით ეს დღეები ხდება წარმართი.  
 ი—აგუნდების სამყაროში რას ჩხავის ყვავი?

მ—ოვარდნილ ფერებს ხატავს დარდით შენი მარჯვენა.  
 ო—მგადახდილებს აგვინკეპლეს ისევე კანი,  
 ვ—იცი, რომ უფლით კვლავ ენვევა სულს გადარჩენა.

ხ—ოხობივით მსურს პურის ყანებს გადავუფრინო,  
 ვ—ელზე გავიჭრა თუკი ნისლით არ დაბინდდება,  
 დ—ედა თბილისში ყვავილები გზებზე დავფინო...  
 ი—ბრძვის კალამი, ნახატებზე წერა მინდება.

გ—რაალი არის ყველა შენი სულის ნახატი,  
 ზ—ღვა არის ლურჯი, სადაც დიდი ვეშაპი ცურავს...  
 ა—ისი არის გაზაფხული, ომის დროს მარტი,

ა—ზვირთებულ ნიჭს ღვთის ქუდი რომ ხურავს მეფურად.  
 მ—დინარე არის... ხანაც ნატვრის ხესაც კი ვადრი,  
 ე—ნძელებია, გეფინება წითელ ხალიჩად.  
 ბ—ევრ სურვილს ვიტყვით, მწამს სუყველას გვეწვევა მადლი,  
 ნ—უგეში არის, ძილში გიდევს თავქვეშ ბალიშად.  
 ა—ნგელოზია... ჩაგჩურჩულებს, დახატე ბევრი!

დ—ედაა შენი... ჩაგაძინებს მკლავზე ნანათი,  
 ა—ღუ გასწავლა, გაგზარდა და გამშვენებს წვერი,

ფ—უნჯით უფალმა აგატარა დიდი ალმართი.  
 ე—ს რამოდენა მდინარეა... ჩავკალ წყურვილი,  
 რ—იონი არის დაკაშკაშებს მთვარე ზეციდან.  
 თ—ითები ცეკვავს, მომექალა წერის სურვილი,  
 ა—ღფრთოვანება დიდ მწვერვალებს უკვე გასცილდა.


პ—ალმები არის და ვარდების ნაზი სუნამო,  
 ა—აცისკროვნებ ფუნჯით სიოს, სუნთქავს ბუნება.  
 ლ—ამაზი არის შენს ხელებში ცხელი უდაბნოც,  
 ი—სმის ურმული... აფხაზეთიც დაგვიბრუნდება!  
 ტ—ოროლა მლერის, ვაზი ყურძნით გადახუნძლულა,  
 რ—ამდენს შრომობ, რომ ააცეკვო ფუნჯით სამყარო,  
 ა—ღარასოდეს არ დავეცეთ ასე უძლურად,  
 შ—არს და ქარიშხალს ხელოვნებით უნდა გაგვყარო.  
 ი—ფეთქებს ხელში სიყვარულით გულის სიუხვე,

დ—ა იმედებით გაბრწყინდება კვლავ საქართველო.  
 ა—აფაქიზებს ნახატები მთებს და ჭიუხებს,  
 ვ—ინ იცის ღილა ხელოვნებამ მთლად გაამთელოს...  
 რ—ა დიდი ზღვაა... ცივი მთების ედელვაისი,  
 ჩ—რდილია მთვარის, ხანაც კიდევ შმაგი თერგია,  
 ი—ალბუზიდან გამარჯვების ხმები გაისმის,  
 დიდო მხატვარო, ეგ სიმდიდრე უფლით გრგებია!



## სიმონ ზაქარაია

### ნიშიერი მხატვრის ხელოვნება ხალხის სულიერი სიმდიდრეა



შარაბ ხოჭოლავა დაიბადა 1945 წ. ცხოვრობს თბილისში. 1971 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. ფერწერის ფაკულტეტი (კინო-ტელემხატვრის სპეციალობით). 1971-1975 წ.წ. მუშაობდა კ/ს „ქართულ ფილმში“ დამდგმელ მხატვრად. 1965 წლიდან მონანილობს რესაუბლივურ და საერთაშორისო გამოფენებში. 1965 წ. მოსკოვი. 1969-1979 წ.წ. მოსკოვი. 1976 წ. იაპონია. 1977 წ. პილონებით 1980 წ. ტაშკენტი. 1991 წ. გერმანია. 1971 წ. მუშაობდა მოსკოვის სენეჯის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად. 1975 წ. მუშაობდა განათლების სამინისტროს ესთეტიკის ცენტრის მთავარ მხატვარ-რედაქტორად. 1992 წ. მუშაობდა ქ. მიულპაუზენში ფრანც გოლშტეინის ფირმაში „რესტავრაცია და ხატნერა“ - ხატმენერად. 1998 წ. მუშაობდა ხატნერის კურსის ხელმძღვანელად ჰოლანდიაში ქ. ლეოვარდენი. 1998 წ. ნინო ხოჭოლავასთან ერთად მოაწყო ქართული კულტურის დღეებით ჰოლანდიაში. 1988 წ. პირველი პერსონალური გამოფენა თბილისში ე. ახვლედიანის მუზეუმში. 1989 წ. პერსონალური გამოფენა პოლონეთში ქ. ლომი. 1991 წ. პერსონალური გამოფენა ქ. მიულპაუზენში. 1992 წ. პერსონალური გამოფენა ჰოლანდიაში ქ. ლეოვარდენი. 1998-1999 წ.წ. პერსონალური გამოფენა ჰოლანდიაში, ქ. როტერდამი, ქ. ჰააგა.

2010 წ. პერსონალური გამოფენა თბილისში, სამების ტაძრის ახალგაზრდულ დარბაზში.

მისი ნამუშევრები დაცულია თბილისის სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში, ე. ახვლედიანის მუზეუმში, თბილისის და მოსკოვის კულტურის სამინისტროს ფონდში.

კერძო კოლექციებში: მოსკოვი, ჰოლონეთი, იაპონიის, გერმანიის, ჰოლანდიის, ჩეხესლოვაკიის კერძო მფლობელებთან; მისი შემოქმედებითი მონაცემები შეტანილია საქართველოს ხელოვნების ლექსიკონში „ვინ ვინ არის“ (თბილისი 2003 წ.) და „მსოფლიო ხელოვანთა ლექსიკონში“ (ლაიბციგი, 1998 წ.)

მისამართი: პეტრიაშვილი 19, ტელ: 23-50-71.

შარაბ ხოჭოლავა ქართველ მხატვართა იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელმაც ხელოვნებაში საკუთარი ხელწერით ახალი სიტყვა თქვა მე-20 საუკუნის და სასრულსა და 21-ეს დასაწყისში.

ერთი შეხედვით ჩუმი, უწყინარი და სიკეთით აღსავსე გამომეტყველების ადამიანი, მრავალფეროვან შემოქმედებით მოლვანეობას ეწევა, რომელიც მის შინაგან ბუნებაში აზრთა ჭიდილის უწყვეტი პროცესის რეალური შედეგია.

შარაბ ხოჭოლავა ბავშვობის წლებიდან ეზიარა მხატვრობის იმ ურთულესა გზის დასაწყისს, რომლის განსაკუთრებულმა სიყვარულმა და მისწრაფებამ შემდეგში იგი დიდი ხელოვანის კვარცხლბეჭებზე აიყვანა.

მარაბ ხოჭოლავა დამდგრადი ინტერი მის ასაკობრივ ზრდასთან ერთად, მუდამ დიდი შრომით ჩარჩოებშია მოქცეული, პარალელურად იგი ხელოვნების ფორმირების ყველა საფეხურს გადის კლასიკური განათლების თვალსაზრისით, ხატვის საბავშვო წრე, სამხატვრო სკოლა, თბილისის სახელმწიფო სამსახურო აკადემია..., ამასთან ერთად, მის ცხოვრებაში ნიშანდობლივი ფაქტია ის, რომ სტუდენტობის პერიოდის ნახევარზე მეტი დრო, მან იცხოვრა და ისწავლა ისეთი დიდი ქართველი მხატვრის სახლ-მუზეუმში, როგორიც ელენე ახვლედიანა. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი ნიშიერი ახალგაზრდისათვის ნამდვილი ტრამპლინი გახდა დიდ ხელოვნებაში.

შარაბ ხოჭოლავას მაღალი ხელოვნების დამადასტურებელ ფაქტია ის, რომ იგი მრავალჯერ ყოფილიყო, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების, ასევე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ჯგუფური თუ პერსონალური გამოფენების ღირსეული წარმომადგნელი. მისი შემოქმედებითი მონაცემები შეტანილია საქართველოს ხელოვნების ლექსიკონში „ვინ, ვინ არის“ (თბილისი, 2003 წ.) და „მსოფლიო ხელოვანთა სახვითი ხელოვნების ლექსიკონში“ (ლაიბციგი, 1998 წ.).

ამ ნიშიერმა მხატვარმა 1965 წლიდან დღემდე შექმნა 300-ზე მეტი ალიარებული სურათი, რომლებიც დადებითად მუხტავს დამთვალიერებლებს და მათში სულიერ კამაყოფილებას იწვევს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ შ. ხოჭოლავაში შესანიშნავი ნახატებით კიდევ უფრო გაამდიდრა ქართული, დიდი ტრადიციის მქონე შემოქმედებითი სივრცე.

ალიარებულ შემოქმედს ამ სანქტში დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა, რომელიც დედაქალაქის საზოგადოებამ მისი ნახატების პერსონალური გამოფენით (სამების ტაძარში) აღნიშნა. მე ამით იმის თქმა მინდა, რომ პატონი შარაბის შემოქმედებითი ღწვა ჯერ კიდევ აღმავლობას განიცდის და მისგან კოლეგები და მოყარულები ბევრ სიახლეს ელოდებიან.

ჩემი დამოკიდებულების შესახებ სახვითი ხელოვნებისადმი, რამდენიმე სტატიაში მაქვს აღნიშნული, რის შესახებ აქ მინდა მოვიყვანო ამონარიდი ჩემი ერთ-ერთი ნიგნილად „გენიალური ნახატები და მნახველთა ემოციები“... - „გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, პეტერბურგში (მაშინ ლენინგრადი) ასპირანტურაში სწავლის პერიოდში, მქონდა ბევრი ერება, მრავალჯერ დამეთვალიერებინა მსოფლიოში განთქმული პეტერბურგის ერმიტაჟი (იგი ფრანგული სიტყვა და ქართულად „საოცრებათა ადგილს“ ნიშნავს). მომდევნო წლებში მოსკოვში მოღვაწეობის პერიოდში ხმირად ვყოფილვარ ტრეტიაკოვის გალერეაში და ღვთიური ნიჭით დაჯილდოებულ ხელოვანთა მიერ შექმნილი შედევრებით დავმტკბარვარ. ასე გავეცანი გენიოსი მხატვრების – სანდრო ბოტიჩელის, ტიციანის (ტიციანო ვეჩელიო), ლორენცო ლოტოს, სიმონ ვუეს, ლეონარდო და ვინჩის, ალ. ივანოვის, რა-

ფაელის (რაფაელ სანტი), უკა-ფრანსუა დე ტრუას, რუბენისის (პიტერ პაული), ჯოტოს, რემბრანდტის (პარმენის ვან რეინი), უკა-ლუი დავიდის, მიზარის, კ. კაულბახის და სხვათა გენიალურ შედევრებს".

ვიცნობ და გარკვეული წარმოდგენა მაქს ცნობილი ქართველი მხატვრების ნამუშევრებზე, რომლებმაც ლირსეულად დაიკავეს საპატიო ადგილი მსოფლიოს გამოჩენილ ხელოვანთა შორის, ესენია ფიროსმანი, ს. ქობულაძე, ლ. გუდიაშვილი, ი. თოიძე, დ. კაკაბაძე, უ. ჯაფარიძე, ე. ახვლედიანი, თ. აბაკელია და სხვ....

თბილისში ცხოვრების პერიოდში მეტ-ნაკლებად გავეცანი თანამედროვე ნიჭიერ ქართველ მხატვართა ნამუშევრებს, რომლებიც თავიანთი ხელნერით ღირსეული მემკვიდრები გახლავთ წინა თაობისა. ესენია გია ბულაძე, ილია პატაშვილი, ნიკო ხერველაძე, რეზო ადამია, შარაბ ხოჭოლავა, გოგი გეგეჭყორი, რადიშ თორდია, ირაკლი სუთიძე, გოგი თოთიბაძე, ზაურ გაბის კირია, ალექსანდრე თოლუა, ზაალ ზურაბიანი და სხვ. მოქანდაკები - ჯუმბერ ჯიქია, გელა ლარიაშვილი, გენადი ზაქარიასა და სხვ.

მხატვრის ნიჭი, ხელოვანის დონე საბოლოოდ სურათის დასრულების შემდეგ ასახული ტილიზე, უპირველეს ყოვლისა დიდ კაბინეტებასა და სიამოვნებას ინვეს ავტორში, მაგრამ ეს შინაგანი ემოციები სრულებითაც არაა საკმარისი მისი ქმნილების შესაფასებლად. ასეთ შემფასებელს იქნებარედნა - საზოგადოებრივ ელი. ერთი დიდი მეცნიერის გამონათვამი, უადგილო არ იქნება ამის დასადასტურებლად: - ადამიანი და მისი შემოქმედება მარტივი იმით არ ფასდება თუ რას ფიქრობს ის თავის თავზე, არამედ იმით, თუ როგორ აფასებენ მას სხვები. ამ შემთხვევაში, შემოქმედსა და მის შემფასებლებს შეინის „შუამავალი“ ის ქმნილებას, რომელიც მხატვარმა შექმნა და მიაწოდა საზოგადოებას - ეს მწერალია, მხატვარია, მოქანდაკეა თუ სხვ. აქედან გამომდინარე, შარაბ ხოჭოლავა წელგამართული მხატვარია, რომლის შემოქმედება ღრმად წვდება როგორც ეროვნულს, ასევე ზოგადკაცობრიულ მოვლენებს თუ ფაქტებს.

შეიძლება დაასკვნათ, რომ მისი სურათები მუდმივ კავშირშია საზოგადოებაში და ბუნებაში მიმდინარე ცვლილებებთან. ის მუდამ ცდილობს დააფიქსიროს ამათუ იმ ციკლის ყველაზე დამახასიათებელი და საინტერესო მონაკვეთი, რაც მას უდაოდ გამოიყიდა.

ამ პუბლიკაციაში ჩემი მიზანია შარაბ ხოჭოლავას რამდენიმე სურათის შესახებ ჩემი მოსაზრება გავუზიარო მკითხველს, რამეთუ მისი ნახატების დათვალიერების, შემდეგ მუდამ სულის ამამალლებელი ემოციები მეუფლება.


ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცა შ. ხოჭოლავას სურათმა „გუთნის დედა“, ალბათ ავტორის მიერ შერქმეული ეს სახელწოდება კანიონზომიერია და ფილოსოფიურიც. აღნიშნული სურათი, ერთი შეხედვით მარტივ კომპოზიციას წარმოადგენს, მაგრამ თუ მის ცალკეულ სიუჟეტებს ჩაუფიქრდებით და ჩაულრმავდებით, აღმოჩნდება, რომ მხატვრის ლოგიკური აზროვნების სამყაროს რთული ბილიკებისკენ მიყვევართ, სადაც იწყება სულიერი და მატერიალური ძალების გარეთიანება, სადაც პუნქტების გარდაქმნის პროცესი უნდა განხორციელდეს. კომპოზიციის საწყის სიუჟეტებიდან ჩანს, რომ „გუთნის დედა“ ანუ გონიერი ადამიანი, რაღაც დიდი გარდაქმნის სამზადისშია. ცოტაც და ხარებს ულელი დაედგმება, გუთანიც მიებმება, ინყება ბუნების გარდაქმნის მაცოცხლებელი პროცესი - ხვნა, თესვა, აპიბინებული ყანა, უხვა მოსავალი, მაძლარი საზოგადოება, რომელიც განვითარების ახალ საფეხურზე ადის. ამასთან ერთად, მხატვარი სიუჟეტების ოსტატურად იყენებს ფერებს. ფერები კი მხატვრობაში აღიარე-

ბულია, როგორც ძირითადი სამუშაო საშუალება, რაც ნამუშევრებს სანახაობრივი თვალსაზრისით მიმზიდველს და საინტერესოს ხდის. მარტივად რომ ვთქვათ, ნახატის ცენტრში მდგარი გამრჯვე, ლონიერი და გონიერი გლეხი, თავისი მუშა ხარებითა და სათანადო ინვენტარებით, ბუნების სასიკეთოდ გარდამქმნელის გარანტია, მეტად გვევლინება, რაც საზოგადოების განვითარების სრულიად გარკვეულ საფეხურზე მიუთითებს. მე ვფიქრობ, რომ სურათის ავტორი, ჩანაფიქრის მიზანს აღნევს, აյ შინარსი და ფორმა სრულ ჰარმონიაშია.

ასევე დამთვალიერებულთა შეფასებით, შ. ხოჭოლავას ნახატი „მეგი“ სანტერესო ნამუშევრადა მიჩნეული. დაინტერესებული პირი ადვილად შეამჩნევს, რომ მათი უმეტესობა ამ სურათის წინ მცირე დროით მაინც აყვანებს და სიამოვნებით უმზერს მას. მათ აინტერესებთ თუ რა არის იმის მიზეზი, რომელმაც გამოიწვია პატარა (2,5-3 წლის), „მეგის“ განცვიფრებული გამოხდა, ან საით იცქირება ეს პატარა, რომელიც ამ შემთხვევაში მთლიანად ვიღაცის მიმართ ყურადღებადაა ქცევული. რა თქმა უნდა ამაზე სხვადასხვა დამთვალიერებელს აღბათ განსხვავებული პასუხიც ექნება. ამ მიზნით, როგორც უურნალისტება შეკითხვით მივმართე ერთ დამთვალიერებულ ახალგაზრდა ქალს, რომელსაც 2,5-3 წლის, გოგონა ახლდა თან, მას ვთხოვე ეპასუხა პატარა „მეგის“ გაოცებული გამოხედვის მიზეზის შესახებ და მოეცა მას ამაზე მისეული მოსაზრება. აა, რა მიასუხა მან: - როცა დედები იძულებული ვართ ჩვენი პატარები (თან თავის პატარაზე მიანიშნა) ბინაში ან საბავშვო ბალში დავტოვოთ, ამაზე ისინი ხშირად ცუდად რეაგირებენ, ცხარედ ტირინან და კატეგორიულად ითხოვენ ჩვენთა ერთად წამოსვლას, რა თქმა უნდა რაც ვერ ხერხდება. ამის შემდეგ ბინაში ოჯახის წევრები და ბალში მასწავლებლები უამრავ სათამაშოებს აწვდიან და ართობენ მათ. როცა გარკვეული დროის შემდეგ ვპრუნდებით ჩვენს ბავშვებთან, მათ უფრო შორი მანძილიდან ვეძახით ხოლმე, რაზედაც ისინი სწრაფ რეგირებას ახდენენ და მათი ყურადღება მიმართულია, საიდანაც ეს ნანატრი და საოცნებო ხმა მოესმით. მე მგონია, ამბობს რესპონდენტი, მხატვარს ეს ნამები აქვს დაფიქსირებული თავის ნახატში და იგი ამ შემთხვევაში სინამდვილეს ასახავს, - იყო მისი პასუხი, რასაც მთლიანად ვეთანხმები. ნახატი „მეგი“ ფერების სიუჟეტითა და სიმწვევით არ ხასიათდება, მაგრამ სურათი მთლიანობაში ემოციური მუხტის მატარებელია. აქაც, ამ სისადავეში, მხატვარი თავის სიმაღლეზე დგას და ნამდვილად ინვევს დამთვალიერებელთა მაღლიერებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფერი ხელოვნების ყველა დარგში ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია, მაგრამ იგი ფერწერაში უფრო დომინანტობს. დიდი ხელოვნების მიმდევრები ფერს ჯადოსნური ძალით მუხტავენ, რაც მნახველის უნებლივ ემოციებს იწვევს. ამ მხრივ შარაბ ხოჭოლავას ნახატი „ქალი მარაოთი“, ერთ-ერთი გამორჩეულია მის კოლექციაში. ერთი შეხედვით აღნიშნული სურათი თავისი შინარსით უფრო მონოტონურ იერს გამოხატავს, მაგრამ აქ მხატვარი ფერების შერჩევისას, მათ ერთმანეთთან შეხამებაში გასათაცარ ისტატობას ავლენს, ყველა ფერი, როგორც ქალის მკერდისა და სახის გამოსახულებაში, ასევე მის გარშემო სივრცეში, ზედმინერით რაციონალურია, რაც ერთიანობაში ქმნის საინტერესო და მიმზიდველ კომპოზიციას.


შარაბ ხოჭოლავას ნამუშევრებზე, მის მრავალფეროვან შემოქმედებაზე დღემდე საკმაოდ ბევრი დანერილია. იმედია, ეს ტრადიციაში შემდეგშიც ნარმატებით გაფრქველდება, რამეთუ შემოქმედების შემდეგში, ზედმინერით რაციონალურია, რაც ერთიანობაში ქმნის საინტერესო



გუთნის დედა






პატარა მეგი



ქალი ფიქრებში

## სცენები ქრისტეს ცხოვრებიდან



ადამი და ევა

## გულნაზი ხარაიშვილი

მდიდარია საქართველო ნიჭიერი ხალხით, მხატვრობა ეს სულის სილრმეა, იდუმალებაა. . . რომელსაც ვერ ჩანვდები. პოზია სარკეა, წერ იმას რაც გტკივა ან რაც გიხარია, თუმცა პოზიასაც გააჩნია თავისი ფილოსოფიური სილრმები. ბატონი ნიკო ხერკელაძე დიდი მხატვარია.

ნიკო ხერკელაძე დაიბადა 1953 წელს 17 აგვისტოს დაბა ახალგორში, მოსამსახურის ოჯახში.

1977 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, შემდგომ შემოქმედებითი ასპირანტურა.

არის მხატვართა კავშირის წევრი 1983 წლიდან. საერთაშორისო სამხატვრო ფონდის წევრი 1984 წლიდან. არის ეროვნული სამხატვრო აკადემიის პროფესორი 2003 წლიდან.

არის ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის 2003 წლიდან.

ნიკო ხერკელაძის ნამუშევართა გამოფენები მოეწყო, როგორც საქართველოში, ასევე გერმანიაში, იაპონიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, იტალიაში, საფრანგეთის ქ. დიუნში, რუსეთში, მათ შორის მრავალჯერ მოსკოვში, მის ნამუშევრებს მიღებული აქცს მედლები და დიპლომები. მისი ნამუშევრები დაცულია მოსკოვში – ტრეტიაკოვის მუზეუმში, გერმანიაში ქ. კარლ-მარქს შტადგის მუზეუმში.

ნიკო ხერკელაძის ნამუშევრები შეძენილი აქვთ მოსკოვის მიერ ი. ლუჟკოვს, რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვ. ჩერნომირდინს, რუსეთის პრესიდენტ – ბ. ელცინს, თურქეთის ელჩს საქართველოში ს. დემირელს, ირანის პრესიდენტს რასფანჯანის და ასევე დაცულია სხვა კერძო კოლექციებში.

ნიკო ხერკელაძე უდავოდ დიდი მხატვარია, მის ტიტულზე თვით მისივე შემოქმედება ლაპარაკობს. ნამდვილ შემოქმედს რომ პოეტური გარემო სჭირდება ეს ხომ ჭეშმარიტებაა, ისიც არაა მოულოდნელი, რომ ბუნებისა და თვით სამყაროს წიაღში დაეხეტება ხელოვანი. ამ დროს, ის ძალიან განიცდის, რადგან სახლში ელოდება, პალიტრა... იგი თვითმყიფადი, თავისებური გროტესკული ხედვის მხატვარა. ნიკო ხერკელაძის განტვირთვა ნადირობა იყო, ბუნების ხელით შექმნილი ფერთა გალერეა, ერთხელ ნადირობისას წინ დათვის ბელი შეხვედრია სხვა მონადირეებისგან დაწროლი, როცა მის თათებს შეხებია, ისეთი საბრალული უგრძვნია, სახლში წამოუყვანია. არ დაუკლია ყურადღება, მაგრამ ბელი მომკვდარა. ნიკო ხერკელაძეს დაუმუშავებია და ფიტულისათვის სასტუმრო თახახში განსაკუთრებული ადგილი მიუჩნია. იარაღი იქვე ჩამოუყიდია გულდანწყვეტილ მხატვარს და იმ დღიდან ნადირობა აუკრძალავს.

ნიკო ხერკელაძე არა მატო დიდი მხატვარია, მას საკუთარი ძალა მწერლობაშიც უცდია. გამოცემული აქვს წიგნი „ცრემლში ნალესი ხმალი“ იგი გიორგი სააკაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება.

მხატვრის ლამაზი ბუნების, ადამიანური სულის და დიდი ხელოვნების პატივისცემით, მკითხველს ვთავაზობ ჩემს შთაბეჭდილებას ლექსად.

### “ცრემლში ნალესი ხმალი ნიკო ხერკელაძის შემოქმედებაში” (აკროსტიქი)

ც—რემლში ლესავ ისტორიის მოგონებას,  
რ—ომ შენ ცდილობ მოიხადო ვალი ღმერთთან,  
ე—ს შენში ზის საუფლოდან შთაგონება.  
მ—უხლს მოიყრი, წერ და ხატავ წარსულს ერთად.  
ლ—უარსაბის სიყვარულის გაშმაგებამ,  
შ—ეურია მეფის სისხლი დაბალ ფენას.  
ი—მ სიყვარულს ეშმამ ავნო და განგებამ,

ნ—ექტრის ნაცვლად შეახვედრა ცრემლთა დენა.  
ა—შეარაა, რა საოცრად გამოხატავ,  
ლ—ომ გიორგის თუ რა ხევდრი ერდო წილად...  
ე—გ სურათი ქსნის მებრძოლთა, რჩება ხატად,  
ს—ამშობლოსთვის, ძმების სულის თავგანწირვად.  
ი—ქ, შორს მთებში ნადირობდი მთიულ გულით,

ხ—ო, რა უინით ერეოდი ბუნაგს მხეცთა,  
მ—ერე დათვის ბელი ნახე დაკარგული,  
ა—რ გინდოდა რომ მოგექლა, ტყვია შეცდა.  
ლ—ოცულობდი გადარჩესო, ღმერთს შესთხოვდი,  
ი—ს თვალებში განწირული გიყურებდა.

ნ—ადირობა იქვე დაგმე, დადექ ოხვრით,  
ი—მ ბელივით გულს დასჭირდა განკურნება.  
კ—აცთა მოდგმამ ჩაგაფიქრა, სისხლს იწმენდდი,  
ო—გტკიოდა... ღმერთო, მხატვარს მიუტევე,

ხ—ო, ცრემლს ღვრიდი, დაიჭერი და ითმენდი...

ე—ს შეცდომა სულის სილრმით დაიტოვე.

რ—ამხელა ხარ, მიჭირს კალმით შეფასება,

კ—ალამი კი, იმ ბელივით დაბურდღუნობს.

ე—ს ცრემლები „ნალეს ხმალში“ ასმაგდება,

ლ—ოცვას ვიტყვი, სანთელთან მსურს ვიღულუნო.

ა—სჯერ გლოცავ ხელოვანო, სულის ხსნისთვის,

ძ—ირგველ ადას მოყვაბში რომ გააღვიძებ.

ი—ს სხივი შენ მოგინყვეტავს მაღლა მზისთვის,

ს—ამკურნალოდ ვიყიდით და ჩვენ შევიძენთ.

შ—ენი სული მე წმინდანად მსურს შევრაცხო,

ე—ს ხატები მირონია შენს ხელთ ქმნილი,

მ—ინდა ყველა ქართველს ფრთხილად რომ მოვაცხო,

ო—მაშინ კ, ერის შვილინ ლოცვით ვივლით.

ქ—არის დროსაც ძმობის ხიდი უნდა გავდოთ,

მ—ივუტევოთ ავის მსურველს, მხატვარივით,

ე—ს ახლავე, ხვალისათვის არ გადავდოთ,

ღ—ა თუ არა, მაშ ვიბრძოლოთ გიორგივით.

ე—რს ასწავლე, ხელოვანო, ხმალის ლესვა,

ბ—ელში ღმერთმა გაგიღვიძია სიყვარული.

ა—ბა ერთად, ჩვენ მძვიდობის ყანი შევსვათ,

შ—ემოვძახოთ “ჩაკრულოთი” კვლავ მაყრული,

ი—ქნებ ისევ, კვლავ დაგვეთმო კაენისთვის,

და არ ვლესოთ თუნდ მტერთათვის მკვლელი ხმალი,

მაღლობა შენ, ღვთის რჩეულო, სულის ხსნისთვის,

რომ ყველაფრით მოიხადე ღმერთთან ვალი.

## ჯუმილი გზებზე და ხიდებზე

ლიანა მელიქიძე-ოსიაშვილი



### მისი სახელი სააკაშვილის

შენს სიკეთეს, ყველას მაინც  
მთლად ვერ გააგებინებ,  
სადაც მოხუცებულს ნახავ,  
ტრიბუნას აგებინებ.  
სიმაღლეზე თვალს ვერ განვდენ,  
ცაში ისე აიჭერ,  
ასაკიანს ყველას კოცნი  
გზაზე ვისაც დაიჭერ.  
ვინ გვიცნობდნენ, დღეს სახელი  
ქვეყანაზე აანთე,  
ქურდისა და ავაზაკის  
ბუნდლა როგორ გააქრე.  
თუმც ტყუილად, ზოგიერთი,  
თვალში ნაცარს გვიყრიან,  
მანქანები ეზოებში,  
სულ უშიშრად გვიყრია.  
მიყრუებულს, ჩაბნელებულს  
გზას, სინათლით ამშვენებ,  
თითო ავადმყოფის წილად  
საკადმყოფოს აშენებ.  
ჯარი გვყავდა, თანა სჭამდა,  
მებენარების არია,  
დღეს ბიჭები, მოწოდებით,  
ავლანეტში არიან.  
მისხალ-მისხალ დაგვიბრუნე  
ჩვენი ერის მეობა,  
უცბად მოსპე ქვეყანაზე  
დიდი მექრთამეობა.  
ახლა თავები წამოყვეს,  
ვა-ვიშით, ჩოჩქოლით,  
ტკბილად ლოგონში ეძინათ,  
როს აფეთქდა ჩოლოქი.  
სცხვეწოდეთ, ვინც გვერდით გედგნენ,  
ენის ასე ბრუნება,  
ალარა მსურს სიძნელეში,  
პირადად დაბრუნება.  
მოკეთისგან არის რთული  
ნაპენები, თან მტრული,  
ჩვენი ყოფის სასიკეთოდ  
ფეხზე გიდგას პატრული.  
ზოგს ისე სურს შენი მტრობა,  
ხშირად ერთურთს ძაბავენ,  
რეფორმებში, კანონებში,  
სხვა ქვეყნები გვბაძავენ.

მაინც ის სურთ ზოგიერთებს,  
რაცა სურდათ მტარვალებს,  
არ ელირსოთ... ამ შენს ნაღვანს...  
ერთ დღეს დაიპარავენ.  
ვინც გამტყუნებს რვა წლის ომში  
და გზერავდნენ ჩეროდან,  
ზუსტად ვიცი, არცერთს, სხვა გზით,  
კბილი არ შერჩებოდა.  
იმის ნაცვლად ერის საქმე  
და მოკეთე ამრავლონ,  
სტიქია რომ შემოგვიტევს,  
ლამის შენ დაგაპრალონ.  
დაგიფარავს ამისთვის  
ყველა ძალა ცისანი,  
სილალი თუ ბათუმი,  
მცხეთა ძლივსლა ვიცანი.  
მაგათ ფარსადანობას  
დრო, ვიცი, რომ გაარკვევს,  
ალბათ ამათთანებმა,  
ქრისტე ჯვარზე გააკრეს.  
მოითხოვეს ჩემგანაც კი,  
მათ ჭუაზე ტარება,  
თუმცა მათზე უკეთესად,  
ვიცი ჯიპის ტარება.  
მშრომელს, ღვაწლს არვის უკარგავ,  
ამბობ საქებს ყველაზე  
რომელ ქვეყანაშიც შეხვალ,  
საუბრობ მათ ენაზე.  
უმრავლესობას უყვარხარ,  
დიდებსა და პატარებს,  
განმაცვიფრე, ჩემს წინ, ბუში  
ცეკვით ჩამოატარე,  
უშაბარგალკოდ, ზეპირ თქმაში  
ყველას სჯობნი პრეზიდენტს,  
ამას არ აღიარებდეს,  
ვერვის ნახავ დღეს ისეთს.  
შენი სახე საქართველოს,  
საუკუნოდ გასწვდება,  
რეიტინგით პრეზიდენტი  
ერთი, ორი, ძლივს გწვდება.  
წინა პლანზე ნამოსწიე  
ყველა საქმე საერო,  
არ იცოდნენ რას ნიმნავდა,  
ზოგმა, სიტყვა: „გაერო“  
უთაო მეთაურის დროს  
პურს ვეექავდით ქატოში,  
დღეს თუ ხვალე, გაჯგიმული,  
შევაბიჯებთ: „ნატოში“.  
აშენებულს ხელი სტაციონი  
თუმც რცნება დიდია,  
„ქართულ რცნების“ ოცნება,  
სულ ცალ ფეხზე გკიდია,  
ყველა სიძნელეს თავს მუდამ  
გმირის დონეზე ართმევ,  
ერთი მტკაველით ავმაღლდი,  
ობამას ხელს რომ ართმევ.  
მიგვავინყე ძველი ყოფა,  
დანგრეული იერი:  
აგვიშენე ქალაქები,  
სახელმწიფო ძლიერი!

## ლიანა მელიქიძე-ოსიაშვილი

### პუტინს, მედვედევს

დარბაისლური ნათქვამი,  
ხალხამდის ერთიც არ გააქვთ,  
სიმაღლე ერთი კაცის აქვთ,  
ტვინი - ერთისაც არა აქვთ.  
შემთხვევით მოხვდნენ მაგ სკამზე,  
მახსოვს, მიტომ არ ვიცინი,  
ვინ მიართმევდათ მაგ ადგილს,  
თუ არა, ლოთი ელცინი.  
მიტინგზე ითოშებოდნენ  
ყინვისგან, ხალხს ურჩევია,  
ეს ზუსტად ვიცი, არც ერთი,  
მათ რომ არ აურჩევია.  
ბესლაში და იმ ნორდ-ოსტში,  
ხალხთან მგუდავ გაზს უშვებენ,  
ორი ჩის ატომთან  
და მსოფლიოსკენ უშვერენ.  
ჩეჩინებისა თუ ქართველთა,  
ნაცრად აქციეს ოდები,  
მნირი კალამი რას მოთვლის  
კისრად რომ ადევთ ცოდვები.  
მიტინგზე მხოლოდ: „ვორ-პუტინ“!  
არ აქვთ სიტყვები უშვერი,  
ორ ლილიპუტის დიდ პარპაშს  
მხოლოდ ხალხი თუ უშველის.

### დავით გოგიჩაიშვილს

ნაკლებად მახსოვს სიცხეც და  
აღარ ვკანკალებ სიცივით,  
როცა შენს შოუს ვუყურებ  
მუცელი მტკივა სიცილით.  
მაკვირვებ ღრმა აზროვნებით,  
დიდ იუმორის პატრონო,  
მარტო ღიმილის კი არა,  
სიცილის მეფე ბატონო!

### გიორგი აფციაშვილს

სააკაშვილის ბაძვაში  
პაროდისტი ხარ პირველი,  
მიმიკა ზუსტად აჯავრებ,  
ესაა გასაკვირველი.  
შენი გამოსვლა სცენაზე  
გაოცებისგან მაშეშებს,  
პრეზიდენტი ხარ, ნამდვილი...  
მხოლოდ... მანდატის გარეშე...  
ანსახიერებ სიკეთეს,  
არ გხიბლავს შენ ომობანა,  
არ გიცნობს, თორემ ითხოვდა,  
შენთან შეხვედრას ობამა.

### ანრი ჯოხაძეს

უძლიერესო ბულბულო!  
სიმღერით ამბობ შენს სათქმელს,  
პაროდისტობას არ გირჩევ,  
უნდა შეეშვა მაგ საქმეს.  
რადგანაც მე მეშინია,  
ხალხი მაგით არ შეშალო,  
უფრთხილდი ბადრი ბინაძეს,  
ნინოში არ შეეშალო.

### ნიკა გრიგოლიას

პაროდისტად რომ შემეცნე,  
მოვუნდი დღეებს და კვირებს,  
პირველად სულ არ მომწონდი,  
მერე კი მთლად გამაკვირვე.  
ერთში მაინც ვერ ვერკევი,  
რომ გიძლენა დიდი ვარდია,  
„შორენა ბეგაშვილი თუ  
დათო ხარ აქუბარდია?“

### ვანო ჯავახიშვილს

პოლიტიკაში სიცილი,  
ვხედავ, რომ ხურმა გგონია,  
ჯავახიშვილებს ყოველთვის  
ხალასი ნიჭი ჰქონია.  
თუმცა ვშიშობ, რომ ერთხელაც  
ხვანჯი არავინ დაგიგოს,  
და მოწმენდილზე უეცრად  
ფეხქვეშ არავინ გაგიდოს.  
პირადულზედაც იფიქრე,  
საფრთხეზე, შენს წინ რაცა დგას,  
უნდა უფრთხილდე ნანულის,  
რქები უცბად არ დაგადგას.  
არაფრით დაეჩაგრინო,  
თავით ფეხამდე ნიჭი ხარ,  
რატომ თავგასიებული:  
ძანაც კარგი ბიჭი ხარ!

### მიშა ადლულაძეს

ყველა როლს ზუსტად ერგები,  
მოძლერალიც ხომ კარგი ხარ,  
ერთი კი არა, ეკრანზე,  
ორიათასი კაცი ხარ.  
ხელებზე ზოგს ტყავი სძვრება,  
ფული იშოვოს სარჩოსი,  
მწვერვალსაც ადვილად იპყრობ,  
ისე გიხდება ნაჩოსი.



## ლიანა მელიქიძე-ოსიაშვილი

### ვასო პიშიკაშვილს

შენი ადგილი სცენაზე  
ნეტა ვინ შეანახინა,  
მედოლეცა ხარ, მეგრელიც,  
ხან ვინა ხარ და ხან ვინა.  
„სიხარულიძეები”, შენ შეგაქვს  
ხალხში სიცილის აურა,  
დუბლიონებით გცნობ სიცხეშიც,  
რომ კასპელი ხარ, ზაურა.

### ვასო ფხავაძეს

სხვისი იერი მიიღო  
სულ ზიხარ ალბათ სალონში,  
სცენაზე შენ თავს ისე გრძნობ,  
როგორც საკუთარ ბალკონში.

ვხედავ, სხვის ხმით სიმღერისთვის,  
გული წალდად გაქვს სულ ლია,  
მიკვირს, მართლაც რა მაგრად გგავს;  
სურამელაშვილი გია.

### გივი სიხარულიძეს

როლში ხარ უსაყვარლესი,  
მიკროფონს ხომ მთლად უხდები,  
სად, ვის, რა, როგორ ეუბნო,  
მთელი სიზუსტით უხვდები.  
ლექსიც გაქვს ენაწყლიანი,  
აბა ამით ხარ ცნობილი,  
მეც, სხვებთან ერთად, მიგულე  
შენს ნიჭის წინ დამხობილი.  
ქალის ტრფობაში ვერ გჯობნის,  
ცნობილი, ვერც რასპუტინი,  
შენს ლამაზ გვარს შემოევლოს  
მედვედევი და პუტინი.  
მაგ მართლაც ნიჭიერებას  
ხალხის სიყვარული მოწმობს,  
სულ ერთადერთი ნაკლი გაქვს  
საჭესთან ქალი არ მოგწონს.  
ვიკი კვლავ შექმნი მრავალ როლს,  
მეც სულ სიხარულით ვივლი,  
ოცდახუთჯერ გაგიმარჯოს  
შენ, სიხარულიძე გივი.

### მარინა ბერიძეს

კარგია, ხელში არა გაქვს,  
პატრულის ჯოხი ან მილი,  
ეკრანზე მაგრად გიხდება  
ჯეოსტარული ღიმილი.  
გული თბილი გაქვს, ხან ცხელი,  
და ხმაში გიდგას ხან ყინვა,  
ქვეყნად არ ვიცნობ შენებრ ქალს  
შვენოდეს სხვისი დაცინვა.

### გივი სურამელაშვილს

არ ვიცნობ ისეთ მომღერალს  
ქალებს უყვარდეს შენსავით,  
ინაგებიან, სცენაზე  
რომ გაიბრნებინებ მზესავით.  
მე კი ვნატრობ სკულპტორობას,  
ან დაგხატო და ან გძერნო,  
სულ ერთხელ მაინც მეჩვენე,  
უმძივებოდ და უძენეკვოდ!  
არმიკვირს მანდილოსნების,  
როცა შენს თვალებს ფიცავენ.  
მალე მსოფლიო შეიტყობს,  
რომ ქალებისგან გიცავენ.

### მაია ასათიანეს

დღეს საქართველოს მედიას,  
აქვს სიმპათია შენდამი,  
დაკარგულებს რომ ჰპოულობ,  
საცრება ხარ, შენ, ამით.  
გხიბლავენ ქუჩის შვილებიც,  
ზოგი რომ არქევს ველურებს,  
ეკრანთან იხმობ სუყველას,  
დღეს ნიჭით გამორჩეულებს.  
თვითეულ წამს, საეთეროს,  
იყენებ დიდ გემოვნებით,  
ხუთშაბათს ველით ათ საათს,  
გიყუროთ სიამოვნებით.

### გივი ჯახუას

ახლოს გიცნობ, არ მჭირდება,  
სათქმელისათვის ფიქრები,  
ქალაქის ავტორიტეტი,  
იყავი, ხარ და იქნები.  
არ გისესხია არასდროს,  
სხვისი აზრი და რითმები,  
ჩვენთვის ჯეკ ლონდონიცა ხარ,  
შენზეა ნეტა რით მეტი.  
პროზითა ხატაც რუსთავის,  
ძეგლებს, ქუჩებს თუ ფასადებს,  
სიტყვები გაქვს ზომიერი,  
ყველა ამიტომ გაფასებს.  
სუყველამ ვიცით, როგორი  
მომპარავი ხარ ცხენისა,  
უბადლო რედაქტორი ხარ  
რადგისი და პრესისა.  
ცოდნით, გონებით ვერავინ  
იტყვის ვინმეზე უკან ხარ,  
ერთი ამდენიც იცოცხლე,  
რადგან ყველა ქალს უყვარხარ.



## ლიანა მელიქიძე-ოსიაშვილი

### ღია გარათი სარძლოს (მოვიდა სეტყვა)

ზოგი ითხოვენ თამამად,  
შეპარვით, ხან არაკებით,  
ხოდა, მეც მინდა სარძლოსგან  
მანქანაც, აგარაკებიც.  
მზითევში ჰქონდეს დაბლომი,  
ორი, სამი, სამსახური,  
საჭმელი თავად აკეთოს,  
სახლში არ მიყვარს მსახური.  
მოასწროს სამსახურამდე,  
არგუმენტია მთავარი:  
ოთხ-ხუთნაირი სადილი,  
საჭირო მეტი არ არი.  
ოთხ ან ხუთ უცხო ენაზე  
ლაპარაკობდეს ადვილად,  
ოთხი, ხუთი, ბინა ჰქონდეს,  
მეტს არ მოვითხოვ ნამდვილად.  
ბინას იმას ვერ დავარქებევ  
აქირავებდეს ნავთლუხში,  
„ბარხატინი“ სეზონისათვის  
ბინას მოვითხოვ ბათუმში.  
შემდეგი იყოს სვანეთში,  
ანდა სხვა, მთიან მხარეში,  
დასასვენებლად არ მიყვარს  
წაკწა საზღვარგარეთში.  
მზითევში მოჰყვეს კომპლექტი  
ავეჯი-ჭურჭელ-ჩანგლები,  
მშობლებმა ზიდონ მანქანით  
პროდუქტით სავსე ჩანთები.  
ჩემ წინ თავდახრა და რიდი,  
ზრდილობა, მუდმივად მართებს,  
არ მეწყინება, მზითევს თუ  
კიდევ რამეს დაამატებს.  
დიდ ხათაბალას რძლის ყოლის  
სხვაგვარად თავს რად შევუშვერ,  
ასეთ მზითევის გარეშე  
სახლში არავის შევუშვებ.  
უცაბედ არც კი მოვქაჩავ  
დედამთილობის მარწუხებს,  
თავისიანის სტუმრობით  
ვიცი, რომ არ შემანუხებს.  
ოჯახში აუცილებლად  
ციბრუტივით ტრიალებდეს,  
როვორც დავიხდი, იმ წუთში,  
ფეხსაცმელს აპრიალებდეს.  
შეღავათს ვაძლევ, არ ვითხოვ,  
რომ იყოს მხოლოდ ვექილი,  
ჯანდაბას, იყოს მხატვარი  
და ანდა კარგი ექიმი.  
თან უნდა იყოს ლამაზიც,  
გვარითაც საუკეთესო,  
აღზრდილი, რომ ვაწყენინო,  
უცბად არა თქვას: აფრენსო.  
და იყოს მთლად უკომპლექსო,  
მულ-მაზლთან სულ უვნებელი  
ამ მცირე ჩემს მოთხოვნებში,  
რა არის შეუძლებელი.  
მეზობლებზე კი, ნებას ვრთავ,  
თუნდა ჰაერში დაჭამოს,  
იყოს მუდმივ დიეტაზე,  
საჭმელი თუნდ სულ არ ჭამოს.

თან უნდა იყოს ყოჩალი,  
უნარი ჰქონდეს ულევი,  
იშოვოს, (თუნდაც მშობლებთან),  
აქეთ მოზიდოს ფულები.  
ჯერჯერობით ვერ ვიხსენებ  
სხვა მოსატანებს შევეხო,  
რაცა ვთქვი, ეს შეასრულოს,  
ვინძლო კარგ თვალზე შევხედო.  
სიტყბო თუ უნდა ოჯახში,  
არ წაუხდინოს ნირები:  
მულებს, მაზლს, სამამამთილოს,  
მოართვას სუვენირები.  
დაპირებას არ მივიღებ,  
მათოხლონ, თითქოს სადღაც დევს,  
თან საქმე, ზემოჩამოთვლილს,  
მოვითხოვ ცირკელსავე დღეს.  
ოჯახის მძიმე უღელი,  
გასწიოს სულ უხმაუროდ,  
ვინ არის სარძლო ასეთი,  
გთხოვთ, რომ გამომეხმაუროთ.

### სარძლოს პასუხი (დახვდა ქვა)

ასეთ დედამთილს ვეძებდი,  
არ ვცემ პატივს დესპოტ-ურჩებს,  
ბარათის შემდეგ დიდ სანთლით,  
დაგეძებ მასეთ, ნაზს, უთქმელს.  
აზრზე მოვედი, მადლობა,  
მსურს, რომ მოგიძლვნა ულევი,  
ქედს გიხრი, კისრად დავიდგა,  
ასეთ ოჯახის უღელი.  
ამ ულტიმატუმის მერე,  
იმედით შევცექრი მერმისა:  
სხვა მრავალ უცხო ენასთან,  
დედამთილის ენაც მესმის.  
ოციც რომ იყოთ, სულ უხმოდ,  
მოგივლით ოჯახის წევრებს,  
თუ რამ გამოგრჩა, მზითევში,  
ჩემს „ადრესზე“ მოიწერე.  
მამამთილის ფეხსაცმელსაც,  
შენსასაც - გავაპრიალებ,  
ყველაფერს სახლში რაცა გაქვს,  
უცბად არ დავატრიალებ.  
უმწოდოს, სათქმელს ახლავე,  
გეტყვი, არა ლირს ლოდინად:  
სულ ია-ვარდზე დაგაწვენ,  
რომ ჩავარდება ლოგინად.  
უკვე დავიწყე გროვება,  
თუმც, აქამდე არ ვფიცხობდი,  
მზითევი რომ მჭირდებოდა,  
მთლად ასე არც კი ვიცოდი.  
მიხარია და ვამაყობ,  
შორიდანაცვე, რომ გიტან,  
უცებ საიდან... ორმოც წელს...  
მაცალე და მზითვს მოვიტან.  
თან ბელგის სახით, არა გთხოვ,  
ლალს, ზურმუხტს, ბეჭედს, ძვირფას ქვას,  
ორმოც წლის მერე თუ დამხვდი,  
დანარჩენი კი, მერე ვთქვათ...

## ლიანა მელიქიძე-ოსიაშვილი

### „სიდედრიზი“

ოცი წელია სიძე მყავს,  
დაიწვას მისი გამჩენი,  
წუთისოფელმა რად მარგო  
ასე მძიმე განაჩენი.  
განათლება რომ არა აქვს,  
ეს ჩემი შვილის ბრალია,  
და რომ სულ უსაქმოდ იჯდა,  
ვიფიქრე ჩემი ვალია.  
შევეკადრე თუ სად შეეძლო,  
იმ უსაქმოს სამსახური,  
მითხრა: - ვიციო, „დედიკო“,  
შოთორობა სხვის შესამური.  
სხვა რა გზა მქონდა, ვიყიდე,  
ის მშვენიერი მარშუტკა,  
ჩემი ტანჯვა და წამება,  
უფრო დაიწყო მას უკან.  
სიდედრებს ემდურებან,  
შემძულდა სიძის სახელი,  
„პრავის“ აღებაც რომ გახდა,  
კვლავ ჩემი თავში სახლელი.  
შოთორებში არ აკეთებდა  
არაფერს, გარდა ქაქანის,  
სახლში ფული არ მოჰქონდა,  
ფერს იწუნებდა მანქანის.  
მერე სხვა ფერი ვუყიდე,  
მერე ვუყიდე ხაზები,  
საშველი მაინც არ ჰქონდა,  
წამომაკიდა ვალები.  
მეგონა, რომ შემხვდებოდა  
სიძე საქვეყნოდ საჩენი,  
შეილები შეეძინა და  
ისინც ჩემი სარჩენი.  
მე ამდენ ფიქრს და განცდაში,  
წლები სახეზე მაჭუნება,  
ის კი, ჩემს ლია ბალკონში,  
მთელი დღე ჩიტებს აჭმევდა.  
მთლად უარესი ის იყო,  
არაფერს ვკარგავ გამხელით,  
თავად ქალაქმა დაარქვა,  
მას „სიდედრიჩის“ სახელი.  
წეტავ, ჩემს შვილს შეხვედროდა,  
ქმარი, რამე ხელობისა,  
რადგან მცხვენია, რომ სიძე  
მყავს ჩემი სახელობისა.

### სიძე აფრინა გასული

როცა ჩემ სიძემ გაიგო,  
რომ იმაზე ვწერ არაკეს,  
შემომითვალი: - „დედიკო“,  
სიდედრების ხმას არ აჲყვე.  
შენი მაგ იგავ-არაკით,  
არ გიშლი, გული იჯერე,  
წყარად ვარ, არცერთი სიძე,  
შენს ნათევამს არ დაიჯერებს.  
მიბრძანდი „სიდედრიჩებთან“,  
ჩემი ბიჭობა იკითხე,  
ლექსები თავით დაიდე,  
ხან წერე და ხან იკითხე.

წერა რომ გიყვარს, ეს ვიცი,  
წერას რომ ხარ ატანილი,  
ვინ გვითხავს, ამ ჩემს ნაბიჯებს  
ჩემ წალებულს და მოტანილს.  
სასჯელად შენი ყურება  
გამიხდა თავში სახლელი,  
ჩემს ტანჯვას ისიც ეყოფა,  
სიდედრი გქვია სახელი.  
ჩიტების კვება, ამ ქვეყნად,  
სულაც არ არის სიახლე,  
ჩემს გაკეთებულს ვერ წედავ,  
ხოდა თავში ქვა იხალე.  
ბოლოს და ბოლოს შევთანხმდეთ,  
მოვალეობით უფრო აზრს, საღებს,  
მადლობა თქვი, მაგ ენიანს,  
შენ რომ შვილი გაგისაღე...  
და კომპრომისზე შევჯერდით,  
აღარ ავყვები სხვა იჭვებს,  
ისიც მაფიქრებს... სიდედრი  
რომ ეყოლება ჩემ ბიჭებს.

### მუზა და ქმარი

ლექსების წერა ქალისთვის  
ჭირს, ვალიარებ წამდვილად,  
ისე კი, მუზა, თავისით,  
უცაბედ მოდის ადვილად.  
თან არ იკითხავთ რადა ჭირს?  
ვპატრონობ სახლში პატარებს,  
განსაკუთრებით წერა ჭირს,  
როცა მანქანას ვატარებ...  
მუზა რომ მოდის, „რულის“ დროს  
და თანაც შუა ქუჩაში,  
მოდი და პატრულს უხსენი,  
რატომ გავჩერდი... შუაში.  
იმ დროსაც ლექსებზე ვფიქრობ,  
თუნდა გავწმინდო ფარები,  
იმ დღეს, ხელებს რომ ვიქნევდი,  
ქმარმა გააღო კარები.  
იცი, რომ გიჟი არა ვარ  
და მხოლოდ მუზა მანვალებს,  
თმები შევიჭერ მოკლედ, რომ  
არა მწვდომოდა წანავებს.  
მუზა ხან ბუნდოვნად მოდის,  
რითებს ხან ძლივს განვალაგებ,  
სახლი ლამის მტვრით ამევსოს  
იშვიათად თუ ვალაგებ.  
წერის დროს სადღაც დავფრინავ,  
საჭმელს არ ვჩივი, ამავ დროს,  
ლამის ჩემს ლექსებიანად  
ქმარმა სახლიდან გამაგდოს.  
როგორც სიძე და სიდედრი  
ნაომი დილა ადრიან,  
მუზა და ეს ჩემი ქმარი  
ერთურთში ისე არიან.  
სულ ვარ მუზასთან ჭიდილში,  
და ვცდილობ იმის დაძლევას,  
ჩემისთანა ცოლის ხელში  
ვაი, ჩემი ქმრის გაძლებას.

## ლიანა მელიქიძე-ოსიაშვილი

### თასაკითხ-არ-გამოსაქვეყნებელი

(ვან-ცინს)

ჩვენს მუდამს ვერვინ გაიგებს  
კიდევაც დადგნენ ყირაზე,  
სულ ვიქესპრომტოდ მე და შენ  
სხვა პოეტების ჯინაზე.  
მე და შენ სხვა მირონი გვაქვს  
შენ მეტი და მე ნაკლები,  
სიცილით მოვაფხანინოთ  
თუ სად ვინმეს აქვს ნატკენი.  
და თუ ვინმეს შემურღება  
ეს ჩვენი ნიჭი ღვთიური,  
რითმის მიგნებას ვასნავლით  
გადაგვიხადონ... დღიური.  
ეს ჩვენი რითმ-აზრ-ლექსობა  
ბოდიშს ვის რაში მოუხდის,  
ჩვენს იუმორის სიღრმესთან  
კოჭი არავის მოუხტის.  
გვიხარია რომ იცვნონ  
შორსაა ჩვენგან სხვის გმობა,  
არასდროს არა გვქონია  
ერთურთში შური და მტრობა.  
პირიქით, ვგრძნობდით ერთმანეთს,  
თუმც, ურვა ბევრი შეგვეხო,  
ორივეს ნიჭს შემოევლოს  
ვინც ცუდი თვალით შეგვხედოს.  
ჩვენი ექსპრომტი ცინცხალი  
ზეცამდის ისვრის ცხელ შეფეხს,  
ხოდა გვიყურონ ახლოდან,  
როგორც ექსპრომტის დიდ შეფეხს.  
ჩვენით არავის ვექადნით,  
არცმუზით და არც ქონებით,  
მე და შენ ერთ დროს შავ „ვოლგებს“,  
ორასით დავაქროლებდით,  
ერთად ვართ შეპყრობილები,  
მუზების საპყრობილეთი,  
გვაქვს წერის ერთი მანერა  
მუზის ჭიდილის ილეთი.  
თუ ვინმე თვალის საკვრელად,  
გადაგვიზომავს გარემოს,  
მოსვლით ახლოსაც ვერ მოვლენ  
ხოდა გვირბინონ გარშემო.  
ჩემთვის ვანიკო, ქვეყნისთვის  
ვან-ცინ-ცინ-ნიუნარ-ვან-ცინი,  
მოდი და დალვრემილები  
ხანდახან ერთად ვაცინოთ.  
თუ ირონია შეგვეადრეს  
არცაა გასაკვირველი,  
მე მეორეზე ვლილინებ  
შენ მქუხარე გაქვს პირველი.  
დერ სტრიქონს ვერ შეგვირხევენ  
მოპოეტოთა ენები,  
კარგად იციან რომა ვართ  
სიცილის ფენომენები,  
ჩვენი ჰობია სატირა  
და იუმორი ულევი,  
ჩვენს ლექსებს საკუთარი ხმა,  
გუთნის დედის აქვს ულელი.  
ზოგჯერ სარკაზმად, ხან სტრიქონს,  
ვჟღენთავთ პატარა სიცივით  
ხალხი, რომ ხან გავალიმოთ,  
მთლად არ გავგუდოთ სიცილით,  
არასდროს გავჯიბრებულვართ,  
პაოლოსა და ტიციანს,  
სამწუხაროა, რომ ზევით  
ჩვენი ფასიარიციან.

ყოველთვის ვიწვევთ ინტერესს,  
მტერ-მოყვარესთან, საცავართ,  
მოკლედ, გვიყარონ კაგალი,  
მე და შენა ვართ, რაცა ვართ.

P.S.

ყველა ზემოდან დაგვცერის,  
რის ჩინი, ან რის მეზღვები,  
ფასი რომ ჰქონდეს იუმორს  
გავხდებით მილიონერნი.

### 3ანო ცინცაძეს

თუმც მოგეფერე მრავალჯერ,  
ახლა უნდა ვთქვა მთავარი,  
სიცილ-ხარხარით აიკელ  
შენ საქართველოს მთა-ბარი.  
შენ, ნალდო იუმორისტო,  
ერთად უტევდით სუფრაზე,  
ერთად მიგჭინდათ ჭაპანი,  
შენ, ბოლქვაძე და დუმბაძეს.  
არ დაგუცინოს, გეცინოს,  
ექსპრომტად კვლავაც ცინცხალზე,  
ქართველთა დიდო კორიფევი,  
ჩემო ვანიკო ცინცაძე.

### სახელი

ჩემი ქმარი, ჩემს სიყვარულს,  
არასოდეს იქადდა,  
თუმცა, რომ დაიძინებდა,  
სულ ჩემს სახელს იძახდა.  
დღისით ზედ არ მიყურებდა,  
მძინარე გიყდებოდა,  
ღამე ისე ბორგავდა, რომ  
დღილით ძლივსლა დგებოდა.  
ზედაც რომ არ მიყურებდა,  
მე მეგონა სცხვენოდა,  
არ იკითხავთ? თურმე ჩემთვის,  
სულაც არა სცხელოდა.  
მე სულელს რა მიხაროდა,  
გვიან ვახდა ნათელი,  
როცა მიგხვდი იმის სატრფოს...  
ერქვა ჩემი სახელი.

### დაქალი

ჩემს ქმარზე რომ ვჭორაობდი  
სულ მისმენდა დაქალი,  
არასოდეს არ მიჰქონდა  
ქმართან ჩემი ნათქვამი.  
გულისნერომას მინონებდა,  
ილებოდა ქაქანით,  
სუვენირებსაც მჩუქნიდა,  
მიზიდაგდა მანქანით.  
როგორც იყო გავეყარე  
და ვუშველე თავს ამით,  
გვიან მივხვდი სისულელეს,  
როცა ვნახე მანქანით  
რომ მიჰყავდათ სასიძო და  
საპატარძლო ნარნარით,  
ჩემი ქმარი სიძე იყო,  
საპატარძლო - დაქალი.  
სჯობდა მინა გამსკდომოდა  
არ მენახა ნამდვილად,  
ჩემსავით, ჭკვა ვისაც არ აქვს,  
ქმარს ართმევენ ადვილად.  
მახსენდება პატარძალი,  
ყვავილებს რომ იქნევდა,  
ქმრებს სუყველა გაუფრთხილდით,  
თორებ გვიან იქნება.

## ლიანა მელიქიძე-ოსიაშვილი

### გოგები

მამამთილი მყავს ლობიო,  
სულ დადის ცოლის ჭეუაზე,  
ის ქალბატონიც, ამას წინ,  
კინამ გავფხრინე შუაზე.  
ორივე ბებრუცანა და  
ძელმოდურები არიან,  
ჩემი ისე ეშინიათ,  
სულ აქეთ-იქით დარბიან.  
უკვე იციან იცოცხლეთ,  
ოჯახში ჩემი ადგილი,  
თუმც მათი ეს მორჯულება,  
არც ისე იყო ადვილი.  
მალიარებენ მას შემდეგ,  
როგორც ძლიერს და გონიერს,  
ერთურთის თანდასწრებით, რომ  
გავულანუნე ორივეს.  
ამჯერად აღარ სჭირდებათ,  
არც ჩიჩინი და არც ცემა,  
ტვინი გაეხსნათ და მიხვდნენ,  
მომაგონ პატივისცემა.  
არა და მათი აჯობებს...  
ცუციკებივით გავნაბავე...  
ორივე გომის, როცა მსურს...  
ძალლის ბაგაზე დავაბავ.

### 3 0 ქ ბ ...

ვირის კუდივით მოკლეა  
ეს კოხტა წუთისოფელი,  
გათხოვება გადავწყვიტე  
საქმრო არა მსურს სოფლელი.  
მე მეტი დარდი არა მაქვს  
ვმწყემს ძროხა და ვირები,  
ქალაქის ცენტრში ცხოვრობდეს  
მხოლოდ ასეთზე ვირევი.  
ჩემი საქმრო უნდა იყოს:  
მაღალი, ცისფერ თვალებით,  
მაყუთი ჰქონდეს, არ იყოს,  
გადატენილი ვალებით.  
თუმც იყოს დედიკოს ბიჭი,  
(თუმც დედა თუნდ სულ არ ჰყავდეს),  
როდესაც ჭიპს გამოვიჩინ...  
არავის სიტყვას არ აპყვეს.  
არ ენეოდეს სიგარეტს  
არ მაკლდეს უზრუნველყოფა,  
მე რომ ვეწევი ისიც კი  
ვითომ რატომ არ გვეყოფა.  
არ გაიხედოს ქალისკენ,  
თუნდ ანგელოზიც კი იყოს,  
უხმოდ მელოდოს დილამდე  
როცა რესტორანში ვიყო.  
სახლში მოვიყვან როცა მსურს,  
ხან გოგოებს და ხან ბიჭებს,  
კარგად ვატარებ მანქანას  
თითონ სახლში უნდა იჯდეს.  
შარვალი მოკლე მიხდება,  
ამავ დროს, მიყვარს დეკოლტე,  
ოჯახი წყარო გვექნება  
ენას თუკი დაიმოკლებს.  
ხანდახან თუკი გადავკრავ,

თვითონ არ სვამდეს ამავ დროს,  
პირობას წინასწარა ვდებ  
არ წავუთაქებ არასდროს.  
თუ ვერ გამიგებს სურვილებს  
ასეთ ყოფას რა ფასი აქვს,  
აღრენილი რომ ვიქნები  
უნდა მიწყობდეს ხასიათს.  
არ გამაგონის არაფრით  
საეჭვიანო ფიქრები,  
მაშინ უნდა დაჯდეს რულთან  
როცა ნასვამი ვიქნები.  
უნდა გაიგოს კაცურად  
როცა სხვას გავებლინები,  
გარეთ არა თქვას არვისთან  
თვალებში რომ მაქვს ლინზები.  
ქალთა დღეს უნდა მომართვას  
ლამაზი ისს კონები,  
არ დასცდეს გარეთ ვინმესთან  
რომა მაქვს სილიკონები.  
არ შეეშალოს არასდროს,  
სახლის გზას, სადმე გამოსცდეს,  
ტური რომ დაბერილი მაქვს  
ეს არსად უნდა წამოსცდეს.  
არ დამითვალოს მოსვლის დრო  
დილით, თუ ღამით წასულზე,  
არ ჩამომიგდოს არასდროს  
სიტყვები იმ ჩემს წარსულზე.  
ძმაკაცები არ გავუგო  
რის მიხო და ან რა მახო,  
ნუ გამომიყვანს წყობიდან  
უნებურად არ გავლახო.  
მე თუ ვინმე მევასება  
სუყველას უხმოდ უგებდეს,  
ოჯახში რომ დავბრუნდები  
უცბად ყავას მიღულებდეს.  
ყოველ სახლიდან გასვლისას  
მაკიაჟი შემიმოწმოს,  
არ გამიბედოს არასდროს  
ოდნკლასნიკი მიმოწმოს.  
თავისით უნდა ფიქრობდეს  
რით გამახაროს, რა მარგოს,  
ასაკით იყოს უმცროსი  
სუყველაფრად რომ ივარგოს.  
დღესასწაულის გარეშე  
მომიწყოს სიურპრიზები,  
აუცილებლად მისრულოს  
ჩემი ყველა კაპრიზები.  
თუ ბენელში სადმე შემნიშნოს  
თვალები უცბად არ ჭყიტოს,  
არ მაკადროს მობილურში  
მესიჯში რომ ჩაიჭყიტოს  
მაყუთი მისით მითვალოს,  
არ გამიბედოს, მე ვთხოვდე,  
დედამ მაშ რისთვის გამზარდა  
აბა მაშ რისთვის გავთხოვდე.  
ტკბილ-ტკბილ სიტყვად იღვრებოდეს,  
ვითარც ბადაგი ბოთლიდან,  
არსად წამოსცდეს არასდროს:  
რომ თავადვე ვარ სოფლიდან...  
როცა წავალ სატასაოდ  
არ სურდეს, რომ მყავდეს გვერდე,  
მე ასეთ საქმროს სულ მალე  
ვიპოვი, როგორსაც ვეძებ.

## ეთერ ფირცხალავა

### 31 დეკემბერი — ქალაზი თუ ქორწილი

საჭმელ-სასმელი სახლში ყოველთვის ბლომად მაქვს, მაგრამ საკუთარს ვუფრთხილდები, ვეძებ მუქტას. იმ დილით კარები გამოვისურები, გზას გავუდექი. შაბათია. ქელებს ან ქორწილს გამოვკრავ ხელს და ჩემებურად მოვერგები. უხურავ დაგემილ ძალს. აპა, ვეძედავ ყვავილებით ხელში მოდის რამდენიმე ადამიანი, მათ წინ გადავუდექი და ვეკითხები: — გამაგებინეთ ხალხო, ვინ დაიღუპა ჰა? ერთმა მიპასუხა, სარას დედამთილიო. — ვაი ჩემს თავს, ვაი, ვაი, რა ქალი დალუბულა! დედა, რატომ ვარ ცოცხალი, კიდევ კარგი თქვენ წაგანყდით, თორემ ვერც გავიგებდი და თავიც მომექრებოდა! შევურთდი მათ. ჩემთვის ვფიქრობ, ახლა დიდი საზრიანობა მმართებს, არავის არ ვიცნობ, ჩემს მიერ ჩაწყობილი „ნომერი“ არ გაიშიფროს. მიცვალებულს რომ შემოვუარეთ, მე კიდევ მეორედ შემოვუარე და ხმამაღლა დავატირე — ძმაო, ძმაო, რატომ გვიღალატე, რატომ

დაგვტოვე. ოხ, რა დაუნდობელია ეს წუთისოფელი, შენისთანა ვაჟეკაცები აქაა საჭირო — მეთქი და ცრემლების ნიაღვარი გადმოვიდინე. ერთმა გამისწორა: — ეს სარას დედამთილია-ო. ტირილის აზარტში შესულს, კვლავ გადამავიზყდა, მიცვალებული ქალი რომ იყო

და ისევ დავჭექე: — არა ძმაო, არ გაგიშვებ, ყველას გეფიცები! უცებ მომაგონდა, რომ ვიღაცა ქალი იყო. თავის გამოჩენის მანერამ დამძლია და ვიღრიალე: — გოგო, რატომ უღალატე შენს ქმარ-შველს, არ წახვიდე, არ გაგიშვებ იცოდე! და ხელიც წავატანე. ამ დროს ერთი ამოსაწყვეტი მეუბნება: — მაგას ქმარი რამოდენიმე წელია რაც გარდაცვალაო. მე სიბრაზისაგან ქპილები დავაჭრიალე „ნეტა შენ ვინ გავითხვას — გავიღლე გულში — ჩემი საქმის მე ვიცი!“ სამაგიეროდ ისე მაგრად გამოვიბესტები, რომ სამი დღე არაფერი მენდომება. ბრწყინვალე მეთოდი მაქვს!

### მოსაგვარებელი პროგლობა

სოფლის გამგებელმა თავის მცხოვრებლებს თავი მოუყარა და უთხრა: — ზეგ კომისია ჩამოდის, ყველა თქვენთაგანის პრობლემების მოსაგვარებლად, ჩამოთვალეთ, ვის რა განუხებთ, მე გადავცემ და ყველაფერი მოგიგვარდებათო. პირველი ძუეულ წაგანდა: — მე შიშები მანუხებს და მოხსნა მინდაო. — აბა მომახსენე რისი შიშები გაქვს? — რა და შარშანინ 5 ლარი ავიღე ქრთამი, ეს საქმე რომ გასკდეს, დღესაც მაკანალებს. მეორე, გვანჯი არაპამიას ცოლი მომწონს, მაგრამ გვანჯის შიშით ვიფერფლები, მესამე, ამ შემოდგომას ატამი კურკითვე გადამეყლაპა და წეტა რა მომივა?

— აბა, შემდეგი!

მამანტი წამოდგა და ამბობს: — კაცო, საჭმელი მაქვს, მაგრამ ჭამისთვის ვერ ვიცლი, ქორწილში თუ ქელებში რომ წავალ ერთი სამი დღის „ზაპასი“ მინდა შევჭამო და ეს არ გამომდის, მეორე ჩემი პრობლემა ჩემი ცოლი ხან მე მინვება, უფრო ხშირად სხვებს, აი, ესც. გმადლობთო და დაჯდა.

ახლა ლინტუ წამოდგა და ამბობს: — სახლში სიდედრი რომ მეწვევა, ენა ბუუილს იწყებს და მუცელში მივარდება, ცოლის გარეშე სიდედრის მოცილება მინდა. ჩემი სიდედრი კი არ დადის, დაფრინავს, ორივე თუ არა, ცალი ფრთა მაინც მოტეხოს...

საკმარისია, ხვალ კვლავ შევიკრიბოთ და გავაგრძელოთ. თქვა გამგებელმა.

\* \* \*

მიხო ცოლს ეუბნება: — ხვალ 10 საათზე ტენდერი მაქვს და ვლელავო. მაროს სიხარულის ალი მოედო და ქმარს ეკითხება: — მიხო, რისი ტენდერი დაგრიშენეს? მიხო ქირქილით პასუხობს: — შე ჩემა, ასეთი ბატი

როგორა ხარ, კოსმოსში საფრენ თანამგზავრის ტენდერს ხომ არ დამინიშნავდნენ. ბოსლი დახვეტა-დასუფთავების ტენდერში უნდა გავიმარჯვო, გესმის?



## გენერალების

სერგო წურწუმია

### ომარ გრიგოლის ძე ფირცელის გახსენება



თანადგომის პუმანიტარული მომსახურების კავშირი „დიოსკურია – 2005”-ის თავჯდომარის მოადგილე, მრავალი ჯილდოთა და ორდენით, მათ შორის მშვიდობის ოქროს დროშისა და მშვიდობის ოქროს ვარსკვლავით დაჯილდოვებული, გენერალ-მაიორი ომარ გრიგოლის ძე ფერცულიანი.

აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ სამეურნეო დარგში, ბატონმა ომარ ფერცულიანმა განვლონ პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების საინტერესო გზა 60-იანი წლებიდან თანამედროვეობამდე. მას, დიდი ავტორიტეტისა და გამოცდილების მქონე პიროვნებას, დიდ პატივს სცემდნენ აფხაზეთსა და სრულიად საქართველოში, ვინაიდან თავადაც უზადო პატივისცემით იყო გამსჭვალული სხვათა მიმართ, განურჩევლად სოციალურ-თანამდებობრივი მდგომარეობისა. 60-იან წლებში, როდესაც მთელს აფხაზეთში ადგილი ჰქონდა და საყოველთა გამოსვლებსა და მანიფესტაციებს კრასნოდარის მხარესთან შეერთების მოთხოვნით, ბატონ ომარს დიდი წლილი მიუძღვის სიტუაციის განეიტრალება- განმუხტვასა და მშვიდობის შენარჩუნებაში.

ყოველივე ზემოთქმული შერწყმულია მთელი მისი მოღვაწეობის განსაკუთრებულ თვისებურებასთან: ომარ ფერცულიანის, კაცის, რომლის გარეშეც არ ჩაუვლია აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების არცერთ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან მოვლენას სამოციანი წლებიდან დღემდე, მის ნააზრევთან იყო დაკავშირებული ყოველივე ის, რაც აფხაზეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ აზროვნებასა და პოზიციას წარმოაჩენდა. მის კალამს ეკუთვნის მრავალი მემუარი და მოგონება, სტატია და წიგნები - „სისხლით მორწყული სოფელი“ და „გამარჯვების მედროშე“, რომელიც ერმა და ბერმა გულთან მიიტანა. ბატონ ომარს დარჩა გამოუქვეყნებელი მემუარი „გულით დანახული აფხაზეთი“, რომელსაც მკითხველი სულ მალე იხილავს. ამ სასიქადულო მამულიშვილს წლების განმავლობაში ხელი ედო აფხაზეთის პულსზე და ეს ხელი ქართულად მგრძნობიარე, საიმედო, მრავლისმეტყველი გახლდათ!

ბატონ ომარს გული შესტკიოდა აფხაზეთიდან ატოლვილ გაჭირვებულ ოჯახებზე და შეძლებისდაგ-

ვარად ეხმარებოდა მათ, ხელს უმართავდა. ასევე, აქტიურად მონაწილეობდა „დიოსკურია – 2005”-ის საქმიანობაში. ქველმოქმედების მიზნით, მან კავშირს ანდერძად დაუტოვა სახსრები, რომელიც აფხაზეთის ომში დაღუპულთა უკვდავსაყოფად აღსამართ მემორიალურ ობელისკასა და აფხაზეთიდან დევნილ ქართველთა და აფხაზეთიდან გაჭირვებულ ოჯახების შემოწეობას მოხმარდება.

ომარ ფერცულიანის პიროვნების უკვდავსაყოფად, მისი სახელი ამოტვიფრულია მე-5 ბატალიონის თავგანწირული რაინდების მემორიალურ დაფაზე ქ. თბილისში. არსებობს მისი სახელობის კლინიკა, „დიოსკურია – 2005“ კაბინეტის ხელმძღვანელია ჯენერალურნუმია.

ასეთი იყო ომარ ფერცულიანი, ასეთად იცნობდნენ მას აფხაზეთის მაშინდელ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სრულიად საქართველოში.

ასეთი ერისკაცი დაცვარებული ჩევნები!

საშვილიშვილ საქმეში შეტანილი წვლილის გამო აფხაზეთის კონფლიქტში დაღუპულთა ოჯახების შერიგევისა და თანადგომის პუმანიტარული მომსახურების კავშირი „დიოსკურია – 2005”-ის პრეზიდუმის გადაწყვეტილებით, ამიერიდან აფხაზეთს კონფლიქტში დაღუპულთა ოჯახების შერიგებისა და თანადგომის პუმანიტარული მომსახურების კავშირი „დიოსკურია – 2005”-ის მიენიჭა ომარ ფერცულიანის სახელი.

ბატონმა ომარმა დატოვა ბრწყინვალე ოჯახი: მეულე – ნინო ქებურია-ფუცელიანი, მეცნიერ-მუშავი, მრავალი სასახელო ქართველის პედაგოგი, ღირსეული შვილებისა და შვილიშვილების აღმზრდელი.

უფალი იყოს ამ ბრწყინვალე მამულიშვილის ოჯახის მფარველი!

დღეს ხორცი ესხმება ამ დიდებული, სულნათელი პიროვნების ოცნებებს – აფხაზი და ქართველი ერის შერიგებისა და გამთლიანებისაკენ ბევრი სასიკეთო ნაბიჯი იდგმება და მისი ანდერძიც სიტყვასიტყვით სრულდება.

უკვდავია მისი სახელი!

ლმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი ომარის სული!

ლრმა პატივისცემით —

საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის პრეზიდენტი, „დიოსკურია – 2005”-ის თავგანწირული, გენერალ-ლეიინტენანტი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, ჯუმბერ ლეუსავას სახელობის მრავალპროფილიანი აკადემიის აკადემიკოსი სერგო წურნუმია.

„ათინათის“ მთავარი რედაქტორი და ჯუმბერ ლეუსავას სახელობის პრეზიდენტი გულნაზ ხარაიშვილი მიმართავს ბატონ მარ ფერცულიანის ივანებს: დაუკავშირდნენ „ათინათის“ რედკოლეგიას და მოაწოდონ მასალები, რათა მეოთხე ნომერში სპეციალური გვერდი მიეძღვის მისი ხსოვნას.

საკონტაქტო ტელ: 593 65 79 21

## ქიშლოცის



„ათინათის: რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს, ლალი ხვედელიძე-თაბორიძეს, პოეტ გიული შა-ლიკაშვილის ქალიშვილს. იგი ამერიკაშია...“

ლალიკო, იყავი ბედნიერი დედა და ბედნიერი ქართველი. გისურვებთ საქართველოში მალე დაბრუნებას.





შენ თბილი სიტყვებით გეფერება, შენი დედიკოს მეგობარი, ლიანა მელიქიძე-ოსიაშვილი:

ზესახელმწიფოს სტუმარო!  
ფიქრებში ნუ ჩავარდები,  
საქართველოში გელიან:  
დედის გული... და ვარდები

უურნალი „ათინათი“ გულს გაგითბობთ, მონატრებულ შვილებს.

რედაქტორი

**ლუარა სორდიას მეცნიერებათა სამყაროში  
კლასიკა, რომელიც უკვდავია...**



## ს ა რ ჩ ე ვ ი

გულნაზი ხარაიშვილი — გული მსურს მოგცეთ, მე სახელად “სიპეთი” მძვია.....	2
ჩვენი ქვეყნის ნუბეში.....	3

### ტ რ თ ზ ე

გულნარა შოთაშვილი — ბედი თუ უგედობა.....	4-7
რაფიელ გელანტია — ანუ ანუ.....	7-12
გიორგი გამხიტაშვილი — წლებია გელოდი .....	12-13
ქეთევან გელაშვილი — ის, რაც არ დავაცასე.....	13-15
გულნაზი ხარაიშვილი— ცოდნული ჩაფუფული რვა მარტი.....	15-19

### ტ რ ე ზ ი ნ

იკა ქადაგიძე — ლექსები.....	20-21
ტიტე მოსია — ლექსები.....	21-22
გივი სიხარულიძე— ლექსები.....	22
ეთერ ზარიძე — ლექსები.....	22-23
თამარ ჯაჭვაძე — ლექსები.....	23-24
მაია რაზმაძე — ლექსები.....	25
გიული შალიკაშვილი— ლექსები .....	25-26
მანანა დანგაძე— ლექსები.....	26-29
ლამზირა შეყილაძე — ლექსები.....	29-31
ლიანა მელიქიძე-ოსიაშვილი — ლექსები .....	32-33
სიმონ ზაქარაია — ლექსები.....	34-35
ბეჟან ხარაიშვილი — ლექსები .....	35-36
გულნაზი ხარაიშვილი — ლექსები .....	37-39
იამზე ჭელიძე — ლექსები .....	40-41
ლელა ბასილაშვილი— ლექსები .....	41-42
თინიკო ხაბურზანია — ლექსები .....	42
ავტორი თავის ვინაობას არ ამხელს — ლექსები .....	43
მერი თამაზაშვილი— ლექსები .....	43-44
ნუნუ მალაზონია — ლექსები .....	44
ნარგიზ ტატიშვილი — ლექსები .....	45-46
იური ჯინჭარაძე— ლექსები .....	47
დიკი რიმნისთაველი — ლექსები .....	47
ქეთევან ნათელაძე — ლექსები .....	48
ეთერ ფირცხალავა — ლექსები .....	49
ელგუჯა სხირტლაძე — ლექსები .....	49

### წ ე რ ი ჭ ე ბ ი

ტიტე მოსია — ფედერიკო გარსია ლორკა და მისი „კანტი ხონდო“ .....	50-53
ლუარა სორდია — სიყვარული — ყოფნა — არსებობის კარი .....	53-55
დარიკო ფიფია — შოთა ჩანტლაძის მხერლური სამყაროს ზოგიერთი ასპექტები .....	55-56
ნოდარ ბერულავა — „ვიკინგთა ეპონის“ კაროლინგური მავილები (VIII-X სს.) .....	57-58
მადლენა ოჩიგავა — სოცუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი შორის დაგულისავის ფუნდი .....	58-60
ირადანელია — „მხატვრული ტექსტის კომალეპური შესძენება ენობრივ ფაკულტეტზე“ .....	60-62
ლამარა გერგეგავა — სერვანტის სისტემის „დონ კიბონის“ არქეტიკაში .....	62-66
სიმონ ზაქარაია — ყველა დროის ღირსეული დასტარანი ვიდომორ ზარქუა – 85.....	67-69
ლუარა სორდია — მსოფლიო მოგზაურის გინესის რეკორდები .....	69-71
გივი ხაზალია — აღზრდა-სწავლების საკითხებთან დაკავშირებული მოსაზრივები .....	72-73
ნიკო ხერკელაძე — პოეტ ნიკოლოზ გარათაშვილის დამოკიდებულება გ. სააკაძის ფერმენტებ და მარტივოზის რმის შესახებ.....	74-75
ლია ნურნუმია — თეიბურაზ 1-ლის პოეტური სამყარო .....	76
სიმონ ზაქარაია — ცოტა რამ ვლადიმერ ვახანიას წიგნი — „კოლხეთ-საქართველოს ეპოდი, ერისთეს პოლო სიტყვები; ლაზარეს აღდგენა“-ს შესახებ.....	77
ლუარა სორდია — სიტყვით ნათლისმცემი (სახისმეტყველების ერთი ასაეპტი მერაბ პოსტავას პოეზიაში).....	77-80
ჯულეტა ძაძუა — პონსტანტინე გამსახურდიას წოველის – “ზარეპი გრიგალში” – პოეტური სამყარო .....	80-82

<b>ნანა ჯალალონია — სიცილი — სულიერი თავისუფლება</b>	82-83
<b>ლია ყანჩაველი — „სუბ-ბონება“ როგორც გონიერი საფუძველი ჩადებული ნირმონაში</b>	83-84
<b>ალმარ ლომიძე — პროექტი და საქართველო</b>	85-86
<b>თ ა წ ე ნ ე ბ ი</b>	
<b>მარინა სხირტლაძისა — პარიზის ნაციონალური პირდღირთეპის სათავეებთან</b>	87-88
<b>თინათინ ხოხობაშვილი — Natural reneval of Chestnuttree (Castanea sativa) in Lagodekhi State Reserve</b>	88-89
<b>მ ე ც ნ ი ე ბ ი</b>	
<b>მანანა კვატაია — ამპივალენტურობა ენიგმისა</b>	90-97
<b>ნანა შენგელაია — ფესტოსის დისკოს ამოკითხვის შესახებ</b>	97-101
<b>ი ს ტ ი რ ი</b>	
<b>ანა ხუნაშვილი — „ლექსს უფრო ყურსა უგდებდენ“</b>	102-104
<b>ნუვ ზარ ნადარაია — ვაზისი კოლეური ცივილიზაციის გვირგვინი</b>	104-106
<b>სიმონ ზაქარაია — ნიგნილან — „დევნილები გოლგოთის გზაზე“ რუსეთი კავკასიაში</b>	
<b>პოზიციებს არ თმობს</b>	106-108
<b>გიორგი ბეჭიფაშვილი — საქართველოსა და აზერბაიჯანის მეგობრობის ისტორიიდან..</b>	109-111
<b>ს ა მ ი რ ი თ ა წ ი</b>	
<b>ბელა კვანტალიანი — მორალი და სამართალი</b>	112-113
<b>დარიკო ონიანი, ირა ონიანი — ადამიანის უფლებები და აზრთა თავისუფლება</b>	113-115
<b>ს ე წ ა ვ ნ ე ბ ი</b>	
<b>ელისო ცანავა-კვაშილავა — ხელოვნება ღვთისგან მონიშებული სიკეთება</b>	116-118
<b>თამარ ჯაჭვაძე — სიყვარული სიყვარულის ნილ გულნაზი ხარაიშვილის ერთი</b>	
<b>აპროსტიქის სამყაროში</b>	119-120
<b>გულნაზი ხარაიშვილი — მთვარის ჩრდილები (აპროსტიქი)</b>	120-122
<b>სიმონ ზაქარაია — ნიჭიერი მხატვრის ხელოვნება ხალხის სულიერი სიმდიდრეა..</b>	123-126
<b>გულნაზ ხარაიშვილი ..</b>	127
<b>ი ჭ მ ი რ ი გ ზ ე წ ზ ა ხ ი წ ე წ</b>	
<b>ლიანა მელიქიძე-ოსიაშვილი.....</b>	128-134
<b>ეთერ ფირცხალავა — ვალევ შედეგს — ქალებია თუ ქორცილი ..</b>	135
<b>გ ა ხ ს ე ნ ე ბ ი</b>	
<b>სერგო ნურნეშია — მოარ გრიგორის ქე ფერცულიანის გახსენება ..</b>	136
<b>მ ი წ ა რ ე ვ ე</b>	
<b>„ათინათის“ რედკოლეგიის მილოცვა ..</b>	137
<b>ახალი წიგნები ..</b>	138

**ჟურნალ ათინათის მთავარი რედაქტორი:**  
**გულნაზ ხარაიშვილი 593 65 79 21**

1. დავით კაპანაძე (გამომცემელი რედაქტორი) პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.
2. სიმონ ზაქარაია (პასუხისმგებელი მდივანი) დოქტორი
3. ლუარა სორლია (სამეცნიერო განყოფილების უფროსი) პროფესორი
4. ტიტე მოსია (ლიტ. განყოფილების რედაქტორი) პროფესორი
5. ვანო შუშტაკაშვილი (საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების უფროსი) პროფესორი
6. ანა ხუნაშვილი (ბოდბელი) ენათმეცნიერი
7. გია კვაშილავა ფრესტოსის დისკოს მკვლევარი
8. ელისო ცანავა ინგლისური ენის სპეციალისტი
9. დარიკო ფიფია ფილოლოგის დოქტორი
10. ირა დანელია (ასოცირებული პროფესორი)
11. მარინე სხირტლაძე საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი
12. გიორგი ბეჭიტაშვილი პროფესორი
13. ჯულიეტა ძაძუა ენათმეცნიერი — ფილოლოგის დოქტორი
14. ლამზირა შეყილაძე (პოეტი)
15. ჯუმბერ ლეუავა მსოფლიო მოგზაური, გინესის რეკორდსმენი
16. ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი)
17. იური მამედოვი (აზერბაიჯანი)
18. ლიანა მელიქიძე-ოსიაშვილი (იუმორისტული განყოფილების უფროსი) 593442483
19. თამარ ჯაჭვაძე პოეტი (კორექტორი)

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნანა სხირტლაძე

ჟურნალი დაკაბადონდა გამომცემლობა „უნივერსალში“  
რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი | ხელოვნების აკადე-  
მის, IV სართული

ტელ: 593657921; 08341227287.

ფასი სახელშეკრულებო

ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა, არ ემთხვეოდეს რედაქციისას

**უუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აცადემია  
ათინათი 2012 წლის I ნომერი (III)**

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“ – ავტორი ემელიანე (რეზო) ადამია, ხატმწერი და პროზაიკოსი. დავით ალმაშენებელის, გალაკტიონ ტაბიძის, ვაჟა-ფშაველას პრემიების ლაურიატი. მხატვართა კავშირისა და მწერალთა კავშირის წევრი.

გარეკანის მეორე გვერდზე „მწუხარე დედა“. ავტორი ილია პატაშური, მხატვართა კავშირის წევრი, პროფესორი, ჩოხოსანი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პრემიის ლაურეატი.

უურნალის შიგნითა გვერდზე „ფიროსმანის ობლობა“ და „თამარ მეფის ვარძია“. ბოლოს შინგითა გვერდი ეკუთვნის ნიკო ხერკელაძეს. ნიკო ხერკელაძე არის მხატვართა კავშირის წევრი, პროზაიკოსი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი. საერთაშორისო ფონდის წევრი, მისი ნამუშევრები დაცულია კერძო კოლექციებში.

უურნალის 141 გვერდზე იხილეთ მხატვრის გალერია. შარაბ ხოჭოლავა არის მხატვართა კავშირის წევრი, საქ. მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ აკადემიის აკადემიკოსი.

## **ავტორთა საყურადღებოდ!**

უურნალი „ათინათი“, არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისა-მართით საქილიკო მასალებს უურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერება-სა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით. [gulnazi5@bk.ru](mailto:gulnazi5@bk.ru)

შემოწირულობები ჩარიცხეთ ამ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი — TBCBGE 22

მიმღების დასახელება — შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრა-ვალპროფილიანი ანგარიშსწორების ანგარიში \_ GE51 TB73 1333 6080 1000 01

**ტელეფონი 593 657 921; 0341 227 287**



**გამომცემლობა „უნივერსალი“**

თბილისი, 0179, ი. ჯავახვაძის გამზ. 19, თე: 222 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge



თამარ მეფის ვარძია



ქალი სარქით

